

თბილისის ფაბიანური საზოგადოება

# ქართული მეგარსხენეობის ქრესტოგათია

I

2015

## **ავტორ-შემდგენელთა ჯგუფი:**

ირაკლი ირემაძე  
ლევან ლორთქიფანიძე  
ხვიჩა ყაზაიშვილი  
სოფიკო შუბითიძე

## **რედაქტორი:**

პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## **გამომცემლები:**

თბილისის ფაბიანური საზოგადოება  
შენ დემოკრატიისთვის

## **კორექტორი:**

მედეა იმერლიშვილი

## **დამკაბადონებელი:**

ზაზა ჩუგოშვილი

ქართული მემარცხენეობის ქრესტომათია (ტომი პირველი)

© 2015 თბილისის ფაბიანური საზოგადოება

© 2015 შენ დემოკრატიისთვის

ISBN 9-99999-999-9

ISBN 9-99999-999-9

# სარჩევი

|   |     |
|---|-----|
| შესავალი .....  | 4   |
| <b>თავი პირველი:</b> მემარცხენეობა და ეროვნული საკითხი.....   | 6   |
| წინასიტყვაობა.....  | 7   |
| მამულიშვილობა, ეროვნება თუ ხალხის სამსახური? .....  | 12  |
| ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი .....  | 28  |
| ერი და ჩვენ .....   | 50  |
| ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი.....  | 76  |
| <b>თავი მეორე:</b> საქართველოს სოციალისტური პარტიების საარჩევნო<br>პლატფორმები საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების<br>დროს (1919 წელი) ..... | 130 |
| წინასიტყვაობა.....  | 131 |
| <b>თავი მესამე:</b> მემარცხენეობა და მისი ძირითადი მიმართულებები. ...   | 170 |
| წინასიტყვაობა.....  | 171 |
| ეკონომიკური წარმატება და ეროვნება .....   | 174 |
| წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ .....  | 216 |
| მიზეზი ქალთა მონობისა და ქალთა მოძრაობისა .....   | 263 |
| პასუხი პროტესტანტებს .....  | 298 |
| ოცნება და სინამდვილე.....   | 324 |
| გამოყენებული ლიტერატურა .....   | 334 |
| „თბილისის ფაბიანური საზოგადოება“.....   | 335 |
| „შენ დემოკრატიისთვის“ – არასამთავრობო ორგანიზაცია.....  | 336 |

---

## შესავალი

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ველზე გააქტიურდნენ სხვადასხვა ტიპის სოციალური და განმანათლებლური მოძრაობები. მათ შორის ერთ-ერთ მთავარ როლს ჩვენს ქვეყანაში მოქმედი მემარცხენე ჯგუფები ასრულებდნენ. მიუხედავად რუსეთის იმპერიის თვითმპყრობელური პოლიტიკისა, აღნიშნულმა გაერთიანებებმა მაინც მოახერხეს არაერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მიზნის მიღწევა და მოქალაქეთა შორის პროგრესული იდეების გავრცელება. სამწუხაროდ, მემარცხენე მოძრაობებისა და მათი პოლიტიკური ბრძოლის იდეური საფუძვლების შესახებ თანამედროვე საქართველოში უმრავლესობას მაინც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს.

თავდაპირველად, არაკომუნისტური მემარცხენე პოლიტიკური გამოცდილების სრულყოფილად წარმოჩენის ტენდენციას ბოლშევიკური რეჟიმი დაუპირისპირდა. მეოცე საუკუნის მიწურულს, დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში ნაციონალისტურად განწყობილმა ელიტამაც გაიზიარა ევროპული ყაიდის სოციალიზმის დემონიზაციის მანკიერი ტრადიცია. ცხადია, არც ნეოლიბერალური ხელისუფლების წარმომადგენლები წყალობდნენ საქართველოს მუშათა მოძრაობის ღირებულებათა სისტემის სრულყოფილი შესწავლის საქმეს.

აქედან გამომდინარე, „თბილისის ფაბიანური საზოგადოების“ წევრებმა 2013 წლის მიწურულს დავაარსეთ საინიციატივო ჯგუფი, რომელიც „ქართული მემარცხენეობის ქრესტომათიის“ პირველი ტომის შედგენაზე მუშაობდა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების სტუდენტთა კვლევა დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში გაგრძელდა. შედეგად, არასამთავრობო ორგანიზაციის „შენ დემოკრატიისთვის“, პროექტის ფარგლებში, გამოსაცემად მომზადდა ქრესტომათიის პირველი ტომი. კრებული სამი თავისაგან შედგება.

პირველ თავში თავმოყრილია სტატიები, რომლებიც წარმოაჩენენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენელთა დამოკიდებულებას ეროვნული საკითხისა და ნაციონალიზმის შესახებ.

მეორე თავი აერთიანებს იმ პოლიტიკური პარტიების პროგრამებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოში ჩატარებულ პირველ საყოველთაო დემოკრატიულ კენჭისყრაში (საქართველოს დამფუძნებ-

ლი კრების არჩევნები, 1919 წლის თებერვალი). აქვე შეგიძლიათ წაიკითხოთ ქუთაისში დაფუძნებული პირველი ქართული ფემინისტური ჯგუფის სამოქმედო პროგრამა.

მესამე თავი მოიცავს მემარცხენე მოძრაობის თითქმის ყველა ძირითადი მიმართულების გამორჩეულ წარმომადგენელთა ნააზრევს. ქრესტომათიის ამ ნაწილში შეგიძლიათ გაეცნოთ საქართველოში მოღვაწე სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების, ფემინისტების, ანარქისტებისა და რადიკალი მარქსისტების ნაშრომებს.

პირველი ტომის შედგენის დროს გაწეული დახმარებისათვის, დოკუმენტური მასალების მოწოდებისათვის მადლობა გვინდა გადავუხადოთ „ანარქისტული ბიბლიოთეკის“ კოლექტივსა ([www. a-library. org](http://www.a-library.org)) და ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონულ ბიუროს (რიგ შემთხვევებში ვიხელმძღვანელებთ ფონდის მიერ გამოცემული წიგნით „კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები“, ავტორი: თამთა მელაშვილი), ასევე თსუ-ს პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ხელმძღვანელს გამოცემის რედაქტორობისათვის.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ არასამთავრობო ორგანიზაციას, „შენ დემოკრატიისათვის“, რომელმაც National Endowment for Democracy – ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ქრესტომათიის პირველი ტომის გამოცემაზე ჩვენთან ერთად იმუშავა.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი კრებული პოლიტიკის მეცნიერების ახალგაზრდა მკვლევართა მოკრძალებული ძალისხმევის შედეგია. ჩვენი მიზანი გახლდათ ქართული პოლიტიკური აზრისა და პოლიტიკური იდეოლოგიების შესწავლის საქმეში მორიგი მცირე ნაბიჯის გადადგმა და შემდგომი ახალგაზრდული კვლევების ინსპირირება. მომავალი ტომების მოსამზადებლად ვგეგმავთ უფრო მრავალრიცხოვანი კვლევითი ჯგუფის ჩამოყალიბებას. მზად ვართ ვითანამშრომლოთ ყველა დაინტერესებულ პირთან. გამოყენებულ ტექსტებში თავდაპირველი სტილი დაცულია.

პატივისცემით,  
ირაკლი ირემაძე  
ლევან ლორთქიფანიძე  
ხვიჩა ყაზაიშვილი  
სოფიკო შუბითიძე

თბილისი, 2014 წლის ნოემბერი

თავი პირველი

მემარცხენეობა და ეროვნული საკითხი

## წინასიტყვაობა

ქართულ სოციალ-დემოკრატიაში, ფაქტობრივად მისი მესამე დასად ჩამოყალიბების დღიდან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც გარკვეულწილად შიდა დაპირისპირებისა და ურთიერთკრიტიკის საგანსაც წარმოადგენდა, ეროვნული საკითხი გახლდათ. ეს ლოგიკური იყო და მნიშვნელოვნად შეესაბამებოდა ამ დროის ევროპის მრავალეროვან იმპერიებში მიმდინარე მოვლენების კონტექსტს. იმპერიული უღელის ქვეშ არსებული პოლიტიკური ძალა გვერდს ვერ აუვლიდა ეროვნული საკითხის პრობლემას.

თავდაპირველი დაპირისპირება, მანამდე არარსებულ და ჰიპოთეტურად ჩამოყალიბებულ, უკვე შემდგომ ნაცნობ ორ ძირითად ფრაქციას „ბოლშევიკებსა“ და „მენშევიკებს“ შორის მიმდინარეობდა. თუმცა უკვე ქართველი სოციალ-დემოკრატების რუსულ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან შეერთების შემდეგ ეროვნული საკითხის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა და კამათი უკვე ქართველ მენშევიკთა შორისაც გახშირდა. ქართველ სოციალ-დემოკრატებს შორის ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაზე საუბრისას შეგვიძლია მივნიშნოთ ოთხი მიმართულება გამოვყოთ:

I. რადიკალურად მემარცხენე ინტერნაციონალისტური მიმართულება – რომელიც პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ირაკლი (კაკი) წერეთლის ნააზრევს ეფუძნებოდა და რომელიც დიდწილად იმეორებდა ევროპელი, რადიკალი მემარცხენე ინტერნაციონალისტების იდეებს. ამ მიმართულების მთავარი პათოსი გახლდათ ნეგატიური დამოკიდებულება სახელმწიფოს ყოველგვარი დანაწილებისადმი და ავტონომიური ერთეულების შექმნისადმი.

II. ზომიერად მემარცხენე მიმართულება – რომლის თეორეტიკოსად ნოე ჟორდანიას გვევლინებოდა. ფაქტობრივად ჟორდანიამ განვლო მთელი წრე ამ საკითხთან მიმართებაში, ერთი მხრივ საწყის ეტაპზე ვერ კიდევ მესამე დასის ჩამოყალიბების დროს ის მოგვევლინა ეროვნული საკითხისადმი მნიშვნელოვანი მგრძნობელობით, მეორე მხრივ კი მეოცე საუკუნის დასაწყისში ის აშკარად გადაიხარა მარცხნივ, თუმცა ეს გადახრაც მნიშვნელოვნად ლავირებდა მკვეთრად ინტერნაციონალისტურ და ზომიერ მემარცხენეობას შორის.

III. ზომიერად პატრიოტული მიმართულება – აკაკი ჩხენკელის ნააზრევში წარმოჩნდა. ეს მიმართულება მნიშვნელოვნად დაუპირისპირდა

მისი პარტიის ორ აღიარებულ ლიდერს და მენშევიკურ ფრთაში მწვავედ დააყენა ეროვნული პრობლემის გარშემო არსებული პოლიტიკის გადასინჯვის საკითხი. მან ფაქტობრივად გააკრიტიკა თანაპარტიელები გამოუსადეგარი ინტერნაციონალისტური მიდგომების გამო და ამასთანავე კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ეროვნული საკითხისადმი უფრო მემარჯვენე მიდგომების მიმართულების მქონე პოლიტიკოსები. მის ხედვებში იკვეთება ერთგვარი ოქროს შუალედის ძიების მცდელობა. ეს მცდელობა თეორიულად ემყარებოდა ამ დროის ევროპაში მოწინავე სოციალისტური პარტიისა და ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეროვნული პროგრამის ძირითად მიმართულებებს.

IV. პატრიოტული მიმართულება – ვლადიმერ (ლადო) დარჩიაშვილის, მესამე დასის ერთ-ერთი ფუძემდებლის ნაშრომებში ჩამოყალიბდა. მისი ხედვები პარტიის ძირითადი ხაზის იდეებისგან ძალზე დაშორებული აღმოჩნდა, რის გამოც ვლადიმერ (ლადო) დარჩიაშვილი ფაქტობრივად პარტიის ლიდერებისგან გარიყულიქნა. დარჩიაშვილის ხედვები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ პოლიტიკური ავტონომიით, ის უფრო შორს წავიდა და დღის წესრიგში გარკვეული ეკონომიკური ავტონომიის აუცილებლობაც დააყენა, ავტონომიურ ერთეულებს შორის, საბაჟო ბარიერების არსებობის კუთხით.

ქართველ მენშევიკებს შორის არსებობდა კონსენსუსი სოციალური საკითხების მიმართ. მთავარი, ერთგვარი დაპირისპირების ხაზი სწორედ ეროვნულ საკითხზე გადიოდა. „ქართული მემარცხენეობის ქრესტომათიის“ პირველ თავში, წარმოდგენილია ქართულ სოციალ-დემოკრატიულ მენშევიკურ ფრთაში არსებული ეროვნული საკითხისადმი ეს ოთხი ძირითადი დამოკიდებულება.

ირაკლი ირემაძე







---

## ირაკლი (კაკი) წერეთელი

დაიბადა 1881 წლის 20 ნოემბერს ზემო იმერეთში სოფელ გორისაში. კაკის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინეს მამამ – გიორგი წერეთელმა და ბიძამ – ნიკო ნიკოლაძემ.

ირაკლი (კაკი) წერეთელმა 1900 წელს დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია, იმავე წელს სწავლა განაგრძო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სტუდენტობისას დაიწყო მისი რევოლუციური საქმიანობა. 1901-03 წლებში წერეთელი მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტური გამოსვლების ერთ-ერთი ლიდერი გახდა. 1903 წელს წერეთელი თბილისში დაბრუნდა და შეუერთდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის ორგანიზაციას. 1907 წელს არჩეული იქნა რუსეთის სათათბიროს დეპუტატად, ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას. მალევე, იმპერატორის მიერ „დუმის“ დათხოვნის შემდეგ გადაასახლეს ციმბირში.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ წერეთელი პეტერბურგში დაბრუნდა როგორც რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი და მთავარი ორატორი. რევოლუციებს შორის პერიოდში კერენსკის მთავრობაში იკავებდა ფოსტა-ტელეგრაფისა და შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტს. ბოლშევიკური გადატრიალებისა და სათათბიროს გარეკვის შემდეგ, 1918 წლის იანვარში დაბრუნდა თბილისში, მონაწილეობას იღებდა ვერსალის საზავო მოლაპარაკებებში საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში. 1919 წელს არჩეული იქნა საქართველოს დამფუძნებელთა კრებაში. 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში.

ემიგრაციაში წასვლის შემდეგ, 1926 წელს სწავლა დაიწყო სორბონის უნივერსიტეტში. 1950 წელს საფრანგეთიდან საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა, სადაც კოლუმბისა და ჰარვარდის უნივერსიტეტების დაკვეთით დაიწყო წიგნის წერა: „მოგონებები ოქტომბრის რევოლუციაზე“, რომლის დასრულებაც სამწუხაროდ ვეღარ შეძლო (დაწერა 1000-გვერდამდე). ირაკლი (კაკი) წერეთელი 1959 წლის, 20 მაისს გარდაიცვალა ნიუ-იორკში.

## მამულიშვილობა, ეროვნება თუ ხალხის სამსახური?

მე არვიცი ისეთი პატიოსანი და გამტაცი გრძნობა, როგორც მშობელი ხალხის თავგანწირული სიყვარულია, და მასთანვე არ მეგულება არც ერთი მოქმედება, გაბედული და ხალხის სიყვარულით გამოწვეული, რომელსაც ჩვენში მამულიშვილობისა და ეროვნების სახელით წინ არ აღდგომოდნენ. მერე რომ იკითხოთ, რა არის მამულიშვილობა ან ეროვნება, ყოველგან პასუხათ გაიგონებთ, – ეს სამშობლო ქვეყანის, ერის თავდადებულს სიყვარულიაო. თუ ეს მართლა ასეა, რათ დაუპირისპირეს ერთმანეთს ეს გრძნობები, რით ეწინააღმდეგება მამულიშვილობა და ეროვნება ხალხის სიყვარულს, ხალხისთვის შრომას? ვინც ხალხის სამსახურს და მისთვის გზის გარკვევას სწირავს თავის ძალ-ღონეს, რათ ითვლება ის სამშობლოს დამკარგველათ, ერის უარყოფელათ, და მას კი ვისთვისაც მშობელი ხალხის კვნესა და შვება, მისი მწარე ბრძოლა და იმედიანი მომავალი – ყველა ერთნაირათ უცნობი და შორეულია, – რათ მოაქვს თავი ნამდვილ მამულიშვილათ და ერის მოჭირნახულეთ? განა სამშობლოს და ერის სიყვარული მართო მშობელ ხალხის სამსახურში არ უნდა იხატებოდეს? საიდან წარმოდგა ეს უკუღმართობა? მართალია, იგი თვით ხალხის გულში ფესვს ვერ მოიდგამს, – ხალხი კარგათ იცნობს თავის მტერს და მოყვარეს, – მაგრამ ჩვენს „საზოგადოებაში“ კი მტკიცეთ არის გამეფებული ეს შეხედულება, და ვინ იცის, რამდენი ნორჩი გონება დააბნეულა, რამდენ ხეირიან გრძნობას გამოაცალა მაცოცხლებელი ნიადაგი და უნაყოფოთ გაახმო.

ჩვენ გვსურს დავარღვიოთ ეს ცრუ წარმოდგენა, გვსურს გამოვარკვიოთ, რომ მამულიშვილობის და ეროვნების სახელით მონათლულია ისეთი რამ, რაც ძირიანათ ეწინააღმდეგება მშობელ ქვეყნის კეთილდღეობას და ერის უმრავლესობის ბედნიერებას: რომ დღეს ქვეყნის წრფელი სიყვარული და ეროვნების დაცვა მხოლოთ ხალხის სამსახურში უნდა იხატებოდეს.

მამ ავხადოთ რიდე მამულიშვილობას და ეროვნებას.

მამულიშვილობა.

თ-დი აღექს. ჭაფჭავაძის საფლავზე მგოსანი შემდეგ ფიქრებს ეძლევა:

ტკბილო პოეტო,

ნათლისა სვეტო,

შენ არ დაგწვია ჩვენსავით გული,

.....

თორემ სხვა გვართ  
მწარეთ და მართ  
ეგ შენი გულიც იწყებდა ძგერას...  
და შენც ჩვენსავით  
სიტყვებით ავით

გესლით და ნაღვლით იწყებდი მღერას.

ამ სევდის ერთათ ერთი წყარო მამულიშვილური გრძნობა არის, მამუ-  
ლის დაბეჩავებამ აუმღვრია მგოსანს სული და გული.

ეს არ სანატრო

უკუღმართი დრო

სიცოცხლითვე გვკლავს, გვედება ბნელი,

არცა გვაქვს ძილი

და არც წამალი

სად არის მხსნელი, რომ მოგვცეს ხელი?!

ბედი უკულმა დატრიალდა, და ნამდვილი მამულიშვილი, რომელიც ალ.  
ჭავჭავაძის დროს ტკბილ სიმღერას ეძლეოდა, დღეს უნდა მწარეთ სტირო-  
დეს, ასეთია თვითონ მგოსნის აზრი.

და აი, ამ პატარა ლექსს რომ ჩაუკვირდეთ, ნათლათ გავარჩევთ ჩვენი  
მამულიშვილობის დედა ძარღვს, ვისი ბედი დატრიალდა უკულმა? ვინ რა  
დაკარგა ამ დროის განმავლობაში? მთელმა ხალხმა? ერთმა ნაწილმა? აი,  
აქ არის ჩამარხული ჩვენგან წამოყენებული კითხვის ახსნა, აქ მოინახება  
დღევანდელი მამულიშვილური გრძნობის ნამდვილი წყარო, გამოირკვევა  
მისი ნამდვილი შინაარსი.

შევადაროთ ეს ორი ხანა.

რუსეთის ხელში გადასვლით საბოლოოთ ძირი გამოეთხარა ჩვენში  
ძველ წყობილებას. თავად აზნაურობამ გარეშე მტრის ძალას ველარ გაუძ-  
ლო, მტრის მოსაგერებელი მახვილი რუსეთს გადასცა. მოვალეობის თავი-  
დან ამორებით ის უდარდელ ცხოვრების შეძენას ფიქრობდა. პოლიტიკური  
მეთავეობის ტვირთი მან მხრებიდან მოიშორა. მაგრამ ამასთან ერთათ ის  
სრულებითაც არ ფიქრობდა სოციალური პირველობის დათმობას. აქ მას  
ვერავინ შეეცილებოდა, პირიქით, ის ახლა ფიქრობდა ძლიერი მფარვე-  
ლის ქვეშ წინანდელზე უფრო სავსებით განცხრომისათვის თავის მიცემას.

აი, ასეთ მდგომარეობაში იყო ჩვენი ქვეყნის ბედი თ. ალ. ჭავჭავაძის  
დროს. ვისთვის იყო ეს მდგომარეობა ახლანდელზე უკეთესი? მაშინდელი

ქართველობა ორ მთავარ ჯგუფათ იყო გაყოფილი. ცალ მხრით ყოველ უფლებას მოკლებული, ფეოდალური უღლით წელ-გატეხილი უმრავლესობა იდგა, მეორე მხრით უფლებებით აღჭურვილი და ეკონომიურათ უზრუნველყოფილი უმცირესობა. პირველთ მას აქეთ ყმის ბორკილების გარდა არარა დაუკარგავთ რა, მაშასადამე მათთვის წარსული უფრო ბნელი იყო, ვიდრე დღევანდელი დრო არის. დაგვრჩა მეორე ჯგუფი, რომელსაც დღეს არც ძალა შერჩა, არც გავლენა, და მაშინ კი, როგორც დავინახეთ, ქვეყნის პატრონი და ბატონი იყო. აი, სწორეთ ამ მეორე ჯგუფის ოპტიმიზმით იყო გამსჭვალული ალ. ჭავჭავაძეც, მისი ღვიძლი შვილი. სწორეთ ამიტომ აცლიდა მის გულს მამულიშვილური შხამ-ნალველი. იქ, სადაც მთელი ეკონომიური ძალა ერთ რომელიმე ჯგუფს აქვს ხელთ, მისი თვალთა ხედვა მისივე წრით შემოზღუდულია. მის ინტერესებს ემსახურება მთელი ქვეყანა და ამ წრეს გარეთ მისთვის არაფერი არსებობს: თავის კერძო ინტერესათ ეჩვენება. „მამულის“ ბედ-იღბალი ამ „მამების“ ბედ-იღბალია, და თუ ამ უკანასკნელთ ცამ დაუღიმა, სჩანს, პირველსაც ბედის პირი უნდა გაეხსნას. და აი, სწორეთ ამნაირ დროს მომართა ჩანგი ჭავჭავაძემაც. „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“-ო. ამ სიმღერაში გაბატონებული ჯგუფის კმაყოფილება იხატებოდა და, მაშასადამე, მამულიშვილური ოპტიმიზმიც შიგ იყო ჩართული.

მაგრამ დრო წინ მიდიოდა, ძველ საზოგადოებაში ჩასახული ახალი ძალა თავისას შვებოდა და თანდათან არღვევდა საზოგადოებრივ წყობილებას. გლეხების განთავისუფლებამ ბოლო მოუღო ფეოდალურ უფლებებს, ამავე დროს ფულმა ნატურალური წეს-წყობილების კარი სრულებით შეანგრია. თავად ამნაურობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ აიღო ახალი ცხოვრების ალღო. ყმა და მამული, ეს ორი დედაბოძი მისი კეთილდღეობისა, – ერთი 19 თებერვლის მანიფესტმა, მეორე ფულის გაბატონებამ გამოაცალა მას ხელიდან. და აი, იწყება ძველი „მამების“ დაქვეითება. ერთ დროს ცხოვრების მეთაური ჯგუფი ცხოვრების კულში მოქცეული შეიქმნა. მის მაგივრათ, მის გვერდით იზრდება, ფეხს იდგამს სხვა საძირკველზე აღმოცენილი ახალი საზოგადოებრივი ჯგუფები. ჯერ კიდევ ნორჩი და გამოურკვეველი, ეს ახალი ჯგუფები ცხოვრების განახლებაში პოვებენ სიცოცხლის ნაკადულს. ცხოვრების ყოველი წინ წაწევა მათ გამარჯვებას მოასწავებს. ესენი ძველ ცხოვრების ბატონს თანდათან ძალას ხელიდან აცლიან. ეს უკანასკნელი ვერსაიდან ვერ უდგება ახალ ცხოვრებას, ვერ ახერხებს მასთან შეკავშირებას. აღარაფერს გამოელის მისგან და გრძნობს, როგორ რჩება თანდათან უკან, როგორ კარგავს თავის ძველ

დიდებას, როგორ მარხავს თავის იმედებს. ცხოვრების შეუჩერებელი წინსვლა მისი შეუჩერებელი უკან დახევაა. და აი, იქ იწყება ამ ჯგუფის მოთქმა და გოდება. ეს მწარე კვნესა დღემდის გაისმის ჩვენ ქვეყანაში და მასში ჩალესილია იმედ-დაღუულ საზოგადოებრივ ჯგუფის მთელი შხამ-ნაღველი. ეს ჯგუფი გრძნობს, რომ ფეხ ქვეშ თანდათან ნიადაგი ეცლება, რომ რაღაცა საშინელი მას სამარისაკენ მილევავს, და მთელი ქვეყნის მთელი მამულის დაღუპვად ელანდება. ჯგუფობრივი გრძნობა აქაც მამულიშვილურ გრძნობის სახეს ღებულობს. ამ გვარ ცვლილებას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ძველი წყობილების დამანგრეველი ძალა, ფული, პირველ ხანებში მაინც, თითქმის სულ უცხო ხალხის, სომხის ხელში ტრიალებდა, რადგანაც სომხის ბურჟუაზიამ ისტორიული პირობების გამო ადრე აიდგა ფეხი. აი, აქედან მოევლინათ უბედურება ჩვენს „მამებს“ და ამიტომაც უფრო გამაგებით მორთეს ყვირილი – „სამშობლო განსაცდელშია, უცხო ხალხმა გაგვანადგურა, ვიხსნათ თავი სომხებიდანო“. ვინც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში თავის თავს ქვეყნის მამათ სთვლიდა, ვისაც ენის, კულტურის, ზნე-ჩვეულების დამცველი და მატარებელი მხოლოდ თავისი თავი ეგონა, – მას თავის დამარცხებასთან ერთად ყველა ამაების გაქრობა და მოსპობა ეჩვენება. და სწორედ აქ იბადება ის უკმაყოფილება აწმყოთი, უიმედობა მომავლით და მხოლოდ წარსულის მადლიერათ მოგონება, რომელიც ასე ახასიათებს ჩვენს მამულიშვილებს. მამა-პაპური სიმამაცის, მათი სამშობლოს სიყვარულის, მტკიცე ზნე-ჩვეულების მოგონება, – მხოლოდ ეს ასულდგმულებს მათ, თანამედროვე გაუტანლობა „მამულიშვილის“ დავიწყება, წოდებათა ერთმანეთში არევ-დარევა, – ეს უკვეთს მათ იმედს და სასოწარკვეთილებაში აგდებს. დღევანდელი „მამულიშვილობა“ იხედება უკან, და არა წინ, მის სიკვდილს გარდა არა ელის რა. თავის ხსნას ის ცხოვრების უკან დახევაში პოვებს. და რადგანაც ძველი დროს გაცოცხლება შეუძლებელია, ცხოვრება სულ სხვა მხარეს მიიწევს და არ ჩანს ისეთი რეალური საზოგადოებრივი ძალა, რომელსაც შეეძლოს ძველი იდეალების დაცვა და აღდგენა, – ეს მამულიშვილური გრძნობა უსაქმოდ რჩება, უმოქმედოდ არსებობს. მისი ერთათ ერთი სარბიელი სიტყვიერი მოთქმა-ტირილია. ამიტომაც ასე იჩუტება ის თანდათან, და ბოლოს გრძნობა, ჯგუფობრივ პსიხოლოგიით შეღებილი, მაგრამ მაინც გულწრფელი, იცვლება უშინაარსო სიტყვების რახა-რუხათ, მჟავე პატრიოტობათ.

ამნაირ ნიადაგზე აღმოცენილი ჩვენი „მამულიშვილობა“; ის რეაქციით არის გაჟღენთილი და რეაქციას ასულდგმულებს.

განსაპეტაკებული და გაწმენდილი პოეზიით, ის აკაკის საუკეთესო ლექსებში არის გამოსახული. გამოჩუქული და სიტყვების რახა-რუხათ გადაქცეული, ის დაბერებულ „ივერიის“ ფურცლებიდან იყურება.

ამნაირათ ის, რასაც ჩვენში მამულიშვილობის სახელი ქვია, არის ნაშთი წარსულის, ცხოვრების განვითარებით უარყოფილი და მაშასადამე წინმსვლელობის უარმყოფელი. იყო დრო, როდესაც ამ „მამულიშვილთა“ ხმა ფარავდა ჩვენში თითქმის ყველა დანარჩენ ხმებს, ვინაიდან პირველ ხანებში დროის დანატოვარი მომაკვდავი ჯგუფი წარმოადგენდა. მაგრამ თანდათან პატარა ნაკადულები, ამ დიდ ტბის გვერდით ამოხეთქილი, თხრიდენ ახალ კალაპოტს და თვითონაც იზრდებოდნენ, ისე რომ მათი ჩქეფვა ჯერ შეუმჩნეველათ აძლევდა თავისებურ კილოს ჩვენი ცხოვრების საერთო ხმას, მერე თანდათან გაძლიერდა და ახლა თვითონ დაფარა ერთ დროს მარტო-მარტო გაბატონებული მამულიშვილური გლოვის ზარი. ახალმა ცხოვრებამ დაბადა ახალი კითხვები. ამნაირათ იშვა ეროვნება.

რას შეიცავს ეს ახალი იდეა? ვინ წამოაყენა ის ჩვენში? ვინ დაეპატრონა მას? ვინ გაიტანს მას ნამდვილათ ცხოვრებაში თავის მხრებით? – აი, ჩვენი გასარკვევი კითხვები.

ყველამ იცის ამ კითხვების პასუხი, როდესაც ევროპის შესახებ არის ლაპარაკი. იქ ეროვნულ კითხვის წამომყენებელი, ეროვნულ აღორძინების მეთაური და ცხოვრებაში გამტანი ბურჟუაზია იყო. ევროპის ყოველ ქვეყანაში დაახლოებით ერთი პროცესი მოხდა. ფეოდალურ წყობილების სიღრმეში საწარმოო ძალთაგან ვითარებამ შეამუშავა მატერიალური პირობები ახალი ცხოვრებისათვის; ამავე დროს იქვე იშვა და გამაგრდა ახალი კლასი, ბურჟუაზია, რომელიც ახალ ცხოვრებას ჩაუდგა სათავეში და ზოგან ნელი, შეურყეველი ნაბიჯით, როგორც ინგლისში, ზოგან ერთბაშათ, რევოლუციის ტექა-ქუხილით, როგორც საფრანგეთში, შეანგრია ისტორიის კარი, დაამსხვრია ძველი ცხოვრება, ჩამოაგდო ტახტიდან ძველი ბატონი და თვითონ ავიდა ტახტზე.

ასეთი რიხით გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზე ბურჟუაზია და გამოიტანა თავისი ბაირალი, რომელსაც ეწერა ზედ „ეროვნება“.

რას შეიცავდა ეს „ეროვნება“?

პირველ ხანებში – მართლა საერო საქმე. ერის გაერთიანება, მის შიგნით ამართული ფეოდალური ზღუდეების დანგრევა, ადამიანის ყოველგვარ პირად დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება, – ერთი სიტყვით, ძველი ჯაჭვების სრული დამსხვრევა და ახალ, თავისუფალ ცხოვრების



დამკვიდრება, – აი რა იყო იმ დროს ბურჟუაზიისგან გამოცხადებულ ეროვნების შინაარსი. და მან მართლა მთელ ერს უწინამძღვრა, მის დროშის ქვეშ მართლა მთელმა ერმა მოიყარა თავი ძველ წყობილებასთან საბრძოლველათ.

მაგრამ, როდესაც გათავდა ყველა ეს, როდესაც მოისპო მთლათ ძველი ცხოვრება და ახალი გზა გაიკაფა, იცვალა ფერი ბურჟუაზიამ და მის ეროვნულ იდეას სხვა შინაარსი მიეცა. ახლა მთელ ერს ბურჟუაზიასთან საერთო მტერი და, მამასადამე, მასთან საერთო საქმეც გაუქრა. ერი, ეკონომიურათ დაყოფილი, რასაკვირველია, ინტერესებითაც დაიყო. მშრომელთა მონობა ახალს საზოგადოებაშიაც დარჩა, მხოლოდ ის, რაც წინათ იურიდიულათ იყო განმტკიცებული, ახლა „თავისუფალ“ ეკონომიკურ დამოკიდებულებათ შეიცვალა. წინათ თუ გლეხი და ფეოდალი იდგა ერთმანეთის პირდაპირ, ახლა მუშა და ბურჟუა დაუპირისპირდა ერთიმეორეს. ახალი ცხოვრების ვითარება საშინელი სისწრაფით თხრიდა ორმოს მათ შორის, აღარიბებდა ისედაც ღარიბს, ამდიდრებდა ისედაც მდიდარს, ამრავლებდა უმისოთაც მრავალ უსაკუთრო პროლეტართა რიცხვს, ამცირებდა უმისოთაც მცირე მესაკუთრე-ბურჟუათა ჯგუფს. ამის შემდეგ – შეურიგებელი ბრძოლა ამ ორ ჯგუფს შორის. პროგრესის დროშა ბურჟუაზიის ხელიდან მის მოპირდაპირეს ხელში გადადის. მაგრამ ბურჟუაზია, რომელმაც ცხოვრებაში ძველი „მამების“ ადგილი დაიკავა, ითვისებს გაბატონებულ ჯგუფის პსიხოლოგიასაც და თავისი ახლი განკერძოვებული ინტერესი ისევ საერო საქმეთ გამოაქვს, თავისი კლასობრივი მისწრაფება ეროვნებით, და ამნაირათ აქაც ხალხის წინაღმდეგ მიმართული პრინციპი ხალხის სახელით ინათლება.

ახლა ვიკითხოთ, რათ გახდა ბურჟუაზია პირველ ხანებში მთელი ერის მეთაურათ, მთელი ცხოვრების ამალორძინებელ ძალათ, ეროვნულ დროშის ხელში დამჭერათ? და თუ ეს ასე მოხდა ევროპაში, ჩვენ კი ევროპის გზას დავდექით, ჩვენი ეროვნული აღორძინებაც ამნაირათვე არ უნდა მოხდეს, ჩვენშიაც ასეთსავე ხელში არ უნდა გადავიდეს ჯერჯერობით ეროვნული დროშა?

ჩვენი „ნაციონალისტები“ გვეუბნებიან, დაიხ ეს აუცილებელი იყო ევროპისათვის, და აუცილებელია ჩვენთვისაც, თუ ეროვნული სიცოცხლე გვინდაო.

ვნახოთ მართალია ეს, თუ არა.

რასაკვირველია, ის, რაც ევროპაში მოხდა, არ იყო უბრალო შემთხვევის ბრალი. ევროპაში ყოველი ერის ბურჟუაზია ამყარებდა თავის ქვე-

ყანაში ახალ წარმოებას, რომელიც ითხოვდა პიროვნების განთავისუფლებას ფეოდალურ უღლიდან – ამიტომ ევროპაში ეროვნული ბურჟუაზია ფეოდალიზმის დამანგრეველი შეიქმნა. ევროპაში ყოველი ერის ბურჟუაზია უდგას სათავეში ახლათ აღორძინებულ ვაჭრობას და მრეწველობას, რომლებიც აერთიანებდნენ შრომის დანაწილებით და მისვლა-მოსვლის გაზშირებით ერის სხვადასხვა კუთხეებს – ამიტომ იქ ეროვნული ბურჟუაზია ერის გაერთიანების შემქმნელი და მოთავე გახდა. ევროპაში ყოველი ერის ბურჟუაზია დანარჩენ კლასებზე ადრე ითვისებდა ახალ განათლებას, რადგანაც ამისათვის სხვებზე მეტი დროც და შეძლებაც ქონდა, – ამიტომ იქ ბურჟუაზია შეიქმნა – ეროვნულ კულტურის ლამპრათ.

და რა გასაკვირალია, რომ ერის მეზობრალეთ, ეს ყველაზე უფრო დაინტერესებული ეროვნულ აღორძინებაში, მატერიალური პირობებით წინ წამოყენებული და სხვებზე უფრო შეგნებული კლასი გამოვიდა?

ჩვენი ქვეყნის ცხოვრება კი, თუმცა ამავ მიმართულებას დაადგა, მაგრამ სხვა ძალების საშუალებით ამუშავდა და ეროვნულ აღორძინებას სხვა მეთაურობით შეუდგა.

ჩვენი ქვეყნის პატარა ნავი ისტორიულმა მსვლელობამ სხვა უფრო დაწინაურებულ ქვეყნის დიდ გემს მიაბა, ისე რომ ძველი საზოგადოებრივ წეს-წყობილების ბოლომომღებ ძალათ გაჩნდა გარეგანი ძალა. გლეხების განთავისუფლება უცხო ერის და არა ჩვენი ბურჟუაზიის საქმე იყო. მართალია, ეს რომ სხვას არ ექნა, ამასვე ადრე თუ გვიან ჩვენი ბურჟუაზია მოახდენდა, მაგრამ ჩვენ იმაზე კი არ ვლაპარაკობთ, რაც მოხდებოდა, არამედ იმაზე, რაც მოხდა. ესევე ითქმის ერის სხვადასხვა კუთხეების ერთმანეთთან დაკავშირებაზე რკინის გზით, ხიდებით, ფოსტით და ტელეგრაფით.

მეორე მხრით ახლათ აღორძინებული ვაჭრობა და მრეწველობა, რომლებმაც აამუშავა ჩვენი ქვეყნის დადუმებული ძარღვები, უცხო ტომის ბურჟუაზიის, განსაკუთრებით სომხების ხელში იმყოფებოდა და უმთავრესათ ახლაც იმყოფება. ამგვარათ შეიქმნა მატერიალური პირობები ჩვენი ეროვნული ცხოვრებისათვის, და შეიქმნა არა ჩვენი ბურჟუაზიის ხელით. იშვა ჩვენშიაც ეროვნული იდეა, მაგრამ მან სრულებით სხვა კლასი ნახათავის დამცველათ, ცხოვრებაში შემტანათ, ვიდრე ევროპაში. თუ ახალ საზოგადოებრივ წყობილებას ვერ შეუდგა მხარში ჩვენი ბურჟუაზია, კაპიტალის წარმომადგენელი, სამაგიეროდ ჩვენი მშრომელი ერი, შრომის წარმომადგენელი გამოიყვანა ასპარეზზე ახალმა ვითარებამ, უკვე შეძენილი აქვს. ჩვენს ბურჟუაზიას ცხოვრებამ წინ გაასწრო. მართალია, ჯერ

ფეოდალური ცხოვრების ნგრევის საქმე, რომელიც ევროპის ბურჟუაზიამ იტვირთა თავის ქვეყანაში, გათავებული არ არის ჩვენში, ბევრი ძველი დროის დანატოვარი აფერხებს თანამედროვე ჩვენს ცხოვრებას, მაგრამ ამ საქმის მოთავეობა ჩვენში სულ სხვა საზოგადოებრივმა ჯგუფმა იტვირთა. ერთი სიტყვით, იმ პროგრესიულ როლს, რომელიც ევროპაში ეროვნულმა ბურჟუაზიამ შეასრულა, ჩვენში ჯერ უცხო ერის ბურჟუაზია ასრულებდა, შემდეგ კი ჩვენი ერის სულ სხვა ჯგუფმა მოკიდა ხელი. ეს უკანასკნელი შეიქმნა ეროვნების ერთათ ერთი მატარებელი, იმ ეროვნების, რომელიც ცხოვრების განახლებაში მდგომარეობს და მშობელ ენაზე ხალხში ახალი განათლების შეტანაში.

რამდენადაც ჩვენი ახლათ დაბადებული ბურჟუაზია ამ საქმეს ემსახურება, ამდენათ ისიც ეროვნულია, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. რამდენათაც ის ამ ჯგუფის ჰეგემონიას სცილდება და მხოლოდ საკუთარ გამაგრებაზე და გაძლიერებაზე ფიქრობს, იმდენათ ის „ეროვნულია“ ამ სიტყვის ბურჟუაზიული მნიშვნელობით.

ახლა ჩვენ ვიცით, რა სახის ეროვნებაა ის ეროვნება, რომელსაც ხალხის სამსახურს უპირისპირებენ. მისი ერთათ ერთი შინაარსი არის ბურჟუაზიის კლასობრივი მისწრაფება, მისი ხალხზე გაბატონება, ერთი სიტყვით ყველა ის კონსერვატიული მხარე, რომელიც ბურჟუაზიულ წყობას აქვს შეთვისებული დღეს და რომელიც ჯაჭვით აქვს შემორტყმული ხალხის ცხოვრებას.

ამიტომ არის, რომ ეს ეროვნება სხვა ეროვნების დედანში იხატება, ამიტომ სცდილობენ ჩვენი ბურჟუაზიის ნაციონალისტები სომხებთან „ეროვნულ საერთო ნიადაგზე“ ბრძოლის გამართვას. ცალი მხრით მათ სურთ თავის ძლიერ კონკურენტისათვის ბაზრის წართმევა და ეს კი მაშინ უფრო მოსახერხებელია, როდესაც საერთო საქმეთ გამოცხადდება: მეორე მხრით ორ ხალხს შორის ეროვნული შუღლის ჩამოგდებათ მათ სურთ ამ ორი ერის მშრომელ ნაწილთა ერთმანეთისგან დაშორება და დასუსტება, რომ ამით ქართველ ბურჟუაზიას მათგან სისხლის წოვა გაუადვილდეს. ამიტომ არის, რომ ერის მოღალატეთ გამოყავთ მათ ისინი, ვინც ამ საქმეში მათ არ ეხმარება; ვინც სომხის ბურჟუაზიას იმავე ნიადაგზე ებრძვის, როგორც ქართველს, და სომხის ხალხთან კი მჭიდრო კავშირს იჭერს.....

-----

ჩვენ გავარჩიეთ ის, რაც დღეს ჩვენში „მაგულიშვილობის“ ან „ეროვნების სახელით გამოაქვთ და ვნახეთ, რომ პირველი არის ნაშთი წარსულის, მეორე ნაყოფი ახალი ცხოვრების, პირველის შინაარსი ფეოდალურია,

მეორესი ბურჟუაზიული, პირველი არის რეგრესული, უკან დამხვევი მოვლენა, მეორე – კონსერვატიული, წინ მსვლელობის შემფერხებელი, ერთის და მეორეს ნიადაგიც კლასობრივია, ერთიც და მეორეც მამულის, ნამდვილ ერის წინააღმდეგ არის მიმართული. და თუ მაინც ერთსაც და მეორესაც დღეს ჩვენში ბევრი მიმდევარი ყავთ, ეს ჯერ იმიტომ რომ, ბევრის აზროვნება ამ ორი კლასის პსიხოლოგიით არის შეღებილი, და მეორეთ იმიტომ, რომ დღევანდელი პატრიოტიზმი და ნაციონალიზმი არავის არაფერს ავალებს, რომ სამშობლოს დაკარგულ დიდებაზე ან ქართველ ბურჟუაზიის ეროვნულ დანიშნულებაზე ლაპარაკი, „მამულის“ სომხებისაგან დაცვაზე ან მათთან „ეროვნულ“ ბრძოლაზე ყვირილი ბევრათ უფრო ადვილია, ვიდრე ნამდვილი მამულიშვილობა, ე. ი ხალხის სამსახური .....

მაგრამ ამაზე, თუ დაგვცალდა, შემდეგ წერილში ვილაპარაკებთ.

წინა წერილებში (კვალი №14 და №15) ჩვენ გავარჩიეთ ორი მიმართულება, როგორც ჩვენში მამულიშვილობის და ეროვნობის სახით არის გამოსული, ჩვენ ვცდილობდით გავვერჩია ამ მიმართულებათა მთავარი ძარღვი და მხოლოდ გაკვრით შევეხეთ ქერქს, რომლითაც იმოსება საქვეყნოთ გამოსვლის დროს ერთიცა და მეორეც. მართალია, ხანდახან ასეთი მიმართულება პირდაპირ, დაუშალავათ გამოდის და თავის კლასობრივ შინაარსს ხელს აფარებს. ჩვენშიაც შეგიძლიათ, მაგ. გაიგონოთ – „ჩვენ გვსურს ეროვნობის განმტკიცება, ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ფულიანი კაცები გვეყოლება, ამიტომ დასჯერდენ ჩვენი მშრომელები ჩვენს ბურჟუებს ცოტა ქირასო“. აქ ბევრი დაკვირვება არ არის საჭირო, თქვენ მაშინვე მიხვდებით, რა გვარ ერთიანობასთან გვაქვს საქმე. „შევაჭამოთ ჩვენს ბურჟუას ჩვენი მშრომელი“ – აი ამ „ეროვნების“ შინაარსი.

მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს სულ სხვარიგათ მულანდება. აი მაგ., შეგხვდათ თქვენ კაცი, რომელიც გაცხარებით გეუბნებათ: „როგორ? ქართული ენა თქვენთვის მხოლოდ საშუალებაა ხალხის განსავითარებლათ? ქართული წიგნის კითხვა თქვენ მხოლოდ ცოდნის შესაძენათ გჭირდებათ? ეს ხომ შელახვაა მამულიშვილური გრძნობის, ეს შეურაცხყოფაა ქართული ენის. თქვენ ქართული ენა მხოლოდ იმიტომ უნდა იხმართო, რომ ის ქართული ენაა, ქართული წიგნი მხოლოდ იმიტომ უნდა იკითხოთ, რომ ის ქართული წიგნია“. რას უპასუხებთ თქვენ ამაზე? უთუოთ ხელს გაიქნევთ და იტყვიან: „ეს არც კლასობრივი მოძღვრებაა, არც სხვა ჯანდაბა, ეს უბრალო სისულელეაო“. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამას ერთი და ორი კი არ ამბობს,

არამედ მთელი საზოგადოებრივი მიმართულება, ნუ დაივიწყებთ, რომ ამ მცნების – „ენა ენისთვის“, „კულტურა კულტურისთვის“ – ერთი და ორი მწერალი კი არა, ჩვენი მწერლობის მთელი ნაწილი ემსახურება. მაშასადამე, ამ მიმართულებას სხვა საფუძველი უნდა ქონდეს, სხვა ახსნა უნდა მიეცეს. მიუბრუნდით თქვენს მოსაუბრეს და კითხეთ, რა პრაქტიკულ პროგრამით უნდა განხორციელდეს ეს ბუნდოვანი პრინციპი – „ქართველობა ქართველობისთვის“ – და მაშინ გაიგებთ, სად მარხია ძაღლის თავი. „პირველ ყოვლისა, გეტყვით ის, ჩვენ ქართველები ვართ და ერთობა უნდა გვქონდეს. რას გავს ჩვენი ცხოვრება? ხალხი მოწინააღმდეგე დასებათ დაიყო, ერთმანეთს ებრძვიან. ვეცადოთ, ეს წინააღმდეგობა მოისპოს, ყველას თავისი დარჩეს, ნუ გავაქრობთ ნურც ერთ წოდებას, ვინაიდან ის ქართველია. ქართველის ქართველთან ბრძოლა გვლუპავს ჩვენ“ – ეხლა ხომ გაიგებთ, რა ალაპარაკებს თქვენს მოსაუბრეს? ვთქვათ, მისი სურვილი ასრულდა, მისმა ქადაგებამ გავლენა იქონია, – ვინ დარჩება მაშინ მოგებული? ის, ვინც წინეთ მდიდარი და გაბატონებული იყო, თუ ღარიბი და დამონებული?

ამნაირათ, თუ პირველ მიმართულებების შინაარსი ჩვენ ასე გამოვთქვით: შევატამოთ ხალხი ბურჟუაზიასო, მეორეს შინაარსი ეს იქნება: „შევატამოთ ხალხი კეთილშობილსო“.

რასაკვირველია, ბევრი თვითონაც დაბრმავებულია კლასობრივი ფსიხოლოგიით. ბევრმა მათგანმა, ვინც „ერის“ და „მამულის“ სიყვარულზე ყვირის დღეს ჩვენში, თვითონაც არ იცის, რომ მის მოძღვრების ერთ-ერთი დაკვნა ეს არის, ბევრი ფიქრობს, ჩემი მოძღვრება მართლა მთელი მამულის და ერის სამსახურია, და არა ვიწრო კლასობრივი ინტერესებით, მაგრამ გულწრფელია თუ არა ამ მიმართულების მიმდევარი, ამით მისი შინაარსი არ იცვლება ....

როგორც დავინახეთ, ორივე ეს მოძღვრება უარმყოფელია თანამედროვე ცხოვრების. მათ მაგივრათ, მათ წინააღმდეგ იშვა და მომაგრდა ახალი მიმართულება, მოძღვრება მართლა მთელი მამულის, მართლა მთელი ერის ინტერესების გამომხატველი, მოძღვრება, თვით ცხოვრებისგან გამოთქმული და ამიტომ მკვიდრ ნიადაგზე დაყრდნობილი. ეს არის ხალხის სამსახური.

ჩვენ ნათქვამი გვქონდა, რომ დღეს ჩვენი ცხოვრებისაგან სწორეთ ის კითხვაა წამოყენებული, რომელიც მე-18 საუკუნეში საფრანგეთის ბურჟუაზიამ წამოაყენა. ეს კითხვა მდგომარეობს ფეოდალურ ურთიერთობის სრულს მოსპობაში და ადამიანის პირად დამოკიდებულებებისაგან განთა-

ვისუფლებლაში. ბატონ-ყმობის გაუქმებამ და ახალი წარმოების დამკვიდრებამ კიდევაც გამოიყვანა ჩვენი ქვეყანა ამ გზაზე. ორივე ეს გარეგანმა ძალამ მოახდინა. მაგრამ შემდეგ ამ განვითარებამ თვით შექმნა ჩვენს ერში ისეთი საზოგადოებრივი ძალა, რომლის არსებობა მჭიდროთ არის შეკავშირებული ცხოვრების განახლებასთან და რომელიც ამიტომ სათავეში ჩაუდგა განახლების საქმეს. რა ძალაა ეს ძალა? როგორ შეიქმნა იგი?

ჩვენს ქალაქებში ფეხი მოიდგა ახალმა წარმოებამ. წარმოების ახალმა განწყობილებამ მოითხოვა მრავალი მუშა ხელი. ქალაქმა მოიზიდა სოფლიდან მშრომელი. და აი იქიდან, სადაც თუმცა ბატონ-ყმობა მოისპო, მაგრამ მრავალ საუკუნობით განმტკიცებული ბატონ-ყმური აზროვნება ჯერ არ გამქრალა, სადაც მოშორებულია ყოველ კულტურულ სიცოცხლეს და მოძრაობას, სადაც ის სხვებისგან განცალკევებულია თვით შრომის წეს-რიგით, აი ასეთ პირობებიდან მშრომელი გადადის ახალ ცხოვრებით შექმნილ პირობებში, ქალაქის გამომფხიზლებელ ატმოსფეროში, სადაც ყოველ ფეხის გადადგმაზე კაცი კაცს ებრძვის უპირატესობისთვის. სადაც სდულს და მოძრაობს საზოგადოებრივი ცხოვრება, სადაც ის მუშაობის დროს გვერდით ხედავს ასს და ათასს თავის მსგავსს და ეჩვევა საერთო ინტერესების შეგნებას. მისი დადუმებული, სოფლის ცხოვრებით დაჩლუნგებული გონება იღვიძებს, ის თვით ჩარეულია საერთო შეჯახებაში და იწრთვნება ახალი ცხოვრებით. მასში იღვიძებს კლასობრივი შეგნება. ის ხედავს, რომ ყოველ ფეხის გადადგმაზე მას ელობება და სულს უხუთავს ის ნაშთები ძველი ფეოდალური ცხოვრებისა, რომელიც ჯერ კიდევ არ გამქრალა. ამიტომ ის ებრძვის ამ ნაშთებს, ხდება მათი მოსისხლე მტერი. მას, ახლა მოქალაქობრივ კულტურით განვითარებულს, შეაქვს ნელნელა იგივე კულტურა სოფელშიაც, რადგანაც მისი კავშირი სოფელთან სრულათ არ გაწყვეტილა.

ამგვარათ დღეს, როდესაც ჩვენ გვეუბნებიან, ვეცადოთ, რა მსხვერპლათაც უნდა დავვიჯდეს, გავამაგროთ ჩვენი ნორჩი ბურჟუაზია, რადგანაც ჩვენი ეროვნული ცხოვრების აღორძინება მხოლოდ ამით შეიძლებაო, – ჩვენ კიდევაც ვხედავთ მეორე კლასს, რომელიც უკვე გამაგრებული, შეგნებული და ცხოვრებაში გამოსული არის, და რომელიც მზათ არის თავი დადოს სწორეთ იმ ეროვნულ აღორძინებისათვის, რომლის შექმნას ბურჟუაზიის წყალობით გვპირდებიან, და რომელიც სხვაგან მართლა ბურჟუაზია შექმნა, – ე. ი. ფეოდალურ ჯაჭვების სრულ დამსხვრევის და პიროვნების განთავისუფლებისთვის.

ენის განვითარება, კულტურის გამდიდრება-ყველაფერი ეს მართო აქ,

ამ მოძრაობის დახმარებით შეიძლება მოხდეს. როდესაც ენა იარაღია განათლების, რომლის საჭიროება თვით ხალხმა შეიგნო, მაშინ მისი დაცვმა შეუძლებელია, ის ცხოვრებასთან ერთათ წინ მიდის და ვითარდება. ნუ მიაწვდნენ ხალხს მისთვის საჭირო ცოდნას ამ ენაზე, ის სულ ერთია, თავის მოთხოვნილებას სხვა რიგათ დაიკმაყოფილებს ბოლოს და ბოლოს, – ენა კი სწორეთ მაშინ დაადგება გადაგვარების და მოსპობის გზას. ამას ნუ დაივიწყებენ ისინი, ვინც ეტრფის „ენა ენისთვის“, და ხალხს კი, რომელიც ჩარეულია თანამედროვე ცხოვრებაში და თხოულობს სამშობლო ენაზე საჭირო იარაღს, ყურადღებას არ აქცევს. ნუ ივიწყებენ ისინი, ვინც „კულტურას კულტურისთვის“ ეტრფის, რომ ჩვენი კულტურულათ დაწინაურების ერთათ ერთი წყარო აქ, ამ მოძრაობაშია, რადგანაც ეს მოძრაობა მიმართულია სხვა, უფრო განვითარებულ ქვეყნების გონებრივ საუნჯისგან რაც შეიძლება მეტი სიმდიდრის ჩვენ ქვეყანაში გადმოსატანათ, დასამკვიდრებლათ და შესათვისებლათ. ამნაირათ მათ, ვინც გულწრფელათ მონდომებულია ჩვენს ცხოვრებაში, იმ პროგრესიული წყობილების დამკვიდრებისათვის, რომელსაც სხვა ქვეყნებში „ეროვნული აღორძინება“ ერქვა, ვინც მართლა ენის და კულტურის განვითარებაზე ზრუნავს, – ჩვენ ვიწვევთ ხალხის სამსახურისკენ, რადგანაც ჩვენი ქვეყნის განვითარების თავისებურ პირობების გამო ჩვენში მშრომელთა კლასი, და არა სხვა რომელიმე, გამოვიდა დღეს ახალი ცხოვრების მეთაურათ და ამ საკითხის გადასაწყვეტათ. რასაკვირველია, ეს კლასიც, როგორც ყოველი სხვა, თავის შემოქმედებაში ხელმძღვანელობს მხოლოდ და მხოლოდ თავის კლასობრივ ინტერესებით, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ დღეს ამ კლასის ინტერესი, როგორც ერთ დროს საფრანგეთის ბურჟუაზიის ინტერესები, ეთანხმება საზოგადო ინტერესებს, ეთანხმება მაგ., თავისუფალ პროფესიათ წარმომადგენელთ, წვრილ, საშუალო და მსხვილ ბურჟუაზიის ინტერესებს, რამდენათაც ეს უკანასკნელები ეწინააღმდეგებიან ფეოდალურ წყობილების ნაშთებს. და როგორც ერთ დროს საფრანგეთის ბურჟუაზია, დღეს ეს კლასიც – სხვაზე უფრო შეგნებული, მომზადებული, გამაგრებული, – ჰეგემონიას კისრულობს საერთო პროგრესიულ მოძრაობაში, და მის გვერდით თავს იყრის და გროვდება ყველა სხვა მოწინავე ჯგუფები.

რასაკვირველია, როდესაც ეს, დღევანდელი ცხოვრებით წამოყენებული კითხვა გადაწყდება, მაშინ მას მოშორდება ბევრი ახლანდელი თანამშრომელი. მაშინ ის მარტო წავა წინ და თან მიჰყვება ყველას ის, ვისთვისაც შრომის ინტერესი არის ერთათ ერთი ქვაკუთხედი აზროვნების და

მოქმედებისთვის. დღეს კი ის მეთაურობს „ეროვნულ აღორძინებას“ ეს მისი პირველი ბიჯია. რაც უფრო გაძლიერდება ის, რაც უფრო განვითარდება მასში ღრმად და ფართოდ კლასობრივი შეგნება, – მით უფრო ახლო იქნება ეს აღორძინება. მით უფრო წინ წასდგამს ფეხს ჩვენი ცხოვრება.

და ეს ჩვენი ეროვნული აღორძინება სრულებითაც არ ეწინააღმდეგება სხვა ტომის ხალხის ინტერესს. ეს წინააღმდეგობა, როგორც წინათ დავინახეთ, მოგონილია ორი სხვა კლასის კერძო ინტერესების დასაცველათ, იმ ინტერესების, რომელიც ელობება წინ ჩვენი ცხოვრების განვითარებასაც და ჩვენი ერის უმრავლესობის ინტერესებსაც. პირიქით ჩვენი ხალხისთვის სასარგებლოა და აუცილებლათ საჭიროა ძმური კავშირი სხვა ტომთა ხალხთან, რომ მათ შეერთებული ძალით უკეთ დაიცვან თავი როგორც თავისი ტომის, აგრეთვე სხვა ტომის გაბატონებულ კლასების ექსპულატაციისაგან და უკეთ შეებრძოლონ საერთო მტერს.

---

ამგვართ, ჩვენ შევადარეთ ერთმანეთს სამი მიმართულება – <მამულიშვილობა>, <ეროვნობა> და <ხალხის სამსახური>. ჩვენ ვნახეთ, რა ნიშანდებია ისინი ამოსული. სამივე არის კლასობრივი მოძღვრება იმ მხრით, რომ სამივე გამოხატავს სხვადასხვა ეკონომიურ ჯგუფთა, კლასების ინტერესებს. მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ მათ ერთნაირი მნიშვნელობა არა აქვთ. ჩვენი ცხოვრების მატერიალურ პირობების და საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებების გამო პირველი ორი მოძღვრება აფერხებს პროგრესს, ეწინააღმდეგება საზოგადო ინტერესებს, ვერ პოვებს თანამედროვე ცხოვრების მიმდინარეობაში მკვიდრ საფუძველს მაშინ, როდესაც მესამე ერთიანათ აშენებულია ერის დიდი უმრავლესობის ინტერესებზე, მოასწავებს ცხოვრების შეუჩერებელ წინსვლას და განახლებას, და მაგრათ აქვს დღეს ჩვენში გადადგმული მოზარდი და ცოცხალი ფესვები.

ვისაც რა მოძღვრება სურს, მას მიეკედლება. მაგრამ იმას კი ნუ დაივიწყებს, რომ მესამეში, მხოლოდ მესამეშია შეერთებული და გამოხატული მთელი ჩვენი მამულის, მთელი ჩვენი ერის, მთელი ჩვენი კულტურის ინტერესი, და რომ ამ ინტერესთა სამსახურით, ესე იგი მშრომელ ხალხში შეგნების და თვითცნობიერების განვითარებით, მას შეუძლია ემსახუროს პროგრესის საქმეს და დააჩქაროს ის, რაც ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენს....

ირაკლი-კაკი წერეთელი „მამულიშვილობა, ეროვნება თუ ხალხის სამსახური“, „კვალი“ 1903 წ. 03-06. 04-29. 06;







---

## ნოე ჟორდანია

ნოე ჟორდანია (1868-1954) – სოციალ-დემოკრატი, რუსეთის იმპერიის მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი, პუბლიცისტი. იმპერიული დუმის პირველი მოწვევის დეპუტატი, სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის ლიდერი. 1917 წელს, საქართველოს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე. 1918 წელს, საქართველოს ეროვნული ყრილობის თავმჯდომარე. ჟორდანია იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე 1918 წლის 24 ივლისიდან 1921 წლის 18 მარტამდე, გადასახლებული მთავრობის თავმჯდომარე — 1954 წლამდე.

## ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი

### I

იშვიათია ისეთი ერი, სადაც ნაციონალურ მიმდინარეობას დიდი გავალაი არ ქონდეს. ნაციონალიზმის მაგარი ბუდე, განსაკუთრებით დამორჩილებული, სხვის უღელ ქვეშ მყოფი ერებია. საკმარისია გავისენოთ პოლონელები, რომელთაც თითქმის სავსებით დაპატრონებია შოვინისტური ნაციონალურ-დემოკრატიული პარტია, და ჩვენი მეზობლები სომხები, რომლებიც დაშნაკუცუტუნის ბატონობისგან ჯერაც ვერ გამოსულან.

სულ სხვაა ჩვენში. არც ერთ ხალხს ისე ნაკლებათ არ აინტერესებს ნაციონალური კითხვა, როგორათაც ქართველ ხალხს. არსად ისე სუსტი და გავლენას მოკლებული ნაციონალისტური პარტიები არ არიან, როგორც არიან ჩვენში. ჩვენმა ინტელიგენციამ დიდი შრომა გასწია, დიდი ენერჯია დახარჯა იმისთვის, რომ რაიმე გზით მას მიეგნო ხალხის გულისათვის და შივ ნაციონალიზმი დაესადგურებია. მესამოცე წლების მოღვაწეები ამ მიზნით ნაციონალურ კითხვას აერთებენ მაშინდელ სოციალურ კითხვასთან. მათ თავის დროშას დააწერეს: ბატონ-ყმობის მოსპობა და ნაციონალური თვით არსებობა. ხალხმა სიამოვნებით მიიღო პირველი, მაგრამ მეორეს სანახევროთ ფრთა შეაკვეცა. რამდენათაც ეს შეიცავდა საჭიროებას ქართული სკოლისას, ქართული მწიგნობრობისას, თეატრისას და სხვა ასეთი კულტურულ დაწესებულებისას – ამის წინააღმდეგი ხალხი არ ყოფილა, პირიქით, ყველა ეს მისი ცხოვრების მიუცილებელი მოთხოვნილება და იმავე დროს მისი განვითარების იარაღია. მაშასადამე თავის, ნაციონალურ ენაზე კულტურის შექმნა და ამ ნიადაგზე თავის მერმისის აგება – წინმსვლელობის აუცილებელი გზაა, მაგრამ რამდენათ ძველ მოღვაწეთა ნაციონალური დროშა ამ ფარგლიდან გამოდიოდა და მას ნაციონალისტურ პოლიტიკას უმატებდა, ე.ი. ინტერნაციონალისტურ პოლიტიკურ პარტიათ ხდებოდა, იმდენათ ის ნიადაგს ვერ პოულობდა და „ხმად მღალადებლისათ“ რჩებოდა. ანტი-რუსული და ანტი-სომხური მიმდინარეობა ჩვენში ყოველთვის ინტელიგენციის გამოგონება იყო და ამიტომ არასოდეს, ინტელიგენციას არ გაშორებია. მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეურიგდა-ნაციონალური მოძრაობა არა ერთხელ ყოფილა, მაგრამ ყოველთვის ეს იყო მოძრაობა ან თავად-აზნაურობის, ან ინტელიგენციის, არასოდეს ხალხის. კახეთის არეულობა გასული საუკუნის დასაწყისში, შეთქმულება

მეოცდაათე წლებში (დოდაევი და ამხ.) იყო საქმე თავად-აზნაურობის და მისი მაშინდელი განათლებული შვილების. შემდეგ მოწინავე წოდება შეურიგდა რუსეთის შემოსვლას, ვერ შეურიგდა მხოლოდ ინტელიგენცია, რომელიც მუდამ „საქართველოს განთავისუფლებაზე“ ოცნებობდა. ამ მიზნით მას არა ერთი და ორი პროგრამა შეუდგენია, არა ერთი და ორი პლანები გამოუმუშავებია, მაგრამ ყველა ეს უქმი კაცის უქმ ნაყოფს უფრო გავდა, ვინემ სინამდვილის რაიმე მიმდინარეობას. მეორე მხრივ, ყველას ახსოვს ის დაუსრულებელი გალაშქრება სომხების წინააღმდეგ, რომელიც ველიჩკოს მეთაურობით დაიწყო ჩვენმა მოღვაწეებმა. არა ერთი და ორი ინტელიგენტი აუცრემლებია „ქვათა ლაღადს“ და სხვა ასეთ ნაყოფს ანტი-სომხური კომპანიისას და მიუხედავად ამოდენა მუშაობისა, აურ-ზაური-სა ხალხის გული მას ოდნავათაც კი ვერ შეუნძრევია და ინტელიგენციის დროშისაკენ ვერ მიუბრუნებია. ქართველი ხალხის მოძრაობა პირველათ დაიწყო ამ საუკუნის დასაწყისში და დაიწყო სწორეთ წინააღმდეგ ჩვენი ინტელიგენციის იდეალებისა. ამითი ამდენი ხნის მუშაობამ მუქათა ჩაი-არა. მისი ნაციონალური დროშა ხალხმა ერთი დაკვრით უარყო და მის ალაგას ააფრიალა ინტერნაციონალური დროშა.

ამგვართ, ქართველი ხალხის გაღვიძება ნაციონალიზმის დროშის ქვეშ ვერ მოხდა. საჭირო იყო ამ გარემოებისთვის ანგარიშის გაწევა, მისი ასე თუ ისე ცნობა და ნაციონალიზმის ახალ ქერქში გახვევა. ეს იტვირთა ამ 5-6 წლის წინათ ჩვენმა ახალმა ინტელიგენციამ. პირველად ის გამოვიდა დემოკრატთა, შემდეგ სოციალისტ-ავტონომისტთა და ბოლოს სოც. -ფედერალისტთა. ამდენი მიხვევ-მოხვევა, მიმართულების ამდენი კვლევა ძიება გამოიწვია ერთმა მთავარმა კითხვამ: რა გზით არის შესაძლებელი ხალხის განაციონალისტება. როცა ხალხმა დემოკრატიული ნაციონალიზმი უარყო, მას წარუდგინეს სოციალისტური ნაციონალიზმი ეს მაინც მიირთვითო, და როდესაც არც ეს მიიღო – ეს უარყოფილი სოციალისტები გაკვირდნენ, ჩვენც ხომ სოცილისტები ვართ, სოციალდემოკრატიაზე თითქმის უკეთესი, (მიწას, და ამასაც ყველას, დღესაც ვაძლევთო) მაშ, ხომ არ გავიჟებულა ხალხი, განსაკუთრებით გლეხობა, „გამაპროლეტარებელ“ პარტიას, რომ აყოლია და ჩვენ ზურგს გვაქცევსო. ამათ ეს ვერ გაიგეს და ჯავრი სოციალდემოკრატიაზე იყარეს – ყველაფერი მისი ბრალია, დაჰკარით მაგასო. მიზეზი კი აქაც იგივეა, რაც წინათ იყო: ჩვენი ხალხი ნაციონალიზმს დღესაც ისე უარყოფს, როგორც წინათ, და რა მშვენიერი ხონჩითაც უნდა მიაწოდო – ის მას ხონჩიანა შორს აგდებს. საქართველოს ავტონომი-

აში ხალხმა დაინახა იგივე ანტირუსული და ანტისომხური მიმდინარეობა, რომელიც წინათ იყო ჩვენში და რაც მან კახიანია დაგმო. ნაციონალური შკოლა, ნაციონალური თეატრი და სხვა. მას დღესაც ისე უნდა, როგორც წინათ, ქართულ მწიგნობრობას და კულტურას დღეს უფრო ესწრაფვის. მაგრამ ნაციონალურ პოლიტიკას დღესაც ისე უარყოფს, როგორც წინათ. ის თავიდანვე ამ გზას ადგა და აქედან დღესაც არ უხვევს. ეს ქართველი ხალხის ისტორიული გზაა, რითაც ის განსხვავდება სხვა კულტურის ერებისგან. ამიტომ როცა ქართველი სოციალდემოკრატია თავისი ერისთვის თხოულობს კულტურულ ავტონომიას და არა პოლიტიკურს – ამით ის ხატავს ცხოვრების ღრმა მიმდინარეობას, ამით ის წვდება ხალხის გულის ნადებს და მას თავის პროგრამაში შეუმცდარათ აღბეჭდავს.

როგორც ხედავთ, საქართველოს პოლიტიკური ავტონომია, რაშიც იხატება ჩვენი ინტელიგენციის მთელი ნაციონალიზმი, არსებითათ იგივე მოთხოვნილებაა, რომელიც კახეთის აჯანყებულ თავად-აზნაურობამ 1802 წ. წამოაყენა. განსხვავება იმაშია, რომ მაშინ თხოულობდნენ მეფეს სრულიად რუსეთისას და შემდეგ მეფეს საქართველოსას; ახლა პარლამენტს რუსეთისას და პარლამენტს საქართველოსას; მხოლოდ პოლიტიკო-ნაციონალური შინაარსი კი ერთია. მაშასადამე, ეს დროშა სხვადასხვა ფორმით და სახელით უცვლელი რჩება მთელი საუკუნის გამავლობაში. ასეთივე უცვლელი რჩება ჩვენი ხალხის დამოკიდებულება ამ დროშასთან: ის მას, ყოველთვის სხვადასხვა ფორმით და სახელით უარყოფდა, ეს დროშა არასოდეს ყოფილა მისი დროშა.

შეიძლება ეს სასიამოვნო არ იყოს, შეიძლება ეს გაკიცხონ, ამან ააშფოთოს ბევრი, მაგრამ ეს ასეა, ეს ფაქტია, მაშასადამე მისი ცნობა და მისთვის ანგარიშის გაწევა აუცილებელია. ამას ვერ დაარღვევს ვერც გულზე ხელის ცემა, ვერც ლანძღვა-გინება, ვერც უიმედობა და სასოწარკვეთილება.

რა არის ამ საყურადღებო მოვლენის მიზეზი? აი დიდი კითხვა, ამის ახსნა ჩვენი ძირითადი მიმდინარეობის ახსნაა, მთელი ჩვენი აწმყოს და წარსულის სინათლეში გამოტანაა.

როგორ ხსნიან ამას ფედერალისტები? ესენი ჩვეულებრივად მთელ ბრალს სოციალდემოკრატისა სდებენ. „ისარი“ სწერს: „ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა კი ( ს. დ. ) ისეთი იდეალები მოახვია კისერზე (ხალხს), რანაირიც ჩვენი ხალხის მდგომარეობისა და საჭიროებიდან ორგანიულად არ გამომდინარეობდა.“ „სოციალდემოკრატების დამახინჯებულ ფსიხიკას კიდევ ზედ დაერთო ბუნებრივი უნიჭობა ამ პირებისა, რომელითაც თავს

იდევს საზოგადოებრივი ცხოვრების მესვეურება. მათ რომ ისტორიული ალლო ჰქონოდათ, მათ რომ ღრმათ შეესწავლათ ჩვენი ცხოვრება... “ და სხვა და სხვა ასეთი ფედერალისტური ჰანგები. (№10, წერილი არ. ვ. -შვილისა) აი, პასუხი! ნუთუ ასეთი მოაზრე მწერალი არ გეჩვენებათ ქონდრის კაცად, როცა დიდი კითხვის გადაჭრას სხვისი ლანძღვით და თავის ქებით ცდილობს? მას რომ მართლა ჰქონდეს „ისტორიული ალლო“ და „შესწავლილი ჩვენი ცხოვრება“, ეცოდინებოდა, რომ ქართველი ხალხი არ ითვისებდა ნაციონალიზმს ჯერ კიდევ მაშინ, როცა სოც. დემოკრატიის ხსენებაც კი არ ყოფილა, რომ სწორედ ეს თვისებაა ქართველობის დამახასიათებელი და, მაშასადამე სოც. დემოკრატიას მისთვის თავზე არაფერი არ მოუხვევია. თუ კი ასე ადვილია ხალხისთვის უცხო ამრის „თავზე მოხვევა“, რატომ ასი წლის განმავლობაში მას ნაციონალიზმი ვერ „მოახვიეს თავზე“? ან სად ნახეთ ისეთი ხალხი, რომელიც სხვის ჭკუაზე დადის? ეგ მოხელეთა ფილოსოფიაა და არა პუბლიცისტების; განა ბიუროკრატები არ ამბობდნენ, რომ ხალხს არანაირი რევოლუცია არ სურს, მარა მას რევოლუციონერები ძალათ ახვევენ თავზეო? აი, რა „ბუნებრივი ნიჭით“ არიან აღჭურვილნი ის ადამიანები, რომელნიც საქართველოს ბედ-იღბალის გარდაწყვეტას ცდილობენ!

მაშ, კიდევ ვიკითხოთ: რითი აიხსნება ქართველი ხალხის მიერ ნაციონალიზმის ასე დაჟინებით უარის ყოფა?

## II

რაკი ქართველი ხალხი თავის ნაციონალიზმს ასე დაჟინებით უარყოფს, ხან პასიურათ და ხან აქტიურათ, და ეს გრძელდება მთელი საუკუნის განმავლობაში – ცხადია, ამის მიზეზი უნდა მოინახოს მისი ცხოვრების განსაკუთრებით პირობებში. ისტორიული მოვლენის ახსნა უნდა ვეძიოთ ისტორიაშივე.

თანამედროვე ნაცია ღვიძლი შვილია კაპიტალისტური წარმოების და აღებ-მიცემობის. ფეოდალურ ხანაში თითოეული ერი დანაწილებულია რამოდენიმე ერთიმეორის მოქიშპე ნაწილებათ და, მაშასადამე აქ არც კი შეიძლება იყოს ერთი ერი, ერთი ჭირით და ლხინით გარემოცული. ამ ხანაში ნაცია, ნაციონალური იდეაც კი არ არსებობს. მას შემდეგ რაც ერი თავს აღწევს ასეთ ყოფას და დგება სამოქალაქო განვითარების გზაზე, ის თანდათან ძლიერდება, ნაციონალურ ერთობას და ერთ პოლიტიკურ ცხოვრებას ეჩვევა და ამ გზით ხდება თანამედროვე კულტურულ ნაციად

და, აი როცა ასეთი ერთი კარგავს დამოუკიდებლობას და, მას იმორჩილებს მასზე უფრო დაბალი კულტურის ერთი – ეს მისთვის, ყველა მისი ნაწილები-სათვის დიდად საგრძნობელი და სატკივარია. ასე შესაძებელია ნაციონალურ დროშამ მთელი ერთი შეაერთოს და გაბატონებულ უცხო ერს შეაბრძოლოს. ავიღოთ მაგალითად პოლშა. ჯერ კიდევ რუსეთთან შეერთებამდე მას ჰქონდა თავისი სამოქალაქო ცხოვრება, საკუთარი ვაჭრობა და აღებ-მიცემობა, ასე გასინჯეთ. მას ქონდა პოლიტიკური თავისუფლებაც კი ერთი სიტყვით, აქ უკვე განვითარდა ნაციონალური კულტურა მთელი შედეგებით და აი, ასეთი მაღალი ერთი დაიმორჩილა ჩამორჩენილმა რუსებმა.

მოხდა ორი – მაღალი და დაბალი კულტურის შეჯახება და რაღა გასაკვირალია, პირველის მატარებელთათვის ეს მეტათ სამძიმო და აუტანელიც გამხდარიყო. აქედან დაიბადა პოლშის მუდმივი ლტოლვილება საშობლოს თავისუფლებისაკენ. ამით აიხსნება მისი უკმაყოფილება იმ პოლიტიკური ავტონომიითაც კი, რომელიც მას ქონდა მინიჭებული გასული საუკუნის პირველ ნახევარში, და რაც თავისი ამბოხებებით დაჰკარგა. მართალია, მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთიც დიდად განვითარდა, მაგრამ ამავე დროს პოლშაც წინ მიდიოდა და ასე მუდამ რუსეთს წინ უსწრებდა, მიუხედავად ამისა, რუსეთის განვითარებამ დიდი გავლენა მოახდინა პოლონელებზე; თუ ისინი წინეთ პოლიტიკურ ავტონომიასაც არ სჯერდებოდნენ, დღეს მხოლოდ ამას თხოულობენ და სრულ დამოუკიდებლობაზე ძველებურათ აღარ ოცნებობენ. წინეთ პოლშის სოც. პარტია იმ აზრის იყო, რომ „უკულტურო“ რუსეთის პოლიტიკური განახლება უფრო ძნელია, ვინემ პოლშის გათავისუფლება, ამიტომ მისი პროგრამის პირველი მუხლი თხოულობდა „დამოუკიდებელ პოლშის რესპუბლიკას“. მარა როგორც კი დაიწყო რუსეთის რევოლუცია, და პოლონელი სოციალისტები დარწმუნდნენ – რუსეთი არც ისე უკულტუროა, როგორც მათ ეგონათ, პარტიაში, მოხდა განხეთქილება, უმრავლესობამ თავი დაანება ნაციონალურ პროგრამას, დაუახლოვდა სოც. დემოკრატიას, ხოლო გამოყოფილი უმცირესობა თანდათან მიიღტვის წმინდა ნაციონალისტებისაკენ.

ერთი სიტყვით, როცა ერთი ჰკარგავს დამოუკიდებლობას, შემდეგ მისი კაპიტალისტურ ასპარეზზე გამოსვლისა, და სამოქალაქო ცხოვრების აღორძინებას – მასში უკვე მზათ არის ნიადაგი ნაციონალიზმის, ნაციონალური მოძრაობის განვითარებისა.

თითქმის იმ დროს, როცა პოლონეთმა დაჰკარგა დამოუკიდებლობა, დაჰკარგა დამოუკიდებლობა საქართველომაც.



წარმოადგენდა მაშინ ქართველობა ერთ ეროვნებას, ერთ სამოქალაქო სარბიელზე გამოსულ ნაციას? ჩვენ გადაჭრით ვამბობთ – არა, არ წარმოადგენდა.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართველი ხალხი იმყოფებოდა ფეოდალურ ხანაში, ის დანაწილებული იყო რამდენიმე სამეფოთ და სამთავროებათ, რომელთა შორის გაუთავებელი შუღლი და ბრძოლა იყო. მრეწველობა სრულიად არ ყოფილა, ვაჭრობა, ისიც მცირე, სხვა ერთა ხელში იყო, ქალაქი ამ სახელის თანამედროვე მნიშვნელობით მხოლოდ თფილისი იყო. აი, რას სწერდა 1810 წ. საქართველოს მთავარმართებელი სამინისტროს:

„საქართველოში (ე. ი. ქართლ-კახეთში) არ არის ფაბრიკა, რომელსაც შეეძლოს მხარის და მეზობლისათვის თავისი ნაწარმოების შეძლევა, ამ ქვეყნის უმთავრესი ნაწარმოები – პური და ღვინო – სრულიად არ ესაჭიროება მეზობელ ხალხებს“ და სხ.

რაც შეეხება იმერეთს – აქ ხომ არა თუ მრეწველობა, ქალაქიც კი არ ყოფილა. ერთად ერთი ქალაქი ქუთაისი უფრო სოფელს წააგავდა, ვინემ ქალაქს. ხოლო ზღვის პირის ქალაქები (ფოთი, ბათომი) თათრების ხელში იყო.

მეორე მხრით, ნაციონალური შეგნება ამ დროის გაბატონებული კლასებისათვის სრულიად მიუწვდომელია. როცა კახეთი აუჯანყდა რუსებს – ქართლი გაჩუმებული იყო, ხოლო მისი თავად-აზნაურობა და თფილისის მოქალაქენი რუსეთთან ერთად კახელთ ამშვიდებდა. 1806 წ. დადიანი სწერდა მთავარმართებელს: ახლა საუკეთესო დროა, რომ თქვენ იმერეთი დაიპყროთ; ასეთი სურვილი ჩვენ საიდუმლოთ გადმოგვცეს პეტერბურგში, რისთვისაც ჩვენ სამინისტროს საიდუმლოთ მივართვით ქალაქი – თუ როგორ ადვილათ შეიძლება იმერეთის ტახტის იმპერიისთვის დაპყრობა. ამ პლანს თქვენც გწერთ“, და სხ. (სამაგიეროთ თხოულობს ორ სოფელს, რომელიც იმერეთს ეკუთვნოდა). სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი საიდუმლოთ სწერდა მთავარმართებელს: მომეცით ერთი პოლკი და მთელ იმერეთს დავიპყრობო. როცა იმერეთის მეფე სოლომონის დაჭერას შეუდგენ – რუსის ჯარს ეხმარებოდა ჯარი მეგრელების, გურულებისა და ლეჩხუმელების. მეფე დატოვა თავად-აზნაურებმაც და ის იძულებული გახდა დამორჩილებოდა.

ცხადია, ამ ხანაში თითოეული კუთხე, თითოეული მებატონე ფიქრობს მხოლოდ თავის კერძო ინტერესებზე, კერძო სარგებლობასა და გამოჩე-

ნაზე, არავის არ აწუხებს საერთო, საერო საქმე. ეს ქვეყნის სრული დემორალიზაცია და დაცემაა. რაკი ერთათ ერთი პატრონი ქვეყნისა თავად-აზნაურები მხოლოთ თავის თავზე ფიქრობდენ, როგორ რა გამოვრჩეთ რუსებსო – აშკარაა, აღარ დარჩა არც ერთი ბატონობისთვის მომწიფებული კლასი, რომელსაც საქართველოს პატრონობა შესძლებოდა, ასეთი პატრონი უნდა ყოფილიყო გარეშე ვინმე, და ეს გარეშე იყო რუსეთი. და აი, აქ შეიტაკა ორი კულტურა – ქართველის ფეოდალური და რუსის – ბიუროკრატიული. უკანასკნელი პირველზე უფრო მაღალი საფეხურია, ის აუცილებლათ უნდა განვლოს ყველა თანამედროვე ერმა. რაკი ჩვენ ჩვენი ძალღონით ვერ დავარღვიეთ ფეოდალური წყობილება, ცხადია, ის ვისმე სხვას უნდა დაერღვია და ასე წინმსვლელობისაკენ გზა გაეწაღდა. მისი დამარღვეველი ძალა მოვიდა რუსეთიდან. რუსეთის თვითმპყრობელობამ დასცა ჩვენი ფეოდალიზმი. ეს რომ ასე ესმოდათ მაშინაც, სჩანს მთავარმმართველ ციციანოვის სიტყვებიდან, მიწერილი ალექსანდრე პირველის მიმართ, როცა იმერეთი რუსეთს შეუერთდა: უზენაესმა ინება, რომ საქართველო, დანაწილებული საქართველოს მეფის ალექსანდრეს დროს, გაერთიანებულიყო რუსეთის მეფის ალექსანდრესვე მეოხებითო.

ამგვართ, პოლშაში რუსეთის შესვლა – ეს იყო დაბალი პოლიტიკური წყობილების შესვლა მაღალისაში. ჩვენში რუსეთის შემოსვლა მოასწავებდა მაღალი პოლიტიკური წყობილების შემოსვლას დაბალისაში. ამიტომ აქ რუსეთი გახდა წესიერების დამცველი, ე. ი. ქვეყნის დაცვა გარეშე მტრებისაგან და თავაშვებული ფეოდალებისაგან – ის, რაც გამოაცხადა მან თავის დროშათ. ორივე ეს სასარგებლო იყო ქვეყნისათვის, ორივე წარმოადგენდა დიდ ნაბიჯს წინ გადადგმულს. ამიტომ თვით მეამბოხე კახეთის თავად-აზნაურობაც კი ვერ ბედავდა ეთქვა – რუსეთი სრულიად არ გვინდაო; ის თხოულობდა მხოლოდ ფეოდალურ წყობილების შენახვას, რუსეთის მფარველობის ქვეშ.

ერთი სიტყვით, საქართველოს, თავის დამოუკიდებლობის დროს, არ განუვითარებია სამოქალაქო ცხოვრება, არ შეუქმნია მრეწველობა-აღებ-მიცემობა, და რაღა გასაკვირვალა, მას ვერ შეემუშავებინა ის ნიადაგი, რომელზედაც ნაციონალური მოძრაობა იწყება. მას სული ეხუთებოდა ფეოდალთა კლანჭებში და მისი ამათგან ამოგლეჯისათვის ვის უნდა დაეღვა-რა ცრემლები? შეიძლება ფეოდალებს? მარა ხალხს არასოდეს!

ჩვენი ნაციონალისტები მუდამ იმას ქადაგებენ, რომ საქართველო წინეთ ყვაოდაო. აი, რას სწერს „ისარი“ (№14): „რაც ხანი რუსეთის პოლიტი-

კური ბატონობა დაიწყო ჩვენს ქვეყანაში, ქართული მწერლობა და პრესსა არასდროს ყოფილა მდიდარი.“ გამოდის, რომ წინეთ, რუსეთის შემოსვლამდის, უფრო მდიდარი მწიგნობრობა და პრესსა გვექონებია! „ისარს“ ისიც კი ავიწყდება, რომ ქართული პრესსა მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში აღორძინდა, პირველი ქართული გაზეთი მთავრობის ინიციატივით და ხარჯით გამოვიდა (1828 წ.).

რასაკვირველია, თუ კი ასე შევაბრუნებთ ისტორიას – ყველაფერი გაუგებარი დაგვრჩება, როგორც ეს ფედერალისტთ ემართებათ. და მართლაც, თუ კი წინეთ ჩვენ პრესაც კი მდიდარი გვექონებია, ცხადია, სამოქალაქო ცხოვრებაც გაჩაღებული ყოფილა, მაშ, რატომ ჩვენი ხალხი არ იბრძოდა იმ კაი წყობილების აღდგენისათვის? ნუ თუ მას ცუდი ურჩევნია კარგს? რასაკვირველია, არა, ის წარსულში არ ეძებს იდეალებს და ეს იმიტომ, რომ ნაციონალისტების ისტორია ზღაპარია.

ან შეიძლება მეცხრამეტე საუკუნის ისტორიამ მოუმზადა ჩვენს ხალხს ნიადაგი ნაციონალური მოძრაობისთვის?

### III

როგორც ზემოთ ვთქვით, ქართველი ხალხის ეროვნული მდგომარეობის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ მისი დამოუკიდებლობის დაცემა იყო ამავე დროს დაცემა ფეოდალური წყობილების. ეს არის ის სათავე, საიდანაც გამომდინარეობს უკანასკნელი ასი წლის მთელი ჩვენი ისტორია. აქ უნდა შეტაკებულიყო ორი ძალა – ძალა წარსულის, ფეოდალური წყობილების დამმაგრებელი და ძალა ახალი, სამოქალაქო ცხოვრებისკენ გზის გამკაფავი. პირველი არ ეთანხმება ხალხის ინტერესებს, და მაშასადამე, მისი მატარებელი კლასიც ვერ მოიპოვებდა ხალხის თანაგრძნობას. მეორე კი, პირიქით, ერთიანათ ხატავს ახალი მიმდინარეობის დედაძარღვს და მაშასადამე, მისი წარმომადგენელი არის იმავე დროს წარმომადგენელი მთელი ერის. როცა ორივე ამ ძალას იძლევა ერთი და იგივე ერის სხვა და სხვა ნაწილი, მაშინ ახალის და ძველის ბრძოლა წარმოებს ერთ და იმავე ერში და ხალხიც ეროვნულ ნიადაგზე ძალაუნებურად დგება, ვინაიდან სხვა ნიადაგი არ არის. და სწორედ ყველა კულტურულ ერში ეს პროცესი ასე სწარმოებდა. ძველს იცავდა თავად-აზნაურობა, ახალს „მესამე წოდება“ ანუ ბურჟუაზიული საზოგადოება, ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით და ცხოვრების შინაგანი დუღილი ეროვნების კედელს არ შორდებოდა. აქ ნაციონალური მოძრაობის ნიადაგი მზათ არის.

სულ სხვანაირად მოხდა ჩვენში. რაკი ჩვენმა საკუთარმა განვითარებამ ვერ მოგვცა ახალი ცხოვრების მატარებელი კლასი, ჩვენ ვერ შევქმენით ბურჟუაზიული საზოგადოება და ამ გზით ვერ დავარღვიეთ ფეოდალიზმი, აშკარაა ბრძოლას ახალს და ძველს შორის ვერ ჩაიტევდა ჩვენი ეროვნული ჩარჩოები. ერთი უნდა ეტვირთა ქართველს, მეორე კი არა-ქართველს და რომლის ინტერესები ამ მხრით გამოხატავდა ქვეყნის ინტერესებს – ხალხის თანაგრძნობაც მისკენ იქნებოდა.

და მართლაც, რუსები ჩვენში შემოვიდა გაბატონებული კლასის – თავად-აზნაურობის მოწოდებით და თანხმობით. მათი მიზანი იყო მძლავრი მფარველის კალთის ქვეშ შეენახა თავისი შინაგანი წყობილება ხელშეუხებლივ. არა ერთხელ ვყოფილვართ სპარსეთის მფარველობის ქვეშ, მარა ფეოდალიზმი ამით არ დარღვეულა, თავად-აზნაურობას ამით ბატონობა არ დაუკარგავს. და აი, გამოცთილებით გამხნეებული ფეოდალები ყოველ მხრიდან ეხვეწებიან რუსეთს მოდიოთ, გაგვასამართლეთ და დაგვიფარეთო. მარა რუსეთი სპარსეთივით ფეოდალური სახელმწიფო არ იყო, ის იყო თვითმპყრობელობის განხორციელება და, მაშასადამე, მისი ჩვენში შემოსვლა აუცილებლათ ნიშნავდა თვითმპყრობელობითი წყობილების შემოტანას. ის ძალა უნებურათ ჩვენი ძველი წყობილების წინააღმდეგ უნდა ამუშავებულიყო და მით თავად-აზნაურობის პოლიტიკური ბატონობა დაეცა.

ძირს ფეოდალი, გაუმარჯოს ბიუროკრატს – აი, რით შემოვიდა რუსეთი. და აი, როგორც კი ამაში დარწმუნდა ჩვენი მოწინავე წოდება – ის იწყებს მოძრაობას ძველი წყობილების დასაცავათ. იწყება მთელი რიგი აჯანყებათა, განსაკუთრებით კახეთში და იმერეთში. ეს იყო პირველი ეროვნული მოძრაობა მეცხრამეტე საუკუნეში. მართალია, ამ მოძრაობაში მონაწილეობას იღებს ერის სხვა და სხვა ნაწილი – თავად-აზნაურობა, გლეხობა და სამღვდელოება, მარა თითოეული მათგანი სხვა და სხვა ამრით და მიზნით. და ეს ისე აშკარა იყო, რომ უბრალო გენერალი სისოევი, იმერთა დასამშვიდებლათ გაგზავნილი თფილისიდან 1819 წ. , ამას ამჩნევს და თავის მთავრობას ასე სწერს: მცხოვრებთა სხვა და სხვა წოდება არეულობით ფიქრობდა სხვა და სხვა მიზნის მიღწევას. ხალხს ეგონა საეკლესიო რეფორმებით შემოაქვთ ახალი გადასახადი, 5-25 კ. კომლზე სამღვდელოების სასარგებლოთო, თავადებს სურდათ თავის მეფის ამორჩევა, (კანდიდატი კიდევაც დანიშნეს) რუსების გაძევება და დამოუკიდებელი სამეფოს გამოცხადება. „ამით კიდევ არ თავდება ბოროტება, ვინაიდან ზოგი გლეხები

ფიქრობდენ არეულობით ესარგებლათ ბატონებისგან გასათავისუფლებლათ, ხოლო ბატონებს უნდოდათ მათთვის ქონება წაერთმიათ“. ცხადია, აქ ნაციონალიზმის წარმომადგენელი ყოფილან მხოლოდ თავადები ე. ი. ფეოდალები, რომლებმაც უკვე იგემეს ნაყოფი ფეოდალიზმის დანგრევის და ამიტომ მონდომეს ძველი წყობილება აღედგინათ, და რადგანაც ეს არ შეიძლებოდა ისე, თუ არა თავისი საკუთარი მეფის არჩევით და რუსების გარეკით – ისინიც ამ გზას უნდა დადგომოდენ. უნდა ითქვას, რომ მაშინ ფეოდალთა საერთო ნაციონალური აზრი იყო არა რუსების ერთიანად გარეკა, არამედ მათ მფარველობის ქვეშ თავისი პოლიტიკური ავტონომიის შერჩენა. ამას თხოულობდენ კახელები და ხშირათ იმერლებიც.

ამ ნაირათ, საქართველოს ნაწილთა პირველი ეროვნული მოძრაობა იყო მოძრაობა თავად-აზნაურობის ძველი წყობილების შესარჩენათ. გლეხობა აქ იღებდა მონაწილეობას სწორეთ წინააღმდეგი მიზნით – ბატონ-ყმობის უღლის შესამსუბუქებლათ. ე. ი. აქ ფეოდალებს და რამდენიმეთ სამღვდელოებასაც. აი, ჩვენი ნაციონალიზმის ტრაგიზმი!

რატომ ასე უნდა მომხდარიყო? ცხადია, რატომ. თავად-აზნაურობის ნაციონალური დროშა იყო დროშა ფეოდალთა გაძლიერების, გლეხების დაჯახების, ახალი ცხოვრების უარყოფის, ძველი ურთიერთობების აღდგენის – ერთი სიტყვით, ეს დროშა არ იყო ხალხის დროშა; თავად-აზნაურობის ნაციონალური ინტერესი არ შეიცავდა ნაციის ინტერესებს. ნაციონალიზმი შეიქმნა რეაქციონურ საშვალებათ. პროგრესიული ნაციონალიზმი ქართველობამ მაშინ ვერ წამოაყენა, რადგანაც არ იყო ის პროგრესიული კლასი, რომლის ნაციონალური ინტერესი განსაზღვრულ ხანაში არის იმავე დროს ინტერესი მთელი ერის, არ იყო კლასი – ბურჟუაზია.

ეს პირველი ქართული თავად-აზნაურული ნაციონალიზმი ჩაქრა, დამარცხდა, მისი მოძრაობა ვერსად ვერ შეიქნა ხანგრძლივი ან ძლევა-მოსილი. მარა ეს მკვდარი იჭერს ცოცხალს, მოძრაობა დამარცხდა, ხოლო მისი აზრი გადაეცა სამკვიდროთ ჩვენს ინტელიგენციას და დაედვა საფუძვლათ პოეზიას, ისტორიულ გამოკვლევას, ბელეტრისტიკას, პუბლიცისტიკას, – მთელ ჩვენ ლიტერატურულ აღორძინებას მესამოცე წლებიდან თითქმის დღევანდლამდის. ის ქართული ნაციონალიზმი, რომელიც აშენებულია წარსულის ქებაზე და აწმყოს ძაგებაზე, მომდინარეობს დაცემული ფეოდალებისაგან, ეს ამათი იდეოლოგია იყო გასული საუკუნის პირველ მეოთხედში. ეს მაშინდელი მებრძოლი ნაციონალიზმი შემდეგ ჩამოქვეითდა ლიტერატურულ ნაციონალიზმამდის. პირველს ქონდა ნიადაგი, მას

თხოულობდა მთელი, ჯერ კიდევ მძლავრი, წოდების ძირითადი ინტერესები, ამიტომ მისთვის სისხლს ღვრიდენ, ომობდენ და ეს პირები მართლაც ისტორიული გმირებია. მეორე ნაციონალიზმს – ლიტერატურულს – არავითარი ნიადაგი არ ქონდა. არც ერთი წოდების ინტერესი არ თხოულობდა და ამიტომ მისთვის არც ვინმე იბრძოდა და არც სისხლს ღვრიდა. ეს ინტელიგენციის ამართ დაარჩა და რალა გასაკვირველია ის ცარიელ სიტყვებათ გადაქცეულიყო.

ამგვართ ფეოდალიზმის დანგრევას და სამოქალაქო ცხოვრების დაწყებას წინ გადაეღობა თითოეული კუთხის თავად-აზნაურობა ცალ-ცალკე და მათ ნაციონალური დროშა ააფრიალეს. მეორე მხრით, ფეოდალიზმის დამნგრევი და სამოქალაქო ცხოვრებისთვის ნიადაგის მომზადებელი შეიქნა არა ისევ ქართველი კლასი, არა ქართველობის ნაწილი, არამედ სრულიად უცხო ვინმე, შორიდან შემოსული რუსეთი. ამან ააფრიალა რუსეთის დროშა. და აი შეეტაკა ორი დროშა, დროშა საკუთარი და უცხო, ნაციონალური და ანტი-ნაციონალური. ვისკენ უნდა ყოფილიყო ხალხის თანაგრძნობა? რასაკვირველია, უკანასკნელისაკენ, ვინაიდან ამ დროშის ინტერესი იყო იმავე დროს ინტერესი ხალხის, ინტერესი ქვეყნის აღორძინების, გაერთიანების, ახალი ცხოვრების დაწყების. ქართველი ხალხის ნაციონალიზმიდან დაშორება იწყება სწორეთ აქ. ის ცდილობს ახალი კულტურის შექმნას არა ნაციონალიზმით, არა რუსებთან ბრძოლით, არა ავტონომიით, არამედ რუსეთის დახმარებით, შინაგან ბატონებთან ბრძოლით და ასე თავისი ცხოვრების თანდათან განახლებით.

მეცხრამეტე საუკუნის ისტორია არის ისტორია ჩვენი განვითარების, გაქალაქების, მუდმივი, შეუჩერებელი წინმსვლელობის და კულტურულათ ამაღლების. და ყველა ეს მოხდა არა ნაციონალური კლასის დროშის წინამძღოლობით, არამედ გარეშე ძალის, რუსეთის მეთაურობით. ამით აიხსნება ანტი-რუსული მიმართულების უნიადაგობა ჩვენში.

#### IV

თანამედროვე ნაციონალური მოძრაობა მოითხოვს არა მარტო თანამედროვე კლასების აღორძინებას, არამედ იმასაც, რომ ამ კლასების თუ კლასის ინტერესები ეწინააღმდეგებოდეს გაბატონებული უცხო ძალის ინტერესებს. როცა პოლონეთის ბურჟუაზიული საზოგადოება ნაციონალურ მოთხოვნილებებს აყენებს – ამას სჩადის არა იმიტომ, რომ თავისი ნაცია, თავისი ენა და სამშობლო უყვარს, არამედ იმიტომ, რომ რუსეთი

გზას უკრავს მის განვითარებას, მას სული ეხუთება რუსეთის ჩარჩოებში, ერთი სიტყვით ამას ითხოვს პოლონეთის ძირითადი ინტერესები. მარტო სიყვარული თავისი ერის და სამშობლოს ვერავითარ მძლავრ მოძრაობას ვერ დაბადებს. ქართველს შეიძლება თავისი სამშობლო პოლონელებზე მეტადაც უყვარდეს, მარა ამით ის ნაციონალისტი ვერ გახდება, გრძნობაზე დამყარებული ნაციონალიზმი გაიტაცებს პიროვნებას ან პიროვნებათა ჯგუფს. მარა ხალხს, ერს ვერასოდეს. უკანასკნელის ასამოძრავებლათ, საჭიროა უფრო ღრმა მიზეზები, ვინემ გრძნობა.

არის ჩვენში ასეთი მიზეზები?

ბურჟუაზიული საზოგადოება ჩვენში, ისე, როგორც ყოველგან, ჩაისახა ვერ კიდევ ბატონყმურ წყობილებაში. ის ყმები, რომელნიც ასე თუ ისე თავს აღწევენ ბატონების უღელს და ხელს ჰკიდებენ ხელოსნობას და ალებ-მიცემობას, წარმოდგენენ საფუძველს მოქალაქობრივი აღორძინებისას. ამ ელემენტების ქართველობაში გაჩენას და გამძლავრებას მუდამ ებრძოდა ქართველი გაბატონებული კლასი – თავად-აზნაურობა და ხელს უწყობდა არა ქართველი ძალა, რუსეთის ბატონობა. ეს ხდებოდა, რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ პირველს ქართველი გლეხობა სძულდა, ხოლო მეორეს უყვარდა, პირიქით, პირველს ის შეიძლება მეორეზე უფროც უყვარდა, მარა აქ მუშაობდა ინტერესი და ამას ემორჩილებოდა პოლიტიკაც. თ. -აზნაურობა, როგორც ძველი წყობილების წარმომადგენელი, ძალაუნებურათ უნდა შებრძოლებოდა ახალს, მისი ბატონობის დამცემ მიმდინარეობას, ხოლო ბიუროკრატიული სახელმწიფოს ინტერესი თხოულობდა ფულის მეურნეობის განვითარებას, ალებ-მიცემობის დაბადებას. ხოლო ყველა ეს არ შეიძლება ისე, თუ გლეხობის ერთ ნაწილს მაინც არ მიეცა საშუალება ბატონის მიწას მოშორდეს და თავისუფალი ხელობით იცხოვროს. და აი, საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის ისტორია არის ასეთი ელემენტების თანდათან წარმოშობის და მათი არსებობისათვის ბრძოლის.

როცა თავად-აზნაურობა დარწმუნდა, რომ მას სამუდამოთ დაეკარგა პოლიტიკური ბატონობა, მაშინ შეუდგა თავის ინტერესების დაცვას რუსეთის მთავრობის საშუალებით. მეორე მხრივ, წყობილების შეცვლით სარგებლობა მოიწადინა გლეხობამაც და აი, იმართება ბრძოლა ამ ორ წოდებას შორის. გლეხი პირველ ყოვლისა ცდილობს ბატონს თავი დაახწიოს და სახაზინოთ გახდეს. ამ მიზნით იწყებს პროცესებს სასამართლოში. ამ კითხვამ „საქართველოს მთავრობა“ გაყო ორ ბანაკათ: ქართველი წევრები გლეხების ასეთ უფლებას უარყოფენ, ხოლო რუსები კი სცნობენ

და მათთვის გადასახადების შეღავათსაც ითხოვენ. აი, რას ვკითხულობთ „მთავრობის“ ოქმში 1826 წ. ორბელიანი, თუმანოვი, თარხანოვი, დოლგო-რუკოვი, ჩოლოყაშვილი და აფხაზი – წევრნი მთავრობისა ადგენენ: „ასეთ გლეხს დაევალოს დაემორჩილოს მებატონეთ და უხადოს ყოველწლიური გადასახადი მას რუსის გლეხებით“, ხოლო ვისაც ვენახი აქვს, იხადოს მეწვიდედი, ვინაიდან რუსის გლეხს ვენახი არა აქვს და სხვ. რუსები ადგენენ: გლეხნი, რომელნიც იძიებს ბატონისაგან თავისუფლებას და იხდიან კულუხს და ღალას, მებატონეთა სასარგებლოთ კვირაში ორ დღეს მუშაობენ. ხოლო ისინი, ვინც კულუხს და ღალას არ იხდიან, მუშაობენ სამ დღეს; გარდა ამისა, ისინი არ იხდიან არც ერთ იმ გადასახადს, რომელიც დღევანდლამდის არსებობდა.“ ამის შემდეგ ამავე წლის ნოემბერში თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალი ხელმწიფის წინაშე ღძრავს, სხვათა შორის, შემდეგ შუამდგომლობას: „აეკრძალოს თავისუფლების ძებნა იმ საბატონო გლეხებს, რომელნიც რუსეთის მთავრობის შემოსვლის დროს და 1817 წ. კამერალური აღწერით საბატონოთ ირიცხებოდენ“. ამის პასუხათ მთავარმართებელი ერმოლოვი სწერს: თანახმათ ქართული ჩვეულებისა „ზოგი სახაზინო გლეხი ცხოვრობს საბატონო მიწაზე და მას უხდის ღალას. აგრეთვე ბევრი საბატონო გლეხები ცხოვრობენ საეკლესიო ან სახაზინო გლეხებში... არიან აგრეთვე ხიზნები... ამიტომ 1817 წ. აღწერა სრული არ არის, და სხვ. „თუმცა დარწმუნებული ვარ, ის ერთგულება, რომელიც თავად-აზნაურობამ ასე აშკარათ დაამტკიცა დღეს, ნებას აძლევს მას ეს შუამდგომლობა წარადგინოს ხელმწიფის წინაშე“. მეორე მხრით, განაგრძობს ერმოლოვი, გუბერნიის მარშალმა პირადათაც მითხრა, რომ იმ გლეხთ, რომელნიც რუსეთის შემოსვლამდის ბატონის მიწაზე იდგა და ყმათ იწოდებოდა, „აეკრძალოს სასამართლოში სიარული და ამტკიცოს თავისი უფლება თავისუფლებაზე. მარა რადგანაც საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, ძრიელ ბევრი, როგორც სახაზინო, ისე საეკლესიო გლეხები ცხოვრობდენ ბატონების მამულზე და პირობით მუშაობდენ, ამიტომ მას უპასუხე – „არ შეიძლება აუკრძალოთ დაბალი კლასის ადამიანს იდიოს თავისი უფლება, როცა მას სტაცებს მძლავრი ადამიანი“. მარა ამასთანავე ასეთმა გლეხმა ბატონს უნდა უხადოს ყოველივე წინანდურათ დავის გადაწყვეტამდის და სხვ.

ასე თავად-აზნაურობა სისტემატიურათ ებრძვის გლეხობას და არ ანებებს თავი დააღწიოს ყმობას. გლეხებს დარჩათ ერთათ ერთი იმედი – რუსის მთავრობის, რომელიც ტვირთულობდა მებატონეთა გადაჭარბებულ



მადის ფრთის შეკვეცას, თავადები ებრძოდნენ არა მარტო გლეხებს, არამედ თავის აზნაურებსაც. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათი აზნაურები იგივე მათი გლეხებია, შეუძლიათ მათი გაყიდვა, გაჩუქება, მამულის ჩამორთმევა და სხვ. ამიტომ მათი მამული და თავისუფლება უფლებით უნდა უდრიდეს გლეხის მამულს და თავისუფლებასო. მთავრობამ კი ეს უარჰყო და მას ისინი უფლებით გაუთანასწორა ტახტის აზნაურებს.

ერთი სიტყვით, ქართველი ხალხი თავის მდგომარეობის შესამსუბუქებლათ მიმართავდა არა ისევ ქართველს, არამედ არა-ქართველს, რუსის მთავრობას. ის თავისიანებისაგან, თავადებისაგან, დევნილი და შევიწროებული სამართალს ეძებდა ქართველი ერის გარეშე. და ეს გარეშეც ამ თავის მოსაშვალე როლს ასრულებდა. გასული საუკუნის პირველ მეოთხედში, როცა თ. -აზნაურობა ჯანყობდა და ახალ წყობილებას არ ურიგდებოდა, მთავრობა გლეხების მხარეზე იდგა, რომ ამით მეზრძოლი წოდება განემართოვებია. შემდეგ ოცდაათ-ორმოც წლებში მთავრობა ხან გლეხს იცავს, ხან ბატონს; შემდეგ განსაკუთრებით ვორონცოვის დროს, ის გადაჭრით მებატონეს ემხრობა, ამით აიხსნება ის რომ 1849 წ. მთავრობამ გააუქმა კანონი, რომლის ძალით გლეხს შეეძლო თავისუფლების ძიება დაეწყო, თუ მებატონეს მისი ყმობის წერილობითი საბუთი არ ექნებოდა. ახლა ეს მუხლი შესცვალეს ბატონის სასარგებლოთ – თვით გლეხს უნდა წარედგინა წერილობითი საბუთი იმის, რომ ის ან მისი მამა, ან პაპა თავისუფალი იყვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარს არ იღებდა. სამაგიეროთ, 15 წლის შემდეგ ბატონყმობა ერთიანთ გაუქმდა და სამოქალაქო ასპარეზზე მთელი ხალხი გამოვიდა. ამნაირათ, შევიწროებულ გლეხობას ერთათ ერთი საშვალეა ქონდა თავისუფალი ელემენტები წარმოეშვა. ეს საშვალეა რუსის მთავრობა, რომ მისი დამხმარე ძალა თვით ქართველობას წარმოედგინა და ეს რუსის მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებულიყო გლეხობის სასარგებლოთ – ცხადია, უკანასკნელი მას მიემხრობოდა და რუსეთს გადაუდგებოდა, ნაციონალური მოძრაობა გაჩაღდებოდა. მარა ვინაიდან ასეთი ძალა არ დარჩა ერის ჩარჩოში, გლეხობაც იძულებული გახდა ამ ჩარჩოს გასცილებოდა და ნაციონალიზმთან კავშირი გაეწყვიტა.

და აი, ასეთი გზით დაბადებული ბურჟუაზიული ელემენტები ვერასოდეს ვერ გახდებოდნენ ნაციონალიზმის მატარებელი. პირიქით, ისინი, როგორც რუსეთის კალთას ქვეშ დაბადებულნი და აღზრდილნი, უნდა ყოფილიყვნენ რუსეთის მომხრე და ეს ანტინაციონალური მიმდინარეობა უნდა

გადაეტანათ ხალხშიაც.

ამგვარათ, ბურჟუაზია ყოველგან ნაციონალისტი – ჩვენში თავიდანვე ანტინაციონალისტათ გამოდის. მარა შეიძლება შემდეგი განვითარებით მასში მომზადდა ნაციონალიზმის ნიადაგი?

## V

როგორც დავინახეთ, ქართველი ბურჟუაზიული ელემენტების დაბადება ვერ მოხდა ნაციონალური გზით. ხოლო მერმინდელი მათი განვითარება კიდევ უფრო გადმოდის ეროვნულ კალაპოტიდან და ლებულობს ინტერნაციონალურ სახეს.

და მართლაც, ყოველგან ნაციონალური ბურჟუაზია ააღორძინა ნაციონალურ კაპიტალმა, რომელიც ხანგრძლივით იკრიბებოდა ვაჭართა ხელში, ჩვენ კი დრო და გარემოება არ გვანებებდა ასეთი კაპიტალის შექმნას. ფეოდალური წყობილება პირდაპირ აიძულებდა ქართველს ვაჭრობა, და ისიც მცირე, დაეთმო იმ ერთა წარმომადგენელთათვის, რომელთაც თავის შინ აღებ-მიცემობა ქართველობაზე უფრო განავითარეს და ასე სავაჭრო თანხა შეაგროვეს. ასეთი იყო განსაკუთრებით სომხობა საუკუნოების განმავლობაში ერთი მხრით დასავლეთი ევროპა და მეორე მხრით ამიერ-კავკასია სპარსეთთან, ოსმალეთთან და ინდოეთთან ვაჭრობდა მცირე აზიის გზით, რომელიც გადადიოდა სომხეთზე. შუშა, ნუხა, ერევანი კავკასიის სავაჭრო კარებია, საიდანაც გაქონდათ და შემოქონდათ საქონელი სპარსეთში და სპარსეთიდან. ხოლო ახალციხე, ერზერუმი და სხვ. კარს გვიღებდა ოსმალეთისაკენ და რადგანაც ეს სავაჭრო ცენტრები საქართველოს გარეშე იმყოფებოდა, ცხადია, ქართველობა მოწყვეტილი იყო სააღებ-მიცემო გზას და ის ფეოდალურ ქერქს თავისი ძალღონით ვერ გამოიცვლიდა.

მეორე მხრით, საქართველოს დამოუკიდებლობის დაცემას თან მოყვა ასეთივე დაცემა კავკასიის ყველა დამოუკიდებელი სახანოების და სამთავროებისა. კავკასია გახდა ერთი ერთეული, სადაც ერთა დაახლოვება და ერთი მეორეში არევა მოხდა. გაზ. „ისარი“ ამ გარემოებას დასტირის, იწუნებს და ჰგონია, ყველა ეს ხელოვნურათ წარმოიშვა, ის სწერს: „უპირველეს ყოვლისა ბიუროკრატია საქართველო რუსეთის უბრალო გუბერნიათ გადააქცია, და რომ თვითონ სიტყვა „საქართველო“-ც ისტორიულ წარსულისათვის მიეცა, ჩვენი ქვეყანა ხელოვნურათ დაანაწილა, შექმნა სრულიად ახალი საადმინისტრაციო ტერმინოლოგია, წინ წამოაყენა

საადმინისტრაციო ერთეულათ კავკასია და თვით კავკასიაშიც შემადგენელი ნაწილების ისეთი კომბინაცია მოახდინა, რომ კულტურულათ, ეთნოგრაფიულათ და გეოგრაფიულათ დაშორებული ნაწილები შეაერთა, ხოლო კულტურულათ შედუღებული ნაწილები კი ერთმანეთს დააშორა“ და სხვ. (№10 ფელეტონი). ბიუროკრატია ასეთი სასწაულმომქმედი რომ იყოს, აშკარაა, ამასვე ჩაიდენდა ის ფინლიანდიაში და პოლონეთში. და თუ ეს ასე იქ ვერ მოახერხა, ხოლო აქ კი – ამის მიზეზია არა ის თვითონ, არამედ ის ისტორიული და კულტურული პირობები, რომელშიაც ეს მხარეები იმყოფებოდა. საქართველოს პოლიტიკური წყობილება – ფეოდალიზმი, იყო იმავე დროს წყობილება მთელი ამიერ კავკასიის და რალა გასაკვირველია მათი სავალი გზაც დაახლოვებით ერთნაირი ყოფილიყო. ამ დამოუკიდებელი სამფლობელოების რუსეთთან შეერთება სწარმოებს ერთგვარათ. ეს ერთი-მეორის კობია, ასე, რომ ბიუროკრატიას აქაც კი ვერ გამოუჩენია ორიგინალობა. მან საქართველოც ისე „დაატყუა“, როგორც ყველა დანარჩენი მისი მეზობლები. ჩვენ აქ არ გამოუდგებით ამ პროცესის აღწერას, ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს კავკასიის სხვადასხვა ნაწილთა დაახლოვება და ერთათ შეუღლება ისტორიული ფაქტია, აუცილებელი მოვლენაა და ამას ვერავითარი გულში ხელის ცემა და გოდება ვერ შესცვლის. მაშასადამე, საჭიროა მისთვის ანგარიშის გაწევა და მისი შედეგების ცნობა.

და ეს შედეგები მრავალნაირია, პირველ ყოვლისა ამით კარები გაეხსნა არა-ქართველს საქართველოში თავისუფლათ მოქმედებისათვის და ქართველს – კავკასიის დანარჩენ ნაწილებისაკენ. ყველა ადგილობრივ ერთა ვაჭარი და მუშა ერთმანეთს დაუახლოვდენ, საერთო საქმეში შეეგენ, ერთ ეკონომიურ ჩარჩოში მოიქცენ. საქართველოში შემოვიდა უცხო კაპიტალი, სომხის, რუსის, ევროპიელის და სხვ. ქართველი გავიდა საქართველოს გარეთ, კავკასიის სხვა კუთხეებში ბედის საძებნელათ. ამ გარემოებამ კიდევ უფრო დააჩქარა ჩვენი ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარება და ამას მისცა თავის რჩენის ახალ-ახალი საშუალება. საქართველოს წინ წაწევა მოხდა არა მარტო რუსეთის პოლიტიკური გავლენით, არამედ უცხო კაპიტალის შემწეობითაც. ამიტომ ქართველი ბურჟუაზიის ინტერესი სრულიად არ მოითხოვდა უცხო ბურჟუაზიის განდევნას ან შევიწროებას, პირიქით, ეს უკანასკნელი მისი განვითარების მიუცილებელი პირობაა... ჩვენი ქვეყნიდან რომ დღეს არაქართველი კაპიტალი და კაპიტალისტები გავიდენ – მთელი ქართველობა მას მუდარით გამოეკიდა, დარჩით, ნუ წახვალთო, ვინაიდან ეს გამოიწვევს დიდ არევ-დარევას ცხოვრების ყველა სფერაში.

მართალია, ამ რამოდენიმე წლის წინეთ ჩვენმა მოღვაწეებმა გაილაშქრეს სომხების წინააღმდეგ. მარა ეს სრულიად არ ხატავდა ქართველი ბურჟუაზიის ინტერესებს. და განა შეუძლია ქართველ ვაჭარს ივაჭროს სომხის ბანკის ან კაპიტალის დაუხმარებლივ? თუ კი, საზოგადოთ, წვრილი ბურჟუაზია დამოკიდებულია სხვილისაგან, განა იგვევ არ ითქმის ქართველ წვრილ ვაჭრებზე, რომელთა ინტერესები პირდაპირ თხოულობს სხვილი ბურჟუაზია მადლიერი ყავდეს? ჩვენებური ანტისომხური მიმდინარეობა ხატავდა არა ბურჟუაზიის, არამედ ვაკოტრებული, სომხის კაპიტალის ხელში ჩავარდნილი მემამულეების ინტერესებს. ე. ი. ეს მიმდინარეობა იყო რეაქციონური.

ერთი სიტყვით, ქართული კაპიტალის უქონლობამ, ისე, როგორც ერთი ქართული პოლიტიკური ძალის შეუმუშავებლობამ, ქართველობა აიძულა უცხო ეკონომიური და პოლიტიკური ძალისთვის მიემართა და ამათი დახმარებით თავისი მოქალაქობრივი მერმისი აეშენებია. ეს ეკონომიაშიაც, ისე, როგორც პოლიტიკაში, გამოვიდა ეროვნული ჩარჩოებიდან და მით მოშორდა ნაციონალისტურ ეკონომიას და ნაციონალურ პოლიტიკას.

და ასე, ქართველი გლეხობა, ბურჟუაზია და მუშა არ ვითარდება ნაციონალური გზით, ამიტომ მათი ნაციონალური თვითგამორკვევა არ შეიძლება იყოს მიმართული წინააღმდეგ უცხო პოლიტიკური და ეკონომიური ძალისა. პირიქით, ეს თვითგამორკვევა აუცილებლათ უნდა იყოს და კიდევაც არის ინტერნაციონალური, ე. ი. საერთო პოლიტიკა და საერთო ეკონომია – აი, ქართველობის ახლანდელი დროშა. ეს ერთობა, რასაკვირველია, სხვადასხვა კლასს სხვადასხვანაირათ ესმის. მუშა და გლეხი უერთდება სხვა ერის მუშას და გლეხს თავისი პოლიტიკური და ეკონომიური უღლის შესამსუბუქებლათ, ხოლო ბურჟუაზია მუშათა მოძრაობის დასათრგუნავათ იძულებულია შეუერთდეს სხვა ერის ბურჟუას; ამის ცოცხალი მაგალითია თფილისის წვრილ ვაჭართა ორგანიზაცია, სადაც ყველა ეროვნება იღებს მონაწილეობას. ასე, რომ ჩვენი ყველა თანამედროვე კლასი თავის ინტერესებისათვის საბრძოლველათ იძულებულია ააფრიადლოს ინტერნაციონალური დროშა. ამ აუცილებლობას არ ემორჩილება მხოლოდ ჩვენი ინტელიგენცია და ამიტომ ის ჰაერში გამოკიდებულია, უჯარო სარდლებია, თუ საიმედო ჯარათ არ მივიღებთ უძღურ და დრო-გადასულ თავად-აზნაურობას და თითო-ოროლა პირებს სხვადასხვა კლასებიდან. მისი ჯარი დაიბადება მხოლოდ ქართველ შეძლებულ ბურჟუაზიის, ქართული სხვილი კაპიტალის გაჩენიდან. ერთათ ერთი შეძლებული ბურჟუაზიის ინტე-

რესი იქნება სხვა ერთა ბურჟუა თავიდან მოიშოროს და ქართველი ხალხი წვრილი ბურჟუაზიითურთ თვითონ ყვლიფოს.

ინტელიგენცია, მაშასადამე, გამოდის არა არსებულ რეალურ პირობები-საგან, არა ხალხის ნამდვილი ინტერესებისგან, არამედ თავის საკუთარ სურვილების, თავისი „საუკეთესო“ პლანებისაგან. ის ხედავს ხალხის ინტერნაციონალურ მიმდინარეობას, ეს მას აქუხებს და ფიქრობს თავისი ქადაგებით ის ნაციონალურ გზაზე გადაიყვანოს. ეს იდეალისტური შეხედულება ისტორიაზე დამახასიათებელი თვისებაა და ამიტომ ჰგონია სოც. დემოკრატებმა „გადაარჯულეს“ ხალხი, ეროვნული იდეა დაუკარგესო. მან რომ ჩვენი ისტორია მართლა იცოდეს, ნამდვილ მდგომარეობის დანახვა რომ შეეძლოს, მაშინ იტყოდა არა იმას, რასაც ახლა ამბობს, არამედ ჩვენთან ერთათ დაასკვნოდა – ყოველი ერი მიდის თავისი საკუთარი გზით და საკუთარი ჭკუით, ქართველობის საკუთარი გზა – გზა ინტერნაციონალური, რის შეცვლა შეუძლია არა ქადაგებას, არამედ მხოლოდ ისტორიულ პირობებს. ეს პირობები რამოდენიმე გაჩნდება სხვილი ბურჟუაზიის აღორძინებით, მაშინ ჩვენი ინტელიგენციის ნაციონალიზმი ამ ბურჟუაზიის იდეოლოგია იქნება, მარა ამ დროისთვის პროლეტარიატში ისე ძლიერი იქნება კლასური შეგნება და ინტერნაციონალური სული, რომ ნაციონალიზმი მას და მის მიმყოლ გლეხობას ოდნავათ ვერ ჩაითრევს. ჩვენ, რასაკვირველია, კარგათ ვხედავთ, რომ კავკასიის სხვა ერებში ნაციონალიზმი დღეს გაძლიერებულია. და აი, სწორეთ ქართველი მუშა ხალხის ისტორიული მოწოდებაა შეებრძოლოს ამ სხვა ერთა ნაციონალიზმს, თანდათან მოიხროს მათი პროლეტარიატი და გლეხები და ასე ინტერნაციონალიზმი ყველა ერში გააბატონოს. სწორეთ ამიტომ უარვყოფთ ჩვენ ქართულ ნაციონალურ სოციალ-დემოკრატებს, ვინაიდან ეს ხელს შეუშლიდა ჩვენ ხალხს თავის მისიის შესრულებაში. კავკასიაში, ამ მრავალ ეროვნებათა ქვეყანაში, უნდა იყოს ერთი საერთაშორისო მუშათა ორგანიზაცია, მეტი გზა არ არის და რადგანაც ამ მიმდინარეობის საუკეთესო გამომხატველია ქართველი ხალხი, რალა გასაკვირველია ამ საქმის მეთაურობაც მას ეტვირთა.

გავათავეთ, ახლა ცხადი უნდა იყოს ის, თუ რამდენათ უსაფუძვლოა ფედერალისტთა აზრი – ვითომ ჩვენ „მოვახვიეთ“ ხალხს ჩვენი ნაციონალური პროგრამა. პირიქით, ეს პროგრამა ჩვენ თვით „მოგვახვია თავზე“ ხალხმა. ეს კითხვა ფართეთ იქნა ორგანიზაციაში დასმული და გარჩეული ამ ერთი წლის წინეთ და ვინც ამის მოწამე ყოფილა, იმას ალბათ ახსოვს, რომ არც ერთ კითხვას არ გამოუწვევია ისეთი ერთსულოვანი პასუხი, როგორც სწორეთ ამ კითხვამ გამოიწვია. ეს პასუხი კაი ხანია აღბეჭდილია

ერთ დოკუმენტში, რომლის დასკვნა ასეთია.

„რუსეთის სახელმწიფოს ძირითადი კანონები დადგენილ იქნას სახელმწიფო წყობილების სრული დემოკრატიზაცია და ყველა ერის სრული პოლიტიკური და მოქალაქობრივი თანასწორობა, განურჩევლათ გვარტომობისა. სამშობლო ენის თავისუფლათ ხმარება ყველა ადგილობრივ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სასამართლო დაწესებულებაში და განათლების მიღების უფლება სამშობლო ენაზე, რუსეთის კანონმდებლობის ფარგლებში ადგილობრივ კულტურულ ეკონომიურ მოთხოვნებთან დასაკმაყოფილებლათ მთელი ამიერ-კავკასია უნდა შეადგენდეს საოლქო ერთეულს ცენტრალური ორგანოთი, რომელიც არჩეულ იქნება საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით. ნაციონალური ენა და კულტურა ამიერ-კავკასიის ყველა ერთა თანხმობით და ერთი მეორის დახმარებით – აი ჩვენი ხალხის დღევანდელი ნაციონალური თვითგამორკვევა. ჩვენ ამ საფუძველზე ვდგევართ, ხალხთან ერთათ მივდივართ...

ნოე ჟორდანია, „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“, თბ. 1908;







## აკაკი ჩხენკელი

დაიბადა 1874 წელს დაბა ხონში. მღვდელ ივანე ჩხენკელის ოჯახში. ხონის სასწავლებლის დასრულების შემდეგ სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა. 1898 წელს სწორედ სემინარიაში დაიწყო ჩხენკელის „რევოლუციური“ საქმიანობა, რის გამოც გარიცხეს სემინარიიდან. შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, საიდანაც გამოსვლებში მონაწილეობისა და გაფიცვების ორგანიზების გამო გარიცხეს.

უნივერსიტეტიდან გარიცხვის შემდეგ ჯერ საქართველოში დაბრუნდა, ხოლო შემდეგ სასწავლებლად გერმანიაში გაემგზავრა. 1907 წელს დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, შემდეგ კი სწავლობდა ჟენევის უნივერსიტეტში. 1908 წელს დაბრუნდა საქართველოში და შეუერთდა რევოლუციურ მოძრაობას. ამ პერიოდშივე ქართულ პრესაში და განსაკუთრებით თავის პარტიაში წამოჭრა ეროვნული საკითხის პრობლემები, მომავალში შესაძლო ავტონომიის მოთხოვნის საკითხები. 1910 წელს დაპატიმრებული იქნა თანაპარტიელებთან ერთად და გადაასახლეს როსტოვში. 1912 წელს ფარულად მიიღო მონაწილეობა რუსეთის IV სათათბიროს არჩევნებში, ის არჩეული იქნა სოხუმის, ბათუმისა და ყარსის ოლქის წარმომადგენლად.

აკაკი ჩხენკელი რუსეთის რევოლუციის შემდეგ იყო „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის“ წევრი. 1917 წლის ნოემბრიდან კი ამიერკავკასიის კომისარიატის წევრი, საგარეო საქმეთა კომისარი. 1917 წლის აპრილიდან საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს (შემდგომში ეროვნული ყრილობის) თავმჯდომარე და თავმჯდომარის ამხანაგი. 1918 წლის აპრილმდისში ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. 1918 წლის 26 მაისიდან საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრი. 1919 წელს არჩეული იქნა საქართველოს დამფუძნებელთა კრების წევრად. 1918–21 წლებში მონაწილეობდა ვერსალის, პარიზის მოლაპარაკებებში და სხვადასხვა დელეგაციებში. 1921 წლის 22 თებერვლიდან 1933 წლამდე იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საფრანგეთში.

აკაკი ჩხენკელი გარდაიცვალა 1959 წელს. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

## ერი და ჩვენი

### თავი V საქართველოს თვითმართვებლობა

#### ა) სტატისტიკა

საქართველო! შენი მტერია, სახიფათო გახდა ამ სიტყვის ხმარება! და თუ მაინც არ დაგიშლია, გაფრთხილებ, მკითხველო, შენ ევ სიტყვა ბრჩილებში უნდა ჩასვა! ამით შენ გამოსთქვამ იმ უბრალოდ უდაო რამეს, რომ ოდესმე მართლაც არსებულა საქართველო, ხოლო დღეს იგი არ არსებობს!

იმიტომ არ არსებობს – გვეუბნება ან.<sup>1</sup> – რომ ქართველი ერი დღეს არ ფარავს საქართველოს, საქართველო-ქართველ ერსო. მერე რით მტკიცდება ეს? აი რით. 1897 წ. აღწერით – მოგვიყობა ან. – საქართველოს საზღვრებში (ე. ი თფილისის და ქუთაისის გუბერნიაში, 2. 009. 273 სული, ამათში ქართველია 1. 335. 896 ე. ი მცხოვრებთა ორი მესამედი ქართველია, ხოლო ერთი მესამედი კი არაქართველი. ეს არაქართველები ყვლგან, გარდა ქუთაისის გუბერნიისა (აქ 807. 478 სულიდან 779. 881 სული ქართველია) შეადგენენ უმრავლესობას. მაგალითათ, თფილისის გუბერნიაში ირიცხება 966. 808 მცხოვრები, ამათში ქართველია 455. 237; ბათუმის ოლქში ირიცხება 144. 584 მცხოვრები, ქართველია 63. 011; ზაქათალას ოლქში ირიცხება 84. 242 მცხოვრები, ქართველია 2. 394; სოხუმისაში ირიცხება 106. 179 მცხოვრები, ქართველია 25. 873. ცოტა ქვევით კიდე უფრო მჭერმეტყველია ანის ციფრები. ამოკრეფილი კავკასიის კალენდარიდან: „ახალი ცნობებით საქართველოს ზემოთ აღნიშნულ საზღვრებში ცხოვრობენ 2. 736. 850 მცხოვრები, მათში ქართველია 1. 619. 548. ქართველებს უმატია სამას ათას სულამდე, არაქართველს კი ოთხას ორმოცდა ათ ათასამდე, ე. ი 1897 წ. ქართველები შეადგენდნენ საქართველოში 60. 7 %, 1911 წ. კი 51, 8%-ს“.

მე ვიცი, ანს ძალიან ეხერხება ოფიციალურ სტატისტიკის მომარჯვება, მაგრამ ისიც ვიცი, სამწუხაროთ, რომ ეს ხდება სრულიად უკრიტიკოთ. სტატისტიკური მეთოდი, რა თქმა უნდა, კაი საქონელია, მაგრამ მხოლოდ და მართო იმ შემთხვევაში, თუ იგი ემყარება ნამდვილ სწორ წყაროებზე. შეიძლება ეს ითქვას ოფიციალურ სტატისტიკაზე განაპირა ქვეყნებში სამოგადოთ და ჩვენში კერძოთ? არ შეიძლება, და ამას თვით ან. დაგვიმოწმებს,

1 ან – ნოე ჟორდანიას ფსევდონიმი.

იმედია. მაშ რად არ შედის ამ „სტატისტიკის“ განხილვაში, რათ არ დააფასოს ის მან? შეიძლება ან. ფიქრობს, რომ პოლიტიკანობა პატარა ზიანს აყენებს ამ დიდ სასარგებლო საქმეს?

ოფიციალური სტატისტიკის ნაყოფიერი გაკრიტიკება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა არსებობს არა ოფიციალური სტატისტიკა. ასეთი არ მოგვეპოვება ჩვენ, არც საერო დაწესებულებები, რომელიც ადგენს მას. მაგრამ ზოგიერთი ცნობები მაინც მოეპოვება თვითველ ჩვენგანს, ამისათვის ხშირად პირადი დაკვირვებაც საკმარისია. ვინ არ იცის, მაგ. ქართველ მაჰმადიანების ძალიან ხშირათ „თათრებად“ მონათვლა? (მე არას ვამბობ ქართველ კათოლიკებზე და ქართველ გრიგორიანებზე თბილისის გუბერნიაში, რომელთაც „სომეხებად“ ნათლავენ!) საკმარისია გამოჰკითხოთ ქართველ მაჰმადიანს ვინაობა, რომ მან გიპასუხოთ: „მე თათარი ვარ!“ სტატისტიკოსიც, რა თქმა უნდა, სრულიად სერიოზულათ, მათ თათრების ცხრილში სწერს. ასე ხდებოდა და ხდება ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში, აგრეთვე ზაქათალას ოლქში. მაგრამ ეს უკუღმართობა ყველაზე აშკარათ ბათუმის ოლქშია გავრცელებული. კავკასიის კალენდარი, მაგალითათ ქობულეთელებს თათრებს ეძახის! ზევით ამონაწერიდან ვგებულობთ, რომ 1897 წ. ბათუმის მაზრეში ყოფილა 144. 584 სული, აქედან მხოლოდ 63. 011 სული არის ქართველი. როგორ მოგწონთ ეს „სტატისტიკა“? ბათუმის მაზრე (ობლასტი) შესდგება ბათუმისა და ართვინის ოლქისაგან, რომლისაგან პირველი გაცილებით დიდია მეორეზე. ბათუმის ოლქში მთლად ქართველი მაჰმადიანობა ცხოვრობს (აჭარა, ქობულეთი), თვით ქალაქ ბათუმშიც ქართველი ქრისტიანები და მაჰმადიანები უმრავლესობას შეადგენენ; რაც შეეხება ართვინის ოლქს, ორ საბოქაულო (შაგშეთ იმერხევისა და ართვინის) თითქმის მთლათ ქართველი მაჰმადიანებითაა დასახლებული, დარჩა ერთი არდანუჭის საბოქაულო (კლარჯეთი), სადაც მცხოვრებნი თათრულათ ლაპარაკობენ, თუმცა აქაც არაიშვიათად შეხვდებით ქართულათ მოლაპარაკეს; დაბა ართვინში და არდანუჭში, აგრეთვე ხუთიოდე პატარა სოფელში სომეხ-კათოლიკენი ჭარბობენ. ახლა გაზომეთ თქვენ თვითონ, მართლა უმცირესობას შეადგენენ ქართველები ბათუმის მაზრეში? უდიდეს ოლქში სამი მეოთხედი, ხოლო უმცირესში ორი მესამედი ქართველები არიან, სტატისტიკა კი ბრძანებს ბათუმის ოლქში ქართველები უმცირესობას შეადგენენო!!

არა ნაკლებ უინტერესოა სოხუმის ოლქის „სტატისტიკა“; აქ ცხოვრობდა თანახმათ ზევით მონაწერისა 106. 179 სული, მათში ქართველებია 25.

873 ჯერ მარტო სამურზაყანოში ცხოვრობდა 1897 წ. 30. 00 სული, ვინ არიან ისინი? მეგრელები ე. ი. ქართველები. ახლა აიღეთ აბხაზეთი (აბჟუა, წებელი, დალი, ბზიფი), რამდენია აქ მეგრელ-ქართველების სოფლები, რამდენია ისინი ჩასახლებული თვით აბხაზეთის სოფლებში? ქალაქი სოხუმი და დაბები ოჩამჩირე-გუდაუთა? სულ მცირე, ამ ადგილებში არა ნაკლებ 20. 000 სული ქართველი იქნებოდა 1897 წელს. აი შენი „სტატისტიკა“, რომელიც 100% „იაღლიშს“ იძლევა: 50 ათასი 26 ათასად გამოაქვს!

ასეთ „სტატისტიკის“, ვიმეორებ, უკრიტიკოთ დანდობა ყოვლად შეუწყნარებელია. ან. კი სწორეთ ასე იქცევა. კავკასიის კალენდარი ხომ კიდევ უარეს პირობებში იწერება. ადმინისტრაცია წლითი წლობით იმეორებს ამ „შეცდომებს“..

მაგრამ, ვთქვათ ანის მიერ მოყვანილი ცნობები უნაკლოა, განა შეიძლება ამ შემთხვევაშიც საქართველოს ამოფხეკა ქარტიდან? მე ვაკვირდები საქართველოს ქარტას და ვეკითხები ჩემს თავს, ნუ თუ შესაძლებელია ამ საგანზე იოტისოდენა რყევა, იჭვი? პირველი, რაც მოვარდება ადამიანის თვალში, არის კავკასიონის მთის გრებილი, გადაჭიმული შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. ამ მთაგრეხილის გადმოღმა კალთები, მდინარე დალიძვიდან (სამურზაყანო-აბხაზეთის საზღვარი) მოყოლებული, დასავლეთით, ვიდრე დაღესტნის მთებამდე აღმოსავლეთით, მოკავებული აქვს ქართველ ერს. უკანასკნელი ბინადრობს მთელ ამ სივრცეზედ მიჯრით, ე. ი. არ არის ისეთი მთა-გორა ან ვაკე, სადაც შეჩრილიყოს რომელიმე სხვა ერი და შუაზე გაეპოს ქართველობის ბინადრობა. ეს კი დიდათ საყურადღებოა, როცა რომელსამე ერის ეთნოგრაფიულ მთლიანობაზეა ლაპარაკი, სხვა რამე მე არ მაინტერესებს ჯერ-ჯერობით. მართლაც, ერისათვის მაშინ იბადება სირთულე, დაბრკოლება, თუ მას არ მოეპოვება ერთი მთლიანი ტერიტორია, და ამის მაგიერ უჭირავს რამოდენიმე ერთმანეთს მოწყვეტილი ნაჭერი მიწა. ეს არ ითქმის ქართველ ერზე, როგორც დავინახეთ.

მაგრამ არის ისეთი პროვინციები, სადაც ქართველობა უმცირესობას შეადგენს, ანაც ამას იხვევს ხელზე. ესეთებია: ზაქათალა და სოხუმის ოლქები. ბორჩალოს, ახალციხის და ახალქალაქის მაზრები. რაც შეეხება ბათუმის მხარეს, აქ ქართველობა ჭარბობს და ამიტომ ვრიცხავ მას ამ სიიდან.

არის ერთი გარემოება, რომელიც დიდათ საყურადღებოა, მევით ჩამოთვლილი პროვინციები საქართველოს განაპირათ მდებარეობს: ზაქათალა აღმოსავლეთით, ბორჩალო, სამცხე და ჯავახეთი სამხრეთით, აბხა-

ბეთი დასავლეთით. მაშასადამე არც ერთი მათგანი არ არის ფსოლივით შერჭობილი საქართველოს გულ-მკერდში, და არ აპობს მას ორ ან მეტ ნაწილად. ეს კი დიდ შეღავათს წარმოადგენს ქართველი ერისთვის. სამეგრელო, გურია, აჭარა, იმერეთი, ქართლი, კახეთი – აი ერთი მთლიანი საქართველო, რომელსაც შეუძლია იარსებოს მაშინაც კი, თუ განაპირა პროვინციებში ერთი ქართველიც არ ცხოვრებდეს. თავი და თავი ცენტრია და არა პერიფერია, ეს არ უნდა გვაგვიწყდებოდეს არასდროს.

თქმულიდან გამომდინარეობს ერთი უბრალო დასკვნა: ქართველ ერს, მიუხედავად მრავალი სიმწარისა, რომელიც მას გამოუცდია დღემდე, მაინც შეუნარჩუნებია ერთი მთლიანი ტერიტორია, სადაც მისი შვილთა სულ ცოტა 95% ბინადრობს. საქართველოს ლიკვიდაცია შეიძლება ბევრს ვინმეს სწყუროდეს, მაგრამ ასეთი განაჩენის გამოტანა ჩვენის მხრით ნაადრევია და მაგონებს იმ საანდაზო ქათამს, რომელიც მეტის ერთგულებით თავისი დასაკლავი დანა გამოიხსრიკა! ჩემი აზრით, საქართველო რეალობაა ისე, როგორც თვით ქართველი ერი, რომელსაც ის უკავია მტკიცეთ (მე ამ სახეში არ ვღებულობ თავად-აზნაურობის იმ გაკოტრებულ ნაწილს, რომელიც უცხოელებზე ყიდის „თავის“ მამულ-დედულს), აქედან ჩემი გეგმა: საქართველოს თვითმართველობა....

## ბ) ბენერალური გამიჯვნა მარჯვნივ.

მე ვიცი, აქ სიტყვას გამაწყვეტინებს ან. , და თანასწორობის ხაზს გაუსობს ჩემსა და ფედერალისტებს შორის. რამდენათ სამართლიანია ეს?

წინა თავში მე ხაზი გავუსვი იმ გარემოებას, რომ ანმა თავის შრომაში სწორათ დასახა საბაასო საგანი – ერის დამოკიდებულება სახელმწიფოსთან – მაგრამ ჩქარა გვერდი აუხვია მას და გამოუდგა იმის გარკვევას, თუ რა დამოკიდებულებაა ერსა და ტერიტორიას შორის. მე ეს შემცდარ ნაბიჯად მივიჩნიე და განვაცხადე, ტერიტორიის ერის ბინადრობის მიხედვით გამიჯვნა ფაქტის საკითხია მეთქი. თუ ქართველ ერს არა აქვს საკუთარი ტერიტორია, ვერც ფედერალისტები გააჩენენ მას, აქედან ისინი ადრე თუ გვიან იძულებული იქნებიან აღიარონ თავიანთი მოთხოვნის უნიადაგობა. მაგრამ ამაში როდია, ან უკეთ, აქ როდია ჩვენი და ფედერალისტების უთანხმოების სიმძიმის ცენტრი.

ნათქვამის ნათლათ წარმოსადგენად დავუშვათ ერთ წუთს, რომ ჩვენ ვეთანხმებით ფედერალისტებს საქართველოს ეროვნულ მთლიანობაში და ამიტომ მათთან ერთათ მოვითხოვთ მის თვითმართველ ერთეულათ

გამოცხადებას. ანიც ხომ ამბობს თავის შრომაში, რომ თუ ერთ განსაზღვრულ ტერიტორიაზედ რომელიმე ერის 85% ბინადრობს, მაშინ მას აქვს უფლება მოითხოვოს ამ ტერიტორიის ცალკე გამოყოფა, მაშ ასეთი დაშვება არაფერს არაბუნებრივს არ შეიცავს. როგორ ფიქრობთ, მოისპობა თუ არა ამ შემთხვევაში ყოველივე დავა ჩვენსა და ფედერალისტებს შორის ეროვნულ პროგრამის გარშემო? რასაკვირველია, არ მოისპობა. უთანხმოება ჩვენს შორის გაცილებით ღრმაა, ვინემ ტერიტორიის ზედაპირი. საქართველოს ერთეული კიდევ არაფერს წყვეტს თავისთავათ, საჭიროა ვიცოდეთ, რა დამოკიდებულება არსებობს ერთეულსა და სახელმწიფოს შორის – აი კითხვა, რომელზედაც ჩვენ და ფედერალისტები სხვადასხვა პასუხს ვიძლევი.

ნამდვილი პრინციპიალური დავა თუ გნებავთ, სწორეთ აქ იწყება.

ანმა კი სხვაგვარად შეხედა საგანს. მან კიდევ 1912 წ. გამოაცხადა („ძველი და ახალი“), რომ დეცენტრალიზაცია ტაქტიკის და არა პრინციპის საკითხიაო. საინტერესოა, რომ თანამომარებმა არც კი მიაქციეს ამ ძირითად შეცდომას ჰეროვანი ყურადღება. გამოდის, ამ გვარათ, რომ მარქსისტი ერთ შემთხვევაში ცენტრალისტი იყო, ხოლო მეორე შემთხვევაში – დეცენტრალისტი! და ეს სრულიად ბუნებრივია, თუ ანს დავუჯერეთ, რადგან ტაქტიკა, ბებელის თქმის არ იყოს, ყოველ 24 საათში შეიძლება შეიცვალოს, პრინციპი კი არა.

მაშ რას ვედავებოდით ამდენ ხანს ფედერალისტებს, რაზე ვხარჯავდით ამდენ მელანს და ქალაღდს, თუ ეს მუხლი მართლა არ წარმოადგენდა იმ წერტილს, საიდანაც იწყებოდა ყოველთვის ჩვენი პრინციპიალური უთანხმოება? მაშ რას ვამტყუნებდით ლ. დარჩ. –ს, როცა მან დეცენტრალიზაცია მარქსიზმის უკანასკნელ სიტყვათ გამოიტანა?

ღირს ამაზე შეჩერება.

კაპიტალიზმს ახასიათებს წარმოების განსაზოგადოებრივობა, ერთის მხრით, და საწარმოვო ძალთა უმცირესობის ხელში დაგროვება, მეორეს მხრით. ეს ძირითადი მიდრეკილება თანამედროვე ცხოვრებისა გამოიხატება არა მარტო შრომის განაწილებაში, ტენიკის გაუმჯობესებაში ან დამბადებული ნივთების ზრდაში, არამედ იმაშიც, რომ მთელი ეს პროცესი რაც შეიძლება მეტ სივრცეს იკრებს, რაც შეიძლება მეტ ხალხს ითრევს საერთო ფერხულში. მოქალაქეთა ურთიერთ დამოკიდებულება და მიმოსვლა, რაც დრო გადის, უფრო და უფრო რთულდება, მჭიდროვდება; მათი ეკონომიკური ინტერესები ისეა ერთმანეთზე გადაკინძული, რომ შეუძლებელია

და საზარალოა მათი ერთმანეთისგან გამოთიშვა, დაქსაქსვა. ხოლო რაც ცხოვრებაში ხდება, იმას აწესრიგებს ფორმალური უფლებაც: ცენტრალიზაცია ეკონომიკაში იწვევს ცენტრალიზაციას პოლიტიკაშიც. ცენტრი სცემს კანონებს რომელიც თანაბრად ეხება ყველას, განურჩევლათ ეროვნებისა და რწმენისა.... აი, მოკლეთ ის მთავარი ამრები, რომლითაც ხელმძღვანელობს მარქსისტ-ცენტრალისტი. სულ სხვაგვარად მსჯელობს ფედერალისტი. ის არ ცნობს კაპიტალიზმის იმ ორ ძირითად მიდრეკილებას, რომელზედაც ცოტა ზევით მქონდა ბაასი. წვრილი წარმოება, მისის აზრით, სასტიკ მეტოქეობას უწევს მსხვილ წარმოებას და ხშირათ იმარჯვებს კიდევ მასზე. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, სამოქმედო ასპარეზი ერთობ ვიწროა, დამოკიდებულება მოქალაქეთა შორის სუსტი და შემთხვევითი, ეკონომიკური ინტერესები უფრო ანცალკეცებს მათ, ვინემ აერთებს. სახელმწიფო შესდგება მრავალ ისეთ კუთხისადაც, რომელიც სათითაო კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა, აქვს განსაკუთრებული ეკონომიკური ინტერესები და მოითხოვს განსაკუთრებულ კანონებს ამ ინტერესთა დასაცავათ... ერთი სიტყვით, დეცენტრალიზაცია როგორც ეკონომიკაში, ისე პოლიტიკაში – აი, ფედერალისტების ძირითადი დებულება.

ამ საზოგადო გამიჯვნის შემდეგ ადვილი გასარჩევია ერთმანეთისგან ჩვენი და ფედერალისტების შეხედულება იმაზე, თუ რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს სახელმწიფოსა და მის რომელსამე თვითმართველ კუთხეს შორის. გარჩევა ყველაზე წინ გამოიხატება მეთოდში: ჩვენ გამოვდივართ მთელიდან, ფედერალისტები კი ნაწილიდან; ამა თუ იმ კუთხეში ჩვენ ვხედავთ სახელმწიფოს ორგანულ ნაწილს, მაშინ როდესაც, ფედერალისტების წარმოდგენით, თვით სახელმწიფო რამდენსამე ერთი მეორესაგან ოდნავ შეკავშირებულ ნაწილისგან შესდგება, რა შედეგი მოსდევს ამას? ფედერალისტები აკისრებენ ცენტრს წარმომადგენლობას საზღვარ გარეთ (დიპლომატიას), ტერიტორიის დაცვას გარეშე მტერისაგან (ჯარი), წარმოება-ვაჭრობის დაცვას უცხოელთა კონკურენციისაგან (ბაჟები, ხელშეკრულებანი, საკონსულონი); ხოლო რაც შეეხება შინაურ მოქალაქეებრივ ცხოვრებას, ცენტრი არ ერევა ამაში, თვითეული კუთხე თავის ნებაზე აწესრიგებს მოქალაქეთა უფლებრივ დამოკიდებულებას ყოველ დარგში, ე. ი ის საზღვრავს კერძო საკუთრებას ძალმომრეობისაგან (სისხლის სამართლის უფლება), ერევა შრომა კაპიტალის დაცვაში (სოციალური კანონები). გამოდის, ამ რიგათ, რომ ფედერალისტები გრძნობენ მხოლოდ მოვალეობას ( დაცვა გარეშე ძალთაგან), ხოლო რაც შეეხება უფლებას, ცენ-

ტრი მოკლებულია მას მოქალაქეთა მიმართ. სულ სხვაგვარად ვუყურებთ ჩვენ საგანს. სახელმწიფო, ჩვენი წარმოდგენით, ან არსებობს, ან სულ არ არსებობს. წარმოდგენილია სახელმწიფოს არსებობა, თუ ის მოკლებულია მის მთავარ ფუნქციებს, ე. ი. თუ ის არ განსაზღვრავს სუვერენულათ ქვეშევრდომთა როგორც პოლიტიკურ, ისე მოქალაქეობრივ უფლებებს. სახელმწიფო მართო იმისთვის როდია მოვლენილი, რომ უყარავლოს ტერიტორიას, ის მოწოდებულია, გარდა ამისა შექმნას ისეთი უფლებრივი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ყოველმხრივ აღორძინებას. ეს კი გამოიხატება ქვეშევრდომთა სრულ თანასწორობაში კანონის წინაშე. ერთის მხრით, და თვით კანონის ერთგვარობაში, მეორეს მხრით. არ შეიძლება თანასწორობაზე ლაპარაკი იქ, სადაც ადამიანი სხვა და სხვა კუთხეში სხვა და სხვა კანონს ემორჩილება: რისი უფლება აქვს ერთ კუთხეში, ის არ შეიძლება განახორციელოს მეორე კუთხეში, რაც აქ ნებადართულია მისთვის, ის აკრძალულია იქ და სხ. თუ ჩვენი ძირითადი დებულება მართალია, რომ კაპიტალიზმი ადრე თუ გვიან ყველგან ერთგვარ სოციალურ ეკონომიკურ ურთიერთობას აბატონებს, მაშინ აუცილებელია და დიდათ სახეირო, რომ ამ ურთიერთობას საზღვრავდეს და აკანონებდეს ცენტრი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლია მივიღოთ ერთნაირი კანონი და ერთნაირი წესი მისი ცხოვრებაში გატარებისა, მაშასადამე, კანონმდებლობა ზევით დასახელებულ სამ დარგში, ჩვენი აზრით უნდა დაეკისროს ცენტრს.

ჩვენ ვამჩნევთ ცხოვრებაში ინტერესთა კონცენტრაციას. კლასი მყვლეფელი და კლასი გაყვლეფილი ცალკ-ცალკე ირამბება არა მარტო რომელსამე ერის შიგნით, არამედ მის გარეთაც. ეს პროცესი, რაც დრო გადის, მით უფრო ინტენსიური ხდება. საბოლოო მიზანი, რომელიც დაუსახავს პროლეტარიატს, მისსია, რომელიც მას აქვს ისტორიულათ დაკისრებული, მოითხოვს ყოველგვარ ხელოვნურ საზღვრების გაუქმებას. პროლეტარიტი იბრძვის სრული და არა მარტო ეროვნული ემანსიპაციისათვის, ამისთვის კი აუცილებელია განუყრელი კავშირი ყველა ერთა შრომის შვილთა შორის. განსაკუთრებით საჭიროა ასეთი კავშირი მრავალ ერიანს სახელმწიფოში, სადაც ერთობ გაძნელებულია წმინდა კლასობრივი ბრძოლა. ნუ დაივიწყებთ, ეს კავშირი უკვე არსებობს ყველა ერთა გაბატონებულ კლასთა შორის. ისინი ყველა დგანან არსებულ საზოგადოებრივ წყობილების ნიადაგზე და საერთო ძალით ებრძვიან ამ წყობილების მტერთ. რასაკვირველია, ეს არ უშლის მათ ერის კეთილდღეობაზე ილაპარაკონ, მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს საქმე და არა ლიტონი სიტყვა. ამ რიგათ, ვინაიდან



მოპირდაპირე კლასთა ცალკე დარაზმვა ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენს, ჩვენ არ შეგვიძლია არ მივემხროთ ერთნაირ უფლებრივ კალაპოტის შექმნას ყველგან, ე. ი სახელმწიფოს მთელ სივრცეზე.

როცა ფედერალისტები მოითხოვენ თვითოეულ კუთხისათვის კანონმდებლობას სამოქალაქო და სოციალურ დარგებში, ამით ისინი ხელს უწყობენ ატრელებას უფლებებრივად, რაიც თავისი მხრით ასუსტებს კავშირს სხვა და სხვა კუთხის მშრომელ მასას შორის, ადუნებს მის მავის ცემას. ამიტომ ეს მოთხოვნა უკუგდებული უნდა იქნეს, როგორც რეაქციონული. წარმოიდგინეთ ერთ წუთში, რომ მუშათა დაზღვევა ავთომყოფობისაგან, დასახიჩრებისაგან, მოხუცებულობისაგან, უმუშევრობისაგან დავალებული აქვს არა ცენტრალურს, არამედ თვითოეულ კუთხის პარლამენტს. ასეთ ვითარებაში, თავის თავად მისახვედრია, ერთი კუთხის მუშა არაა პირდაპირ დაინტერესებული იმაში, რაც მეორე კუთხეში ხდება, თვითოეული კუთხე მიტოვებულია თავის ანაბარა; რამდენიც კუთხეა, იმდენია დამზღვევი კომპანია, აქედან იმდენია თვით ბრძოლის ტაქტიკაც... რაღა გავაგრძელო, არაა საერთო ასპარეზი, არაა ამიტომ არც საერთო და მწყობრი გამოსვლები. შედეგი ცხადია: მუშები ვერც ერთ კუთხეში ვერ ეღირსებიან ნამდვილ და გამოსადეგ დაზღვევას. ეს ერთი მაგალითია მრავალი სხვებიდან, რომელიც ნათლათ გვიჩვენებს, თუ რამდენათ დაშორებული ვართ ჩვენ და ფედერალისტები ერთმანეთისაგან პრინციპულათ. ჩვენ გამოვდივართ განსაზღვრულ, სახელდობრ მუშათა კლასის ინტერესებიდან, მაშინ როდესაც ისინი სულაც კი უარყოფენ კლასობრივ თვალსაზრისს; ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენს დროშის ქვეშ ქართველ დემოკრატიას, მაშინ როდესაც ისინი ეპოტინებიან მთელ ქართველობას, განურჩევლათ წოდებისა და სოციალური მდგომარეობისა... ერთი სიტყვით, ჩვენა ვართ სოციალიზმის მიმდევარნი, ისინი კი ნახევარ დროს თავიანთ მოღვაწეობას და „სოციალისტთა ჭამიობას“ ანდომებენ. ტყუილად კი არ ამბობენ, რომ ფედერალისტთა უპირველესი შემაკავშირებელი ძაფი არის სიძულვილი დასეღლთა მიმართ!

ამ რიგად, ძირითადი განსხვავება ჩვენი და ფედერალისტების ეროვნულ პოზიციისა სუფევს პრინციპების სფეროში და არა უბრალო ფაქტის აღიარებაში ფარავს თუ არა ქართველი ერი საქართველოს და საქართველო ქართველ ერს. თავი და თავი, ჩემი აზრით, ის კი არ არის, მოითხოვენ თუ არა ფედერალისტები საქართველოს ცალკე გამოყოფას, არამედ ის, რას გულისხმობენ ისინი ამ გამოყოფილ საქართველოში. თვითონ ანმა

განაცხადა ამას წინათ თავის „ჟურნალისტის შენიშვნებში“, რომ ჩვენს ბანაკში არიან ისეთები, ვინც აღიარებს საქართველოს ცალკე გამოყოფის საჭიროებას, მაშასადამე, ეს მოთხოვნა არ არის ფედერალისტების პოზიციის სპეციფიური ანუ ნიშნობრივი მხარე. რას გულისხმობენ ისინი გამოყოფილ საქართველოში? სახელმწიფოს. ამას გვიმოწმებს ყველაზე წინ მათი სახელწოდება: ფედერაცია მოასწავებს სახელმწიფოთა კავშირს. რუსეთი საზოგადოთ, ამიერ-კავკასია კერძოთ უნდა დაიყოს რამოდენისამე სახელმწიფოთ; თვითოეული სახელმწიფო, რამდენათ კითხვა შინაურ პოლიტიკას ეხება, აღჭურვილი უნდა იქნას სუვერენულ ძალაუფლებით, – აქედან საქართველო, ფედერალისტების წარმოდგენით, ერთ-ერთ მოკავშირე სახელმწიფოდ უნდა გარდაიქმნას. ეს არის ასე ვთქვათ, ფორმალური განსაზღვრა ფედერალისტების ეროვნულ პროგრამისა; ხოლო რაც შეეხება შინაარსს, ამაზე მე უკვე მქონდა ბაასი: ფედერალისტები ხელიდან აცლიან ცენტრს სახელმწიფო მართველობის სამ უმნიშვნელოვანეს დარგს და გადააქვთ ისინი თვითმართველ საქართველოს კომპეტენციაში. პრინციპი რომლითაც ხელმძღვანელობენ ფედერალისტები, არის, როგორც დავინახეთ, წვრილ-ბურჟუაზიული, რეაქციონული. განწყობილება ცენტრსა და პერიფერიებს შორის მათ აქვთ წარმოდგენილი, როგორც მტრული, შეურიგებელი; იმის მაგიერ, რომ ერთმანეთს შეუთანხმონ საერთო და ადგილობრივი ინტერესები, ისინი ანაცვლებენ პირველთ მეორით; მათ თვალში ვარდებათ ის, რაც ანცალკევებს, ანსხვავებს საქართველოს რუსეთისაგან, კერძოთ ამიერ-კავკასიისაგან, ხოლო ვერ ამჩნევენ იმას, რაც აერთიანებს მათ, ამისათვის მათი ჰორიზონტი ერთობ ვიწროა; ისინი განზე დგანან დიდი შარა-გზისაგან, რომელიც მიგვაქანებს საკაცობრიო მიზნისაკენ და ამიტომ ზედმეტათ თვლიან სახელმწიფოსა და ცალკე კუთხეს შორის ისეთ დამოკიდებულებების დამყარებას, რომელიც წინ წევს, აძლევს სიმკვირცხლეს და ძალას შრომის შვილთა საერთო გამოსვლებს....

შემედარია ანის აზრი, თითქო ცენტრალიზაცია ტაქტიკის კითხვა იყო ჩვენთვის. არა, ის არის პრინციპი, გამომდინარე თვით ჩვენი მსოფხედველობიდან. ფედერალისტები არ დააყოვნებენ თავისებურად განმარტონ ეს წინადადება. ისინი ხომ სულ იმას გვიკიჟინებენ, რომ ჩვენ ვიცავთ ბიუროკრატიულ ცენტრალიზმს. ოპეკას! სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სრული დემოკრატიზაცია, რომელსაც ჩვენ ვვლტვით, მათ ბიუროკრატიულ ცენტრალიზმად ელანდებათ! ნუ გამოვუდგებით ამ გაღიმატიას. ჩვენ ცენტრალისტები ვართ, მართალია, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რა თქმა

უნდა, რომ ჩვენ სახეში არ ვვლავლობთ რუსეთის თვითღებულ კუთხის თავისებურებას, ჩვენ სერიოზულ ანგარიშს ვუწევთ მას და მოვითხოვთ კიდევ განსაკუთრებულ უფლებრივ გარანტიებს: თვითღებულ კუთხეს, რომელიც განირჩევა ცენტრალური რუსეთისაგან ბუნებით, ენით, კულტურით და სხ. , უნდა მიეცეს ფართო თვითმართველობა – აი, ჩვენი ამრი. წარმოუდგენელია სახელმწიფოს სრული დემოკრატიზაცია, თუ თვითღებულ ასეთ კუთხეს არ მიენიჭა თვითმართველობა ადგილობრივ კითხვებში. ამიერ-კავკასია, მაგ., ერთ ასეთ თვითმართველ მთელს უნდა წარმოადგენდეს.

რამდენად ადგილობრივ დაწესებულებებს მინდობილი ექნება საიმპერიო კანონების სისრულეში მოყვანა, იმდენად ისინი ასრულებენ წმინდა ადმინისტრაციულ ფუნქციებს; ხოლო რამდენათ ისინი თვითონ კანონმდებლობენ განსაზღვრულ კომპეტენციის შიგნით, იმდენათ ისინი პოლიტიკურ ფუნქციას ასრულებენ.

როგორც ხედავთ, დეცენტრალიზაციას დიხხაც საპატიო ადგილი უჭირავს ჩვენს სისტემაში. ჩვენ ვალიარებთ ადგილობრივ საჭიროებათა ადგილობრივ ძალებით დაკმაყოფილების აუცილებლობას, მაგრამ ამან არ უნდა აგვიბნოს გზა-კვალი. სახელმწიფო მოწოდებულია შექმნას ყველგან ერთნაირი უფლებრივი კალაპოტი, ადგილობრივი ინტერესების დაკმაყოფილებაც ამ საერთო უფლების ჩარჩოში უნდა ხდებოდეს.

სახელმწიფო ანგარიშს უნდა უწევდეს ადგილობრივ ინტერესებს, მაგრამ თვითღებულ კუთხეს ვალდებულია ანგარიში გაუწიოს საერთო ინტერესებს, საჭიროა მათი შეთანხმება და არა დაპირდაპირება.

## ბ) მთავარი საფრთხე

ამბობენ, თვითმართველ საქართველოში ძალზე გავრცელებულია ეროვნული უთანხმოება, შუღლი და დავიდარაბა იქ მობინადრე ერებ შორის უმწვერვალეს ხარისხს მიაღწევს. ერთი სიტყვით, ულტრა-ნაციონალიზმი და შოვინიზმი – აი მთავარი საფრთხე, რომელსაც იმარჯვებენ თანამოაზრენი და მათ შორის ანიც. საქართველო როგორც თვითმართველი ერთეული, დიდი ბოროტებაა თავის თავათ, ფიქრობს ან. , და ამიტომ დიდის ენერჯით იბრძვის, რომ თავიდან აგვაცილოს ეს მწარე ფიალა.

სამწუხაროთ, უნდა შევნიშნო, რომ ან. ამ შემთხვევაში მეტ ერთგულებას გვიწევს, ვინემ საჭიროა. მართლაც, ის ებრძვის ფედერალისტების მიერ დასახულ საქართველოს თვითმართველობას და გონია, რომ ამით მან დაამტკიცა ყოველგვარ სხვა თვითმართველობის უვარგისობა იმავე

საქართველოსთვის. ანისათვის არსებობს ერთათ ერთი განმასხვავებელი კრიტერიუმი – ტერიტორია, აქედან, მისი აზრით, ვინ აღიარებს საქართველოს თვითმართველობას სულ ერთია, რა სახისა და შინაარსის არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი, ის ნებით თუ უნებლიეთ ხელს უწყობს ნაციონალიზმ-შოვინიზმის გაძლიერებას და კლასობრივ ბრძოლის შესუსტებას. როცა განსხვავება ჩვენსა და ფედერალისტებს შორის ასე მარტივად არის წარმოდგენილი, მე ვშიშობ მართალი არ გამოდგეს „თემის“ რედაქცია, რომელიც დღე მუდამ იმის ცდაშია, რომ ჩამოაგდოს ზავი „ორ დემოკრატიულ პარტიას შორის“!

მე სავსებით ვინაწილებ თანამოაზრეთა უდაო დებულებას, რომ ფედერალისტების თვითმართველობა, გარდა იმ სიდუხჭირისა, რომელმედაც ზევით მქონდა ბაასი, მართლაც მოასწავებს ეროვნულ კოცონის გაჩაღებას, მის ჩაქრობის ან დანელების მაგიერ. (მე სახეში არა მაქვს, რა თქმა უნდა, ამა თუ იმ ფედერალისტის კეთილი განზრახვანი, ანგარიშს ვუწევ მხოლოდ ისტორიულათ აუცილებელ შედეგს, რომელიც უნდა მოჰყვეს მათი იდეალის განხორციელებას). მაგრამ რა შუაშია აქ ტერიტორია? საქართველო, როგორც ასეთი, არავის არ უქადის განადგურებას, ის არ აღვივებს თავის თავად ეროვნულ შუღლსა და დავიდარებას. მაშასადამე, ჩვენ ვებრძვით და უნდა ვებრძოლოთ არა მთლიან საქართველოს, როგორც ასეთს, არამედ იმ იურიდიულ ფორმას, რომელშიდაც უნდა ფედერალისტებს გამოსჭედონ ეს მთლიანობა. ჩვენ უკვე ვიცით, რა ტიპისაა ფედერალისტების თვითმართველობა, აქედან ვიცით ისიც, რა იურიდიულ ფორმას ელტვიან ისინი. საქართველო, მათის აზრით, უნდა გარდაიქმნას სახელმწიფოდ, რას ნიშნავს ეს კონკრეტულათ? იმას, რომ საქართველოს ბურჟუაზიული წარმომადგენლობა აღჭურვილი იქნება უფლებით თავის ნებაზე გადასტრას მცხოვრებთა ბედილბალი: ერთს ასწევს, მეორეს დასწევს, ერთს ააშენებს, მეორეს დააქცევს... ნუ დაივიწყებთ, ფედერალისტებს შეაქვთ საქართველოს წარმომადგენლობის კომპეტენციაში კანონმდებლობა სამოქალაქო და სისხლის სამართლის სფეროში, – აქედან მას, წარმომადგენლობას, ეძლევა სრული საშუალება, მაგ., მთლათ ან ნაწილათ შეზღუდოს ამა თუ იმ ერის შვილთა უფლება კერძო საკუთრებაზე, მოაკლოს მათ კანონის მფარველობა ყოველ-დღიურ ბრძოლაში ლუკმა პურისათვის. რუსეთში, სადაც კანონს გარეშე არიან ამ მხრივს დაყენებული ებრაელები, რამდენათმე პოლონელები, მეტია სიტყვის გაგრძელება იმაზე, თუ რამდენათ სახიფათოა ასეთი ექსპერიმენტები. კერძო საკუთრება, უფლება ყიდვა-გაყიდვისა

და მქონებლობისა არის ქვაკუთხედი თანამედროვე ცხოვრებისა, და თუ მთელი ეს რიგი ეკონომიკური დამოკიდებულებათა განსაზღვრა მიანდევით ადგილობრივ წარმომადგენლობას, მაშინ ნურც ის გაგიკვირდებათ, რომ ამ ნიადაგზე გაჩაღდეს დაუსრულებელი ნაციონალისტური აურ-ზარი. აურ-ზაური, რომელიც მართლაც შეასუსტებს და დააბრკოლებს ყველა ერთა მშრომელ მასსის კლასობრივ შეგნებას და სხ.

მე სრულიად ვეთანხმები ანს, როცა ის ამბობს: „ჩვენ ვებრძვით ტერიტორიას იმდენათ რამდენადათ ის გულისხმობს ბატონობას, ე. ი. „ჩვენ ვებრძვით პრინციპს ბატონობისას და არა სამშობლო ტერიტორიას“. (ხაზი ჩემია) ან კიდევ რა ითქმის ანის შემდეგი სამართლიანი სიტყვების წინააღმდეგ: „ინტერნაციონალისტებს სურთ ტერიტორიაზე ერთი ნაციის ბატონობა მოშალონ. ნუ იქნება ნურც მპყრობელი ერი, ნურც მორჩილი, მათ შორის უნდა მოხდეს სრული გათანასწორება და მით უზრუნველ იქნას თვითეულ ერის კულტურული განვითარება“, დიახ, სრული ჭეშმარიტებაა, ჩვენ ბატონობის წინააღმდეგი ვართ, გვინდა მოვუსპოთ ერთი ერის გაბატონებულ კლასებს საშუალება დაიჯაბნოს მეორე ერი, ვებრძვით ყველა ერის უფლებრივ თანასწორობისათვის და არა რომელსამე მათგანის პრივილეგიებისათვის. სწორეთ ამისათვის და არა სხვა რამისათვის ვებრძვით ჩვენ ფედერალისტების სახელმწიფოებრივ პრინციპებს, რომელიც წინდაწინვე გულისხმობს „ბატონობას“, მპყრობელ და მორჩილ ერს“ და სხ.

ამ რიგათ, ან. მართალია მანამდის და იმდენათ, სანამდის და რამდენათ მისი უარყოფითი კრიტიკა ეხება ფედერალისტების ეროვნულ გეგმას; მაგრამ ის არ სჯერდება ამას და ლამობს კრიტიკა გაავრცელოს მეორე გეგმაზედაც, რომელიც წამოყენებული იქნა კიდევ 1908 წ. აი რას ამბობს ის ამის შესახებ: „არიან ჩვენს თანამოაზრეთა შორის ისეთნი, რომელთაც ჰგონიათ ამიერკავკასიის თვითმართველობა ნაადრევათ, შეუფერებლათ და ამიტომ დასაგმობათ, სამაგიეროთ ისინი აღიარებენ საქართველოს თვითმართველობას. როცა ამას ამბობენ ფედერალისტები, ისინი ლოლიკას მაინც არ ღალატობენ, მათ სურთ საქართველო გადააქციონ სახელმწიფოებრივ ერთეულათ და შიგ გააბატონონ ერთი ერი. ეს ტერიტორიული პრინციპიდან გამომდინარეობს. მარა როცა ამასვე იმეორებენ ამ სახელმწიფოებრივობის უარყოფელნი, ფართო თვითმართველობის და კულტურული ავტონომიის მომხრენი, აქ ლოლიკა დარღვეულია“. (ხაზი ჩემია).

მე არ ვიცი, ვინ თვლიდა ამიერ-კავკასიის თვითმართველობას „შეუფერებლათ“ ან დასაგმობათ, ვიცი მხოლოდ, რომ იყო ერთ დროს გამოთქმუ-

ლი რამოდენიმე მოსაზრება იმ სიძნელეთა შესახებ, რომელიც წინ ელობება ამ გეგმის განხორციელებას. მართალია, ფედერალისტებმა ბევრი ეცადნენ დემაგოგიურათ გამოეყენებინათ ეს მოსაზრება, მაგრამ მათ მაშინვე გაეცა შესაფერი პასუხი და არ მეგონა, თუ ვინმე, ისიც ჩვენი ბანაკიდან, მოხვდებოდა ამ უშნოთ დაგებულ ბადეს. სჩანს, მე ვცდებოდი და თვით ანს დამართია ეს საჯაყი საქმე! არსებითათ ამ საგანს მე შევეხები მაშინ, როცა ან. უფრო კონკრეტულათ დასაბუთებულათ წამოაყენებს თავის ბრალდებას. ამ ჟამად კი საკმარისია პირდაპირ განვაცხადო, რომ ამიერ-კავკასიის თვითმართველობა შესაფერისიცაა და სასურველიც. ეს სხვათა შორის.

ან. უწუნებს ლოლიკას იმათ, ვინც ემხრობა საქართველოს თვითმართველობას; დიდათ სამწუხაროა, რომ სწორეთ ან, ასე მსუბუქათ ეპყრობა არა თუ ლოლიკას, არამედ საკითხის არსებით მხარესაც. მან დაივიწყა ის, რაც თვითონვე თქვა: „ჩვენ ვებრძვით პრინციპს ბატონობისას და არა სამშობლო ტერიტორიას“, – ზევით მოყვანილ გრძელი ციტატიდან კი შეიძლება ასეთი დასკვნა გამოიყვანოს მკითხველმა, თითქო ან. ებრძვის არა „ბატონობას“, არამედ „სამშობლო ტერიტორიას“! მართლაც, გამოდის, თითქო ჩვენ დანიშნულებას შეადგენს ბრძოლა ერთეულ საქართველოს წინააღმდეგ მაშინაც კი, როცა ის არ გულისხმობს ბატონობას! თითქო მთელი ერი, პირველ რიგზე, მშრომელი მასსა ყელამდე დაინტერესებული იყოს საქართველოს დაქსაქსულათ არსებობაში! რა თქმა უნდა, ასეთი უგუნური აზრი შეუძლიათ მოგვაწერონ ჩვენ მოპირდაპირეებმა, რასაც ისინი კიდევ სჩადიან დღე მუდამ დემაგოგიურის მიზნით, ნამდვილათ კი ერთიც არ მოიპოვება ჩვენს ბანაკში ისეთი, ვინც იზიარებდეს მას.

თვითონ, ან. აცხადებს, რომ ისინი, ვინც „თანამოაზრეთა შორის“ არიან, უარყოფენ სახელმწიფოებრივობას და აღიარებენ თვითმართველობას, – ერთი მიბრძანეთ, სადაა აქ ულოლიკობა? ან იქნებ ეს ზოგადათ გამოთქმული აზრი მაშინ იქცევა ულოლიკოდ, როცა მას ვუფარდებთ საქართველოს? გამოდის, რომ ამგვართ, თვითმართველობა, თავისთავად აღებული, არ გულისხმობს „ბატონობას“, მაგრამ საკმარისია, იგი მიეცეს საქართველოს, რომ მაშინვე წარმოშვას „ბატონობა“! მე ვთხოვ მკითხველს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამ ადგილს, ანის და ჩვენი უთანხმოების კვანძი სწორეთ აქ არის. ან. , რამდენათ მე ვიცი, ამიერ-კავკასიის თვითმართველობის თავგამოდებული მომხრეა, – მაშ მე უფლება მაქვს დავუყენოთ მას შემდეგი კითხვა: თუ ამიერ-კავკასიის თვითმართველობა არ გულისხმობს „ბატონობას“, რატომ უნდა გულისხმობდეს მას საქართველოს

თვითმართველობა? ესე იგი, არის თუ არა ანისათვის ლოლიკა ისეთივე სავალდებულო, როგორც, მაგ., ჩემთვის? და თუ არის, რაშიდაც მე იჭვივ არ მეპარება მაშინ ის ვალდებულია ერთმანეთში არ გარიოს ფედერალისტების გეგმა, ერთის მხრით, და თანამოაზრეთა გეგმა, მეორეს მხრით. დროა ბოლო მოეღოს ამ ორ ერთმანეთთან შეურიგებელ გეგმის ერთ როდინში ნაცვას; დროა ვცნოთ, რომ ის, რაც ითქმის ფედერალისტების გეგმის წინააღმდეგ, არ ითქმის და არც ეხება თანამოაზრეთა გეგმას.

არ ეხება იმიტომ, რომ ფედერალისტები ერთეულ საქართველოში, თანახმად თვით ანის განცხადებისა, გულისხმობენ სახელმწიფოს, მაშინ როდესაც მე მასში ვგულისხმობ თვითმართველობას. აიღეთ ახლა ამიერკავკასია და დაუშვით ერთ წუთს, რომ ვინმე ჩვენგანი თხოულობს მისი სახელმწიფოდ გამოცხადებას. რას ვიტყვით ჩვენ ამ შემთხვევაში? იმას, რომ ეს ვაჟბატონი ფედერალისტია აზროვნებით და განსხვავდება მისგან მხოლოდ იმიტომ, რომ ის სახელმწიფოებრივ პრინციპს ავრცელებს უფრო დიდ ტერიტორიაზე, ამიერ-კავკასიაზე. აქედან ცხადია, ჩვენ ვუჭერთ მხარს ერთეულ ამიერკავკასიას იმდენათ, რამდენადაც თვითმართველობითი პრინციპის მატარებელია, რომ საქმე სხვაგვარ ყოფილიყო, ჩვენ უნდა გავვეწიო ისეთივე ბრძოლა ამიერ-კავკასიის თვითმართველობისათვის, როგორსაც ვუწევთ საქართველოს თვითმართველობას – სახელმწიფოს.

თქმულიდან შეიძლება ერთი დასკვნის გამოყვანა: საქართველოს თვითმართველობა არ ეწინააღმდეგება არც ლოლიკურათ, არც პრინციპიალურად ჩვენ ზოგად ეროვნულ პროგრამას. და თუ ან. მაინც წინააღმდეგ არის საქართველოს თვითმართველობისა, მან უნდა დაამტკიცოს ამ უკანასკნელის უსაფუძვლობა არა პრინციპების და ლოლიკის ძალით, რაიცა ყოვლად შეუძლებელია, არამედ სხვა რამით.

ერთი ასეთი ვითომდა საბუთი მე უკვე დავასახელე – ეს ის, რომ საქართველოს თვითმართველობა გვიქადის მეტ ნაციონალისტურ ნჯღრევას და აურ-ზაურს, ვინემ ამიერკავკასიის თვითმართველობაო, ნუ თუ მართალია ეს აზრი? არა, არ არის მართალი. ამიერ-კავკასია კიდევ უფრო აჭრელებულია ეროვნულათ, ვინემ საქართველო; პირველში გაცილებით უფრო დიდია განსხვავება ერთა შორის კულტურულათ და ეკონომიურათ, ვინემ მეორეში, – აქედან პირველში ნაციონალიზმ-შოვინიზმს უფრო მაღლიანი ნიადაგი ექნება, ვინემ მეორეში.... მაგრამ მე არ გამოვუდგები ამ მეტ-ნაკლებობას. ვთქვათ, იქაც და აქაც ერთი და იგივეა განწყობილება ერთა შორის; არ ვფიქრობ, ანმაც წავიდეს იმაზე შორს, შეუძლებელია დაუშვას მან,

რომ საქართველო მეტ მასალას იძლევა ეროვნული შუღლისათვის, ვინემ ამიერ-კავკასია! მაშ რაშია საქმე, რატომ ფიქრობს ან. , როცა საქართველოს თვითმართველობა ქვეყნის დაქვევას მოასწავებს, ხოლო ამიერ-კავკასიის თვითმართველობა „კაცთა შორის სათნოებას“?!

ამიტომ, რომ მან თავდაპირველადვე გააკეთა შემცდარი ნახტომი, ასე რომ მისთვის ახლა სახიფათოა უკან გადმოხტომა. ან. ისე გაიტაცა ევ. წოდ. ტერიტორიალურ პრინციპის წინააღმდეგ ბრძოლამ, რომ მას სრულიად დაავიწყდა სხვა ყველაფერი, ისიც კი, რომ ამიერ-კავკასიის თვითმართველობაც ერთ მთლიან ტერიტორიას გულისხმობს. სწორეთ ეს გულმავიწყობაა მიზეზი, რომ ან. სრულიად გაუგებრათ საქართველოს ტერიტორიალურ თვითმართველობას ებრძვის, მაშინ როდესაც ის თავგამოდებით ექომაგება ამიერ-კავკასიის ტერიტორიალურ თვითმართველობას. ულოლიკობა იმას ქვია, როცა ერთსა და იმავე დებულებიდან ორი სხვა და სხვა დასკვნა გამოყავს. დებულება: ამიერკავკასიაში, ისე როგორც საქართველოში მრავალი ერი ბინადრობს; დასკვნა: ამიერკავკასიის საჭიროა მიეცეს თვითმართველობა, საქართველოს არა! ან კიდევ დებულება: თვითმართველობა კაი ხილია თავის თავად; დასკვნა: ამიერ-კავკასიისათვის გამკურნებელი დესერტია ეს ხილი, ხოლო საქართველოსათვის საწამლაკი!

თუ ერთ შემთხვევაში მრავალი ერის ბინადრობა არ ყოფილა საკმარისი დაბრკოლება, რატომ უნდა ვთვლიდეთ მას მეორე შემთხვევაში გარდაუვალ დაბრკოლებად! ანს რომ არ დავიწყნოდა ეს უბრალო რამ, მაშინ ის არ მიაკუთვნებდა სტატისტიკას, და ისიც ოფიციალურს, გადამჭრელ მნიშვნელობას; მაშინ ის მიხვდებოდა, რომ ის, რასაც ის ამბობს საქართველოს შესახებ სავსებით შეიძლება ითქვას ამიერ-კავკასიის შესახებ. ერთხელ და სამუდამოთ უნდა დავიმახსოვროთ: სტატისტიკას, ე. ი. ეროვნულ შემადგენლობას მაშინ აქვს გადამჭრელი მნიშვნელობა, როცა იცავენ სახელმწიფოებრივ პრინციპს; მას ეკარგება ასეთი მნიშვნელობა, როცა სახეში აქვთ თვითმართველობითი პრინციპი. საქართველოს ეროვნულათ აჭრელება, თუ გინდ ის ანვიით გაზვიადებულათ გვექონდეს წარმოდგენილი, არაფერს ამტკიცებს თავის თავათ, სანამ ჩვენ თვითმართველობით ნიადაგს არ გავცილებივართ; ამიტომ საქართველოს თვითმართველობა კიდევ არ მოასწავებს ქართველი ერის გაბატონებას, მაგ. , სომხის ერზე.

რას მოვითხოვთ ჩვენ ეროვნულ პროგრამისაგან? იმას, რომ მან ძირშივე მოუსპოს გაბატონებულ კლასებს უფლებრივი საშუალება დაიჯანბნოს რომელიმე ერი. თავი და თავი ამ შემთხვევაში არ არის ტერიტორიის სი-



დიდე ან სიცოტავე, არა ამიერ-კავკასია და საქართველო, არამედ კომპეტენცია. თუ საქართველოს წარმომადგენლობას მივაკუთვნებთ ის უფლება, რასაც აკუთვნებენ მას ფედერალისტები, მაშინ ჩვენ ორივე ხელით ვაძლევთ ქართველ ბურჟუაზიას უფლებრივ, ასე ვთქვათ, ლეგალურ საშუალებას დაჯახნოს სომხის ერი; თუ, პირიქით, ჩვენ არ ვცნობილობთ საქართველოს წარმომადგენლობას ასეთ ფართე უფლებებს და მხოლოდ თვითმართველობით კალაპოტში ვსვამთ მას, მაშინ შეუძლებელია, ქართველ ბურჟუაზიის უფლებრივი გაბატონება სომხის ერზე. არ შეიძლება „მპყრობელ და მორჩილ“ ერზე ლაპარაკი იქ, სადაც თვით ერი არ არის მპყრობელი, უზენაესის მფლობელი, სადაც ადამიანის ძირითადი მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებების განმსაზღვრელი ცენტრია.

არის ერთი გარემოება, რომელიც ლაპარაკობს საქართველოს თვითმართველობის სასარგებლოთ. ან. დიდი მომხრეა კულტურულ-ეროვნული თვითმართველობის, რაც მე დასაწყისშივე მივულოცე მას, მაშასადამე, თანახმად ამ პრინციპისა, სომეხ ერს როგორც ამიერ-კავკასიაში, ისე საქართველოში, უნდა მიეცეს სრული თვითმართველობა თავის კულტურულ საქმეებში. საქართველოს თვითმართველობიდან უნდა გამოიყოს არა მარტო სომხის, არამედ ყველა ერთა, გარდა ქართველობისა, კულტურული საქმეები და გადაეცეს თვითეულის ეროვნულ დაწესებულებებს. ამ რიგით, ქართველი ერის გაბატონებულ კლასებს, გარდა სახელმწიფოებრივი იარაღისა, ხელიდან ეცლება თვითმართველობითი იარაღიც: მათ არ ექნებათ უფლება ჩაერიონ სომხის და სხვა ერების კულტურულ საქმეებში. არა მგონია ანმა სთქვას, პრინციპი კულტურულ-ეროვნული თვითმართველობისა ისეთივე კარგ ნაყოფს არ გამოიღებდეს საქართველოში, როგორსაც ის გამოელის მისგან ამიერ-კავკასიაში.

რა საკვირველია, ეს ვერ მოისპობა საქართველოში, ისევე როგორც ამიერ-კავკასიაში, ყველა ერთა ბურჟუაზიის თანდაყოლილ ზნეს წაუსისინოს ერთი ერი მეორე ერს, გადაჰკიდოს ისინი ერთმანეთს. ანის შრომა, საშუაბაროთ, ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, თითქო მისმა ავტორმა გამონახა „ფილოსოფიური ქვა“, რომელიც სპობს საბოლოოთ ეროვნულ ბრძოლას ამიერ-კავკასიაში. ასეთ ილუზიებს დიხახც არ ინაწილებდა ის, ვინც პირველათ წამოაყენა ჩვენში კულტურულ-ეროვნული თვითმართველობის იდეა. უკანასკნელი უებარი საშუალებაა ნაციონალიზმ-შოკინიზმთან საბრძოლველათ, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს რომ მას შეუძლია მთლათ გააუქმოს თანამედროვე ცხოვრების ერთი ძირითადი

მოვლენა: ბრძოლა ბურჟუაზიის ეროვნული ბატონობისათვის. ნუ დაივიწყებთ, ამ მოვლენის საფუძველი ეკონომიაში მარხია, ბურჟუაზია იმარჯვებს ეროვნულ დროშის თავის კლასობრივ პოზიციის განსამტკიცებლათ; ამ თვალთმაქცობას და დემაგოგიას ჩვენ მხოლოდ მაშინ დავაღწევთ თავს, როცა მას ფეხიდან გამოვაცლით ეკონომიურ საფუძველს. ამიტომ ამა თუ იმ ეროვნულ გეგმას ჩვენ უნდა ვერიდოთ მივარწეროთ მეტი მნიშვნელობა, ვინემ მას აქვს ნამდვილათ.

### 6) ეკონომიკური თვალსაზრისი

ანს მოჰყავს მეორე საბუთიც საქართველოს თვითმართველობის წინააღმდეგ. ის ამბობს: „ამათ, ე. ი. ვინც საქართველოს თვითმართველობას ექონიან, პირველ ყოვლისა უნდა დაამტკიცონ ის, რომ საქართველო ეკონომიურათ მთელია, რომ ის ამიერ-კავკასიისაგან გამოყოფილი ეკონომიურათ თავისი ღონით განვითარდა, ამის დამტკიცება ყოვლად შეუძლებელია“. ან. მკაფიოთ სვამს მეორე ადგილას კითხვას: „საქართველო წარმოადგენს თუ არა ერთ ეკონომიურ ორგანიზმს?“ – და გადაჭრით უპასუხებს: „არა, არ წარმოადგენს“.

ეს საბუთი პირველ შეხედვით ახდენს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს მასთან გამკლავება „ყოვლად შეუძლებელი“ იყოს; ჩვენ, მარქსისტები, ეკონომიურ თვალსაზრისს მართლაც უპირველეს ადგილს ვუთმობთ, მაგრამ ეს კიდევ არ გვანთავისუფლებს იმ ელემენტარულ მოვალეობისაგან, რომ ის გამოვიყენოთ შესაფერის დროს და შესაფერის ადგილას. სანამ ან. ებრძოდა ფედერალისტების თვითმართველობას, ის ვალდებული იყო გამოეყენებია ეს საბუთი. (რა თქმა უნდა, მან რამდენათმე გადაცდა ზომას ამ მხრივ, ვინაიდან ფედერალისტებს მიაწერა ბაჟის დაწესების მომხრეობა საქართველოს საზღვრებზე, რაიც, თუ მახსოვრობა არ მღალატობს, ამოფხეკილია მათ უკანასკნელ პროგრამიდან). მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ იქ, სადაც ვარკვევდი ჩვენსა და ფედერალისტების ეროვნულ პოზიციას, მე საკმაო ნათლათ დავამტკიცე, თუ რამდენათ შეუსაბამოა ფედერალისტების პროგრამა საქართველოსთვის სწორეთ ეკონომიურის თვალსაზრისით. საქართველოს სახელმწიფოებრივობა, მასზე სამოქალაქო და სოციალურ კანონდების დაკისრება ეწინააღმდეგება ერის ეკონომიურ განვითარებას; საქართველოს ეკონომიური განვითარება მჭიდროთ არის დაკავშირებული ამიერ-კავკასიის, მთელი რუსეთის ეკონომიურ განვითარებასთან. ეს საანბანო რამ ავიწყდებათ ფედერალისტებს, ალბათ იმიტომ,

რომ ისინი გახვეულ არიან გასულ საუკუნეების ბურუსში და სათანადო ანგარიშს ვერ უწევენ საამდროვო კითხვებს.

მაგრამ, როცა ან. ამავე საბუთს იმარჯვებს საქართველოს თვითმართველობის წინააღმდეგ, მე განცვიფრებული ვარ. თვითმართველობა, ანის აზრით, მოასწავებს საქართველოს ეკონომიურათ გამოყოფას ამიერკავკასიისაგან! საიდან გამოიყვანა მან ეს დასკვნა? ალბათ იქიდანვე, საიდანაც ყველა სხვა დასკვნები! პირდაპირ სავალალოა, რომ ტერიტორიის საკითხმა ამდენი გაურკვეველობა დაბადა ანის შრომაში. ნუ თუ არ იცის ანმა, რომ პრინციპი თვითმართველობისა, როგორც ეს გვესმის არამცთუ მე, არამედ თვითონ მასაც, დიამეტრულათ ეწინააღმდეგება ყოველგვარ კარჩაკეტილობას როგორც პოლიტიკურს, ისე უფლებრივს? თავის თავად მისახვედრია, თვითმართველი საქართველო ღია უნდა დარჩეს ყველასათვის და ყველაფრისათვის, ე. ი მის საზღვრებზე არ უნდა აიმართოს არავითარი კედელი როგორც ადამიანთა მიმოსვლის, ისე საქონლის გადაზიდვა-გადმოზიდვის შემზღუდველი. ქართველი ერი ყელამდე დაინტერესებულია, როგორც ამას თვითონ ან. ამბობს, რომ მას არ შეეზღუდოს უფლება თავისუფალ მიმოსვლისა მის სამშობლოს გადაღმა, აქედან მას არ შეუძლია, თავის მხრით, სხვასაც აუკრძალოს საქართველოში მიმოსვლისა. პრინციპი თვითმართველობისა არ შეიცავს არც საქართველოს ქვეშევრდომობას, არც განსაკუთრებულ ქართულ უფლებას, – აქედან თვითეული ახლათ ჩამოსახლებული ისეთივე უფლებრივი პირობებში ვარდება საქართველოში, როგორც ბატონობს მთელს რუსეთში. მეტსაც ვიტყვი. დემოკრატიული პრინციპი, რომლის მომხრე ჩვენ ვართ, თავის თავათ გულისხმობს აგრეთვე იმასაც, რომ თვითეულ ახლათ ჩამოსახლებულს ეძლევა თანასწორათ ძირეულ მოსახლეებთან სრული უფლება მონაწილეობა მიიღოს როგორც საქართველოს ისე მის ნაწილების თვითმართველობაში.

საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ აქვს ანს წარმოდგენილი ამიერ-კავკასიის თვითმართველობა, შეიძლება მისი აზრით, ეს თვითმართველობა ამიერ-კავკასიის ეკონომიურათ რუსეთისაგან გამოყოფას მოასწავებს! ასეთი ფრაცაკი რამ არც ერთს თანამოაზრეს არ უფიქრია, არა მგონია, რომ ან. ექომაგებოდეს მას. როცა ვამბობთ, ადგილობრივი საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ ადგილობრივი ორგანოებია აუცილებელი, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენ ცენტრისაგან ეკონომიური გამოცალკევების მომხრე ვართ, – ეს ორი დებულება ისე განსხვავდება მეორესაგან,

როგორც ცა დედა-მიწისაგან, მაშ რა უფლებით აწერს ან. საქართველოს თვითმართველობის დამცველთ საქართველოს ეკონომიურათ ამიერ-კავკასიისაგან განცალკევების მომხრეობას? თუ ეს უტოპიური აზრი არ მოგსვლია ჯერ კიდევ ამიერ-კავკასიის მიმართ, რატომ მაინდამაინც საქართველოს მიმართ უნდა მოგსვლოდა ის? ან იქნებ ვინმე ჩვენგანი ფიქრობს, რომ საქართველო ეკონომიურათ უფრო დიდათ განსხვავდება დანარჩენ ამიერ-კავკასიისაგან, ვინემ უკანასკნელი რუსეთისაგან? ეს ხომ სინამდვილის, მთელი ისტორიის თავდაყირა დაყენება იქნება!

მე მახსოვს, ლ. დარჩი, იყო პირველი თანამოაზრეთა შორის, რომელმაც მიუთითა, თუმცა ძლიერ ბუნდოვნათ და გაუბედავათ, საქართველოს საბაჟო პალოებით შემოკავების საჭიროებაზე; მახსოვს ისიც, რომ მას მოახსენეს ჩვენი ბანაკიდან, რომ ის მეტის ერთგულობით უფრო შორს მიდის, ვინემ თვით ფედერალისტები. სწორედ მარქსისტული მსოფხედველობა გვავალებს ჩვენ ანგარიში გავუწიოთ თანამედროვე ცხოვრების ერთ ძირითად მიდრეკილებას, რომელზედაც მე უკვე მქონდა ბაასი: ეკონომიკური განვითარება არამც თუ ერთ სახელმწიფოში, არამედ ყველა განათლებულ სახელმწიფოშიც თანაბარ პირობებს წარმოშობს, აქედან უფლებაც თანაბარი მყარდება ყველგან. ანიც, რა თქმა უნდა, ამ აზრისაა და იმოწმებს შპრინგერის შემდეგ სიტყვებს: „უფლების ერთობა არის ფორმალური გამოხატულება და მატერიალური გარანტია ეკონომიური ერთობის, რამდენი ოლქი და ერიც უნდა შედიოდეს ერთ ევროპიულ სახელმწიფოში, რა ფართოც არუნდა იყოს მისი საზღვრები ამ კითხვებში, მას შეუძლია შექმნას ერთობა, ვინაიდან ევროპის სახელმწიფოები და თითქმის მთელი განათლებული ქვეყანა ყოველ დღე უახლოვდებიან ერთმანეთს უფლებრივი და ეკონომიური წყობილებით“. მე იმიტომ განვიმეორე ეს საანბანო რამეები, რომ ერთხელ და სამუდამოთ მოსპობილიყო მოაზრეთა შორის კამათი მათ შესახებ.

ამ რიგათ, ან. სასტიკათ ცდება, თუ გონია, რომ მისი „ეკონომიური“ საბუთი ოდნავ მაინც არყევს საქართველოს თვითმართველობის მომხრეთა პოზიციას, მან თვით კითხვაც მრუდეთ დასვა, რამდენათ მას სახეში თანამოაზრენი ყავდა. ჩვენთვის სულაც არ არსებობს კითხვა იმის შესახებ, არის თუ არა საჭირო ამიერ-კავკასიის და აქედან საქართველოს ეკონომიურათ გამოცალკეება, მაგრამ იმავე დროსვე სასარგებლოა ვიცოდეთ, რამდენათ ძლიერია საქართველოს მკვიდრთა გაერთიანების პროცესი ეკონომიურ ნიადაგზე. მაშასადამე, არა საქართველოს ეკონომიკური დამოუკი-

დებლობა, რაც მისთვის სიკვდილს მოასწავებდა, არამედ საქართველოს მკვიდრთა თანდათან გაერთიანება სწორეთ ეკონომიურ ნიადაგზე – აი, საძირკველი რომელზედაც უნდა აშენდეს მომავალი თვითმართველობა.

მე ჩემი მხრივ სიტყვასაც არ დავხარჯავ იმის დასამტკიცებლათ, რომ ეს გაერთიანების პროცესი ძლიერის ნაბიჯით მიდის წინ ჩვენში. ამისათვის საკმარისია მოვიყვანო ფრიად საყურადღებო სტრიქონები ანის შრომიდან: „მას შემდეგ, რაც ჩვენში შეიჭრა კაპიტალიზმი და წარმოების ღერძად გადაიქცა, გლეხობაც გამოვიდა თავის კარნაკეტილ მდგომარეობიდან და ყიდვა გაყიდვაში ჩაება. ის შეუდგა ისეთი ნაყოფის შემუშავებას, რასაც გასავალი აქვს ბაზარზე. ის ყიდის თავის ნაწარმოებს და ყიდულობს სხვისას. ამიტომ ის იძულებულია იაროს ახლო მახლო ქალაქებში, დაბებში, რკინის გზების სადგურებზე, ხშირად გუბერნიის ქალაქებშიაც. სოფლები ტრიალებენ ახლო მდებარე ქალაქებზე გარშემო, ხოლო ქალაქები ხომ კულტურის ცენტრებია. მეორე მხრით გლეხის უმცროსი ძმები, მოზრდილი ვაჟები და ხშირად ქალებიც გადიან სამუშაოს საძებნელათ შორეულ ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებში. აქ ერთმანეთს ხვდებიან გურული, მეგრელი, იმერელი, ქართველი – საქართველოს ყველა კუთხის ქართველი, ერთმანეთს ეცნობიან, ერთ უღელში ებმებიან“... ეს გრძელი ამონაწერი, როგორც მკითხველი შეამჩნევდა, მჭერმეტყველურათ ამტკიცებს იმას, რისი დამტკიცება საჭირო იყო, და მე სრულიად მათავისუფლებს ამ მოვლენებისგან. საქართველო დღეს არ წარმოადგენს ეკონომიურათ დაქსაქსულს და კარნაკეტილ კუთხეთა გროვას, ამაშია მისი ძალა, ამაში გამოიხატება მისი თვითმართველ ერთეულად გამოცხადების *raison d'être*... კულტურულ ერთობას მაშინ ეყრება მტკიცე საძირკველი, როცა ის ეყრდნობა ეკონომიურ ერთობაზე. სწორეთ ამ ძირითად მიზეზ-შედეგის აუცილებლობაზე ემყარება ჩვენი ერის მომავალი და არა იმაზე, რომ ხარბინ-მოსკოვ ბაქოს ერთ მუჭა ქართველობას მიეცემა საშვალეება ქართული სკოლა და თუ გინდ სამეცნიერო აკადემია დაიარსოს.

და რაც ქართველებზე ითქვა, იგივე ითქმის დანარჩენ ეროვნებათა წარმომადგენლებზე საქართველოს საზღვრებში. ესენიც თავს აღწევენ ყოველგვარ კარნაკეტილობას და ეკონომიურათ უახლოვდებიან როგორც ერთმანეთს, ისე ქართველებსაც. ამ ეკონომიურ გაერთიანების ნიადაგზედ ვითარდება თვითეულ არაქართველ ეროვნების კულტურა.

როცა საქართველოს თვითმართველობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ არ უნდა გამოგვეპაროს მხედველობიდან წარსული ჩვენი ისტორიული ცხოვრებაც. არაქართველების დიდი უმრავლესობა გუშინ როდი ჩამოსახლებულა საქართველოში. ისინი დიდი ხნიდან ცხოვრობდნენ ქართველების გვერდით და მათთან ერთად იტანდნენ ისტორიულ ქართვეილს. ეკონომიური და პოლიტიკური ერთობა, რამდენათ ეს შესაძლებელი იყო ფეოდალურ ხანაში, ერთგვარათ აკავშირებდა ქართველსა და არაქართველს. ამ ნიადაგზედ შემუშავდა დაახლოებით მზგავსი ზნეჩვეულებანი და ტრადიციები, მზგავსი სიმპატია-ანტიპატია.. ურთიერთ შეთვისება და გაგება ქართველსა და არაქართველს შორის თვალსაჩინო ფაქტორს წარმოადგენდა წარსულში. ამას, სხვათა შორის, ხელს უწყობდა ორი გარემოება: ა) ქართველები ეწოდნენ სოფლის მეურნეობას, არაქართველები (სომხები, ებრაელები) – ვაჭრობას, აქედან სამეტოქო ასპარეზი არ არსებობდა, თითქმის არ არსებობდა მათ შორის, ხდებოდა ერთგვარი შრომის განაწილება; ბ) არ არსებობდა ტეხნიკური დაბრკოლებაც, ე. ი ვაჭარი სომეხი და ებრაელი ლაპარაკობდა მუშტრის – ქართველის ენაზე...

წარსული, რა თქმა უნდა, იმდენათ არის ჩვენთვის ღირსი ყურადღებისა, რამდენათ ის არ ეწინააღმდეგება აწმყოსა და მომავალს. ამ მხრივ კი ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ის განწყობილება, რომელიც ძველიდანვე დამყარებულია სხვა და სხვა ერთა შვილებ შორის, კიდევ უფრო გართულდა და განმტკიცდა ჩვენს დროში. მე განზრახ არ ვეძახი ამ განწყობილებას „მეზობლურს“, როგორც ეს მიღებულია ხმარებაში ნაციონალისტთა ბანაკში, რადგან ქართველები და არაქართველები სრულიად თანასწორ უფლება-მოვალეობის სუბიექტნი არიან და უნდა იყვნენ საქართველოში.

აწმყო იმით განსხვავდება წარსულისაგან, რომ ქართველებიც ჩაებნენ ვაჭრობა მრეწველობის ფერხულში. ეს გარემოება იწვევს მეტოქეობას და შულლს ქართველებსა და არაქართველებს შორის. მაგრამ მარტო ამ მიზეზით განა ვინ შებრძოლებია ამა თუ იმ კუთხეს, ამა თუ იმ სახელმწიფოს მთლიანობას? ასეთი მრუდე აზროვნება, როგორც დავინახეთ, ლოდიკურათ ამიერ-კავკასიის, თვით რუსეთის მთლიანობის წინააღმდეგ გალაშქრებაზედ მიგვიყვანდა. ნუ დავიწყებთ, მეტოქეობა და შული მიძინვარებს მხოლოდ ქართველ და არაქართველ გაბატონებულ კლასთა შორის, რაც შეეხება მშრომელ კლასებს, მათ შორის სამეტოქო და სადავიდარაბო არაფერია, პირიქით, ისინი ყელამდე დაინტერესებული არიან მხარ

და მხარ იდგნენ სოციალურ ბრძოლის ველზე და საერთო ძალით გაუმკლავდნენ როგორც „მოძმე“ ისე“ არამოძმე“ გაბატონებულ კლასებს.

და ესე მათ ოქროს ასოებით აღბეჭდეს განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს. ვის არ ახსოვს მაშინდელი ღირშესანიშნავი ლოზუნგი „ერთობა“, რომელიც ერთ დროშის ქვეშ მოუწოდებდა საქართველოს ყველა ერთა მშრომელ კლასებს, რომელიც აღუწერელ აღფრთოვანებას იწვევდა ამ კლასებში? სწორეთ ხსენებულ მოქალაქობრივ ომის დროს დამტკიცდა საქართველოს დემოკრატიის ერთსულოვნება საუკეთესო მომავლის მისაღწევათ.

ამავე ხანაში, მრავალ საუკუნეების შემდეგ, პირველათ ვიხილეთ ჩვენ ქართველი ერი, როგორც კულტურული მთლიანი, როგორც ეროვნება. მაშინ გამოტყრდა ისიც, რომ ქართველი მუშათა კლასი ადრე თუ გვიან ალღოს აუღებდა ამ საეპოქო მოვლენას, რომ ის იქცეოდა მშობელი ერის დიდ უმრავლესობის მებაირალტრედ და არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეროვნულ თავისუფლების მოპოვების საქმეშიც.

ანჩი1 . „ერი და ჩვენ“. ქუთაისი. 1915;









---

## ვლადიმერ (ლადო) დარჩიაშვილი (1874–1916)

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, პარტიის ავტონომისტთა ჯგუფის ლიდერი, გაზეთების „ალიონისა“ და „ახალი კვალის“ რედაქტორი. დაიბადა კახეთში, თბილისის სასულიერო აკადემიის დასრულების შემდეგ, 1898–1905 წლებში სწავლობდა პარიზსა და ბრიუსელში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ გახლდათ 1905 წლის რევოლუციის მონაწილე, მოითხოვდა ქართული სოციალ-დემოკრატიის რსდმპ-დან გამოყოფას. „ოხრანკის“ რეპრესიების თავიდან ასაცილებლად 1912 წელს გაიქცა რუსეთის იმპერიიდან. პირველი მსოფლიო ომის დროს დაიჭირეს გერმანიაში, როგორც მსოფლიო ომში მონაწილე საწინააღმდეგო ბლოკის წევრი ქვეყნის მოქალაქე. 1916 წელს გარდაიცვალა პატიმრობაში.

## ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი

### I – წინასწარი მოსაზრებანი.

თანამედროვე მკითხველს ალბათ არა ერთხელ გაუგონია, რომ ნაციონალიზმი ბურჟუაზიის ბაირალია, ხოლო ინტერნაციონალიზმი სხვილი ასოებით წარწერილია პროლეტარიატის დროშაზე... მაგრამ რას ნიშნავს ნაციონალიზმი ან რას წარმოადგენს ინტერნაციონალიზმი? რას შეიცავს ან ერთი ან მეორე, როგორია მათი ურთიერთშორისი განწყობილება? აი ეს კი, სამწუხაროთ, არამც თუ ფართე მასსას არ გაეგება საცხებით, თვით ჩვენ მკითხველთა ვიწროთ შემოფარგლულ წრეებსაც არა აქვს კარგათ გათვალისწინებული. და ეს არც საკვირველია, მით უფრო, რომ ლიტერატურასა და პრესაში თვითეულ აღნიშნულ ტერმინს სხვა და სხვა აზრით ხმარობენ, ხშირათ ერთი და იგივე მწერალიც კი, მათ სხვა და სხვა მნიშვნელობას აძლევს. ამას დასძინეთ ისიც, რომ ხშირათ პარტიულ ბრძოლის ვნებათა ღელვა მეტათ ართულებს და ხლართავს საკითხის გარკვევას. მოვიყვანოთ მაგალითი ამ რამდენიმე თვის წინათ ერთი ს. დ. გაზეთი<sup>1</sup> თავის საპოლემიკო წერილს იმით აბოლოვებდა, რომ ს. ფ-ს<sup>2</sup> ურჩევდა პირბადე აეხსნათ და აშკარად მდგარიყვნენ ნაციონალისტების ბანაკში. ამაზე მოწინააღმდეგე ორგანო ამაყურათ უპასუხებდა: „ჩვენ არაფერი საერთო არა გვაქვს ქართველ ნაციონალისტებთანო!“ რამდენიმე კვირის შემდეგ იგივეს. ფედ. ორგანო სწერდა: ადამიანთა საზოგადოების განვითარება ორ ღერძზე ტრიალებს, ერთია კლასთა ბრძოლა და მეორე ნაციათა ბრძოლა, ამიტომ ჩვენი მიზანია ჰარმონიულათ შევავერთოთ ნაციონალიზმი და სოციალიზმიო, ს. ფ. ხან იცავენ და ხან უარყოფენ ნაციონალიზმს. სოც. ფედერალისტების ბანაკში არც შეიძლება უკეთ იყოს საქმე დაყენებული, მაგრამ ვეროვან ვითარებას ვერ ვხედავთ ვერც დღევანდელ ჩვენს ს. დ. პრესაში.

ანმა ამ ბოლო დროს გამოაქვეყნა მთელი რიგი წერილებისა, სადაც ის არკვევს აღნიშნულ საკითხთ. სიმართლე უნდა მივუძღოთ, ეს წერილები უფრო საყურადღებოა და სერიოზული, ვიდრე ყველა ის, რაც კი არსებულ საგანზე ქართულ პრესაში დაიწერა ამ ბოლო ხანებს. ანი არღვევს ნაციონალურ ბრძოლის ზედაპირს, ცდილობს ჩაგვახედოს მის გულის სიღრმეში და გვაჩვენოს თუ იქ როგორ არის ჩაქსოვილი კლასიური ინტერესები;

1 იგულისხმება სოციალ-დემოკრატიული გაზეთი

2 იგულისხმება სოციალისტ-ფედერალისტური პარტია

მაგრამ, სამწუხაროთ, ამ თვალთა ხედვის წერტილს იგი ბოლომდის ლოლიკურათ ვერ ატარებს, მას წამ და უწუმ სცდება; ამიტომ მის წერილებში სწორე და მრუდე შეხედულებანი ერთმანეთს სცვლიან და ბოლოს ხელში გვრჩება ყალბი დასკვნები საკითხის როგორც პრინციპიალურ, ისე პრაქტიკულ სფერაში.<sup>3</sup> აქ ჩვენ მხოლოდ პირველს ვეხებით.

ანი ამხედრებულა წინააღმდეგ ნაციონალიზმისა, ე.ი. ბურჟუაზიულ ნაციონალურ პოლიტიკისა; ეს გასაგებია და სრულიად სამართლიანიც დაჩაგრულ კლასის იდეოლოგისაგან. მაგრამ ანი თავის ამხედრებაში ისე შორს მიდის, რომ მას მთელი საქართველო ეხატება გაყოფილ **საომარ** ბანაკათ. „დიახ, – სწერს იგი საქართველო ორ ბანაკათ არის გაყოფილი, რომელთა შორის სამკვდრო სასიცოცხლო ომია“. ერთ ბანაკს შეადგენს სოც. – დემოკრატია, ხოლო მეორე მხრით დგანან „სოც. – ფედერალისტები, ანარქისტები, პროგრესისტ–დემოკრატები და კადეტები“. ერთი სიტყვით ყველანი და ყველაფერი, გარდა სოც. დემო–სა. მათი „საერთო თვისებაა ნაციონალური ავტონომია და ამ ბაირალით მოდიან ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველათ... ეს ერთი დიდი რეაქციონური მასსა... მათთან საერთო აღარა გვაქვს რა და ეს დროა შეიგნონ ყველა ამხანაგებმა. ბრძოლა, ბრძოლა სასტიკი“ („დასაწყისი“ №23) და ამ ბრძოლის ყიჟინით ანი იმდენათ არის გატაცებული, რომ მას აღარ შეუძლიან პასუხი გასცეს შემდეგ უბრალო საკითხზე: დაჩაგრულ ერის და გაბატონებულ ერის ნაციონალიზმი ერთიმეორისაგან განსხვავდება რითიმე თუ არა? ყველა თანამედროვე, ჭკუითა მყოფელმა ადამიანმა იცის, რომ თუ გაბატონებულ ერის ბურჟუაზია აწარმოებს სხვისი დაპყრობის, მოსპობისა და განადგურების პოლიტიკას, დაჩაგრულ ერის, ყოველ უფლებებს აყრილ ერის ბურჟუაზიას, ძალიანაც რომ უნდოდეს, არ შეუძლიან ასეთი პოლიტიკის ამუშავება; პირიქით, ზოგჯერ იძულებული ხდება წამოაყენოს პირდაპირ რევოლუციონური მოთხოვნა და თითქმის ყოველთვის გამოდის ეროვნულ თავისუფლების მოსარჩლეთ, რაც, თქმა არ უნდა, სრული თანაგრძობის ღირსია დაჩაგრულ და გაყვლილ კლასის მხრივაც. ასეთ ნაციონალიზმს გვიჩვენებს მაგ. პოლონეთის ბურჟუაზია, რომელსაც თავისათ გამოაქვს პოლონელ სოციალ–დემოკრატიის ეროვ-

3 რითი აიხსნება ანის ამგვარი უცნაურობა? შეიძლება ასე მოსდიოდეს პოლემიკის ჟინიანობით, ან შეიძლება მას ჯერეც თავი ვერ დაულწევია გულუბრყვილო კოსმოპოლიტიზმისათვის; თუმცა ამ უკანასკნელისაგან ის თავისუფალი იყო სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის უმაღლე, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ იმ ჯგუფმა, რომელმაც ანი თითქმის იმ თავიდანვე ხელში აიტაცა საგოვამანებლათ, მაგრათ შებოჭა გულუბრყვილო კოსმოპოლიტიზმის არტახებით.

ნული მოთხოვნა; პირველ ჯურის ნაციონალიზმს აწარმოებენ მაგ. ბის-მარკ-ბიულოვები, ანუ, შორს რომ არ წავიდეთ, იგივე დუბროვინ-კრუშევიან-პურიშჩევიჩიკები, გუჩკოვები და კიდევ მათზე მაღლა მდგომი ბობოლოები, როცა ეს ორგვარი ნაციონალიზმი აღნიშნა გაბ. „ფარმა“ (№5, 1908წ. ) და იგი შეეკითხა ანს-არის თუ არა მათ შორის რაიმე განსხვავებაო, ანის პასუხი იყო: „მთელი მისი („ფარის“) დავა მხოლოდ გახელებულ კაცის სევდაა და ნამდვილ ცხოვრებასთან კავშირი არა აქვს“. („აზრი“ №7). ასეთი პასუხი რომ – მეტი არა ვთქვათ – უსაფუძვლოა, ეს თვითონ ანმაც იგრძნო, მარა საკმაოდ გვიან, ორ თვე ნახევრის შემდეგ. “ფარი“ მას ეკითხებოდა 4 თებერვალს, ანმა კი მხოლოდ 19 აპრილს მოახერხა თავისი პასუხი ასე გაესწორებინა: „ჩვენ, რასაკვირველია, სახეში არასოდეს არ გვქონებია მეორე ტიპის (ე. ი. ბისმარკ-ბიულოვის, გაბატონებული ერის) ნაციონალიზმი, ის იმდენათ დუხჭირია, რომ მასზე ლაპარაკი მეტია. ჩვენ ვლაპარაკობთ პირველ ტიპის (ე. ი. დაჩაგრულ ერის) ნაციონალიზმზე.“ ამ გვართ ანმა აღიარა, რომ ამ ორ ტიპის ნაციონალიზმს შორის ყოფილა განსხვავება. მაგრამ მისთვის მაინც გაუგებარი დარჩა, თუ სახელდობრ რაში მდგომარეობს ეს განსხვავება. ეს აგრეც უნდა ყოფილიყო.. ანის შეხედულებით აკი მთელი საქართველო გაყოფილია ორ ბანაკათ; ერთია სოციალ-დემოკრატია და მეორე ყველა დანარჩენი პარტიები, ანუ მოკლეთ, „ჭეშმარიტ ქართველური“ პარტია, „ერთი დიდი რეაქციონური მასსა“ ერთი სიტყვით, შავრაზმელობა. „ამათი საერთო თვისებაა ნაციონალური ავტონომია“ და სხ. მაგრამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორ მოხდა, რომ ქვეყანა, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრება დასერილია წინააღმდეგობებით, და ეს წინააღმდეგობანი ისე აშკარათ არის გადატანილი ადამიანთა გონებაში, რომ უკვე დაწყებულია შეგნებული კლასიური ბრძოლა; როგორ მოხდა რომ ეს ქვეყანა სხვა და სხვა ბანაკებათ იყოფა – იმისდა მიხედვით თუ ვინ როგორ ეროვნულ მოთხოვნებს აღიარებს? ეს აგრე ხდება მხოლოდ ბურჟუაზიის იდეოლოგიების წარმოდგენაში, ნამდვილათ კი არც ერთ თანამედროვე ქვეყანაში ხალხი არ იყოფა პარტიებათ ნაციონალურ საკითხის მეოხებით. ანმა ერთი კვირის შემდეგ იგრძნო თავისი კლასიფიკაციის სიყალბე და მან თვითონვე გაასწორა თვისი შეცდომა. იგი სწერდა: „საზოგადოთ, პარტიების ჩამოყალიბება ხდება არა ნაციონალურ კითხვის ნიადაგზე, არამედ კლასიურის“ („მერცხ.“, №2) და მან დასამოწმებლათ მოიყვანა იგივე პოლონეთი, სადაც ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთათ ავტონომიას ითხოვენ აგრეთვე სოციალისტური პარტიები (და მათ შორის

სოციალ-დემოკრატიაც).

იქნება იფიქროთ ანმა საბოლოოთ გაასწორა თავისი შეცდომა? მაშ მოისმინეთ: „რა გინდა რადიკალი, გინდ ანარქისტი იყოს იგი (ე. ი. ავტონომისტი)-სწერს ანი ხუთი დღის შემდეგ – დამახასიათებელი თვისებაა სწორეთ ეს „ერთ რაზმით“ ქცევა; ამიტომ სრულიად არ არის შემთხვევითი ანის პოლემიკური ჟინიანობა საქართველოს ორათ გაცოფა. ეს ასე მოდის ისტორიულათ დაწყებული ძველი „ივერიიდან“ და გათავებული დღევანდელი პრესით („მერცხ.“, №6). ასე რომ ანი კვლავ უბრუნდება თავის ყალბ კრიტიკიუმს, რომლის მიხედვით ეროვნული მოთხოვნანი ხალხს ანაწილებს პოლიტიკურ პარტიებათ. მისი შეხედულებით ავტონომია მაგ. არ არის ერთ-ერთი პრაქტიკული ღონისძიება წამოყენებული რაიმე მიზნისათვის. არა ის თვითონ არის საბოლოო მიზანი და იდეალი; მასთან ისეთი იდეალი, რომელიც უარყოფელია სოციალიზმის. ანი განაგრძობს: „ავტონომისტებს არ ძალუძთ ამ იდეალისთვის (ე. ი. სოციალიზმისათვის) ბრძოლა, ვინაიდან მათ მეორე იდეალი, ავტონომია აქვთ საბრძოლველათ. ეს ორი იდეალია, ორი სხვა და სხვა ტაქტიკით და ამიტომ არავითარ პარტიას არ შეუძლია იბრძოლოს ორივესთვის.“

ანი, სასტიკათ ამხედრებული ნაციონალიზმის წინააღმდეგ, წამ და უწუმ თვითონვე იხლართება ნაციონალისტების ბადეში. ვინ არ იცის მაგ. რომ ბურჟუაზიის და განსაკუთრებით დაჩაგრულ ერის ბურჟუაზიის იდეოლოგიები (ამ შემთხვევაში ნაციონალისტები) მუდამ იმას ირწმუნებიან, ვითომ მათვე ალაპარაკებს მხოლოდ და მარტო ერის ინტერესები, რომ მათი საბოლოო მიზანი და იდეალი არის ეროვნული თავისუფლება, რომ მათი ფიქრი და ზრახვა მიმართულია ნაციონალურ საკითხის გადაჭრისაკენ, და აი აქედან ჩვენი ანი დაასკვნის – არა ოხუნჯობით, არამედ სრულიად სერიოზულათ – წარბშეუხრელათ დაასკვნის: „მაშასადამე, ნაციონალიზმი ეწოდება ისეთ პოლიტიკურ მიმდინარეობას, რომლის მთავარი მიზანია ნაციონალური კითხვის გადაჭრა; ხოლო ამისთვის ის ადგენს „ერთ რაზმს“, „ერთ პარტიას, ერთი სიტყვით, აწარმოებს შესაფერ ტაქტიკას“ („მერცხ.“ №10). ანი ადგენს მთელ თეორიას, მაგრამ მას საქმეს უჭირებს მხოლოდ ერთი გარემოება. აგონდება, რომ შეიძლება სოციალისტურ პარტიამაც თავს იდვას ნაციონალური საკითხის გადაჭრა; ანს აგონდება პოლონეთი, რომლის აჩრდილი მას არ აძლევს მოსვენებას, უწამლავს სიმშვიდეს და ისევე სდევნის, როგორც კაენს აბელის აჩრდილი. ანი თავის გამწარებაში იქამდე მიდის, რომ მზათ არის სასტიკი შეურაცხყოფა მიაცენოს პოლონე-

თის სოციალისტურ პარტიას.<sup>4</sup> მაგრამ პოლონეთის სოციალ-დემოკრატიას სადღა გაექცევა?

ამიტომ ანს ასეთი შესწორება შეაქვს თავის სისტემაში. ბურჟუაზიული პარტიებისათვის ნაციონალური საკითხის გადაჭრა ყველაფერია: ნაციონალიზმი „მარტო ამ რგოლს აფრინდება და თავის მოქმედების მიზნათ აღიარებს (ხაზს უსვამს თვითონ ავტორი, იხ. იგივე ნომერი), სოციალისტურ პარტიებისთვის კი იგივე საქმე მხოლოდ მეორე, მესამე და მეთხუთმეტე ხარისხოვანი რამეა. მაგრამ ზოგჯერ თვით სოციალისტური პარტია ისეთ საპატიო ადგილს უთმობს ნაციონალურ საკითხს, რომ ძნელი გასაგები ხდება პირველხარისხოვანია ეს თუ მეორე. ანს არ შეუძლიან ამას ხელი დააფაროს და ამიტომაც იგი შენიშნავს – თუმცა პეტიტით – მარა მაინც შენიშნავს: „სახეში გვაქვს, რასაკვირველია, ჩვეულებრივი პირობები. არა ჩვეულებრივ პირობებში როგორც მაგ. საშინაო ან საგარეო ომია-შეიძლება... ნაციონალური კითხვა მეტათ წინ წამოყენდეს. „ამით ანი თავის და უნებურათ გამოსასვლელ ხვრელს აძლევს მისგანვე „დატყვევებულ“ ნაციონალისტების ლაშქარს. მართლაც და ამათ სამართლიანათ შეუძლიანთ განაცხადონ, რომ ჩვენ ვიმყოფებით სწორეთ არაჩვეულებრივ პირობებში. სოც. ფედერალისტები მაგ. პოლიტიკურ ასპარეზზედაც კი გამოვიდენ სწორეთ იმ დროს, როცა თვით პეტრე სტრუვე შეტუტგარდიდან ხალხს ატყობინებდა: „ქარიშხალი ჯერ არ ამოვარდნილა, მებს ჯერ არ დაუჭექენია, მაგრამ ჰაერი უკვე გაჟღენთილია რალაც ელექტრონისებური ძალებით, რაიც ამღელვარებს გრძნობას და აფრთხილებს გონებასო...“

ცხადია ანის თეორია შემცდარია თავიდან ბოლომდე. შემცდარია ის აზრი, ვითომ ნაციონალიზმის ნამდვილი მახასიათებელი თვისება იყოს ის გარემოება, რომ იგი ერთად ერთ ნაციონალურ საკითხის გადაჭრას ესწრაფებოდეს, რომ „იგი მარტო ამ რგოლს აფრინდებოდეს. „დღეს არც ერთ თანამედროვე საზოგადოებაში არ მოიპოვება ისეთი პარტია, რომ მხოლოდ ერთ რომელსამე განკერძოებულ საგანს ისახავდეს მთელ თავის მოქმედების მიზნათ. ასეთია მხოლოდ „სპორტსმენების“ (დარდიმანდების) ჯგუფები, რომელნიც ერთ რაიმე (გასართობ) მიზნისთვის ადგენენ ხოლმე ამხანაგობას. პოლიტიკური პარტია კი – ბურჟუაზიულია ეს თუ პროლეტარული მუდამ იძულებული ხდება ანგარიში გაუწიოს მთელ საზოგადოებრივ ცხოვრების რთულსა და მრავალ ფეროვან მოთხოვნებს

4 ანი სწერს: „მათ (ე.ი.პ.ს.პ.) კრებებზე უდიერათ იხსენიებოდენ რუსეთის მუშები, მათთან კავშირი არ სურდათ, ძირს რუსეთი-სააგიტაციო ლოზუნგათ გახადეს!“ („მერცხ.“ №10).



თუ საკითხებს. არც ის არის დამახასიათებელი ნაციონალიზმისა ვითომ ის ნაციონალურ საკითხის გადაჭრას ისახავდეს მთავარ მიზნათ, ხოლო სხვა-ბისთვის კი (სოციალისტებისთვის) ეს საქმე იყოს გვერდზე მიგდებული, ან მეტათ დაჩრდილული.<sup>5</sup>

ამ შემთხვევაში, ანი პიტალო ჭეშმარიტებათ იღებს იმას, რასაც ნაციონალისტები თავის თავზე ლაპარაკობენ ხოლმე. ბურჟუაზიის იდეოლოგიებს მუდამ პირზე აკერიათ სამშობლო და ერი, იგინი ირწმუნებიან, რომ მათ ეროვნულ ინტერესებზე ფიქრით თვალზე რული არ ეკარებათ, რომ მუდამ თავისი ერის ნიადაგზე დგანან და აი, რადგან ერთი ერის ბურჟუაზიის ინტერესები ეწინააღმდეგება მეორე ერის ბურჟუაზიის ინტერესებს და იმავე დროს ბურჟუაზია პროლეტარიატის მოწინააღმდეგეა, ანი დაასკვნის: „თავისი ერის ნიადაგზე დგომას აუცილებლათ თან მოსდევს სხვა ერის დევნა, მამასადამე ნაციონალური ბრძოლის გაჩაღება და მუშა-ხალხისათვის გზა-კვალის აბნევა. (იხ. „ცხოვრების სარკე“, №9). ამრიგათ ანის აზრით, ერთი ერის ინტერესები ეწინააღმდეგებიან მეორე ერის ინტერესებს, ხოლო თვითოეული ერის ინტერესი კი იმის მუშა ხალხის ინტერესებს. აქედან მუშათა კლასის იდეოლოგიისათვის აუცილებელი დასკვნა ასეთია: ნაციონალური ნიადაგი უნდა უარყოფილ იქმნას.

დასახელებულ გაზეთის იმავე ნომერში ანი სწერს: „ისინი (ე. ი. ჩვენი სოციალისტები) ნაციონალურ კითხვაში გამოდიან ქართველის, საქართველოს ინტერესიდან და მას უმორჩილებენ სხვათა ინტერესებს, ჩვენ კი გამოვდივართ ყველა იმ ერთა ინტერესებისაგან, რომელნიც საქართველოში და მის ირგვლივ მოსახლეობენ და შეადგენენ ტერიტორიალურათ ერთ ერთეულს – ამიერ-კავკასიას“. (შეგნიშნოთ ფრჩხილებში, რომ ანისაგან ნიშანში ამოღებული სოციალისტებიც, ს. ფედერალისტები, სრულებითაც არ კმაყოფილდებიან საქართველოთი და ისინიც ლაპარაკობენ მთელ კავკასიის მოწყობის საქმეზე. იხ. თუნდ არჩილ ჯორჯაძეს უკანასკნელი წერილი „ამირანი“, №3.) მაგრამ თუ თავის ერის ნიადაგი უარყოფილ იქმნას, რატომღა უნდა იქმნას მიღებული მაინც და მაინცა კავკასიის ერთა ნიადაგი? თუ საქმე სივრცეზეა, მაშინ რუსეთის იმპერია ხომ უფრო დიდია კავკასიაზე, რატომ მთელ რუსეთში მოსახლე ერთა ინტერესებისაგან არ უნდა გამოვდიოდეთ, ანუ რაც კიდევ უფრო უკეთესია, რატომ არ უნდა ვიხელმძღვანელოთ მთელი კაცობრიობის ინტერესებით? მეორე მხრივ, თუ

5 ეს მართალია, აგრე მოხდა ჩვენში, მარა ეს არის მხოლოთ ერთი წარმავალი ეტაპი ჩვენის საზოგადოებრივ განვითარების.

კი ერთი ერის ინტერესები ეწინააღმდეგება მეორე ერის ინტერესებს, მაშინ ყველა ერების, თუ რამდენიმე ერის ინტერესთა ნიადაგზე დგომა ხომ სრული ულოლიკობაა, ნამდვილი უაზრობაა და აბსურდი!

რადგან ანის აზრით ერის ინტერესები ეწინააღმდეგება მუშა ხალხის ინტერესებს, ამ უკანასკნელთა წარმომადგენელისათვის – და მაშ იმავე ანისათვის-ლოლიკურათ აუცილებელი დასკვნა ასეთია: ერის ინტერესები უნდა მსხვერპლათ შეეწიროს მუშა ხალხის ინტერესებს. მაგრამ ეს ხომ იგივე არის, რაც ერთხელ ბ-ნ არჩილ ჯორჯაძემ გვამცნო, მხოლოთ სხვა ნაპირიდან, როცა იგი სწერდა: „ქართველი მშრომელი ხალხი იძულებულია თავისი კერძო ინტერესები საერთო (ე. ი. ეროვნულ) ინტერესებზე დაბლა დააყენოს და მით დაუმტკიცოს თავისი საზოგადო თვითცნობიერების სიმწიფე“. („ცნობის ფურცელი“ №1416, წ. 1901 იხ. აგრეთვე №№1358, 1438 და სხ. ) როგორც ხედავთ აქ ითხოვენ მუშა-ხალხის ინტერესები – დროებით მაინც – მსხვერპლათ შეეწიროს ერის ინტერესებს. ანი ამ დებულებას მხოლოთ უკუღმა აბრუნებს და ითხოვს ერი შეეწიროს მუშა ხალხს. ბ-ნი ჯორჯაძე და ანი ერთი მეორის უარმყოფ უკიდურესობას გვაწვდიან და ამიტომ მათი შეცდომაც ბარ-დაბარია, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ბ-ნი ჯორჯაძე ბურჟუაზულ თვალთა ხედვის წერტილიდან სრულიად მართალია, ხოლო ანი კი, პროლეტარიატის თვალთა ხედვის წერტილიდან, სრულიად შემცდარია. ამიტომ შეგნებულ მუშებისაგან ორივეს აღნიშნული შეხედულება უნდა უარყოფილ იქმნას...

\* \* \*

თუ ჩვენ მივიღებთ იმ შეხედულებას, რომ ეროვნული ინტერესები ეწინააღმდეგება მუშა ხალხის ინტერესებსო, მაშინ – როგორც აღვნიშნეთ წინა წერილში – ლოლიკურათ იძულებული ვიქნებოდით უარ გვეყო ნაციონალური (ეროვნული) ნიადაგი, ნაციონალური პოლიტიკა, უარ გვეყო ნაციონალური მისწრაფებანი, როგორც სოციალისტურ მიზნების საწინააღმდეგო რამ მოვლენა, ერთი სიტყვით, ჩვენ იძულებული გავხდებოდით უარ გვეყო ეროვნებაც და სამშობლოც და ერთისა და მეორესთვისაც სასტიკი ბრძოლა აგვეტეხნა. მაგრამ ნამდვილათ, ზემორე დებულება სრულიად ყალბია, მტკნარი შეცდომაა. ნამდვილი ერის საზოგადო, მუდმივი და საბოლოო ინტერესები ერთიანათ ჰფარავენ და ჰარმონიულათ ეთანხმებიან მუშათა კლასის ინტერესებს, ამიტომაც ყველა დაწინაურებულ ქვეყნების მუშათა პარტია აუცილებლათ სდგას ეროვნულ ნიადაგზე, სოციალისტური

პოლიტიკა უეჭველათ ატარებს ნაციონალურ ხასიათს და მთელი მოქმედება გაცნობიერებულ მუშა ხალხისა მიმართულია სამშობლოს საკეთილდღეოთ.

აქ, შეიძლება, „განსწავლულმა“ მკითხველმა შეგვაჩეროს საკითხით: „თუ აგრე არის, მაშინ რაღას ნიშნავს კარლ მარქსის ცნობილი სიტყვები „პროლეტარებს სამშობლო არა აქვთო!“ ეს სიტყვები ბურჟუაზიის იდეოლოგიებს პირზე აკერიათ ყოველთვის, როცა კი უნდათ შეუგნებელ მუშების თვალში დაამცირონ მუშებისავე კლასიური პარტია (სოციალ-დემოკრატიკა) მაგრამ მიუდგომელი და საქმეში ჩახედული, მარქსის მოძღვრებასთან გაცნობილი მკითხველი დაგვეთანხმება, რომ აღნიშნულ სიტყვებში გამოთქმულია მხოლოდ პროლეტარიატის შხამ-ნაღველით გაღესილი გრძნობა სამშობლოსადმი სიყვარულისა. ეს სიტყვები ხატავენ მხოლოდ პროლეტარიატის მწვავე უკმაყოფილებას იმ მდგომარეობით, რომელშიაც იგი იმყოფება თავისივე სამშობლოში; ეს უკანასკნელი „დედი-ნაცვლობას“ უწევს იმ ხალხს, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მთელ თავის ძალ-ღონეს სწირავს მას, სამშობლოს კეთილ-დღეობას. ეს აზრი, მარქსზე ბევრათ ადრე, გამოსთქვა ჯერ კიდევ ტიბერიუს გრაკუსმა (მოკლულ იქმნა 133 წელს ქრისტეს წინათ). მონობის მძიმე უღელქვემ მგმინავ ხალხის წარმომადგენელი, ძველი რომაელი დრტკინავს, რომ ტყის ნადირებსაც მოეპოებათ თავისი ბუნაგი და იმ ადამიანებს კი, ვინც შეჭქმნეს იტალიის სამშობლოს სიდიადე, არა აქვთ ჭერი, სად შეაფარონ თავისი თავი; „როდესაც ომის დროს სპასალარნი მიმართავენ ამ ადამიანებს მოწოდებით იბრძოლონ სახლის ღმერთებისა და წინაპართა საფლავებისათვის, ე. ი. სამშობლოსათვის, – ეს მხოლოდ დაცინვა არ არის, რადგან ამათ (ე. ი. მონების) შორის არა მგონია იპოვებოდეს თუნდ ერთი კაცი, რომელიც ფლობდეს ახლობელ ადამიანთა სასაფლაოებს და საკუთარი სახლის საკურთხეველს. იგინი აღიმაღლებენ მახვილს და იხოცებიან ბრძოლის ველზე მხოლოდ იმისთვის, რომ სხვებს მოუპოვონ სიმდიდრე, ფუფუნება და გარყვნილების სიამოვნებანი. მათ დაიპყრეს ქვეყანა, მათ უწოდებენ ქვეყნიერობის მფლობელთ და მათ ერთი მუჭა საკუთარი მიწაც აღარ გააჩნიათ“.<sup>6</sup>

რასაც ტიბერიუს გრაკუსი გამოთქვამს თავის ამ შესანიშნავ მიმართვაში, ის მარქსმა და ენგელსმა გამოხატეს ორი სიტყვით: „მუშებს არა აქვთ სამშობლო“. როცა ეს სიტყვები იწერებოდა მუშა ხალხი გარიყული იყო

6 ამ ციტატას ვღებულობთ კაუციკიდან „La vie Socialiste“, 1905 (იხ. ცნობილი ანკეტი).

სამშობლოს კეთილ-დღეობიდან არა მარტო ეკონომიურათ; არა მარტო ნივთიერი მდგომარეობა იყო აუტანელი – რასაც ამწვაავებდა იმ დროინდელი ეკონომიური კრიზისები-არამედ ასეთივე უნუგემო იყო მუშა ხალხის უფლებრივი მდგომარეობაც. მუშები მოკლებულნი იყვნენ ადამიანის ელემენტარულ უფლებებს. ბურჟუაზია იმას ცდილობდა, რომ სახელმწიფო ორ ბანაკათ გაეყო; ერთი მდიდარნი და შეძლებულნი იქნებოდა ლეგალური ქვეყანა, სახელმწიფოს სრული ბატონ-პატრონი და მეორე (მუშა ხალხი) კანონს გარეშე დაყენებული, რომელიც ვერ გაეკარებოდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობას და უნდა ყოფილიყო, მხოლოდ მუშა საქონელი, სწორეთ იმგვარივე, როგორც ეს იყო ძველ რომში. მას შემდეგაც, მართალია მუშათა ნივთიერი მდგომარეობა თვალ-საჩინოთ გაუმჯობესდა, მაგრამ უფსკრული კაპიტალისტებსა და პროლეტარიატს შორის არამც თუ არ შემცირებულა, კიდევ უფრო გაღრმავდა. მდგომარეობა გაუმჯობესებულია უფლებრივათაც. დღეს პროლეტარიატი საგრძნობელ გავლენას ახდენს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეზე, მაგრამ თვით დაწინაურებულ ქვეყნებში ჯერაც არ შეწყვეტილა ბრძოლა საყოველთაო თანასწორ საარჩევნო უფლებისათვის. საგულისხმოა, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ-1895 წ. დეკემბრის შუა რიცხვებზე – თვითონ ბებელი რეისტაგში მიუბრუნდა მთავრობასა და კონსერვატორებს ასეთი სიტყვებით: „გაიგონეთ უკანასკნელი გაფრთხილება! აქამდის გერმანიის მუშა-ხალხი მუდამ იცავდა თავის სამშობლოს, მაგრამ თუ თქვენ განაგრძეთ წინანდებურათ ეს ქვეყანა აქციოთ სამშობლოთ მონობისა, პრივილეგიებისა, სამშობლოთ მუშა-საქონელისა, მაშინ გერმანიის მუშა ხალხი შეეკითხება თავის თავს-განა კიდევ ღირს ასეთი სამშობლოს დაცვა? (ცენტრში ჩოჩქოლი და განცვიფრება – მარცხნივ და უკიდურეს მემარცხენებში ტაშის-ცემა)“. მაგრამ ამავე ბებელმა-გეხსომებათ-ორი წლის წინათ ამავე რეისტაგში შესძახა, რომ უკეთუ გერმანიას რაიმე განსაცდელი მოადგება, პროლეტარიატი, როგორც ერთი კაცი, აღდგება და თავისი მკერდით დაიცავს სამშობლოს დამოუკიდებლობას და ეროვნულ თავისუფლებასო. მოიგონეთ ისიც, რომ თვითონ კ. მარქსი თავგამოდებით იცავდა დაჩაგრულ ერთა ყველა იმ ნაციონალურ მისწრაფებათ, რაც კი ერის საერთო კეთილ-დღეობის მომასწავებელი იყო. აქედან ცხადია – რამდენათ მართალნი არიან მოწინააღმდეგენი ანუ თვით სოც. დემოკრატების ის იშვიათი ეგზემპლიარები, რომელნიც ფიქრობენ, ვითომ მარქსი ნამდვილათ უარჰყოფდა სამშობლოს, ვითომ მარქსიზმი ითხოვდეს ანტინაციონალურ პოლიტიკას; ცხადია იგინი

სიტყვებს იქით ვეღარ ხედავენ აზრს, წინადადებაში ვერ პოულობენ შინაარსს.

მარქსის მოხსენებული ფრაზა: „მუშებს არა აქვთ სამშობლო“ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და ღრმა შინაარსის იქნება თუ სახეში მივიღებთ, რომ იგი მიმართულია ბურჟუაზიისადმი, რომელიც დრტვინავდა სოციალისტები სამშობლოს ღუპავენ, როცა ესწრაფვიან განახორციელონ სოციალიზმი. მაგრამ რადგან ეს უკანასკნელი მოასწავებს მხოლოდ ბურჟუაზიულ, კაპიტალისტურ წეს-წყობილების დაღუპვასვე, ცხადია ამ შემთხვევაში „სამშობლოთ“ წოდებულია კაპიტალისტური საკუთრება. და ასეთ „სამშობლოს“ განსაზოგადოებრიობა (სოციალიზაცია), ე. ი. დამყარება ისეთ წეს-წყობილებისა, სადაც ერის მთელი როგორც ნივთიერი, ისე სულიერი სიმდიდრე გადიქცევა ერის შემადგენელ ყველა ადამიანების საერთო კუთვნილებათ და ყველასათვის თანასწორ კეთილდღეობის მიმნიჭებლათ. ამასთანავე, მხოლოდ ასეთ წეს-წყობილებაში აღწევს განვითარების უმაღლეს საფეხურს ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ეროვნებას. დასახელებული წეს-წყობილებავე შეადგენს ყველა თანამედროვე ერის საზოგადოებრივ განვითარების უმაღლეს საფეხურს. მისი განხორციელება შეიძლება მხოლოდ ყველა ერების თანხმობით და სოლიდარობით.

ამ რიგათ, ნაციათა საერთო ინტერესები სრულიად ეთანხმება ერთმანეთს და იმავე დროს თვითოეულ ნაციის მუშა ხალხის კლასიური ინტერესებიც სავსებით ეთანხმება იმავე ნაციის ინტერესებს. ამიტომ შეგნებული მუშათა ხალხის მოძრაობა ყოველთვის ემსახურება ერის ინტერესებს და იმავე დროს ხელმძღვანელობს საკუთარ კლასიურ ინტერესებით. აი ამ საფუძველზე შენდება მუშათა პარტიების ნაციონალური პოლიტიკა, რასაც ჩვენ აღვნიშნავთ ტერმინით ინტერნაციონალიზმი.

სულ სხვაა ნაციონალიზმი, რითაც აღვნიშნავთ ბურჟუაზიულ პარტიათა ნაციონალურ პოლიტიკას. მართალია, აქაც და იქაც პოზიცია კლასიურია, აქაც და იქაც პოლიტიკას ჰქმნის კლასის ინტერესები და მისი იდეოლოგია, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ აქ ბურჟუაზიის ბანაკში-კლასიური ინტერესები მხოლოდ ზოგჯერ, დრომდის და ისიც ცალმხრივათ ეთანხმება ერის განვითარების ინტერესებს. ამასთანავე, რაც შეეხება ერის საზოგადოებრივ და ნაციონალურ განვითარების უმაღლეს სტადიას, რასაც შეიცავს სოციალისტური წეს-წყობილება, აქ ბურჟუაზიისა და ერის ინტერესთა შუა მწვავე, შეურიგებელი წინააღმდეგობაა. ამიტომ ნაციონალისტების ბრძოლის მეთოდი, წეს-რიგი, მოქმედების ვითარება, ერთი სიტყ-

ვით მთელი ტაქტიკა ძირითადად განსხვავდება, პირდაპირ ეწინააღმდეგება ინტერნაციონალისტების ტაქტიკას. აი სწორეთ ეს სდებს მათ შორის გარდაუვალ ხრამს; სწორეთ ეს განსხვავებული ტაქტიკაა ის ნიშნობლივი თვისება, რომელიც ახასიათებს ორივე პოლიტიკურ მიმდინარეობას-ნაციონალიზმსა და ინტერნაციონალიზმს, – სწორეთ ტაქტიკა და არა „ნაციონალური ავტონომია“ ანუ რაიმე სხვა ეროვნული მოთხოვნანი. ამ მოთხოვნების მხრივ, პირიქით, შეიძლება რომ დაჩაგრულ ერის ნაციონალისტებსა და სოციალისტებს შორის სრული თანხმობაც ჩამოვარდეს; და თუ სრული თანხმობა არ არის, რაიმე მსგავსება მაინც უეჭველათ უნდა იყოს, რაიმე კერძო მოთხოვნები მაინც უეჭველათ იქნება საერთო, ხოლო ტაქტიკა თვით დაჩაგრულ ერის ნაციონალისტებისა ძირითადად განსხვავდება სოციალისტების ტაქტიკისაგან. ამისთვის ეს ორი ბანაკი არის და უნდა იყოს გათიშული პარტიულათ, ორგანიზაციულათ და მოქმედების მხრივ მათ შორის ერთათ ერთი მოციქული არის და უნდა იყოს კლასთა ბრძოლა, რაიც მუდამ სწარმოებს მეტნაკლების სიცხადით და სისასტიკით; თქმა არ უნდა, რომ სადაც ბურჟუაზიულ და სოციალისტურ პარტიებს რაიმე საერთო მოთხოვნები აქვთ წამოყენებული, იქ კლასთა ბრძოლა რამოდენადმე მაინც უეჭველათ ჰკარგავს სიცხადესაც, სისასტიკესაც და ნაყოფიერებასაც, იქ მუშათა საქმე უეჭველათ იცვრება, იჯაბნება და ეს გარემოება ზედმეტი მიზეზია, რისთვისაც სოციალისტური პარტიები ესწრაფიან დღესვე გადაჭრას ნაციონალური საკითხი, რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იქნება, ხოლო იგივე გარემოება ზედმეტი საბუთია, რისთვისაც ბურჟუაზიული პარტიები, ნაციონალისტები მსურველნი გახლავან ნაციონალური საკითხი, რაც შეიძლება ხანგრძლივათ იქმნას მუშათა კისერზე დამოკლეს მახვილივით დაკიდებული.

ესლა ჩვენ უკვე ვიცით საერთო მოხაზულობა ნაციონალიზმისა და ინტერნაციონალიზმისა. უფრო დაახლოვებით გასაცნობათ და სისწორით გასათვალისწინებლათ საჭიროა უმაღლ შევისწავლოთ ის სოციალური მოვლენა, რომელიც ორივე აღნიშნულ პოლიტიკურ მიმდინარეობას აძლევს სათავეს და კონკრეტულ გამოხატულებას, მაშინ გვეცოდინება აგრეთვე ისიც, თუ რა არის ნამდვილათ ნაციონალური პრობლემა ან როგორია ამისი ისტორიული სვე-ბედი. ამაზე შემდეგ წერილებში.

მაგრამ აქედანვე დავიხსოვოთ შემდეგი. ნაციონალიზმი არამც თუ უეჭველათ არ სწყვეტავს ნაციონალურ საკითხს, პირიქით, ხშირათ კიდევ ართულებს, აძნელებს და, ყოველ შემთხვევაში, აგვიანებს მის გადაწყვე-

ტას. და ეს აგრეც უნდა იყოს, რადგან თუ ბურჟუაზიის ინტერესები ზოგჯერ ეთანხმება ერის განვითარების ინტერესებს, ზოგჯერ, ანუ უფრო ხშირათ კიდევ სრულიად ეწინააღმდეგება მას და არა იშვიათათ ითხოვს ერის თვით წმინდათა წმინდის ფეხ-ქვეშ გათელვას. სულ სხვაა ინტერნაციონალიზმი. ეს მუდამ ბევითად მიდის ნაციონალურ საკითხის გადასატრელათ, რადგან პროლეტარიატის ინტერესები მუდამ ეთანხმება ერის საერთო ინტერესებს. მუშა ხალხი რაც უნდა გარიყული დარჩეს სამშობლო ცხოვრების სიკეთიდან, რაც უნდა შხამ-ნაღველს სვამდეს მისი მკერდიდან, იგი მაინც ერთგულად იღვწის სამშობლოს უმაღლეს სიკეთე-ბედნიერებისათვის; სამშობლოს თითოეული ციდა ადგილი მორწყული არის მისი სისხლითა და ოფლით. მუშა ხალხი **მუდამ** თავ-გამეხებული იბრძვის სამშობლოს თვით არსებობისათვის ეროვნულ თავისუფლებისათვის. ამიტომ მუშახალხი ინტერნაციონალური ბაირალი სიმბოლო არის ერისა და სამშობლოსადმი თავგანწირულ სიყვარულისა.

ხოლო ს. დ. ის იშვიათი პირები, რომელნიც კიდევ გადარჩენილან რუსეთის სახელმწიფოში და რომელნიც ჰგონებენ, ვითომ ინტერნაციონალიზმი ჰნიშნავდეს ანტინაციონალურ მიმდინარეობას, ეს ადამიანები სცდებიან. მათ რომ შესწრებოდა ინტერნაციონალის მამათ მთავარი, კარლ მარქსი, უეჭველია გაუმეორებდა თავის ცნობილ სიტყვებს: „moi, je ne suis pas marxiste! (მე მარქსისტი არა ვარ!).“

## II რა არის ნაციზმი

### 1. სხვა-და-სხვა თემორიები და შეხედულებანი

ერთ გერმანელ მწერლის (ბაგოტის) აზრით ნაცია ანუ ერი ეკუთვნის იმ გვარ მოვლენათ, რომელიც ჩვენ ყველამ ვიცით რაც არის, მაგრამ ვიცით მხოლოთ იმ დრომდე, სანამ შეგვეკითხებიან მის ახსნა-განმარტებას. მეორე რომელიღაც მწერალი ამბობს, რომ ნაციის განმარტებაზე თავს ისე გრძნობ თითქოს გინდოდეს ჰაერი მოხვეტო და ხელით დაიჭიროვო. თვითონ კაუცკი ერთ თავის უკანასკნელ ნაწარმოებში-ამ საკითხის შესახებ შენიშნავს, „ეროვნება არის ისეთი რამ, რომელიც მუდამ ხელიდან გისხლტება, რამდენიც კი მოიწადინებ მის დაჭერას (განმარტებასო).“ „ამიტომ საკვირველი არ არის რომ სწავლულთათვის ჯერ კიდევ საკამათოა ის, თუ რა არის ნაცია, რა შეადგენს მის არსებას. მაგრამ თუ ჩვენ ჯეროვანათ არ გვეცოდინება აღძრული საგანი, ისე შეუძლებელი იქნება გზა გავიკვლიოთ

თანამედროვე სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, შეუძლებელი იქნება ჯეროვანათ ანგარიში გაუწიოთ ყველა იმ მოთხოვნებს, რასაც წინ გვიყენებს აგრე წოდებული ნაციონალური პრობლემა.

ზოგიერთ წრეებში საკმაოდ გავრცელებულია ის აზრი, ვითომ ნაციას შეადგენდეს ერთ სახელმწიფო ჩარჩოში მცხოვრები ხალხი. ამ აზრს ბეჯითა ავრცელებენ განსაკუთრებით გაბატონებულ ერთა ბურჟუაზიის იდეოლოგები, რათა „მეცნიერების“ დახმარებით თავიანთ მომავლინებელთა კუჭს გაუადვილონ დაჩაგრულ ერთა მონელება. ამ შეხედულებას ადგია უფრო ასე წოდებული „ოფიციალური მეცნიერება“ ევროპის ბევრ სახელმწიფოში ოფიციალური ქალაქდებისთვის ტერმინები „ეროვნება“ (ნაციონალიტეტი) იხმარება ნაცვლათ ტერმინისა „ქვემეგრდომი“ (subject) ე. ი. ამა თუ იმ სახელმწიფოს კუთვნილების აღსანიშნავათ.<sup>7</sup> ამ შეხედულების ლიტერატურაში ძალიან ნაკლებათა ჰყავს დამცველნი. ამათ ამ ბოლო დროს სხვათა შორის მიემატა ერთი ახალგაზრდა ბელგიელი მწერალი ლეონ ჰენნბეკი, რომელიც თავის თავს სოციალისტათ აღიარებს, თუმცა მას სოციალისტობას ბელგიის მუშათა პარტია არა სცნობს. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ამ ბურჟუაზიულ შეხედულების მსხვერპლნი ხდებიან აგრეთ-

7 ტერმინების ასე ხმარების გამო, ამ რამდენიმე წლის წინათ, ერთ ქართველ პატრიოტს ბ-ნ ს-ს (თუ არ ვცდები ჟენევაში) ასეთი კუროზი დაემართა, რადგან პოლიცია ადგენს ხოლმე მცხოვრებთა „ვინაობის ბარათს“, ერთ მშვენიერ დილას ხსენებულ ქართველ პატრიოტსაც სახლში ფოსტით მიერთვა ასეთი ბარათი და იქ რუბრიკაში „რა ეროვნებისა?“ ჩაწერილი იყო „რუსი“ (პოლიციამ უკვე იცოდა, რომ ბ-ნი ს-ს რუსეთის სახელმწიფოდან იყო). „რუსი“ს დანახვამ ჩვენს ქართველს ელდა ეცა; იგი უმაღვე გაქანდა პოლიციის ნაწილში და ვინაობის ქალაქდი თავში მიახალა „კომისარს“ (ბოქაულს), თანაც თვალზე დაჭყეტილ პოლიციელს მკვახეთ განუცხადა: „მუსიო, კარგათ იცოდეთ, რომ მე მაგ ქალაქს არც ჯიბეში ჩავიდებ და არც სახლში დავაყენებ, რადგან შიგ ჩემი პირადი, სასტიკი შეუარცხოფათა მოთავსებულიო. მეორე სახელმწიფოში, რადგან ამავე ნიადაგე რუსეთელ სტუდენტობას ხშირათ ლაპარაკი მოსდიოდა ერთ ოფიციალურ დაწესებულებასთან, ამან გონივრულათ ახალი ბლანკები დააბეჭდინა და „ეროვნების“ ნაცვლათ შეიტანა „ქვემეგრდომი: მართალია აქაც მოხდა ერთი კუროზი. ერთ ქართველ სტუდენტს დოკუმენტში ჩაუწერეს: „ქვემეგრდომია საქართველოსი“.



ვე ზოგიერთი ჩვენებური სოციალ-დემოკრატები.<sup>8</sup> ამათ ასე ემართებათ, რასაკვირველია, შეუვნებლათ და უნებლივათ. ამ შეხედულების გამომხატველათ და დამცველათ ჩვენ პრესაში ამ ბოლო დროს გამოვიდა ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე.

„უსახელმწიფოთ-ამბობს იგი – ერი არ არის... ერი, ან სამშობლო-ეგ უწინარეს ყოვლისა ადამიანთა მასსაა, რომელიც სცხოვრობს ერთ კანონის ქვეშ“ (იხ. „ამირანი“, №41. „სამშობლო და მამულიშვილობა“). ასეთი განმარტება რომ მივიღოთ, მაშინ იძულებული ვიქნებით ყოველთვის ერთ ნაციათ გამოვაცხადოთ ერთ სახელმწიფოში, ერთი კანონის ქვეშ მცხოვრები ფრანგები, გერმანელები და იტალიელები. ასეც იქცევა ბ-ნი ჯორჯაძე. იგი აცხადებს, რომ „არსებობს ერი შვეიცარიელთა“ (იხ. იქვე) ; მაგრამ დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, ამის დასაწახათ, რომ აქ ერთმანეთში არეულია ორი სრულიად სხვა და სხვა ცნება, სახელდობრ ხალხი, როგორც ერის შემადგენელი კრებული.

ეს შეცდომა უფრო იქიდან მომდინარეობს, რომ სახელმწიფოს, საზოგადოთ, დიდი მნიშვნელობა ჰქონია ერის<sup>9</sup> განვითარებაში, თუმცა არც იმდენათ დიდი, როგორც ამას ფიქრობს ბ-ნი ჯორჯაძე; მაგრამ მაინც მას არა იშვიათათ გამოუჩენია ისტორიის განმავლობაში „ძალა გათქვეფისა, ჩაკირვისა და შეერთებისა“. ეს აგრეც უნდა ყოფილიყო, რადგან სახელმწიფო ადამიანებს მჭიდროთ აკავშირებს განსაზღვრულ ტერიტორიასთან და ამ რიგათ მათ შორის აბავს მუდმივ ურთიერთობას, რაიც საფუძვლათ ხდება როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ განვითარებისათვის. სხვა და სხვა ნაციის ხალხი, ერთ სახელმწიფო ჩარჩოში მოტანებული, შეიძლება ერთმანეთში გაითქვიფოს და ერთ ნაციათ შედუღდეს, მაგრამ

8 ლიტონ სიტყვათ რომ არ ჩამოვართვან, გაგახსენებთ თუნდ იმას, რომ განვლილ მოძრაობის დროს, როცა დამარცხდა რევოლუციონურ ფრანკოლოგიისა და პროლეტარიატის განმარტების ტაქტიკა, და ცხოვრებამ იმპერატულათ, გარდაუცალ ბრძანებით გიკარნახათ ის ტაქტიკა, რასაც ამ სტრიქონების დამწერი გეჩინებოდათ ბევრით ადრე, ვინემ პროლეტარიატი განიცდიდა სასტიკ დამარცხებას, აი მაშინ ზოგიერთ ამხანაგებმა, პირზე დაიკრეს „საერთო ნაციონალური მიზნები“, როგორც მაშინ ამას გამოსთქვამდენ ზოგიერთი რუსი ამხანაგები „общенациональные задачи“ ე. ი. ისეთი მოთხოვნების წამოყენება და ხაზგასმა, რომელიც საერთო იქნებოდა რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრებ ყველა ნაციების ყველა პროგრესიულ კლასებისა და საზოგადოებრივ ჯგუფებისათვის. ცხადია, ამ შემთხვევაში ეს ამხანაგები ნაციათ აღიარებდენ მთელ იმ ხალხს, იმ 150 მილიონ მცხოვრებთ, რომელთაც შემორტყმული აქვთ ერთი რკინის სალტე წოდებული რუსეთის სახელმწიფოთ.

9 მკითხველს ვთხოვ დაიხსომოს, რომ სიტყვებს „ნაცია“ და „ერი“ ცხმარობთ ერთ და იმავე ცნების აღსანიშნავათ: მათ შორის არავითარ განსხვავებას არა ვდებ.

შეიძლება მოხდეს წინააღმდეგიც. ასე მაგ. ავსტრიაში საერთო სახელმწიფო ცხოვრებამ არამედ თუ არ გათქვიფა, არ ჩაკირა და არ შეაერთა სხვა და სხვა ნაციები, არამედ იქ ასპარეზზე გამოიყვანა ახალი ნაციები, და რაც დრო მიდის, იმდენათ ავსტრიის ერები უფრო და უფრო მეტ უნარსა და ენერგიას იჩენენ ეროვნულ თვითარსებობის დასაცავათ და ეროვნულ განვითარების უზრუნველ საყოფელათ.

ბ-ნ ჯორჯაძემ დიდი შეცდომა ჩაიდინა, რომა მან სახელმწიფოს აუკვიათა (ძალათ შეუკავშირა) ერი და პირველი მეორეს წარმომშობათ და ბედ-იღბალის გადამწყვეტათ გამოაცხადა. ეს შეცდომა თავის დროზე სამართლიანათ აღნიშნა ანმა (იხ. მისი „სადაო საკითხები“ „ცხოვრების სარკე“ №18), მაგრამ ამან თავის მხრივ არა ნაკლები შეცდომა დაუშვა, როცა გვაუწყა, „ნაციის დამახასიათებელია ტერიტორიაო.“ („ცხ. სარკე“ №9, „ნაციონალური კითხვა“) ნამდვილათ კი ტერიტორია დამახასიათებელია სახელმწიფოსი და არა ნაციისა, ტერიტორია არის შემადგენელი ელემენტი სახელმწიფოსი, ეს უკანასკნელი და არა ნაცია არის მატარებელი ტერიტორიალურ პრინციპისა. ასე გვასწავლის თვით სახელმწიფო უფლება. მართალია ტერიტორიას დიდი მნიშვნელობა აქვს ნაციის განვითარებაზე, ის ერთობ დიდ როლს თამაშობს ნაციის ბედ-იღბალში და აი სწორეთ ეს გარემოება იძლევა ილუზიას, ვითომ ტერიტორია იყოს ნაციის არსების ერთი შემადგენელი ნაწილი. ასე მაგ. თუ ერთი და იგივე ნაცია გაითიშა, განცალკევდა ტერიტორიალურათ და ამ რიგათ დაყოფილ ნაწილთა შორის შეწყდა სისტემატიური მიმოსვლა-ურთიერთობა, მაშინ ნაწილები უეჭველათ ითიშებიან ნაციონალურათაც, ე. ი. ადგილიან გადაგვარების გზას და ბოლოს და ბოლოს გადიქცვიან სხვა და სხვა ნაციებათ. მაგრამ ასე არა ხდება ყოველთვის. თუ ნაციას მიუღწევია განვითარების განსაზღვრულ სიმაღლემდე და ამასთანავე უკვე შექმნილა ურთიერთობა-მიმოსვლის იმგვარი საშუალებანი, როგორც არის რკინის გზები, ორთქლმავალი გემები, ფოსტა-ტელეგრაფი, ამასთანავე წიგნები და ჟურნალ-გაზეთობა, მაშინა ნაცია განცალკევებული ტერიტორიალურათ, სრულებითაც არ იშლება ნაციონალურათ. თანამედროვე ისტორია მოწმობს, რომ ასეთ პირობებში განცალკევებული ნაწილები თანდათან კვლავ უახლოვდებიან, მკვიდრათ უკავშირდებიან ერთმანეთს და განაგრძობენ საერთო ნაციონალურ არსებობას. ხოლო თუ ნაცია იმდენათ დაიქსაქსა ტერიტორიალურათ, რომ მას აღარ მოეპოება ერთი ნაციონალური კერა, ე. ი. ერთი ადგილი, სადაც სცხოვრობდეს განსაზღვრული რიცხვი მისი ეროვნების ადამიანებისა, თუ

აღარ მოეპოება თუნდა ერთი პატარა აუზი, საიდანაც ეროვნული სიცოცხლის ნაკადული ეგზავნებოდეს მის დაქსაქსულ ნაწილებს, მაშინ ეს ნაცია უეჭველათ ისპობა. მაგრამ ასე ხდება იმიტომ კი არა, ვითომ ტერიტორია, დედა, მიწა „დედაა“, ბუნებრივი ნიადაგია, როგორც ყოველგვარ სიცოცხლის, ისე ყოველგვარ სოციალურ მოვლენის და ერთ სწორეთ ასეთ მოვლენას შეადგენს ეროვნებაც.

დიდ ხანს ფიქრობდენ, ვითომ ნაციას ჰქმნიდეს საერთო ჩამომავლობა, ერთი გვარტომობა. თითქმის ყოველ ნაციას მოეპოება ზღაპრული თქმულებანი, რომელნიც მოგვითხრობენ მის ერთ დედ-მამისაგან წარმოშობას. მართლაც თვითეულ ნაციას ჰყოლია საერთო წინაპრები, მაგრამ დღეს აღარ მოიპოება თითქმის არც ერთი ნაცია, რომლის შემადგენელ ადამიანთ ძარღვებში არ ედგას სხვადასხვა მოსდემის სისხლი. მეცნიერებამ დანამდვილებით იცის, რომ მაგ. იტალიელები ჩამომავლები არიან ეტრუსკელების, რომაელების, კელტების, სარაციანელების, ბერძნების და გერმანელების; თვითონ დღევანდელი გერმანელები ჩამომავლები არიან გარდა ძველ გერმანელების, აგრეთვე სლავიანების, კელტებისა და სხვ., ხოლო დღევანდელი ფრანგების სისხლში ურევია გალების, ბრიტების, რომაელების და გერმანელების სისხლი და სხ.

თქმა არ უნდა, რომ არც სარწმუნოების ერთობა ჰქმნის ნაციას. მიუხედავად იმისა, რომ სარწმუნოებაც ზოგჯერ თვალსაჩინო როლს თამაშობს ერის ცხოვრებაში. მაგ. განსაზღვრულ პირობებში ნაციის სარწმუნოებრივ განცალკევებამ შეიძლება საოცრათ ხელი შეუწყოს ამ ნაწილების ნაციონალურ განცალკევებას ე. ი. ნაციონალურ გადაგვარებას. ასე ხდება, როცა ერი იმყოფება კულტურის უმდაბლეს საფეხურზე, როცა სარწმუნოება შეიცავს და თავის ელფერს ადებს ხალხის თითქმის მთელ სულიერ კულტურას. მდაბიო ხალხი დღესაც ერთმანეთში ურევს „რჯულსა“ და ეროვნებას<sup>10</sup>; მაგრამ ყველა ოდნავაც შეგნებული დღეს კარგათ ხედავს, რომ ერთ და იმავე ნაციის ადამიანები უმეტეს ნაწილათ სხვა-და – სხვა სარწმუნოებას აღიარებენ და ამით სრულიადაც არ ირღვევა ნაციონალური ერთიანობა.

ამაზე ლაპარაკიც მეტია. სამაგიეროთ სერიოზულ განხილვას ითხოვს **ენა**, რასაც ბევრი სწავლული აღიარებს იმ ცემენტათ, რომელიც ადამი-

10 ერთხელ ერთმა ქობულეთელმა მაჰმადიანმა ქართველმა ჩემ შეკითხვაზე თუ რა ეროვნებას ეკუთვნოდა-მომივო „თათარი ვარო“; როცა შევნიშნე, რომ მას ქართველობასთან ბევრი რამ აკავშირებდა, მან მიპასუხა: „ეგენი მართალია ქართველის გვაქვს, მარა ჩვენ მაინც ყოლიფრამდი თათარი ვართ, რადგან ჩვენი რჯული თათრისააო“.

ანებს ადულებს ნაციათ. ენა მართლაც და აუცილებელი პირობაა ადამიანთა შორის რაიმე ურთიერთობის გასაჩენათ, რაიმე საზოგადოებრივ ცხოვრების ასაღორძინებლათ. ენის საშუალებით ინახება ზნე-ჩვეულება, ენით, ზეპირ-სიტყვით და ნაწერი თუ ბეჭდური სიტყვით ერთი თაობიდან მეორე თაობაზე გადადის ადამიანთა ცოდნა-გამოცდილება და სხ. ენას უეჭველათ შესწევს ძალა ნაციის ჩაკირვისა და კონსოლიდაციისა (გამაგრებისა), ენის როლი იმდენათ დიდია, რომ ძნელია მისი მნიშვნელობის გადაჭარბება, მაგრამ კაუცკის, ჩვენის ფიქრით, მაინც გადაჭარბებულათ აქვს წარმოდგენილი ეს მნიშვნელობა.

„ჩვენის აზრით-სწერს კაუცკი-ეროვნების უმთავრესი დამახასიათებელი ნიშნობლივი თვისება არის ენა<sup>11</sup>. კაუცკისათვის ენა არის დედა ძარღვი ნაციის არსებობისა. იგი იქამდის მიდის, რომ სწერს: „ინგლისელი (მაგალითათ) ინგლისელათ რჩება იმ დრომდე, სანამ ის ინგლისურს უფრო უკეთ ლაპარაკობს, ვიდრე რომელსამე სხვა ენას. ხოლო თუ ის ბერლინში იცხოვრებს იმდენ ხანს და ინგლისელებთანაც ისე გასწყვეტავს კავშირს, რომ ინგლისურ ენას დაივიწყებს და გერმანული ენა გახდება მისთვის იმ ენათ, რომელზედაც მას უკეთ შეეძლება ლაპარაკი, ვინემ სხვა რომელსამე ენაზე, აი ენის ამგვარი შეცვლით იგი (ინგლისელი), რასაკვირველია, იქცევა გერმანელათ<sup>12</sup>.

ამ აზრის უსაფუძვლობა თავის თავად ცხადია. ვინ არ იცის, რომ მაგ. ქართველობაში ბევრი ინტელიგენტი რუსულათ უკეთ ლაპარაკობს, ვიდრე ქართულათ, მარა მიუხედავათ ამისა, არც თვით იმ ინტელიგენტებს და არც სხვას ჯერ არ მოსვლია აზრათ ის ფანტასტიური აზრი, ვითომ იგინი ამიტომ რუსები იყვნენ და არა ქართველები. „შენი ენის მცოდნე ამბობს კიდევ კაუცკი მეგობრათ გიხდება, არ მცოდნე უცხოა, რომლისადმი გრძნობენგარემოების და მიხედვით ან გულგრილობას, ან დაცინვას, ან ზიზღსა და ან სიძულვილს,<sup>13</sup> რომლის გამომხატველი შეიქმნა გაბ, „გოლოს კაკაბა“, წინ ვერ გადაელობა ერთ და იმავე ენის ცოდნა. კაუცკი ასე განმარტავს თავის აზრს: „უცხოეთში ნაციონალური განსხვავება ხშირათ უფრო ძალუმათ იჩენს თავს, ვინემ უმკაცრესი კლასიური წინააღმდეგობა. თუ მაგ. გერმანელი მუშა წავა საფრანგეთში და არ ეცოდინება არც ერთი სიტყვა ფრანგული, არც თავის გვერდით ეყოლება გერმანულათ მოლაპარაკე

11 об. Nationalität unb internationalität გვ. 6.

12 об. Кризись Австрія (Язык и нация) გვ. 4.

13 Кризись. Австрія გვ. 5.

კლასიური ამხანაგები, მაშინ ის მიუხედავად ყველა ინტერნაციონალურ და კლასიურ თვითშეგნება-სოლიდარობისა, ფრანგ პროლეტარებს შორის თავს ძალიან ცუდად იგრძნობს, და პირველსავე გერმანელს, რომელიც მას გამოელაპარაკება, თუნდაც ეს იყოს ექსპლოატატორი (კაპიტალისტი), ვისაც იგი სამშობლოში სიძულვილით უყურებდა, უცხოეთში სიხარულით მიესალმება.<sup>14</sup> აქ აღებულია ისეთი შემთხვევა, როცა ნაციონალური განსხვავება მართლაც უკიდურეს ძლიერებით იჩენს თავს. მაგრამ აღნიშნულ პსიქოლოგიას იწვევს არა მარტო ენის სხვა-და-სხვაობა. ყველამ იცის ის ფაქტი, რომ უცხოეთში ხშირად სიამოვნებით ხვდებიან თავის ნაციის ადამიანებს თვით ისენიც, ვინც უკვე კარგათ ლაპარაკობენ უცხო ენას. ჯერ კიდევ გრიბოდოვმა სთქვა, რომ „უცხოეთში (როცა იმოგზაურებ) სამშობლოს ბოლიც კი მოგვწონს და გვესიამოვნებაო“. ამ დღეებშიაც ჩვენმა მცხოვანმა პოეტმა აკაკიმ გამოაქვეყნა ერთი გულუბრყვილო ლექსი „პეტერბურგი“, სადაც იგი გვიხატავს თავის სულიერ მდგომარეობას, რაც მან განიცადა ეხლახან პეტერბურგში ყოფნის დროს. ბ-ნი აკაკი მშვენიერად მცოდნე რუსული ენისა-ათვალიერებს, აკვირდება რუსეთის სატახტო ქალაქის და მის მცხოვრებთა სხვა და სხვა მხარეებს, მაგრამ მას თვალში არაფერი არ მოსდის და მისი გულ-გონება ისწრაფის საქართველოსაკენ. პოეტს რუსის ქალიც კი აღარ უნდა დაინახოს, ქართველი ქალი კი... „ოჰ, ღმერთო ჩემო, რა ლამაზია.

იმის ერთ კოცნას შესწირავ სრულად, შენი რომ იყოს მთელი აზია!...“ როგორცა ხედავთ, აქ უკვე ენა არაფერ შუაშია.

ენის სასარგებლოთ კაუცკის მოყავს ერთი მეტათ მკვეთრი არგუმენტი, სახელდობრ, ის სამართლიანათ აღნიშნავს, რომ არც დღეს და არც გუშინ არ ყოფილა, ისტორიამ არ იცის ისეთი ნაცია, რომ არ ჰქონოდეს საერთო ენა. (დიალექტები თუ კილოკავები, რასაკვირველია, სახეში მისაღები არ არის). მართალია ებრაელები სხვა და სხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ებრაელების თვით ნაციაც ბევრისთვის დღეს საეჭვოა თუ არსებობს, ყოველ შემთხვევაში ებრაელები არ წარმოადგენენ ტიპიურ ნაციას. ეს ასეა მარა, ჩვენ კაუცკის შემომოყვანილ არგუმენტს დავუპირდაპირებთ შემდეგ გარემოებას. ირლანდიელები და ინგლისელები, დანიელები და ნორვეგიელები, სერბები და კროატები და სხვა და სხ. ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ერთსა და იმავე ნაციას არ შეადგენენ. ეს მოვლენა ჩვენთვის საბოლოოთ გაუგებარი დარჩებოდა, თუ კი ვირწმუნებდით, ვითომ

14 Nationalität und internationalität გვ 7-8.

ენის ერთობა ჰქმნიდეს ნაციას.

ცხადია ენა ვერ აგვიხსნის ნაციის არსებას. მაგრამ თუ ვერ ენა, ვერც ჩამომავლობა, ვერც ტერიტორია და სხ. და სხ. ვითომ ნაციის ელემენტები, ცალ-ცალკე აღებული, ვერ იძლევა საკითხის ახსნას, შეიძლება ყველა ეს ელემენტები ერთად აღებული შეიცავდენ საიდუმლოების გასაღებს. სწორედ ასე ფიქრობენ განსაკუთრებით იტალიელი სოციოლოგები. ამათი თეორიით ნაციას შეადგენს საერთო ტერიტორია, საერთო ჩამომავლობა, საერთო ენა, საერთო ზნე-ჩვეულება, საერთო ჭირი და ლხინის გამოცდა, საერთო ისტორიული წარსული, საერთო კანონები და საერთო სარწმუნოება. ასეთია ემპირიული თეორია. ამ შეხედულებას, სხვათა შორის ჭეშმარიტად სცნობს ანი. იგი სწერს: „ხალხი ერთ ენაზე მოლაპარაკე, ერთ ტერიტორიაზე მოსახლე, ერთნაირ ზნე-ჩვეულებით, კულტურით და სხ. წარმოადგენს ერთ ერს ანუ (?) გვარტომობას<sup>15</sup> (იხ. „ცხ. სარკე“, 18). მაგრამ ეს თეორია სრულიად სხვა-და-სხვა ძალისა და მნიშვნელობის გარემოებით ერთსა და იმავე ქვაბში აქცევს; არ გვეუბნება თუ რათ ხდება, რომ ხშირად არა ერთი და ორი აღნიშნული ელემენტი იკარგება ხოლმე, ნაცია კი არამც თუ არ იკარგება, პირიქით უფრო მკაფიო გამოხატულებით განგრძობს ხოლმე არსებობას, ეს თეორია იძლევა-მეტ-ნაკლებს სისწორით – მხოლოდ ნაციის გარეგან აღწერილობას, იგი დასცურავს მოვლენის გედა-პირზე, სრულებითაც ვერ გვახედებს მის არსებაში; ეს არ არის მეცნიერული თეორია და როგორც ამნაირი უნდა უარყოფილ იქმნას..

## 2.

მკითხველს ალბათ ეცოდინება ის შეხედულება, რომლის თანახმად ნაცია ეწოდება იმ ადამიანთა კრებულს, ვისაც აერთებს და აკავშირებს **შეგნება**, რომ ისინი შეადგენენ ერთს და იმავე ნაციას. ეს არის ნაციის პსიქოლოგიური თეორია, რომელიც ბევრ სწავლულისაგან დღესაც საუკეთესოდ არის მიჩნეული. ამ თეორიის სისუსტეს უკვე გვაფიქრებინებს ის საკითხი, რაიც უმაღლეს გვებადება: განა ნაციონალური შეგნება არსებობს ყოველთვის და ანუ ყველა იმათთვის, ვინც შეადგენენ ნაციას? აი ამ უკანასკნელზე რას გვატყობინებს ავსტრიელი სწავლული გუმპლოვიჩი: „გაუნათლებელ მასსას არსად ასეთი შეგნება არ მოეპოვება, წმინდა და ნამდვილ ნაცი-

15 აქ ანი ერსა და გვარტომობას შუა თანასწორობის ხაზს სვამს, თუმცა ერის აუცილებელ თვისებათ თვითონვე ასახელებს ენას, ზნე-ჩვეულებას, კულტურას და სხვა. რასაც გვარტომობა სრულიადაც არ იგულისხმებს აუცილებლათ.

ონალურ შეგნების უნარი მას არა აქვს, იმას მხოლოდ ის გაგება შესწევს, რომ იგი ეკუთვნის საერთო ჩამომავლობას და ან საერთო სარწმუნოებას: მაღალი და სწორე ნაციონალური გრძნობა, რომელიც იგულისხმებს კულტურულ განვითარების განსაზღვრულ სიმაღლეს, იმისთვის უცხოა ყველგან და ყოველთვის“. „გაუნათლებელი მასსა კი თითქმის დღესაც შეადგენს ნაციის უმრავლესობას. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ვითარება შეცვლილია, ე. ი. განსაზღვრული განათლება მოეფინა ხალხის ფართე მასას და ეს უკვე ასეც ხდება დაწინაურებულ ქვეყნებში; იქ ხალხის ფართე მასა უკვე ძალუმით იმსჭვალეუბა ნაციონალური თვით-შეგნებით. მარა რალა უნდა ითქვას წარსულზე; განა დღევანდლამდე, ისტორიის მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ასეთი ნაციონალური შეგნება, განა არც თვითონ ნაცია არსებობდა? თუ კი ვერწმუნებოდით აღნიშნულ თეორიას, იძულებული გავხდებოდით გვეთქვა – არა, არ არსებობდა, რაიც იქნებოდა აშკარა შეუსაბამობა. აქედან, ამ უხერხულობიდან, ერთგვარ გამოსასვლელს იძლევა ანი, რომელიც რამოდენათმე ემხრობა აგრეთვე აღნიშნულ პსიხოლოგიურ თეორიას. მისი აზრით ერი არსებობდა წარსულშიაც, ისე როგორც არსებობს დღესაც, მაგრამ წარსულში არა ყოფილა ეროვნება, რადგან არ ყოფილა „ვაჭრობა-აღებ-მიცემობა, მრეწველობა, მიმოსვლა, თანამედროვე მოქალაქობრივი ცხოვრება“, რაიც ერთათ ერთი მიზეზია ეროვნების წარმოშობისა. „ყველა ერი, მიუხედავათ მისი პოლიტიკური წარსულისა, რომელიც ადგება სამრეწველო გზას, ადრე თუ გვიან ხდება ეროვნებათ“ („ცხოვ. სარკე“ №18). ასე რომ შეიძლება არსებობდეს ერი, ნაცია, მაგრამ ეროვნების ნატამალი, სახსენებელიც კი არ მოიპოვებოდეს. რას ნიშნავს ეს უცნაურობა? ანი განგვიმარტავს: „რას ეწოდება ეროვნება? ეროვნება და ერი ერთი და იგივე მცნების გამოხატულება არ არის. პირველი ეხება უფრო შეგნებას, პსიხიურ მოვლენას, მეორე კი რასიულს, ობიექტიურს. ხალხი ერთ ენაზე მოლაპარაკე, ერთ ტერიტორიაზე მოსახლე, ერთი მზენიველებით, კულტურით და სხ. წარმოადგენს ერთ ერს... ეროვნება კი ეწოდება ამ ერის ისეთ მდგომარეობას, როცა ის გრძნობს თავის თავს, როგორც ერთ მთელს, ერთი ჭირით და ლხინით გარემოცულს, ერთი მიზნისათვის ამოძრავებულს. შეიძლება მიზანი არც კი იყოს ნაციონალური, მარა თუ მთელი ერი ამ საქმისათვის ერთათ გამოდის – ის უკვე ეროვნებაა, გაერთიანებული ერია“. (იხ. იქვე „ზღაპარი პირველი“). ანი იღებს ერის ისეთ განვითარებას, როცა უკვე არსებობს სწორეთ ის პსიხიური ერთობა, რასაც ეწოდება ნაციონალური თვითშეგნება. აქ

მას სახეში არა აქვს ისეთი მდგომარეობა, როცა ერი მხოლოდ დროებით, ერთი მომენტით იმსჯვალეება ერთი აზრით და გრძნობით და ერთი მიზნისაკენ მიმართავს თავის ძალ-ღონეს. ასეთი დროებითი გაერთიანება შესაძლებელია მოხდეს ყოველ ეპოქაში, ერის განვითარების ყოველ საფეხურზე. ასე მაგ. თვით შორეულ წარსულში, განვითარების თვით უმდაბლეს საფეხურზე ზოგჯერ მთელი ერი ერთათ გამოდიოდა საერთო საქმისათვის, როცა მას კარზე მოადგებოდა ძლიერი, გარეშე მტერი ან როცა ბუნებასთან ბრძოლის დროს უხდებოდა რაიმე ბუმბერაზული მუშაობის შესრულება; მაგრამ რა წამსაც გარეშე მიზეზები იკარგებოდა, ერის გაერთიანებაც იშლებოდა. ანის მიერ აღებულ შემთხვევაში კი პსიხიური ერთობა არის მუდმივი და განუწყვეტელი. ხოლო ასეთი ერთობა კი მუშავდება მხოლოდ ჩვენს დროში; მისი პროცესი ჯერაც არ არის მუდმივი და განუწყვეტელი. და მერე ნუ თუ დღევანდლამდე ეროვნება არ არსებობდა? ან გვეუბნება: არა, არ არსებობდა, იყო მხოლოდ ერი, ეროვნება კი დღეს, კაპიტალიზმის ეპოქაში იბადება. მაგრამ საქმე ის არის, რომ ტერმინების „ერი“ და „ეროვნება“ ასეთი ხმარება, როგორცა შვრება ანის, სრულიად შეუწყნარებელია. ეს ტერმინები ისევე შეეწონებიან ერთმანეთს, როგორც მაგ. სიტყვები: „კაცე – კაცობა, ადამიანი – ადამიანობა, ქართველი – ქართველობა და სხ. ვინ არ იცის, რომ სიტყვები დაბოლოვებული „ებაზე“ თუ „ობაზე“ აღნიშნავენ საგნისა თუ მოვლენის რაობას ან ვინაობას. თუ არსებობს ესა თუ ის საგანი, უეჭველია არსებობს მისი დამახასიათებელი თვისებებიც. მაშასადამე ყოველთვის და ყოველგან, საცა კი არსებობს ერი, იქ უეჭველია არსებობს ეროვნებაც, რადგან პირველი მეორის აუცილებელი მატარებელია.

თქმა არ უნდა, რომ ერი იცვლება ისტორიის განმავლობაში, იგი სხვადასხვაგვარად განვითარებასთან ერთათ, მარა თეორიის უნარიც სწორეთ ის უნდა იყოს, რომ ამ სხვა და სხვაობაში აღმოაჩინოს ერთგვარობა, მოგვეცეს ისეთი კრიტერიუმი, რომელიც ნაციას შეგვანებინებდა, როგორც ერთსა და იმავე, მაგრამ მუდმივ ცვალებად მოვლენას, აგვისსნიდა, რომ თუმცა მაგ. ფეოდალურ ეპოქის ნაცია დიდათ განსხვავდება კაპიტალიზმის ეპოქის ნაციიდან, მარა აქაც და იქაც ჩვენ წინ ერთი და იგივე მოვლენაა, წოდებული ნაციათ. აღნიშნული თეორია კი იძლევა ისეთ კრიტერიუმს, რომელიც სრულებით არ უდგება ფეოდალურ ეპოქისა და კიდევ წინა დროების ნაციას, როგორც უკვე ზევითაც შევნიშნეთ, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ნაციას არ მოეპოვება ის პსიხიური ერთობა, რასაც



ეწოდება ნაციონალური შეგნება ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ცხადია, რომ პსიხოლოგიური თეორია არ არის მისაღები.

ამ თეორიას კიდევ აქვს მეორე შტო, რომელიც თავის სისტემის ქვა-კუთხედით იღებს სურვილ-ნებას<sup>16</sup>. ამ შეხედულებით ნაციას წარმოადგენს ხალხი, რომელსაც აერთებს სურვილი ერთათ ყოფნის, ერთათ დარჩენის და ერთათ ცხოვრების. მკითხველმა არ უნდა გაიკვიროს ნაციის ასეთი განმარტება. უნდა გვახსოვდეს, რომ განვლილ საუკუნეთა განმავლობაში ნაციები გაშმაგებით იმიჯნებოდენ ერთი ერთმანეთისაგან, აწარმოებდენ ცხარე ბრძოლას საკუთარ პოლიტიკურ ცხოვრების მოსაპოებლათ. ყოველ ნაციას თავის საკუთარი „სახელმწიფოვო!“ საერთო ლოზუნგათ გადაიქცა. მოხდა გერმანიის გაერთიანება, იტალიის გაერთიანება, პოლონეთის აჯანყება საკუთარ სახელმწიფოს აღსადგენათ, საბერძნეთისა და ბალკანეთის სხვა წვრილ ერების ოსმალეთისაგან განთავისუფლება და ცალკე სახელმწიფოებათ გამოცხადება და სხ. და სხ. ყველა ეს, რა თქმა უნდა, დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ყველაზე და აი იმ დროის სწავლულებმაც დაასკვნეს, რომ მისწრაფება დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებისადმი, სურვილი საკუთარ სახელმწიფოში ცხოვრების შეადგენს ნაციის ნამდვილ ბუნებრივ მისწრაფებას, მისი ნიშნობლივ დამახასიათებელ თვისებას, იგია მისი შემადგენელი არსებაო<sup>17</sup>.

მაგრამ თუ გავყვებით ამ შეხედულებას, ეჭვი არ არის, კვლავ დიდ შეუსაბამობას მივადგებით. ყველამ იცის, რომ დღეს მაგ. რუსეთის სახელმწიფოში არც ერთი ნაცია აღარ ესწრაფის განცალკევებას, საკუთარ სახელმწიფოს დაარსებას; პირიქით, ყველა აქ მცხოვრები ერები მსურველნი არიან დარჩნენ საერთო სახელმწიფო ჩარჩოში. და ამასთანავე კი რუსეთის ერები არამც თუ ერთმანეთში არ ილესებიან და ერთ ნაციას არ შეადგენენ, არამედ პირიქით, რაც დრო მიდის, იმდენი უფრო მეტის ენერგიით იბრძვიან თავ თავიანთ ეროვნულ არსებობის დასაცავათ. შეიძლება გვითხრან, რომ აქ ნაციები მსურველნი არიან ერთად დარჩენის, ერთ სახელმწიფოში ცხოვრების, მხოლოდ იმიტომ, რომ „ძალა აღმართსა ხნავს“, რომ არც ერთ აქ მცხოვრებ ნაციას არ შესწევს ღონე ცალკე გასვლის და ცალკე სახელმწიფოს დაარსებისო. ეს შენიშვნა სრულებითაც არ არის უსაფუძვ-

16 ნება-სურვილი ევროპიულ ენებზე „ვოლონტე“, აქედან ამ სისტემასაც ეწოდება პსიხოლოგიურ-ვოლონტრისტული, პირველს კი რომელიც ემყარება შეგნებაზე, ინტელექტზე – პსიხოლოგიურ-ინტელექტუალური.

17 იხ. მაგ. რენანის Qu' est-ce qu' une nation (რა არის ნაცია?) თუ არ ვცდები, გადათარგმნილია ქართულ ენაზე.

ლო. მაგრამ ავიღოთ შვეიცარია ან ბელგია. ორივე სახელმწიფოში ხალხი უკვე ნება-ყოფლობით, თავისუფალი სურვილით ცხოვრობენ ერთათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ერთ ნაციას არ შეადგენენ. ბელგიაში ორი ნაციაა-ფლამანტლები და ვალონები; შვეიცარიაში არიან ფრანგები, გერმანელები, იტალიელები. ამჟამად, რომ არც ეს, სურვილის თეორია ყოფილა მისაღები.

არც ეს და არც პირველი შეხედულება, რომელიც ემყარება ნაციონალურ შეგნებაზე, არ არის მისაღები კიდევ იმ ზედ-მეტი მოსაზრებით, რომ არ გვეუბნება, თუ საიდან მომდინარეობს ერთი და იმავე ნაციის ერთათ ცხოვრების სურვილი, არ გვეუბნება თუ რა იწვევს ადამიანებში გრძნობასა და შეგნებას, რომ იგინი შეადგენენ ერთ ნაციას. ერთი სიტყვით პსიხოლოგიური თეორია სრულებითაც ვერ გვიხსნის, თუ რა არის ნაცია.

დავვრჩა აღსანიშნავი ასე წოდებული მეტაფიზიკური თეორია, რომელიც არა კმაყოფილდება ნაციის ამა თუ იმ განსაკუთრებულ პსიხიურ თვისებების შესწავლით და ეძებს მიზეზთა მიზეზს. ამ გვარ მიზეზთა მას გამოაქვს სული, რომელიც ბადებს ყოველგვარ მოვლენათ და ამოძრავებს ყველაფერს, რაც კი შეინძრეოდა, შთაბერილი ჰქონდა განსაკუთრებული სული, ხოლო ყველა ამათვე გაბატონებული იყო უძლიერესი სული, უზენაესი ძალა-ღვთაება. ფილოსოფოსი ფიხტე ამბობდა, რომ ინდივიდუუმი (ცალკე ადამიანი) არის გამოხატულება, განხორციელება ხალხის სულისა და ეს უკანასკნელი კი გამოხატულებაა ღვთაებისაო. ხალხის სულს პირველათ უგალობეს პოეტებმა, შემდეგ მას მეცნიერების კარი გაუღო ასე წოდებულმა სკოლამ იურისპრუდენციაში. გვასწავლიდენ, რომ ნაციის ყველა იურიდიულ მოვლენათ იწვევს ხალხის სული, უფლება მხოლოდ ამის გამოხატულებააო. ბოლოს ამავე გზით დაიწყეს ახსნა ყველა საზოგადოებრივ ცხოვრების მოვლენათა და ნაციის მთელი ისტორია, თავ-გადასავალი, ისე როგორც თვით ნაცია, გამოაცხადეს ხალხის, ამ ნაციის სულის გამოხატულება-განხორციელებათ.

ეს თეორია, ასე ვთქვათ, ნაციონალური სპირიტუალიზმი (სპირიტ – სული), რომ, საბოლოო ანგარიშით, არაფერს არ გვიხსნის, ეს ადვილათ დასანახია. ნაციონალური სპირიტუალიზმი გვასწავლის, რომ ამა თუ იმ ნაციის ადამიანები განსაკუთრებულათ მოქმედებენ, განსაკუთრებულ ისტორიას ჰქმნიან, რადგან ისინი დაჯილდოებულნი არიან განსაკუთრებულ სულიერ თვისებებით, ამ თვისებებით კი მათ აჯილდოებს მათივე ხალხის სული, რომელიც მატარებელია სწორეთ ამ სულიერ თვისების, რადგან

სწორეთ ამ თვისებების მატარებელია ის ნაცია, სადაც ეს სული პოულობს თავის განხორციელებას. ასე რომ ხალხის სული, ერის სუბსტანცია (არსებობა), ყოფილა მხოლოთ აბსტრაქცია, კრებული იმ თვისებათა, რომლის მატარებელათ არიან ამა თუ იმ ნაციის ადამიანები.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მეცნიერებაში უკვე კარგა ხანია უარყოფილია ის აზრი, ვითომ ჰსიხიურ მოვლენათა მიზეზი იყოს განსაკუთრებული სუბსტანცია – სული. ის, რასაც ვუძახით სულს, თვითონ წარმოადგენს მხოლოთ კრებულს სულიერ მოვლენათა. ეს უკანასკნელნი კი აუცილებლათ ხდებიან ნივთიერ ნიადაგზე. სული არ არსებობს გარეშე მატერიისა.

ეს ჭეშმარიტება ხელზე დაიხვიეს ზოგიერთ ფილოსოფოსებმა და მატერიაში იწყეს მიზეზთა მიზეზის ძებნა. ამათი შეხედულებით ნაციას შეადგენს ყველა ის განსაკუთრებული თვისებები რომლის მატარებელია შთანასახის პლაზმა და რაიც ამა თუ იმ ნაციის ადამიანებში ერთი თაობიდან მეორეზე გადადის მემკვიდრეობით. ამ შეხედულებით ნაციის მთელი ვინაობა, მისი თავ-გადასავალი და ისტორია მოვლინებულია იმ პაწია უჯრედისაგან, რომელიც გამოიყოფება ხოლმე მამისა და დედის სხეულიდან და ერთდება სიცოცხლის ჩასახვის დროს. მაგრამ ეს შეხედულება, ნაციონალური მატერიალიზმი – იგივე მეტაფიზიკაა, რაც ზემოთ ვნახეთ ნაციონალურ სპირიტუალიზმში, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ აქ სულის ადგილას წამოყენებულია მატერია.

შთანასახის პლაზმის ისეთი გაგება, როგორსაც იძლევა ეს მატერიალიზმი უკვე უარყოფილია თანამედროვე ბიოლოგიაში. ლამარკისა და დარვინის შემდეგ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ინდივიდებს მოეპოებათ არა მარტო ფიზიკური და ჰსიხიური თვისებანი, რომელიც მათ მემკვიდრეობით მიიღეს, არამედ აგრეთვე ის თვისებანიც, რომელიც მათ შეიძინეს საკუთარ სიცოცხლეში გარშემორტყმულ პირობების ზე-გავლენით არსებობისათვის ბრძოლის დროს. ასე რომ ეს ინდივიდები თავის შთანაობას გადასცემენ არა იმავე შთანასახის პლაზმას, რომელიც თვითონ მიიღეს მშობლებისაგან, არამედ უკვე შეცვლილს და გადასხვაფერებულს, და თუ ეს პლაზმა თვითონაც ცვალებადია, ცხადია, ის არ ყოფილა იმ ძალის მატარებელი, რომელიც ჭეშმინს ნაციას და ამოძრავებს მის ისტორიას.

ჩვენ ეხლა უკვე ვიცით ყველა ის თეორიები და შეხედულებანი, რაიც დღევანდლამდე არსებულა ნაციის შესახებ. უკვე დავინახეთ, რომ არც ერთი მათგანი არ იძლევა დამაკმაყოფილებელ პასუხს ჩვენს საკითხზე, არც ერთი მათგანი არ არის მეცნიერებისაგან მისაღები. ამიტომ ჩვენი სა-

კითხის ახსნა-განმარტება უნდა მოვძებნოთ სხვაგან და სულ სხვა გზით. მაგრამ ამაზე შემდეგ წერილში.

### 3. ნაციის ახალი თეორია

წინა წერილებში ჩვენ განვიხილეთ და უარვყავით ყველა ის თეორიები, რაც კი დღემდე არსებულა ნაციის შესახებ. აქ გვინდა მკითხველს მოკლეთ გავაცნოთ ახალი შეხედულება, რასაც ჩვენ ვაღიარებთ და ვცნობთ ნამდვილ მეცნიერულ თეორიას. ამ თეორიის ზოგიერთი კერძო ამრი მკითხველს, უეტველია მოაგონებს ამა თუ იმ ძველ თეორიის რომელიმე კერძო შეხედულებას, მარა ეს სრულებითაც ვერ დააფოლებს მის ღირსებას. თუ ჩვენ უარვყოფთ ამა თუ იმ თეორიას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ისევე იშლებოდეს, როგორც იშლება დაფაზე ნაწერი ღრუბლის მოსმით, ამრის განვითარება წარმოადგენს ერთგვარ მდინარეს, სადაც დამსხვრეული თეორიები მრავლათ აფრქვევენ სხვა და სხვა თესლეულობას. აქ, უვარგისთან, რასაკვირველია, იპოვება საღი მარცვლებიც. ახალი თეორია ამ უკანასკნელს კრეფავს, აცლის ჩენჩოებს, ამას მდინარის უფსკრულს უტოვებს, ხოლო ჭეშმარიტების ლებანით კი თვითონ საზრდოობს. მკითხველმა არ უნდა იფიქროს, ვითომ ჩვენ ვადგებოდეთ ეკლექტიზმის გზას, ე. ი. სხვა და სხვა თეორიების შეთანხმება-შერიგებით გვინდოდეს ფონს გასვლა. არა. ჩვენ არ მივიღეთ ძველი თეორიები, რადგან უარვყავით მათი ქვა-კუთხედი, სისტემის დედა-ამრი და მთელი აგებულება და ის, რაც აქ გვინდა გაუზიაროთ მკითხველს, დამყარებულია თავის საკუთარ საძირკველზე, განსაკუთრებულია მთელი მისი აგებულება და კვლევადიების მეთოდი. მარა გადავიდეთ თვით საგანზე.

კაცობრიობა რომ დანაწილებულია ნაციებათ, ეს იცის ყველამ, ამას არ უარჰყოფს არც სწავლული და არც უსწავლელი, ნაციის არსებობაში არავის ეჭვი არ შეაქვს<sup>18</sup> და ან კი როგორ იქნებოდა სხვა ნაირათ? ნაცია მუდამ ჟამს ძალუმათ მოქმედობს ადამიანზედ; ნაციის იდეისათვის მრავალ ათას ადამიანს შეგნებულათ და ნებაყოფლობით მსხვერპლათ შეუწირავს თვისი სიცოცხლე. ყოველი ადამიანი – იშვიათი გამონაკლისით – თავის თავს

18 ამ ორიოდე წლის წინათ, ერთ ერთ ადგილობრივ რუსულ გაზეთებში, განსვენებული ნ. ხუდადოვი სწერდა, რომ ნაცია მარქსისტების შეხედულებით ფიქცია (ფანტაზია, მოჩვენება) არისო. ჩვენ მაშინვე ერთ ერთ ქართულ გაზეთში – ალენიშნეთ ამ განცხადების სრული უსაფუძვლობა. მართლაც, ვერ დამისახელებთ ვერც ერთი მარქსისტის ვერც ერთ სტრიქონს, სადაც ერი ფიქციათ იყო აღიარებული. და თუ ჩვენი მოწინააღმდეგენი ამას ამბობენ, ეს მოსდით მხოლოთ პოლემიკის გატაცებით.

უეჭველათ აკუთვნებს ამა თუ იმ ნაციას. მაშასადამე ცხადია უსათუოთ უნდა არსებობდეს ნამდვილი, ობიექტური რამ ნიშანი თუ ნიშნები, რითაც ჩვენ ვცნობთ ჩვენი ნაციის ადამიანებს და ვერჩევით სხვა ნაციის ადამიანებისაგან. და სწორეთ ამ ობიექტურ რამეს, რომელიც ადამიანებს აცალკევებს და სჭედავს ერთ ნაციათ ეწოდება ეროვნება. რა არის სახელდობრ?

თუ ჩვენ გავემგზავრებით უცხო ქვეყანაში, პირველივე გრძნობა, რასაც ჩვენ იქ შესვლის უმაღვე განვიცდით, იქნება უცნაურობა; ყველაფერი, რასაც იქ ვხედავთ და რაც გვესმის უცნაურია ჩვენთვის; აშკარა ხდება, რომ ჩვენ და იმ უცხო ნაციის ადამიანები არა ვგვვართ ერთმანეთს. თუ დიდხანს დავრჩებით იმ ქვეყანაში, ბოლოს უცნაურობა გაქარწყლდება ან და დაპკარგავს თავის სიცხოველეს; შევეჩვევით იქაურობას, ჩვენ თვითონ დავემსგავსებით იქაურ ნაციის ადამიანებს, იმათებურათ ჩავიცვამთ და დავიხურავთ, იმათებურათ ვილაპარაკებთ და სხ. და სხ. მაგრამ მიუხედავათ ამისა, რამდენი ხანიც არ უნდა დავყოთ იმ უცხო მხარეს, უცხოთა შორის ჩვენ და ისინი მაინც ერთმანეთში ვერ გავილესებით და სხვა და სხვა ადამიანები დავრჩებით. ორი სხვა და სხვა ნაციის ადამიანი, თუნდაც ერთი და იმავე შეძლებისა და განათლების მქონე, სხვა და სხვა ნაირათ ცხოვრობენ, სხვა და სხვა ნაირათ ატარებენ დროს, სხვა და სხვა ნაირათ სიამოვნებენ. თუ ჩვენს დაკვირვებას ბოლომდის მივიყვანთ, დავრწმუნდებით, რომ ჩვენ და სხვა ნაციის ადამიანებს სხვა და სხვა გვარი გვაქვს მგრძნობელობა, აზროვნება, სხვა და სხვაა ჩვენი სურვილი-ნება და მოქმედება; ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი და იგივე მოვლენა ჩვენზე სხვა და სხვა შთაბეჭდილებას ახდენს; ერთსა და იმავე გარემოება-პირობებში ჩვენ და სხვა ნაციის ადამიანები სხვა და სხვა ნაირათ ვიქცევით. აქედან თავის თავათ ცხადია დასკვნა: ჩვენ და იმათ – სხვა ნაციის ადამიანებს – სხვა და სხვა შინაგანი თვისებები გვექონია, ჩვენ სხვა და სხვა „ბუნებისა“, და სხვა და სხვა ხასიათისა ვყოფილვართ. მაშასადამე ის, რაც კაცობრიობას ანაწილებს თუ ადულებს და სჭედავს ნაციებათ, ეს ნამდვილი, ობიექტური ნიშანი არის განსხვავებული, ნაციონალური „ბუნება“ ანუ ნაციონალური ხასიათი, როგორც ამბობს

ავსტრიელი სწავლული ოტტო ბაუერი<sup>19</sup>.

მკითხველმა კარგათ უნდა გაიგოს თუ რას აღვნიშნავთ ტერმინით ნაციონალური „ბუნება“ ანუ ნაციონალური ხასიათი. განვმარტოთ კიდევ ჩვენი აზრი. რა თქმა უნდა, რომ ყველა ნაციის ადამიანებს მოეპოვებათ უნარი აზროვნობისა და გრძნობელობისა, სურვილებისა და მოქმედებისა; ყველანი განვიცდით სიხარულსა და მწუხარებას, ყველამ ვიცით სიცილი და ტირილი და სხ. და სხ. ყველა ნაციის ადამიანებსა გვაქვს ერთსა და იმავე კანონების ფიზიოლოგია და პსიხოლოგია, ყველანი ადამიანები ვართ, შევადგენთ ერთ მთელს – კაცობრიობას. მაგრამ ყოველ ნაციის ყველა ადამიანი უეჭველათ განსხვავდება ყველა ნაციის ყველა ადამიანებისაგან. მაგ. ყოველი ქართველი – ყველა რუსისაგან. ყველა ქართველები ვართ, თავის მხრივ ყველა რუსებიც ერთნი არიან; ჩვენ და ისენი კი სხვა და სხვები ვართ. მარა ვერც ქართველობაში და ვერც რუსებში ვერ იპოვით ორ ადამიანს, რომელნიც ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდენ ფიზიკურათ და პსიხიურათ. ყოველ ადამიანს აუცილებლათ მოეპოება **თავისებურობა** ანუ ინდივიდუალობა. ხოლო ერთ და იმავე ნაციის ადამიანებს კი უეჭველათ მოეპოვებათ საერთო ფიზიკური და პსიხიური (სხეულისა და სულის) თვისებები, მათ აქვთ საერთო თავისებურობა, საერთო, ნაციონალური ვინაობა ანუ ხასიათი. მაშასადამე ნაციის ადამიანების საერთო ფიზიკურ და პსიხიურ თვისებათა მთელი წყება – აი რა არის ნაციონალური ხასიათი. ნაციის ენა, ზნე-ჩვეულება ხელოვნება, ფილოსოფია და სხ. და სხ. მთელი კულტურა, ნაციის მთელი ცხოვრება ცოცხალი გამოხატულებაა ამ ნაციონალურ ხასიათისა.

ნათქვამიდან მკითხველმა ის დასკვნა არ უნდა გამოიყვანოს, ვითომ ჩვენ ნაციონალური ხასიათი მიგვაჩნდეს ნაციის განსაკუთრებულ ცხოვრების, მის განვითარების და ისტორიის წარმომშობ მიზეზათ. აგრე რომ

19 ამ მეცნიერმა ამ რამდენიმე თვის წინათ გამოაქვეყნა ფრიად შესანიშნავი გამოკვლევა. იხ. Marx-studien. Blatter fur theorie unda Politik des wissenschaftlichen Sozialismus. Herausgegeben von Dr. Max. Aller unda Dr. R. Hilferding. Band II otto Bauer, Nationalitatensfrage und Sozialdemokratie (ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია). ეს შრომა მიუცილებლათ უდიდესი განძია, რომელიც კი ჩვენი დროის სოციალურ-პოლიტიკურ ლიტერატურამ შეიძინა. იგი საპატიო ადგილს დაიჭერს მარქსისა და ენგელსის კაპიტალურ, სამეცნიერო გამოკვლევათა შორის. ამ წიგნში სიამოვნებით აღმოვიკითხეთ – ჩვენი საკუთარი აზრი ნაციონალურ საკითხის შესახებ და ნაციის გავების შესახებ, რაც ჩვენ უკვე სხვა დროს (ამ რამდენიმე წლის წინათ) და სხვა ადგილას (ერთ-ერთ ადგილობრივ დღიურ გაზეთში) გამოვთქვით გაკვრით. ოტტო ბაუერს ჩვენ არ ვეთანხმებით სავსებით მხოლოდ ერთ პუნქტში, რასაც თავის ადგილას აღვნიშნავთ.

იყოს, ეს ხომ იგივე მეტაფიზიკა იქნებოდა, რაც ჩვენ უკვე უარვყავით. არა „ნაციონალური ხასიათი – როგორც მშვენივრათ ამბობს ოტტო ბაუერი – არ წარმოადგენს რაიმე ახნას, ის პირიქით თვითონ არის ასახსნელი. ნაციონალურ ხასიათის სხვა და სხვაობის აღიარებით მეცნიერებამ ნაციის პრობლემა კი არ გადასწყვიტა, არამედ მხოლოდ წამოაყენა“. დიახ, მეცნიერებამ უნდა გვიჩვენოს საიდან მომდინარეობს, როგორ იბადება და ვითარდება ნაციათა განსაკუთრებული ბუნება თუ ხასიათი.

ნაციონალური ხასიათი არ არის ერთხელ და საბოლოოთ განსაზღვრული რამ; იგი იცვლება ისტორიის განმავლობაში. ამიტომ ერთი ნაციის ადამიანებს ხასიათის ერთობა მოეპოებათ მხოლოდ განსაზღვრულ ეპოქაში. ხოლო სხვა და სხვა ეპოქისა, მარა ერთი და იმავე ნაციის ადამიანები კი, რასაკვირველია, დიდათ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რა დრო და რა ეპოქაც უნდა ავიღოთ, დავინახავთ, რომ ადამიანებს ნაციებათ ჰყოფს და აერთებს ნაციონალური ხასიათი, ეს საერთოა თვითეული ნაციის ყველა ადამიანებისათვის ყველა ეპოქაში. ხოლო სხვა და სხვა ეპოქას, მარა ერთ და იმავე ნაციის ადამიანებს კი აერთებს ის გარემოება, რომ ისინი სხვა და სხვა რგოლებია ერთ და იმავე განვითარება-ცვალებადობის ჯაჭვისა. დიახ, ნაციონალური ბუნება თუ ხასიათი შეუჩერებელი განიცდის ცვლილებას, იგი იცვლება მუდამ ჟამსა და საათს, იგი განუწყვეტელი ცვალებადობაა, მიმდინარეობაა. (თავის თავად ცხადია, რომ ეს ცვლილება ხდება მეტათ პაწია და უჩინარი დობებით; ცვლილება რომ დასანახი და შესამჩნევი გახდეს, ამისთვის საჭიროა განვლოს საკმაოთ გრძელმა პერიოდებმა). მერე რა ახდენს, რა აწარმოებს ამ ცვლილებას? უეჭველია ის გარემო პირობები, რომელშიაც ადამიანი ცხოვრობს, რომელშიაც იბადება და ვითარდება იგი. თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ ადამიანი იძულებულია აწარმოვოს ბრძოლა გარემო ბუნებასთან. ხოლო „როცა ადამიანი მოქმედობს და სცვლის გარემომორტყმულ ბუნებას, იგი ამით და ამავე დროს სცვლის და ასხვავერებს თავის საკუთარ ბუნებას“ (კ. მარქსი).

არსებობისათვის ბრძოლის პირობები კი საერთოა ერთი ნაციის ადამიანებისათვის, ამიტომაც ამათ უმუშავდებათ საერთო ხასიათი. მაშასადამე საერთო არსებობს, საერთო თავგადასავალი თუ ბედ-ილბალი და ისტორია, აი რა ჰქმნის ნაციონალურ ხასიათს.

თვით ამ უკანასკნელის არსებობა კი ნამდვილი, ობიექტივიური და ემპირიული ფაქტია. „ამის უარყოფა – როგორც ამბობს ბაუერი – შეუძლიან მხოლოდ იმ დოქტრინარიზმს, რომელიც მხოლოდ იმას ხედავს, რის და-

ნახვაც თვითონ უნდა, ამიტომ ვერა ხედავს იმასა, რასაც ხედავენ ყველანი“.

თქმა არ უნდა, რომ ნაციონალურ ხასიათს საკმაოთ მოეპოება უარყოფელნი.

როგორც მკითხველი მიხვედრილი იქნება, კაუცკი არ არის იმის თანახმა, რომ ნაციონალური ხასიათი შეადგენდეს ნაციის არსებას, მარა იგი იქამდის მანინ ვერ მიდის, რომ სრულიად უარჰყოს ნაციონალურ ხასიათის არსებობა. კაუცკი წერს: „არსებობისათვის ბრძოლის განსაკუთრებული ფორმები იწვევენ სხეულისა და სულის განსაკუთრებულ თვისებებს..... ასე, სხვა გვარია ხასიათი იმ ხალხისა, რომელიც იკვებება განსაკუთრებით მცენარეულობით და სხვა არის იმ ხალხისა, რომელიც იკვებება ხორცეულობით... სადაც მთელი ნაცია ერთნაირ პირობებში სცხოვრობს, იქ იგი ნაციონალურ ხასიათსაც ანვითარებს<sup>20</sup>.“ მაგრამ კაუცკის აზრით როდესაც ნაცია აღწევს განვითარების განსაზღვრულ საფეხურს, ნაციონალური ხასიათი უკვე ძნელათ დასანახი ხდება. მისი აზრით მაგ. ამ რამდენიმე ათი წლის წინათ კიდევ შეიძლებოდა რუსების ან უნგრელების ნაციონალური ხასიათზე ლაპარაკი, მარა დღეს კი ეს აგრე აღარ არის. ნაციონალური ხასიათი, ამბობს კაუცკი, მოეპოება მხოლოდ პატარა ნაციას, რომელიც შედარებით ვიწროთ შემოფარგლულ ტერიტორიაზე სცხოვრობს და საზოგადოებრივ განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფება; ხოლო როდესაც ეს ნაცია იზრდება, მრავლდება რიცხვით, იჭერს დიდ ტერიტორიას, რომლის ნაწილები ერთი მეორისაგან განსხვავდებიან გეოგრაფიულათ და ეკონომიურათ; როდესაც ხდება ღრმა საზოგადოებრივი დიფერენციაცია (დაყოფა-დანაწილება), ე. ი. ჩნდება კლასები და პროფესიები თუ სხვა სპეციალობა, აი მაშინ უკვე ჩნდება ნაციონალურ ხასიათის გაქრობის ტენდენცია. „ყოველ შემთხვევაში, – დაასკვნის კაუცკი – დიდი კულტურული ხალხის ნაციონალური ხასიათი პრობლემატური და ძნელათ დასანახი მოვლენაა<sup>21</sup> და ამიტომ იგი აცხადებს, რომ „ნაციონალური ხასიათი არ არის აუცილებელი პირობა ნაციის წარმოშობის და არსებობისათვისო“. <sup>22</sup>

განვიხილოთ საკითხი უფრო დაწვრილებით და ჩვენ დავრწმუნდებით, რომ კაუცკი ამაში შემცდარი არის.

კაუცკიმ და მასთან ყველა მარქსისტებმა ვიცით, რომ გეოგრაფიულ არეს დღეს აღარ შეუძლიან რაიმე თვალსაჩინო ცვლილება მოახდინოს

20 Nation und Internationalität, გვ. 4-5.

21 იხ. დასახელებული წიგნი, გვ. 6.

22 იხ. გვ. 12.



ხალხზე; მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი ცხოვრება აღწევს განსაზღვრულ სიმაღლეს, გეოგრაფიულ არეს უკვე ესპობა ხალხზე პირდაპირი ზემოქმედება. გეოგრაფიულ არეს ზე-გავლენა ხალხზე უქვევლათ გატარებულ-გადატეხილია საზოგადოებრივ არეზე (პირობებში).<sup>23</sup> დიდ და ღრმა მნიშვნელობის მექონია ქვეყნის ეკონომიური ვითარება, მარა რაც უნდა სხვა და სხვა გვარი იყოს ნაციის სხვა და სხვა ნაწილების ეკონომიური განვითარება, მისი უმრავლესობა მაინც უქვევლათ იმყოფება ერთნაირ ეკონომიურ ვითარებაში, არ შეიძლება ერთსა და იმავე ნაციაში ისეთი შიგ-ჭრელი იყოს ეკონომიური მდგომარეობა, რომ მაგ. ერთ სოფელსა თუ ქალაქში არსებობდეს კაპიტალიზმი, მეორეში – ფეოდალიზმი, მესამეში – ანტიკური მონობა და სხ. ყოველ ეპოქაში ნაციის დამახასიათებელია ერთი რომელიმე ტიპის ეკონომიურ-სოციალური მდგომარეობა მაგრამ – გვეტყვიან – აი დღეს ყველა დაწინაურებულ ნაციებში უკვე გამეფებულია კაპიტალიზმი, რატომ ეს ნაციები ერთმანეთში არ ილესებიან, რატომ არ ანვითარებენ ერთსა და იმავე ნაციონალურ ხასიათს? საქმე ის არის, რომ ერთი და იმავე კაპიტალიზმის დამყარება კიდეც არ ნიშნავს ეკონომიურ წყობილების სრულ იგივეობას. და ეს უკანასკნელი რომ კიდეც მოხდეს, ნაციები კიდეც მაინც ვერ გაერთიანდებოდენ, რადგან სხვა და სხვა ნაციები კულტურულ განვითარების სხვა და სხვა საფეხურზე დგანან და **მათ სხვა და სხვა, ნაციონალური კულტურა მოეპოვებათ**, რის გამოც იგინი ერთსა და იმავე მოვლენას **სხვა და სხვა ნაირათ განიცდიან**. ცხოვრების მგავსი პირობები, მგავსი ბედ-იღბალი უქვევლათ იწვევს ადამიანთა მგავს ხასიათსაც. ხოლო ნაციონალურ ხასიათს, ე. ი. ერთი ნაციის ადამიანთა ხასიათის ერთობას ჰქმნის ისტორიულ ბედ-იღბალის **ერთობა და არა მგავსება**.

ზემო ნათქვამის შემდეგ, მკითხველი ადვილათ გასცემს პასუხს ყველა იმ საკითხებზეც, რასაც აღგვიძრავს ნაციების საზოგადოებრივი დიფერენციაცია კლასებათ, პროფესიებათ და სხვა ჯგუფებათ. შეიძლება მაგ. გვითხრან, რომ ქართველი, რუსი, ფრანგი და სხ. ნაციათა პროლეტარიატი უფრო ახლოა ერთმანერთთან, ვიდრე თავ-თავიანთ ნაციების ბურჟუაზიასთან. თქმა არ უნდა, რომ ყველა ქვეყნებისა და ნაციების პროლეტარიატს ერთგვარ კლასიურ მდგომარეობასთან ერთათ ხასიათის ბევრი მსგავსებაცა აქვთ; ერთგვარია მათი კლასიური ჭირ-ვარამი, კლასიურ ბრძოლის სიხა-

23 იხ. შესაფერი ადგილი თუნდა პლეხანოვის წიგნიდან: *Нь вопросу о монистическом взгляде на историю.* “

რული და მწუხარება, ერთგვარია მათი კლასიური ეთიკა (ზნეობა) და რევოლუციონური სულიერი განწყობილება, მაგრამ მათ – სხვა და სხვა ნაციების პროლეტარებს – არ მოეპოვებათ ის ერთობა ხასიათის, რასაც ეწოდება ნაციონალური ხასიათი. და ასეც უნდა იყოს, რადგან სხვა და სხვა ნაციების მუშათა კლასის ისტორიული ბედ-იღბალი მხოლოდ ჰგავს ერთმანეთს და ერთი და იგივე კი არ არის, აქ **მსგავსებაა** და არა **ერთობა**. ერთისა და იმავე ნაციის პროლეტარიატსა და ბურჟუაზიის შორის უფრო დაახლოვებული და მჭიდრო ურთიერთობაა, ვინემ სხვა ნაციების ერთსა და იმავე კლასის ადამიანთა შორის. ერთი და იმავე ნაციის პროლეტარებიც და ბურჟუებიც ერთ და იმავე ქუჩებზე დადიან, ერთ და იმავე სანახაობებს ხედავენ, ერთ და იმავე სურნალ-გამეთობის „ატმოსფერაში“ ტრიალებენ, ერთ და იმავე სოციალურ მოვლენებში იღებენ მონაწილეობას, ხშირათ პირდაპირ ერთმანეთთან იჭერენ საქმეს ან ერთ და იმავე პირებს ელაპარაკებიან და სხვ. და სხვ. ერთი ნაციის სხვა და სხვა კლასები რომ უფრო მჭიდრო ურთი-ერთობაში არიან, ვინემ სხვა და სხვა ნაციის ერთი და იგივე კლასის ადამიანები, ამას მტკვერმეტყველურათ მოწმობს საერთო ენის არსებობა. ენა ხომ იარაღია, საშუალებაა ადამიანთა ურთიერთობისა; საერთო ენა ვითარდება იქ, სადაც არის საერთო ცხოვრება და ურთიერთობა. შეუძლებელია, სრულიად წარმოუდგენელია უფრო მჭიდრო ურთიერთობა იქ არსებობდეს, სადაც არ მოიპოვება საერთო ენა და უფრო სუსტი და ბოში ურთიერთობა კი იყოს იქ, სადაც ასეთი ენა არსებობს. და რაღა საკვირველია თუ ხასიათის ერთობაც – ნაციონალური ერთობა – ჩნდება იქ, სადაც ადამიანთა შორის გაბმულია ასეთი განუწყვეტელი და მჭიდრო ურთიერთობა და ზეგავლენა.

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ ნაციონალური ბუნება თუ ხასიათი წარმოადგენს მთელ წყებას ფიზიკურ და სულიერ თვისებათათ. არ უნდა ვიფიქროთ, ვითომ ეს თვისებანი თანასწორი ღირებულებების იყვენ ნაციისათვის. ადამიანთა ფიზიკური თვისებები თავისდათავად საგანია მხოლოდ ანთროპოლოგიის; ჩვენთვის კი ეს თვისებანი საინტერესოა მხოლოდ იმდენათ, რამდენადაც ამასთან შეერთებულია განსაკუთრებული პსიხიური თვისებანი. „თვით ანტისემიტი – შენიშნავს ბაუერი – ებრაელის ცხვირს არ მიაქცევდა არავითარ ყურადღებას, თუ იგი დარწმუნებული არ იქნებოდა, რომ ებრაელის სხეულის ტიპთან შეერთებულია განსაკუთრებული სულიერი თვისებანი“. და ყველა ამ თვისებათ კი, როგორც ზევითაც ვთქვით, ჰქმნის არსებობისათვის ბრძოლის პირობები. ეს უკანასკნელნი მოქმედ-

ბენ ადამიანებზე, ჰქმნიან ნაციონალურ ხასიათს ორი გზით: მემკვიდრეობით და ტრადიციით (გადაცემით). როცა ბავშვი იბადება, მის არსებაში უკვე ჩაქსოვილია სხვა და სხვა თვისებანი, ნაყოფი წინაპართა ცხოვრების პირობებისა; მეორე მხრივ, როცა ბავშვი თვალს ახელს, მის გარშემო უკვე გაჩაღებულია მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება, მთელი კულტურა შექმნილი და გადმოცემული იმავ წინაპართაგან. გადამწყვეტია ეს კულტურული ვითარება. საბოლოო ანგარიშით ნაციონალურ ერთობას, ნაციონალურ ხასიათს ჰქმნის კულტურული ერთობა. უძიმისოთ არ არსებობს ნაცია. სხვა და სხვა ნაციის ადამიანები თუ ირევიან ერთმანეთში ჩამომავლობით და გვარტომობით, მარა არ ირევიან ნაციონალურათ, ამის მიზეზია მათი განსხვავებული კულტურა; და როცა ისინი იმყოფებიან ერთ და იმავე კულტურის ზეგავლენაში, მარა მაინც ერთმანეთში არ ილესებიან, ამის მიზეზია კვლავ იგივე სხვა და სხვა ნაციონალური კულტურა, რის გამოც იგინი ერთ და იმავე მოვლენათ სხვა და სხვა ნაირათ განიცდიან.

ამ რიგათ, ნაციონალური კულტურა არის ის უქრობელი ცეცხლი, რომელიც განუწყვეტელი უგზავნის მას, ნაციას, სითბოსა და ცხოველმყოფელობას. ამიტომ ნაციის ნასახიც კი არ არსებობს იმ დრომდე, სანამ ადამიანები, როგორც დანარჩენი ცხოველები, მზა-მზარეულათ იღებენ გარეშე ბუნებიდან თავის არსებობისათვის საჭირო ნივთებს. ნაცია ჩნდება მხოლოთ განვითარების იმ საფეხურზე, როცა ადამიანები სხენებულ ნივთების შექმნას იწყებენ **შრომით**. ნაციის თვისებებს, ნაციონალურ ერთეულებს ჰბადებს შრომის ერთნაირი წესრიგი, შრომის ესა თუ ის საშუალება-იარაღები, საწარმოვო ძალები, წარმოების წეს-რიგი და ის საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რაიც ადამიანთა შორის მყარდება ამ წარმოების მიხედვით. ამ გვართ, ნაციის წარმოშობა და განვითარება უნდა გაგებულ იქმნას, როგორც ერთი ნატეხი იმ დიად ბრძოლისა, რასაც კაცობრიობა აწარმოებს გარეშე ბუნებასთან. დიახ, ნაცია უნდა შესწავლილ და გაგებულ იქმნას ისტორიულ მატერიალიზმის თვალთა ხედვის წერტილიდან. აქ არის გასალები, რომელიც გვიხსნის ნაციის ყველა საიდუმლოებათ.

### III. ნაცია ისტორიის გზაზე

#### 1. პირვანდელ კომუნიზმისა, მონობისა და ფეოდალიზმის ხანაში

ნაცია ისახება საკაცობრიო განვითარების იმავე საფეხურზე, რომელზედაც ისახება ადამიანთა თვით საზოგადოებრივი ცხოვრება, ამ სიტყვის

ნამდვილი მნიშვნელობით; ე. ი. როდესაც ადამიანთა არსებობის უმთავრეს წყაროთ ხდება **შრომა**. უკანასკნელი პირველიდანვე ჩნდება, როგორც რამოდენიმე ადამიანის შეთანხმებული მოქმედება ამა თუ იმ საარსებო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლათ, და არა როგორც განკერძოებულ ადამიანის განკერძოებული საქმიანობა. ასე რომ საზოგადოებრივი შრომა, საფუძველი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, საფუძველია აგრეთვე ნაციის წარმოშობისა.

პირვანდელი საზოგადოება, როგორც ვიცით, წარმოადგენს საგვარეულოთა ჯგუფებს ანუ უკეთ კავშირებს, რასაც ეწოდება ტომი, საგვარეულო არის ერთი დიდი ოჯახი, ან კრებული იმ პირთა, რომელნიც ერთ და იმავე მშობლებისაგან არიან წარმოშობილნი, როდესაც ერთი საგვარეულო საკმაოთ მრავალრიცხოვანი ხდება, იგი იყოფა; მისგან გასული ჯგუფი ცალკე საგვარეულოს ადგენს. თავის მხრივ ტომიც გამრავლებასთან ერთათ ნაწილდება ტომებათ. თავის-თავად ცხადია, რომ საგვარეულოს შიგნით და საგვარეულოთა შორის საკმაოთ ხშირი და მჭიდრო ურთიერთობაა, აქ საერთოა შრომა, ნაშრომით სარგებლობა, სიამოვნება – დღესასწაულები, მტერთან ბრძოლა და სხ. ტომთა შორის კი ურთიერთობა უფრო ბოში, უფრო იშვიათია. ზოგჯერ ეს ურთიერთობა სრულიად სწყდება, მაგრამ ზოგჯერ ტომები უფრო და უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს და საერთო კავშირს ადგენენ; ამის გამოშვევია გარეშე მტერთან ბრძოლა ან ბრძოლა ბუნების რაიმე ძლიერ მოვლენებთან, ასეთი შემთხვევები როცა ხშირათ მეორდებიან, ტომთა კავშირი ხდება მუდმივი, რამდენიმე ტომი იქცევა ერთ ხალხათ, ერთ ნაციათ.

თქმა არ უნდა, რომ პირველყოფილი ნაცია არ არის ერთ განსაზღვრულ ტერიტორიასთან მჭიდროთ შეკავშირებული. ამას ჯერ არ მოითხოვს საზოგადოებრივი შრომის ვითარება. ხალხის **უმთავრესი** საცხოვრებელი თევზაობა, ნადირობა, მწყემსობა – საქონლის მოშენება. ამიტომ იძულებულნი არიან ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა-გადმოსვლას, მომთაბარეობას, ან მდინარისა და ზღვის პირათ მოგზაურობას – გარემოებისა და სეზონის მიხედვით. აქ ხალხის ერთობა, უწინარეს ყოვლისა დამყარებულია საერთო ჩამომავლობა-გვარტომობაზე, სისხლის ნათესაობაზე. მარა უკვე არსებობს რამდენათმე საერთო ენა, საერთო რელიგიოზური წარმოდგენანი, საერთო შეხედულება ზნეობასა და უზნეობაზე, დანაშაულობაზე და მოვალეობაზე და სხ. და სხ. ერთი სიტყვით არის სულიერ კულტურის ელემენტები, რაიც საუკუნოების განმავლობაში ერთი თაობი-

დან მეორეზე გადაცემის ფიზიკურ თვისებებთან ერთათ. იმ დროის საზოგადოებრივი შრომის წეს-რიგი, რასაც ეწოდება პირვანდელი კომუნიზმი, ე. ი. საერთო შრომა და საერთო ნაშრომით თანასწორი სარგებლობა, რასაკვირველია, ჰბადებს შესაფერ ტიპს ადამიანისას. „თუ როგორ ვაჟკაცებს და როგორ ქალებს წარმოშობს ასეთი საზოგადოება, – ამბობს ენგელსი – ამას კარგათ მოწმობს ყველა თეთრების (ევროპიელების) განცვიფრება წინაშე გაუფუჭებელ ინდიელებისა; ამ ბარბაროსების პირადი ღირსება, პირდაპირობა, ხასიათის სიმტკიცე და მამაცობა ყველას საოცრათა აქვს. მამაცობის მაგალითები ამას წინადაც ვნახეთ აფრიკაში. ზულუსებმა, რამდენიმე წლის წინათ, როგორც ნუბიელებმა, ამ ორი თვის წინათ, – ამ ორივე ტომში ჯერაც არ გამქრალა საგვარეულო წყობილება – ამათ ჩაიდინეს ის, რასაც ვერ შეიძლებს ვერც ერთი ევროპიელი ჯარი. ხელჩართულ ომში მთელ ქვეყანაზე სახელ-განთქმულ ინგლისის ქვეითთა ჯარი იმათ „მაგაზინის“ თოფებით უშენდა ტყვიის სეტყვას და ისინი (ზულუსები) უთოფოთ, შეიარაღებულნი მხოლოდ შუბებითა და შვილდ-ისრებით მიდიოდნენ მოწინააღმდეგეთა თვით შტიკებადის და, მიუხედავად შეიარაღების ასეთ კოლოსალურ უთანასწორობისა, არა ერთხელ მოახდენდნენ ინგლისის ქვეითთა ჯარის არევ-დარევას და უკუქცევას... „იმის (კაფრის – სამხრეთ აფრიკელია) თითოეული, თვით მცირედი მუსკული გამონაკვეთილია, გამოწვრთობილი და მაგარი, ვით ჭაპანი“...<sup>24</sup> პირველ ყოფილი, კომუნისტური საზოგადოება, არ მცოდნე სიმდიდრე-სიღარიბისა და მონობისა, რასაკვირველია, ადამიანებს უვითარებს თავისუფლებისადმი სიყვარულს, უნერგავს გრძნობას სოლიდარობის და ძმობისას<sup>25</sup>.

მაგრამ აქ ჩვენ სახეში გვაქვს მკითხველს განუმარტოთ, თუ სახელდობრ როგორ ხასიათს უვითარებს ნაციას სხვა და სხვა საზოგადოებრივი წყობილება. ამ წერილში ჩვენ აღვნიშნავთ მარტო იმ საერთო გზას, რომ-

24 იხ. ფრ. ენგელსის „Происхождение семьи, частной собственности и государства“ გვ. 83-4. აქ აღნიშნული მაგალითი დიდად საგულისხმოა. თუ აფრიკის ველურებიც კი ასეთი თავგანწირულებით ეკვეთებიან მაღალ კულტუროსან ინგლისელებს, ცხადია, ის აზრი, ვითომ როდესაც მაღალი კულტურა დაბალში შედის, იქ ხალხი მწარეთ აღარ განიცდის ეროვნულ მონობის ტანჯვა-მწუხარებასო, ეს აზრი ცხადია ზოგიერთ ჟურნალისტის შეცდომა უნდა იყოს.

25 სხვათა შორის, ნ. ზიბერს მოყვას ასეთი მაგალითი. ევროპიელი მგზავრი ერთ დასს ველურებისას შესთავაზებს ბოთლ ლიკიორს. ველურები მოირიგებენ ბოთლს. მაგრამ იი ველური ხედავს, რომ უკანასკნელ ამხანაგისთვის სასმელი აღარა რჩება; იგი თავის წილს სრულად აღარ ყლაპავს, პირში დაიგუბებს და პირიდან ასმევს ბოლოს დარჩენილ ამხანაგს.

ლითაც მიდის ნაციებისა და მათი ნაციონალურ ხასიათის განვითარება.

მამ დავისხმომთ, რომ პირველყოფილ კომუნიზმის დროს უკვე მოიპოვება კულტურული ელემენტები, რომლის ერთობა ჰქმნის ხასიათის ერთობას, რაიც თავის მხრივ ხალხსა ჰქმნის ერთ ნაციათ. ხოლო ეს კულტურული ერთობა კი სავსებით დაყრდნობილია ჩამომავლობის, ნათესაობის ერთობაზე. საკმაო ხალხის რომელიმე ნაწილებს შორის შეწყდეს ქორწინება, რომ უმაღვე გაჩნდეს დაშორების და განსხვავების ტენდენცია; ეს ნაწილები იწყებენ განსაკუთრებულ ფიზიკურ ტიპის შემუშავებას, ჩნდება განსაკუთრებული კილოკავი, განსაკუთრებული კულტურული ელემენტები, ერთი სიტყვით იწყება ახალი ნაციის განვითარება და კიდევაც ჩნდება ახალი ნაცია, უკეთუ საერთო ჩამომავლობის მექონე, მარა დაშორებული ნაწილები, კვლავ არ დაუახლოვდებიან რაიმე გარემოების წყალობით, როგორც მაგ. საერთო გარეშე მტერთან ბრძოლის საჭიროება და სხ. ამ გვარათ, როდესაც კულტურა ჯერ სუსტათ არის განვითარებული, როდესაც ერი წარმოადგენს უფრო ბუნებრივ, ჩამომავლობით ერთობას, ვინემ კულტურულ ერთობას, ასეთი ერი თავის საშომივე ატარებს ნაციონალურ დაშლა-დარღვევის ელემენტებს.

მაგრამ კულტურა თან და თან ვითარდება, უფრო და უფრო დიდ მნიშვნელოვან როლს იჭერს და შეუძლებლათ ხდის ნაციის დარღვევას იმის დაგვარათ, როგორც ვითარდება საზოგადოებრივი ცხოვრება, რასაც, როგორცა ვთქვი, აწარმოებს საზოგადოებრივი შრომის განვითარება.

მიწათ-მოქმედება, რომელიც ისახება აგრეთვე პირველყოფილ კომუნიზმის დროს, თან და თან წარმატებაში მიდის და ბოლოს ხდება საზოგადოების არსებობის უმთავრეს წყაროთ. შრომა უკვე იმდენ ნაყოფიერებას აღწევს, რომ ადამიანის ნაწარმოები აღემატება იმას, რაც საჭიროა პირადათ მშრომელის სარჩენათ. სასარგებლო ხდება ომში დატყვევებულთა მუშა-ხელათ გადაქცევა. მონების გაჩენა კიდევ უფრო ანაყოფიერებს შრომას, მატულობს ქონება-სიმდიდრე, რაიც მეზობელ ხალხთა შორის აძლიერებს მტაცებლობის სურვილს, მატულობს ომიანობის საბაბი თუ მიზეზი, ხშირდება და მწვავედება თვით ომიანობაც. მაგრამ ტენხიკა უკვე იმდენათ განვითარებულია, რომ სამუშაო იარაღები აღარ გამოდგება საომრათ. ომში გასასვლელათ საჭიროა განსაკუთრებული შეიარაღება. გარდა ამისა, მეურნეობის ხანგრძლივათ მიტოვება იმდენათ ახდენს საქმეს, რომ განსაცდელში აგდებს თვით მეურნისა და მის ოჯახის არსებობას; მეურნე ერთიანათ მიკერებულია სამუშაო მიწაზე და მთელი ხალხიც – განსაზღვ-

რულ ტერიტორიაზე. ამ ტერიტორიის და ქონება – სიმდიდრის დასაცავათ ჩნდება განსაკუთრებული კატეგორია ადამიანთა (სამხედრო წოდება), რომელთაც ამ საპატიო სამსახურისათვის მეურნე კმაყოფილებით აძლევენ საჭირო სარჩო-საბადებელს. კლასებისა და სპეციალობის, პროფესიების გაჩენა, რასაკვირველია, ჰბადებს ინტერესთა წინააღმდეგობასაც, ათასგვარ დავი-დარაბას, ართულებს საზოგადოებრივ ურთიერთობას, ართულებს და ხლართავს მართვა-გამგეობის საქმეს. ამ საზოგადო საქმეების გასაძლიერებლათ საჭირო ხდება განსაკუთრებული ცოდნა, გამოცდილება და უნარი. ამ საქმეებისათვის გლეხებს ეკარგებათ სურვილიცა და საშვლებაც. ამიტომ გამგეობა, მოსამართლეობა, კანონმდებლობა და თვით რელიგიოზური ფუნქციების ასრულება გადადის განსაკუთრებულ, სპეციალურ კატეგორიის ადამიანთა ხელში. ასე წარმოიშობება არისტოკრატია და სამღვდელოება; ამათი სიმდიდრე, ძალა და გავლენა უფრო და უფრო იზრდება, იზრდება და ვითარდება მათი ცოდნა და გამოცდილებაც. მათ არ სჭირდებათ ფიზიკური მუშაობა; მათ ბევრი თავისუფალი დრო აქვთ ამრისა და გრძნობის სავარჯიშოთ და განსავითარებლათ. ხელოვნება, ფილოსოფია და მთელი სულიერი კულტურა იმათ ხელშია, ისინი აწარმოებენ ნაციის სულიერ განვითარებას.

საშუალო სუკუნოების ეკონომიური და სოციალ-პოლიტიკური წყობილება, ბატონ-ყმურ-ფეოდალური ცხოვრება, იმ დროის საზღაპრო კარჩაკეტილობა კარგათ არის ცნობილი. თვითეული სოფელი თუ თემი სრულიად დამოუკიდებელი ერთეულია, რადგან საკუთარი ძალღონით იკმაყოფილებს თავის ყოველგვარ საჭიროება-მოთხოვნილებებს. თვითეულ რაიონის მებატონე პატარა მეფეა თავის საბრძანებელში; იგია თავის ქვეშევრდომთა ერთად-ერთი მოსამართლე, კანონ-მდებელი და მმართველი; იგივეა ჯარის უფროსი, მთავარ-სარდალი.. საკმაოთ განვითარებული ხელოსნობა რამდენათმე იწვევს ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლას, აღებ-მიცემობას. სამიმოსვლო გზების მხრივ განსაკუთრებულათ მარჯვე ადგილი, ვინმე საერო თუ სასულიერო ფეოდალის სასახლის მახლობლათ, იქცევა სავაჭრო ბუნქათ. აქ გროვდება საკმაოთ თვალ-წარმტაცი სიმდიდრე, რის დასაცავათ საჭირო ხდება ციხე-გალავანის გაკეთება. ასე შენდება ქალაქი, აქ თავს იყრიან საუკეთესო ხელოსნები, რომელნიც ეწყობიან ამქრებათ. ამათ ნაწარმოებით სარგებლობენ როგორც ქალაქის მცხოვრებნი, ისე ახლო-მახლო მდებარე სოფლები. ზოგჯერ სოფლიდან ქალაქში მიაქვთ ნედლი, დასამუშავებელი მასალა. მაგრამ ქალაქსა და

სოფელს შორის ურთიერთობა მაინც მეტათ სუსტია. ქალაქის ნაწარმოების მომხმარებელი განსაკუთრებით თავად-აზნაურობაა. გლეხები საკუთარი ნაწარმოებით იკმაყოფილებენ ყველა თავის მოთხოვნილებებს. ხალხის საარსებო წყარო უმთავრესად მიწათ-მოქმედებაა, სოფლის მეურნეობაა და ისიც ნატურალური მეურნეობა, ე. ი. წარმოება თავის საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ამიტომაც, თითქმის მთელ ფეოდალურ ეპოქის განმავლობაში, რომლის ქვაკუთხედია გლეხური და ხელოსნური ფორმა წარმოებისა, აღნიშნული კარჩაკეტილობა ხელ-უხლებელი რჩება. გლეხისა თუ ხელოსნისათვის თითქმის მთელი ქვეყანა თავდება იმის სოფლისა თუ ქალაქის საზღვრებთან. ამ დამოუკიდებელ თემთა შეერთებას და ისიც დროებით იწვევს მხოლოდ გარეშე მტერთან ანუ შეიძლება აგრეთვე ბუნებასთან ბრძოლა. მუდმივი ურთიერთობა კი აქ არ არსებობს. მაგრამ თუ მშრომელი ხალხი, დანაწილებული დამოუკიდებელ სოფლებათ და ქალაქებათ დაშორებული თითქმის განცალკევებულია ერთმანეთისაგან, ესევე არ ითქმის მაღალ და პრივილეგიან წოდების ხალხზე, თავადაზნაურობასა და სამღვდელიობაზე. ეს ბატონები ხშირათ ხვდებიან ერთმანეთს როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს. მათ შორის მიმოსვლას ამტკიცებს და მჭიდრო კავშირს აბამს მწერლობა, პოეზია, ხელოვნება, ფილოსოფია და სხ. მაღალი წოდების ბატონებივე არიან მატარებელნი და პირდაპირი შემოქმედნი მთელ სულიერ ნაციონალურ კულტურისა; ამაში თითქმის არავითარ პირდაპირ მონაწილეობას არ იღებს მშრომელი ხალხი; იგი, ასე ვთქვათ, გარიყულია ნაციონალურ კულტურიდან, მას საამისოთ არა აქვს დრო, რადგან დილიდან საღამომდის შთანთქმულია ფიზიკურ შრომაში თავის თავისა და ბატონების სარჩენათ.

აქ იბადება ერთი დიდი საკითხი.

ჩვენ ვიცით, რომ იქ, სადაც არ არის კულტურული ერთობა, იქ არ არის არც ნაციონალური ერთობა, იქ არ არის არც თვით ნაცია. რაღას უნდა წარმოადგენდეს ნაცია აღნიშნულ ეპოქაში? ოტტო ბაუერის აზრით ამ დროს ნაციონალურ ხასიათის მატარებელია მხოლოთ გაბატონებული წოდება. „გლეხებს არავითარი წილი არ უდევთ იმაში, რაც აერთებს ნაციას“, ამიტომ „გერმანელი გლეხები იმ დროს არც შედიან ნაციაში, ისინი არიან მხოლოთ ნაციის ბოლოში მიგდებულნი, ნაბოლარები (Hintersassen)“<sup>26</sup> ოტტო ბაუერის აზრით ასეა საქმე თვით კაპიტალიზმის პირველ ხანებშიაც. იმის საჩვენებლათ, თუ გლეხოება რამდენათ განდევნილია ნაციონალურ

26 Die Nationalitätenfrage und die Sozialdemokratie. გვ 43-44



კულტურიდან, ის გერმანელ ვაჭრებისაგან გამოთქმულ შაირსაც კი გაიხსენებს გლეხების შესახებ: „გლეხნი ივია, რაც რომ ხარები, მხოლოთ მათ თავზე არა აქვთ რქები“.

ბაუერის აზრით თვით დღევანდლამდისაც კი საქმე არსებითათ არ შეცვლილა. „არსებითად – განაგრძობს იგი – ჯერ კიდევ დღესაც საქმე ისეა, რომ ნაციონალური კულტურა არის გაბატონებულ კლასების კულტურა, ნაციას – რომელიც გაგებულ უნდა იქნას, როგორც კულტურული ერთობა, – არ ეკუთვნის ხალხის ფართე მასსა; ეს მხოლოთ ნაციის ნაბოლარაა, ამ მასის ექსპლოატაციაზე კი, რასაკვირველია, დაყრდნობილია ამაყი შენობა ნაციონალურ კულტურისა, საიდანაც იგი ჯერ კიდევ განდევნილია“<sup>27</sup>, ჩვენის აზრით ამ ციტატაში უტყუარი ტეშმარტება იმდენათ არის გაზვიადებული, რომ იგი ჰკარგავს სიმართლეს. სრულ შეცდომათ მიგვაჩნია იმის თქმა, რომ „ნაბოლარები“ არ ეკუთვნის ნაციასო. თქმა არ უნდა, რომ კლასიურ საზოგადოებაში მშრომელ ხალხს ნაციის ნივთიერ და სულიერ სიმდიდრიდან წილათ ხვდება მხოლოთ ნამცეცები, ამ აზრით იგი ნაციონალურ ცხოვრებიდან გარიყულია, იგი ნაციის ნაბოლარაა. მაგრამ მიუხედავათ ამისა, იგი მაინც შემადგენელი და შემოქმედი ნაწილია ნაციისა, არა მარტო თავისი ფიზიკური შრომით, არამედ აგრეთვე თავის პსიხიური ცხოვრებით, მთელი თავისი არსებით. კლასების გაჩენა, ეჭვს გარეშეა, ნაციონალურ ერთიანობას არღვევს, მარა მიუხედავათ ამისა, განსაზღვრული ერთობა მაინც არ ისპობა. ამას ნათლათ განგვიმარტავს შემდეგი პატარა მაგალითი. ყველას, ვისაც კი შესწევს რამოდენიმე უნარი დაკვირვებისა, ეცოდინება ასეთი შემთხვევა. ორი ადამიანი, ერთი და იმავე დედ-მამის შვილები, დიდათ განსხვავდებიან ერთი მეორისაგან არა მარტო გარეგანი სანახაობით, არამედ აგრეთვე პსიხიურათაც; ერთი უვიცი-უსწავლეულია, მეორეს კი უმაღლესი სწავლა-განათლება მიუღია; ამ ორ ადამიანში ისე დიდი განსხვავებაა, თითქოს მათ შორის მთელი უფსკრული იყოს გათხრილი. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მათი პსიხიური ვითარება, ბუნება, ხასიათი გასაოცარ მზგავსებასა და ერთობას წარმოადგენს. ასეა რა მარტო იმის გამო, რომ ისინი ერთი და იმავე დედ-მამის შვილები არიან (მაშასადამე მემკვიდრეობით მიუღიათ საერთო თვისებები), არამედ აგრეთვე ამიტომაც, რომ მათ საერთო ოჯახის ბევრი საერთო ტირ-ვარამი, სიხარული თუ მწუხარება და თავგადასავალი განუცდიათ.

27 იქვე. იხ, აგრეთვე გვ 66, 72-73.

ის, რაც მართალია კერძო ინდივიდებისათვის, შეუდარებლათ მეტათ მართალია მთელი ნაციისათვის. ამის კლასები, რაც უნდა გათიშული იყვენ ეკონომიურათ და კულტურულათ, ისინი მაინც ერთი და იმავე საზოგადოების ბედ-იღბალის, თავ-გადასავალის და ერთ და იმავე ისტორიის ნაყოფი არიან; რაც უნდა დაბალი და ნაბოლარა იყოს კლასი, იგი მაინც სრულიათ არ არის მოკლებული ნაციონალურ კულტურის ზე-გავლენას. ეს უკანასკნელი უხილავი მიღებით ეგზავნება მეტ-ნაკლების ძლიერებით, რასაკვირველია, მაგრამ – უქვევლათ ეგზავნება – ნაციის ყველა ადამიანებს. აქ არ შეგვიძლია არ დავიმოწმოთ ჟორესის შემდეგი მკვეთრი სიტყვები: „მაგრამ, ბატონებო, მუშები, მშრომელი ხალხი სამშობლოსთან ურთიერთობაში არიან... სამშობლოსთან აახლოვებს მათ თვით სფერა აზროვნების მოქმედებისა. თუმცა ზემბა მართალი იყო, როცა განაცხადა, რომ მუშებისათვის, პროლეტარებისათვის, რომელნიც დღევანდლამდე უკიდურესათ უვიცნი არიან ან და ერთიანათ შთანთქმულნი ყოველ დღიურ ლუკმა პურისთვის მზრუნველობაში, ამ მუშებისათვის სრულიად მიუწოდომელია მშვენიერება იმ დიად ნაწარმოებთა, სადაც აღბეჭდილია საფრანგეთის გენიოსობაო; მაგრამ არა მარტო ლიტერატურის საშუალებით, არამედ აგრეთვე ცოცხალი და რეალური ტრადიციით საფრანგეთის შემოქმედებითი აზრები თან და თანობით ეწვეთება-ექსოვება მუშათა კლასის ცნობიერებაში. მე-XVIII-ე საუკუნის მუშები, რასაკვირველია, ძალიან ნაკლებათ კითხულობდენ ვოლტერსაც, რუსსოსაც, დიდროსაც და ენციკლოპედისტებსაც; მაგრამ როდესაც იფეთქა რევოლიუციამ და შემდეგაც რევოლიუციის მთელი დროის განმავლობაში რაკი საჭირო გახდა რევოლუციონურ თავისუფლების დაცვა წინააღმდეგ ეკლესიისა, მუშები რამდენსამე თვეში გაიმსჭვალენ ვოლტერის კრიტიკის სულით; და მხოლოთ ჩვენ მუშებს შორის შეიჩინა მან (ვოლტერის კრიტიკამ) მთელი ძალა თვისი ზე-შთავონებისა“ და სხ.<sup>28</sup>

რასაც აქ ჟორესი ამბობს დღევანდელ და მე 18-ე საუკუნის მუშების შესახებ, იგივე უნდა ვთქვათ ყველა ეპოქის მუშა ხალხზე. ამას ნაციასთან აერთებს „თვით სფერა აზროვნების მოქმედებისა“. უხილავი მიღებით, ცოტ-ცოტაობით და თან და თანობით ნაციონალური კულტურა ეწვეთება და ექსოვება მის ცნობიერებას, ამასთანავე, ეს ზე-გავლენა რაც დრო მიდის, იმდენი უფრო ძლიერდება; რამდენადაც იზრდება და ვითარდება

28 სიტყვა წარმოთქმული პარლამენტში 8 და 15 დეკ. 1895 წ. „ინტერნაციონალიზმი და პატრიოტიზმი“ გვ 33-34.

თვით კლასიური წინააღმდეგობანი, იმდენათ მუშა ხალხი უფრო მეტი, უფრო ფართე მონაწილე და თანაზიარი ხდება ნაციონალურ კულტურისა...

## 2. კაპიტალიზმის ხანაში.

ფეოდალიზმის დროს არსებული კარ-ჩაკეტილობა – როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ – არღვევს ნაციონალურ ერთიანობას; უფრო მეტიც, იგი დამოუკიდებელ თემთა განკერძოებულ პროვინციებს იმდენათ აშორებს ერთმანეთს, რომ თვითეულ მათგანში ისახება ტენდენცია განსხვავებულ ნაციის წარმოსაშობათ. ასეთ ტენდენციას ატარებდენ ერთ დროს მაგ. ჩვენი ქვეყნის ისეთი ნაწილები, როგორც არის კახეთი, ქართლი, იმერეთი, გურია და უფრო კი სამეგრელო. ამ ტენდენციას წინ ეღობება და ახალ ნაციის ელემენტებს შთანასახიდან გამოსვლის ნებას არ აძლევს უკვე საკმაოთ განვითარებული სულიერი კულტურა, რის მატარებელი არიან გაბატონებული წოდებანი და რაიც მთელ ხალხს ერთ ნაციათ აერთებს. მაგრამ ეს კულტურა მაინც ვერ აქარწყლებს აღნიშნულ ტენდენციას, ვერა სპობს ნაციის დანაწილების ელემენტებს, რადგან ამას ძირი გამაგრებული აქვს თვით ფეოდალურ ეკონომიურ წყობილებაში. სწორეთ ამიტომ, ნაციის გაერთიანება წილათ ხვდა კაპიტალიზმს, რომელიც, ევროპაში, განვითარებას იწყებს მე XIV საუკუნიდან, როცა აღორძინებას იწყებს ვაჭრობა-მრეწველობა.

ქალაქ ადგილებისკენ ვაჭრები ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეებიდან და მხარეებიდან ეზიდებიან საუცხოვო და ძვირფას საქონელს. ბატონებს უვითარდებათ სურვილი და მოთხოვნილება ამ საქონლის შესაძენათ; სიმდიდრე-ფუფუნების მატება აძლიერებს გლეხ-კაცობის ექსპლოატაციას, ყვლეფას მემამულეებისაგან. იზრდება სიღარიბე-სიღატაკე, მრავლდება უმიწა-წყლო, ბოგანოთა რიცხვი, მწვავედება „პურისა და სამუშაოს“ მოთხოვნა. ამასობაში ვაჭრები სოფლათ უკვე აჩაღებენ შინა-მრეწველობას, ქალაქებში ხსნიან სამუშაო სახელოსნოებს – მანუფაქტურებს. ღარიბ-ღატაკთა ერთი ნაწილიც ლუკმა-პურს შოულობს ჯარში შესვლით. ვინმე ძლიერი ფეოდალი (მეფე) ადგენს დაქირავებულთა ჯარს, რომლის დახმარებით ის იმორჩილებს სხვა ფეოდალებს. ამათ საზოგადოებრივ ფუნქციებს ეხლა მეფე ასრულებინებს დაქირავებულ პირებს. სახელმწიფო ხარჯების აკრეფა, ფინანსების გაძლოლა, მოსამართლეობა, კანონების შემუშავება, მართვა-გამგეობა, ყველაფერი ეს ჰბარდება დაქირავებულებს, მოხელეებს, ჩინოვნიკებს. მთელ ამ ბიუროკრატიის შენახვა კი დიდ ძალ ფულს

ითხოვს. სახელმწიფოს დიდათ გამრდილი ხარჯები კისრათ აწვება, რა-საკვირველია, მთავარ მოხარკე წოდებას, გლეხ-კაცობას, და ეს გადასახადები – ნაცვლათ წინანდელ ნატურალურ ბეგარისა – ეხლა ფულათ არის გასასტუმრებელი. ამიტომ გლეხი იძულებული ხდება უფრო და უფრო მეტი ნაწილი თავის სამეურნეო ნაწარმოებისა ბაზარზე გაიტანოს და ფულათ აქციოს. ფულის შოვნის საჭიროება, ალებ-მიცემობა – მრეწველობის მოთხოვნილება მთავრობას აიძულებს გლეხების მხარე დაიჭიროს წინააღმდეგ ფეოდალებისა და პირველნი მეორეთა ყმობისაგან იურიდიულათ მინც გაათავისუფლოს. გლეხ-კაცობა თანდათან უფრო მეტათ ებმება ვაჭრობა-მრეწველობის პროცესში. საქონლის დამზადება, წარმოება გასასყიდათ – მარქსის სიტყვით რომ ვსთქვათ – ხდება წარმოების საყოველთაო ფორმათ. მრეწველობა უკვე იმდენათ რთულდება, რომ მის გასაძლოლათ საჭირო ხდება სხვა და სხვა კატეგორიის ტექნიკოსები. გართულებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი იწვევს ათასგვარ დავიდარაბას, სასამართლო პროცესებს, რაც იგულისხმებს მსაჯულებისა და ვექილების ამოქმედებას. ქალაქებში შეგვუფული ცხოვრება იწვევს მრავალგვარ სწეულებათ, საზოგადოებრივი თუ კერძო ჯანმრთელობა საჭიროებს ექიმების დახმარებას და სხ.. ასე თანდათან იზრდება, აგრე წოდებული, თავისუფალ პროფესიის ხალხიც – ინჟინერები, ვექილები, ექიმები და სხ. და სხ.

ამ რიგათ, სრულიად იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრება. ჩნდება ახალი სოციალური ჯგუფები, ახალი კლასები და პროფესიები. ადამიანები ეხლა მიწაზე აღარ არიან მიჯაჭულნი. ხალხი ერთმანეთში ითქვიფება. სოფელი მჭიდროთ უკავშირდება ქალაქს, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილი ერთი მეორესთან მჭიდრო ურთიერთობაში ვარდება; ალებ-მიცემობა, საქონლის ტრიალი იწვევს ხალხის ტრიალს-მიმოსვლას; სხვა და სხვა პროვინციების კილოკავები, მწე-ჩვეულება, რელიგიოზური წარმოდგენანი, უფლება და სხ. ჰკარგავს განკერძოებულ ხასიათს; ერთობა მტკიცდება, ძველი კარ-ჩაკეტილობა იკარგება, ნაცია ერთიანდება.

მაგრამ ნაციის აქ აღნიშნულ ერთიანობა-მთლიანობაში აღდგენას ძალიან განსაზღვრული და შედარებითი მნიშვნელობა აქვს. ნაციონალურ კულტურას ჯერ კიდევ ფლობენ ბატონები. მხოლოთ ამათი წრე ეხლა გაფართოებულია; თავად-აზნაურობასა და სასულიერო წოდებას ეხლა ემატებიან ჩინოვნიკები, უთვალავ კანცელარიების მოხელენი და თავისუფალ პროფესიის პირები, ინტელიგენცია. ნაციონალურ კულტურის ზე-გავლენა მდაბიო ხალხზე, თქმა არ უნდა, ეხლა უფრო მეტია, ვიდრე წინათ; მაგრამ

ამ კულტურის საუკეთესი განდი გლეხებისათვის, ხელოსნებისა და მუშებისათვის ეხლაც ისევე გაუგებარი და ხელ-მიუწდომელია, როგორც იყო ფეოდალიზმის დროს. ეს უკანასკნელი ჯერ არც არის სახსრებით მოსპობილი კაპიტალიზმის პირველ ხანებში. მას ძირიან-ფესვიანათ აგდება მხოლოდ ბურჟუაზიული პოლიტიკური რევოლუციები, რის შემდეგ საოცარ ზრდა-განვითარებას იწყებს და უმაღლეს წერტილს აღწევს მსხვილი ვაჭრობა, მსოფლიო აღებ-მიცემობა, დიდი წარმოება, მსხვილი ინდუსტრია, წარმოება უზარმაზარი მანქანების საშუალებით, რაიც ერთ ჭერ ქვეშ თავს უყრის მრავალ ათას მუშა-ხელს და ადამიანთა მასსას დაუცხრომლათ ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორისაკენ მიმოისვრის, ბაზრის პირობების და კვალათ. მყარდება თანამედროვე კაპიტალიზმი; ეს ძირიანათ სცვლის წინანდელ სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებას და ამასთანავე სცვლის და ასხვაფერებს ნაციის მთელ ვითარებასაც.

მსხვილი მრეწველობა და ახალი სასოფლო მეურნეობა ვეღარ ურიგდება, ვეღარ იშვენს სრულიად უვიცსა და ტეტია მუშა-კაცს, ტეტია აღარ ვარგა თვით თანამედროვე ტენიკის მექონე ჯარისთვის, სადაც ეხლა საყოველთაო სამხედრო ბეგარის მოსახდელათ თავს იყრის სხვა და სხვა კუთხისა და სხვა და სხვა წრის ხალხი; ვეღარც ადგილობრივი თვითმართველობა იშვდენს აბუეტ მოქალაქეს. აუცილებელ საჭიროებათ ხდება სწავლა-ცოდნის გავრცელება, მრავლათ იხსნება პირველ დაწყებითი და პროფესიონალური სკოლები, იხსნება სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოები. ხალხის ფართე მასსაში ვრცელდება სწავლა-განათლება. ამავე მიმართულებით მოქმედებს პრესის თავისუფლება, კრებების, კავშირების უფლება და სხვა მოქალაქობრივი თავისუფლებანი. უფრო კი დიდ მნიშვნელოვან ფაქტორათ ხდება საყოველთაო საარჩევნო უფლება, რომლის მეოხებით თვით უბენავესი ნაწილი ხალხისა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ებმება და სისტემატიურათ განიცდის პარტიების პროპაგანდა-აგიტაციას, სიტყვით – კრებებსა და მიტინგებზე, თუ ბეჭდვით – ფურცლებისა, იაფ-ფასიან გამოცემებისა და ჟურნალ-გაზეთობის საშუალებით. ყველა ეს ერთად აღებული მთელ რევოლუციას ახდენს ფართე მასსის პსიხიკაში და ქვეყნის მთელ კულტურულ ცხოვრებაში. ამ მხრივ, ყველაზე უფრო დიდ როლს თამაშობს თანამედროვე მუშათა მოძრაობა, რომლის ორგანოები – პროფესიონალური კავშირები და პოლიტიკური ორგანიზაციები – ორი მხრიდან აწვებიან შესამუსრავათ მშრომელი ხალხის საუკუნობით გაჭედილ გონებრივ დაბეჩავებას. ამ ორგანიზაციების მოქმედება ამოკლებს

სამუშაო დროს, მაღლა სწევს სამუშაო ხელფასს, ერთი სიტყვით აუმჯობესებს შრომის პირობებს და მით ჰქმნის აუცილებელ ნიადაგს მუშა ხალხის გონებრივ და ზნეობრივ ასამაღლებლათ. მეორე მხრივ, პოლიტიკურ ორგანიზაციების პირდაპირი დანიშნულებაა მუშათა კლასიურ თვითცნობიერების გაღვიძება-განვითარება. ამის შესრულებას თავის-თავად მოსდევს მუშებისაგან სხვა და სხვა სოციალ-პოლიტიკურ თეორიების გაცნობა. ამავე კლასიურ თვით-ცნობიერების გასაფართოებლათ და გასაღრმავებლათ საჭიროა მუშებმა შეიძინონ ელემენტარული ცოდნა მაინც მთელ სამყაროს არსებობის შესახებ. მუშათა კლასი თანდათან ეცნობა ფილოსოფიისა და მეცნიერების სხვა და სხვა სისტემა-თეორიებს. მისთვის უცხო აღარ არის არც ხელოვნების ნაწარმოებნი.

ამ გვარათ, მშრომელი ხალხიც პირდაპირი მონაწილე და თანამიარი ხდება ნაციონალურ კულტურისა. დიახ, ნაციის დაჩაგრული ნაწილი ამტვრევს ნაციონალურ კულტურის დიდებულ ტაძრის ბჭეს, მაგრამ... მაგრამ ის მაინც კიბის პირველ საფეხურებს ვერა სცილდება და ვერც გასცილდება, ვიდრე არსებობს კლასიური საზოგადოება, ე. ი. ადამიანისაგან ადამიანის ყვლეფა-მჩაგვრელობაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ცხოვრება.

ადამიანთა გრძნობა-გონების ნაყოფი, დაგროვილი და განვითარებული მრავალ ათას საუკუნეთა განმავლობაში დღეს უკვე იმდენათ მდიდარია, ისეთ სიდიადეს აღწევს ეს ნაყოფი, ეს სულიერი კულტურა ადამიანთა, რომ მის დასაპყრობათ, ე. ი. სავსებით შეგნება-შესათვისებლათ და გამოსაყენებლათ საჭირო არის საკმაოთ მაღალი, განვითარებული გონება; მაგრამ უწინარეს ყოვლისა საჭირო არის საკმაო თავისუფალი დრო, საჭირო არის ყოველდღიურ ლუკმა-პურისათვის მზრუნველობიდან განთავისუფლებული სულიერი განწყობილება, ჩვენ აქ, რასაკვირველია, სახეში არა გვყავს განსაკუთრებულ ნიჭიერებისა და ენერჯიის ადამიანები; ვლაპარაკობთ ჩვეულებრივ მომაკვდავებზე, ხალხის მასსაზე. ამათ შესახებ კი, ეჭვს გარეშეა, რომ ნივთიერი სიღატაკე სრულიად მოუთავსებელია სულიერ სიმდიდრესთან; **თუმცა** – ანუ უკეთ – **რადგან** დღევანდელ პირობებში პირველი მეორის აუცილებელი საფუძველია. როდესაც მაგ. , ბურჟუაზიის ახალგაზდობა ოც წელიწადს და კიდევ მეტ ხანს სწავლა-აღზრდაში არიან, ეს იმას ნიშნავს, რომ ფაბრიკა-ქარხნებსა და მინდვრებში მათ სასარგებლოთ ოფლსა ღვრის მუშა-ხალხი თავის ბავშვებითა თუ ახალგაზდობით. ანუ როდესაც იმავე ბატონების ბრწყინვალე პუბლიკა სტკბება ვინმე ბეტჰოვენის სიმფონიებით თუ ვაგნერის ოპერების მოსმენით განიცდის მაღალ

ესტეტიკურ სიამოვნებას და სხ. და სხ. ყველა ეს იგულისხმებს, რომ იმავე სამუშაო ადგილებს ანუ ქვესკნელს, მიწის ქვეშ, სადმე მალარობებში ნახევრათ შიშველი, ოფლსა და მურში გასვრილი ადამიანები განუწყვეტლივ სჭიმავენ თავის ძარღვებსა და კუნთებს... შრომისაგან დაღლილ-დაქანცული მუშა, იმის მაგივრათ, რომ მოსვენებას მიეცეს, ხშირათ წიგნს იღებს ხელში სამეცადინოთ, ჟურნალ-გაზეთებს კითხულობს, კრებებს ესწრება, ლექციებზე დადის და ასე თანდათანობით მიანც იძენს სწავლა-ცოდნას. მუშების მხრივ – თქმა არ უნდა – ეს ისეთი გმირობაა, ისეთი ზნეობრივი სიმადლეა, რომელიც ბურჟუაზიისათვის სამუდამოთ ხელმიუწდომელი დარჩება. მუშა ხალხი თანდათანობით იძენს სწავლა-ცოდნას, მაგრამ ეს ძალიან მცირეა, მხოლოთ პაწია ნატეხებია ნაციის დიად კულტურულ განძებისა. მეტის შეძენისათვის კი მუშებს წინ ელობება ნივთიერი სიღარიბე და შედარებით გრძელი სამუშაო დრო.

იქნება შრომის ნაყოფიერება ჯერ კიდევ იმდენათ მცირეა რომ ერის ქონება-სიმდიდრე ვერ გასწვდება ყველას? იქნებ ეს ჯერ კიდევ ვერ უზრუნველჰყოფს ერის ყველა წევრთა რიგიან ფიზიკურ არსებობას, რაიც უეტველი პირობაა სულიერ კულტურის თანაბარ სარგებლობისათვის? მაგრამ ვინ არ იცის, რომ ჩვენს დროში ზოგჯერ მშიერი თუ ნახევრათ მშიერი ადამიანები საცოდავათ, უნუგეშოთ დალასლასებენ თვით იმ ამბრებსა და საწყობების გვერდით, სადაც აუარებელი სურსათი და სანოვავე მომხმარებელთა მოლოდინში ფუტდება და ღებება; ანუ ჩაუცმელობისაგან იტანჯებიან მაშინ, როცა მალაზიების თაროები ვეღარ უდგნობენ ათასგვარ ჩასაცმელ-დასახურის და სხვა ნივთეულობის სიმძიმეს. არა, შრომის ნაყოფიერება უკვე საზღაპრო სიმადლეიმდე არის მისული, საწარმოვო ძალები უკვე ჩვენს დროში სასწაულმოქმედებენ, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ძალები მხოლოთ კაპიტალის სასამსახუროთ მოქმედებენ. შრომისა და წარმოების ყველა იარაღები და საშვალეებანი კერძო პირების, კაპიტალისტების კერძო საკუთრებას შეადგენს. ეს ბატონები კი, რასაკვირველია, თავის ჯიბის ინტერესებს ეძებენ და არა ნაციის სიკეთეს. კაპიტალისტები ნამუშავარის მხოლოთ ერთ ნაწილს აძლევენ თვით მომუშავეებს, დანარჩენს კი თავისთვის იტოვებენ მუქთად, მუშა ასეთ პირობაზე უარს ვერ ამბობს, იძულებულია დათანხმდეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სიმშვილით სიკვდილი ელის. კაპიტალისტიც თავის მხრივ უარს ვერ იტყვის სხვისი შრომის **მუქთად** დასაკუთრებაზე, ის ვერ მოიშლის მუშათა ჩავგრა-ექსპლოატაციას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ის თავის-თავს

მოსპობდა; ეს კი, რასაკვირველია, მას არ ძალ-უძს. კაპიტალისტები, ბურჟუაზია კლასიურათ იძლებულნი არიან დაიცვან ადამიანისაგან ადამიანის ჩაგვრა-ექსპლოატაცია.

მეორე მხრივ, ყველა ის სახალხო სწავლა-განათლების გამავრცელებელი საშუალებანი, რაიც კაპიტალისტურმა ხანამ წარმოშობა, ეხლა უკვე ათვალწუნებულია ამავე წყობილების მატარებელ ბურჟუაზიისაგან. მართალია ცოტაოდენი სწავლა-ცოდნა მუშების მხრივ საჭიროა თანამედროვე წარმოებისათვის, ხელსაყრელია თვით კაპიტალისტებისათვის; მაგრამ ამათვის მუშების ბევრი სწავლა-ცოდნა უკვე საზარალოა. ერთი რომ რაც მეტ დროს მონადომებენ მუშები სწავლას, იმდენი ნაკლები დრო დარჩება შრომისათვის და მაშასადამე იმდენი ნაკლები მოგება დარჩება კაპიტალისტებს, და მეორეც, საკმაო განათლებული მუშები, ცხადია, აღარ ინდომებენ კაპიტალიზმის უღლის ტარებას. გარდა ამისა, ბურჟუაზია ეხლა ხედავს, რომ ის სახალხო პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლებანი, რისთვისაც ერთხელ თვითონვე იბრძოდა თავ-გამოდებით, და რის განხორციელებამაც შესანიშნავათ გააფართოვა ნაციონალურ კულტურით მოსარგებლე ხალხის წრე, ბურჟუაზია ხედავს, რომ ეს უფლებანი მუშათა ხელში უკვე საშიშ იარაღათ ხდება კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველათ, და ამიტომაც იგი ესწრაფის ეს უფლებანი რაც შეიძლება მეტათ შეზღუდოს, შეკვეცოს და თუ შეიძლება სულაც გააბათილოს. აგრე რომ არა ყოფილიყო – შევნიშნოთ გაკვრით – რუსეთს და სპარსეთში ჩვენ მოწმე არ გავხდებოდით განთავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხის იმ ტანჯვა-წამების, რასაც ჩვენდა სავალალოთ ჯერ კიდევ არ უჩანს დასასრული. მაგრამ თანამედროვე ბურჟუაზია, ევროპის ოდესღაც რევოლიუციონური ბურჟუაზია „გუნებ ნაქცევათ“ გახლავთ, კაპიტალიზმი „ორსულათ“ არის ახალ საზოგადოების წარმოსაშობათ...

მაგრამ დავასკვნათ. მას შემდეგ, რაც კლასიური საზოგადოება გაჩნდა, კაპიტალიზმი პირველი საზოგადოებრივი წყობილებაა, რომელიც ხალხის ფართე მასსას კარებს უღებს ნაციონალურ კულტურის ტაძარში შესასვლელათ; მშრომელი ხალხი პირდაპირი მონაწილე და თანაზიარი ხდება ამ კულტურისა, რითაც მყარდება მთელი ხალხის კულტურული ერთობა, მაშასადამე ნაციონალური ერთობა, ნაციონალური ბუნებისა და ხასიათის ერთობა. მაგრამ ამ პროცესს საზღვარს უღებს და ავიწროებს თვით კაპიტალიზმივე. ხალხის ფართე მასსას იგი ნაციის კულტურულ ტაძრის დერეფანშივე ამწყვედევს და ხმალ-ამოწვდილი სდარაჯობს, რომ მან წინ აღარ



გადადგას ფეხი, ნაციონალურ განვითარების შეჩერება აუცილებელი პირობა ხდება კაპიტალიზმის არსებობის უზრუნველ-საყოფელათ. ასე და ამ რიგათ, საზოგადოებრივ ცხოვრების მსვლელობა აღწევს იმ საფეხურს, როცა ნაციის განვითარების ინტერესები გადაჭრით ითხოვენ კლასიურ საზოგადოების მოსპობას.

### 3. სოციალიზმის ხანაში

კაუცკის შეხედულებით, ნაციის განვითარება სწარმოებს იმავე გზით და იმავე სახით, როგორც ქვეყნის ეკონომიური განვითარება, როგორც აქ პატარა საკუთრება, პატარა წარმოება იცლაპება დიდი საკუთრებისა და დიდი წარმოებისაგან, ისევე პატარა ნაციები ჩაიყლაპება დიდი და ძლიერი ნაციებისაგან. ასეთი ბედი – თუმცა ფრთხილი სიტყვებით – კაუცკიმ ამ 15-მდე წლის წინათ, უწინასწარმეტყველა, სხვათა შორის, ჩეხების ნაციას. იგი ამ სამწუხარო პერპექტივის განჭვრეტას ჩეხებს უადვილებდა ასეთი სიტყვებით: „მაგრამ ჩეხებს შეუძლიანთ ინუგეშონ თავი, რადგან ასეთივე ბედი ელის იმათზე უფრო დიდ ნაციებსაც“. <sup>29</sup> მარა ამ დროს განმავლობაში ჩეხების ნაცია არამც თუ უკან არ წასულა, არ დასუსტებულა და მას არ გამოუჩენია ტენდენცია ძლიერ ნაციაში (ნემცებში) გასაღლსათ, უფრო ამაღლდა და კვლავ საოცარის სისწრაფით ვითარდება, ამ ფაქტის წინაშე, რასაკვირველია, თვითონ კაუცკიც თავს იხრის, მაგრამ იგი მაინც ისევ თავის ამრზე დგას. ამ ცოტა ხანში გამოსულ თავის ახალ ნაწარმოებში ნაციონალურ საკითხის შესახებ – კაუცკი ხელუხლებლათ სტოვებს თავის მთავრ შეხედულებას (l'idee metresse).

იმის დაგვარათ – სწერს იგი – როგორც ხალხთა შორის ვითარდება ეკონომიური ურთიერთობანი, ნაციონალური კულტურა აშკარათ იღებს ინტერნაციონალურ ხასიათს. უკვე დღეს აღარ არსებობს წმინდა ნაციონალური კულტურა, კულტურის მხრივ დღეს უკვე მთელი ქვეყნიერობა იყოფა სამ დიდ სამფლობელოთ; ესენია: ქრისტიანული კულტურული სამფლობელო, სადაც შედის თითქმის 600 მილიონი წევრი, ისლამური-250 მილ. წევრი, ბრამინული და მისი მონათესავე ბუდისტური – თითქმის 700 მილიონი წევრი; თვითოეული ეს კულტურული სამფლობელო შეიცავს მრავალ სხვა და სხვა ნაციებსა და ენებს. მაგრამ, რასაკვირველია, აქ არ ჩერდება განვითარება. კაპიტალისტური წესრიგი წარმოებისა ყველგან აღწევს გა-

29 იხ. Национальность нашего времени, გვ. 41. ან ქართული გამოცემა „ჩვენი დროის ეროვნება“ გვ. 62-63.

ბატონებას. „ამ ნიადაგზე ეს სამი დიდი კულტურული სამფლობელო ხდება ეკონომიურათ ერთიანი სამფლობელო, რომელსაც მოეპოება საერთო კულტურა; ნაციათა და კულტურულ სამფლობელოთა შორის საზღვრები სულ უფრო და უფრო ქრება. აქედან უფრო ცხოველდება საქიროება არსებობდეს ერთიანი საქვეყნიერებო ენა.“<sup>30</sup> დღეს ჩვენა გვაქვს სამი საქვეყნიერებო ენა – ფრანგული, გერმანული და ინგლისური. (საერთო აზრია, რომ ვისაც უნდა ნამდვილათ განათლებული ადამიანი იყოს, მან უეტველათ – ერთ-ერთი აქ დასახელებული ენა მაინც უნდა იცოდეს). მომავალში შესაძლებელია ამ სამ ენას კიდევ მეოთხეც მიემატოს, მაგალითათ რუსული ენა. მარა ეს იქნება დროებითი მოვლენა. ბოლოს და ბოლოს გამარჯვება უნდა დარჩეს ერთ-ერთს, ე. ი. ერთი საქვეყნიერებო ენა გადიქცევა უნივერსალურ, მსოფლიო ენათ. კაუცკი ფიქრობს, რომ ასეთი უპირატესობა წილათ ხვდება ინგლისურ ენას, რადგან ამ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი ყველაზე უფრო მეტათ იზრდება. ასე მაგ. გასულ საუკუნის დასაწყისში საქვეყნიერებო ენებზე მოლაპარაკეთა რიცხვი იყო: ფრანგულზე – დაახლოვებით 30 მილიონი, ამდენივე გერმანულზე; ინგლისურზე – 20 მილიონზე ცოტა მეტი; დღეს კი ითვლება: ფრანგულათ მოლაპარაკე – 40 მილიონზე ცოტა მეტი, გერმანულათ – 70 მილიონზე მეტი, ხოლო ინგლისურ ენაზე უკვე 125 მილიონი ლაპარაკობს. მსოფლიო ენის წარმოშობა განხორციელდება რასაკვირველია, მხოლოთ სოციალიზმის დროს. მხოლოთ სოციალიზმის დროს შეიძლება ხალხის მასსა შეისწავლოს ერთ-ერთი საქვეყნიერებო ენა და მით მაშინ უსარგებლო გახდება ყველა სხვა ენები, მერე მოზრდილ, მერე უფრო დიდ ნაციების ენები და ასე ბოლომდის, ვიდრე მთელი კაცობრიობა ალაპარაკდებოდეს მხოლოთ ერთ ენაზე.

ასეთია კაუცკის შეხედულება. აქ ბევრი რამ არის მართალი, მარა დედა აზრი კი შემცდარი არის. კაუცკი სამართლიანათ აღნიშნავს ნაციათა გაერთიანების ტენდენციას, მარა იგი თითქმის სრულიად ივიწყებს, ან სათანადო ანგარიშს არ უწევს მეორე ტენდენციას, რომელიც პირველის მოპირდაპირე და უარყოფელი მიმდინარეობაა; ჩვენ ვამბობთ კაცობრიობის ნაციებათ დიფერენციაციის (გამიჯვნა-განაწილების) ტენდენციაზე. თვითონ პირველსაც სრულებითაც არა აქვს ის ხასიათი, რომელიც კაუცკის წარმოდგენია. ნამდვილათ სწორეთ „გაერთიანების“ ტენდენცია აწარმოებს ნაციათა დიფერენციაციას. ავხსნათ.

კაპიტალიზმის განვითარებამ, რასაკვირველია, თან მოიტანა ის ფრიად

30 Nation und Internationalität გვ. 13.

თვალსაჩინო შედეგი, რომ სხვა და სხვა ქვეყნები და ნაციები ერთმანეთზე გადაება და მჭიდროთ შეკავშირდა. დღეს ძნელათ იპოვება ისეთი ქვეყანა რომ ყველა თავის მოთხოვნილებებს თვითონვე, საკუთარის ნაწარმოებით იკმაყოფილებდეს. ზოგიერთი მათგანი – და საკმაოდ განვითარებული და მდიდარი ქვეყნები – უცხოეთიდან იღებენ არა მარტო დასამუშავებელ, ნედლე მასალას, ანუ მხოლოდ ზოგიერთ წრეებისათვის საჭირო საგნებს, არამედ აგრეთვე ისეთ საგნებსაც, რომელიც ემსახურება ადამიანთა მიუცილებელ საჭიროებათ დაკმაყოფილებას, როგორც მაგ. პური, ხორცეული და სხვა სურსათი-სანოვავე. ასეთ პირობებში უერთმანეთობა, ცხადია, სრულიად აუტანელი იქნება. ყველამ იცის, თუ რა აურ-ბაური და დრტვინვა გამოიწვია ევროპის სახელმწიფოებში ამ ორი წლის წინათ რუსეთში მომხდარ პოლიტიკურ არეულობამ და საყოველთაო გაფიცვებმა. ევროპას ამ შემთხვევაში, თქმა არ უნდა, რუსეთის ხალხთა ტანჯვა-ვაება კი არ აწუხებდა, რუსეთის თვით კონსტიტუციისა და პოლიტიკურ თავისუფლების ბედ-იღბალი კი არ აფიქრებდა, არამედ მხოლოდ თავის საკუთარ ჯიბის ინტერესები, დაბანდებულ კაპიტალების განაღდება, ჯეროვან მოგება-სარგებლის ზედშეკვეცი. დიახ, დღეს იმდენათ უკვე მჭიდროა ქვეყნების ეკონომიური ურთიერთშორისი დამოკიდებულება, რომ, უკეთუ რაიმე მიზეზით – მაგ. ევროპის საყოველთაო ომიანობით – საერთაშორისო მიმოსვლა-ურთიერთობა შეწყდებოდა, ეს, აუცილებლათ, გამოიწვევდა მრავალ წარმოებათ მთელ დარგების სრულ გაკოტრებას, აუარებელ მუშათა ხალხის ულუკმაპუროთ დატოვებას, საზარელ სიმშილობას; ერთი სიტყვით საერთაშორისო ურთიერთობის შეჩერება ქვეყნიერებას თავს დაატეხდა ისეთ საშინელ კატასტროფებს, რომლის მსგავსი ჯერ არ ახსოვს კაცობრიობას. ეკონომიურ ასეთ ურთიერთ შორის დამოკიდებულებას ბუნებრივის აუცილებლობით თანა სდევს დამოკიდებულება ცხოვრების აგრეთვე დანარჩენ მხარეებშიც, კულტურულ, იდეურ სფერაშიაც. და რადგან კაპიტალისტური საზოგადოება დაფუძნებულია კონკურენციაზე, მეტოქეობა-ქიშპობაზე, ცხადია, აქ, ბრძოლის ასპარეზზე ერთნი მარცხდებიან, მეორენი გამარჯვებულნი რჩებიან. ნაცია, უკეთესათ შეიარაღებული, უკეთეს პირობებში მყოფი, თან და თან უფრო იზრდება და ვითარდება; იგი სწრაფათ ძლიერდება როგორც ნივთიერათ, ისე კულტურულათ. ენა, რომელზედაც ის ლაპარაკობს, აუცილებელი იარაღი ხდება ცხოვრების გზის გასაკაფათ და ეს ყოველ ასპარეზზე, როგორც ვაჭრობა-მრეწველობაში, ისე ხელოვნებასა და მეცნიერებაში. ამიტომაც ძლიერი ნაციის ენა

მოდათ შემოდის პატარა ნაციაში. და თუ ეს უკანასკნელი პოლიტიკურათ დამონებულია, ცხადია, მისთვის გაბატონებულ ნაციის ენას უფრო კიდევ მეტი მნიშვნელობა მიეცემა, ვინაიდან სახელმწიფო ენის უცოდინართათვის დახშული იქნება თითქმის ყველა საზოგადოებრივი და სახელმწიფო დაწესებულებათა კარი. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, მამები თავის ბავშვებს აკვირიანვე ჩასჩინებენ: „შვილო, თუ გინდა კაცი გახდე, ისწავლე ჩვენი „მამა-ბატონების“ ენა“. სამშობლო ენების მნიშვნელობა თანდათან ეცემა და მათზე ლაპარაკი სათაკილოც კი ხდება. აქედან კაუკუკი დაასკვნის; „მათი (სამშობლო ენების) ხმარება უფრო და უფრო შეიზღუდება, ეს ენები თანდათან იქცევიან მარტო, „შინ სახმარ ნივთათ“ და ბოლოს აქაც დაიჭერენ იმავე ადგილს, როგორც უჭირავს საგვარეულოს ძველისძველ ავეჯს, რომელსაც აფასებენ და სათუთათ უფროთხილდებიან, მაგრამ არავითარ პრაქტიკულ მნიშვნელობას კი აღარ აძლევენ<sup>31</sup>.

მაგრამ, რასაც აქ კაუკუკი მომავალი დროისთვის ამბობს, ის დაწინაურებულ ქვეყნებში დღეს უკვე წარსულს ეკუთვნის. იქ პატარა და დაჩაგრულ ნაციათა ენებს იმდენათ დაკარგული ჰქონდათ პრაქტიკული მნიშვნელობა, რომ სრულიათ გაქრობის პირათ იყვნენ მისული, მაგრამ დღეს უკვე სურათი ერთიანათ შეცვლილია. საქმე ის არის, რომ თუ კაპიტალისტურათ განვითარებულ ძლიერმა ნაციებმა პირველ ხანებში დაიმონავეს და საწველ ფურათ გაიხადეს პატარა სუსტი და უკან ჩამორჩენილი ნაციები, შემდეგში მათ ამ უკანასკნელთ თვითონვე – თავისდა უნებურათ, რასაკვირველია – მისცეს იარაღი გასანთავისუფლებლათ, საკუთარ ფეხზე დასადგომათ და საკუთარი გზით განსავითარებლათ. მაგ. ავსტრია-უნგრეთში, კაპიტალიზმმა – შეიძლება ითქვას – მკვდრეთით აღადგინა იქ ჩამწყვდეული პატარა ნაციები. დიახ, პატარა და სუსტი ნაციები ბოლოს თვითონვე შესანიშნავათ ანვითარებენ კაპიტალისტურ წარმოებას, და მტკიცეთაც მაგრდებიან ამ ნიდაგზე. ამ ერის ბურჟუაზია უცხო კონკურენციის თავიდან მოსაშორებლათ წინ იმძღვარებს ნაციონალურ ენას; ასპარეზზე გამოსული მუშა ხალხიც ანვითარებს იმავე ენას, რადგან ეს იმისთვინ კლასიურ ბრძოლის აუცილებელი იარაღია, რაკი ხალხის მასსა ებმება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამ მასის ენაც სათანადო ადგილს პოულობს და ბოლოს ბატონობასაც აღწევს როგორც ლიტერატურაში, ისე სკოლისა, სასამართლოს და საზოგადოებრივ თუ სახელმწიფო დაწესებულებებში. აქედან ინტელიგენციისათვისაც, თავისუფალ პროფესიის ხალხისათვისაც, როგორც არიან ჟურნა-

31 Национальность нашего времени გვ. 42.

ლისტები, მასწავლებლები, ვექილები, ექიმები და სხ. ყველა ამათთვის სამშობლო ენა ხდება არსებობის მიუცილებელ საშუალებათ. ამასთანავე ერთათ იცვლება საზოგადოებრივი აზრიც სამშობლო ენის შესახებ. ამ ენის აბუხათ აგდება ეხლა უკვე სამარცხვინოთ არის აღიარებული. ეხლა მამა თავის ბავშვს ასე შთააგონებს: „შვილო, თუ გინდა კაცი გახდე, კარგათ ისწავლე სამშობლო ენა“. უცხო, გაბატონებულ ნაციის ანუ საქვეყნიერებო ენა იქცევა, აგრე წოდებულ, „საზოგადოების“ შინ სახმარ ენათ. იგი იხმარება კერძო ადამიანთა მიზნებისათვის, იმათ ვაჭრობა-მრეწველობის თუ ხელოვნება-მეცნიერების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ; იგივეა ენა ლაყობა-ლაზღანდარობისა, არმიყობისა თუ სხვა რაიმე კერძოობისა. ხოლო გარეთ, საზოგადოებაში, ლიტერატურაში თუ საჭირო კრებებზე, ერთი სიტყვით, ყოველ საზოგადოებრივ საქმეში უკვე გამეფებულია სამშობლო, ნაციონალური ენები. ეხლა ის, ვინც წარა-მარათ ლაპარაკობს უცხო, გაბატონებულ ნაციის ენაზე, ნასწავლ-განათლებული და ზრდილი ყმაწვილი კი აღარ არის, არამედ, იგია უსულ-გულო, ქარაფშუტა ვიგინდარა. ხოლო სამშობლო ენაზე წმინდა, რიგიანი ლაპარაკი ეხლა უკვე ნიშანია იმის, რომ ეს ადამიანი ამოვლებულა და განბანილა თანამედროვე სოციალ-პოლიტიკურ ბრძოლის ტალღებში.

ყველა ზემო ნათქვამიდან, რასაკვირველია, ის არ გამომდინარეობს, ვითომ დროს განმავლობაში იკარგებოდეს გაბატონებულ ნაციათა ენების და საქვეყნიერებო ენების მნიშვნელობა. ჩვენ მხოლოთ იმას აღვნიშნავთ, და ასე ხდება იმისდა კვალათ, როგორც იზრდება და ვითარდება დემოკრატია. და რადგან გამარჯვება ეკუთვნის ამ უკანასკნელს, ცხადია, სოციალისტურ ხანაში ნაციები შევლენ დიდათ განვითარებულ სამშობლო ენებით აღჭურვილნი. როგორი იქნება შემდეგი მსვლელობა?

სოციალისტურ საზოგადოებაში, თუმცა თვითოეული ნაცია სრული ბატონ-პატრონი იქნება თავის თავისა, მარა ეტვს გარემეა, რომ იგი ამისთვის არ მიეცემა განცალკევებულ და კარ-ჩაკეტილ ცხოვრებას; ეს წინააღმდეგი იქნებოდა მთელ ტეხნიკისა და კულტურის განვითარებისა. სოციალისტური საზოგადოება მხოლოთ განაგრძობს, განავითარებს იმ პროცესს, რომელიც დღესვე კაპიტალისტურ პირობებშივე სწარმოებს და ნაცია უფრო მჭიდრო, განუყრელი ძაფებით შეუკავშირდება მთელ კაცობრიობას, როგორც ეკონომიურათ, ისე კულტურულათ. მაშასადამე მრავალ ენიანობა საერთოთ წინ მსვლელობის შემაფერხებელი გარემოება იქნება და ერთი მსოფლიო ენის მიღება კი მიუცილებელი საჭიროება. და რადგან ბუნებ-

რევით, თავის-თავით არ იბადება მსოფლიო ენა (აწ არსებულ საქვეყნიერებო ენების რიცხვს – ფრანგულს, გერმანულს, ინგლისურს – არა თუ არ აკლდება, კიდევ ემატება ახალი ენები. ხოლო საქვეყნიერებო ენების გვერდით ვითარდებიან აგრეთვე ნაციონალური ენები). ცხადია სოციალისტური საზოგადოებანი იძულებული გახდებიან ცნობიერათ ჩაერიონ საკითხის გადაწყვეტაში. მაგრამ შეუწყნარებელი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, ვითომ ერთ მშვენიერ დღეს სოციალისტურ საზოგადოებათა საერთაშორისო კონგრესი გამოიტანდეს დეკრეტს, რომლის ძალითაც ერთ-ერთ ნაციის ენა (ის მაგ. რომლის მცოდნე აღმოჩნდება კაცობრიობის უმრავლესობა) მიღებულ იქმნებოდეს მსოფლიო და საყოველთაო ენათ, ხოლო დანარჩენთა სამშობლო ენების ხმარება კი აიკრძალებოდეს. ასეთი დეკრეტი უეჭველათ გამოიწვევდა ხალხთა კანონიერ ნაციონალური თავმოყვარეობის აღშფოთებას, რაიც სათავგეშივე ჩაკლავდა საქმის განხორციელებას. ჩვენის აზრით, მსოფლიო ენათ მიღებული იქმნება არა ამა თუ იმ ნაციის ენა, არამედ, ასე ვთქვათ ნეიტრალური ენა, ე. ი. რომელიც არ ეკუთვნის არც ერთ ნაციას. ასეთია მაგ. უკვე დღეს არსებული, საერთაშორისო ენათ წოდებული „ესპერანტო“. საგულისხმოა, რომ ამ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი უკვე დღესვე, შეუმჩნევლათ, მაგრამ შეუჩერებლათ, მრავლდება ყველა სახელმწიფოებსა და ყველა ნაციებში<sup>32</sup>. საგულისხმოა ისიც, რომ გერმანიის სოც. -დემოკრატიის ზოგიერთ წრეებში უკვე დღესვე აზრათ აქვთ აღძრან საკითხი იმის შესახებ, რომ ეს ენა მიღებულ იქმნას სოციალისტურ პარტიების საერთაშორისო კონგრესებისთვის, რადგან სამ-ოთხ ენაზე თათბირი ძალიან აფერხებს კონგრესების მუშაობას. ზოგიერთი დიპლომატები და პოლიტიკოსებიც ასევე ფიქრობენ გამოიყენონ „ესპერანტო“. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ეს ენა მსოფლიო ენათ გადაიქცევა – თუ კი ასეთ „ბედნიერ ვარსკვლავზეა“ დაბადებული – მხოლოთ სოციალიზმის განხორციელების შემდეგ. სოციალისტურ საზოგადოებათა მსოფლიო ენა, გარდა წმინდა საერთაშორისო დანიშნულებისა, შეასრულებს აგრეთვე სამშობლო ენის ზოგიერთს – და მხოლოთ ზოგიერთ – ფუნქციებს. ასე მაგ. თუ დღეს რაიმე ახალი აღმოჩენა ან განსაკუთრებულათ შესანიშნავი ნაწარმოები ხელოვნებისა თუ მეცნიერების სფერაში აუცილებლათ ითარგმნება ნაციონალურ ენებზე, მაშინ ეს თარგმნა საჭირო აღარ იქნება, რადგან ყველა განსაკუთრებულათ შესანიშნავი

32 ამას წინათ მოსული ცნობით ამ ენაზე გადაუთარგმნიათ ბ-ნ სუმბათაშვილის ცნობილი პიესა „ლალატი“ და მალე ითამაშებენ პარიჟის ერთ-ერთ სცენაზეო.

ნაწარმოები თვით ავტორებისგანვე დაწერილ იქნება მსოფლიო ენაზე და ეს კი ყველა ნაციების ყველა ადამიანებს ეცოდინებათ. სამშობლო ენათა ხმარების სფერა, რასაკვირველია, შემცირდება. ვერც ერთი ნაციონალური ენა ვეღარ გასცილდება თვით ნაციის საზღვრებს, ე. ი. იმ ადამიანთა წრეს ვისთვისაც იგი შეადგენს სამშობლო ენას. ეს კვლავ იქცევა ჩვეულებრივ, შინ სახმარ ენათ. სამშობლო ენა იქნება უმთავრესათ ადამიანთა ესტეტიკურ მოთხოვნილების, მრავალფეროვანება-სხვა-და-სხვაობისადმი მისწრაფების დამაკმაყოფილებელი. მსოფლიო ენა კი იქნება უმთავრესათ საშუალება წინმსვლელობა-განვითარებისათვის.

ამ გვარათ, მომავალი, სოციალისტური კაცობრიობა ილაპარაკებს მრავალ ენაზე, ხოლო თვითეულ ნაციას კი ექმნება მხოლოთ ორი ენა: მსოფლიო და სამშობლო ენა.

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ოდესმე სამშობლო ენები სრულიად მოისპო კიდეც და მთელ კაცობრიობას ერთათ-ერთი მსოფლიო ენაღა შერჩა. ასეთი პერსპექტივის განხორციელება მაინც კიდეც არა ნიშნავს ნაციათა მოსპობას და მთელ კაცობრიობის ერთ ნაციათ გადაქცევას. მკითხველმა უკვე იცის, რომ, ჩვენის შეხედულებით, ენა სრულებითაც არ შეადგენს ნაციის არსებას; ნაციის გამომჟღავნებელი ნაციონალური კულტურა, რომლის მხოლოთ ერთ ნატებს წარმოადგენს ნაციონალური ენა, მარა კაუკკის ამრით როგორც უკვე აღვნიშნეთ – სოციალიზმის დროს კაცობრიობის კულტურასაც აღარ ექნება ნაციონალური სანახაობა, და ეს პროცესი ნაციათა კულტურულ გაერთიანებისა უკვე დღეიდანვე, კაპიტალისტურ პირობებში თვალსაჩინოთ სწარმოებს. ნამდვილათ კი როგორ არის ამ მხრივ საქმე?

ნაციათა კულტურული ურთიერთობა რომ ფაქტია, ეს ყველამ იცის და სოციალიზმის დროს რომ ეს ურთიერთობა კიდეც უფრო მეტათ განვითარდება, ესეც აშკარა უნდა იყოს ყველასათვის. მაგრამ სახელდობრ რას იძენს ერთი ნაცია მეორისაგან და ან რითი განსხვავდება ერთის კულტურა მეორისაგან? როგორც ცალკე ადამიანს შეუძლიან სთქვას თავის თავზე: *Homo sum, et nihil humani a me alienum puto* (მე ადამიანი ვარ და არაფერი რაც კი ადამიანობას ეხება, არ არის ჩემთვის უცხო), სწორეთ ასევე მთელ ნაციასაც შეუძლიან სთქვას თავის თავზე, რომ არაფერი, რაც კი სხვა ნაციებს მოეპოებათ, არ არის მისთვის უცხო ან მიუწოდომელი, განვითარების შესაფერ საფეხურზე. ყველა ნაციები ერთმანეთს ჰგვანან განვითარების ერთსა და იმავე საფეხურზე. სოციალიზმის დროს ნაციები უეტველია ერთი

მეორეს გაუთანასწორდებიან კულტურული დონეთი; **არსებითად** ყველგან იქნება ერთი და იგივე საზოგადოებრივი წეს-წყობილება, ერთი და იგივე ტექნიკა, მეცნიერება, ხელოვნება, ფილოსოფია; ნაციები ერთმანეთს გაუთანასწორდებიან კულტურის **შინაარსით**. მაგრამ როგორც ერთი ნაციის ცალკე ადამიანთა გათანასწორება სწავლა-ცოდნით და აღზრდა-განათლებით არა ნიშნავს მათს ინდივიდუალობის მოსპობას, სწორედ ასევე ნაციათა გათანასწორება კულტურის მატერიალურ შინაარსის მხრივ არ მოასწავებს მათ სხვა და სხვაობის მოსპობას. ეს აზრი შეიძლება ნათელვყოთ წარსულის მაგალითით. გეცოდინებათ, რომ მეთერთმეტე საუკუნის დამლევიდან, ვიდრე მონგოლების შემოსევამდე, მეცამეტე საუკუნის პირველ მეოთხედამდე, ქართველობამ განიცადა კულტურულ განვითარების განსაკუთრებული ხანა. მრავალ უცხო ენების ცოდნა და ამ ენებზე ლიტერატურის შესწავლა აუცილებელი პირობა იყო ქართულ სწავლა-აღზრდისა. უცხო ენებზე ლაპარაკობენ და სწერენ მეფეთა სასახლეებშიაც. ასე მეფე დიმიტრის, დავითის შვილს, მიწერ-მოწერა ჰქონდა არაბულ და სირიულ ენებზედ. თფილისში იმყოფებოდა უმაღლესი სასწავლებელი; აქვე, ჩვენი ქვეყნის სატახტო ქალაქში, თავს იყრიდენ სხვა და სხვა ქვეყნებისა და ნაციების სწავლულნი და პოეტები;<sup>33</sup> ერთი სიტყვით, საქართველო მაშინ განიცდიდა უცხო ნაციების კულტურის ძლიერ ზე-გავლენას. მაგრამ სწორედ ამ ხანაში ქართველთა ნაციონალური სახე უფრო მკაფიოთ ჩამოყალიბდა, სწორედ ამ დროსვე ჩვენი ნაციონალური კულტურა განვითარების შეუდარებელ სიმაღლემდე ავიდა. ამ ხანასვე ეკუთვნის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომლის სიუჟეტი, სპარსულიდან არის აღებული და რომელიც ერთი უძვირფასესი განძია ქართულ ნაციონალურ კულტურისა. რათ მოხდა ასე? რატომ პირიქით არ მიმქრალდა ჩვენი ნაციონალური სახე და არ გავილესენით სხვა ნაციებში? სწორედ იმიტომ, რომ ქართველობა მაშინ უკვე გარკვეულ ნაციონალურ კულტურის დონეზე იდგა და ყველაფერს, რასაც კი სხვა ნაციებისაგან იღებდა, რასაც კი სხვათაგან სწავლობდა, ყველაფერს იგი თავის ნაციონალურ ბეჭედს ასვამდა. ასევე იქნება შემდეგშიაც. ასევე იქნება მუდამ.

სოციალიზმის დროს რამდენიც უფრო მეტი განვითარებული იქნება ნაცია, იგი იმდენათ უფრო მტკიცე თავისებურობის ბეჭედს დაასვავს ყველაფერს, რასაც კი სხვა ნაციებისაგან შეიძენს. ამასთანავე, რაკი ნაციონალური კულტურა ნაციის თვითიველადამიანის საერთო კუთვნილება იქნება,

33 იხ. სხვათა შორის პროფ. მარრის „Исторія Грузія“



ცხადია, რომ ყოველი ახალი აზრი თუ რაიმე მიმდინარეობა, ვიდრე მიღებულ იქმნებოდეს რომელიმე ნაციისაგან, უმაღლესად შეისისხლხორცებოდეს თვითეულ ადამიანისაგან. დაბოლოს ამას შედეგათ ის მოჰყვება, რომ ნაციისგან მიღებული ახალი შენაძენი, თქმა არ უნდა, დიდათ განსხვავებული დარჩება დედანისაგან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რამდენიც წინ წავა კაცობრიობა განვითარების გზაზე, იმდენათ იგი უფრო მტკიცეთ და გარკვევით იქნება დანაწილებული სხვა და სხვა ნაციებათ.

ამგვარათ სოციალიზმი კი არ სპობს ნაციებს, არამედ ანვითარებს მათ უმაღლეს წერტილამდე. იგი ნაციის მთელ ვინაობას აქსოვებს თვითეულ მის წევრის არსებაში; ნაციის მთელი ნიჭიერება-გენიოსობა ვრცელდება თვითეულ ადამიანზე. და მთელ კაცობრიობის შემოქმედ ძალებსაც ესხნება შეუდარებელი ასპარეზი უფართოეს და უმაღლეს ჰორიზონტისაკენ.

სოციალიზმის განსახორციელებლათ კი ისტორიულათ მოწოდებულია საერთაშორისო პროლეტარიატი. ხოლო ამ უკანასკნელის გოლიათურ ბრძოლას განთავისუფლებისათვის წინ ეღობება ძლიერი დაბრკოლება, რომლის თავიდან მოშორება მიუცილებელი პირობაა საბოლოო გამარჯვებისა. ამ დაბრკოლებას შეიცავს ნაციონალური საკითხი თვისი სპეციფიკური სახით. როდის, რა პირობებში იბადება ეს საკითხი და როგორია მისი შინაარსი, ამაზე შემდეგ წერილში.

ონ.2 „ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი“, „ჩვენი კვალი“. 1908 მაისი- ივლისი.

# თავი მეორე

საქართველოს სოციალისტური პარტიების  
საარჩევნო კლავტორები საქართველოს  
დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს (1919 წელი)

## წინასიტყვაობა

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში (1919 წლის 14-17 თებერვალი) 15 პოლიტიკური პარტია და გაერთიანება მონაწილეობდა. თუმცა, იმდროინდელ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში სოციალისტური პარტიები დომინირებდნენ. საკმარისია ითქვას, რომ 1919 წლის 12 მარტს შეკრებილ 130-წევრიან დამფუძნებელ კრებაში 109 ადგილი მოიპოვა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ (სია №1), 8 ადგილი სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიამ (სია №5) და 5 ადგილი საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ (სია №3).

საარჩევნო კამპანიის აუცილებელ ნაწილად სოციალისტური პარტიები თავიანთი წინასაარჩევნო პლატფორმების გამოქვეყნებას მიიჩნევდნენ. სხვებზე ადრე ეს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გააკეთა და დამფუძნებელი კრების საარჩევნო პლატფორმა პარტიის ცენტრალურ ორგანოში – გაზეთ „ერთობაში“ 1919 წლის 22 იანვარს გამოაქვეყნა. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის საარჩევნო პლატფორმა ამ პარტიის ცენტრალურმა ორგანომ, გაზეთმა „სახალხო საქმემ“ 1919 წლის 26 იანვარს გამოაქვეყნა. სოციალისტ-რევოლუციონერთა საარჩევნო პლატფორმა კი უშუალოდ არჩევნების წინ – 12 თებერვალს გამოქვეყნდა გაზეთ „შრომაში“, რომელიც ამ პარტიის ცენტრალური ორგანო იყო.

სოციალისტური პარტიების საარჩევნო პლატფორმები საინტერესო დოკუმენტებია, რომლებიც კარგად წარმოაჩენენ ამ პარტიების მაშინდელ განწყობას და მიმდინარე მოვლენების ხედვას.

საქართველოს წამყვანი სოციალისტური პარტიები მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას უახლოესი მომავლის საქმედ მიიჩნევდნენ. სოციალ-დემოკრატები ქვეყანაში მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს განიხილავდნენ როგორც მომზადებას „დიდი სოციალისტური გადატრიალების შესახვედრად“ და იმედით შეჰყურებდნენ „დასავლეთ ევროპაში აღორძინებულ რევოლუციურ ბრძოლას“. სოციალისტ-ფედერალისტები საარჩევნო პლატფორმაში აღნიშნავდნენ: „უკვე ახლოვდება ჟამი ქვეყნის ძირითადი გარდაქმნისა, ახლოვდება სოციალისტური რევოლუცია, როცა ერთიან უნდა დაინგრეს ბატონობა კაპიტალისა და ბურჟუაზიის“. სოციალისტ-რევოლუციონერები კი ირწმუნებოდნენ, რომ პარტიის ყოველი ნაბიჯი იყო „ბრძნული და გაბედული მზადება გენერალური ბრძოლისათვის“.

სოციალისტური პარტიები ფაქტობრივად ერთიანი იყვნენ თავიანთი მიზნის – სოციალიზმის დახასიათებისას (ამ საკითხს საარჩევნო პლატფორმაში სოციალ-დემოკრატები ფედერალისტებსა და ესერებთან შედარებით გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობდნენ), მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მათი პოზიციები სოციალიზმისკენ მიმავალი გზების განსაზღვრისას. სოციალ-დემოკრატები მიიჩნევდნენ, რომ საქართველოში უნდა მიეღწიათ „სრული დემოკრატიზმისათვის“, რასაც საუკეთესო საშუალებად მიიჩნევდნენ სოციალიზმის მისაღწევად. „სრულ დემოკრატიზმიდან სოციალიზმისაკენ, ასეთია ჩვენი გზა“, – ნათქვამია სოციალ-დემოკრატების საარჩევნო პლატფორმაში. დაახლოებით ასეთივე იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პოზიციაც. ფედერალისტები ამოცანად სახავდნენ საქართველოში „წმინდა ხალხურ, დემოკრატიული სახელმწიფოს“ მოწყობას, რაც გულისხმობდა „აწინდელ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში“ ისეთი ძალების შექმნას, „რომლებიც გავვიადვილებენ და დაგვეხმარებიან სოციალისტურ სახელმწიფოში, შრომის სამეფოში გადასასვლელად“.

სოციალ-დემოკრატებისა და ფედერალისტებისაგან განსხვავებით სოციალისტ-რევოლუციონერები ფორმულას „ბურჟუაზიული დემოკრატიიდან – სოციალიზმისაკენ“ მოძველებულად მიიჩნევდნენ და საჭიროდ თვლიდნენ სოციალიზმის მშენებლობის დაუყოვნებლივ დაწყებას. „სოციალისტური ძალაუფლებიდან – სოციალიზმისაკენ... სისტემატიური კოლექტივიზაცია შრომისა და საკუთრებისა, – ასეთია ერთად ერთი გზა“, – აღნიშნავდნენ ესერები თავიანთ პლატფორმაში.

თითოეული სოციალისტური პარტია ირწმუნებოდა, რომ სწორედ ის იყო ჭეშმარიტი სოციალისტური პარტია და მშრომელთა ინტერესების გამოხატველი:

**სოციალ-დემოკრატები** თავიანთ საარჩევნო პლატფორმაში მოკლედ წარმოაჩენდნენ თავიანთ 30-წლიან მოღვაწეობას და ხაზს უსვამდნენ თავიანთ დამსახურებას ცარიზმის დამხობაში, რევოლუციური მონაპოვრების შენარჩუნებაში, საქართველოში „სოციალ-დემოკრატიამ შესძლო შენარჩუნება იმისა, რაც დიდმა რუსეთმა დაკარგა: რევოლიუციის და თავისუფლების“, – აღნიშნულია სოციალ-დემოკრატების საარჩევნო პლატფორმის შესავალ ნაწილში. დოკუმენტის ბოლოს კი აცხადებდნენ: „ს. -დემოკრატიული პარტია ერთად ერთი პარტიაა, რომელიც საქმით იცავს მუშათა, გლეხთა და ნაციონალურ უმცირესობათა ნამდვილ ინტერესებს“.

**სოციალისტ-ფედერალისტები** აცხადებდნენ, რომ სწორედ მოვლენათა

განვითარებამ დაადასტურა მათი პროგრამის სისწორე – საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა, რასაც ადრე „შოვინიზმად“ მიიჩნევდნენ „კოსმოპოლიტური ინტერნაციონალიზმის“ პოზიციაზე მდგომი სხვა სოციალისტები. „დღეს საქართველოში ყველა სოციალ. პარტია ეროვნულია ე. ი. როგორც იმ თავითვე იყო ჩვენი პარტია – ეროვნული და იმავე დროს ინტერნაციონალური“.

**სოციალისტ-რევოლუციონერები** თავს ერთადერთ პარტიად მიიჩნევენ, რომელიც რევოლუციური სოციალიზმის პოზიციაზე იდგა. „სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია ერთად ერთი პარტიაა ჩვენში, რომელიც დარჩა ერთგული რევოლუციონური სოციალიზმისა და მიწის მუშებისა და პროლეტარიატის საქმეს პირნათლად ემსახურება“, – ნათქვამია ამ პარტიის საარჩევნო პლატფორმაში.

დამფუძნებელი კრების არჩევნების მონაწილე სოციალისტური პარტიების მიერ ჩამოყალიბებული კონკრეტული მოთხოვნების ანალიზი საკმაოდ მოცულობითი სამუშაოა და ცალკე განხილვის საგანია.

მალხაზ მაცაბერიძე









## საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საარჩევნო კლასტორმა

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია  
დამფუძნებელი კრების საარჩევნო პლატფორმა

პროლეტარებო ყველა ქვეყნის, შვერთდით!

დამფუძნებელი კრება საუკეთესო და პირუთვნელი გამომხატველია ხალხის სურვილის, მისი ნებისყოფის.

პარტია პროლეტარიატისა, საქართველოს სოც. -დემ. მუშათა პარტია, დღიდან მისი ჩასახვისა თავის პირველ და მიუცილებელ მოთხოვნილებათ აყენებდა მთელი ხალხის მიერ თავისუფლათ არჩეული დამფუძნებელი კრების მოწვევას, რადგან მხოლოდ ეს იყო ერთად ერთი საშუალება ქვეყნის დემოკრატიულ ნიადაგზეთ გარდასაქმნელათ.

საქართველოს სოც. -დემ. მუშ. პარტია მთელი ქვეყნის მუშათა სოციალისტურ პარტიებთან ერთად იბრძვის ისეთი წესწყობილებისათვის, რომლის დროსაც ყოველი სიმდიდრე, წარმოების ყველა საშუალებანი, მთელი ადგილ-მამული, ფაბრიკები, ქარხნები, მადნები, გზები, – ყოველივე, რაც კი ადამიანის მარჯვენას შეუქმნია, ან რაც მისთვის გამოსადეგია – საზოგადო, საყოველთაო საკუთრებათ გადაიქცევა.

ამ სოციალისტური წყობილების დროს აღარ იქნება კლასთა ბრძოლა, ვინაიდან გაქრება თვით კლასები, აღარ იქნება მდიდარი და ღარიბი, გაყვლეფილი და გამყვლეფილი, გაუქმდება ფული და მასთან დაკავშირებული ბოროტ-მოქმედება. გაქრება დაჩაგვრა ერთი ერისაგან მეორე ერისა, ერთი სქესისაგან მეორე სქესისა: მთელი კაცობრიობა ერთსულოვან ძმურ ოჯახად გარდაიქმნება, ყველას საშუალება მიეცემა იშრომოს და მთელი თავისი ნიჭი, ცოდნა, უნარი საერთო ბედნიერებას და წარმატებას მოახმაროს.

ასეთი წყობილების განხორციელება მოითხოვს შესაფერ ნიადაგს – მრეწველობის უაღრესათ განვითარებას, საერთო სიმდიდრის ზრდას და ხალხის უმრავლესობის სოციალისტურად აღზრდა-მომზადებას.

ამიტომ ყველა ქვეყნის სოციალისტები იცავენ საწარმოვო ძალთა განვითარების საჭიროებას, და ამასთანავე მოითხოვენ მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებას; მათი მისწრაფებაა ყველგან მთელი ხალხის მართვა-გამგეობის შემოღება, სრული თავისუფლების დამყარება და ცხოვრებაში გატარება ისეთი რეფორმებისა, რომელნიც გაუადვილებენ

მუშა ხალხს სოციალიზმისათვის ბრძოლას.

სოციალ-დემოკრატია მუშათა კლასის, მშრომელი, ღარიბი ხალხის პარტიაა. მაგრამ არც ქალაქის და სოფლის წვრილი მესაკუთრენი არიან დღეს დალხინებულ მდგომარეობაში. მათ სულს უხუთავს მსხვილი კაპიტალი, სისხლს სწოვს მევახშე, ალატაკებს და ბოლოს პროლეტართა ბანაკში გადისვრის.

სოციალ-დემოკრატებმა იცის, რომ ამათი ხსნაც მხოლოდ სოციალისტური წყობილების დამყარებაშია – და ამიტომ მოუწოდებს მათ გვერდში ამოუდგნენ სოციალისტურ ლაშქარს – მუშათა კლასს, რომელიც იბრძვის რა თვის განსათავისუფლებლათ გაბატონებულ კლასებისაგან, ამავე დროს იცავს მთელი ხალხის თავისუფლებას და მისი ინტერესების უზრუნველყოფას ყოველგვარი შევიწროებისა და დაჩაგვრისაგან. ოცდა ათი წელიწადია, რაც პირველი სოციალ-დემოკრატები გაჩნდნენ ჩვენში.

ამ ხნის განმავლობაში არ შეჩერებულა ერთს წუთსაც სოც. -დემოკრატის ენერგიული ბრძოლა ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ.

ამ ოცდაათი წლის განმავლობაში მათ შესძლეს ჩაგრული ხალხის ფეხზე დაყენება, სათავეში ჩაუდგნენ მათ თავდადებულ ბრძოლას ფეოდალ მემამულეების, კაპიტალისტებისა და მათი დამცველი თვითმპყრობელი მთავრობის წინააღმდეგ.

1905 წელს, რევოლიუციის ხანაში იგინი უძლოდნენ წინ ჩვენი ხალხის გამარჯვებას, შემდეგი წლების რეაქციის შავ-ბნელ დროში და ომიანობის ხანაში იგინი უდგენ ხალხს გვერდში და ამხნევენდნენ მას.

მათ სდევნიდნენ ციხეებით, ციმბირით, მაგრამ მათი ენერგია არ დაშრეტოდა.

1917 წლიდან, როცა დადგა ჟამი რუსეთის რევოლიუციის გამარჯვებისა, ეს პარტია, სოციალ-დემოკრატია, ჩაუდგა სათავეში მუშათა და გლეხთა რევოლიუციურ ორგანიზაციებს.

ჩვენი საუკეთესო ბელადები და ხელმძღვანელები გამოვიდნენ მთელი რუსეთის დემოკრატის საუკეთესო ხელმძღვანელებათ და სანამ რევოლიუციის ბედი წაღმა ტრიალებდა რუსეთში, მათ ხელში იყო საჭე დემოკრატისა.

როცა რუსეთის თვალუწვდენელი სივრცე წალეკა ბოლშევიზმის მღვრიე ტალღებმა, ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა მთელი თავისი ღონე იხმარა ამიერ-კავკასიის და კერძოთ საქართველოს გადასარჩენათ. ამ საშინელი გამანადგურებელი ხიფათისაგან.

შემდეგ, როცა რუსეთი დაირღვა და ბოლშევიკური ანარქიის ცეცხლში გაეხვია, როცა ჯარი დაიშალა და ამ რიგათ რუსეთი მოსწყდა ჩვენს ქვეყანას, სოციალ-დემოკრატიის მეთაურობით მოხდა გამოცხადება ჯერ ამიერკავკასიის და შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის.

რევოლუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლათ და ხალხის ინტერესების დასაცველათ აიღო სოციალ-დემოკრატებმა ხელში მუშათა პარტიისთვის უმაგალითო საქმე სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა. მან იკისრა შექმნა და განმტკიცება დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობილები-სა ჯერ ამიერკავკასიის და შემდეგ გასული წლის 26 მაისიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებში.

რამდენი ხიფათი, რამდენი მტერი გაუჩნდა ჩვენს თავისუფლებას!

ბოლშევიკური ანარქიის სისხლიანი ტალღები ეხეთქებოდნენ ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებს და წალეკას უქადდენ. სოციალ-დემოკრატებმა შესძლო მათი მოგერიება. ოსმალთა ურდოები გათამამებულნი შემოესიენ საქართველოს დემოკრატიას მოსასპობათ. სოციალ-დემოკრატებმა აქაც იბოვა გზა და საშუალება მათი საფრთხის თავიდან აშორების, და ამით საუკეთესო დამცველი და გზის მაჩვენებელი შეიქნა მთელი ერისა. უკანასკნელ დროს მან მოიგერია სომხეთის ვერაგული თავდასხმა. სოც. -დემოკრატებმა მოგვცა შეიარაღებული ძალა – მუშების და მოწინავე გლეხების წითელი გვარდია, და შემდეგ შექმნა დემოკრატიული ჯარი, რომელიც ერთგულ დარაჯათ უდგას ხალხის ინტერესებს და იცავს მის თავისუფლებას შინაურ და გარეშე მტრისაგან.

შეუდგა რა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას, სოციალ-დემოკრატებმა, თანახმათ ხალხის საარსებო ინტერესებისა, დაამყარა შინ სრული რევოლუციური წესიერება და გარეშე ევროპის სახელმწიფოებს შორის მოუპოვა ჩვენს რესპუბლიკას ცნობა და თანაგრძნობა, რითაც განემტკიცა მას გზა დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული განვითარებისა.

თვითარსებობისთვის გამწვავებულ ბრძოლის ხანაშიაც კი, როცა იდგა საკითხი ყოფნა-არყოფნისა, სოციალ-დემოკრატებმა არ დაივიწყა დემოკრატიულ რეფორმების გატარება ცხოვრებაში.

მისი თაოსნობით გადაიჭრა აგრარული საკითხი: მიწა ჩამოერთვათ ნორმაზე ზევით ყველა მსხვილ მიწის მფლობელთ და გადაეცა უმიწაწყლო და მცირე მიწის პატრონ სოფლის მუშებს.

დაქირავებულ მუშებისთვის განხორციელდა 8 საათის სამუშაო დღე, შემოღებულ იქნა დემოკრატიული ზედამხედველობა შრომისა, დაარსდა

მომრიგებელი კამერები და შრომის ბირჟები, სადაც მუშათა ინტერესები სავსებით უზრუნველყოფილია. საერთოთ ყველა მოქალაქეთ მიენიჭა თავისუფლება და დემოკრატიული უფლებანი.

მუშათა პარტიის მეთაურობით შესდგა დემოკრატიული მთავრობა ცენტრში, მოეწყო ხალხის მიერ არჩეული ერობები ადგილობრივ და დაწესდა ახალი არჩეული სასამართლოები.

სოციალ-დემოკრატამ შესძლო შენარჩუნება იმისა, რაც დიდმა რუსეთმა დაკარგა: რევოლიუციის და თავისუფლების.

პატარა საქართველო დღეს ოაზისივით დგას, როგორც სანიმუშო გამონაკლისი რუსეთის უდაბნოში. მხოლოდ ერთად-ერთი საქართველოს დემოკრატია სარგებლობს ბრძოლით მოპოებულ უპირატესობით.

აიცილა რა რუსეთის ბოლშევიზმის დამღუპველი გზა, საქართველოს სოციალ-დემოკრატია იმედით შეჰყურებს დასავლეთ ევროპაში აღორძინებულ რევოლიუციონურ ბრძოლას საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. და ჩვენ ვიცით, რომ საუკეთესო მომზადება ამ მოსალოდნელი დიდი სოციალისტური გადატრიალების შესახვედრად – იქნება განმტკიცება სრული დემოკრატიზმისა ცხოვრებაში და კლასობრივი გაწვრთნა-გაცნობიერება ფართო მასსისა დემოკრატიულ შემოქმედებაში მონაწილეობით.

ამ გზით იბრძოდა დღემდე სოციალ-დემოკრატია, ამ გზით იგერიებდა მარჯვნივ და მარცხნივ შემოსეულ მოწინააღმდეგეებს დემოკრატიის ნამდვილი ინტერესების დასაცველად.

დამფუძნებელ კრებაშიაც სოციალ-დემოკრატია განაგრძობს ამ ნაცადი გზით სვლას და შეეცდება ხალხის საკეთილდღეოთ განახორციელოს შემდეგი საჭიროებანი:

## 1. ომი და ჰარი

სოციალ-დემოკრატია მომხრეა ერთა სოლიდარობის და ყველა სახელმწიფოებთან ძმური განწყობილების. იგი არავის არ აუტებს ომს, მაგრამ მთელი თავისი ძალ-ღონით წინ აღუდგება მტრის შემოსევას და დაიცავს დამოუკიდებელ საქართველოს ყოველივე შეიარაღებული თავდასხმისაგან.

სოციალ-დემოკრატია მომხრეა, რომ ყოველი სადაო კითხვა მეზობელ სახელმწიფოებთან მოლაპარაკებით ან არბიტრაჟით (მესამე სახელმწიფოს შუამავლობით) გაათაოს. მაგრამ არავის ნებას არ მისცემს იარაღით მოახვიოს თავზე ჩვენს ხალხს თავის სურვილები.

ამ მიზნით სოციალ-დემოკრატები ეცდებიან უზრუნველყონ, როგორც ჯარი, ისე სახალხო გვარდია ყოველივე იმით, რაც მათთვის აუცილებელია და შეუმსუბუქენ ხალხს ამ მძიმე მოვალეობის შესრულება. საერთაშორისო მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ კი სოციალ-დემოკრატები ეცდებიან მუდმივი ჯარის ნაცვლათ სახალხო მილიციის შემოღებას.

## 2. სახელმწიფოებრივი ნუსხობილება და მოქალაქეთა უფლებები

სოციალ-დემოკრატია უდგას დღეს სათავეში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მთელი თავისი ენერჯითა და შეძლებით დაიცავს მის დამოუკიდებლობას და ხელშეუხებლობას ყოველივე გარეშე ხალხისაგან.

რესპუბლიკის შიგნით სოციალ-დემოკრატის მიზანია – განამტკიცოს სრული ბატონობა ხალხისა, ე. ი. დააწესოს პროპორციონალურ საფუძველზე საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით არჩეული ერთ პალატიანი რესპუბლიკა ისე, რომ დეპუტატთა პალატის და მის მიერ არჩეული მთავრობის ხელში იყოს მთელი ქვეყნის მართვა-გამგეობა. ამ ხალხის წარმომადგენლობას უნდა მიენიჭოს უზენაესი ძალაუფლება, მის ხელში უნდა იყოს ომის და ზავის გადაწყვეტის საკითხი და საზოგადოთ მთელი საგარეო პოლიტიკა.

ამასთანავე მთავარ საკანონმდებლო საკითხებში უნდა შემოღებულ იქნას ხალხის პირდაპირი მონაწილეობა.

გარდა ამისა სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ, რომ საზოგადოებრივი მართველობის დემოკრატიული ორგანოები, ქალაქისა და საერობო, იმავე საფუძველზე არჩეულნი, როგორც რესპუბლიკის პარლამენტი, წარმოადგენდნენ ადგილობრივ მართვა-გამგეობის ორგანოებს და კერძოთ მათ ექვემდებარებოდეს ქალაქისა და საერობო მილიცია.

სოციალ-დემოკრატები მომხრე არიან დააწესდეს მოსამართლეებისა და სხვა მოხელეთა არჩევა და ისინი სხვა მოქალაქეებთან ერთათ პასუხისმგებელი იყვნენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე. საზოგადოთ ყველა მოქალაქეების შესახებ სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ, რომ ისინი შეუზღუდველათ სარგებლობდნენ უკვე მოპოვებულ თავისუფლებით, როგორც არის სინდისის თავისუფლება, თავისუფლება სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირებისა და გაფიცვების; ეცდებიან მოიპოვონ პიროვნების და ბინის ხელშეუხებლობა, დაამტკიცონ წოდების, ტიტულის და ჩინ-ორდენების გაუქმება და უფლებრივათ მოქალაქეთა სრული გათანას-

წორება განურჩევლათ ეროვნებისა, სქესისა, სარწმუნოებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა.

და ბოლოს სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ ეკლესიის სახელმწიფოსგან განცალკევებას და სკოლის ეკლესიისგან და აგრეთვე უფასო სავალდებულო სწავლა-განათლების შემოღებას ყველა ბავშვთათვის 16 წლამდე.

### 3. ეროვნული უმცირესობანი

სოციალ-დემოკრატები წინააღმდეგი არიან ერთი ერის მიერ მეორე ერის დაჩაგვრისა და შევიწროების. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საზღვრებში ყველა ერი უნდა თანასწორი იყოს და თვითუფლები მათგანს სრული საშუალება მიეცეს თავის ეროვნულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა.

### 4. აზრარული საკითხი

გლახთა განსათავისუფლებლათ მემამულეთაგან და სოფლის მეურნეობის განსავითარებლათ სოციალდემოკრატიის მეთაურობით და ინიციატივით უკვე ჩამორთმეულ იქნა მამულები საუფლისწულო და საკაბინეტო, აგრეთვე საეკლესიო და კერძო მემამულეების – უკანასკნელთ კანონით დაეტოვათ მხოლოდ განსაზღვრული ნორმა. ყველა ჩამორთმეული სახნავ-სათესი ადგილები დაურიდება უმიწაწყლო და მცირე მამულიან მიწის მუშებს შეღავათიან ფასებში სრულ საკუთრებათ.

მიწის წვრილი საკუთრება, როგორც სანადელო, ისე შეძენილი, უნდა დარჩეს მათი დღევანდელი მფლობელობის ხელში. ყველა იმ გლეხებს, რომელთაც მიწა ჰქონდათ მიცემული მუდმივ სამფლობელოთ ან ვორონცოვის თუ სხვა უფლებებით, მაგ. ხიზნებს, სახაზინო გლეხებს, მუდმივ მოიჯარადრეებს და სხვებს, მათი მიწები უნდა დაუმკვიდრდეს კერძო საკუთრებათ, მაგრამ რომ ადგილ-მამული ხელში არ ჩაიგდონ ჩარჩ-ბაცაცებმა, ყიდვა-გაყიდვის დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს ადგილობრივ თვითმართველობას და სახელმწიფოს.

ამ თვითმართველობის ხელში უნდა გადავიდეს აგრეთვე ყველა მიწები და მამულები, რომელიც საჭიროა სამეურნეო შკოლებისთვის, საცდელი მინდვრების, სამაგალითო მეურნეობის მოსაწყობათ და სხვა. ხოლო ის მიწები, ტყეები და წყლები, რომელთაც აქვთ საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, უნდა მთელი რესპუბლიკის საკუთრებათ დარჩეს, მათ სარგებლობაში კი მონაწილეობა დაეძვას ადგილობრივ თვითმართველობას.

ამასთან სოციალდემოკრატები მოითხოვენ გამოცემულ იქნას კანონი, რომელიც დაიცავს სოფლის მეურნე მუშებს დამქირავებელთა გაყვლეფისაგან და გავრცელდეს მათზე შრომის დაცვის ყველა კანონები.

### 5. მუშათა საპითხი

რომ დაცულ იქნენ მუშები ფიზიკურ და ზნეობრივი გადაგვარებისაგან, რომ მათი გამათავისუფლებელი მოძრაობა უკეთეს პირობებში ჩადგეს, სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ დამფუძნებელ კრებისაგან დამტკიცებულ იქნას:

8 საათის სამუშაო დღე ყველა დაქირავებულ მუშებისთვის სავალდებულო ყოველკვირეული დასვენებით არა ნაკლებ 42 საათისა; ზედმეტ მუშაობის სრულიად მოსპობა იქ, სადაც ის აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს; 16 წლამდე ბავშვების მუშაობის აკრძალვა; მცირე წლოვანთა და ქალთა შრომის შეზღუდვა; მრეწველთა მიერ ზედმეტი ყვლეფისაგან მუშათა დაცვა და მრეწველთა პასუხისმგებლობა უბედურ შემთხვევის გამო. აგრეთვე მოითხოვენ სახელმწიფოებრივ დაზღვევას – ავათმყოფობისა, მოხუცებულობისა და უმუშევრობისაგან. სოც. -დემოკრატები მოითხოვენ შრომის ინსპექციის დაწესებას მუშათაგან არჩეულ პირთა მონაწილეობით და სასტიკ სანიტარულ თვალყურის დევნებას იმ შენობებისას, სადაც მუშაობა სწარმოებს და მუშები ცხოვრობენ. დასასრულ, მოითხოვენ შრომის კანონის დარღვევისათვის დამქირავებელთა სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობაში მიცემას, მომრიგებელ კამერებისა და შრომის ბირჟების ყოველ ადგილას დაარსებას და სხვ.

### 6. წარმომების მოწესრიგება და განაწილება

მწვავე ეკონომიური კრიზისი, რომელიც გვიანდერძა ომმა და რევოლუციამ, მრეწველობის და ტრანსპორტის სრული არევ-დარევა, უმუშევრობა და შიმშილის საფრთხე სახელმწიფოს წინ უყენებს რთულს და მძიმე საკითხებს. სოციალდემოკრატები მოითხოვენ სახელმწიფო ჩაერიოს ეკონომიური ცხოვრების ყველა დარგში, ხელი შეუწყოს მრეწველობის აღორძინება-განვითარებას, მოაწესრიგოს ტრანსპორტის და მიმოსვლის საშუალებანი და მნიშვნელოვან საგნებზე შემოიღოს მონოპოლია და საერთოდ შექმნას ნორმალური პირობები ვაჭრობისა და წარმოებისათვის მშრომელთა ინტერესების აუცილებელი დაცვით.

## 7. ფინანსური პოლიტიკა

ყველა ამ დიდ რეფორმების განსახორციელებლათ საჭირო იქნება დიდძალი თანხა.

სოც. -დემოკრატები დამფუძნებელ კრებაში მოითხოვენ სახელმწიფო გადასახადების უმთავრესი სიძიმიე დაეკისროს შეძლებულ კლასებს. ამისთვის სოც. -დემოკრატები ეცდებიან ქონებაზე ერთდროულ გადასახადის შემოღებას და არა პირდაპირ გადასახადების თანდათანობით შეცვლას შემოსავალსა და მემკვიდრეობაზე – პროგრესიული წესით დადებული გადასახადებით.

სახელმწიფო ფინანსების მოსაწესრიგებლად ს. -დემოკრატებს საჭიროდ მიაჩნიათ ყურადღება მიექცეს სახელმწიფო ქონების გონიერ მოვლას და ექსპლოატაციას, ფულის ფასის აწევისათვის შესაფერი ღონისძიებების მიღებას და საერთოდ ფულის ტრიალის ნორმალურ პირობებში ჩაყენებით ფინანსური ურთიერთობის გაჯანსაღებას.

ყველა ამ რეფორმების გატარება არ შეუძლიათ არც ყოფილ მემამულეთა დამცველ რეაქციონერებს, არც კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიის წარმომადგენლებს. საქართველოს ბურჟუაზია სუსტია და ლაჩარი, მას არც კი შესწევს ძალა და უნარი სახელმწიფოს გაძლიოსა.

დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა შექმნას დემოკრატიამ, ხალხმა. ხალხს კი შეუძლიან ენდოს მხოლოდ სოციალდემოკრატიას. სოციალ-დემოკრატიამ განახორციელა უკვე ერთი ნაწილი ზემო ჩამოთვლილ მოთხოვნებისა საქართველოს პარლამენტის საშუალებით, ნაწილიც დაკანონებულია და ელის განხორციელებას. ამით დამტკიცდა, რომ რევოლიუციური შემოქმედების უნარი შესწევს მხოლოდ რევოლიუციურ დემოკრატიას და მის ავანგარდს, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

როგორც დღემდე, ისე დამფუძნებელ კრებაში მოღვაწეობის დროს სოციალ-დემოკრატები იხელმძღვანელებენ უპირველეს ყოვლისა ქალაქისა და სოფლის მუშათა კლასის ინტერესების დაცვით; გადაჭრით შეებრძოლებიან გარეშე და შინაურ კონტრრევოლიუციონერთა ცდას, ჩვენნი ცხოვრების ბედი უკუღმა შეაბრუნონ, დაიცვან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ყოველივე საფრთხისაგან. სოციალ-დემოკრატები ხელს შეუწყობენ ქვეყნის საწარმოვო ძალთა განვითარებას, მის კულტურულ ამაღლებას, თავისუფლების განმტკიცებას და ხალხის ბატონობის დამყარებას, ესე იგი სრული დემოკრატიზმის განხორციელებას. ეს საუკეთესო საშუალებაა სოციალიზმის მისაღწევათ და მისთ-



ვის ბრძოლის გასაადვილებლად; სრულ დემოკრატიზმიდან სოციალიზმი-საკენ, ასეთია ჩვენი გზა.

ს. -დემოკრატიული პარტია ერთათ ერთი პარტიაა, რომელიც საქმით იცავს მუშათა, გლეხთა და ნაციონალურ უმცირესობათა ნამდვილ ინტერესებს.

ამხანაგებო და მოქალაქენო, ხმა მიეცით სოც. -დემოკრატიის სიას №1 გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

გაუმარჯოს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას!

ცენტრალური კომიტეტი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა

„ერთობა“, 1919 წლის 22 იანვარი







## საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის საარჩევნო კლასტორმა

საქართველოს მშრომელ ხალხს

სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლიუციო პარტია მეორედ მოუწოდებს ხალხს გონიერად მოეპყრას დამფუძნებელი კრების არჩევნებს. პირველად ეს იყო თოთხმეტი თვის წინად, ცოტა ხანი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ განსხვავება დიდია. მაშინ არჩევნები ხდებოდა რუსეთის დამფუძნებ. კრებისათვის. ჩვენ მომხრე ვიყავით ყოვლის უპირველეს საქართველოს დამფუძნებელ კრებისა და თუმცა მონაწილეობას ვიღებდით რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებში, მაგრამ გვწამდა, რომ ქართველი ხალხის კეთილდღეობა **მოითხოვდა საკუთარ დამფუძნებელ კრებას**. ქართველი ერის დიდმა ნაწილმა არ დაიჯერა ჩვენი, მაგრამ **ცხოვრება ჩვენს გზას გააჩყვა და დღეს მას გვაკეთებინებს, რასაც ჩვენ ვამბობდით**. ქართველმა ხალხმა ჩვენი ნათქვამი მეტი ყურადღებით უნდა მოისმინოს. რას ვამბობდით ჩვენ სოციალისტ-ფედერალისტები?

**საქართველოს დამფუძნებელი კრება რევოლიუციის ღვიძლი შვილია.** რევოლიუცია რომ დამარცხებულიყო, ჩვენ დამფუძნებელი კრება არ გვექნებოდა. ყველა ასე ფიქრობს. სხვები ამბობენ – რევოლიუცია დამარცხდა და ჩვენი დამფუძნებელი კრება ამის შედეგიაო.

ვინც საქართველოს დამფუძნებელ კრებას რევოლიუციის გამარჯვებას დაუკავშირებს, ის ამ დამფუძნებელ კრებაში რევოლიუციის მონაპოვრის განმტკიცებას მოითხოვს.

ვინც საქართველოს დამფუძნებელ კრებას რევოლიუციის დამარცხებას დაუკავშირებს, იგი ხალხს ვერ მისცემს რევოლიუციის მონაპოვარს. ჩვენ იმ თავითვე მოვითხოვდით საქართველოს დამფუძნებელ კრებას. ამის გამო ჩვენ რევოლიუციის მოლაღატედ გვთვლიდნენ მოწინააღმდეგეები. ჩვენმა აზრმა გაიმარჯვა და ქართველი ერი ემზადება საკუთარ დამფუძნებელ კრებისათვის.

საჭიროა დღესაც არ მოტყუვდეს ქართველი ხალხი.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია იმ თავითვე მოითხოვდა ქართველი ერის განთავისუფლებას. ამის გამო ჩვენ გვებრძოდნენ ჩვენი მოწინააღმდეგეები. აქაც ჩვენ გავიმარჯვეთ და დღეს ქართველი ხალხი თავისუფალია. დამფუძნებელმა კრებამ ეს თავისუფლება უნდა დაავიროვნოს.

სოციალისტ-ფედერალისტები სოციალისტური პარტია არის, მაგრამ

მასთან ერთად ეროვნული. ყოველი ერი თავისათვის და ყველა ერები საერთო მიზნისათვის, ვამბობთ ჩვენ. ამისთვის ტალახს გვესროდენ მოწინააღმდეგეები, მაგრამ ვითმენდით, რადგან დღევანდელ დღეს ველოდით. დღეს მართლაც ყველა ერი თავისთვისაა და გზას ეძებს საერთო საქმისაკენ. დამფუძნებელმა კრებამ ჩვენი ერის თავისებურობა უნდა განამტკიცოს და სხვა ერებთან საერთო გზაც გამოუნახოს.

სოციალისტ-ფედერალისტები ეროვნული პარტია იყო. ჩვენ ვამბობდით ყოველ ერს თავისი პარტია უნდა ყავდეს. ჩვენს მოწინააღმდეგეებს კოსმოპოლიტური ინტერნაციონალისტური წამოსასხამით თავი მოსწონდათ და ჩვენ ვიწრო შოვინისტობას გვიკიჟინებდნენ. ჩვენ ბრძოლას განვაგრძობდით, რადგან დღევანდელი დღის იმედი გვქონდა. დღეს საქართველოში ყველა სოციალ. პარტია ეროვნულია ე. ი. როგორც იმ თავითვე იყო ჩვენი პარტია – ეროვნული და იმავე დროს ინტერნაციონალური.

ასე ბრწყინვალედ გაამართლა წარსულმა ჩვენი ნათქვამი. მომავალ ცხოვრების აშენებაში პირველი ადგილი მისია, ვისაც წარსულში ცხოვრების გაგების უნარი გამოუჩენია. რას მოვითხოვთ ჩვენ სოც. ფედერ. დამფუძნებელ კრებაზე?

ჩვენ სოციალისტები ვართ და ეს იმას ნიშნავს, რომ უმაღლესი საქმე, რომლის შესრულებასაც გვინდა მოვახმართ ჩვენი ძალა და ღონე, არის სოციალიზმი. დღეს ყოველგვარი წარმოება და მეურნეობა და მთელი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრება აგებულია მუშა ხალხის გაყვლეფასა და დამონავებაზე, დღეს მთელი ერი დაყოფილია ორ ნაწილად, ორ კასტად – ერთ მხარეზეა მუშა ხალხი, მეორეზე მრეწველ-ვაჭრები, ერთ მხარეზეა ღარიბი გაძარცული მშრომელი კლასი, მეორეზე გამძარცველი მდიდარი ბურჟუაზია. დღევანდელი ცხოვრების საფუძველს შეადგენს მძარცველობა, მატყუარობა, აღვირაშვებული ქიშპობა და მტრობა, ერთის ბატონობა მეორეზე. ჩვენ გვინდა მოვსპოთ ეს უსამართლობა და თანასწორობა დავამყაროთ – სოციალიზმი, ერთობა, რომელიც ჰგულისხმობს შრომისა და მეურნეობის შეკავშირებულ საზოგადოებრივ მოწყობას, ორგანიზაციას. ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელში იქნება ყველა საწარმოვო იარაღი, მთელი სიმდიდრე და ყოველს ადამიანს თანასწორი უფლება ექნება სხვებთან ერთად მოითხოვოს თავის არსებობის უზრუნველყოფა და ყოველმა ადამიანმა უნდა იმუშაოს, უნდა მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ მეურნეობისათვის საჭირო მუშაობაში.

სოციალიზმი არის კერძო მეურნეობის მოსპობა, დამყარება საერთო

მეურნეობისა, განთავისუფლება მუშა ხალხისა ეკონომიურ, პოლიტიკურ და ეროვნულ მონობისაგან, სოციალიზმი არის სამეფო შრომისა, ბატონობა მშრომელთა. ამ საქმეს ვემსახურებით ჩვენ როგორც სოციალისტები და ყოველი ჩვენი მოქმედება მიმართულია ამისკენ.

### საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს მშრომელი ხალხის ეროვნულ თავისუფლების განმტკიცება მოითხოვს სახელმწიფოს შექმნას და ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია უახლოესი მონაწილეობა მივიღოთ საქართველოს სახელმწიფოს აშენებაში. მაგრამ საქართველოს საკუთარი სახელმწიფოს შექმნის დროს არასოდეს დავივიწყებთ ჩვენს სოციალისტურ მისწრაფებას და ვეცდებით, რომ ეს სახელმწიფო ემსახუროს ყველას მეტად მუშა ხალხს, გააძლიეროს იგი ქონებრივად და პოლიტიკურად, რომ ამ სახელმწიფოში ჩაისახოს თავიდანვე პირობები სოციალიზმის გამარჯვებისა და დამკვიდრებისა. ვეცდებით ყოვლის საშუალებით მოვაწყოთ ჩვენს ქვეყანაში ნამდვილი დემოკრატიული ხალხური რესპუბლიკა, სადაც დაცული იქნება სრული თავისუფლება სიტყვის, წერის, სინდისის, კრების, კავშირების, გაფიცების, სრული თანასწორობა სამოქალაქო და საპოლიტიკო უფლებისა ყველასი განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. ვეცდებით განვამტკიცოთ საქართველოში ხალხური წარმომადგენლობითი მართველობა საყოველთაო თანასწორობის პირდაპირის და ფარულის კენჭის ყრით არჩეული, ხოლო ამასთანავე დავიცავთ ხალხის პირდაპირს კანონმდებლობას (რეფერენდუმს) და ხალხის საკანონმდებლო ინიციატივას. მოვითხოვთ, რომ ყოველი მოხელე არჩეულ იქნეს ხალხის მიერ. ფართოდ მოვაწყობთ ადგილობრივ საქალაქო და საეროხო თვითმართველობას, რომელითაც მივანიჭებთ ყველა ადგილობრივ საქმის მოწყობას, არა მხოლოდ ქონებრივ და გონებრივ საჭიროების დაკმაყოფილებას, არამედ საადმინისტრაციო მართვა გამგეობასაც. ისეთი პატარა ერის ძალა, როგორცა ვართ ჩვენ, ხალხის, ფართო მასის თვითმოქმედებაშია, ამიტომ ისე მძლავრად უნდა გაიშალოს ჩვენში საეროხო და საქალაქო თვითმართველობა, რომ საქართველოს რესპუბლიკა უნდა წარმოდგენდეს თვითმართველ ერთეულების კავშირს, ფედერაციას. კიდევ მეტის უფლებით უნდა იქნეს აღჭურვილი აფხაზეთის და სამაჰმადიანო საქართველოს თვითმართველობის ორგანოები, რომელნიც სრულიად ავტონომიურად უნდა განაგებდნენ თავის შინაურ საქმეებს. უნდა იცოდნენ ჩვენმა ძმებმა მუსულმანმა ქართველობამ

და ჩვენმა მონათესავე აფხაზებმა, რომ მათ თავისუფლებას და კეთილდღეობას ისე არავინ დაიცავს, როგორც საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფო.

ამასთან ერთად იმ არა ქართველ ერის შვილებს, რომელნიც გაფანტულნი არიან ჩვენში, შეადგენენ უმცირესობას და არა აქვთ მთლიანი მოსახლეობა, ჩვენ მივსცემთ ავტონომიას კულტურულ საქმეების გასაძღვლად, მათ ხელში გადავა ნაწილი სახელმწიფოს შემოსავლისა, მათი ენა შემოღებული იქნება ადგილობრივ დაწესებულებაში.

### სკოლა, მკლესია, ჰარი

დავაწესებთ უფასო საყოველთაო სავალდებულო საერო განათლებას ყველასათვის და მოვითხოვთ, რომ ყველამ ბავშობაშივე შეისწავლოს ერთი რომელიმე ხელობა.

გავაცალკევებთ ეკლესიას სახელმწიფოსაგან.

მივიღებთ ყოველს ზომას საქართველოს მიწა-წყლის დასაცავად გარეშე მტრებისაგან. შევქმნით ამისათვის კარგად გაწვრთნილ და შეიარაღებულ ჯარს და როცა საყოველთაო მშვიდობიანობა ჩამოვარდება, ნაცვლად მუდმივი ჯარისა, მოვაწყობთ სახალხო მილიციას.

### ჩვენი დამოუკიდებლობა და სხვებთან შეთანხმება

საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მაგრამ არ შეგვიძლია ერთს წუთსაც არის დავივიწყოთ, რომ ერების მომავალი ურთიერთობა წარმოდგენილია გარეშე შეთანხმებისა და შეკავშირებისა. არა თუ სოციალიზმი, შრომის სამეფო ჰგულისხმობს ცალკე სახელმწიფოების შეკავშირებას, არამედ დღესაც ბურჟუაზიულ ხანაშიაც ხალხის თავისუფლების და გამარჯვების საუკეთესო იარაღია ფედერაციისა და კონფედერაციის აზრების განმტკიცება და განხორციელება. ჩვენ გაბედულად ვემსახურებით ამ აზრებს და ყოველს უწინარეს ვეცდებით მეზობელ ერებთან შეთანხმებას და სამართლიან დამოკიდებულების დამყარებას.

### ეკონომიური პოლიტიკა

ჩვენი ქვეყნის უდიდეს გასაჭირს დღეს შეადგენს მისი სრული ქონებრივი დაქვეითება, საყოველთაო სიძვირე, წარმოების და მეურნეობის დაცემა, ყველაფრის უქონლობა და სიმშვილი. ეს არის ჩვენი უძლიერესი მტერი და ამას მივაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას. შევქმნით პირობებს სა-



ქარხნო-საფაბრიკო მრეწველობის განვითარებისათვის, გავავრცელებთ სატექნიკო ცოდნას, მივაწოდებთ სოფელს საუკეთესო სამეურნეო იარაღებს და ყოველ ზომას ვიხმართ შრომის მეტის განაყოფიერებისათვის ყოველ დარგში. გავაუმჯობესებთ სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალის საქმეს, მოვსპობთ არა პირდაპირ გადასახადს, ნამეტურ იმას, რომელიც მშრომელ ხალხს აწვება კისერზე, დავაწესებთ შემოსავლის გადასახადს, გავაძლიერებთ გადასახადს მემკვიდრეობაზე, გავაუქმებთ მემკვიდრეობას არა პირდაპირ შტობე. ჩვენი მთავარი საზრუნავი იქნება წარმოების განვითარებისათვის მოწყობა მწარმოებელ კოოპერატივებისა. ჩვენ გვწამს, რომ ბრმა სტიქიური კაპიტალიზმის ადგილი უფრო და უფრო უნდა დაიკავოს გონივრულმა ეკონომიურმა მუშაობამ და დღითი დღე უნდა გაფართოვდეს გასაზოგადოებრივებული მეურნეობა. ამ საქმეში დიდი როლი შეუძლია იკისროს ქალაქის და ერობის თვითმართველობამ.

### მუშათა მდგომარეობა

ჩვენ მუშა ხალხის პარტია ვართ, ამიტომ მუშა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ვიმუშავებთ ყოველის უპირველესად. დავიცავთ ყველგან რვა საათის სამუშაო დროს და მოვითხოვთ ამ დროის შემცირებას იმ დარგში, სადაც რვა საათის მუშაობა საზიანოა ჯანსაღობისათვის. მოვითხოვთ, რომ აკრძალულ იქნეს ბავშვების მუშაობა 16 წლამდის და აგრეთვე ზოგიერთ სამძიმო დარგში ქალების მუშაობა. ვიზრუნებთ შრომის ჰიგიენურ და სანიტარულ პირობების გაუმჯობესობისათვის. მუშათა განთავისუფლება მუშათა საქმეა, ამიტომ ყოველის ღონით ვცდებით, რომ რაც შეიძლება ფართოდ გაიშალოს მუშათა პროფესიონალური და სხვა კავშირები, რომ უმწვერვალესად განვითარდეს მუშათა ხალხის თვითმოქმედება, რომ სახელმწიფომ ქონებრივი დახმარება აღმოუჩინოს მუშების პროფესიონალურ და კოოპერატიულ ამხანაგობებს. მოვითხოვთ, რომ გაძლიერდეს მუშა ხალხის როლი და გავლენა მრეწველობა-წარმოებაში და დაწესდეს მისი მონაწილეობა მრეწველობის მართვა-გამგეობაში და მუშებს მიეცეთ ნაწილი მოგებისა.

### მინის საქმე

ჩვენ ერთნაირად ვიბრძობებთ ქარხანა-ფაბრიკა სახელოსნოების და მიწის მუშების ინტერესებისათვის. რადგან სოფლის მუშა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესობა დამოკიდებულია მიწაზე, ამიტომ მიწა უნდა ჩა-

მოერთვას ყველა არა მუშას და მიეცეს მხოლოდ იმას, ვინც თვითონ ან თავის ოჯახის შემწეობით დაამუშავებს მიწას. მოვითხოვთ მიწის ყიდვა-გაყიდვის მოსპობას. ვეცდებით, რომ მიწის მუშები შეამხანაგდნენ და შეერთებულად დაამუშაონ მიწა. მივაწოდებთ ასეთ ამხანაგობებს საჭირო ცოდნას და აღმოუჩინებთ ყოველგვარ დახმარებას სახელმწიფოსაგან. მხოლოდ ამ საშუალებით შეიძლება სოფლის მუშა ხალხის, მიწის მუშა გლეხობის განთავისუფლება დღევანდელ სრულიად უმწეო და აუტანელ მდგომარეობისაგან.

ასეთია მოკლედ ის მთავარი საქმეები, რომელთა გაკეთება აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიას, რომელთა განხორციელებას ეცდებიან მთელის თავის ძალღონით დამფუძნებელ კრებაზე სოც. ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელი.

ჩვენ მოვაწყობთ საქართველოში წმინდა ხალხურ, დემოკრატიულ სახელმწიფოს და დავიცავთ მის დამოუკიდებლობას, ვინაიდან გარეშე ამისა შეუძლებელია ქართველი ხალხის კეთილდღეობა და დაწინაურება.

ჩვენ დავიცავთ ყველა ერის ინტერესს და ვეცდებით დავაწესოთ თანხმობა და კავშირი მეზობელ სახელმწიფოებთან.

ჩვენ ვიზმართ ყოველგვარ საშუალებას დღევანდელი სიძვირის და გასაჭირის მოსასპობად, მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად.

ჩვენ ვიბრძობებთ მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, დავიცავთ მათ ინტერესებს და გავაძლიერებთ მათ გავლენას წარმოებაში.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ მიწა გადაეცეს მიწის მუშებს. დავებმარებით ყოველის სახსრით მიწის მუშების ამხანაგობებს და საერთოდ მწარმოებელთა კოოპერატივებს, გავაფართოვებთ გასაზოგადოებულ მეურნეობას და ამით დღესვე ჩაუყრით საფუძველს ახალს წყობილებას, ახალს ცხოვრებას. ჩვენ ვეცდებით, რომ აწინდელი ბურჟუაზიულ სახელმწიფოშიაც შევქმნათ ძალები, რომლებიც გავვითავილებენ და დაგვეხმარებიან სოციალისტურ სახელმწიფოში, შრომის სამეფოში გადასასვლელად.

უკვე ახლოვდება ჟამი ქვეყნის ძირითადი გარდაქმნისა, ახლოვდება სოციალისტური რევოლუცია, როცა ერთიან უნდა დაინგრეს ბატონობა კაპიტალისა და ბურჟუაზიის, და ჩვენ უნდა შევემზადოთ ამისთვის, უნდა შევეჩვიოთ ახალს საზოგადოებას, ახალს წყობილებას, სადაც ყველაფერი აგებული იქნება შრომისა, სამართალსა და თანასწორობაზე.

გაუმარჯოს საქართველოს თავისუფლებას!

გაუმარჯოს მშრომელ ხალხს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

გაუმარჯოს სოც.-ფედერალისტთა პარტიას!

საქართველოს სოც.-ფედ. სარევოლიუციო პარტიის ცენტრალური  
საარჩევნო კომიტეტი

„სახალხო საქმე“, 1919 წლის 26 იანვარი







## საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის საარჩევნო კლასტორმა

### საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია

#### „ბრძოლაში ჰპოვებ შენ უფლებას“

#### საარჩევნო პლატფორმა დამფუძნებელ კრებისათვის

საქართველოს დამფუძნებელი კრება არის ქართველი ერის სახელმწიფოებრივი აღდგომის უზენაესი განსახიერება და მშრომელი ხალხის ბრწყინვალე გამარჯვება.

მხოლოდ დამფუძნებელ კრებაში გამოიხატება მთელი ერის თავისუფალი ნება და მისი სახელმწიფოებრივი სიბრძნე. იგი არის ქვეყნის ახალი და სრული ბატონი, რომელსაც მონები არ ეყოლება, ვინაიდან ის არის თვით ხალხი, პატრონი და მოსამსახურე თავის-თავისა.

სოციალისტ რევოლუციონერთა პარტია, რომელმაც მთელი თავისი ძალღონე შესწირა მშრომელი ხალხისა და ჩაგრულ ერთა განთავისუფლების საქმეს, მხურვალედ ეგებება დამფუძნებელი კრების მოწვევას და მასში ხედავს თავისი პატარა ერის დიადი მომავლის საიმედო გარანტიას.

სოციალისტ რევოლუციონერთა პარტია არის პარტია რევოლუციონური სოციალიზმის.

მისი მიზანია საწარმოო იარაღებისა და საშუალებათა განსაზოგადოებრიობა. მაშინ მოისპობა სიღარიბე, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა და დამყარდება ნამდვილი თანასწორობა და საყოველთაო ბედნიერება.

კაპიტალიზმი არ არის არც საკმაო და არც აუცილებელი პირობა სოციალიზმის განხორციელებისა.

სოციალიზმის დიადი მოძღვრების განხორციელება იქნება შედეგი მხოლოდ მშრომელი ხალხის მედგარი კლასობრივი ბრძოლისა და მისი ღრმა კოლექტიური შემოქმედებისა.

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია არის პარტია მიწის მუშებისა და პროლეტარიატისა. მხოლოდ ყველა მშრომელთა და ჩაგრულ-გვემულთა საერთო ძალღონით და ბრძოლით დამყარდება ქვეყნად ძმობა, ერთობა, თავისუფლება.

დიდმა რევოლუციამ საქართველოს მშრომელ ხალხს უმაგალითო გამარჯვება მიანიჭა. ძველი ფორმულა: „ბურჟუაზიული დემოკრატიიდან – სოციალიზმისკენ“ – რევოლუციის პროცესში გადალახულ იქნა.

მშრომელთა რევოლიუციამ წამოაყენა ახალი ფორმულა, ახალი შე-საძლებლობა: **სოციალისტური ძალაუფლებიდან – სოციალიზმისაკენ!** პერმანენტული რევოლიუციონური შემოქმედება, მწყობრი, სისტემატიური კოლექტივიზაცია შრომისა და საკუთრებისა – ასეთია ერთად ერთი გზა, რომელსაც რევოლიუციონური სოციალიზმის მიმდევრებს უკარნახებს ჩვენში არსებული ძალთა განწყობილება.

გამოდის რა ამ შეხედულებებიდან, საქ. სოციალისტ-რევოლიუციონერ-თა პარტია დამფუძნებელ კრებაში დაიცავს შემდეგ ზომებს:

### პოლიტიკურ სფეროში

სდგას რა რევოლიუციის მონაპოვართა სადარაჯოზე, სოც. -რევ. პარ-ტია მთელი თავისი ძალღონით დაიცავს: სინდისის, სიტყვის, ბეჭდვის, კრე-ბების და კავშირების სრულ თავისუფლებას, პროფესიის მიმოსვლის და გაფიცვის თავისუფლებას; პიროვნებისა და ბინის ხელუხლებლობას;

საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ, ფარულ და პროპორციონალურ საარჩევნო უფლებას ყოველი მოქალაქისათვის განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა;

ამ საფუძველზე დამყარებულ დემოკრატიულ რესპუბლიკას; კანონმდებ-ლობაში ხალხის პირდაპირ მონაწილეობას (რეფერენდუმი და ინიციატივა) სავალდებულო და ყველასათვის თანასწორ საერო განათლების დაწესებას სახელმწიფო ხარჯზე. სახელმწიფოსაგან ეკლესიის სრულ განცალკევებას.

სოც. -რევ. პარტია მოითხოვს აგრეთვე, რომ ხალხს ჰქონდეს უფლე-ბა აირჩიოს, გადააყენოს და პასუხისგებაში მისცეს ყველა თანამდებობის პირნი.

### აზრარული საკითხი

ჩვენი სამშობლო გლეხური ქვეყანაა. მიწის მუშები შეადგენენ ჩვენი ერის უდიდეს ნაწილს.

მიწის მუშების კეთილდღეობა მჭიდროთ არის დაკავშირებული მიწის საკითხთან. მიწა არის მიწის მუშის მარჩენალი და მუდმივი ოცნების საგა-ნი. მაგრამ მიწა მიწის მუშას უნდა არა სავაჭროთ, არამედ დასამუშავებ-ლად.

სასოფლო მეურნეობის განვითარება თავისებურ პირობებში ხდება. სა-კუთრების განსაზოგადოებრივობა მასში წინ უნდა უძღოდეს შრომის გან-საზოგადოებრივობას. ეს აუცილებელი პირობაა სასოფლო მეურნეობაში



მწარმოებელ ძალთა განვითარებისათვის.

ამ მოსაზრებათა გამო სოც. -რევოლუციონერთა პარტია მიწის საკითხში მოითხოვს:

1) მთელი მიწა მისი სიმდიდრით, წყლებით, ტყეებით, მადნეულობით გამოცხადდეს ხალხის საერთო ავლა-დიდებათ.

2) მიწა უნდა ჩამოერთვას უსასყიდლოდ მემამულეებს, ხაზინას, ეკლესიებს, მონასტრებს და ყველა არა მშრომელთ.

3) უნდა მოისპოს მიწაზე ყიდვა-გაყიდვა, იჯარით გაცემა და დაგირავება. **ერთი სიტყვით, მიწა არ უნდა იქნეს ვაჭრობის საგანი.**

4) მიწა გადაეცემა სასარგებლოთ მიწის მუშებს, იმათ, ვინც მიწაზე თვითონ შრომობს.

5) წვრილი მესაკუთრე – მიწის მუშებს მიწები არ ჩამოერთმევათ.

6) მიწის მუშას შეუძლია მიწა, რომელზედაც ის მუშაობდა, თავის შვილებს და სხვ. მემკვიდრეობით გადასცეს.

7) ადგილობრივი მნიშვნელობის მიწებს და ტყეებს განაგებს ერობათა და თვითმართველობათა ადგილობრივი ორგანოები. საერთო მნიშვნელობის მიწებს და ტყეებს განაგებს რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოები.

8) მადნეულობანი და საერთოდ ყველა ის, რაც მიწის წიაღშია, გადადის რესპუბლიკის უმაღლეს განკარგულებაში.

საერთოდ სახელმწიფომ უნდა მიიღოს ფართო ზომები სასოფლო მეურნეობის ასაყვავებლად და მიწის მუშათა ინტერესების დასაცავად.

თავისუფალ მიწაზე თავისუფალი მიწის მუშა – ასეთია მოკლედ ს. -რევოლუციონერთა აგრარულ პროგრამის მთავარი აზრი და საერთო მიმართულება.

### მუშათა საპიტიხი

მუშათა კანონმდებლობის საკითხში სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია მიზნად ისახავს ქალაქში და სოფლად მუშათა კლასის სულიერ და ფიზიკურ ძალების დაცვას და სოციალიზმისათვის მის ბრძოლის უნარის გაძლიერებას. აწარმოებს რა აქტიურ ბრძოლას კაპიტალისტურ წესწყობილების წინააღმდეგ, საქ. სოც. -რევოლუციონერთა პარტია გარდა მოგერიებითი ხასიათის ზომებისა, როგორც არის: 1) 8 საათის სამუშაო დღე; 2) სახელმწიფოებრივი დაზღვევა სახელმწიფოსა და კაპიტალისტთა ხარჯზე (უბედური შემთხვევებისაგან, უმუშევრობისაგან, სიბერისა და ავადმყოფო-

ბისაგან და სხ. ); 3) მეცნიერული ჰიგიენის მოთხოვნილებათა თანახმად შრომის საკანონმდებლო დაცვა წარმოებისა და ვაჭრობის ყველა დარგში; 4) მუშათა მიერ არჩეული შრომის ინსპექცია; 5) შენობების სანიტარული-კონტროლი; 6) აკრძალვა ზედმეტ მუშაობისა და მცირე წლოვანთა მუშაობის 16 წლამდე; 7) სრულებით აკრძალვა ბავშვთა და ქალთა მუშაობის წარმოების ზოგიერთ დარგებში და ზოგიერთ ხანებში; 8) მუშათა საკმაო ყოველკვირეული დასვენება; სოც. -რევ. პარტია მოითხოვს მინიმალურ ხელფასის დაწესებას და წარმოებაზე მუშათა კონტროლს.

### ეკონომიურ სფეროში

იმ მიმე კრიზისის დაძლევა, რომელსაც ჩვენი წარმოება განიცდის, შესაძლებელია მხოლოდ მთელი ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ახალი გზით წარმართვით.

სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია მოითხოვს სახელმწიფოს და ადგილობრივ დემოკრატიულ ორგანოთა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში აქტიურ ჩარევას.

მხოლოდ საზოგადოებრივი მეურნეობის, საზოგადოებრივ წარმოებათა და კოლექტიური თაოსნობის განვითარებით შესაძლებელია ავიციდნით ეკონომიური კატასტროფა და მტკიცე მატერიალური საფუძველი ჩაუყაროთ დემოკრატიულ წესწყობილებას ჩვენში, ვინაიდან ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა მით უფრო მტკიცე და უზრუნველყოფილი იქნება, რაც უფრო მიმზიდველი იქნება ჩვენი ქვეყნის სოციალური სტრუქტურა.

### ფინანსური პოლიტიკა

სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია მოითხოვს:

1. შემოსავლებზე და მემკვიდრეობაზე პროგრესიული გადასახადების დადებას, 2. მცირე შემოსავალთა გადასახადებისაგან სრულიად განთავისუფლებას და 3. არა პირდაპირი გადასახადების გაუქმებას (გარდა ფუფუნების საგნებისა). გადასახადების მთელი სიმძიმე უნდა დააწვეს მდიდარ კლასებს.

### ეროვნული უმცირესობანი

სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია არის პარტია ინტერნაციონალისტური. მისთვის არ არსებობს „ელინი და იუდეველი“.

სომეხი, თათარი თუ ბერძენი მუშის და გლეხის ინტერესები მისთვის

ისევე ძვირფასია, როგორც ქართველი გლეხის და პროლეტარიატის ინტერესები.

სოციალიზმის სამეფოში ყოველი ერი უნდა შევიდეს ეროვნული ინდივიდუალობის მრავალფეროვნებითა და თავისებურობით.

სოც. -რევ. პარტია მედგრად დაიცავს ყველა იმ ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფს ამ თავისებურობის პროგრესიულ მხარეების შენარჩუნებასა და გაფურჩქვნას. ერთა სოლიდარობაში საქართველოს შიგნით და გარეთ პარტია ხედავს საქართველოს მშრომელი ხალხის საბოლოო გამარჯვების აუცილებელ პირობას.

კერძოდ, მეზობელ ერებთან ტერიტორიალური გამიჯვნის საკითხში პარტია დაიცავს ეთნოგრაფიულ პრინციპს.

### თავდაცვის საკითხი

ომისადმი დამოკიდებულების საკითხმა ორ ბანაკად გაყო სოციალისტური ინტერნაციონალი. საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, რჩება რა ერთგული რევოლუციონური ინტერნაციონალის ანდერძისა, აცხადებს:

თავდაცვა დემოკრატიის ძალებით დემოკრატიისავე ბატონობისა, დაცვა თავისუფალი, რევოლუციონური და სოციალისტური სამშობლოსი არის მოვალეობა ყოველ სოციალისტისა!

საქართველო, გარს-შემორტყმული რეაქციონერი სახელმწიფოებითა და ოლქებით, საჭიროებს დიდს რეალურ ძალას თავის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცავად. მუდმივი საკმაო რეგულიარული ჯარის შენახვას ვერ აიტანს რესპუბლიკის ნივთიერი მდგომარეობა. მას არ მოითხოვს ჩვენში დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცების საქმე.

ამიტომ საქ. სოც. -რევ. პარტია საქართველოს მუდმივ ნეიტრალობასთან ერთად მოითხოვს სახალხო მილიციის სისტემის გატარებას, ვინაიდან მხოლოდ თავისუფალი ერი თავისუფლად გაწვრთნილი და შეიარაღებული დაიცავს ღირსეულად თავის დამოუკიდებლობას...

\* \* \*

ასეთია რევოლუციონური სოციალიზმის პროგრამა დამფუძნებელ კრებაში. მხოლოდ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია დაიცავს ამ მოთხოვნილებებს.

დამფუძნებელი კრება მხოლოდ მაშინ იქნება ქვეყნის „ის ახალი ბატო-

ნი, რომელსაც მონები არ ეყოლება“, თუ მშრომელმა ხალხმა სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიას ზურგი გაუმაგრა და დამფუძნებელ კრებაში მას თავისი ინტერესების დაცვა მიანდო. მხოლოდ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია დაავგვირგვინებს მშრომელთა რევოლიუციას.

სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია ერთად ერთი პარტიაა ჩვენში, რომელიც დარჩა ერთგული რევოლიუციონური სოციალიზმისა და მიწის მუშებისა და პროლეტარიატის საქმეს პირნათლად ემსახურება.

პარტიის გმირული წარსული და მშრომელთა რევოლიუციის სწორი ალღო სრული თავდებია იმის, რომ პარტია მშრომელ ხალხს მომავალშიც ღირსეულად გაუძღვება.

ამხანაგებო და მოქალაქენო! მიეცით ხმა მიწის მუშებისა და პროლეტარიატის სიას №3.

გაუმარჯოს რევოლიუციონურ დამფუძნებელ კრებას!

გაუმარჯოს მშრომელთა რევოლიუციას!..

გაუმარჯოს რევოლიუციონური სოციალიზმის მეზობრადტრე – სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიას!

**საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტი.**

„შრომა“, 1919 წლის 12 თებერვალი





## ქუთაისის საერთო ქალთა პოლიტიკური კლუბის პროგრამა<sup>1</sup>

1) ვღებულობთ რა მხედველობაში, დედრობითი სქესის უფლებებით გამოწვეულს დამლუპველ მოვლენას, როგორც ოჯახისთვის, ისე საზოგადოებისთვის და მოდგმისთვის, ქუთაისის საერთო ქალთა პოლიტიკური კლუბი თავის მიზნათ ისახავს ორთავე სქესის პიროვნულად სრულს გათანასწორებას კანონისა და სამართლის წინაშე. ქალთა პოლიტიკური და მოქალაქური უფლების აღსადგენათ და ამ უფლების პრაქტიკულ ცხოვრებაში გასატარებლათ ქუთაისის ქალთა კლუბი უკეთეს საშუალებად რიცხავს თანამოაზრეთა ორგანიზაციულ შეერთებას.

2) ქალი არის ისეთივე გონიერი და გძნობიერი არსება, როგორც მამაკაცი და უნდა სარგებლობდეს ადამიანის სრული უფლებებითაც.

3) ვღებულობთ რა მხედველობაში, დღევანდელს ისტორიული მომენტის სიდიადეს, ჩვენ რევოლუციონერ პარტიებთან ერთად, მხარს ვუჭერთ ისეთს პოლიტიკური წეს-წყობილების ფორმას, რომელიც უფრო მეტად უზრუნველსა ჰყოფს ადამიანის პიროვნულს თავისუფლებასა და მის მოქალაქეობრივ უფლებას. ასეთი მმართველობის ფორმათ კი მიგვაჩნია მხოლოდ დემოკრატიული რესპუბლიკა. ამისათვის, დამუშდნებელ კრების არჩევნებში ჩვენ მთელი ენერგიით მოვითხოვთ დაცვას და განმტკიცებას დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველობისას საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და დაფარული კენჭისყრის უფლებით განურჩევლად სქესისა.

4) თითოეული ნორმალური სრული წლოვანი ადამიანი მცხოვრები რომელიმე სახელმწიფოში ხანგრძლივათ, რომლისგანაც მოითხოვენ კანონის წინაშე მორჩილებას, უნდა სარგებლობდეს ხმის უფლებით.

5) მოვითხოვთ, რომ ქალებს მიენიჭოთ იგივე ხმა არჩევნებში და არჩეული იყოს ისევე, როგორც საკანონმდებლო კრებაზე, ისე პროვინციალურ და სათემო მმართველობაში, როგორც ყოველივე მოქალაქე მამაკაცი, რომელიც რაიმე ბოროტმოქმედებისთვის ან სნეულებით არ არის უფლება აყრილი.

6) მოვითხოვთ, რომ თითოეულმა არსებულმა პარტიამ, რომლებიც გამოდიან სამართლიანობის, თანასწორობის და პროგრესის დამცველად, თავის დროშაზე დააწეროს „თანასწორობა წინაშე სამართლისა, განურჩევლად სქესთა“ და დაიცვას ასეთი თანასწორობა ისეთივე სურვილითა და ენერგიით, როგორც რომელიმე მათ მიერ წამოყენებული საჭირო მოთხოვნილება.

7) მოვითხოვთ ყველა იმ პარტიებიდან, რომლებიც აღიარებენ არჩე-

1 1917 წელს ქუთაისში დაარსებული კლუბი, რომელიც ყველა მემარცხენე პარტიის წარმომადგენლებს აერთიანებდა. კლუბი გამოსცემდა პირველ ქართულ ფემინისტურ გაზეთს „ხმა ქართველი ქალისა“, რომლის რედაქტორი კატო მიქელაძე გახლდათ.

ვანთა უფლებას, განურჩევლად სქესთა, რომ თითოეული მათგანის საარჩევნო სიაში შეტანილი იყოს თავიანთ პარტიულ ამხანაგ მამაკაცის სახელთან ერთად ამხანაგ ქალის სახელიც.

8) მოვითხოვთ მომავალ დამფუძნებელ კრებაში კონსტიტუციის შემუშავებაში ქალებიც ღებულობდნენ მამაკაცებთან თანასწორ მონაწილეობას

9) ვვლებულობთ რა მხედველობაში, რომ ყოველივე საპატიო და სასარგებლო თანამდებობის მიღების იმედი არის საუკეთესო სტიმული ადამიანის განმანათლებელ გზაზე დადგომისა, რადგან შეუძლებელია ცოდნის წყურვილის აღძრა და შეძენილი ცოდნის გამოყენება, თუ რომ ადამიანს არა აქვს სრული უფლება მისი მოხმარებისა, მოვითხოვთ თითოეული ქალვასის თანაბრად ხელის მიწოდმას ყოველგვარი სამოქალაქო და ოფიციალურ თანამდებობაზე, შესაფერად მათი მომზადებისა.

10) ვვლებულობთ რა მხედველობაში, აშკარა უსამართლობას, რომელსაც იწვევს სქესთა პიროვნული უთანასწორობა კანონისა და სამართლის წინაშე, მოვითხოვთ ხელახლა გადახედვას როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სასამართლო კანონებისას და გაუქმებას მამრობითი სქესის პრივილეგიისას და სქესთა სასჯელის სხვადასხვაობას ერთსა და იმავე სასჯელზე.

11) ვვლებულობთ რა მხედველობაში, პროსტიტუციის საშინელს გავლენას ოჯახისა და საზოგადოებისათვის, რომელსაც მიჰყავს ერი და კაცობრიობა გადაგვარებამდე, მოვითხოვთ ამ სამარცხვინო ინსტიტუტის რეგლამენტაციის გაუქმებას.

12) ვვლებულობთ რა მხედველობაში, ერთი სქესის გარყვნილი ცხოვრების უპასუხისმგებლობის სიავეს, როცა მეორე სქესს ასეთი ცხოვრებისთვის უსასტიკეს პირობებში აყენებენ, მოვითხოვთ პროსტიტუტ ქალთა ძალდატანებითი შემოწმების მოსპობას.

13) მოვითხოვთ, რომ გაუქმებული იყოს მემკვიდრეობითი პრივილეგია, რომ ქალსა და ვაჟს ერთნაირი წილი ედვას მემკვიდრეობით ქონება.

14) მოვითხოვთ ცოლ-ქმართა თანასწორ უფლებას შვილებზე და თავიანთ შინაურ ცხოვრებაზე.

15) მოვითხოვთ ერთნაირ აღზრდა-განათლებას ორთავე სქესისთვის, როგორც დაწყებითსკოლაში, ისევე საშუალო და უმაღლესსასწავლებლებში.

16) მოვითხოვთ თანასწორ ხელფასსა და ჯამაგირს ორთავე სქესისათვის ერთსა და იმავე შრომაში და თანასწორ მონაწილეობას სარგებელში და ჯილდოში ყოველგვარ საწარმოო საქმეში.

17) მოვითხოვთ თანასწორ მონაწილეობას ადმინისტრაციაში და კა-



ნონმდებლობაში, როგორც სამუნიციპალიტეტო, ისე სახელმწიფო და საერო მმართველობაში საკანონმდებლო კრებებით, სასამართლოებითა და აღმასრულებელი თანამდებობებით.

მოვუწოდებთ რა, ერთობისკენ ქალებს, განურჩევლად ეროვნებისა, ეკონომიური კატეგორიისა და პარტიულ მიმართულებისა, თავიანთი სპეციალური დედაკაცის ინტერესის დასაცვლად და მათი ადამიანური უფლების აღსადგენათ, ჩვენ არ ვივიწყებთ მნიშვნელობას კლასთა ბრძოლისასაც, როგორც უკანასკნელის არსებობამ არ უნდა დაგვავიწყოს უფლებრივი ბრძოლა სქესთა შორის არსებული.

ამისთვის ვაცხადებთ პროლეტარ ქალთა საყურადღებოდ, რომ ქალთა პოლიტიკური და მოქალაქური უფლების აღსადგენათ და განსამტკიცებლათ, თავი მოიყარონ საერთო ქალთა ორგანიზაციაში და ეკონომიკურ ნიადაგზე ატეხილ ბრძოლაში კი იმოქმედონ თავიანთ ძმებთან ერთად, შესაფერად მათი კლასობრივი ინტერესისა.

ჩვენ ვთხოვთ მუშა ქალებს გაიგონ ის, რომ სანამ დედაკაცები უფლებრივად მამაკაცების ქვეშევრდომები იქნებიან, მანამ არცერთი მოწინააღმდეგე კლასთა დედაკაცები არ წარმოადგენენ ერთმანეთისათვის ფაქტიურად შეურიგებელს მტრებს, რომელსაც არ ესმოდეტ ერთმანეთის ადამიანური პიროვნებისა და ღირსების დამცირება და თუ საერთო გაჭირვების დროს, იქნება ეს გაჭირვება ეროვნული, თუ პოლიტიკური ხასიათისა, შესაძლოა სხადასხვა კლასთა შეერთება საერთო უბედურობის მოსაგერიებლათ, რომლის მაგალითს დღეს გვაჩვენებს რუსეთის რევოლუციის ფხიზელ ბელადთა მოქმედება და ჩვენ წინ გადაშლილი არსებული ომი, მით უფრო შესაძლებელი და მისაღებია საერთო დედრობითი სქესის დამცირებული ცხოვრების გამო სხვადასხვა ეკონომიური კატეგორიის ქალთა შეერთება იმ სამარცხვინო მონური ჯაჭვის გასაწყვეტათ, რომელიც საუკუნეობით შემოუხვევია მათთვის მამრობითი სქესის ძალმომრეობას, რომელიც ერთნაირათ ხუთავს პიროვნულს და ინდივიდუალურს განვითარებას და რომლითაც აგრე შეუნანებლათ სარგებლობს სხვადასხვა ეკონომიკური კატეგორიის მამაკაცების უმრავლესობა.

ჩვენ ღრმათა გვწამს, რომ მხოლოთ საერთო ორგანიზაციული ქალთა ბრძოლა, უფლებრივ ნიადაგზე ატეხილი, ბოლოს მოუღებს სქესთა ბატონყმობას და მთელი ჩვენი მისწრაფებით მოუწოდებთ ჩვენს დაჩაგრულს დებს ერთობისაკენ თავიანთი ადამიანური პიროვნების აღსადგენათ.

მაისი 1917წ, ქუთაისი

# თავი მესამე

მემარცხენეობა და მისი ძირითადი მიმართულებები

## წინასიტყვაობა

მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ დეკადებში გააქტიურებული ქართული მემარცხენე მოძრაობა ერთფეროვანი არ ყოფილა. მის შემადგენლობაში მხოლოდ ერთი პარტიის ან ერთი პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენლები არ ირიცხებოდნენ. საქართველოში მიმდინარე რევოლუციური აქტივიზმი იდეათა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა. პოლიტიკურ პროცესებში ჩართულნი იყვნენ სოციალისტები, ავტონომისტი მემარცხენეები, ფემინისტები, ანარქისტები და რადიკალური მარქსისტული ხედვების მქონე მოქალაქეებიც. კრებულის მომდევნო ნაწილის მიზანი ქართული მემარცხენეობის თითქმის ყველა მთავარი მიმართულების წარმოჩენა გახლავთ.

მემარცხენე ფლანგის უდავო ლიდერები ქართველი სოციალ-დემოკრატები, მენშევიკები იყვნენ. მათ მეცხრამეტე საუკუნის 90-იანი წლებიდანვე მოიპოვეს განსაკუთრებული პოპულარობა. მენშევიკთა მყარ დასაყრდენს წარმოადგენდნენ ქალაქელი მუშები და დასავლეთ საქართველოში მცხოვრები გლეხების მნაშვნელოვანი ნაწილი. სოციალისტური შინაარსის პირველი ქართული დეკლარაციის გამოქვეყნება მეტწილად სწორედ სოციალ-დემოკრატების სახელთანაა დაკავშირებული. 1892 წელს დაბა ყვირილაში გამართული პირველი სოციალისტური თავყრილობის შედეგების შეჯამების პატივი ნოე ჟორდანიას ხვდა წილად, რომელმაც ჟურნალ „მოამბეში“ გამოაქვეყნა სტატია „ეკონომიკური წარმატება და ეროვნება“. აღნიშნული ნაშრომი პირველი დოკუმენტია, რომელიც მემარცხენე პერსპექტივიდან აფასებს საქართველოს ისტორიასა და საზოგადოების სოციალურ შემადგენლობას; ამასთანავე, ყურადღებას ამახვილებს რადიკალური გარდაქმნების აუცილებლობაზე.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ქართული ინტელიგენციისა და თავად-აზნაურობის სამოციანელთა თაობას გაზეთ „ცნობის ფურცლის“ ირგვლივ შემოკრებილი ჯგუფი გამოეყო. მოგვიანებით მათ სოციალისტ-ფედერალისტური პარტია დააარსეს. სოციალისტ-ფედერალისტები აქცენტს სვამდნენ საქართველოს ავტონომიის მოთხოვნაზე. პარალელურად, საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებისა და ეკონომიკურ გარდაქმნათა შინაარსის ახსნის მიზნით იზიარებდნენ სოციალისტური პროგრამის რიგ დებულებებს. გიორგი ზდანევიჩის სტატიაში, „წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“, შეგიძლიათ მიაკვლიოთ საქართველოს

ინტელიგენციის ახალი თაობის მიერ წარმოდგენილ იმ არგუმენტებს, რომელთაც ფედერალისტები ნაციონალისტთა საწინააღმდეგოდ იყენებდნენ. ამავ ნაშრომში ჩამოყალიბებულია საყოველთაო კვლევის გეგმაც. ავტორი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გარდაუვალ აუცილებლობად მიიჩნევდა ამ გეგმის განხორციელებას. კვლევის შინაარსი მიაჩნებოდა იმაზე, თუ რამდენად ზედაპირულად აფასებდა „სამოციანელთა“ ნაწილი ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას.

დასავლეთ ევროპის დემოკრატიული სახელმწიფოების მსგავსად, მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოშიც წარმოიშვა ფემინისტური მოძრაობა. მოძრაობა მრავალათასიანი შემადგენლობით არ გამოირჩეოდა. თუმცა, პოლიტიკონომიკური განათლების დონითა და ისტორიულ პროცესთა გააზრების შესაძლებლობით ქართველი ფემინისტები ტოლს არ უდებდნენ მათი ეპოქის ევროპელ თანამოაზრეებს. აღნიშნული მოსაზრების მყარი დასაბუთება გახლავთ ქუთაისის ქალთა საერთო კლუბის დამფუძნებლის, კატო მიქელაძის სტატია „მიზეზი ქალთა მონობისა და მოძრაობისა“. ნაშრომი ქალთა მოძრაობის გენეზისს, მისი განვითარების გზასა და მომავლის პერსპექტივებს აანალიზებს.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ გაერთიანებებს მუშათა რევოლუციური მოძრაობის წარმართვისა და ორგანიზების საქმეში ქართველი ანარქისტები ეცილებოდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ სოციალ-დემოკრატიული დერეგები არაკეთილსინდისიერად იყენებდნენ მუშათა ნდობას. ქართველ ანარქისტთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, მიხაკო წერეთელი თავის პატარა წიგნში „პასუხი პროტესტანტებს“ ცდილობს ფარდა ახადოს რევოლუციური მოძრაობის დროს წარმოჩენილ მანკიერებებს და წარმოაჩინოს ცვლილებების განხორციელების ალტერნატიული გზა.

პირველი ქართული სოციალისტური გაერთიანების „მესამე დასის“ შემადგენლობაში რადიკალური მარქსისტული შეხედულებების მქონე სამოქალაქო აქტივისტებიც ირიცხებოდნენ. ისინი 1903 წლის შემდეგ ლენინის მხარდამჭერთა რიგებში აღმოჩნდნენ. ამგვარ აქტივისტთა შორის ყველაზე გამორჩეული გახლდათ ალექსანდრე წულუკიძე. წულუკიძე თავის ნაშრომში „ოცნება და სინამდვილე“ ყურადღებას ამახვილებს საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილის არაეფექტიან მოქმედებებზე. ამასთანავე, აღწერს მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემის – მევახშეობის ძირითად ნიშნებსა და განპირობე-

ბულ შედეგებს.

„ქართული მემარცხენეობის ქრესტომათიის“ პირველი ტომის მესამე თავში შევეცადეთ მეტ-ნაკლებად ზუსტად აგვესახა ცარისტული რუსეთის პერიოდში მოქმედი მემარცხენე დაჯგუფებების უმთავრესი, ფუნდამენტური ღირებულებები.

ლევან ლორთქიფანიძე

## ეკონომიკური წარმატება და ეროვნება

ნოე შორდანი

### I

ისტორია განვითარებული ადამიანისთვის ტრაგედიაა, განუვითარებლისთვის კი კომედია, – ამბობს ბრძენი. მართლაც თუ ღრმად დავეკვირდებით ისტორიულ ცხოვრებას, დავინახავთ, რომ სამწუხარო და კაცის დამამცირებელი მოვლენანი ბევრი და მრავალგვარია. ხშირად ერთი ბიჯი რომ წინ გადადგმულა კაცობრიობის საბედნიეროდ, ათი და ოცი უკან და გვერდზე გადახვეულა. ცხოვრება დაუდგრომელ დუღილშია, მუდამ ღელავს და ირყევა, ის წაგავს იმ გრძნობიერ სასწორს, რომელიც მცირე ნიავისგანაც კი მოძრაობაში მოდის და ხან ერთ მხარისაკენ გადაიხრება, ხან მეორესაკენ. ცხოვრებამ არ იცის არჩეული პირები: ვინც დღეს ფეხზე წამოყენებული და წელში გამაგრებულია, ვინც ცხოვრების ავან-ჩავანი იცის და მით ხეირიანად სარგებლობს, ის ხვალ, თავდაყირა გადატრიალებული, უცებ ვარდება უბედურების მორევეში და ეს, ერთხელ სახელოვანი ამა სოფლისა, ცხოვრების უფსკრულში სამუდამოდ ინთქმება. ასევე ხდება მთელის ერის ცხოვრებაში: წინსვლა ერთის ერისა, ჩამორჩენა მეორისა, ერთ წერტილზედ შეჩერება მესამისა, სრულიად ამოუღება და განადგურება მეოთხისა, გადაშენება მეხუთისა, რევოლუციები, კრიზისები და სხვ. და სხ. – აი რა შეადგენს საერთოდ ისტორიას, ამნაირად ცხოვრება ზოგს ანიჭებს სიხარულს და სიამოვნებას, ზოგს კი – ცრემლთა დენასა და დამწუხრებას, ... და ავიღოვებს ერთს, სასტიკად სჯის და დევნის მეორეს.

რა ამოძრავებს ისტორიას? ვის უჭირავს ამ მოძრაობის ჩარხის ტარი? რაში მდგომარეობს დედა-ძარღვი? ერთის სიტყვით რა მოქმედებს ისტორიაში? აქ მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება: ადამიანი და მისი ინტერესები – აი სად არის მოგროვილი და გამონასკული ცხოვრების ძაფები, მისი ძალა თუ უძღურება, სიკეთე თუ ბოროტება, თუ რამე მოძრაობს ცხოვრებაში, ამ მოძრაობის ჩარხს უსათუოდ ადამიანი აბრუნებს; თუ ცხოვრება სადმე დულს ან შიშინებს, ამ შიშინის ხმაურობა მხოლოდ ადამიანში იხატება. ერთის სიტყვით, ცხოვრების ბურჯი, ისტორიის შემოქმედი – ადამიანია. მაგრამ ამით კიდევ არ ირკვევა, ისტორიაში ადამიანები ცალკ-ცალკე იღებენ მონაწილეობას, თუ ჯგუფ-ჯგუფად. შეიძლება ცხოვრებაში მოხდ-

ნენ იმისთანა მოვლენანი, რომელიც მხოლოდ ერთის ადამიანის ინტერესს ეხებოდნენ? არა, არ შეიძლება. საზოგადოებრივი ურთიერთობა იმდენად რთული და განვითარებულია, რომ ყოვლად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ პიროვნება სხვისაგან დამოუკიდებლად. ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველიაო, – ამბობენ მეცნიერნი. ამისათვის ის მუდამ საზოგადოებაში ცხოვრობს; ის, საზოგადოებასთან ერთად, ერთ ისტორიულ უღელში არის შებმული, ერთად იბრძვის, ერთსა და იმავე ჭირსა და ღბინშია გამოტარებული. მაშასადამე, ისტორიის შემოქმედი არის არა პიროვნება, არამედ პიროვნებათა გუნდი.

ახლა ვიკითხოთ, რა აკავშირებს ერთმანეთთან ადამიანებს არსებობისთვის ბრძოლის დროს? უეჭველია, საერთო ინტერესები. ავიღოთ, მაგალითად, ოჯახი, ეს ელემენტარული ტიპი საზოგადოებისა. ოჯახის ყველა წევრი დღე-მუდამ იმის ფიქრსა და ზრუნვაშია, თუ როგორ წასწიოს წინ, როგორ დააყენოს ფეხზედ თავის ოჯახი. ის დაუღალავად იბრძვის, შრომობს, წელებზედ ფეხს იდგამს მხოლოდ იმისათვის, რომ ოჯახი განკარგოს, რიგიანად მოაწყოს და მით თვითონაც ისიამოვნოს, ამნაირად, აქ საერთო ინტერესები ამოქმედებენ ერთად ოჯახის წევრთ, ესენი ერთი და იმავე ოჯახის უღელს ეწევიან, – შესდგა ამხანაგობა რაიმე საქმის საწარმოებლად, რა ამოქმედებს ამ ამხანაგობის წევრთ? იგივე საერთო ინტერესები: სარგებლობა, რასაც თვითოეული მათგანი მოელის საქმის რიგიანად დაგვირგვინებისგან, ესენი ერთად ეწევიან ამხანაგობის უღელს, – ასტყდა ომი! ომი სისხლის ღვრა, უბედურებაა, დამნთქმელი კაცის სიცოცხლისა, მისი ღვაწლის და მონაგარისა, თუმცა ეს ასეა, მაგრამ რა რიგ მედიდურ სანახაობას წარმოადგენს ხოლმე ის სურათი, როცა თავგანწირული ერი ამღვავებულა, ამხედრებულა თავისი ვინაობის და ღირსების დასაცველად. რა ავიწყებს იმათ სიკვდილის მეხს და სიცოცხლის სიტკბობას? რა აერთებთ ასე მჭიდროთ მხედართ? ცხადია ერში სუფევს რაიმე იდუმალი მიზნიდველობა, მიმალული კავშირი, რომლის გამოაშკარავებისთვის საჭიროა მცირე შემთხვევა, რათა დაძინებულმა ერთსულობამ იფეთქოს და თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს, ამ ნიადაგზედ არის აღმოცენებული და შეგნებული ის საერთო ინტერესები, რომლის ძალითაც ადამიანთა კრებული ერთად მოღვაწეობს, ერთად იბრძვის თვითმართველობისათვის.

რა ასაზრდოებს და აღონიერებს ამ ნიადაგს? რა ჰქმნის მას? სად იმალება ის სათავე, რომელიც დაქსაქსულ გუნდს ადამიანებისას აერთიანებს და გამოჰყავს იგი ისტორიულ ასპარეზზედ? ამბობენ ეს სათავე გვარ-ტო-

მოზაო, ერს, ერთის სისხლის მქონეს, ერთის წინაპრის ჩამომავალს, მიდრეკილება აქვს ყოველთვის ერთად იცხოვროსო, მაგრამ, თუ ისტორიას დავაკვირდებით, ცხადად დავინახავთ, რომ საგვარტომო, მიდრეკილება იმდენად მძლავრი არ არის, რომ თავისთავად აწარმოოს მძიმე ცვლილება ცხოვრებაში, მარტო საგვარტომო მიდრეკილების ძალით ორი რომელიმე ტომის ნაწილი არ შეერთებულა ერთად და ერთი სამეფო არ დარღვეულა ორად. მაგალითად, ჰოლანდიას და ავსტრიას არავითარი მიდრეკილება არ აქვთ შეუერთდნენ გერმანიას, არც შვეიცარიის ფრანგებს მისწევთ გული საფრანგეთისკენ და იტალიელებს – იტალიისკენ. სლავინთა ერები ერთი გვარტომისანი არიან, მაგრამ ისტორიამ არ იცის მათი ერთად, ერთ წესწყობილების ქვეშ ცხოვრება; არც პორტუგალია შეერთებია ისპანიას, ზოგი ამბობს ენა არის დედაბოძი, რომელზედაც აშენებულა ერის ერთობაო, ერთსა და იმავე ენაზე მოლაპარაკე ერთმანეთს უახლოვდებიან საერთო ცხოვრებისათვის, მართალია ენას დიდი ალავი უჭირავს ერის ცხოვრებაში, ენა არის უპირველესი ნიშანი ეროვნებისა, ამით შეგვიძლიან განვსაზღვროთ, რომელი ხალხი რომელ ერს ეკუთვნის, მაგრამ ენა მაინც ვერ წარმოადგენს ამ ძლიერ ძალას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ერთ ენაზედ მოლაპარაკე ორი ხალხი შეერთდეს და ერთად იცხოვროს, ენა არის მხოლოდ საშუალება სალიტერატურო და საზოგადოებრივი ერთობისა და არა თვითონ ერთობა, ის იარაღია ცხოვრებაში და არა თვითონ ცხოვრება. უმრავლესობას ყველგან ერთი და იგივე ჭირი აწუხებს, ყველგან ყველანი ცდილობენ გამოვიდნენ ამ მწუხარებისაგან. ამ ცდაში ენას და გვარ-ტომობას მცირე ალავი უპყრია.. თუ ხალხი მშიერია, ლუკმა-პურს დაეძებს, იმისათვის შეიძლება ის შეუერთდეს თავისი ტომის ხალხს, მაგრამ, თუ კი ამ შეერთებით უარესი შიმშილი მოელის, არა მგონია ეს შეერთება მოინდომოს, ამის დასამტკიცებელი მაგალითები ურიცხვია დღევანდელ ცხოვრებაში. რამდენი ადამიანი სტოვებს სამუდამოდ თავის სამშობლოს და მიდის უცხო ქვეყანაში ლუკმა-პურის მოსაპოვებლად? 1820-1892 წ. წ. ევროპიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა 15, 490, 654 კაცი. განა ეს არ მოწმობს იმას, რომ ადამიანი შიმშილ-მწყურვალის საქმეს ყველაზე მაღლა აყენებს! ენა და გვარტომობა შეადგენენ მხოლოდ იმ საფუძველს, რომელზედაც შენდება კედელი ეროვნებისა, ეროვნული ცხოვრება ერის გარეშე შეუძლებელია. თვით ეროვნების დედა-აზრი მოითხოვს საერთო ენას. თუ კი ადამიანთ არა გაეგებათ რა ერთმანეთის, აქ, რასაკვირველია, ვერავითარი ეროვნება ვერ დამყარდება, მაგრამ ეს



იმას კი არ ნიშნავს, რომ ერთ ენაზედ მოლაპარაკე უთუოდ ერთად ცხოვრობდეს, ეროვნულ უღელს ერთად ეწეოდეს, აქ უფრო რთული პირობები იმალებიან და ცხოვრების ამა თუ იმ კალაპოტში აყენებენ. განვიხილოთ ეს პირობები.

ომი, ბუნების ძალა და ალებ-მიცემობა ანუ ვაჭრობა, – აი ეს მოვლენანი მოქმედებენ საზოგადოებაში, როგორც ადამიანთა შემაერთებელნი და შემაკავშირებელნი, ამათი გავლენა ერის ცხოვრებაზედ თუმცა ძლიერია, მაგრამ თანასწორი კი არ არის, ერის განვითარებას ესენი სხვა-და-სხვა ნაირად უწყობენ ხელს, მეტნაკლებად უმაგრებენ ძირს. საერთო მტერმა, თათრებმა, შეართეს XV-XVII საუკუნეში სხვადასხვა ერნი: უნგრელნი, ჩეხნი, გერმანელნი, სამხრეთის სლავები და სხ. და დაუმორჩილა ჰაბსბურგთა სამეფოს, მაგრამ როგორც კი მოსცილდა გარეშე მტერი გაქრა საერთო საფრთხე, ამ სახელმწიფომ მაშინვე დარღვევა დაიწყო. ომის წყალობით დაარსეს უდიდესი სამეფოები კიროსმა, ალექსანდრე მაკედონელმა, კარლოს დიდმა და სხ. მაგრამ ამ შეერთებული სამეფოების არსებობა ხანმოკლე იყო. რატომ? იმიტომ რომ იგი სამეფოები გარეგნობით, მექანიკურად იყვნენ გაერთიანებულნი, მათი სიდიადე ძალაზედ იყო დამყარებული და არა ერთა ისტორიულ განვითარებაზედ. საზოგადოება როგორც ჩვილი, ერთგვარი და განუვითარებელია, რაც უფრო დაბლა სდგას ისტორიის საფეხურზედ, მით უფრო ადვილად შეიძლება ომის და ძალმომრეობის წყალობით მისი გადაგვარება, გადაშენება და ნორმალური ცხოვრების არეგდარევა, მაგრამ რაკი კაცობრიობამ თავი დააღწია ველურ მდგომარეობას, დაიყო ერებად და დაადგა წარმატების გზას, სამხედრო ძალასაც დაუკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა. ჩვენ ვხედავთ, რომ ომის მეოხებით ერთდება ერთ და იმავე ენაზედ მოლაპარაკე ხალხი, უკავშირდებიან ერთმანეთს სხვა-და-სხვა ერნი, მაგრამ როგორც პირველი, ისე მეორე ჩქარა ირღვევა და ნაწილდება, თავისუფლება ერისა, განვითარება, თანახმად მისი განსაკუთრებული პირობებისა – აი რა დასკვნას მიადგა ისტორიული მიმდინარეობა, თუ კი დღეს დედა-პრინციპი ხშირად ილახება და ფეხ-ქვეშ ითელება, ეს მხოლოდ წარმავალია და დროებითია. კაცობრიობა ვერ ასცდება ერთა თავისუფლებას, ასე თუ ისე, ომი, სამხედრო ძლიერება ვერ ჩაითვლება თანამედროვე ცხოვრებაში ერთობის უმთავრეს მიზეზად. თუ გეოგრაფიული პირობები ქვეყნისა იმნაირია, რომ ადამიანს ცალკ-ცალკე არ სძალუძს საზრდოს მოპოვება, მაშინ, რასაკვირველია, ის უნდა შეუერთდეს თავის მოძმეს და საერთო ძალ-ღონით გამოსტაცოს

ძუნწ ბუნებას რაიმე ნაყოფი, მაგ., მდინარე ნილოსის ჭალები შეადგენდნენ ერთადერთ საცხოვრებელ საუნჯეს ძველი ეგვიპტელებისას, ამისათვის ამ ჭალების დაცვა ნილოსის წალეკვისა და აობრებისაგან შეიქმნა უმთავრესს საზრუნავად, ხალხი შეუერთდა და სისტემატიურის შრომით დაიწყო ნაპირების გამაგრება. ლ. მეჩნაკოვსკის აზრით, ამნაირივე მნიშვნელობა ჰქონდათ მდ. ევფრატს, ტიგროსს, გიანგას და გოანგეს, ორ უკანასკნელთა მიდამოებში (ჩინეთში), ჩვენ შევხდებით იმგვარ ბუნებას, რომელიც კაცის შრომას უხვად აჯილდოებს, მხოლოდ ამისათვის ის მოითხოვს მუშაკთა სრულ თანხმობას, სასტიკ და მუდმივ დისციპლინას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგივე ბუნება ადამიანს უქადის აღგვას დედამიწის ზურგიდან, აქედან წარმოსდგა აღმოსავლეთის მეფეთა დესპოტიზმი, ვინაიდან მარტო ამ სახის მთავრობას შეეძლო დაემყარებინა ხალხში ერთობა და კავშირი. მაშასადამე, ამათ პოლიტიკურ წყობილების სარჩულად დაედგა ეკონომიური მოთხოვნილება, ამგვარად, ბუნების ძალა აიძულებს ადამიანთა გუნდს ერთმანეთს შეუერთდნენ, და არსდება ეგრედ წოდებული „მდინარეთა ცივილიზაცია“, აქ ერი ვითარდება, მაგრამ ეს განვითარება ძალდატანებითია, მას არა აქვს განდგმული ფესვები ხალხის სოციალურ პირობებში; იგი გამოიწვიეს მხოლოდ ბუნების განსაკუთრებულ თვისებათ. მოსპეთ ეს მიზეზი და მაშინვე დაირღვევა ზედ ამართული წყობილება, ხალხი ისევ ძველებურად დანაწილდება. აშკარაა, აქ თვით ცხოვრებაც ვიწრო რკალით არის შემოზღუდული და თავის წარმატებას უდებს საზღვარს. მეორეც, აქ ეროვნული ცივილიზაცია მოწყვეტილია დანარჩენ ქვეყნისაგან, ის განკერძოებული, კარნაკეტილია, ასე რომ სხვა-და-სხვა ერთა შორის არავითარი კავშირი და მიმოსვლა არ არსებობს. კაცობრიობა დაადგა ერთობის გზას და მით გამოეთხარა ძირი განკერძოებულ ეროვნულ ცივილიზაციას, იგი დაირღვა; მის ნანგრევებზედ აშენდა ახალი ცხოვრება, რომელსაც საფუძვლად დაედო აღებ-მიცემობა, ვაჭრობა, მისვლა-მოსვლა.

ამ სახით საზოგადოება რაც უფრო განმარტოებული და კარ-ჩაკეტილია, რაც უფრო დაბლა დგას კულტურით და განათლებით, მით უფრო ძლიერი გავლენა აქვს მასზედ ბუნებას, მით უფრო ის ბუნების მონა-მორჩილია.

რაკი საკაცობრიო განვითარებამ უარჰყო ძველი განკერძოებული ერთა ცხოვრება, ამით მოსალოდნელი იყო ეროვნების მოუძღვრება. მაგრამ ცხოველ-მყოფელი ძალა ახალის ხანისა იმაში გამოიხატა, რომ ეს ორი წინად შეურიგებელი, ძალა – ერი და კაცობრიობა – ერთმანეთს

დაუკავშირა, ნაწილი შეუერთა მთელს, ერი და კაცობრიობა ხელი-ხელ ჩაკიდებული გამოვიდნენ ისტორიულ ასპარეზზე.

ამ ჟამად კაცობრიობა საშინელის სიჩქარით მისწრაფება ერთობი-საკენ. ის შემოზღუდულია ერთა გავლენით, რომლის საფუძველი ღრმად არის ჩაფლული და ფესვებ-გადგმული ნივთიერ ურთიერთობაში. კაცობრიობის ნაწილთა შორის იყოფა შრომა ეკონომიურად და მათ ნივთიერად ერთი-მეორისაგან დამოკიდებულნი ხდებიან. ევროპა იზიდავს თავისკენ სხვა-და-სხვა საქონელს აზიისას, ამერიკისას, ავსტრალიისას და აფრიკისას, სამაგიეროდ უზგავნის თავისას. მაგ. , 1860 წ. ასტყდა ომი შეერთებულ შტატებში. მაშინ ინგლისის მრეწველობაში ჩამოვარდა კრიზისი, დაიკეტა ქარხნები, გაკოტრდნენ ფულის პატრონნი, აუარებელი მუშა ხალხი დარჩა უსაქმოდ და გაღატაკდა, დაიმშა და სხვ., რაც ჩრდილოეთ ქვეყნებში ხეირობს, იმას სამხრეთის ბუნება არ უწყობს ხელს. ერთს ქვეყანაში წარმოების ერთი დარგი უფრო განვითარებულია, მეორეში მეორე და სხ. ამისათვის იგი ქვეყნები იძულებულნი არიან ერთმანეთს შორის მისვლა-მოსვლა იქონიონ, საქონელი გაცვალ-გამოცვალონ. რა მდგომარეობაშია ამ დროს ერის შინაური ცხოვრება? მისუსტდა ამით ეროვნება? სრულიადაც არა, ერი საკვირველის ძლიერებით ისხამს ფრთებს და ადგება განვითარების გზას, ის თანდათან იყოფა რამდენსამე ეკონომიურ ნაწილად. ერთი კუთხე მოკლებულია იმას, რაც მოდის და წარმოებს მეორეში, ამით ისინი ნივთიერად უკავშირდებიან ერთმანეთს. მაგ. , ლიონში და მის მიდამოებში აბრეშუმეულის წარმოებაა, რუანში-მატყლის, ბოსში-ხორბლის, ლუარაში და პადეკალეში – ნახშირის, ბორდოში ღვინის და სხ. მთელი საფრანგეთი ისე არის დანაწილებული ეკონომიურად, რომ ამ ნაწილებს ერთ დღესაც არ შეუძლიანთ უერთმანეთოდ ცხოვრება, ერი გაერთიანებული ნივთიერად – გაერთიანებულია იდეებითაც. ყველას ჰსურს განავითაროს ეროვნული შრომა, გააღონიეროს ერი, სუსტი ერის საქონელი ხშირად იჩაგრება მსოფლიო ბაზარში. რაც უფრო გაძლიერებულია ხალხში აღებ-მიცემობა, რაც უფრო მეტი საქონელი გააქვთ საზღვარ-გარედ, რაც უფრო სასარგებლოა საერთაშორისო სავაჭრო ხელ-შეკრულობა და სხ. , მით მეტი მოთხოვნილება დასამუშავებელ მასალისა და მუშათა ხელისა. ამ შემთხვევაში მეტად ფასობს როგორც გლეხის ნამუშევარი, ისე მუშის დღიური ფასი. ამნაირად, ერის სიდიადეში დაინტერესებულია, როგორც ბურჟუა-გაჭარი, ისე გლეხი-მუშა, აქ ეროვნულ ცხოვრებას შეგნებულად ეწევა, როგორც უდიდესი საპოლიტიკო მოღვაწე ისე უბრალო სოფლელი.

ნივთიერმა საჭიროებამ ისე გადააჯაჭვა ერის ყველა წევრი ერთმანეთთან, რომ ამის დარღვევა აუცილებლივ თვით ერის სიკვდილს მოასწავებს. აქ ერთობა ნაყოფია ნივთიერი განვითარების და სრულიად დამყარებულია ცხოვრებაზე. თანახმად ამისა შენდება და იცვლება ერის პოლიტიკური ფორმები და ისტორიას ეძლევა ეს თუ ის მიმართულება. ამის თვალსაჩინო მაგალითს გერმანიის ისტორია წარმოადგენს. მე-XV საუკ. აღმოაჩინეს ამერიკა და ოსტ-ინდოეთში მისავალი გზა აფრიკის გარშემო. ამისათვის ვაჭრობა ხმელთაშუა ზღვიდან გადავიდა ატლანტიის ოკეანის ნაპირებზედ. გერმანიის და იტალიის ადგილი ალებ-მიცემობაში დაიჭირეს პორტუგალიამ, ისპანიამ, ინგლისმა და ჩრდილო საფრანგეთმა. ეკონომიკური განვითარება გერმანიისა დაეცა, გათახსირდა. ამას მოჰყვა ეროვნული გრძნობის მისუსტება და ერის დაქუცმაცება. გერმანია (აგრედვე იტალია) დანაწილდა წვრილ-წვრილად, აღვირ-წახსნილ სამეფოებად. აქ გამეფდა პატრიარქალური წეს-წყობილება, ინგლისში კი განვითარდა კაპიტალი. ამ მდგომარეობაში დარჩა გერმანია ამ საუკუნის ნახევრამდინ. ამ საუკუნეში ხელახლა აიდგა ფეხი წარმოებამ და უმაღლეს წერტილამდე მივიდა 1860-1870 წ., ამ დროს აღორძინდა წარმოების ახალი დარგი და გერმანიამ დაიპყრო დიდი ბაზარი. ერი გაერთიანდა ნივთიერად და ამას ზედ მოჰყვა პოლიტიკური გაერთიანებაც, გერმანიამ კვლავ დაიჭირა საბატო ადგილი ევროპაში.

ამნაირად, საკაცობრიო და საგვარ-ტომო გაერთიანება შესაძლებლად ხდება ნივთიერ ნიადაგზედ, როცა ეკონომიური განვითარება იქამდინ მიდის, რომ შრომა ნაწილდება, როგორც სხვა-და-სხვა ერთა, ისე ერთსა და იმავე ერის ნაწილთა შორის, თანახმად კულტურისა, ნიადაგისა და ჰავის თვისებათა. ამით მკვიდრდება ნივთიერი ერი საფუძველი ერთობისა და იბადება მტკიცე ეროვნული ცხოვრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ პოლიტიკურ-ეკონომიური პირობანი არ აჩვენებს ერთად ცხოვრებას, თუ ცხოვრება და კულტურა არ აერთიანებს და არ აკავშირებს ადამიანთა ჯგუფს ერთი-მეორესთან, ისე არავითარ გარემოებას არ ძალუძს ისტორიული მღელვარებით დაქსაქსული ერი ერთ უღელში შეებას, ცხოვრების ტაპანი ერთად გააწევიოს...

## II

აი, ეს აზრი წავამძღვართო წინ და ამ მხრივ დავაკვირდეთ ქართველ ტომის ხალხთა მდგომარეობას; ვნახოთ რა სურათს წარმოგვიდგენს ის

დღეს ან რა იყო წარსულში. შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ქართველები ერთ ერს შეადგენენ, საერთო ეროვნულ ცხოვრებას შეგნებულად ეწევიან? თუ ეს მხოლოდ გაკრიალებული ფრაზები, ოცნების ნაყოფია, დაფუძნებული ზოგიერთი პირის სურვილზე და არა თანამედროვე ნამდვილ ცხოვრებაზე?

ყველა ხალხი თავის ისტორიულ განვითარებაში ექვემდებარება რაიმე წეს-რიგს, რაიმე კანონს. ამ კანონის უმთავრეს მუხლს შეადგენს ის ხანა, როცა ხალხი ჰგრძნობს თავის-თავს ერთ ერად, ჭირში და ღვინაში განუყრელად, აქვს წარმოდგენა თავის ეროვნულ <მე>-ზე და ამას შეგნებულად იცავს, მაგ. , ფრანგები, არისტოკრატი იყოს თუ დემოკრატი, ლიბერალი თუ რადიკალი, ეროვნების საქმეში ყოველთვის სრულ ერთობას იჩენენ აზრებისას, მიმართულებისას და გულისთქმისას, თუმცა შინაურ ცხოვრებაში მუდამ და დაულალავად ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ ერთად დგანან, ერთ დროში ქვეშ იკრიბებიან, ერთი მეორესთვის თავს სდებს, როცა მათ ეროვნულ თვით-არსებობას განსაცდელი რამ მოელის, როცა გარეშე მტერი მიჯნას გადმოსცილებია და ქვეყანას ალგვას უპირებს. ამ შემთხვევაში იღვიძებს დროებით მიძინებული ერთ-სულეა და ერთი მეორის დაუცხრომელნი მტერნი საომარ ველზედ ხელი-ხელ გაყრილი გამოდიან. ეს არის ეროვნების არსებითი თვისება, ნაყოფი საერთო პოლიტიკო-ეკონომიური ცხოვრებისა, განმტკიცებული თანამედროვე წყობილობით და შეგნებული ადამიანურის ცხოვრებით. ახლა ვიკითხოთ: ქართველობამ ეს ხანა გაიარა, თუ ამ ხნის კარებთან არის გაჩერებული?

საქართველოს ნაწილებს შეადგენენ: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, მესხეთი, აჭარა-ქობულეთი, სამეგრელო, სვანეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი და საინგილო. საქართველოს ყველა ქვეყანებში, რომელნიც ესხლა ჩამოვთვალეთ, ცხოვრობენ ქართველები, რომელნიც ერთი ტომის, ერთის შთამომავლობის, ერთი სისხლის და ხორცისანი არიან.... ყველა იმათ ჰქონდათ და აქვთ ერთი და იგივე ენა, ერთი და იგივე ზნე-ჩვეულება, ერთი და იგივე მწერლობა. ეს სახელწოდებათა უმრავლესობა გვიხატავს, არა მარტო ადგილთ-მდებარეობას, არამედ იმ ჯგუფთ ქართველის ტომისას, რომელნიც ბინადრობენ ამა თუ იმ მხარეში. როდესაც ჩვენ ვამბობთ: გურული, მეგრელი, კახელი და სხ. მაშინვე თვალ-წინ გვხვბატება ის განსაკუთრებითი თვისებანი, რითაც ისინი განირჩევიან ერთიმეორისაგან. თვითეული ჯგუფი წარმოადგენს ერთ მთელს: მნით, ხასიათით, ბუნებრივი ნიჭით, ტემპერამენტით, მოქმედებით და სხ., ასე რომ არც ერთი მხარე

ცხოვრებისა ნათლად არ გვიჩვენებს ურთიერთს შორის ეროვნულ დამოკიდებულებას. მხოლოდ ენა და გვარტომობა გვეუბნება, სუყველა ქართველები ხართო. მაგრამ ამ დასკვნამდინ ჩვენი ერი ჯერ ვერ მისულა, ეს თავის თავად მარტივი ჭეშმარიტება ჯერ შეგნებული არ არის. განა ინგილოელს და მეგრელს შეუძლიანთ წარმოიდგინონ ურთიერთშორისი დამოკიდებულება და ერთობა? ან რა აქვთ საერთო, მაგ. სვანს და აჭარელს, სამურზაყანოელს და კახელს, ჭანელს და მთიულს, გურულს და ხევსურს? ესენი განა ჰგრძნობენ თავის თავს ერთ ერად? ამათ აერთებთ საერთო ინტერესები, საერთო ჭირი და ლხინი? საქართველოს ნაწილები ჰგრძნობენ უფრო განსხვავებას, ვიდრე ერთობას. ეტნოგრაფიული კრებული შეიძლება საუბრობდეს ერთ ენაზე, მაგრამ ეროვნებას არ შეადგენდეს – ამბობს პროფ. კარვევი. ეროვნებას შეგნება ჰქმნისო დასძენს იგივე. სწორედ ეს შეგნება აკლია ქართველ ხალხს. ამისათვის, სადაც ეროვნული შეგნება არ სუფევს, იქ არც ეროვნება არსებობს, იქ მხოლოდ ადამიანთა გუნდია, ეტნოგრაფიული კრებულია.

ერს ვერ შეჰქმნის და ვერც დაარღვევს სურვილი დიდებულთა და მეცნიერთა, ის არის ნაყოფი ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრებისა. თუ ჩვენ დღეს დაქსაქსულნი და უძღურნი ვართ, თუ ჩვენ შორის განხეთქილება და უთანხმოება არის, ერთის სიტყვით, თუ ქართველობა არ წარმოადგენს ერთს ცნობიერად განვითარებულ ერს, ეს მხოლოდ შედეგია ისტორიულის წარსულისა და ამასთანავე უმთავრესი მიზეზია ერის მისუსტებისა. დღევანდელი ჩვენი ცხოვრება ლოლიკური დასკვნაა წარსულისა, ამისათვის თუ პირველის ახსნა გვსურს, ჯერ უკანასკნელი უნდა გავიგოთ.

### III

ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, რომ ერის შეგნებულად გაერთიანებას წინ მიუძღვის ნივთიერი გაერთიანება, ესე იგი, იზადებიან ამისათვის საეკონომიო პირობები, რომელნიც ძალა-უნებურად აკავშირებენ ერის ნაწილებს და გამოჰყავთ ერთობის გზაზედ. ამგვარად მომზადებულ ნივთიერ საფუძველზედ შენდება შესაფერი პოლიტიკური, გონებრივი და ზნეობრივი მხარეები, თუ ამ თვალთა-ხედვის ისარს მოვიმარჯვებთ და ამ მხრივ გადავხედავთ წარსულს, მაშინ ნათლად გამოვარკვევთ ისტორიის იმ დედაძარღვს, რომელიც მთელ ამ ისტორიის არსებობას ამოძრავებს.

გეოგრაფიულის მხრივ საქართველო წარმოადგენს საკვირველ სხვადასხვაობას. მას ლიხის მთა ჰყოფს ორ დიდ ნაწილად; ამერეთად და იმე-

რეთად. ეს ორი მხარე მეტად გაირჩევა ერთმანეთისაგან, როგორც მდებარეობით, ისე ბუნების თვისებებით: ნიადაგით, ჰავით, მცენარეულობით და სხ. ამნაირად ერთი ერი ბუნებამ გაყო ორად და ცხოვრებას მიეცა ორი ბუნებრივი კალაპოტი. ამასთანავე როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი საქართველო იმავე ბუნების წყალობით ნაწილდება რამოდენსამე კუთხედ. თვითოეული კუთხე ბუნების ძალით და ნაყოფიერებით სხვებს არ ემსგავსება. ამასთანავე ყოველი გეოგრაფიული კუთხე, თანახმად თავისი ბუნებისა, ეკონომიურად ერთ მთელს წარმოადგენდა: აქ მოდიოდა ყველაფერი, რაც კი მკვიდრის მოთხოვნილებას შეადგენდა. ამგვარად, ერთის მხრით საქართველო გეოგრაფიულად განიყო რამოდენსამე მხარეებად და ყოველი მხარე გარშემორტყმული იყო ურთი-ერთისგან განსხვავებული მთა-გორებით, მდინარეებით, მიუვალი ტყეებით და სხ. . მეორეს მხრით ამ თვითეულ ფარგლებში მყოფ მხარეს ბუნება ღმობიერად ეპყრობა, ადამიანს და მისს მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში მოთხოვნილებაც მცირე და ადგილობრივი ნიადაგის შესაფერი უნდა ყოფილიყო. სადილი აზნაურისა, თავადისა და მთავრისა არაფრით განირჩეოდა ერთმანეთისაგან... ცხოვრება იმდენად სადა იყო, რომ მთავარი ხშირად ბინავდებოდა უიატაკო ქოხში ... მეფე, რომელიც ერთის ბრძანებით უსწრაფებდა სიცოცხლეს ქვეშევრდომს, ომის დროს ნაკლებად განირჩეოდა იმათგან: ყველასთვის სადილი, ქვეშსაგები ერთი და იგივე იყო, მხოლოდ გლეხი ემსახურებოდა აზნაურს, აზნაური თავადსა და თავადი – მეფეს ... მკვიდრნი სარგებლობდნენ ადგილობრივი ბუნების ნაყოფით, შორიდან საზრდოს გადმოტანისათვის არ ზრუნავდნენ, კმაყოფილდებოდნენ იმითაც, რაც ხელთ ჰქონდათ. ამგვარად ხალხს მეტად განსაზღვრული მოთხოვნილება აქვს; ის ცდილობს ბუნების დამორჩილებას და ცხოვრების გაფართოებას. პირიქით, თვითონ ეკედლება ბუნებას და ყმაწვილივით სწოვს იმის ნაყოფიერ ძუძუს, მაგ. , დადიანი თევზაობის დროს ცხოვრობდა რიონთან ახლოს, ჯიხვზე, ირემზე და ღორზე ნადირობის დროს ცხოვრობდა ოდიშში, სადაც გროვდებოდნენ გარეული ცხოველები; ზაფხულობით კი ლეჩხუმში იყო ხოლმე, სადაც მიირთმევდა პურს და არა ღომს.

მართალია, ზოგ ალბათს ბუნება ძლიერ ძუნწობს, მაგრამ ადამიანი იქაც ბუნების მორჩილებაშია და თავის ცხოვრებას ამის შესაფერისად აშენებს. რაკი ქვეყანა დანაწილებულია ამგვარ კუთხეებად, რომ თვითოეული მათგანი წარმოადგენს ეკონომიურად განსაკუთრებულს საზოგადოებას, რომ-

ლისთვის უნდა სუფევდეს ერთობა და კავშირი? ყველა ნაწილს აქვს, რაც საჭიროა ცხოვრებაში სასმელი, საჭმელი, ტანისამოსი და სხ. ამით ისპობა გაცვლა-გამოცვლის, ვაჭრობის ნიადაგი. ეხლაც ბევრი მამრებია ჩვენში ამგვარს ნივთიერს პირობებში დარჩენილი. აი რას მოგვითხრობს თანამედროვე მოგზაური სვანების შესახებ: „სვანებს აქვთ ყველაფერი რაც სჭირდებათ ცხოვრებაში, ტანსაცმელს თვითონ ქსოვენ, იარაღს თვითონ აკეთებენ, თოფის წამალსაც, ვერცხლეულობასაც, ხანდახან ოქროთ მოჭედილსაც თვითონვე სჭედენ“. ერთის სიტყვით, სვანებს ყველაფერი საკუთარი აქვთ, ასე რომ სხვა მამრებიდან აქ არაფერი მოდის. ამნაირ მდომარეობაში იყო 30-40 წლის წინად არა მარტო სვანეთი, არამედ მთელი საქართველო, თვითეული პროვინცია, თვითეული კუთხე, თვითეული სოფელი და ოჯახი თვითონ იმზადებდა თავისთვის ყველაფერს, რაც კი საჭირო იყო. პური სადაც მოდიოდა, იქვე იფქვებოდა და იხარჯებოდა; მატყლი და ბამბა ადგილობრივ იქსოვებოდა და იცვითებოდა.

ამნაირად, ხალხის შემაერთებელი ძალა მისუსტებული, მიმქრალეული იყო. ნივთიერი საჭიროება არავის ძალას არ ატანდა ვისმეს შეერთებოდა და მისვლა-მოსვლა გაემართა. ყველა კუთხე ეკონომიურად კარ-ჩაკეტილი დარჩა, ამისათვის აქ ვერ ვხედავთ რიგიან გზებს, ბოგირებს და სხ. საქართველოს ორი დიდი ნაწილი, იმერეთი და ამერეთი, ვერ იყო შეერთებული ადვილად მისავალ-მოსავალი გზით. მე-XVII საუკუნეში ქართლიდან იმერეთში გადასასვლელი გზები მეტად საშიშარნი იყვნენ, რადგანაც ტყე გაუტეხარი იყო, გზა გაუკეთებელი, მთები ვიწრო და გაუალ. ამ საუკუნის დამდეგს თ. ციციანოვს გაჰყავს გზა სურამსა და ქუთაისს შუა. იმ გზის საშუალებით შესაძლებელი გახდა თავისუფლად მისვლა იმერეთ-სამეგრელოსთან, წინადაც ყოფილა გზები, მაგრამ მთები, ხეობები, გაუტეხელი ტყე შესაძლებლად ხდიდნენ მოგზაურობას მხოლოდ ქვეითად და ცხენით მიმავალთათვის. ეს უგზო-უკვლობა იყო მიზეზი, რომ იმერეთს მტერი ხშირად არ შეესევოდა ხოლმე. ამნაირსავე სურათს წარმოგვიდგენს თვითეული პროვინცია ცალ-ცალკე, მაგ. , ხევსურეთში ზამთრობით მოგზაურობა სრულად მოუხერხებელი იყო. თუშეთში უგზობობის გამო მისვლა-მოსვლა საძნელოა, ზამთრობით კი სრულიად ისპობა. ასევე იყო გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში, რაჭაში და სხ.

ამნაირ ნიადაგზედ, რასაკვირველია, ვაჭრობა ვერ აღორძინდებოდა. ამისათვის ის მისუსტებული, მიმქრალეული იყო. მართალია, ხანდახან თავს წამოჰყოფდა, წელში გამართვას დააპირებდა, მაგრამ ამ ცხოვრე-



ბის მეტ-ხორცს ჩქარა ეთხრებოდა ორმო და ჰქრებოდა. ჩვენს ისტორიაში ვხედავთ, რომ ალებ-მიცემობა უცხოელებთან მხოლოდ შავის მღვის პირას იყო გამართული (ფაზისი, დიოსკურია) და ისიც დრო-გამოშვებით. მე-XIV საუკუნის შემდეგ იქაც სუსტდება. მეორეს მხრით თფილისი იღებდა ზოგ საქონელს თავრიზიდან, მაგ., ფარჩას, აბრეშუმს, მარილს, რკინას, ერბოს, მატყლს და სხ. ქართველებს ეს ხელობა (ვაჭრობა) ისე სამარცხვინოდ მიაჩნდათ, რომ თვითონ თავილობდნენ და სხვა ტომის ხალხს, ურიებს და სომხებს, ახვევდნენ თავზედ, თუმცა მეფეები ვაჭრობას დიდ მფარველობას უწევდნენ, მაგრამ ფეხი მაინც ვერ მოიკიდა ტფილისში ვერც ერთს სამრეწველო ქარხანას ვერ ვხედავთ, თ. ციციანოვი სწუხს, რომ ტფილისში არავითარი ქარხნეულობა არ არის და სთხოვს მთავრობას ტყავის და მაუდის (სალდათების ჩასაცემლად) ქარხნის გამართვას. რაც შეეხება საქართველოს ნაწილთ შორის ალებ-მიცემობას ეს სრულად არ სჩანს, ქართველთ არ ჰქონდათ ერთი-ერთმანეთში გასაცვლელი. ამ საუკუნის დამდეგს ლეჩხუმში ყოფილა რამოდენიმე ვაჭარი, იმათ საქმე ისე ცუდად წასულა, რომ თავიანთ ოჯახსაც ვერ ინახავდნენ. ზოგიერთ კუთხეში ვაჭრობა სრულებით არ არის, ვაჭრობის მნიშვნელობა სვანებს ჯერაც ვერ შეუგნია, სვანები ფულზე კი არა ჰყდიან, არამედ სცვლიან ერთმანეთში საჭირო საქონელს, ერთი სიტყვით ფული ვაჭრობაში არა ტრიალებს, მხოლოდ გაცვლა-გამოცვლა აქვთ საქონლისა. მთელ სვანეთში ერთი ვაჭარი არ არის, არც ერთი დუქანი, არც ერთი ბაზარი, ერთის სიტყვით, არაფერია ვაჭრობისა, როგორც რიგია და როგორც კავკასიის სხვა მამრებში იციან, არ არის ამ ქვეყანაში. თუ კი საქართველოს ერთ ნაწილში ისე არის დღეს, დანარჩენ ნაწილში რაღა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ისტორიულ წარსულში?

ჩვენ ვამბობდით, ყოველი კუთხე საქართველოსი წარმოადგენდა ეკონომიურად განკერძოებულ ადგილს, შრომის განაწილება, ალებ-მიცემობა, წარმოება თითქმის სრულებით არ არსებობდა და თუ ხანდახან აქა-იქ თავს იჩენდა, ისიც ისე ხანმოკლეედ და სუსტად, რომ ცხოვრების მიმდინარეობაზედ არავითარი გავლენა არ ჰქონდა. ამ გარემოებამ დააყოვნა კარნაკეტილი ცხოვრება ქალაქებისა, პროვინციებისა და სოფლებისა. აღორძინდნენ და განვითარდნენ იმგვარი ეროვნული თვისებანი, რომელნიც აშორებენ, აცალკევებენ სხვა-და-სხვა ჯგუფთ ქართველის ტომისას. პირველად ენა ითვისებს მრავალნაირ კილოს (გურული, რაჭული, მთიულური და სხ.) და იცვლება თვითვე (მეგრული, ჭანური, სვანური და სხ.).

მტკიცდება განსხვავებული ზნე-ჩვეულება, ხასიათი, შეხედულება და სხ.

ახლა ვიკითხოთ, რა გავლენა ჰქონდათ ამ საეკონომიო პირობათ პოლიტიკურ წეს-წყობილებაზე? შეუძლიათ ნივთიერად გაცალკევებულ ნაწილებს პოლიტიკურად გაერთიანება?

#### IV

ჩვენს ისტორიას თან დაჰყვა ერთი ძალა, რომელიც მატლივით ჩაჯდა ცხოვრების სათავეში და დაიწყო ღრღნა ქართველთ ერთობას. ეს იყო საქართველოს მიდრეკილება დანაწილებისადმი.

პოლიტიკური დანაწილება ანუ დაყოფა ერისა არის აშენებული და გამგრებული ეკონომიურ განცალკევებაზე და დამოუკიდებლობაზე. რაკი რომელიმე მხარე ნივთიერად კარ-ჩაკეტილია, ამით აშკარაა, იმას ერთმევა ერთი უძლიერესი დედა-ძარღვი დანარჩენ ქვეყანასთან მისვლამოსვლისა და ერთობისა. ამ შემთხვევაში ერში ბატონობს ფეოდალური წეს-წყობილობა. ამნაირ წყობილობას ბოლო აღარ ექნებოდა, რომ მის გვერდით არ დაბადებულიყო მეორე ძალა, სრულიად წინააღმდეგი პირველისა. მე-XIV-XV საუკუნეებში ევროპამ გაიცნო ახლად აღმოჩენილი ქვეყნები და გაიტაცა გამდიდრების, ოქრო-ვერცხლის შეძენის სურვილმა, აი ამ გზაზე დაიძრა ევროპის ხალხი, გაიმართა მისვლა-მოსვლა ახალ ქვეყნებში, მოთხოვნილებაც თანდათან გაფართოვდა და გამრავლდა. ამან გამოიწვია შრომის დანაწილება და ვაჭრობა. ამგვარ მიდრეკილებამ პირველად ქალაქებში იჩინა თავი. აქ მოგროვდა სავაჭრო საქონელი, როგორც საზღვარ-გარედ გასატანი ისე შემოსატანი. ქალაქი ნელ-ნელა გახდა ეკონომიურ შუაგულ ადგილად. ახალ საქმეს დასჭირდა განსაკუთრებული მფარველობა, ხელის შეწყობა, და აი გაჩნდა ძლიერი პოლიტიკური ძალა, ქალაქში გამოიკვანძა ყველა ძაფები პოლიტიკური ცენტრისა. ამ სახით აქ ვხედავთ ჩვენ ორ ძალას, ორ დედა-აზრს: ერთი არის დამყარებული შრომის ერთ-გვარობაზე და ნივთიერ განკერძობაზე (ფეოდალიზმი), მეორე კი შრომის ეკონომიურად დანაწილებაზე და ნივთიერ გაერთიანებაზე (ბურჟუაზია); პირველის ბუდე-სიმაგრე სოფელია და კოშკი, მეორისა ქალაქი და დუქანი; პირველი აღჭურვილია ხმალ-ხანჯლით, მეორე ოქრო-ვერცხლით ანუ ფულით. ასტყდა ხანგრძლივი ბრძოლა ამ ორ მოვლენათა შორის, ცხოვრება დაადგა ახალ-გზას და ორმო გამოეთხარა ფეოდალიზმს, ფეოდალი, მეფეთა მიერ დაუმორჩილებელი, დაიმორჩილა ვაჭარმა, ქედი მოიხარა ფულის წინაშე. დაიწყო ერთა გაერთიანება და

ერთ-მთავრობის დამყარება. ასე მოხდა ევროპაში. ჩვენში კი სხვანაირად დატრიალდა ისტორიის ჩარხი. საქართველოს ამოხდა სული (პოლიტიკურად) შუა გზაზე, თუ შეიძლება ასე ითქვას; ეს იგი გაიმარჯვა და დამკვიდრდა ფეოდალიზმი და ბოლო მოეღო ქართველთ ერთობას.

„ქართლის ცხოვრების“ თქმით, საქართველოს საერისთავოებად დაყოფა იწყება მეფე ფარნაოზის დროს (III საუკ. ქრისტეს წინ) და თავდება მე-XVII საუკუნით. ცხრამეტე საუკუნის განმავლობაში (გამოკლებულია დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დრო) ქართველობა წარმოადგენდა არა ერთ მთელს ერს, არამედ რამდენსამე დანაწილებულ ჯგუფს, რომელნიც ცხოვრობენ სხვა-და-სხვა გეოგრაფიულ და ეკონომიკურ პირობათა შორის; გარშემო სხვა-და-სხვა ხალხი არტყიათ, მტერთან ცალკე-ცალკე იბრძვიან და შინაური მართვა-გამგეობა სხვა-და-სხვა გვარად აქვთ მოწყობილი. ამისათვის თვითეულ ნაწილს ჰქონდა და აქვს თავისი ისტორია, თავისი ცხოვრების საკუთარი წესრიგი. რაც დრო წინ მიდიოდა, მით უფრო სუსტდებოდა ერთობა, სამაგიეროდ შუღლი, ქიშპობა და განხეთქილება თან-და-თან მატულობდა და ფესვს იდგამდა ცხოვრებაში. მიდრეკილება დანაწილებისადმი ისეთი ძლიერი იყო, რომ თვით ეგრედ წოდებულ ოქროს საუკუნეებმაც, კი ვერ შეარყია და რამდენადმე მაინც ვერ შეასუსტა. მართალია, დავით აღმაშენებლისა და თამარის მეფობის დროს საქართველო ერთ პოლიტიკურ ერად სტკბებოდა, საერთო ისტორიულ უღელს სწევდა, მტერს ერთად მტრობას უწევდა და მოყვარეს მოყვრობას, მაგრამ ყველა ეს დროებითი, წარმავალი იყო, ეს არ იყო შედეგი და დასკვნა ერის ეკონომიური განვითარებისა, არ იყო ქვეყნის გულიდან წარმოშობილი. მხოლოდ იმისთანა მშრომელ, მხნე და გამრჯე მეფეთ, როგორებიც იყვნენ დავით აღმაშენებელი და თამარი, შეეძლოთ დროებით მაინც შეერთებინა მთელი ქართველობა, მოშორდნენ თუ არა ისინი ამ ქვეყნიურ ცხოვრებას, მაშინვე დაირღვა, ერთობა და გაქრენ საქმენი მათ მიერ დაწყებულნი. საქართველო დაიყო ერთი მეორის მოწინააღმდეგე ნაწილებად: ქართლ-კახეთ-სამცხე-იმერეთად და წვრილ სამთავროებად. ამ დროს გარეშე მტერს შორის მოხდა შესამჩნევი ცვლილება, სპარსთა მიიღეს განსხვავებული სჯული (შიიტობა) და მტრად გაეხდნენ ოსმალოებს (სუნიტებს). ამ ორ ბანაკთა შორის ასტყდა ხანგრძლივი ბრძოლა იმაზე, თუ ვის უნდა რგებოდა საქართველო. იმერეთი იმყოფებოდა ოსმალების გავლენის ქვეშ, ქართლ-კახეთი – სპარსეთისა, ერთის მხრით ამ გარეშე მტერთა მეოხებით, მეორეს მხრით ბუნებრივის (ესე იგი გეოგრაფიული) და ეკონომი-

ურის მიზნებით საქართველოს ნაწილები სრულიად არ მიისწრაფოდნენ ერთი რომელიმე პოლიტიკური ცენტრისკენ, ერთ მეფობისკენ, მხოლოდ ამნაირი მიდრეკილება სუფევდა, მაგრამ არა ერში, არამედ თითო ოროლა შორსმჭვრეტელ პირებში, რომელთაც მოინდომეს ცხოვრების კალაპოტის გარდაქმნა და რასაკვირველია, უნდა დამარცხებულიყვნენ.

თანხმობა, ერთობა არ სუფევდა არა თუ სამეფოთა შორის არამედ თვით ერთსა და იმავე სამეფოშიც, ამის მკაცრ მაგალითს გვიჩვენებს იმერეთი XVIII საუკ. გასულ და XIX საუკ. პირველ მეოთხედში. სოლომონ მე-II-ის საშინაო პოლიტიკა იყო მიმართული ხელქვეით მთავრების ასალაგმავად და სამეფოს სრულიად გასაერთიანებლად. „იცნა რა მანუჩარმა (ოდიშის მთავარმა მეფის მიერ პირველად მტკიცებული და შემდეგ უარყოფილი) ვიდრე მეფეს არა სწადის არა რომელიმე ძედა დადიანისათა კეთილი, ამისათვის მივიდა გიორგისთან (მთავრად ნამყოფ დევნილ მეფის მიერ) ძმისა თავისასა და შეუერთდა მეფისა საბრძოლველადა“ – ამბობს თ. ნიკოლოზ დადიანი თავის „ქართლის ცხოვრებაში“. მეფემ მოინდომა პირველად ოდიშის მთავრის დამორჩილება და მისი მართვა-გამგეობის შეზღუდვა. ამის გამო მეფე და მთავარი შეეჯახნენ ერთმანეთს და ამ შეჯახებაში დამარცხებული დარჩა მეფე.

თვით სამთავროებში კი იყო ერთობა? ხშირად მთავრებს ებრძოდნენ ქვეშევრდომი მებატონეები და კიდევ სძლევენენ, ამის მაგალითს ერთ-ორს მოვიყვანთ, „ბერი გელოვანი (ლენხუმის მოურავი) დაუტევა ერთ-გულეა მეფისა, რათა ქმნას ერთგულეა დადიანისა, ამისათვის მოუწოდა იგი ლენხუმს, წარვიდა დადიანი ნოლიდან და მოვიდა თამოკონს (სოფელი სამეგრელოში) და მისცა თამოკონი ჯოღორია დგებუაძემ“. აქედან ცხადია, რომ მთავრისთვის თავისი ხელ-ქვეით სოფელში გასავლელად მებატონის ნებართვა ყოფილა საჭირო. მე XVII საუკ. საჩხერეში გაძლიერდა ორი გვარი: აბაშიძე და წერეთელი, იმათ ააშენეს ციხე „მოდინახე“. მეფე ალექსანდრე მე-V-ს არ ეპიტნავა ეს ამბავი. იმან დაჰპატიჟა დავით აბაშიძე და პაპუნა წერეთელი, სიძე-სიძემრი, ორივე მუხთლობით მოჰკლა და უნდოდა ამით ადგილ-მამულის ხელში ჩაგდება, მაგრამ პაპუნა წერეთლის ცოლმა გამოიღო ხელი, გამაგრდა „მოდინახეს“ ციხეში და მეფემ ვერ უყო-რაა – ამბობს ბ. გიორგი წერეთელი. საზოგადოდ, ლიხის მთის იქით მხარეს დაუსრულებელი ომები იყო მეფეთა შორის, ათაბაგთა და მეფეთა შორის, მეფეთა და ერისთავთა შორის, ამას გვიმტკიცებს თითქმის ყოველი ფურცელი „ქართლის ცხოვრებისა“.

აქედან ნათლად სჩანს, რომ არეგ-დარევა, შუღლი და მტრობა მუდამ არსებობდა პირველად სამეფოებს შუა, მეორედ, სამეფო და ხელქვეით სამთავროებს შორის, მებატონე, მთავარი და მეფე, სამი პოლიტიკური ინსტანცია, დაუცხრომელ ჭიდილში იყვნენ. სოფელი, სამთავრო, სამეფო, ეს სამი ასპარეზი ძალმომრეობისა, განუწყვეტლივ ბრძოლაში იყვნენ ერთმანეთთან, აი რა ნაირი საისტორიო განვითარების დუღილში იყო ქართველთა ცხოვრება? აი რითი დაასრულა საქართველომ პოლიტიკური თვით-არსებობა? სად არის აქ საერთო პოლიტიკური წყობილება? ისტორიამ ჩვენი ერი დაჰყო და არ შეკვრაო, განხეთქილება და ქიშპობა ჩამოაგდო და არა ძმობა და ერთობა, ამ ნაირად ცხოვრების ნივთიერ საფუძველზედ აგებული იქნა შესაფერი პოლიტიკური ყოფა-მდგომარეობა. მხარე ნივთიერად კარჩაკეტილი და განთვითოებული, პოლიტიკურად განკერძოებული შეიქმნა.

როგორ უნდა გასწორდეს ეს ისტორიის მიერ ნაანდერძევი მდგომარეობა? ჩვენ ვამბობთ – სიმძლავრე ერთობაშიაო, ისტორიამ კი ეს ერთობა ხელიდან გამოგვაცალაო, ჩვენ ვამბობთ – ხალხს უნდა შეიმუშაოს ერთი ეროვნული „მე“ ცნობიერებით გაშუქებული, ისტორიამ კი ჩვენი ეროვნული „მე“ დაახურდავა, დააწვრილმანა, რანაირად უნდა გაიხსნას ეს კვანძი? ნუ თუ ხსნა არსად არის? ნუ თუ საქართველოს შეგნებულად გაერთიანება შეუძლებელია? თუ კი მთელი ჩვენი ისტორიის მიმართულება იყო ქართველობის დაცალკევებისკენ, რა სასწაულით უნდა მოხდეს დღეს ეს სასურველი ერთობა? ნუ თუ ისტორიული მოძრაობა არავითარ კანონს განვითარების არ ექვემდებარება?

## V

ისტორიულმა განვითარებამ ერს ორი წინადადება დაუდევა, ორივე აუცილებელი და ასე თუ ისე გადასატრეღია, ორივე ერთი-მეორეს წინააღმდეგი და შეუთანხმებელია; ან საკუთარის ძალ-ღონით უნდა დაერღვია ძველი დახავსებული წეს-წყობილება, შეემუშავებინა ერთი პოლიტიკური ცენტრი და მით გაეძლიერებია ეროვნული ცხოვრება, ან სხვა უფრო მძლავრი ერისათვის მიემართნა შემწეობისათვის და ეთხოვა მფარველობა, ამით თავის ბედ-იღბალი სხვის ხელში ჩაეგდო და ეროვნებაც განსაცდელს მისცემოდა. ამ ორ დედა-აზრს ერთი რამ აქვთ საერთო, ორივეს მსხვერპლად ფეოდალიზმი უნდა გამხდარიყო, ორივეს უნდა მოესპო ერის დანაწილება. მხოლოდ ეს ორი ძალა ამ მიზანს სხვა-და-სხვა ნაირად აღწევენ.

მე-XVI-XVIII საუკუნეები წარმოადგენენ იმ ხანას, როცა ევროპაში ერთი მხრივ ვითარდება შრომა, ძლიერდება აღებ-მიცემობა და ვაჭრობა, მეორეს მხრით ირღვევა და იღეწება ძველი მობერებული პოლიტიკური ფორმა (ფეოდალიზმი). აი ასე მიმდინარეობს ისტორიული მსვლელობა, როცა ის ბუნებრივ დულიზმედ და ზრდაზმედ არის დამყარებული. ჩვენში კი ესევე გარემობა უკუღმა დატრიალდა. ავხსნათ.

ფეოდალურმა წყობილებამ ისე დასცა და დაარღვია ქართველობა, რომ მისი გამგეობა ბოლოს შეუძლებელი გახდა. მე-XVIII საუკუნის გასულსა და მე - XIX საუკ. დასაწყისში შემოვარდა ჩვენს ცხოვრებაში გარემე საპოლიტიკო ძალა და საუცხოო სისწრაფით აასრულა თავისი დანიშნულება: ფეოდალები ალაგმა, ურჩი დაიმორჩილა, ერთი მთავრობა დაამყარა და სხვა ამისთანები, ისეთი სიადვილით და შეუშფოთველად, თითქო აქ არა მომხდარა-რაო. ისეთის საკვირველი სიწყნარით და სამარისებურის სიჩუმით გასძვრა ერს ეს პოლიტიკური ქერქი, თითქოს ერთი ხორც-მეტი მოიჭრა და გადაისროლაო. ცხადია, ერი ვერ მიხვდა-რას იძენდა და რას ჰკარგავდა. რატომ? იმიტომ რომ ზევით, პოლიტიკაში, მოხდა ისეთი ცვლილება, რომელსაც არავითარი ნივთიერი საფუძველი არ ჰქონდა მომზადებული ქვევით ცხოვრებაში. ხალხის გული ზღვაა, სადაც საშომარი ღელვა ასტყდება, მხოლოდ მაშინ, როცა ქარიშხალი თვით ზღვას მისწვდება და ტალღებს გამოიწვევს. ფეოდალიზმი მოისპო, მაგრამ ქვეყანა ისევ ძველებურ საეკონომიო ვითარებაში დარჩა, ისევ ძველი განცალკევება, განთვითობა სოფლებისა, პროვინციებისა და ქალაქებისა სუფევდა. ის, რაც ქვევიდან უნდა დაწყებულიყო, დაიწყო ზევით პოლიტიკურ სფეროში. ახალი, უცხო ფორმა ვერ მიაღდა ძველ შინაარსს და აი აქ ტყდება ჩვენი ცხოვრება, აქ ვაკეთებთ ისტორიულ ნახტომს და ბუნებრივი, თავისებური ზრდის მაგივრად ჩვენ ვვითარდებით უნიადაგოდ, უთავ-ბოლოდ, უწყს-რიგოდ. რასაკვირველია, ადრე თუ გვიან უნდა შერყეულიყო ერის ეკონომიური მდგომარეობა, მოქალაქეობამ დააპირა ფეხზე დადგომა, მაგრამ ამისათვის საჭიროა განსაკუთრებითი მფარველობა, შემწეობა, ხელის შეწყობა, ერთის სიტყვით, საკუთარი პოლიტიკური ძალა. ჩვენი უსუსური ვაჭრობა, აშკარად ვერ გაუძლებდა ამ ნიადაგზედ მომწიფებულ ერთა უღმობელ კანონს კონკურენციისას. ისტორიამ ერთხელ კიდევ დაჰკრა თავში ჩვენს ხალხს: უკან ჩამოდექი, კუთხეში მიკექი, ვერა ხედავ სხვა მოდისო. ამგვარად ერს აერია გზა კვალი, ვერ გაიგნო, რა ექმნა, საითკენ წასულიყო, დაუძღურდა და მედგრად წინ-სვლის მაგიერ დაბარბაცდა და წაბორ-

ძიკდა. ამ მდგომარეობაში დაჰყო მან ნახევარ საუკუნემდე მეტი.

უკანასკნელი 20-25 წ. განმავლობაში ჩვენი ცხოვრება შესამჩნევად შეიცვალა. შემდეგ ბატონ-ყმობის მოსპობისა, ფოსტა-ტელეგრაფის და რკინის გზების გამართვისა ფეხი აიდგა მრეწველობამ და ვაჭრობამ, გაძლიერდა მიმოსვლა და ალებ-მიცემობა. ვაჭრობა შეიქმნა რევოლუციურ ძალად ჩვენის ქვეყნისა. ვაჭარი არ კმაყოფილდება ერთი რომელიმე განსაზღვრული ტერიტორიით, იმას ჰსურს ყველგან მისი საქონელი ბატონობდეს, მოცილეობას უწევდეს უცხო საქონელს და მეტ ბაზარს იპყრობდეს. ამისათვის გაჰყავს გზები მიუალ ალაგს, მიაქვს თავისი ნაწარმოები გასანაღდებლად და გამოაქვს სამაგიერო სხვაგან გასაყიდად. ამნაირად, ნივთიერად აკავშირებს უცხო ნაწილებს. სოფელი, ქალაქი, მაზრა გამოდიან ეკონომიურ განკერძოებულ ცხოვრებიდან, ერთ კუთხეში ეჩვევიან უფრო სიმინდის მოყვანას, მეორეში – პურისას, მესამეში – ღვინისას და სხ., (შრომის ამგვარი განაწილება მხოლოდ ახლად დაწყებულია, ისიც არა ყველგან); იმართება საეკონომიო ცენტრები, სადაც შეაქვთ და გამოაქვთ საჭირო საქონელი, ეს იზიდავს ხალხს: ვაჭარს, ხელოსანს, მუშას. იქვე იკრიბება სხვა-და-სხვა სამართველო და საზოგადო დაწესებულებანი, იხსნება სკოლები, თავს იყრიან განათლებული და ნასწავლი პირნი, ჩნდება გონებრივი ალებ-მიცემობა, ფებს იდგამს მწერლობა და სხ. და სხ. ამასთანავე მრავლდება ქალაქები, იზრდება დაბა-სოფელი. მთელი საქართველო მისიწრაფვის უმთავრესი და წვრილი ქალაქებისაკენ. ამით სხვა-დასხვა კუთხე შეუმჩნევლად უახლოვდება და უკავშირდება ერთმანეთს. ეს კიდევ არაფერი. ჩვენი ვაჭარი თვალ-ყურს ადევნებს ევროპულ ვაჭრობას; ტყობილობს, სად რომელი საქონელია ძვირი, სად რა არის საჭირო; იბარებს დამუშავებულ საქონელს და ჰგზავნის დასამუშავებელ მასალას, ასე გასინჯეთ, სოფლის მეურნეც კი ჩაიყოლია ამ მიმდინარეობამ, ის მომცილებობას უწყებს მსოფლიო ბაზარში ევროპის მეურნეს, სიმინდით, პურით, ღვინით და სხ. ამისთვის იმას ძლიერ ეინტერესება უცხოეთის ამბები, მისი ეკონომიური და სოციალური მდგომარეობა. ერთის სიტყვით, ცხოვრებაში გაჩნდნენ ახალი პირობები და განახლდა თვით ცხოვრება. ამგვარად, ახალმა ცხოვრებამ დაჰბადა ახალი მოთხოვნილება, წინ წამოაყენა ვაჭრობა და ალებ-მიცემობა, გაართულა და გაამრავალფერა პირვანდელი სადა ურთიერთობა, შრომა ეკონომიურად დაიყო ერის ნაწილთა შორის, ჩააყენა ქვეყანა მსოფლიო ალებ-მიცემობის კალაპოტში. სუყველა ამას თან მოსდევს ხალხის ნივთიერად გაერთიანება და საზოგადო-კაცობრიობის

ცხოვრებაში შესაფერი ადგილის დაჭერა. აი ამ საისტორიო გზას დაადგა ქართველობა; ჯერ მხოლოდ ერთი ბიჯი გადადგა ამ მხრით და მით ფეხი მოიმაგრა ახალ ნიადაგზედ. ამით მიეცა შეურყეველი საფუძველი ქართველ ეროვნულობას, ერი შეება საერთო უღელში, შეეჩვია ერთად ცხოვრებას, ერთად მოღვაწეობას; მომზადდა ნიადაგი გონებრივი ერთობისა; ქართველობა ერთი ჯაჭვით შემოჯაჭვული, ფხიზლდება, საღი გონებით და მახვილი თვალით იხედება.

## VI

თუ ჩვენი ერის აგებულებას დავაკვირდებით და მის წყობილებას გავსინჯავთ, ნათლად დავინახავთ ერთს მეტად რთულს და ამასთანავე დიდ საყურადღებო გარემოებას: ის წარმოადგენს, შაქრის თავივით, თავწვეტ სხეულს, რომელიც ძირისკენ თანდათან განიერდება და სქელდება. ეს სხეული მით არის შესანიშნავი, რომ შემდგარია არა ერთი და იმავე, არამედ სხვა და სხვა მასალისაგან. ამისათვის მთელ აგებულებას საშინელი სხვადასხვაობის ბეჭედი აზის. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ყველა ნაწილების დაწვრილებით ანუსხვა და რივიანად გათვალისწინება საძნელო საქმეა. პირველად, ამისთვის რომ ზოგიერთი ჯერ ჩასახულია და არავითარი გარეგანი ნიშანი არ ეტყობა; ზოგს კი არ დაუმთავრებია სრული ზრდა და მომწიფება. მეორედ, აქვე შევხვდებით მოუძღურებულ და მობეზრებულ ნაწილსაც, რომელიც ჟამთა მსვლელობას მეტ-ხორცად გაუხდია და ადრე თუ გვიან მოწყდეს სხეულს. მხოლოდ ჯერ კიდევ სიცოცხლის ნიშან-წყალი არ დაკარგვია სრულიად, და ცხოვრების მსვლელობას ხშირად აფერხებს და ერთ დონეზე აჩერებს. ამ მომაკვდავ ნაწილსაც დიდი ალაგი უჭირავს და თავისი უძრავი არსებით სხვა ნაწილებსაც სჩრდილავს. ამნაირად, იმ სხეულის აგებულება, რომელსაც ჩვენ ერს ვუწოდებთ, ძლიერ ძნელი დასანაწილებელი და გამოსარკვევია, მაგრამ მაინც არ ვკარგავთ სრულს იმედს და ვეცდებით, სრულად თუ არა, დაახლოვებით მაინც დავასურათოთ ერის დღევანდელი ყოფა-მდგომარეობა. აქ არ კმარა ვიკითხოთ: რა არის დღეს? არამედ უნდა გამოვარკვიოთ – რანაირ ცვლილებაშია დღემუდამ და რად უნდა გახდეს ახლო მომავალში?

გარეგანი შეხედულობით ქართველი ერი წარმოადგენს სამს ნაკვეს: მაღლა დგას უფლება-უპირატესობით მოსილი აზნაურობა, დაბლა გლეხკაცობა, შუაში კი სასულიერო წოდება. თვითეულს მათგანს აქვს საკუთარი ზნე, ხასიათი, გონებრივი განვითარება, ზნეობრივი თვისებანი და სხ. ; მუ-



დამ უჭირავს ერთხელ განსაზღვრული ადგილი ცხოვრებაში, ასე რომ ქვედა საფეხურებზე მდგომი მაღლა ვერ აიწევს და ვერ შეანგრევს მიუდგომელ კედელს ზედა ფარგლისას. თვით ისტორიამ გაავლო ასეთი კედელი და დაჰბადა წოდებრივი მიუკარებლობა. ამაზედ აშენდა ურთიერთ შორის დამოკიდებულება: ერთი ბატონია, მეორე კი მორჩილი, ერთი ბრძანებელია, მეორე ყურმოჭრილი მონა-ამსრულებელი, ერთი ამპარტავნულად და მრისხანედ გადმოიცილება მაღლიდან, მეორე კი მოკრძალებით იყურება ზევითკენ და უნებლიეთის შეცდომების მიტევებას თხოულობს. ერთი მუდამ ფუფუნებაში ატარებს წუთის-სოფელს, მეორე სულ მუდამ შრომა-გარჯაშია და მისი დასოკოვებული და ტყავამძვრალი ხელის-გული ცხადად ამტკიცებს მის მუდამ ტანჯვას და მწუხარებას. ერთის სიტყვით, აზნაურობა და გლეხ-კაცობა – ეს ორი შეურიგებელი ნაწილია ჩვენი ცხოვრებისა. მათ შორის სრული და ნამდვილი წოდებრივი განწყობილება სუფევს. მაგრამ ასეა ახლა ეს? გარეგნობით კი ასე გვეჩვენება. აბა ჩავხედოთ თვით ცხოვრების სიღრმეში და გავიგოთ ამ ცხოვრების სინამდვილე.

ერის წოდებრივად დანაწილება ისტორიულის ცხოვრების ნაყოფია. ის ერი, რომელიც ისტორიულ ასპარეზზე არ გამოსულა და მისი სიმწარე-სიტკბოება არ უგემია, წოდებრივ განკერძობებასაც მოკლებულია. რა ისტორია უნდა ჰქონდეს ამერიკის ან აფრიკის ველურ ხალხს? ან რა წოდებრივი განსხვავება შეიძლება იმათში? მხოლოდ იქ, საცა კულტურა ფეხს იკიდებს, მყარდება ნიადაგი საისტორიო ცხოვრებისა. ამ ასპარეზზედ მხოლოდ ის ხალხი იმარჯვებს და სხვებზე ბატონობს, რომელიც დაიყო ჯგუფებად, დანაწილდა მათ შორის შრომა: ერთს მიენიჭა გარეშე მტრის-გან დაცვა, მეორეს მიწის შემუშავება, მესამეს მღვდელ-მოქმედება და სხ., ამნაირათ მოწყობილი ხალხი წელში გამაგრებული და გაღონიერებულია. იმას სხვა ვერ დასჩაგრავს, პირიქით, ის სხვებს ანადგურებს და სიცოცხლეს უსპობს. ამისათვის ბურთი და მოედანი იმას რჩება. დროთა ვითარებაც ამგვარ ხალხს მფარველობას და პირველობას ანიჭებს. ამნაირად ხალხის გუნდ-გუნდად დაყოფა ისტორიულად აუცილებელია, უამისოთ ეროვნული ცხოვრება შეუძლებელი იყო. ამასთანავე ისტორიულ მიმდინარეობამ ამ დანაწილებას სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფორმა მისცა. მაგ., ისტორიამ გამოიწვია მონობა, მაგრამ მანვე უარყო მისი არსებობა; ისტორიამ შვა ბატონ-ყმობა, მაგრამ მანვე მოსპო და აღგავა დედამიწის ბურგიდან; ისტორიამ გააჩინა აზნაურობა, მაგრამ მანვე გარდაჰქმნა და გააქარწყლა დასავლეთ ევროპაში; ისტორიის ნაყოფია თანხის (კაპიტალ)

ბატონობა (ევროპაში), მაგრამ ... ჯერ არ დასრულებულა ეს პროცესი. რისთვის მოხდა ყოველივე ეს? საქმე ის არის, რომ ერის განვითარებას რამდენიმე საფეხური აქვს. ის, რაც პირველ საფეხურზედ ცხოვრების წინ წამწევი და პროგრესულია, მეორეზედ და მესამეზედ შემაჩერებელი, უკან-დამწევი და რეგრესულია. ამ შემთხვევაში ისტორია ადამიანის მიმართ უღმობელოებას იჩენს. როგორც კი დაიბადება საზოგადოებაში ახალი ნიადაგი და ზედ ახალი კითხვები აღმოცენდება, ისტორია მაშინვე გადაუდგება ძველს წყობას და ემხრობა ახალს. უეჭველია, ჩვენი ერი, როგორც ისტორიულ ასპარეზზედ გამოსული, ამავე კანონს უნდა ექვემდებარებოდეს.

## VII

საქართველოს მუდმივმა სამხედრო მდგომარეობამ გაამრავლა და გააძლიერა უპირატესობით აღჭურვილი აზნაურობა. ის ედგა სათავეში ჩვენს ქვეყანას და ნამდვილი პირველობაც მას ეკუთვნოდა. მას ეჭირა ხელში ჩარხის ტარი ჩვენი წადმა-უკულმა ტრიალისა, იყო ერის ხელმძღვანელი და მეთაური თვით-არსებობისთვის ბრძოლაში. აი, ამაში იხატება მისი ისტორიული ღვაწლი. დადგა მეცხრამეტე საუკუნე. საქართველო უერთდება რუსეთს. რუსეთი კისრულობს ქართველების დაცვას გარემე მტრისგან და შინაურ არევ დარევისგან. აზნაურობაც ამით ჰკარგავს თავის ისტორიულ დანიშნულებას. იგი რჩება უსაქმოდ. წინ უძევს ორი გზა: ან თავის მამულ-დედულში დაბინავება და ტკბილად, უდარდელად ცხოვრება, ან სამხედრო-სამოქალაქო სამსახურში შესვლა და ეკლიანი გზის ამით გაკაფვა. ამ უკანასკნელს გაჰყვა მცირე ნაწილი აზნაურობისა; დანარჩენმა კი ლუარსაბ თათქარიძის მდგომარეობაში ამოჰყო თავი. მაგრამ ნეტარხსენებულ ლუარსაბსაც მალე გაუჭირდა საქმე. 19 თებერვლის რეფორმებით ყმები გამოეცალა ხელიდან, დარჩა მარტოხელა კაცი ადგილ-მამულებით. მამულს მოხმარება უნდა, ეს ძლიერ უჭირს და არ ეხერხება; მეორეს მხრით, ცხოვრება და მისი მოთხოვნილება გაფართოვდა. ფული საჭირო შეიქმნა. სად იშოვოს? აქ იწყება აზნაურობის კრიზისი. აქ იღებს სათავეს ის პროცესი, რომელიც ჯერ არ დასრულებულა. შრომას და გარჯას შეუჩვეველი წოდება აძლევს მშრომელ ხალხს – გლეხ-კაცობას – მიწა ადგილს შესამუშავებლად და ღალას ღებულობს. ბატონს არ უყვარს ყველაფერს თვითონ ადევნოს თვალი. ამისათვის მხოლოდ ფულია საჭირო. ის უსაქმოდ დარჩენილი ჩაითრია ცხოვრების მორევმა, გაეღვიძა და აღედრა სხვადასხვა მოთხოვნილება, რაც მის წინაპრებს არც კი მოსიზმრებიათ. ახალმა სიომ

მოჭბერა ახალი ვითარება, ცხოვრების ახალი პირობები. მამულის შემოსავალი მოთხოვნილებასთან შედარებით მცირე იყო. ან ცხოვრება ვიწრო ფარგლით უნდა შემოეხაზა და მამული უკლებლად შეენახა, ან ცხოვრებას აპყლოდა და მამული ხელიდან გაეშვა. აზნაურობამ ვერ შეიგნო დროის შესაფერი მოქმედება და მეორე გზას დაადგა. აქ მან ჩქარა იშოვა ხელის მომმართველი: „პრიკაზი“, ბანკები, კერძო ფულის პატრონი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, აბა რომელი მათგანი უფრო მიიზიდავს თავის ქისისაკენ მეტს რიცხვს „ბრწყინვალე წოდებისასო“. ამნაირად ცხოვრების პირობებმა ჩვენი აზნაურობა გატენილ სკივრისკენ მირეკა. რაკი ერთხელ გაიგო ფულის გემო, მან ამ გზას აღარ გადაუხვია. ფული იხარჯებოდა, მამული კი ისევ გავერანებული რჩებოდა. მაგრამ ყველაფერს თავისი ზომა აქვს. როცა ფული უფრო მეტი იფლანგება, ვიდრე მამული იძლევა, მაშინ, რასაკვირველია იწყება მიწა-ადგილის ხელიდან გაშვება, ნებით თუ უნებლიეთ ჩამორთმევა. ამ მიზეზით მოწინავე წოდება თანდათან ღატაკდება, მამა-პაპის ნაანდერძევი გამრჯელ და მწარმოებელის ხელში იკრიბება. ამ ჟამად ჩვენ ვხედავთ მრავალს აზნაურს უმიწა-წყლოდ, ღვთის ანაბარად დარჩენილს.

არც მოხელეთა გუნდი ასცდა გაჭირვებას. თუ ბატონ-ყმობის მოსპობამდე მართო გვარიშვილობა იყო საჭირო სამსახურში შესვლისათვის (უფრო სამხედროში), შემდეგ კი გონების ცენზი შეიქმნა სავალდებულოდ. სწავლა-განათლება – ეს წინედ მეტ ბარგად მიჩნეული – ეხლა სატრფიალო საგნად გახდა აზნაურობისთვის, ის ცდილობს სკოლები გახსნას მთავრობის წყალობით. გიმნაზიები, სამხედრო სასწავლებლები, დედათა სკოლები, სააზნაურო სასწავლებლები ამ ხანად იმართება. აზნაურობას ბედმა გაუღიმა, ახლა მაინც დავაბინავებთ ჩვენს შვილებსო. მაგრამ ამათთან ერთად სასწავლებლის კარებს მიაწყდა სხვადასხვა ჯურის ხალხი, უკეთ მომზადებული და დახელოვებული გამოსაცდელ საგნებში. აზნაურობა ვერ უძლებს იმათ მოცილეობას და თან-და-თან კლებულობს იმათი რიცხვი სასწავლებლებში. ან კი საიდან შეეძლო გაღარიბებულ წოდებას შვილების აღზრდა? ამ ნაირად, ასპარეზი ქართველ მოხელეთა შევიწროვდა, ისინი აქაც დამარცხდნენ. იმათ ალაგს სხვები ჩადგნენ ... მხოლოდ უმცროსმა ნაწილმა მაინც შეინარჩუნა ის ალაგი. ამ სახით, აზნაურობამ ორ საშუალებას მიმართა თავის ღირსების და მდგომარეობის დასაცავად: მიწა-ალაგის გაყიდვა-დაგირავებას და სამსახურს. მაგრამ, როგორც დავინახეთ ვერცერთმა ვერ გაამართლა მისი იმედები და გულ-დათუთქული დატოვა.

ამ უამად აზნაურობის სიღრმეში იბადება და იზრდება ერთი ძალა. ამ ძალას თვით-მოქმედებას უწოდებენ. თუ განათლებულ ევროპელს არ ეთაკილება ვაჭრობა, ალებ-მიცემობა, ჩვენ რალა ვართო, გაიფიქრა ერთმა ნაწილმა აზნაურობისამ და კიდევაც დაადგა მრეწველობის გზას. ერთის მხრით, კავკასიის ბუნება უხვად იძლევა მიწის მოსავალს, მხოლოთ ამ საქმეს მოწყობა და გაუმჯობესება ეჭირვება; მეორეს მხრით, თვით დედამიწის გულში მრავალგვარი მადნის სიმდიდრეა ჩამარხული და შეზავებული. ვინ უნდა დაეპატრონოს ამებს, თუ არა შეძლებული აზნაურობა? ხოლო იქ, საცა თვითეული პირი უღონო და ხელ-მოკლეა, რამდენიმე პირების კრებული ძლიერი და ხელლონიერია. აი ამ აზრმა იჩინა თავი ჩვენში. ამისათვის მოსალოდნელია ალებ-მიცემობა, მრეწველობა შეძლებულ აზნაურობას ჩაუვარდეს ხელში.

აქედან ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ დიდი ცვლილება მოხდა მოწინავე წოდებაში. უმრავლესობა ხელ-ცარიელი რჩება, ღარიბდება; უმცირესის უმცირესობა, როგორც იყო, ცხოვრებას ეკედლება, მოხელეობის ასპარეზზე გამოდის. ხოლო ერთი მუჭა შეძლებულ მემამულეთა ადგება ევროპის მიერ გაკვალულ გზას – თანხით წარმოებას და ალებ-მიცემობას. აშკარაა, რომ „ბრწყინვალე“ წოდება დანაწილდა, მისი აგებულება გადასხვაფერდა და დღე-მუდამ გარდაქმნისკენ არის მიდრეკილი. იმის სიღრმეში ნივთიერად საშინელი მეტ-ნაკლებობა აღმოჩნდა. რა არის საერთო, მაგალითად, იმ აზნაურთა შორის, სადაც ერთი ათი-ათასობით ფულს ატრიალებს ხელში, ხოლო მეორეს კი ლუკმაპურიც ენატრება? ისინი ნივთიერად აღარ არიან დაკავშირებულნი, იმათ შორის დიდი ორმოა გათხრილი. მხოლოდ ერთი რამ აერთიანებთ იმათ – ერთი თანასწორი უფლება უპირატესობა, ესე იგი ტრადიცია იურიდიულად განმტკიცებული. მაგრამ „საზოგადოების ეკონომიური ურთიერთობა არის ნამდვილი და უტყუარი საფუძველი, რომელზედაც მყარდება იურიდიული და პოლიტიკური წყობილებაო“ – ამბობს კარლ მარქსი. ამისათვის, თუ დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ნივთიერად დაქუცმაცებული წოდება ერთი ქერქით, ერთი გარეგანი კანით არის შემოხვეული, ეს ამის შეურყევლობას არ ამტკიცებს. ეს მხოლოდ გვიჩვენებს, რომ ცხოვრების დუღილი ჯერ ისევ ისეთი ძლიერი არ არის, რომ გარედ გამოხეთქოს და წალეკოს ყოველივე ის, რაც აფერხებს და ხელს უშლის მის ბუნებურ მიმდინარეობას. და რომ ეს ასე უნდა მოხდეს ადრე თუ გვიან – ცხადია.

ახლა ვიკითხოთ, შეუძლიან თუ არა მარტო ჩვენ შეძლებულ აზნაურო-

ბას შეებრძოლოს აღებ-მიცემობის საქმეში ევროპის თანხის პატრონებს? „ამ უამად გამოდიან მდებრივი ერის სიღრმიდან თითო-ოროლანი, რომელთაც კარგად აქვთ აღებული ალლო დღევანდელი ვითარებისა და მრავლად იგდებენ ხელში ქონებას და დოვლათს („ივერია“ №22, 1893)“. ცხადია რომ აზნაურნი მაწარმოებელნი გაჭირვების დროს ამათ ხელს გაუწვდიან და ძმურად ეტყვიან: მოდიო, მოგვაშველეთ თქვენი ფულით გატენილი ქისები და ერთად დავიწყეთ „ქვეყნის აშენების“ საქმეო. ამ სახით, ეს ორი სხვადასხვა წოდების წარმომადგენელნი შეიძლება (ამას ეჭვი არ უნდა) ახალმა საქმემ და საერთო საშვალეობამ, ე. ი. ფულმა და წარმოებამ, შეაერთოს, ხელი-ხელ გაყრილნი გამოიყვანოს ბრძოლის ასპარეზზედ. განვიხილოთ, საიდან ჩნდება ეს მეორე ძალა ჩვენს ცხოვრებაში.

## VIII

ყველასათვის ცხადია, რომ გლეხ-კაცობა ბატონ-ყმობის მოსპობამდე ყოვლად უნუგეშო მდგომარეობაში იყო. გლეხი ბატონის საკუთრება იყო, ის გაჰყიდდა, დააგირავებდა, გააჩუქებდა, გაასამართლებდა, დასჯიდა და სხ.. ის პიროვნება არ იყო. გლეხის შემოსავალი ნახევარზედ მეტი ბატონს მიჰქონდა; ის ხნავდა, სთესავდა და ინახავდა ბატონს. ოჯახში თუ ორი მამაკაცი იქნებოდა, ერთი ბატონთან უნდა ყოფილიყო მოსამსახურედ. ბატონის ნება-დაურთველად გათხოვება, ცოლის შერთვა, გაყრა შეუძლებელი იყო. რაკი გლეხი სრულად დამოკიდებული იყო თავის ბატონ-პატრონზედ, ამკარაა, რომ მისი შრომა არ იქნებოდა თავისუფალი. აქ შრომა ბორკილდადებული, შებოჭვილი იყო. ყმა თუ შრომობდა, შრომობდა ბატონისთვის, თუ რამეს თავისთავად შეიძენდა, მეორე დღეს ბატონი ისაკუთრებდა. ერთის სიტყვით, ყმას საკუთარი არა-გააჩნდა-რა, ყმაც ბატონისა იყო და მისი ქონებაც. „გოგოც ჩემია და მისი ჩით-მერდინიცაო“ – ამბობს ლუარსაბის მეუღლე დარეჯანი. დადგა დრო ბატონ-ყმობის გაუქმებისა. 19 თებერვლის რეფორმებით კაცი კაცად იქმნა აღიარებული. მოისპო ერთი სამარცხვინო მიზეზი ადამიანის უფლების გაქვლვისა და შეურაცხყოფისა. „ერთს ჩამოერთვა ის, რაც სიმართლის შეურაცხყოფა იყო, მეორეს დაუბრუნდა ის, რაც უმართლოდ წართმეული ჰქონდა“ (ილია, „ცხოვრება და კანონი“). ყმა გათავისუფლდა ბატონის დამოკიდებულებისგან. მაგრამ ეს გათავისუფლება სრული არ იყო, ბოლო მოკვეცილი დარჩა. გლეხი გამოუშვეს ცხოვრების სარბიელზედ უმიწა-წყლოდ, – წადი, როგორც გსურს, ისე იშრომე და იცხოვრეო. გლეხს, რასაკვირველია, ასე ღვთის ანაბარა დარჩენილს,

ცხოვრება არ შეეძლო, მისთვის აუცილებლად საჭირო იყო სამოსახლო და სახნავ-სათესი მიწა. აი ამ „მოწყალებას“ აძლევენ ბატონის მამულიდან და გლეხიც იქ ბინავდება. სამაგიეროდ ის იხდის წელიწადში ყოველივე შემოსავლის მეოთხედს (ცოტა ფულსაც) ბატონის სასარგებლოდ. რაც უნდა იყოს, გლეხი გახდა სრულიად დამოუკიდებელი: ის შეიქმნა ერთად-ერთი პატრონი საკუთარის ძალ-ღონისა, საკუთარი შრომისა, მონაგარისა. მას ახლა თავისუფლად შეეძლო მოეხმარა თავისი შრომა, შეემუშავებინა მხოლოდ „საკუთარი“ მამული. ამაში გამოიხატა დედა-აზრი ახალის რეფორმებისა. აი აქ არის სათავე იმ ეკონომიურის ცვლილებებისა, რომლის მოწამე ჩვენ ვართ დღეს. გათავისუფლება შრომისა – აი რა დაედვა სარჩულად ახალ ცხოვრებას, აი სად სცემს დედა-ძარღვი ახალი ურთიერთობისა და ვითარებისა. რაკი გლეხმა თავისუფლება ხელთ იგდო, ის გაექან-გამოქანა, მიდგა-მოდგა ცხოვრებაში და მედგრად შეებრძოლა ცხოვრების აზვირთებულ ტალღებს. იმან აქ იგრძნო თავის თავი მარტო-ხელად, უმწეოდ, განცალკევებულად. მიიხედა-მოიხედა გარეშემო და დაინახა, რომ ყველა ცალკე შრომობს, ერთმანეთის დაუხმარებლად, თვითუფლად იბრძვიან ლუკმა-პურისთვის. აშნაირად, ხალხის გულში ამოხეთქა ახალმა დედა-აზრმა: განცალკევებამ, განთვითებამ, ინდივიდუალიზმმა. ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერთის მეორესთან, ერთისა ყველასთან, ყველასი ერთთან, ბრძოლა ლუკმა-პურისათვის, ბრძოლა – აი რას მოჰყავს მოძრაობაში დიდი თუ პატარა, მდიდარი თუ ღარიბი. ყველა თავის ინტერესებს ხედავს, თავის სარგებლობას ეძებს, თავისთვის იბრძვის. პირადობა, თვისი „მე“ საშინელი ძლევამოსილობით გამოდის მოედანზე – და ძირიანად არღვევს ჩვენს ცხოვრებას; ის, ვინც მეტი გამრჯელი, ხეირიანი და უნარიანია, ბრძოლაშიაც, რასაკვირველია, იმარჯვებს და ცხოვრებასაც ასე თუ ისე ეკედლება. იმას „ცა ქუდად მიაჩნია და დედამიწა – ქალამნად.“

აქ იწყება გლეხ-კაცობის ქონებრივი განაწილება. თუკი ერთი თან-და-თან წელს იმაგრებს და ღონიერდება ნივთიერად, სამაგიეროდ მეორე უძლურდება და ღატაკდება. თუ კი ერთი ხელში იგროვებს ქონებას და დოვლათს, სამაგიეროდ მეორეს ხელიდან ეცლება და სამუდამოდ ჰკარგავს. ერთის სიმსუქნე მეორეს სიმჭლევეზედ არის აშენებული, ერთის ძლიერება მეორეს სისუსტეა, ერთის ბედნიერება მეორეს უბედურებაა. დიალ, ამას მოითხოვს მტკიცე და შეუბრალებელი საეკონომიო კანონი და ამის ჭახ-რაკში უკვე გაჰყო თავი ჩვენმა ერმა საერთოდ და გლეხკაცობამ კერძოდ. ამ მიზეზით გლეხ-კაცობა იყოფა ორ მეტ-ნაკლებ ნაწილად: უმცირესს

„კარგად აქვს აღებული ალღო დღევანდელის ვითარებისა და მრავლად იგდებს ხელში ქონებას და დოვლათს“, ხოლო უმრავლესობა, სიღარიბისაგან ილაჟ-გაწყვეტილი და არაქათ-გამოლეული, თან-და-თან წელში იხრება და სილატაკის მორევში ეშვება. ნამდვილი არის ეს? აბა ჩავიხედოთ ლიტერატურაში.

## IX

როგორც კი ახალმა დედა-აბრმა – ინდივიდუალიზმმა – ცხოვრების კედელი შემოანგრია, მისს სიღრმეს მისწვდა და დაიწყო თავისუფალი ნა-ვარდობა, ხალხმა ეს მაშინვე იგრძნო, მიხვდა, რომ რაღაც არა-ჩვეულებრივი შემოეპარა, და ყურები ცქციტა. მიიხედ-მოიხედა და რა ნახა? ნახა, რომ ყველას რაღაც თავს წასწოლია მაჯლაჯუნასავით და სულს უხუთავს. მაგრამ რა არის ეს „რაღაცა“, რაში მდგომარეობს მისი არსებითი ძალა ან საიდან მომდინარეობს, ვერ გავგო, აქ გონიერებამ უღალატა. ხალხი ხედავდა თითო-ოროლა პირს, რომელნიც მას უმოწყალოდ სძარცვიდნენ და მაშინვე ხმა-მაღლა მორთო ყვირილი: აი ესენი არიან ჩვენი უბედურების მიზეზნი, მოგვაცილეთ თავიდან და ბედნიერი შევიქნებითო. ამ ნაირად მთელ სისტემას ახალის ცხოვრებისას რამოდენსამე პირს თავზედ ახვედნენ, ესენი არიან დამნაშავენიო. ან კი როგორ უნდა მოეპარათ, რომ ახალი პრინციპი თავისი ძლევა-მოსილობით აღემატება ყოველივე ძალას ადამიანისას, რომ მისი შეკავება და გზის გადაღობვა ოცნებაა და არა ნამდვილი საშუალება. გაისმა ხალხში გლოვის ზარი, მოჰყვნენ ოხვრას და გოდებას. ეს მოძრაობა მწერლობაშიც გამოიხატა. ნნ წლიდან იწყება ლიტერატურაში დაუსრულებელი მგლოვიარობა. რაც წინ მიდის დრო, მით უფრო გმინვა-გოდება ძლიერდება და თავისს უმაღლესს წერტილს აღწევს 76-89 წ. წ. აქედან კი, თითქო საზოგადოება შეეჩვია მოვლინებულ „ჭირსაო“, ეს ხმა სუსტდება და ბოლოს ქრება. ახლა ფეხს იდგამს ბელეტრისტიკა, რომელიც გვიხატავს ხალხის ცხოვრებას, მისს გაჭირვებულ მდგომარეობას და გვიწოდებს, მოდით ნახეთ, როგორ ირღვევა ჩვენი ცხოვრებაო (ეგ. ნინოშვილი, შ. არაგვისპირელი). ახლა გადავავლოთ თვალი ძველს და ახალს მწერლობას და გავიგოთ გლეხის გარემოება.

„... ჩაიხედეთ რომელსამე კახეთის სოფელში, თუნდა თვით თელავშიაც, მიიხედ-მოიხედეთ რა სხვა-და-სხვა და ერთი მეორის წინააღმდეგი სურათები წარმოგიდგებათ: ერთი მხრით ჰხედავთ, რომ მშვენიერი ორ-სართულიანი სახლი ევროპულად აშენებული დგას, მეორეს მხრით კი გვერდ-

ბედ წამოწოლილი ქოხი, რომელიც საქათმეს უფრო მიემსგავსება, ვიდრე სახლსა! ერთის მხრით ხედავთ აუარებელ სიმდიდრეს, ზოგჯერ ეკეთს, რომ პატრონს გაუნათლებლობის გამო ვერც კი მოუხმარებია, მეორეს მხრით საშინელ სიღარიბეს და სისაწყლეს! ერთის მხრიდან გესმით სიმღერა და ხარხარი, მეორეს მხრიდან მწუხარება და ტირილი („ივერია“ №13, 1878)“. “1890 წელს თითქმის სათითაოდ დავიარე გემო-ქართლის სოფლები და ყველგან ერთი და იგივე მესმოდა: იმდენი არ მოგვივიდა ტირნახული, რომ ღალა მოვიშორათო. ბოლოს აღმოჩნდა, რომ თურმე აგრე სახარბიელო მოსავალი არც წინა წლებში მოსულიყო. ეს შვიდი წელიწადი იქნება, რაც ჩვენ მოსავალი არ მოგვსვლიაო, მიპასუხეს გლეხებმა („ივერია“ №71, 1893)“. „მომეტებული ნაწილი მცხოვრებთა ქანც-გაწყვეტილია ბალახეულობით კვებისაგან (კახეთში), ბევრგან სხვა-და-სხვა ავადმყოფობამ იჩინა თავი და მუსრს ავლებს ამ დასუსტებულ ხალხს („ივერია“ №79, 1893)“. „შორაპანი: უმეტესი ნაწილი ჩვენის საზოგადოების მცხოვრებთა ღარიბია. პურს იშვიათად სთესენ. ყველა სიმინდს ეტანება, მაგრამ კარგ ამინდშიაც წლის სარჩო თითქმის ვერავის მოჰყავს. ამ საზოგადოების ავლა-დიდება ღვინო იყო და ამანაც ბოლო წლებში ძალიან იკლო“. „გლეხის ოჯახი საზოგადოდ წარმოადგენს უბუხრო ფიცრულ სახლს, რომელშიაც შენიშნავთ რამდენიმე სამ-ფეხა სკამს და ან ხის გადანატერ მორგვებს „ჯორგოებს“, ცოლის ნამშითვე დამტვერიანებულ ფარდაგს, ჭილობს, რამდენსამე დაწვერიანებულ დაბამბულ საბანს და მიუცილებელ წვრილ-წვრილ ხაბაკებს. ამ ავლა-დიდების პატრონს ცოლ-შვილი სანახევროდ ტიტველა უყრია არა თუ სახლში – შენობაში, არამედ გარედაც კი. ასე წარმოიდგინეთ, თემობაშიაც კი შეხვდებით ფეხ-შიშველა ქალებს ... თვით სახლის უფროსი, მამა, ყოველ ცისმარე დღეს, დარში და ავდარში, თავ-ფეხ-ტიტველა, ეზიდება შავ-ქვას თავის ცხენებით იმ იმედით, რომ დღეს არა, ხვალე წელში გავიშართები და ოჯახს ვუპატრონებო („ივერია“ №31, 36, 65, 200, 222, 1893)“. ასეთი ამბებით ავსებენ ჩვენს გაზეთებს სოფლის მეთვალყურენი. ამნაირადვე ხატავს ბელეტრისტიკა გლეხის მდგომარეობას.

„ნაბატონარი გლეხი, გიგოლა ნალეკარიშვილი, როგორც ეხლანდელი გლეხკაცობის უმრავლესობა, ძალიან ხელ-მოკლედ და ღარიბად ცხოვრობდა თავის ცოლით და წვრილი შვილებით. მამეული „ნადელი“ ბევრს ნაწილად ოჯახის გაყრისა და მამულის გაყოფის გამო თითქმის არაფერი დარჩომოდა. ერთი კალოს ტოლა ვენახი, პატარა ბაღია, ჩალა-დაფარებული წნული სახლი, პაწია ეზოთი, ორი ხარი – აი მთელი ამისი უძრავი



და მოძრავი სარჩო-საბადებელი, შინაური ავეჯის და ქათამ-წიწილის გარდა, რომელიც არა იყო-რა სათქმელი („ივერია“ №90, 1893)“. გოგია უომვილი ცხოვრობს „მჭვარტლით გაშავებულს, ფიცრულა სახლში, იმ სახლში, რომლის ავეჯ-სამკაულს შეადგენდენ ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთები: ოღრო-ჩოღრო ფიცრის ტახტზე ეწყო ჭილობი, ძველი ჭუჭყიანი ლები, ასეთივე საბანი და ბალიში (მუთაქის მაგიერად კი ხის ძირკვი იდო); ქვედა კუთხეში ერთმანეთში არეულიყვენ ერთი დიდი და ერთი პატარა თუჯის ქვაბები, ქვის კეცი და ორი პირმოტეხილი დოქი; იქვე თაროზე ეწყო ათითუთხმეტიოდე ხის ჯამი, ხისვე ფილი და გობი; ზევით კუთხეში ერთ მხარეს ეგდო ცული და წალდი, მეორე მხარეს იდგა ერთი დიდი და ერთი პატარა გოდორი; საცეცხლურზე ეკიდა მჭვარტლისაგან გაშავებული ხის კავი. აი ამით თავდებოდა გოგია უიშვილის სახლის ავეჯეულობა ... (ე. ნინოშვილი, „რამდენიმე მოთხრობა“)“. „შეიძლება ზოგს ეგონოს ღარიბი ცოტას მუშაობს? მაგრამ არა, ჩემი მკითხველო, ღარიბი დილით საღამომდინ დაუსვენებლივ მუშაობს, მაგრამ მაინც ისევ ღარიბია... („ივერია“ №13, 1878)“. „მუშა გლეხს რაც უნდა დარი იყოს, მაინც არ შეუძლია მოისვენოს: გლეხმა კარგად იცის, რომ მოსვენება და სატანჯველის მოშორება უარესს სატანჯველს შეახვედრებს და ამიტომ არას დროს მოისვენებს ...“ – ამბობს ბ-ნი ნინოშვილი. „მოსვენება კარგია, შვილო, მარა ვინ მოგასვენებს! მებატონეს, მღვდელს, ხელმწიფეს, ოჯახს, მტერს, მოყვარეს, ყველას პასუხის გაცემა უნდა. ძნელია მუშის გული“ – ნაღვლიანად ეუბნება გლეხი ივანე თავის ვაჟს ნიკოს (ე. ნინოშვილი, „რამდენიმე მოთხრობა“).

აი რანაირ სამწუხარო სურათს წარმოგვიდგენს გლეხის მდგომარეობა. ის მუდამ ღარიბია. რა არის ამის მიზეზი? რასაკვირველია, პირველად უმამულობა. ის სხვის მიწაზე ცხოვრებს, ჰხნავს, ჰსთესავს და სხ.. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ აზნაურობას ჰქონდა მამული, მიუხედავად ამისა უმრავლესობამ ხელიდან გაუშვა და გაღარიბდა. რუსეთში ბევრ ალაგას მიწის საზოგადო მფლობელობაა, ე. ი. მიწა სოფელს ეკუთვნის და საკმარისად არის განაწილებული. მთელ რუსეთში თვითეულ გლეხ-კაცს საკომლო მიწა ხვდება 12, 3 დესიატინა, თვითეულ მამაკაცზე მოდის 4, 1 დესიატინა. მაგრამ „მიწის ნაწარმოები გლეხის არსებით საჭიროებასაც ვერ აკმაყოფილებს“ – იწერება რუსეთის კორესპონდენტი, რის გამო საშინელი შიმშილობა დაატყდა თავს რუსეთს. სტავროპოლის გუბერნიაში „თითო სულს მიეცა ნადელად 19 დესიატინა, ანუ 38 დღიური და დღეს ათ პროცენტს გლეხობისას ერთი ნაჭერი მიწაც აღარა აქვს („ივერია“ №77, 1893)“. 1891

წლის რუსეთის „საგლეხო ბანკის ანგარიშიდანა სჩანს, რომ ამ წელს ბანკს დარჩენია 90, 606 დღიური მიწა; წარმოიდგინეთ, იმ წელს, როცა მთავრობამაც დიდი შეღავათი მისცა მოუსავლობისგან დამშეულ ხალხს ბანკის ვალის გადახდაში; 100 ათასი გლეხი სტოვებს თავის მიწა-წყალს და კუჭ-მშიერი გარბის სხვა-და-სხვა შორეულ მხარეს, სოფლად და დაბა-ქალაქებში ქუჩა-ქუჩა ლუკმა პურის საშოვნელად („ივერია“ №70, 1893)“. ერთობ, რუსეთის გლეხ-კაცობის გალატაკება საშინელის ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ. ის მუდამ სტოვებს თავის მიწა-წყალს და სხვაგან ეძებს სარჩოს. ჩვენში კი, მაგ. ქუთაისის გუბერნიაში, ყოველგვარი მამული: ეზო, ვენახი, სახნავ-სათესი, ტყე, საბალახო და უვარგისი მიწები თვითეულ კომლს გლეხისას ხვდება 4, 23 დესიატინა, თითოეულ მამაკაცს 1, 28 დესიატინა. მთელ ქართლში გლეხთა საკუთრება იქნება 5% ვერც კი შეადგინოს. მიუხედავად ამისა ჩვენი გლეხ-კაცობა ჯერ კიდევ არ დაძრულა თავის ადგილიდან (რუსეთთან შედარებით) და კერას არ მოსცილებია. სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი? ჩვენის აზრით ის დამარღვეველი პროცესი, რომელიც რუსეთის ხალხს საფუძველს ურყევს და თავის მამულ-დედულიდან სდევნის, ჩვენში ახლად ფეხ-ადგმულია, სრულს ზრდას და განვითარებას მოკლებულია ჯერ-ჯერობით. ამისთვის მისი მკაცრი გავლენა სუსტი და ფერ-მკრთალია. რაში იხატება ეს პროცესი?

## X

„ქიზიყის სიღარიბის და ნივთიერად დაცემის მიზეზი, სხვათა შორის, ის იყო, რომ ყველა სოფელში იყვნენ და ახლაც არიან გამართულნი რამდენიმე დუქნები სხვა-და-სხვა საქონლითა. ქიზიყელი დედაკაცები იპარავდნენ სახლში სარჩოს და მიარბენინებდნენ დუქანში. ვაჭრები რაღას შვრებიან? ორის და სამი თუმნით იგირავებდნენ ვენახებს, რამდენიმე წლის განმავლობაში სარგებლობდნენ მოსავლით და მერე კიდევაც ისაკუთრებდნენ და ახლა სიღნაღის მაზრაში მრავალი ვენახები უჭერიათ ამ ვაჭრებსა („ივერია“ №17, 1878)“. „ვაჭრების წყალობით მრავალი გლეხ-კაცი სრულიად გაგლახავდა ... ისინი იფანტებიან ზაქათალას ყველა სოფელში, სადაც მოშორებულნი არიან ყოველგვარ ზედამხედველობას და სძარცვავდნენ ხალხს („ივერია“ №30, 1878)“. „ხიდის-თაველების მშვენიერი შეკაზმული ვენახები და სახნავი მიწები სულ იმათ (სომეხთ) და ორიოდე ჩვენებურ ბობოლების ხელშია („ივერია“ №28, 1878)“. „სიღნაღს რის დარდი აქვს: მოვა მოსავალი სიხარულით აღარ არის, არ მოვა კიდევ და

უფრო მხიარულობს. ერთსა და მეორე შემთხვევაშიაც ადვილად ახერხებს იოლად წასვლას, ქონების შექცევას. ამისი უნარი და შნო სიღნაღს დიდი აქვს. ერის გაჭირვებაცა და ღებნაც ამისთვის დღესასწაულია, ქორწილია, აღდგომაა. აი როცა მოუსავლობით ხალხს გაუჭირდება, სიღნაღს ყოველივე ბევრი აქვს და სისხლის ფასად აძლევს. ეს ქალაქი თავის მაცხოვრებელ მამრას ლუკმა-პურს ართმევს და სწველის ოსტატურად, მოხერხებით ... ოთხ აბაზზე მეტ სარგებელს აძლევს (გლეხი) თუმანზედ თვეში და კიდევ უხარია, ემაღლიერება ფულის პატრონს, რომ ასე იაფად იშოვავ. ოთხი თვის შემდეგ, ე. ი. მკათათვეში, პური უნდა მისცეს ფულის პატრონს, კოდი მანათად. რომ არც წელი მოუვიდეს პური მაშინ? მაშინ ხომ ყმად გაუხდება ფულის პატრონს სამს თუმანში. ამაზე მეტს უკიდურეს მდგომარეობამდე კიდევ გინდათ მივიდეს ხალხი? („ივერია“ №77, 1893)“.

ბ. ე. ნინოშვილი საუცხოვო ხელოვნებით გვიხატავს სოფლის ბობოლათა ტიპს, რომელსაც ღრმად აქვს გადგმული ფესვი ჩვენს ცხოვრებაში.

„ ... აა, შენ წაწყმენდილო ქვეყნის ყლაპიავ, რას მერჩი, რას!“ – ეუბნებოდა გლეხი სიმონა დავითს. „ხალხი მისცვივდა და მიაფარა ხელი პირბედ:

– ბიჭო, ხომ არ გადაირიე, თავადიშვილი ვერ გაუბედავს ამას მაგისთა-ნა სიტყვებს! შენი ტოლი ხომ არ გგონია! გაჩუმდი! გაჩუმდი!..

– შენ მეტრალეები, თვარა ამას (სიმონას) ასწავლიან ჭკვას, იმისთანა ადგილზედ ჩავაჯენ“ – ეტყოდა დავით სიმონას დედას, როდესაც ის ბოლიშს მოიხდიდა მის წინაშე:“ მაპატიე, ბატონო, ბალანაია, უჭკუოა“-ო.

როდესაც სიმონა თავის სახლში ლანძღვას დაუწყებდა დავითს, დედა მივარდებოდა და მუდარის კილოთი ეტყოდა: – „შვილო, ნუ მეთქინ, ნუ იტყვი ამისთანას. შვილო ჩვენ ობოლი ვართ და იგი ნეფის ტოლი კაცია, რომ მოინდომოს ერთის სიტყვის თქმით დაგვლუპავს“.

ვინ არის ეს დავით, რომლის წინაშე ასე მოწიწებით მუხლს იდრეკს მთელი ხალხი? საიდან მოიპოვა ამ „ნეფის-ტოლ“ კაცმა იმდენი ძალა, რომ ერთის სიტყვითაც შეუძლია სიცოცხლე ჩაუმწაროს ადამიანს? შეიძლება მის წინაშე იმისთვის ძრწის ხალხი, რომ უმაღლესი მთავრობის წარმომადგენელი იყოს ან საზოგადო ღვაწლ-მოსილი და ხალხის სარგებლობისთვის თავ-დადებული? არც ერთი და არც მეორე. მაშინ ვინ არის?

აი რას მოგვითხრობს თვით ავტორი დავითის ვინაობის შესახებ:“ დავით დროიძე გლეხი იყო, ერთის აზნაურის „ნაკაცვარი“. ყმაწვილობისას დავით ვიღაც ნიგვზის ხეებით მოვაჭრე ბერძენთან იდგა, ჯერ მოჯამაგირედ

და მერე „პრიკაშიკად“. შემდეგ, როცა ბერძენი თავის ქვეყანაში წავიდა, დავითმა თვითონ დაიწყო ნიგვზის ხის სყიდვა-გასყიდვა ... რამდენისამე ხნის შემდეგ, დავითმა დაანება თავი ხის ვაჭრობას და სიმინდის ვაჭრობას მიჰყო ხელი. ამ ვაჭრობამაც კარგა ბლომად შეჰსძინა ფული დავითს ... უკანასკნელ, დავით მობრუნდა სოფელში, შეისყიდა თავის მებატონესაგან საკომლო მიწები, გაიკეთა კარგი „ოდა“ და გაიჩინა ცოლ-შვილი. თუ რამ „საფოდრათო“ გამოჩნდებოდა დავით თავის ხელიდან არ უშვებდა. თუ არა და ცხოვრობდა ფულების პროცენტით – ფულებს მეზობლებში ასესხებდა ... დავითმა გაიკეთა თავის სოფელში დუქანი“. ის აქედან იგდებს ფულს და მისმა უფროსმა ვაჟმა მახლობელ ქალაქში დაიწყო ვაჭრობა „მანუფაქტურით“. მიწა-ადგილს დავით თანდათან იძენდა, ასე რომ „ბოლო დროს კარგი მამულის პატრონი თავადისთვის შეეძლო ხელის გაწვდენა“, რისთვისაც „აზნაურის ოჯახს“ უწოდებდნენ მის სახლობას. აი ვინ არის დავით. იმას კარგად „აუღია ალღო დღევანდელის ვითარებისა და მრავლად მოუკრებია ხელში ქონება და დოვლათი“. ამისათვის „ნეფის-ტოლ“ კაცად გამხდარა სოფელში. ეს ერთხელ ღარიბი გლეხი, ახლა მთელის სოფლის ბატონად შექმნილა, მას ყურ-მოჭრილ მონად გაუხდია ხალხი. დავითს და ხალხს შორის დიდი ორმოა ამოთხრილი. ერთს მხარეზედ დგას ბრძანებელი, მეორეზედ მონა-მორჩილი; ერთისაკენ მოგროვილა სიმდიდრე და ძლიერება, მეორისაკენ სიღარიბე და უძლურება. ერთის სიტყვით, დავითს და დანარჩენ გლეხებს შუა ხიდია ჩატეხილი. „დავით თავის სოფელში პატარა მეფეა“.

გადაიკითხეთ „ივერიაში“ სხვა-და-სხვა სოფლიდან გამოგზავნილი კორესპონდენციები, რომლებიც აგვიწერს ჩვენის სოფლების დღიურ ვარამს, მისის ცხოვრების ავ-კარგიანობას და თქვენ დარწმუნდებით, რომ დავით ჩვენი ცხოვრების ღვიძლი შვილია, ნამდვილ ნიადაგზედ არის შექმნილი და აღმოცენებული.

ამნაირად, ახალი ცხოვრება დამყარდა ახალ საფუძველზედ. მისი არსებითი თვისება ფული შეიქმნა. „არ იცით, რომ სიცოცხლე ბრძოლაა? – ეკითხება დავით დროიძის ვაჟი ტიტუკო ძმებს: – ბურთი და მეიდანის იმას რჩება ვინც მძლავრია. სიმძლავრე ანუ ძალა ეხლანდელ დროში ფულია“. ფულის შეძენის უფლება, ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ, ყველას მიეცა. რაკი ეს ასე მოხდა, ცხადია, რომ ყველა თანასწორად ვერ შეიძენდა. ამიტომ მიუვალნი, კედლით შემოზღუდული წოდება შეირყა. მის გულ-ღვიძლში ჩაჯდა დანაწილების, დაქუცმაცების მატლი. გლეხ-კაცობაში ჩნდებიან

ერთის მხრით დავით დროიძე, მეორეს მხრით სიმონა. რა აქვთ ამ პირთ საერთო? სრულიად არაფერი. რამდენად დავითი მაღლა დგას ქონებით, იმდენად სიმონა დაბლა არის. ფულმა დაიმონავა უფულობა, შეძლებამ სიღარიბე, მძლავრმა – სუსტი. აქ ამიერიდან წოდებაზედ აღარ არის ლაპარაკი, ის de facto აღარ არსებობს. მისი ალაგი ფულმა დაიჭირა. მდიდარი ხარ, მაღალ წოდებას ეკუთვნი, ღარიბი – დაბალს. დავითს „კარგი მამულის თავადისთვის შეეძლო ხელის გაწვდენა“. გლეხ-კაცობა (როგორც აზნაურობა) ირკვევა, ნაწილდება ორად: გლეხი მდიდარი და გლეხი ღარიბი. ესენი ნივთიერად დანაწევრებულნი არიან, საერთო მხოლოდ ძველი მოგონება დარჩენიათ, ის რომ ერთხელ ორივე თანასწორად ატარებდნენ ცხოვრების მძიმე უღელს. ამიერიდან გაჰქრა ის დრო, ისტორიას ჩაჰბარდა.

## XI

მეტყვიან: გლეხი ღარიბია, გლეხი მდიდარი, ორივე გლეხია, ორივე თანასწორ მოვალეობას ასრულებენ, ორივეს ერთი და იგივე უფლება აქვსო. განვიხილოთ, რამდენად ჭეშმარიტია ეს აზრი.

რაკი გლეხ-კაცობა ეკონომიურად დანაწილდა, უფლება-მოვალეობითაც უნდა დანაწილებულიყო. ქვა-კუთხედს ადამიანის ცხოვრებისას ქონებრივი მდგომარეობა შეადგენს. ქონება და უფლება – ეს ორი მხარეა ერთი და იმავე მოვლენისა. ისინი ისე მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი, რომ ვერავითარი ძალა ვერ დაარღვევს. ვინც თავის ხელში სიმდიდრეს აგროვებს, ის ამით უფლებასაც იძენს. ქონება თავისკენ იზიდავს უფლებას, თუ შეიძლება ასე ითქვას. შინაარსს უფორმოდ არსებობა არ შეუძლიან. საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ (1789) დაამხო ძველი წოდებრივი განწყობილება და დაამყარა ახალი. ძმობა, ერთობა, თავისუფლება – აი რა ეწერა მის დროშაზედ. მაგრამ ჩქარა აღმოჩნდა, რომ უფლებით თანასწორობა ვერ გააბედნიერებს ქვეყანას და თვით ეს თანასწორობა ფიქციაა. ხალხი გათანასწორებული de jure, დარჩა გაუთანასწორებელი de facto. რისთვის? იმისთვის რომ ნამდვილი უფლება იმან მოიპოვა, ვინც ქონებით გაძლიერდა. ერის წეს-წყობილების სათავეში შეძლებულნი ჩადგნენ და კანონ-მდებელნიც თვითვე შეიქმნენ. ამ მწარე სინამდვილემ გამოააშკარავა და ყველასათვის თვალსაჩინო გახადა ერთი ჭეშმარიტება: ეკონომიკური ურთიერთობა არის საფუძველი უფლებრივის ურთიერთობისა. ამას ვერც ჩვენი ქვეყანა ასცდება.

ორი ერთი და იმავე წოდების წარმომადგენელი, ნივთიერად განსხვავებული, უფლება-მოვალეობითაც განსხვავებულია. აქ ცხოვრების სინამდვილე არ ეთანხმება იურიდიულ სინამდვილეს. შეიძლება წარმოიდგინოთ, რომ დავითს და სიმონას ერთნაირი უფლება, თანასწორი ხმა ჰქონდეთ საზოგადოებაში? ორივე გლეხია, ორივეს ერთი უღელი აწევს კისრად. მაგრამ დახე ბედის წერას! რაღაც მანქანებით დავით სრულიად თავისუფლდება ამ მოვალეობისგან. ის იძენს უაღრესს უფლებას. დავითი „სასულიერო წოდების კაცად ჩაეწერა, თუმცა არავის ახსოვს, რომ დავითის მამა-პაპათაგანი ვინმე სასულიერო წოდებისა ყოფილიყოს“. როგორ მოხდა ეს? ეს კანონის ამკარა დარღვევა არ არის? დავითმა „თავის დროზე დახარჯა ფული“-ო. ამ მოკლე სიტყვით მრავალი ითქვა. სუყველაფერი ფულის საქმე ყოფილა. აი სადა მარხია დედა-ძარღვი! აი სად იხსნება გორდიევის კვანძი! ქონებამ კანონს გადააბიჯა, ყურ-მოჭრილ მონად გაიხადა. კანონიერად კი არ შეეძლო დავითს სურვილის განხორციელება? „მექოთნე ქოთანს ყურს საიდანაც უნდა იქით მოაბამს“ – ამბობენ გური-ში; „ფული ღერძია, რომლითაც შეიძლება ქვეყნის გადაბრუნება“ – იმეორებენ ანგარიშის მოყვარე ინგლისელები. „ესეც რომ არ მოეხერხებინა დავითს, ის სავაჭრო მოწმობანი, რომელთაც დავითის შვილები იღებდნენ ყოველ-წლივ, სრულიად გაათავისუფლებდა გლეხ-კაცის მოვალეობისაგან“. მაშასადამე, ორი გზით შესძლებია დავითს უპირატესობის მოპოვება. ორივე შემთხვევაში ფულის წყალობით, ქონებით იძენს უფლებას.

მოდით და შეადარეთ ამას საწყალი სიმონა, გოგია უიშვილი, გაბრიელა ჩამწარდაძე, გიგოლა ნარეკელაშვილი და სხ. ! ამათ არა თუ აძლევენ, იმასაც ართმევენ, რაც აქვთ. გოგიას სცემენ, იჭერენ, შოლტავენ, სატუსალოში ამწყვდევენ მხოლოდ იმიტომ, რომ ბეგრის გადახდა ორი დღით დაავიანა. მათი ადამიანური ღირსება ფეხ-ქვეშ ითელება, მათი მცირე უფლებაც ვიწროვდება და ბოლო ეკვცეება. დაბეჩავებული გლეხოზა საკუთარ სასოფლო საქმეებშიაც მოკლებულია თავისუფლებას. მამასახლისის, მწერლის და სხვა მოხელეების არჩევა ხდება თითო-ოროლა პირის მიერ ...

აი რანაირ გათახსირებულ მდგომარეობაშია გლეხკაცობის უმრავლესობა. ის თანდათან ლატაკდება როგორც ქონებით, ისე ფულებით, ისე უფლებით. ამით ხეირიანად სარგებლობს უმცირესობა და თავისუფლად სთლის შარაზედ დადებულ დუმას. დიად, ხალხი ცხვრის დუმას, რომელსაც ყველა ამვლელ-ჩამვლელი თითო ნაჭერს აჭრის. ჰგოძნობს ამას ხალხი? შეგნებული აქვთ თავისი მდგომარეობა? ხმარობს რაიმე ღონეს თავის

ადამიანურის უფლების დასაცველად? „ხალხი უმეტეს შემთხვევაში ქვევარი არის, რასაც ჩასახებენ იმასვე ამოსახებს“ – გვეუბნება ბ-ნი ნინოშვილი. თუ კი ხალხს თავის თავზე რიგიანი წარმოდგენა არ აქვს, არ გაეგება – რა შეადგენს მის ღირსებას, არ იცის, ვინ არის მისი მოყვარე და მტერი, მაშინ ის, რასაკვირველია, საუკეთესო სარბიელია, სადაც ადამიანის ქვენა-გრძნობები საზრდოს პოულობს და ყოველ გვარი უსამართლობა და ძალ-მომრეობა ფრთა-გაშლილი პარპაშობს. ამ შემთხვევაში ხალხი ცხვრის ფარაა, საითკენაც ჰსურთ, იქით გარეკავენ, როგორც ჰსურთ ისე გაჰკრეჭენ. ვინ არის წინააღმდეგი, ხმის ამომღები! „გავლენიანმა დავითმა ჩასახა: სიმონა მავნებელიაო და ხალხიც იმეორებდა მავნებელიაო“. ცხადია, გლეხს სიღარიბე მოფიქრების ნებას არ აძლევს. ის მოკლებულია საკუთარ შეხედულებას, მისი ცხოვრება წყვილიადით არის გარემოცული, სადაც ცნობიერებას ვერ ჩაულწევია. ხალხს ძარცვენ მოვახშენი, არბევენ მოხელენი. რისთვის? იმისთვის რომ „აღარა გვაქვს ერთობა, წაგვირთმევია ურთიერთთან კავშირი, აღარც ურთიერთისათვის გულშემატკივრობაა ჩვენში და აღარც ურთიერთის გამოსარჩლებაო“ – იწერება სოფლელი („ივერია“ №28, 1878). „საწყალ ხალხს ბრმა შური და მტრობა ერთმანეთისა ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი“ – ჩივის მეორე კორესპონდენტი („ივერია“ №31, 1893).

განთვითება, ინდივიდუალიზმი ისე გაძლიერებულია გლეხში, რომ თავის თანამომძის ჭირი სრულებით დავიწყებული აქვს; მის შესახებ გულგრილია, სხვის მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევს. ამისათვის ის ცალკე უღონოა, მისი ხმა მისუსტებულია, უმნიშვნელოა, მისი ძალა მიმქრალია, მიმალულია. ხოლო უძლიერი ცალ-ცალკე, ძლიერია ერთად. აქ მაგონდება გვარიანად ძველი, მაგრამ, ამისთანა შემთხვევაში, ნიადაგ ახალი არაკი: ერთი მოხუცებული რომ სიკვდილზედ მიიწურა, მოატანინა შვილებს ერთი კონა ისარი; მოსწია ერთად და ვერ დაამტვრია, თითო-თითო კი მაშინვე დაღეწა. შვილებს მიუბრუნდა და უთხრა: თუ ერთად იქნებით მტერი ვერას დაგაკლებთ, თუ გაიყრებით, დაცალკევდებით, მტერი ისე დაგლეწავთ, როგორც მე თითო ღერო დავლეწეო. ერთი რუსის მწერალი ამბობს: „ხალხის მომზადება თავის ინტერესებისათვის საბრძოლველად – აი რაში მდგომარეობს ხალხის სამსახურიო“. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც, როგორც ამბობს თ. ილ. ჭავჭავაძე, „ხალხს თავისი უფლება და მოვალეობა კარგად აქვს აწონილი და ცნობილი, თუ ამასთან ხორც-სისხლში გამჯდარი აქვს, რომ ჩემის მეზობლის უფლების დარღვევა ჩემი

უფლების დარღვევასაც მოასწავებს“-ო. აი, ამ ნიადაგზედ უნდა იქმნას აგებული ღარიბი ხალხის შეერთება და თვით-ცნობიერება. ხალხი, ერთ ეკონომიურ და იურიდიულ უღელ ქვეშ მყოფი, ობიექტურად უკვე მზად არის ერთობისა და კავშირისათვის. ამას მხოლოდ შეგნება აკლია. მიეცით ამასთანავე ხალხს თვით-ცნობიერება და ის დღევანდელ ჯოჯოხეთს ხვალ სამოთხედ გადააქცევს ...

## XII

ყოველივე ზევით მოხსენებულიდან ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ბატონ-ყმობის მოსპობიდან ჩვენს ცხოვრებაში შემოვარდა მოვახშე, მოსარგებლე თანხა (კაპიტალი). ამის არსებითი თვისება იმაში იხატება, რომ ის პირდაპირ არ გადადის წარმოებაში; ამნაირი ფულის პატრონი მწარმოებელი არ არის. აქ ფული ფულს იგებს უშუამდგომლოდ. საქმეში დაუბანდებლად აქ არავითარი შრომის წესრიგი, კანონიერება არ არსებობს. ერთის კიბე იცვლება მხოლოდ იმიტომ, რომ შიგ რამოდენიმე ხანს სხვისი ფული იდვა. ამ სახით, ფულმა შეანგრ-შემოანგრია ერი და დაყო ორ ჯგუფად: ფულის პატრონნი და უფულონი, მდიდარნი და ღარიბნი. ამით მომზადდა და მზადდება ნიადაგი, რომელზედაც უნდა აღორძინდეს და აყვავდეს წარმოება.

წარმოება ვერ გაჩნდება, შრომა თავისუფალი არ არის (ბატონ-ყმობაში), მეორედ, სანამ მუშას ცხოვრების ვითარება არ წაიყვანს მწარმოებლის კარებისკენ და არ ხდება მოქირავედ. პირველ პირობას ასრულებს კანონ-მდებლობა, ხოლო მეორეს – მოვახშე თანხა. ამ უკანასკნელის საშუალებით მდიდარი ღარიბდება, ღარიბი ლატაკდება. ორიოდე დღიური მიწა, რასაკვირველია, ვერ აკმაყოფილებს ახალ ცხოვრების მრავალ-ფერ მოთხოვნილებას, კაცი შიმშილით უნდა მოკვდეს (მაგალითად რუსეთში). აქ ჩნდება წარმოება, იხსნება ქარხნები და ეს ოჯახის განწირული შვილი პოულობს ბინას, იჩენს საქმეს. იბადება უმიწა-წყლო, ბოგანო ხალხი (რასაკვირველია, ეს უცებ არ ხდება).

ამ გვარად წარმოებისათვის ორი რამ არის საჭირო: თანხა და მოქირავე მუშა. ეს ორი ძალა მუდამ ერთი-მეორის მოწინააღმდეგეა, ერთმანეთთან მებრძოლი და შეურიგებელი. რამდენადაც იზრდება პირველი, იმდენად ლატაკდება მეორე. ამისათვის ისინი დაუცხრომელ ჭიდილში და მტრობა-ქიშპობაში არიან. მიუხედავად ამისა, ორივე ყოველთვის ერთად არის, უერთი-მეოროდ არსებობა არ შეუძლიათ. საწარმოვო თანხა იზრ-



დება მხოლოდ მუშის ძალ-ღონით, მუშა საზრდოს პოულობს მხოლოდ დღიური ქირით. პირველი ვერ იხეირებს უმუშოდ, მეორე ვერ დარჩება უსაქმოდ. ამით ეს ორი ძალა მჭიდროდ არის დაკავშირებული. ამათი დანაწილება და დაცალკეება შეუძლებელია.

ჩვენში ჯერ კიდევ სჭარბობს მოვასხე თანხა. მაგრამ ამის სიღრმიდან იბადება საწარმოვებელი ფული და მკვიდრდება ალებ-მიცემობა. ამას ხელს უწყობს ერთის მხრით, როგორც ზევით მოვისხენიეთ, ერის გაღარიბება, მეორეს მხრით, გარეშე ბუნებრივი პირობები: „რამდენადაც ეს გარეგანი ბუნება კავკასიისა მრავალ-გვარობით მდიდარია, იმდენად მისს მიწის გულშიაც მოიპოვება აუარებელი სიმდიდრე მადნეულობისა, რომელთაგან ზოგმა კიდევ იჩინა თავი მსოფლიო ალებ-მიცემობაში, როგორც, მაგალითად, ბაქოს ნავთის წყაროებმა, ქვა-გუნდამ (მარგანეცმა), ქვა-ნახშირმა.“

ამ სახით, ჩვენი ქვეყანა შეუმჩნევლად უკვე დაადგა წარმოების გზას, ერმა თავი გაყო კაპიტალიზმის ჭახრაკში.

ყოველი ისტორიული ხანა წამოაყენებს რაიმე მეტად დიდს და საყურადღებო კითხვას, რომელიც ასე თუ ისე ახსნილი უნდა იქმნას. ეს კითხვა არ არის ზეციდან მოვლინებული, ან უქმი ჭკუის უქმი ნაყოფი. ის არის აშენებული უტყუარ ნიადაგზედ, ფესვები ღრმად აქვს გადგმული ცხოვრებაში და მისს სიღრმეში თანდათან იზრდება და მწიფდება. ამის გამოაშკარავება ისტორიული აუცილებლობაა. ამისათვის ადრე თუ გვიან ის თავისი მთელი არსებით წარსდგება საზოგადოების წინაშე: გინდა თუ არა ყურადღება უნდა მომაქციოვო. ვაი ამ საზოგადოებას, რომელიც ამას თავის დროზედ ვერ შეიგნებს და თუ შეიგნებს, ზურგს შეაბრუნებს! იგი საზოგადოება ყოველის მიზეზის გარეშე დამარცხებული დარჩება თავისუფლებისათვის ბრძოლაში. იმას ალგვა მოელის დედა-მიწის ზურგიდან. ორი ამგვარი კითხვა შექმნა ჩვენმა თანამედროვე ცხოვრებამ და თხოულობს საზოგადო მოღვაწის სრულს ყურადღებას. ორივე შეიცავს უმთავრეს ძარღვს ჩვენის არსებობისას და შეეხება როგორც მთელ ერს საერთოდ, ისე თვითეულ პირს კერძოდ.

როგორც მოვისხენეთ პირველს წერილში, საქართველო უკვე დაადგა ნივთიერად გაერთიანების გზას. ამით მზადდება საფუძველი ეროვნული გაერთიანებისა. აქედან, ეროვნულ გრძნობათა გაღვიძება და ერთი მიზნისკენ მიმართვა შესაძლებელია მხოლოდ საეკონომიო ნიადაგზედ.

ხალხი ცხოვრობს უფრო აწყვითი. იმისთვის საინტერესოა თანამედროვე ნივთიერი მდგომარეობა. თუ კი ხალხი ეკონომიურად იჩაგრება სხვისაგან, მაშინ ის, რასაკვირველია, ამნაირი დაჩაგრვის მოსპობას ცდილობს. მაგალითად, რამდენიმე საუკუნეა, რაც ინგლისი ჰფლობს ირლანდიას. ყველა ღონისძიება იყო მიღებული ირლანდიის გაინგლისელებისათვის. მართლაც, დაარსდა იქ ინგლისური მწერლობა, ხელოვნება, მეცნიერება და სხ. მიუხედავად ამისა, ბრძოლა ამ ერთა შორის არ შეწყვეტილა. რატომ? იმიტომ რომ ინგლისმა დაუწყო სისხლის წოვა უფრო მკძნობიარე ადგილს ირლანდიისას; მან მოინდომა ირლანდიის დამორჩილება ეკონომიურად ადგილობრივი წარმოების შესუსტებით და დაქვეითებით. ამისათვის ირლანდიის მექარხნობა დაცვა, სასოფლო მეურნეობა დაირღვა, ვაჭრობა და ალბე-მიცემობა მისუსტდა და სხ. ამ რიგად თვით ეკონომიურ საჭიროებამ მოითხოვა ირლანდიის თავისუფლება ანუ თვით-მმართველობა. აქ შესანიშნავია ის გარემოება, რომ ირლანდიის თავისუფლების წინააღმდეგი გახდნენ ის მამულისშვილნი, რომელნიც ნივთიერად კეთილ-დღეობაში არიან; სახელდობრ, ირლანდიის ლორდები.

– თ. ბისმარკის საშინაო პოლიტიკა მიმართული იყო დამორჩილებულ ერთა გაგერმანელებაზე. ამისათვის მან დააარსა განსაკუთრებითი ბანკი, რის საშუალებითაც პოლონეთის მიწა-ადგილი (სილეზიაში) უნდა შეესყიდა და გერმანელები დაესახლებინა. ამან გააღვიძა პოლონელები და მათში გამოიწვია მღელვარება. პოლონელებმაც დააარსეს თავისი ბანაკი და შეისყიდეს მამულები იმ პირთაგან, რომლებიდანაც ბისმარკს ჰსურდა შეძენა. სადაც კი ბისმარკის ბანკი დაიწყებდა მოქმედებას, იქ უთუოდ პოლონელთა ბანაკიც შეეცილებოდა ხოლმე და კიდევაც იმარჯვებდა. საიდან მოიპოვეს ამდენი ფული ასე უცებ პოლონელებმა? საინტერესოა ამ ბანაკის დაარსების ამბავი. ბისმარკის პლანმა ისე შეანძრია მთელი სილეზია, რომ არ დარჩენილა არც ერთი პოლონელი, რომ თავის წვლილი ამ ბანაკში არ შეეტანოს. ორი გროშის პატრონსაც კი ერთი გროში შეჰქონდა. რატომ? იმიტომ რომ მთავრობა შეეხო უმთავრეს მხარეს ხალხისას. მისს ადგილ-მამულს, სახლ-კარს, ერთი სიტყვით, ყველაფერს იმას, რითაც თავს ირჩენდა გლეხი.

– მესამე მაგალითი. რა იქნა ჩეხიაში ეგრედ წოდებული ძველ-ჩეხთა დასი? გაქრა, აღარ არსებობს. რატომ? იმიტომ რომ მისს დროშამედ ეწერა ერთის მხრით ეროვნება, მეორეს მხრით არისტოკრატია, მდიდართა უფლებების დაცვა. ერმა უარჰყო ესა. მის მაგიერ ჩადგა ახალ-ჩეხთა დასი,

რომელმაც თავის პროგრამა უმრავლესობის ეკონომიურ მდგომარეობას შეუთანხმდა. ძველი პროგრამიდან არისტოკრატია ამოშალეს და დემოკრატია ჩასწერეს. ერთი სიტყვით, როცა ერი შეიგნებს, რომ მას ისე ეპყრობიან, როგორც მეტ-ხორცს, რომ მისი ადგილ-მამული დაუსჯელად იფლანგება და სხვებს ურიგდება, მაშინ იგი მოდის მოძრაობაში თავის თავის დასაცავად და ნივთიერი მდგომარეობის განსაკარგებლად.

მეორეს მხრით, ერის გაერთიანებას ზოგჯერ თან მოსდევს, როგორც ზემოთ გავარკვიეთ, უმრავლესობის ნივთიერად და სულიერად გაღარიბება. ამით მზადდება საზოგადოებრივი ნიადაგი, რომელიც აერთებს ადამიანთა გუნდთ საერთო მოღვაწეობისათვის. აქედან იწყება გაღარიბებული ნაწილის დაკავშირება და თვით-ცნობიერების შექმნა პოლიტიკო-ეკონომიურ ნიადაგზე. აქ ჩვენ ვადგებით იმ გზას, რომელსაც ადამიანი პირდაპირ მიჰყავს ნივთიერ კეთილ-დღეობისაკენ. თანამედროვე ევროპაში ვხედავთ, რომ მღელვარება ქონებრივი მეტ-ნაკლებობის წინააღმდეგ უკვე დაიწყო უმრავლესობის სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში შრომის წარმომადგენელი – მუშა-გლეხნი – შეადგენენ ერთს მხარეს, ხოლო მეორე მხარეს – ქონების პატრონი ანუ კაპიტალისტები (კაპიტალისტი ეწოდება როგორც მექარხნეს ისე მემამულეს). ამ სახით ერი იყოფა ორ დიდ წოდებად: მდიდარი და ღარიბი. ესენი ერთად იბრძვიან გარეშე მტერთა წინააღმდეგ, ერთმანეთს ებრძვიან სამკვდრო-სასიცოცხლოდ შინაურ ცხოვრებაში. ბრძოლა ღარიბთა და მდიდართა შორის, განწყვეტილი არსებითი მოთხოვნილებაა ეხლანდელი საზოგადოებისა. ამას ვერც ერთი ერი ვერ აუქცევს გზას. მხოლოდ ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისათვის ხდება ხან-და-ხან, ერთ დროებით და წყდება მაშინვე, როგორც კი აღწევენ თავიანთ სურვილს. რა აქვს საერთო ამ ორ მოვლენას? რატომ ასე თავგანწირულად ებრძვის ერთი ერი მეორეს თავისუფლების მოპოვებისათვის? ღარიბი და მდიდარი რად არის მუდამ არსებობისათვის ჭიდილში? ერის თავისუფლება რისთვის არის საჭირო? უკეთესი ცხოვრებისთვის. პიროვნების თავისუფლება რად გვინდა? უკეთესი ცხოვრებისათვის. აშკარაა, ორივე სათავეს ცხოვრებიდან იღებს. ხოლო ცხოვრების დედაძარღვი, როგორც მოვისხენიეთ, დამარხულია საეკონომიო ვითარებაში. ნივთიერი კეთილ-დღეობა – აი რა არის ბურჯი ცხოვრებისა. ამ გვარად საეკონომიო ურთიერთობა შეადგენს იმ საერთო ნიადაგს, რომელზედაც იბრძებიან ფესვები ბრძოლისა, როგორც მთელი ერისა, ისე თვითეულის ადამიანისა. ორივე შემთხვევაში პროგრესიულ მოღვაწეს დაჩაგრულ-

თა მხარე უჭირავს. ირლანდიის ის ლორდები, რომელნიც წინააღმდეგნი არიან სამშობლოს თავისუფლებისა, ცხადია, მოლაღატენი არიან თავის ერისა. ის მოღვაწენი, რომელნიც იცავენ უმცირესობების უფლებას, წინააღმდეგ უმრავლესობისა, ცხადია, მტერნი არიან თავის ერისა, ვინაიდან ერს შეადგენს უმრავლესობა და არა უმცირესობა.

ამ სახით ჩვენ მივადევით შემდეგ დასკვნას: 1. ნივთიერი კეთილ-დღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; 2. თავისუფლება მთელის ერისა და თვითეული პიროვნებისა, როგორც ხელ-შემწყობი პირობა უმთავრესი სურვილის მისაღწევად და როგორც უახლოვესი საგანი მოწინავე დასის მოქმედებისა; აქედან, 3. ეროვნული გრძნობა მთელის ხალხისა და ადამიანური უფლებანი, კაცური ღირსებანი თვითეული პირისა აღზრდილი და აღორძინებული უნდა იქმნას საეკონომიო ნიადაგზედ ...

ესევე აზრი შეიძლება გამოიხატოს კიდევ ამ ნაირად:

I – ეკონომიური კეთილ-დღეობა – როგორც უმთავრესი პირობა ადამიანთა ბედნიერებისა;

II – ვაჭრობა და წარმოება – როგორც ძველი კარ-ჩაკეტილი ცხოვრების დამარღვეველი და ერის და კაცობრიობის გამაერთიანებელი ძალა (პროგრესული მოვლენა). ა) ერის და თვითეული პირის თავისუფლება – როგორც საუკეთესო საშუალება მეორე მუხლში მოხსენიებულ სურვილის განსახორციელებლად;

აქედან, III – გაძლიერება ბურჟუაზიულ წეს-წყობილებისა და უმრავლესობის ნივთიერად გაღარიბება, ადგილ-მამულის ხელიდან გაცლით და უმცირესობის ბატონობით (რეგრესიული მოვლენა);

IV – გაღარიბებული ნაწილის შეკავშირება და პირველ მუხლში მოხსენიებულ სურვილისკენ მიმართვა – როგორც პირ-და-პირი იარაღი კეთილ-დღეობის მოპოვებისა (პროგრესიული მოვლენა).

ყველა ეს მოვლენანი ასე რიგ-რიგად არ ხდებიან ცხოვრებაში. ისინი ერთმანეთში არიან არეულნი და ხშირად ერთად მოქმედებენ.

ნოე ჟორდანია „ეკონომიკური წარმატება და ეროვნულობა“, ჟურნალი „მოამბე“ 1894 წლის ივნის-ივლისი;





---

## გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილი (1855-1917)

საქართველოში გადმოსახლებული პოლონელი ემიგრანტების შთამომავალი, ცნობილი კრიტიკოსი, პუბლიცისტი და სოციალისტურ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

დაიბადა ქ. ქუთაისში. 1864-71 წლებში სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. მონაწილეობდა მოსწავლეთა ხალხოსნური წრეების მუშაობაში. გიმნაზიის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, მოგვიანებით ჩაირიცხა პეტერბურგის სამედიცინო ქირურგიულ აკადემიაში. სტუდენტობისას გახლდათ რამდენიმე არალეგალური რევოლუციური ორგანიზაციის წევრი. 1875 წელს გ. ზდანოვიჩი სხვებთან ერთად დააპატიმრეს. იგი ბრალდებულის სტატუსით მონაწილეობდა მთელი იმპერიის მასშტაბით ცნობილ სასამართლო პროცესში – „50-ის საქმე“. „50-ის საქმე“ გახლდათ პირველი სასამართლო პროცესი, სადაც მუშათა რევოლუციური მოძრაობის წარმომადგენლების საკითხს განიხილავდნენ. პროცესზე მოხსენება სამმა ბრალდებულმა გააკეთა, მათ შორის გიორგი ზდანოვიჩმა. იგი სხდომაზე დემოკრატიული და სოციალისტური რეფორმების განხორციელების მოთხოვნით გამოვიდა. რევოლუციონერს სასამართლომ დაახლოვებით შვიდი წლით გადასახლება მიუსაჯა.

1882 წლიდან ზდანოვიჩი თანამშრომლობას იწყებს ქართულ პრესასთან და აქვეყნებს არაერთ საპოლემიკო სტატიას. მან პუბლიცისტური საქმიანობა სიცოცხლის ბოლომდე გააგრძელა. იგი მიიჩნევა კ. მარქსის ნაშრომების ერთ-ერთ პირველ მთარგმნელად ქართულ ენაზე. 1896 წლიდან გ. ზდანოვიჩი ჭიათურის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა. 1907 წელს აირჩიეს „ფედერალისტთა“ მთავარი კომიტეტის თავმჯდომარედ.

## წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ

1

თქვენ შენიშნავდით, რასაკვირველია, იმ მნიშვნელობით საველე მოვლენას, რომ ყოველ განათლებულ ხალხის ლიტერატურა ბევრად იღწვის ამ უკანასკნელს დროს ეკონომიურ წყობილების და ვითარების გამოკვლევისა და გამორკვევისათვის. აგრეთვე, თუ აკვირდებოდით ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურს ცხოვრებას, შენიშნავდით, რომ პარტიებს შორის ბრძოლა განცხოველდა და გაცხარდა იმიტომ, რომ ეს ბრძოლა თითქმის სრულიად გამოწვეულია ამ პარტიების ამრების სხვადასხვაობით ეკონომიურს საგნებზე. მე არ ავხირდები და არ ვიტყვი, რომ მრავალი სხვადასხვა გვარი აზრი და საქმე არ გამხდარა საგნად გაცხარებულის ბაასისა პარტიებს შორის, მაგრამ მთავარს ძარღვს ამ ბაასისას ყველგან მაინც ეკონომიური საგნები შეადგენდა, ის ეკონომიური საგნები, რომელსაც აქამომდე ასე უყურადღებოდ სტოვებდენ.

მართლაც, შეხედეთ რა ხდებოდა ამ მოკლე დროში და რა ხდება დღესაც სამს დიად განათლებულს ევროპის ქვეყნებში, რომელნიც მეთაურებად ითვლებიან ევროპიულის საზოგადოებრივის მოძრაობისა და აზრისა, ე. ი. ინგლისში, საფრანგეთში და გერმანიაში.

ინგლისში უმთავრეს საგნად, მთავარს საზოგადოებრივ მოვლენად ითვლება დიად ცნობილი ირლანდიის საქმე. ეს საქმე გამხდარა ყოველდღიურ მასალად ჟურნალ-გაზეთობისა, მასზედ არის მიქცეული ყურადღება მთავრობისა, მისი ზრუნვა და ზომიერებანი. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, უთუოდ ამ საქმის ისტორია; მოგეხსენებათ აგრეთვე, რომ ეს მწვავე საგანი გახდა მიზეზი ბიკონსფილდის კონსერვატიკული სამინისტროს დაცემისა, რომლის მაგიერ შესდგა ლიბერალური სამინისტრო გლადსტონის თავმჯდომარეობით. ამისათვის საჭიროდ აღარ ვსთვლი მოგიტხროთ კერძობითნი დაწვლილებანი ამ საგნის შესახებ, თუმცა მათაც ღრმა საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ინტერესი აქვთ. თქვენს ყურადღებას მივაპყრობ მომეტებულად მას, რაც ამ საგანს სარჩულად დასდებია, რაც შეადგენს მის საფუძველს, მის სულსა და გულს. რისთვის და რა საწადელისთვის სწარმოებს დღეს გაცხარებული ბრძოლა ირლანდიაში? როგორია ხასიათი და მიმართულება ირლანდიელთ მოძრაობისა. პოლიტიკური მოძრაობაა ეს მოძრაობა, თუ რომელიმე სხვა გვარი?



ირლანდია ინგლისის ბატონობასა და დამოკიდებულებაშია; მას არა აქვს თავისი დამოუკიდებელი პარლამენტი; იგი შევიწროებულია და მოკლებული ბევრს გვარს თავის ეროვნულს უფლებას და სრულიად დამოკიდებულია თავის ბედნიერი ბატონების და გამარჯვებულ ინგლისელების ნება-ყოფლობაზე. ადვილად წარმოსადგენია, იფიქროს კაცმა, რომ ამ გვარს მდგომარეობაში, ირლანდიის მოძრაობის მიზეზი პოლიტიკური ხასიათისა უნდა იყვეს უსათუოდ. მართლაც რომელი სურვილი და წადილია უფრო კანონიერი, უფრო ბუნებრივი ისე, როგორც სურვილი ხალხისა, რომ იგი იყვეს თავისუფალი, დამოუკიდებელი უცხო მფლობელობისა და ბატონობისაგან, რომ მას ჰმართავდეს და განაგებდეს საკუთარი მართებლობა, ჰქონდეს საკუთარი ცხოვრება თავის საკუთარის მოთხოვნისა და არა მოწერილობისაგან უცხო ხალხის მმართველობისა და ხელმწიფებისა! თუმც ეს ასეა, მაგრამ მაინცა და მაინც არა სურვილი ეროვნული დამოუკიდებლობისა შეადგენს მთავარს სალტოლველოს ირლანდიელთ მოძრაობისას, არამედ ხალხის ეკონომიურ ურთიერთობის გადაკეთება და აწინდელის მის წყობილების შეცვლა შეადგენს მთავარს ძარღვს ირლანდიელთ მოძრაობის პროგრამისას. შეცვლა სამიწა-წყლო ურთიერთობისა, გადაცემა მიწა-წყლისა ლენდ-ლორდების მიერ მიწად მომქმედთ ხელში, – აი საწადელი და სალტოლველო ირლანდიის ხალხისა. მე სრულიად არ უარ-ვყოფ, რომ ირლანდიელთ ეროვნულის განთავისუფლების სურვილიც აქვთ, მე მინდა მხოლოდ აღვნიშნო სხვილის ასოებით ის უეტველი ფაქტი, რომ ეკონომიურმა შეწუხებამ გამოიყვანა ხალხი გაბრუებისაგან, აღამხედრა საბრძოლველად და მისცა ფერი და სიცხოველე მთლად მოძრაობას. სამამულო ღალა, აგრარული ხასიათის მკვლელობანი, აგრარული ანუ სამამულო კავშირი, მებატონეები და მიწა, მიწა და მებატონეები – აი რა შეადგენს განუწყვეტელს და დაუშრობელს თემას ირლანდიის მოძრაობის მოთავეთათვის, აი რა შეადგენს ამ საგნის სიღრმესა და სიგანეს. უეტველია, რომ ბრძოლის სიცხარე, მედგრობა წარმოსდგება იმისგანაც, რომ იგი შედეგია დიდი-ხნის სიმძულვარისა ირლანდიელთა ინგლისელთა მიმართ, დაჩაგრულთა დამჩაგრეულთა მიმართ, დაძლეულთა გამარჯვებულთა მიმართ. მაგრამ ბოლოს მაინც არა ეროვნულმა სიმძულვარემ, არა ქვეყნის პოლიტიკურმა ვითარებამ ააშფოთა ხალხი და ააჯანყა იგი. ამ სახით მოთავენი ირლანდიის მოძრაობისა, თუმცა სრულიადაც გულ-გრილად არ უცქერიან ეროვნულს თავისუფლებას, მაინც მათ ყველაზე უწინარეს გამოჰფინეს დროშა ეკონომიური, რო-

გორც ნიშანი ხალხის სურვილისა და მოთხოვნილებათა. მაშინ როდესაც სხვაგან, ეროვნულ მოძრაობის დროს, მაგ. იტალიაში, დავიწყებული იქნა ხალხის ყოველი არსებითი ინტერესები, თვინიერ ეროვნულ დამოუკიდებლობისა, ჩვეულებრივ, მოღვაწენი და მოასპარეზენი ნაციონალურის ბრძოლისა იყვნენ ხოლმე ყოვლად პატიოსანნი კაცნი, ხალხის მოყვარენი და მის ინტერესების დამცველნი. მაგრამ, რაკი ხედავდენ თავის ქვეყნის პოლიტიკურს დაჩაგრულობას, ივიწყებდენ ყოველისფერს, თვინიერ ამ შევიწროებულის მდგომარეობისა. ამ დაჩაგრულობით შემსჭვალულნი, იკვლევდნენ იგინი სამოქმედო პროგრამას, რომლის ქვა-კუთხედს შეადგენდა ხოლმე დაცემული ვინაობის კვლავ აღდგენა. ამ მხოლოდობითი საგნით გატაცებულნი ივიწყებდნენ ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას და სტრუქტურებს მას უწინდებურს არა სანატრელს მდგომარეობაში, ან არა ოდნავ სცვლიდნენ საკეთილოდ, ანუ სხვაფრივ რომ ვთქვათ: იგინი არ იკვლევდენ ცხადათ საზოგადოებრივ მოვლენათა მნიშვნელობას და სცდებოდნენ. პატრიოტები, როგორც მათ ხშირად უწოდებენ, ხედავდენ მხოლოდ ეროვნულ მონობის უმზგავსობებს და რადგან ვერ მიხვედრილიყვნენ, სად ბუდობს უმზგავსობის ფესვი და მთავარი მიზეზი, ეძლეოდნენ აღმფოთებულს თავის გრძნობას, ჰგონებდენ მას შეგინებულად და ამ სახით ხალხის ინტერესების შეგნება ხდებოდა მათთვის შეუძლებელი. ამ გვარი მოქმედების შედეგი ის იყო ხოლმე, რომ უცხო მმართველობა განიდევნებოდა და მის ნაცვლად საკუთარი ეროვნული მმართველობა იქნებოდა ხოლმე დაყენებული; უცხო მოხელენი და ჩინოვნიკობა ნელ-ნელა ეთხოვებოდნენ თავიანთ სამსახურს, რომელსაც უტოვებდნენ ადგილობრივ, „პატრიოტულ“ ხელის უფალთ, ჩინოვნიკობას, სახელმწიფოს ცხოვრება კი ამით არ იცვლებოდა, ძველებურადვე მიტრიალებდა და ყოველის თავის სიმძიმით აწვებოდა იმავე ხალხს, რომელიც წუთის წინად ისე გაცხარებული იბრძოდა და მამაცურად სისხლსა ჰღვრიდა თავისუფლების მოპოვებისათვის. სახტად დარჩენილი ხალხი პირველ ხანებში, შემდეგ მწარე გამოცდილებით რწმუნდებოდა, რომ ცვლილება ცხოვრების მართლოდენ გარეგან პირობათა, გადაძრობა მართო ოდენ პოლიტიკურის სამოსელისა გარეშე ღრმა ეკონომიურ ცვლილებათა, ცხოვრების დედა-ბურჯთა შეუცვლელად, თავის დღეში ვერ მოსწევს ხალხს სასურველს თავისუფლებას და აი ხალხის გონება და აზრი კვლად წუხილით იღწვოდა და ჭირნახულობდა; ხალხის ცნობიერება კვლად ორ-კეცის ძალით იღვიძებდა; კვლად იწყებოდა დაუსრულებელი ძებნა თავისუფლებისა, ვიდრე უკეთესნი წარ-

მომადგენელი ხალხისა მტკიცედ არ დაასკვნიდნენ, რომ მხოლოდ ღრმა ეკონომიური ცვლილებისათვის ბრძოლა არის გზა ნამდვილი თავისუფლებისადმი, მხოლოდ საუკეთესო ეკონომიურის წეს-წყობილების დამყარება ეროვნულს დამოუკიდებლობითურთ, რასაკვირველია, ნამდვილად გაანთავისუფლებს ხალხს და მისცემს მას ჭეშმარიტ თავისუფლებას.

ამ აზრის საუკეთესო საბუთად ჩაითვლება ეხლანდელი მდგომარეობა იტალიისა. ყველამ იცის, რა გაჭირვებულ მდგომარეობაშია არის იტალიის ხალხი, იცის, რა სიღატაკით ცხოვრობს იგი და რა უილაჯობით, ათას გვარ სენით და ავადმყოფობით არის სავსე მისი სვე-უბედური არსებობა. ყველას გაეგონება, რომ ეს გაჭირვება ატანს ხალხს ძალას და ატოვებინებს მშვენიერებით სავსე თავის ტურფა ქვეყანას, რომელიც მან თავის სისხლით დაიცვა და უცხო მტარვალთ ხელიდამ გამოჰგლიჯა. მის მაგიერ იგი მიდის, მიემგზავრება და ასახლებს ჭაობიან და თითქმის გაუტეხელის ტყით დაბურულს ველებს სამხრეთ ამერიკისას. დიად, საყურადღებოა და საგულისხმიერო ამ მხრივ პასუხი ლომბარდიის მცხოვრებელთა, რომელიც მათ მოახსენეს შინაგან-საქმეთა მინისტრს, როცა იგი ყოველის ლონისძიებით სცდილობდა დაეყოლია ხალხი, რომ არ გადასახლებულიყო და არ დაეტოვებინა თავისი ძვირფასი სამშობლო.

– როგორ გგონიათ, თქვენ, ბ. მინისტრო, რა არის ერი! – ჰკითხავდნენ იგინი მინისტრს. „ბრბო საწყალოთა და გაბეჩავებულთა?!“ – თუ ასეა, მაშინ სწორედ ჩვენც ერი ვართ. შემოგვხედეთ, რა გამხდარნი ვართ და რა ფერი გვაძევეს სახეზე, როგორ დასნეულებული და დაუძღურებულთა ჩვენი ჯანი უჯათი შრომით და უჭმელ-უსმელობით. ჩვენ ვთესავთ და ვმკით ჭირნახულსა, მაგრამ ვერა ვჭამთ კი თეთრს პურს; ჩვენ დავამუშავებთ ხოლმე ვენახებს, მაგრამ ღვინოს კი ვერა ვსვამთ; ჩვენი მოშენებულია საქონელი, მაგრამ ხორცს კი ვერა ვჭამთ ჩვენის შეუძლებლობით და ხელ-მოკლეობით, დაბრანძულნი დავდივართ და ვცხოვრობთ ნაგვიან და ბინძურ სადგომებში; ზამთრით გვაწუხებს სიცივე, ზაფხულით – სიმშილი, ერთადერთი საქმელი ჩვენი იტალიაში სიმინდია, მაგრამ ესეც ყოველთვის საკმარისად და მადლისათ არა გვაქვს, რადგან ძლიერ ძვირათა ჰღირს დიდის სახელმწიფო გადასახადისა და ხარჯისა გამო. ჩვენ მრავლად, თითქო ბუმბები ვიყვნეთ, გვწყვეტს ცივებ-ცხელება და სახადები. ბოლო მოგესხენებათ ყველა ამებისა: უდროვო სიკვდილი ჩვენი საავათ-მყოფოში, ან და ჩვენ საცოდავ ქოხებში. და თქვენ, ბ. მინისტრო, ყოველივე ამის მცოდნე და შემმეცნებელი, გვიჩვენებ, ნუ დავანებებთ თავს ჩვენს სამშობლოს! მაგ-

რამ განა დაერქმევა სამშობლო იმ ქვეყანას, სადაც არ შეიძლება იცხოვროს შრომით, თუნდ წლებზე ფეხს იდგამდე?

ასეთია შედეგები იქ, საცა გულ-გრილად უყურებენ და შესაბამ ყურადღებას არ აქცევენ ეკონომიურს საგნებს, ეკონომიურს ტკივილებს და გატაცებულნი არიან მხოლოდ ეროვნული დამოუკიდებლობით. ამ გვარსავე რიგისა და კატეგორიის მოვლენათ ემსგავსება ახლად განთავისუფლებულ ბოლგარიის ცხოვრებიდამ დასახელებული ფაქტები; ამავე მიზეზითვე აიხსნება და ეპოვება თავი და ბოლო ხალხის დრტვინვას და უკმაყოფილებას სერბიის სამთავროში. კაცს ეგონება, რომ ეს ხალხნი ეხლა უნდა იყვნენ ლხინში და განცხრომაში, ეხლა უნდა დღესასწაულობდნენ თავიანთ განთავისუფლების პირველს ტკბილს ხანას, მაგრამ ნამდვილად კი ასე არ არის. ნამდვილად კი ხალხის დრტვინვა არ შემწყდარა, ეკონომიური არეულ-დარეულობა ისევე აწევს ხალხს მძიმე ტვირთად, რომელიც ცოტად აცხადებს თავის კმაყოფილებას ეროვნულ დამოუკიდებლობის გარეგან ბრწყინვა-ცისკროვანებისათვის და ახალის, სამეფო ხარჯის მომატებისათვის. სამწუხაროდ, აქ არც დრო მაქვს, არც ადგილი, რომ საკმარისის დაწვლილებით შეჩერდე ამ გვარ ფაქტების გამორკვევაზე, თუმცა კი ამ გამორკვევას დიდი, ღრმა, საგულისხმიერო აზრი ექმნებოდა ჩვენთვის, ქართველთათვის. ეს ფაქტები და სხვანი მრავალნი ესევე გვარნი დაურღვეველის სიცხადით ამტკიცებენ, რომ ჭეშმარიტნი მებრძოლნი ხალხის სიკეთისათვის, პატრიოტნი, ძალუმი მოყვარენი თავის სამშობლოსი, თვისსავე საკუთარის ხელით უთხრიან ორმოს ძვირფასს თავის ქვეყანას, უკეთუ ივიწყებენ ხალხის ეკონომიურს ინტერესებს და აძლევენ უაღრეს მნიშვნელობას გარეგან პირობებს და ვითარებას ხალხის ცხოვრებისას, უკეთუ გამოსდგომიან მხოლოდ ეროვნულს იდეებს და ტრადიციებს.

საბედნიეროდ, ირლანდიელმა პატრიოტებმა აიცილეს თავიდან ეს შეცდომა და თავის პროგრამაში უაღრესი მნიშვნელობა მისცეს ეკონომიურს წყობილებას, რაც უფრო შეესაბამება თვით ხალხის ცხოვრებასაც, რომლის მთავარს ძარღვსაც შეადგენს ეკონომიური მოვლენანი, (ამ შემთხვევაში – სამიწა-წყლო ურთი-ერთობა). მხოლოდ ამ მოვლენათა შემდეგ შეიძლება მიაქციოს საზოგადო მოღვაწეთა დასმა ყურადღება ცხოვრების პოლიტიკურ და ეროვნულ მოვლენათა, რადგან ეს უკანასკნელნი პირ-და-პირს შედეგს წარმოადგენენ ეკონომიურს მოვლენათა. მხოლოდ ამ გვარის რიგიანის შეგნებით საქმისა აიხსნება ის გასაოცარი ძალა და სიციხველე, რომელიც მიეცა ირლანდიელთაგან დაწყებულს საქმეს, ის ვრცელი ხასი-

ათი, რომელიც მწარედ აფიქრებს ინგლისელებს. აბა ბრძოლა ყოფილიყო მხოლოდ პოლიტიკური, აბა ირლანდიელთა საქმე არ შეჭებოდა ეკონომიურს ინტერესებს ინგლისელ მდიდრებისას, თუ თქვენ შენიშნავდით იმ გაცოფებულს წინააღმდეგობას ირლანდიელთა მიმართ, იმ გაბრაზებას და საერთო გამწარებულს მითქმა-მოთქმას ინგლისის საზოგადოებისას და თვით პარლამენტისას, რომელსაც ეხლა ჩვენ ვხედავთ და ვაკვირდებით ამ ქვეყანაში. ინგლისელი მუშა კაცი კი, პირიქით, სულ სხვაფრივ უყურებს ამ საქმეს. იგი არ იზიარებს არც ინგლისის მმართველთა გაბრაზებას, არც მათ მუქარას ირლანდიელთა მიმართ. მწარედ გაჰყვირიან და იმუქრებიან არა ინგლისელი მუშები, რომელთა ჯიბეს არაფერი დააკლდება ირლანდიის განთავისუფლებით, – არამედ ჰყვირიან და ჰგოდებენ ინგლისის მიწათმფლობელნი, რომელთა ჯიბე გრძნობს შევიწროებას ირლანდიის მოძრაობისა გამო. ხოლო საინტერესო და საგულისხმეო აი რა არის: როცა მეტის უფლებით შეჭურვილთა ნივთიერი ინტერესი რაიმე საშიშროებაშია, მაშინ მათ შორის ყოველი პარტიობა ისპობა და ყველანი: ლიბერალნიც, კონსერვატორნიც ერთ-ხმად ჰყვირიან და ჰლაღადებენ: „დასჯილ იქმნას ირლანდია!“ თვით ის ინგლისის სტამბა, რომელიც თავის უხუცესის წარმომადგენლის პირით (თიმეს) ჰქადაგებდა იტალიის ხალხის მოძრაობის დროს: „დროა დაჩაგრულ ერთ შეიგნონ, რომ თავისუფალს ხალხს არ შეუძლიან არ თანაუგრძნოს მათ, ვინც ჰკვნესის მონების ჯაჭვით შებორკილიო, რომ თავისუფლება ისეთი უხუმარი თამაშობაა, რომლის დროსაც, ძველი ბერძნების თქმით, უნდა მოქმედობდნენ ხანჯლითა და ცულითა და არა სალიზლობელი და მახვილი ეპიგრამებითა, ან პეტაცებითო“, – დღეს იგივე სტამბა შვებით იხარებს და ვაშას დასძახის მთავრობას ირლანდიის მოძრაობის ბელადთა და მოთავეთა დატუსაღებისათვის. ყოველივე თავისუფლება და მისი მოთხოვნილებანი, ყოველი პოლიტიკურად მონიჭებულნი უფლებანი და პოლიტიკური თავაზიანობაც დავიწყებულ და უკუტყორცნილ იქნებიან ხოლმე თვით თავისუფლების მომხრეთა და მოყვარეთა მიერ, როდესაც საასპარეზოდ გამოდის სცენაზე ეკონომიური და არა პოლიტიკური საგანი და ამით კიდევ კვალად სიმტკიცე ეძლევა იმ ამრს, რომ პოლიტიკური თავისუფლება და ეკონომიური მონობა-დაჩაგრულობა ადვილად თავსდებიან ერთად ერთსა და იმავე ქვეყანაში. ეს კიდევ ცოტაა: მოისურვებს თუ არა ხალხი ეკონომიურ დაჩაგრულობას თავი დაახწიოს, მაშინვე ყოველსავე პოლიტიკურს თავისუფლებას შორის ისვრიან, როგორც მტერს, ისინივე, ვინც გუშინ და გუშინ წინ მაღლა აფრიალებდა

პოლიტიკურ თავისუფლების დროშას. პოლიტიკური თავისუფლება, თუ შექმნილა და მინიჭებია ხალხს, პირობით მინიჭებია, რომ მან საზღვარს არ გადააცილოს, ე. ი. იგი თავისუფლება ბოროტად არ მოიხმაროს მეტის უფლებით შეჭურვილთა წინააღმდეგ. კარგიც ეს არის და პატიოსანიც! ასე გამოდის: თუ სასარგებლოა შენთვის, ჰქადაგობ თავისუფლებას, თუ იგი შეეხო საზიანოდ შენს სარგებლობას – სდევნე იგი, დაჰგმე და ისწრაფოდე აღმოფხვრად მისსა. თავისუფლება უსაჭიროესი საგანია, მაგრამ ამ საგნით სარგებლობა ეთავაზება ეკონომიურად ძლიერს თავის ინტერესების დასაცველად. ასეთი გახლავთ ეს ქებული პოლიტიკური თავისუფლება ბურჟუაზიისა! ასეთია მისი სიღრმე და სიგანე, მისი ხატება.

საფრანგეთში მკვიდრად და საბოლოოდ დამყარდა რესპუბლიკა. არა ვთვლი საჭიროდ მოვიყვანო მრავალი საბუთი და ფაქტი, რომელიც ამტკიცებს, რომ ნივთიერი მდგომარეობა ხალხისა მინც ერთი ბეწვითაც არ შეცვლილა და არ განკარგებულა, თუ კიდევაც არ გაუარესებულა ფრთეთა ქვეშ რესპუბლიკანურ დაწესებულებათა. მართალია, ჩვენ ვიცით და გაზეთებშიც ვკითხულობთ, რომ ეროვნულმა სიმდიდრემ საფრანგეთში დიდათ იმატა რესპუბლიკის მკვიდრად დამყარების შემდეგ. მაგრამ სრული უმეცარი უნდა იყვეს კაცი ეკონომიურ საგნებისა და მოვლენათა, ან და გაზეთში მბლაჯნელებზედ მეტი არა უნდა იცოდეს რა კაცმა, იმ მბლაჯნელებზე, რომელნიც ბჭობენ ათას გვარ მათთვის სრულიად გაუგებარს საგნებზე, რომ გააერთიანოს, ერთ ცნებად მიიღოს კაცმა ეროვნული სიმდიდრე და ხალხის დოვლათი, აღყვავება წარმოებისა და მრეწველობისა და მშრომელი ხალხის მდგომარეობის განკარგება. აწ ყველასათვის, ვინც ჩაფიქრებით უღრმავდება და ბჭობს ამ საგნებზე, ცხადი და დიდი ხანია დამტკიცებული ჭეშმარიტებაა, მტკიცედ აღიარებული ეკონომიურის მეცნიერების მიერ, რომ ეროვნულის სიმდიდრის ზრდა, მშობლიურის მრეწველობის აღორძინება აწინდელ ხალხთა ეკონომიური ცხოვრების ვითარების მეოხებით, ჰნიშნავს მეტის უფლების მექონეთა გამდიდრებას და ხალხის გაღარიბებას, ანუ სხვაფრივ რომ ვსთქვათ: ეროვნული სიმდიდრე და ხალხის სიმდიდრე ბუნებრივნი მტერნი არიან; პირველი აღნიშნავს ხარისხს ბურჟუაზიის დოვლათისას და საზოგადოდ მეტის უფლების მექონეთა კეთილდღეობას, ხოლო მეორე – ხარისხს ხალხის კეთილ-დღეობისას. ვინ დაიწყებს სჯას რომელიმე აზრის მფლობელის ბრილიანტების მიხედვით მის ქვეშევრდომ ხალხის კეთილ-დღეობაზე; პირიქით, ყოველმა შემეცნებულმა და გაგებულმა კაცმა იცის, რომ ეს ბრილიანტები შექმნილია ხალხის

გალატაკებით და გაბედოვლათებით. სწორედ ამ გვარადვე, ბატონ-ყმობის დროს, არავინ არ განსჯიდა ყმის კეთილ-დღეობაზე ბატონის სიმდიდრის მიხედვით. რაც კაცთა ჯგუფი და წრე, ხალხის შრომით მცხოვრები, უფრო მდიდარია და უბრუნველი ნივთიერად, მით უფრო ცუდია და არა სანეტარო მდგომარეობა ხალხისა, – აი ჭეშმარიტება, შემუშავებული მეცნიერებისაგან, როგორც საქმის ფაქტიკურის გამოკვლევით, ისე თეორეტიკულ და ანალიტიკურ მოსაზრებათა შექმნით. ამისათვის ჩვენ ვერ შეგვარყევს და გზას ვერ შეგვიშლის საცოდავი გადაცემ-გადმოცემა არა ჩვეულებრივს აღორძინებაზე რესპუბლიკანურ საფრანგეთის მრეწველობისა და წარმოებისა. ჩვენ ვიცით ჭეშმარიტი აზრი ამ ფაქტისა, ჩვენ ვიცით, რა ფასით არის ნასყიდი იგი მრეწველობის აღორძინება და ამისათვის არ შევხარით მას.

აი აქ უნდა მოიძებნოს გამოცნობა იმ პირველ-შეხედვით გაუგებარის მოვლენისა, რომ, თუმცა სრულიად აღუსრულდათ ფრანგულებს თავიანთი უგულითადესი სურვილი თავისუფალ რესპუბლიკანურ წეს-წყობილებათა დამყარებისა, მაინც გულწრფელ რესპუბლიკელთა შორის სდგება პარტიები, რომელნიც უკმაყოფილონი არიან თავიანთი ქვეყნის მდგომარეობითა და ფიცხელნი მოსურნენი ცვლილებისა. თვით ფაქტი ამ გვარი პარტიების არსებობისა და მათ აღორძინებისა თანა-მედროვე საფრანგეთში ცხადად გვიჩვენებს, რომ ხალხი დრტგინავს თავის მდგომარეობაზე და უკმაყოფილობს. მაშინ როდესაც ყოველნი, ბურჟუაზიულის გულის-თქმით აღტყინებულნი, ერთდებიან თავიანთ საერთო ინტერესების დასაცვლად ერთს დიდს რესპუბლიკანურ პარტიად, გამბეტას წინამძღოლობით, ამ ბურჟუაზიის ქადაგისა და ქურუმისა, – ნამდვილნი წარმომადგენელნი ხალხის ჭეშმარიტი ინტერესებისა, განზიდულნი და განლტოლვილნი მათგან ერთ პარტიად იკრიფებიან და სცდილობენ იბრძოლონ სასიკვდილოდ და სასიცოცხლოდ რესპუბლიკელ პარტიის ბურჟუაზიულ უმრავლესობის წინააღმდეგ. პოლიტიკური სურვილი რესპუბლიკელ პარტიისა და აგრეთვე თვით ხალხისაც სრულიად დაკმაყოფილებულია ახლა და ამ მხრივ არაფერი დიდი სადავიდარაბო საგანი აღარ არსებობს. ახლა პროგრესიულ პარტიის გამოსაცდელად წამოყენებულია ეკონომიური წყობილება და ის საგანი, თუ როგორ ეკიდება იგი პარტია ხალხის ნივთიერ ინტერესებს და არასოდეს ბრძოლა მართო პოლიტიკურის პრინციპებისათვის არა ყოფილა ისეთი მედგარი და შეურიგებელი, როგორც ბრძოლა ეკონომიური ინტერესებისათვის. თავისუფალ პოლიტიკურ დაწესებულებათა მქონე ქვეყანაში, წვრილალი გარჩევანი პოლიტიკურს რწმენათა რესპუბლიკანელ

პარტიის სხვა და სხვა ფრაქციათა შორის, ჰქრება და ნელდება სრულიად; მებრძოლთა პარტიებს ჰყოფს ამ შემთხვევაში ეკონომიური საგნები, რომელთაც აქვთ ცხოველი და არსობითი მნიშვნელობა ხალხისათვის. აი ამას ვხედავთ ეხლა ჩვენ ნიშან-დობლივ საფრანგეთში. ეხლა აღარ არიან იქ მონარხიელნი ანუ ერთ-მთავრობის მომხრენი და რესპუბლიკელები, კონსერვატორნი და ლიბერალნი, ზომიერნი და შეურიგებელნი. ეხლა იქ იბრძვიან მომხრენი ბურჟუაზიისა და მოყვარე-მოკეთენი ხალხისა. პირველები – ბურჟუაზიის ეკონომიურ ინტერესებისათვის, მეორენი – ხალხის ნივთიერ კეთილ-დღეობისათვის.

\* \* \*

გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრების განცხოველება და კერძოდ არჩევნების ბრძოლის დროს არაჩვეულებრივი გაცხარება რომ პირდაპირ შედეგია მებრძოლთა პარტიების ეკონომიური პროგრამისა – ეს ყველასათვის ცხადია. თავად ბისმარკმა ძალიან კარგად შეიგნო, რომ სოციალური საქმე შეადგენს ქვა-კუთხედს თანამედროვე ცხოვრებისას, რომ იგი ბატონობს სხვათა საქმეთა-შორის და რომ მარტო მას აქვს მერმისი და მომავალი. ადვილი მისახვედრია ამ სახით, რად ჩაბლუჯა მან ამ საქმესაც ხელი, ისე როგორც სხვა ყოველგვარს საქმესაც სახელმწიფოში მოხვია მაგრად თავისი მკლავები; მან თვით მოიწადინა ამ საქმის გადაწყვეტა თავისებურად, თავის სურვილისამებრ და ამით განზრახვა აქვს ააცილოს თავიდან, ეს საქმე სოციალისტებს, რომელთა წინააღმდეგ მან უკვე გამართა ჯერ-ჯერობით „მცირე გარშემორტყმით ომი“ – (малая осадная война). იგი ჰფიქრობს შეჰქმნას და გააჩინოს სახელმწიფო ანუ მმართველობის სოციალიზმი, რომ ამით მოაკლოს მომხიბლველი ძალა და გავლენა სოციალისტების პარტიას და თანაგრძნობა აღძრას მუშა ხალხში მთავრობის ეკონომიურ ზომიერებისა და განკარგულებისადმი. ამ გვარის საქმის მოწყობით მან საშინლად გააბოროტა ყოველგვარის მიმართულების ლიბერალური წარმომადგენელნი ბურჟუაზიისა, რადგან მართებლობის სოციალიზმის განხორციელებისათვის იგი სხვათა შორის სთვლიდა საჭიროდ, როგორც ცნობილია, რომ მარტო მთავრობას ეკისრნა თუთუნისა და თამბაქოს წარმოება და გასაღება და კიდევ, რომ მთავრობისავე მეცადინეობით მუშების უზრუნველყოფა და დაზღვევა (страхование рабочих и тибачая монополия) დაწესებილიყო. ცხადია, რომ ბურჟუაზიის წარმომადგენლებს არ ეპიტნავებოდათ ეს განზრახვა ბისმარკისა, რადგან მის ასრულებით ბურჟუაზიის



ჯიბებს საგრძნობელი სისუსტე დაეტყობოდა. ბურჟუაზიას ხუმრობა აღარ ეგონა ეს ეკონომიური ჩხირ-კედელაობა გუშინ მისგანვე სათაყვანებელის კანცლერისა, შეშინდა და ერთხმად აყავყავდა: „გვძარცვავენ, გვარბევენ! გვიშველეთო!“ ლიბერალნი მას განზე გაუდგნენ, და არც თვით მუშები იქმნენ მოსყიდულნი ბისმარკის იაფი და არაძვირი დაპირებით და ფეშქაშებით. მათ არა სწამდათ არც ძალა და არც მნიშვნელობა ზომიერებისა, არა სწამდათ, რომ სოციალური საგნის გადაწყვეტა შეიძლებოდა ზე-მომავალი გზით. იგინი ფიქრობენ, რომ თამბაქოს წარმოების მონოპოლია გაამდიდრებს ხაზინას და არავითარს სარგებლობას არ მოუტანს მუშა ხალხს, როგორც ცდილობს ბისმარკი დაარწმუნოს იგი; პირიქით, სახელმწიფო შემოსავლის გაძლიერება გადააქცევს მას დამოუკიდებლად და უარესს მტარვალად; რადგან ფული საკმაოდ ექმნება, მისთვის საჭირო აღარ იქმნება რეისტაგი, რომლის თანხმობით შეიძლება მხოლოდ დამტკიცდეს სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის სია (ბიუჯეტი). აი ამისათვის შეწუხდა ბისმარკი, რომ არჩევანის დროს გამართულს ბრძოლას მოჰყვა მისთვის არა სასურველი შედეგი.

სოციალურ საქმეს, როგორც მიუცილებელს და საჭირო საგანს, რომელსაც უსათუოდ უნდა ადგილი ჰქონდეს ეხლანდელს პარტიების პოლიტიკურს პროგრამაში, კეთილ-ინებეს და მიაქციეს თავიანთი ყურადღება გერმანიის თვით კლერიკალურმა პარტიებმაც: კათოლიკებისამაც და პროტესტანტებისამაც. ერთნიც და მეორენიც სთვლიან საჭიროდ მიემხრონ დანაგრულს მხარეს, ხალხს და ჰქადაგობენ სიმართლეს და კაცთმოყვარეობას უკანასკნელის მიმართ. იგინი ამტკიცებენ, რომ ქრისტიანობას ყოველთვის დანაგრულთა და გაძრცვნილთა მხარე სჭერია, რომ იგი ჰგმობს ომს ყოველთა და ყოველთადმი და მოიწვევს საზოგადოების სხვა და სხვა წრეთა და წოდებათა თანხმობისა და ძმობისათვის ურთიერთ დათმობით და თავაზით. რეაქციონელი სოციალისტები, როგორც მათ ზოგიერთნი ეძახიან, თავიანთი აზრების პრაქტიკულად გავრცელებისათვის მუშა ხალხთან ურთიერთობას და დამოკიდებულებას სცდილობენ, აფუძნებენ მუშების საზოგადოებას, საქველმოქმედო დაწესებულებათა და თავიანთ გაზეთებსაც სცემენ. ერთს ამ გაზეთთაგანს ჰქვია „სახელმწიფო სოციალისტი“ (შტაატს შოციალისტ).

ყველა ეს ფაქტები საკმაოდ ცხადათ ამტკიცებენ იმ ჩემს აზრს, რომ ევროპის აწინდელი პოლიტიკური განცხოველება პირდაპირი შედეგია ეკონომიურის საგნებისა, რომელნიც ცხოვრებამ ყველა საგნებზე წინ წამოს-

წია. შემდეგ მრავალი სხვა მოსაზრება კიდევ მომეყვანა ჩემის აზრის დასამტკიცებლად, მაგრამ ეს აზრი ისე ცხადია, ისე სათვალ-ჩინოა, რომ კაცი ან უნდა ბრმა იყვეს, ან განზრახ თვალთ იბრმავებდეს, რომ ვერ დაინახოს და ვერ შეიგნოს მოვლენათა ჭეშმარიტი მნიშვნელობა.

ეს ლაქუცი მუშა-ხალხის წინაშე, ეს თვალნი, მშრომელთადმი მიპყრობილნი, ეს სახელმწიფო ზომანი, მიღებულნი იმ ანგარიშით, რომ მათი თანაგრძნობა და სიმპატია მიიზიდონ, – სუყველა ეს განა ცხადათ არ ამტკიცებს, რომ ევროპიულ საზოგადოების და სახელმწიფოების ცნობიერება გამორკვეულა და დამდგარა იმ აზრზედ, რომ ეკონომიური წეს-წყობილება, ვითარება უპირატესი საგანია და საფუძველი არის სრულიად სახალხო და სახელმწიფო ცხოვრებისა.

ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის სხვათა შორის მეცნიერებას და ლიტერატურას. მოწინავე წარმომადგენელნი, როგორც ერთის, ისე მეორისა დაულალავად შეასმინებდნენ საზოგადოებას და სახელმწიფო კაცებს, რომ ასეთ თუ ისეთ გვარს ეკონომიურს წეს-წყობილებაზე დამოკიდებული მსვლელობა ქვეყნის ცხოვრებისა, მისი მეხანიზმი. ეს აზრი უკვე დამყარდა და მტკიცედ დაისადგურა მან იმ მეცნიერთა და ლიტერატორთა გონებაში, რომელნიც ყველაზე მომეტებულად თავისუფლად მოაზრებოდნენ და ყველაზე ნაკლებ იყვნენ მოცულნი ცრუ-მორწმუნეობით. აი სხვათა შორის რით აიხსნება სიმრავლე სტატიებისა და ტრაქტატებისა ეკონომიურს საგნებზე ამ უკანასკნელ დროს. ყოველი დარბაისელი და შეგნებული ჟურნალი, თუ კი ჰსურს რომ გავლენა და ხმა მოიპოვოს, ვრცელს ალაგს უწილადებს მათ გარჩევას; ყოველი ახალი გაზეთი ისწრაფვის აუწყოს მკითხველს წინდაწინვე, რომ იგი მომეტებულს ყურადღებას მიაქცევს „დღიურის ვარამისა და ტკვილის“ ახსნას, ე. ი. იმავე ეკონომიურს საგნებს. თავის მხრით მეცნიერნი და მსწავლულნი თავიანთ თხზულებათა საგნად ჰხდიან ხალხის ეკონომიურს ცხოვრებას. დისერტაციებიც კი, რომელნიც იწერებიან მეცნიერების ხარისხის მოსაპოვებლად და ჩვეულებრივ არ შეეხებიან დღიურ საჭიროებათა, მხარს ვერ უქცევენ ამ დაწყვეტილს ეკონომიურს საგნებს. ასეთია საზოგადო ცნობიერება, ასეთია საზოგადო ატმოსფერო.

\* \* \*

ასეთ მდგომარეობაშივეა საქმე სხვათა შორის რუსეთშიაც, სადაც ყოველი ძალა და ღონე საზოგადოებრივ მოღვაწეთა ამ მხრივ მიიმართება. თქვენ არ შეგეძლოთ არ შეგენიშნათ, რომ საუკეთესო რუსული ჟურნა-

ლები ადგანან მათ გარკვევისა და გადაწყვეტის საქმეს, როგორც პუბლიცისტიკურ თხზულებების შემწეობით, ისე სამხატვრო ბელეტრისტულ ნაწარმოების მეოხებით. თქვენ მოგეხსენებათ, რა შეუშურველი და არა სანეტარო მდგომარეობაა რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა. არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ რუსეთის ხალხი შთავარდნილია უკიდურეს გაჭირვებაში და სიღატაკეში, რომ მას არ შეუძლიან თავის საჭიროებას გასწვდეს, რადგან მას მცირესაგან მცირე საგლეხო ნადელები აქვს და ეს სიმცირე ნადელებისა ხელს უშლის მას დამოუკიდებელი მეურნეობა ჰქონდეს. რუსის გლეხი წელშია მოხრილი და ძლივსღა ჰსუნთქავს სახელმწიფო გადასახადების ტვირთის ქვეშ. იგი მუშაობს, წელებზედ ფეხს იდგამს თითქმის და მაინც უილაჯოა მეტის-მეტი სამძიმო ეკონომიურ და სახელმწიფო ცხოვრების ვითარების გამო. შრომა მისი უდოვლათო და უნაყოფოა, რის ვაი-ვაგლახით შეძენილი მიწა 19 თებერვლის დებულებისამებრ არ აძლევს მას იმოდენა შემოსავალს, რომ სახელმწიფო ხარჯი გაისტუმროს და თავის მეურნეობის საჭიროებასაც გასწვდეს; სხვაგან სიარულიც სამუშაოდ ვერ ჰშველის მის გაჭირვებულს მდგომარეობას. სახელმწიფო შენობა, სახელმწიფო წეს-წყობილების აგებულება შეირყა და დაინძრა ხალხის ესე გვარ მდგომარეობისა გამო, იმ ხალხის, რომლის მხრებზედაც სრულიად სახელმწიფო დამყარებულია. საზოგადოების მაღალმა წრეებმა იგრძნეს ეს უცარი ნგრევა, შემინდნენ და შეშფოთდნენ. პირველ საქმედ იგინი ძირს ჩამოეშვნენ დაბალ ხალხთან და მოუსვენრობით ცდილობდნენ შეეტყოთ ამ ნგრევის მიზეზი. შესდგენ მმართველობის მიერ სხვა და სხვა გვარი კამისიები ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გამოსაძიებლად. ერობამ, ანუ უკეთ ვსთქვათ თემობამაც, მიაქცია თავის მხრითაც ყურადღება ამ საშურო საქმეს. გაჩაღდა გაცხარებული მუშაობა. თემობის გამგეობასთან ერთად დაარსდნენ სტატისტიკური განყოფილებანი, რომელთა სრული მოღვაწეობა მიქცეულ იქმნა იმ ეკონომიურ პირობების გამოკვლევაზე, რომელშიაც სცხოვრობს რუსის ხალხი. თვით მეცნიერული საზოგადოებანი ძლეულ იქმნენ დროთა-ვითარებისაგან, დაემორჩილნენ საჭიროებას და ამ მხრივ მიმართეს თავისი მუშაობა. „თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოებამ“ საგნად დაიდო ყოველმხრივი შესწავლა რუსეთში გავრცელებულის ერთ-გვარის მიწად მფლობელობისა, რომელსაც საერთო მიწადმფლობელობა ჰქვიან, რუსული „ობშჩინისა“. ამისათვის მან გამოსცა კითხვებად დალაგებული პროგრამა ამ საგანზე ცნობათა შესაკრებად და უკვე დაბეჭდა კიდევ თვით ცნობათა კრებულის

პირველი ტომი. ყოველივე ამ მეცადინეობის შედეგი, როგორც მთავრობის მხრივ, ისე საზოგადოებრივ დაწესებულებათა მიერ, იყო გამოქვეყნება აუარებელის და ძვირფასის მასალისა გლეხის ეკონომიურის ცხოვრების ყოველ-მხრივი შესწავლისათვის.

ამ მხრივ იყო მიმართული აგრეთვე თანხმობითი მოღვაწეობა კერძო პირთა და მშრომელთა; მათ თავის გამოკვლევით და ძიებით მოჭინეს ნათელი ხალხის ცხოვრების ისეთ მხარეთა, გაიცნეს და გამოაქვეყნეს ისეთი უცნაური და საოცარი ფაქტები ხალხის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებიდამ, რომელთ არსებობა წარმოსადგენი არც კი იყო წინად. დღეს ამ ფაქტების ძალით თან-და-თან იძულებულნი გახდნენ ახირებული ოპტიმისტები, ეს ცრუ დამცველნი თავიანთის ქვეყნის „დიდებისა და ბრწყინვალეებისა“, ეს პატრიოტები თავიანთის ქვეყნისა და სამშობლოსი, როგორც ისინი თავიანთ თავს ეძახიან, – იძულებულნი გახდნენ, ვამბობთ, შედრკენ, უკან დაიხიონ და მწუხარებით გადააგდ-გადმოაგდონ ჭაღარა შერთული და გამოცდილებით დამარაგებული თავნი თვისნი. მართალია, განზრახვა და საწადელი, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ სხვა-და-სხვა დაწესებულებანი და კერძო პირნი ეკონომიურ გამოკვლევასა და ძიების დროს იყო სხვა-და-სხვა, მრავალ-გვარი და ერთმანეთის წინააღმდეგიც, მაგრამ მაინც და მაინც გამოკვლევათა შედეგი არავითარს ეჭვს აღარ ჰბადავს მასხედ, რომ ხალხის მდგომარეობა დიდად გაჭირვებული და სასო-წარკვეთილი მდგომარეობაა.

ნუთუ მართლა, ხალხის უკიდურესი მდგომარეობა პირდაპირ შედეგია საგლეხო რეფორმისა, რომელიც 19 თებერვალს 1861 წელს იქნა გამოცხადებული? ებადება ყველას თავში ეს მწარე დამაფიქრებელი კითხვა. რა გვარად უნდა შესდგომოდა ამ გვარი ბოლო რეფორმას, რომლის საგნად იყო გლეხთა კეთილ-დღეობა, მათი მოქალაქეობრივი განთავისუფლება, გონებითი და ზნეობითი განვითარება. სად არის ეს შავ-ბედიითი წინააღმდეგობა. – კვალად იტყვენულობენ ამ საგანზედ ისინი, ვინც გატაცებულნი იყვნენ გარეგნობით და საქმეს ღრმად არ უფიქრდებოდნენ. – წინააღმდეგობა უნდა აიხსნას ჩვენის არა-შესაწყნარებლის და დამლუპველის გაუგებრობით საზოგადოებრივ მოვლენათა ტეშმარიტის ამრისა, – იძლევიან პასუხს ისინი, ვინც პირ და პირ, ცნობიერად და არა პირ-მოფერებით უცქერის ხალხის ცხოვრების მოვლენათა.

ისინი უჩვენებენ იმ მოვლენას, რომ საგლეხო რეფორმამ ორგვარი ხასიათი მიიღო და რომ ამ ორგვარობამ შესძღვნა რუსეთს ფრიად გა-

ჭირვებული მდგომარეობა გლეხისა. ისინი დაურღვევლად ამტკიცებენ იმ მტკიცედ აღიარებულს ფაქტს, რომ რეფორმის მოღვაწენი გატაცებულ იქმნენ ევროპულ ქვეყნების წარმოებისა და მრეწველობის წარმატებით და მოინდომეს არა თუ მართო განთავისუფლება ხალხისა ბატონ-ყმობისაგან, არა თუ მხოლოდ წაქეზება და წახალისება გლეხის შრომისა, არამედ ამ საგნებთან ერთად მათ ისიც დაიდევს საგნად, რომ მფარველობა აღმოეჩინათ და წახალისებინათ შინაური და მშრობლიური მრეწველობა (Отечественная промышленность). ამით ეს მოქმედნი რეფორმისა დიდათ შესცდნენ და თვისის გულუბრყვილობითა ჰგონებდნენ, რომ ამ გვარად ისინი აღაყვავებენ და განავითარებენ ქვეყანას ეკონომიურად. ამ ცრუ იმედით დაიწყო ძალით მოსილთა მიერ შეწევნა და ყოველ-გვარი წახალისება კაპიტალისტებისა და ფულის პატრონებისა, რომელთაგან ელოდნენ ყოველ-გვარს წყალობას ქვეყნისათვის. გაჩაღდა გახელებული სარკინიგზო მოღვაწეობა, დაარსდა ბანკები, აქციონერული და საკრედიტო დაწესებულებანი: დაიხარჯა დიდ ძალი ფული და შეიძლება სახელმწიფო შემოსავალ-გასავლიდამ რკინის-გზების გაყვანისა და მართვა-გამგეობისათვის, უცხო ქვეყნებთან ალებისა კი არა მიცემობის ვაჭრობის (ВЫВОЗНАЯ ТОВАРОВА) გაძლიერებისა და წახალისებისათვის. სრულიად საეკონომიო და საფინანსო პოლიტიკა რეფორმის შემდეგის დროის განმავლობაში იმით სულდგმულობდა, რომ შეექმნა და გაეძლიერებინა კაპიტალისტების წოდება და მომრეწველთ და მოვაჭრეთ წრე იმ ხალხისაგან, რომელიც ამ გვარისავე საქმეს ადგა წინაღვე მცირედ. ამ დაწყობილობათა საწადელათ ის იყო მიღებული, რომ ძლიერს მომრეწველთა წრეს და წოდებას ეკისრნა ორგანოვანობა სახალხო და სახელმწიფო მეურნეობისა, რომ ამ სახით დაახლოვებოდა რუსეთი დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოთა ტიპს.

\* \* \*

ამის გარდა, რეფორმაციულის ღვაწლის ხსენებულ ორგვარობისა და ორ-ნაირობისა გამო, არაფერი არ გარიგდა და არ გაკეთდა რეფორმის უმთავრესის მიზნის მისაღწევად – სოფლის ყოფა-ცხოვრების განკეთილგებისათვის. გლეხობას მიეცა ძალიან მცირე ნაღვლები და მათი გამოსასყიდი ფასი კი ისე დიდი დაიდო, რომ სრულიად მოუხერხებელი შეიქმნა მისთვის ფიქრი და ზრუნვა დამოუკიდებელ მეურნეობისათვის. საგლეხო რეფორმის მოწალმართენი კი დარწმუნებულნი იყვნენ და ფიქრობდენ წინდაუხედავად, თუმცა კი გულ-წრფელად გატაცებულნი, ოღონდ კი გან-

თავისუფლდეს ხალხი ბატონ-ყმობიდან, ოღონდ კი დაიმსხვრეს საუკუნობით ნაჭედნი ბორკილნიო, რომელიც რკინის ბეჭედივით გარს შემოჰხვევია ხალხის ცხოვრებასო, და მერე ხალხი ნეტარად და უბრუნველად იცხოვრებსო. მაგრამ ბოლოს კი ისე გამოვიდა, რომ ხალხის მდგომარეობა თუ არ გაუარესდა, არანაირად არ გაუკეთესებულა; რომ ხალხს ერთის ველურის და გამხეცებულის ბატონის მაგივრად, მეორეც მოახვიეს თავზედ. ეს მეორე გახლავთ უფრო ლიბერალი და ენა-მეტყველი მუშმუშელა ვაჭარი, რომელიც დღეს არა, ხვალ გადაიქცევა ნამდვილ კაპიტალისტად და რომელსაც უკვე ყოველი ღონე და კულტურული სახსრები ხელთ ექნება ხალხის სრულის და სისტემატურის ძარცვა-ყვლეფისათვის.

მაშინვე, საგლეხო რეფორმის დროსვე, იყვნენ კაცნი, რომელნიც აფრთხილებდნენ რეფორმის მოღვაწეთა. ისინი ეუბნებოდნენ მათ, რომ საგანი ისე არ არის დადგენილი, როგორც უნდა იყვესო; რომ მისი გარდაწყვეტა სასურველი გარდაწყვეტა არ იქნებაო, რადგან ეგ სასურველი გარდაწყვეტა იმაზედ არის დამოკიდებული, რა გვარს საეკონომიო შეხედულებასა და ეკონომიურს პრინციპებს დაუდებთ სარჩულად განზრახულს რეფორმასო. ისინი ამტკიცებდნენ, რომ უკეთუ ეკონომიური მხარე რეფორმისა არ იქნება რიგიანად შემუშავებული და გამორკვეულიო, თუ რეფორმატორები შეშინდებიან ან მოერიდებიან მას, რომ გადასაწყვეტი საქმე საძნელოა და რთული და არ გადაწყვეტავენ მას რადიკალურად და ერთბაშად ეხლავე, მაშინ რეფორმა გადაიქცევა არარად. მაშინ მოსალოდნელ სიკეთისა და ნეტარების მაგიერ, ხელთ დაგვრჩება ხალხის უარესი შეწუხება, მოვესწრებით მის უარესს გაღარბებას. მაგრამ, საუბედუროდ, რეფორმატორებმა ვერ გამოიჩინეს საკმარისი სულის სიძლიერე. მათ არ მიიღეს გონივრული რჩევა ეკონომიურის ლიტერატურის წარმომადგენელთა, რომელთაც იგინი უპასუხებდნენ, რომ საჭიროა შეთანხმდეს და შეწყობილ იქმნას ინტერესები სხვა-და-სხვა წოდებათაო. რომ ამ საქმეში მონაწილე წოდებანი თანაბრად უნდა იყვნენ დაკმაყოფილებულნიო. გადასაწყვეტი საგანი რთული კი არ უნდა გახადოთ, არამედ შეძლებისამებრ უნდა გამარტივდეს და ისე გადასწყდეს; ჯერ ხალხი განთავისუფლდეს პოლიტიკურად, მოქალაქეობრივი უფლებანი მიენიჭოს და მერე შეიძლება დამატებითი ზომიერებანი იქმნეს მიღებული რეფორმის ეკონომიურის ნაწილის გადასაწყვეტად. ამ სახით საგანი „გამარტივებულ იქმნა“, რჩევანი „გამოუცდედ და ახირებულ“ იდეალისტებისა უარ-ყოფილნი და უყურადღებოდ დატოვებულნი შეიქმნენ. რეფორმა მოხდა, ხორც-შესხმულ ფაქტად გადაიქ-

ცა და აი რუსეთი დღეს გაბეჩავებული ეზიდება მძიმე ტვირთს ამ გვარად საგნის „გამარტივებისას“ და ცხოვრება ამართლებს იმ იდეალისტებს და „გამოუცდელ“ ეკონომისტებს, რომელნიც წინასწარვე გრძნობდნენ, რა გამწარებული ცხოვრებაც მოჰყვებოდა მარტივად საგნის გადაწყვეტას.

მეორეს მხრით, ჩვენ ვიცით რა ხასიათისა და მიმართულებისანიც არიან „დამატებითი ზომიერებანი“, რომელთაც უნდა შეემთავრებინათ და დაეგვირგვინებინათ გლეხთა რეფორმის საქმე. ვიცით, საითაც აქვთ მათ თავი მიმართული, ვის ინტერესების დამცველათაც გამოცხადებულან და ამის გამო უფრო მეტის სიმტკიცით ვალვიარებთ ჩვენს აზრს ამ გვარის „ფრთა-მოკვეცილ რეფორმისა და მის გამარტივების“ წინააღმდეგ.

ახლა, მრავალ გამოკვლევათა და გამოძიებათა შემდეგ, შემდეგ ბეჯითი შესწავლისა და შემეცნებისა იმ კანონთა და წესთა, რომელთაც ექვემდებარება საზოგადოებრივი ცხოვრება, რუსნი, მწარედ გამოცდილნი და თავის ქვეყნის ბედ-კრულობის მომსწრენი, თან-და-თან რწმუნდებიან, რომ ეკონომიურ ცხოვრების უყურადღებოდ დატოვება ძვირად უჯდება ქვეყანას, მისთვის მხარის აქცევა დამლუპველს და ძნელად გასასწორებელს შეცდომას წარმოადგენს და რომ გარეგანი სახე საზოგადოებრივის ცხოვრებისა მტკიცედ შეესაბამება მატერიალურ ცხოვრების პირობათა და ვითარებასა. ყოველი რეფორმა, ცხოვრების რომელ მხარესაც გინდა შეეხებოდეს, დარჩება უქმად და ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუ იგი მტკიცედ შემეცნებულ და ცხადად გამოთქმულ პრინციპზედ არ არის დამყარებული.

აი როგორ გამოსთქვამს მოკლედ თავის შეხედულებას ამ საგანზე ერთი უდიდესი და უღრმესად შემეცნებული კაცი ჩვენის დრო და საუკუნისა. კაცი ისეთი, რომლის სრულიადმა და მტკიცე-მეცნიერულმა წარმოდგენამ მსოფლიოზე (мироозерцание) ჰქმნა დიდი ძლევა. „პირველი საგანი, რომელსაც მე მივმართე ჩემი ეჭვების გასაფანტველად, – მოგვიტხოვრობს იგი თავის გამოკვლევათა მსვლელობაზე, – იყო კრიტიკულად განხილვა გეგელის სწავლა-მოდღვრებისა „უფლების“ ფილოსოფიაზე (реглевная философия права). ამ გარჩევის და განხილვის შემწეობით მე დავასკვნენი, რომ უფლებრივი ურთი-ერთობანი და აგრეთვე პოლიტიკური ფორმები არ წარმოიშობება, არ მომდინარეობს იურიდიკულს და პოლიტიკურს საფუძველთაგან და არც შეიძლება მათზედ იყვეს დამყარებული. უფრო არ შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ იგი უფლებრივი ურთი-ერთობანი წარმოსდგნენ და მომდინარეობენ ესრედ-წოდებულ კაცობრიობის სულის ზოგად განვითარებისაგან. მათი საფუძველი და დასაბამი არის მატერიალური,

ქონებრივი, თვით რეალურის ცხოვრების ურთი-ერთობანი, რომელთაც ერთად თავ-მოკრევით გეგელი „მოქალაქეობრივს საზოგადოებას“ ეძახის, მეთვრამეტე საუკუნის ინგლისელ და ფრანციელ მწერალთა მიხედვით. ხოლო ანატომიას მოქალაქეობრივის საზოგადოებისას წარმოადგენს პოლიტიკური ეკონომია. ასე შეიძლება გამოიხატოს მოკლედ ის აზრები, რომელნიც მე დავასკვენი მის (პოლიტიკურის ეკონომიის) შესწავლის შემდეგ: მატერიალურის წარმოების დროს კაცთა შორის არსდება ერთგვარი ურთი-ერთობა, წარმოებრივი ურთი-ერთობა (производственные отношения). ეს უკანასკნელი მუდამ და ყოველთვის შეესაბამება, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ფარდს წარმოადგენს შრომის იმ ნაყოფიერებისას, შემოქმედობისას, რომელიც დღეს კაცის ეკონომიურ ძალთა განვითარების წყალობით არსებობს. სულ ერთად, თავმოკრევით აღებული წარმოებრივი ურთი-ერთობანი შეადგენენ ეკონომიურს სტრუქტურას საზოგადოებისას, რეალურს საძირკველს, რომელზედაც აგებულია პოლიტიკური და ეკონომიური შენობა და რომელსაც შეეფარდება და შეესაბამება რომელნიც ცნობილი ფორმები საზოგადოებრივის ცნობიერობისა. ამ სახით წარმოებრივის წესზედ დამოკიდებულია სოციალური, პოლიტიკური და სულიერი პროცესები ცხოვრებისა. ამ უკანასკნელთ არსებობა არამც თუ არ ჰკიდია კაცის ცნობიერობაზედ, არამედ პირიქით, თვით იგი, ცნობიერება მათგან არის დამოკიდებული. შრომის ნაყოფიერობისა და შემოქმედობის რომელსამე ცნობილს ხარისხზედ მისი ძალანი შეებრძოლებიან ხოლმე კაცთა შორის დამყარებულ წარმოებრივს ურთი-ერთობას. ამისათვის იგინი სრულიად და მძლავრად ეწინააღმდეგებიან მასაც, რაც შეადგენს იურიდიკულს სახეს, იურიდიკულს გამოხატულებას, ანუ ფორმებს წარმოებრივის ურთიერთობისას, ესე იგი ეწინააღმდეგებიან ქონებრივს წესებს. ამ დროს წარმოებრივი ურთიერთობანი კაცთა შორის აღარ შეესაბამებიან შრომის ნაყოფიერებას, შემოქმედობას და ავიწროვებენ მას. აქედან წარმოსდგება და აქ ეძლევა დასაბამი ხალხთა ამბოხებას და აღრეულობას. ცვლილებისთანავე ეკონომიურის საძირკველისა იცვლება ნელ-ნელ ანუ სინქარით თვით დიადი შენობა მასზედ აგებული და დამყარებული. ამ ამბოხებათა შესწავლის დროს მუდამ საჭიროა მტკიცედ განისაზღვროს ის ცვლილება, რომელიც მომხდარა წარმოების პირობათა შესახებ და მტკიცედ-მეცნიერულად აღიარებულ უნდა იქმნას. ეს ერთის მხრით და მეორეს მხრით, ესევე განსაზღვრული და მეცნიერულად აღიარებული უნდა იქმნას ის ცვლილებაც, რომელიც მოხდა იურიდიკულ, პოლიტიკურ, რელიგიურ,



ესტეტიკურ, ფილოსოფიურ, ერთის სიტყვით – იდეოლოგიურს ფორმების შესახებ, იმ იდეოლოგიურ ფორმებისა, რომლებშიც გამოხვეულია აზრი შებრძოლებისა, რომელთა შემწეობით ამ აზრს გზა გაუკვლევიან კაცობრიულ ცნობიერებამდე და რომლებშიაც ფარულად ჰსწარმოობს ბრძოლა იმ ხსენებულის მატერიალურ შეჯახების გულისათვის. თვითვეულ კაცზე იმის მიხედვით კი არა ვპსჯით, რასაც ის თავის-თავზედ ჰფიქრობს; აგრეთვე არ შეიძლება განვსაჯოთ აღრეულობათა ეპოქაზე მის (ეპოქის) საკუთარის თვით ცნობით. პირიქით, თავათ ეგ თვით ცნობა უნდა იქმნას აღსნილი მატერიალურ ცხოვრების წინააღმდეგობათაგან, უნდა იქმნას შეგნებული იმ შებრძოლების შემეცნებით, რომელიც მომხდარა წარმოების პირობათა და შრომის ნაყოფიერების ვითარებასა შორის. საზოგადოებრივი ფორმაცია არას დროს არ განჭქრება და არ გადაშენდება, ვიდრე არ განვითარებულა შრომის ნაყოფიერობის ძალა, რომელსაც იგი აძლევს საკმარისს ალაგს და თავისუფლებას განმტკიცებისათვის. ახალი წარმოებრივი ურთი-ერთობანი არ განჩნდებიან ძველ ურთი-ერთობათა სამაგიეროდ, ვიდრე მატერიალური პირობანი მათის არსებობისა არ შემუშავებულან და არ განჩნდიან ძველის საზოგადოების მიერ. აი რისთვის დაიდებს ხოლმე წინ კაცობრიობა გადასაწყვეტად მხოლოდ ადვილად შესასრულებელს საქმეს, განხორციელებისათვის მხოლოდ ადვილად მოსახერხებელს საგანს. ბეჯითი დაკვირვება გვამცნევს და გვიმტკიცებს, რომ გადასაწყვეტად საგანი განჩნდილა და წამოყენებულა იქ და მაშინ, სადაც და როდესაც მატერიალური პირობანი მის გადაწყვეტისათვის ან უკვე მზად ყოფილან, ან ცხოვრების მიერ მზადდებიან და აზრის მიერ შესაძლებელია შემეცნებულ იქმნენ ამ დამზადების დროს“.

სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, ისე როგორც იტყვის და განმარტავს ამ ღრმა მოაზრეს ერთი კომმენტატორთაგანი, ასე გამოვა: „ცვლილება იმ ურთი-ერთობისა კაცსა და ბუნებას შორის, რომელიც შეადგენს მთავარს შინაარსს და დაუშრობელს წყაროს შრომის ნაყოფიერებისას და შემოქმედობისას, გამოიწვევს ცვლილებას კაცთა შორის ეკონომიურს ურთიერთობისას; ხოლო ეს ცვლილება თავის მხრით გამოიწვევს ცვლილებას იურიდიკულ, პოლიტიკურ და ყოფა-ცხოვრებითს ურთიერთობისას მათთა შორისვე“.

ამ სახით, როდესაც ხალხთა წოდებათა შორის ეკონომიურად დაჩაგვრა ძლიერდება, როდესაც ძლიერდება მათი ქონებათა უთანასწორობა, მათთან ერთად ძლიერდება პოლიტიკური დაჩაგვრაც. ეკონომიური ცხოვ-

რების უსწორ-მასწოროდ მიმდინარეობა ხალხს აგრძნობინებს, თუმცა წინად ბუნდად, რომ მის ცხოვრების პირობანი არ არიან ნორმალური. შემდეგ ამას თან და თან უფრო ცხადათა გრძნობს ხალხი და ებადება სურვილი შესცვალოს, დაამსხვიოს ეკონომიური ბორკილები, რომელნიც უშლიან იმის შრომის ნაყოფიერობას წესიერად მიმდინარეობდეს. ვისი ინტერესებიც ამნაირად ეკონომიურის ცხოვრების შეცვლით, საშომროობაში ჩავარდება, ისინი საზარლად ძრწუნდებიან და ღელდებიან. და რადგანაც იურიდიკული და პოლიტიკური ფორმები სრულიად შეესამებიან და შეესაბამებიან მატერიალურს ცხოვრების საძირკველს, ე. ი. რადგანაც იურიდიკული და პოლიტიკური დაწესებულებანი არიან ერთგულნი გუშაგნი აწმყო ეკონომიურის ცხოვრებისა, რომელსაც იგინი ფხიზლად და ერთგულად ჰყარაულობენ, – ამისათვის რა წამსაც კი შენიშნავენ ხალხს ეკონომიურის ცხოვრების შეცვლის სურვილს, მაშინვე ეს გუშაგნი სცემენ ნალარას, ისხამენ აბჯარს და გამოდიან მიმდინარე ეკონომიურის ცხოვრების დასაცველად.

\* \* \*

ესევე შინაგანი გუშაგნი, რომელთაც გამოუცდელი თვალი ვერ შენიშნავს, იცავენ განწყობილებას გამარჯვებულ და დამონავებულ ქვეყნების და ნაციების შორის (მე არ ვამბობ ორ ხალხთა შორის დამოკიდებულებაზედ – ეს სულ სხვა არის). თუ ერთხელვე არსებობს დამოკიდებულება ერთის ქვეყნისა მეორეზედ, მაშინ, რასაკვირველია, ეს დამოკიდებულება ერთ-ერთი მათგანისათვის არის უსათუოდ სასარგებლო; თუ რომ ასე არ იყოს, და ორივე ქვეყანა ამ დამოკიდებულებაში ხედავდეს თავისთვის მარალს, მაშინ ეს დამოკიდებულება მოისპობოდა და მათ შორის საქმე მშვიდობით გათავდებოდა. ზოგჯერ კაცს ჰგონია, რომ გამარჯვებული ქვეყანა თავის დამონავებულ ქვეყნიდამ არაფერს სარგებლობას არა ხედავდეს, ეს ხომ სიგიჟე იქნება. არა განა? ან იქნება ეს იმიტომ მოსდიოდეს რომელსამე დიდ-სულოვნობით გატაცებულს ერს, რომ ჰსურდეს შეეწიოს თავის უძღურს მეზობელს? იქნება ასედაც ხდებოდეს – მე ეს არ ვიცი. მაგრამ პირუთვნელი ისტორია და საუკუნოების გამოცდილებანი კი სრულიად სხვას გვაუწყებენ; ისინი გვეუბნებიან, რომ წინანდელს მარალს გამარჯვებულის ერისას შემდეგში მოგება ასჯერ და ათასჯერ სჭარბობს. აი ამ მოსაზრებით ერთი ქვეყანა, ვითომ დიდ-სულოვნობით, ხარჯავს ფულს „ველურის ხალხის“ გასანათლებლად და გასავითარებლად. ესევე სჩადის ანგარიშიანი

ვაჭარი, რომ მოიპოვოს ნდობა თავის მუშტრების წინაშე, ჰყიდის საქონელს ძლიერ იაფად, თითქმის ბარალით. იმ იმედით, რომ შემდეგში ერთი-ორად აიყენებს მათგან თავის ბარალს.

აქედამ ცხადათა სჩანს, რომ იმ მიზეზებს, რისთვისაც ერთი ქვეყანა მეორე ქვეყანაზედ უფლობს, ეკონომიური თვისება აქვს, თუმცა შეიძლება სხვა პოლიტიკური მიზეზებიც ჰქონდეს; მხოლოდ და მარტო მატერიალურს სარგებლობისათვის, რომელსაც ან ამ თავითვე იღებს და ან მომავალში მოელის გამარჯვებული ერი, არ ერიდება იგი არავითარ უსიამოვნებას, სხვაზედ გაბატონების დროს. მართალია, ამავე დროს მთელი ქვეყანა იჩაგრება, სუყველა მცხოვრებნი დამორჩილებულნი არიან, მაგრამ ეს დაჩაგრვა და დამონავება ისე ძლიერ არავის აწვება კისერზედ, როგორც ისევ იმავე მრავალ-ტანჯულს და დიდ-სულოვან უბრალო ხალხს. ყოველი ქვეყანა, რომელიც ბედისაგან ასე სასტიკად არის დასჯილი თავის ისტორიულის შეცდომებისა გამო და უნდა ნათლად გამოიკვლიოს თავის დამოკიდებულება, თავისი სამწუხარო მდგომარეობა, უნდა უსათუოდ დაადგეს ერთად ერთს სწორე გზას, ეკონომიურის წყობილების და თავის ცხოვრების მატერიალურის ვითარების გაგებისას. მოწინავე და გონიერთ ქვეყნის წინამძღოლთ, რომელთაც უყვართ თავისი სამშობლო, თავისი ხალხი, უნდა დაუახლოვდნენ ამ ხალხს, გულ-მოდგინედ გაუშინჯონ ბედისაგან დასმული იარები, გამოიკვლიონ მისი სამწუხარო მდგომარეობა და ნამდვილ მეცნიერულად გაიგონ: რა გავლენა ჰქონდა დამოკიდებულებას ხალხის ეკონომიურს ცხოვრებაზედ, რა ცვლილებანი მოახდინა მან იმის ყოფა-ცხოვრებაზედ და ეკონომიურს ურთი-ერთობაზედ წარსულ დროსთან შედარებით, ანუ უფრო მეცნიერულად რომ ვსთქვათ, შესცვალა თუ არა ახალმა დამოკიდებულმა მდგომარეობამ დაჩაგრული ქვეყნის წარმოების პირობანი და თუ შესცვალა, რა გზით? თან მოჰყვება თუ არა ამ მატერიალურ პირობების შეცვლას შესაფერი ცვლილება ხალხისათვის მიძიმე და აუტანელის შენობისა, რომელიც ამართულია და აგებული ხალხის ცხოვრების მატერიალურს საძირკველზე, ზემო-მოყვანილის მოაზრეს თქმისა არ იყვეს. რომ ჩემს სიტყვას ცრუ მნიშვნელობა არ მისცენ, აქვე ვიტყვი, რომ მე უარს არა ვყოფ, რომ პოლიტიკურს ცხოვრების ფორმებს აქვსთ ერთი-ერთმანეთზედ გავლენა. მართალია, რომ ეკონომიურ წყობილებას აქვს გავლენა პოლიტიკურს წყობილებაზედ და ეს გავლენა მასში სჩანს, რომ პირველი მეორეს მოაწყობს თავის მოთხოვნილებათა გვარად, მაგრამ ისიც მართალია, რომ პოლიტიკური დაწესებულებანიც, თავის მხრით,

როგორც მცველნი ეკონომიურის ცხოვრების საძირკველისა, ცდილობენ ასე თუ ისე იმოქმედონ მასზე და დაუმორჩილონ პოლიტიკურს ცხოვრებას. ესეც სწორედ ისეა, როგორც იმ შემთხვევაში, მაგალითად, როდესაც მატერიალური უსწორმასწორობა აგებინებს კაცს, რომ მატერიალურის წარმოების საშუალებანი უვარგისი არიან, მაშინ თვითონ კაციც ამ გამორკვეული ამრის გავლენის ქვეშ იმყოფება და ცდილობს რამე ზედმოქმედება იქონიოს უსწორ-მასწორობის მოსპობაზე.

აი ამისათვისაც ყოველი პოლიტიკური ანუ ნაციონალური ამბოხება იღებს დასაწყისს იმ ეკონომიურის წყობილებათაგან, რომელნიც ხალხში მოქმედობენ. საზოგადოების წინამძღოლნი, გატაცებულნი პოლიტიკურის ან ნაციონალურის საქმით, ისე ინთქებიან პოლიტიკურის ბრძოლის მორევში, რომ თვითონაც ვეღარ გრძნობენ, თუ საიდან იძენენ მოქმედების ძალას, რა პირობათა ძალით დაიბადა ის პოლიტიკური მოძრაობა, რომელშიაც ისინი მხურვალე მონაწილეობას იღებენ. საჭიროა მხოლოდ გაცუდდეს და გაუვარგისდეს საშუალებანი მატერიალურის წარმოებისა, რომ იმავე წამსვე დაიწყოს და გაძლიერდეს პოლიტიკური ამბოხებაც, და რაც უფრო ეკონომიური წყობილება გაუვარგისდება, მით უფრო უარესად გაძლიერდება პოლიტიკური მოძრაობა. რასაკვირველია, პოლიტიკურ მომქმედ პირთ ჰგონიათ (ეს ცოტა არ არის აკმაყოფილებს იმათ თავმოყვარეობას), რომ პოლიტიკური მოძრაობა და ამბოხება იმათის მოქმედების წყალობით ხდება, მაგრამ ის კი არ იციან, რომ თვითონ ისინი არიან წარმოშობილნი პოლიტიკურის მოძრაობისაგან, რომლის ფესვი და ძირი იმალება ეკონომიურის ცხოვრების გაუვარგისებაში და მატერიალურის წარმოების შევიწროებაში.

მე ამით არ ვამტკიცებ, რომ საზოგადოების ბელადთა პოლიტიკურს მოქმედებას არა აქვს არავითარი გავლენა პოლიტიკურს მოძრაობაზედ და ფორმებზედ. პირიქით, მე მტკიცებ ვარ დარწმუნებული, რომ მათის წყალობით პოლიტიკური მოძრაობა თავდაპირველადვე ვერ იგებს, თუ ნამდვილად საიდგან წარმოსდგა და ამისთვისაც ღობე-ყორეს ედება ხოლმე, სანამ, მრავალთა შეცდომათა შემდეგ, არ მიხვდება, რომ დაამყაროს თავის პროგრამა ეკონომიურს პრინციპებზე, რომელნიც გვასწავლიან ხალხის მატერიალურ ყოფა-ცხოვრების განვითარების კანონებს. ყოველს მოძრაობას პირველად პოლიტიკური ან ნაციონალური ხასიათი აქვს და ეხება ცხოვრების გარეგანს ფორმებს, რადგანაც ეს მოძრაობა იწყობა მცხოვრებლების განვითარებულ პირთაგან, რომელნიც საზოგადო

ცხოვრების კითხვების ახსნას მხოლოდ თავიანთ გარეშემო ეძებენ. ბევრი, ძლიერ ბევრი ისტორიული შეცდომებია საჭირო, რომ მოძრაობის მოთავენი მიხვდნენ ნამდვილს მიზეზს თავიანთი მამულის საქმეების მოუწყობლობისას, ხალხის ეკონომიურს წყობილობის დიდს მნიშვნელობას.

მეორეს მხრით ყელამდის საქმით სავსე ხალხი, რომელიც წელებზედ ფეხს იდგამს და ისე შოულობს თავის სახლობისთვის ერთს ლუკმა პურს, თავის დღეში არ მიიღებდა და არც მიიღებს მონაწილეობას საზოგადო მოძრაობაში, თუ რომ ზოგჯერ ინსტინქტურად და ზოგჯერ მოძრაობის ბელადთა ჩაგონებით, არა გრძნობდეს, რომ დაწყობილს მოძრაობას საგნად აქვს იმის ცხოვრების გაუმჯობესება და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მართალია, ის ამაში ბევრჯერ სტყუვდება, მაგრამ საჭიროა დიდი ხნის ისტორიული გამოცდილება, რომ იგი დარწმუნდეს, რომ მოძრაობას, დაწყობილს ხალხის ინტერესებისათვის, თან მოსდევს უარესად ხალხის დაჩაგვრა და შებორკილება ზოგჯერ იმ ბელადთაგანვე, რომელნიც ამ მოძრაობით უსვინდისოდ სარგებლობენ თავის ინტერესებისათვის და ზოგჯერ კიდევ იმ ბელადთაგან, რომელნიც თუმცა ნამდვილად თანაუგრძნობენ ხალხის ინტერესებს, მაგრამ საქმეს კი წინადავე ნამდვილს გზაზედ არ აყენებენ. არც ერთს საზოგადო მოძრაობას არ ექნება არავითარი მნიშვნელობა, თუ რომ ხალხი იმაში ასე თუ ისე მონაწილეობას არ იღებს; ხალხი აძლევს მოძრაობას დიდს ძალას და მნიშვნელობას. ხალხი დარწმუნებულია, რომ ეკონომიურ საგნებს, რომელნიც შეეხებიან იმის ტანჯულს ცხოვრებას, უჭირავთ უპირატესი ადგილი მოძრაობაში, რისთვისაც იგი იწყობს ბრძოლას, მაგრამ, საუბედუროდ, უფრო ხშირად ბრუნდება შინ მოტყუებული და გაბრაზებული იმ პირებზედ, რომელთაც ხელში ჩაიგდეს მოძრაობა და წინამძღოლობა მისი.

ასეთ ისტორიულს გამოცდილებათ, ასეთ ძვირად დამკდარს შეცდომილებათ, რომელთაც არავინ არ უნდა შეეხნენ, თუ თავის ხალხი უყვართ, სინამ საქმე კარგად და გონივრულად არ შეისწავლონ, ბევრჯელ ჩაუგდიათ სინანულში ხალხის ნამდვილი წარმომადგენელნი, როცა ნამდვილად უგრძნიათ მათ თავიანთი დანაშაული ხალხის წინაშე; მაშინ ისინი დარწმუნებულან, რომ მხოლოდ ხალხის ეკონომიურის ინტერესების დაცვით შეიძლება დააკმაყოფილოს სამშობლო ქვეყნის საჭიროება და მოთხოვნილებანი, რომ მოძრაობის დროს პირველად ხალხის ეკონომიური ინტერესები უნდა ვიქონიოთ სახეში და მერე სხვა ინტერესებიც, რომელთაც ხალხი აგრეთვე თანაუგრძნობს, – პოლიტიკური და ნაციონალური.

ტვშმარიტია, რომ ეკონომიურ იდეალთან ერთად ხალხს პოლიტიკური იდეალიც აქვს სახეში. რასაკვირველია, ეს იდეალი არა ჰგავს მზა-მზარეულ პოლიტიკურს პროექტებს, შედგენილთ ხალხის ბელადთაგან, რომლებშიაც გამოკვლეულია ფორმები პოლიტიკურის მოწყობილობისა და წინდაწინვე ნაჩვენებია ყოველივე დაწვრილებითნი კერძობანი, მაგრამ იგი იდეალი მაინც საკმაოდ ცხადია და გამორკვეული, საჭიროა მხოლოდ მისი ლოლიკურად შემუშავება.

ხალხი თუმცა არ ადგენს თეორიულად ვრცელს პროექტებს, სადაც შემდგენელთ არაფერი არ ავიწყდებათ, გარდა თვითონ ხალხისა, მაგრამ მაინც ყოველთვის იკვლევს მარტივს და არა რთულს საფუძველთ საზოგადოების მოსაწყობად. ხალხი, როგორც გამოცდილი ტკუის პატრონი, რომლის გონებაც სხოლასტიკურის სწავლით არ არის დამახინჯებული, მსჯელობის დროს იწყობს მარტივიდამ და გადადის რთულზედ, კერძოდ გადადის საზოგადოზედ. თავის მსჯელობის საფუძველად პირველად იგი ლებულობს ცოცხალს პირს, კაცსა, მერე რამდენსამე პირთა კომბინაციას ოჯახობაში, მეურნეობაში და კომლობაში. ოჯახობა და კომლობა ერთად შეადგენენ ერთს საზოგადოებას, თემობას, რომელიც როცა სხვა თავის მაგვარს საზოგადოებას შეუერთდება, შეადგენს ერთს დიდს საზოგადოებრივ სხეულს. ამაზე შორს ხალხის გონება აღარ მიდის და უთმობს ბურთს და მოედანს ბელადთ, ტკვიან ხალხთ, რომელნიც შეიარაღებულნი არიან მეცნიერებით და ისტორიულის გამოცდილებით. ხალხი მხოლოდ გვიჩვენებს გზას, გვაძლევს ხელში საფუძველს, გვიჩვენებს მეთოდებს, რომ გამოვიკვლიოთ იმისთანა გარეგანი ფორმები, რომელნიც შეეფერებიან ხალხის ცხოვრებას. როგორც ჰხედავთ, ხალხის მეთოდი სხვა არის და განვითარებულის კაცებისა სხვა; ეს უკანასკნელნი იწყობენ საქმეს ზოგადობიდამ, გარეგნობიდამ და ცდილობენ გადავიდნენ კერძოზედ, მაგრამ თავის დღეში კი სურვილი ვერ უსრულდებათ. საზოგადოების მოწინავე ბელადნი, შემდეგ უგზო-უკვლოდ სიარულისა და მიხვევ-მოხვევისა, მისულან იმ დასკვნამდის, რომ შესწავლა და განვითარება ხალხის ცნობიერების მიერ გამოკვლეულ გონივრულ საფუძველთა საზოგადოებრივის ცხოვრების მოსაწყობად არის ნამდვილი წყარო საზოგადოებრივი საგნების ასალსნელად. მათი ვალია მხოლოდ გამოიკვლიონ და შექმნან პირობანი, რომელნიც ხელს უწყობდნენ ხალხის იდეალს, ეკონომიურის, საზოგადოებრივის და პოლიტიკურის მხრით. ესრედ პოლიტიკური ფორმები ექვემდებარებიან ეკონომიურს ფორმებს: პოლიტიკური პროექტები მეტის

უფლებების მექონეთა და განათლებულთა სრულიად შეესაბამებიან მათ მიერ სასურველ ეკონომიურს წყობილებას; ხოლო საზოგადოებრივი და პოლიტიკური იდეალი ხალხისა კი სრულიად შეესაბამება ხალხისავე სურვილს და ლტოლვილებას ეკონომიურის მხრით. აქ ეკონომიურს მოტივებს ბირველი ადგილი უჭირავთ.

რომ პოლიტიკური და ეკონომიური მოძრაობა ხელიხელს გადახვეულნი მიმდინარეობენ, ამის დასამტკიცებლად შორს რომ არ წავიდე, მაგალითი ავიღოთ თუნდა ჩვენის ნაციონალურის აღორძინების ისტორიიდან, რომელიც ამ უკანასკნელს დროს დაიწყო, თუმცა უნდა გამოვიტყუდე, ბატონებო... ეს ცოტა არ არის მეხამუშება, იქნებ თქვენ ჩემი აზრი არა თვალთ-მაქცურ გულის-წყრომით ერეტიკულ აზრად ჩასთვალოთ, მაგრამ გთხოვთ, ბატონებო, მრავალ-ტანჯულს და წამებულს სამშობლოსადმი საერთო სიყვარულის სახელითა, იმ სიყვარულისა, რომელიც ჩვენცა და თქვენც გვასულდგმულებს, მოვეპყრათ საქმეს ისე კი არა, როგორც ეპურობიან გონება-დაბნეულნი, ამპარტავნობით და ცრუ თავ-მოყვარეობით გატაცებულნი, არამედ როგორც მიუდგომელნი და გულ-აუჩქარებელნი. ასე უნდა მოვიქცეთ, უკეთუ გვსურს ერთმანეთისათვის გაუგებარნი არ დავრჩეთ.

აი რაში მდგომარეობს ჩემი აზრი: დიდი ხანია ვხედავთ ჩვენს სამშობლოს გაჩუმებულსა, გაყინულსა, რომელსაც არავითარი სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობა, თითქოს იგი დავარდნილიყოს, გამოფიტულიყოს, თითქო აღხოცოდეს მას კაცები, რომელთაც შეეძლოთ იკისრონ მოთავებობა, გახდნენ ბელადნი მოძრაობისა, რომ ამით გამოაღვიძონ ხალხი იმ ღრმა ძილისაგან, რომელსაც მიეცა ისტორიულის წამებისა და ტანჯვის შემდეგ. მხოლოდ 1860 წლიდან სხანან მოძრაობის ნიშნები ჩვენის მიმდინარეულის ქვეყნისა, რომელიც არ „მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“: იგი ნელ-ნელა იდგამს ფეხს, იფშვნეტავს თვალებს, შეშინებული იყურება აქეთ-იქით. გუშინდელი მკვდარი, რომელსაც ჯერ კიდევ სრულიად არა სწამს თავის აღდგენა, უეცრივ მოვლინებული ბედნიერება, იჭვიანად სცდის თავის მკლავებს, რომელნიც, ჰგონია, დამდუმებიანო, და ჰხედავს, რომ მკლავები მოძრაობაში მოდიან; იშინჯავს თავს, ჰფიქრობს, მაგრად მახია მხრებზედ თუ არაო, აგრეთვე სცდის გონებას, ტვინს, ხომ არ დამჩლუნგებიანო, ხომ არ გადაჩვეულა მუშაობასაო და ჰხედავს, რომ თავიც და ტვინიც თავის რიგზედ არის. მკვდარი მოდის მოძრაობაში, დგება ფეხზედა, უყურებს ქვეყანას და აღთქმას სდებს იმუშაოს დღე-და-ღამე, რომ დაეწიოს დაკარგულს

დროს. სულის შემსუთავი ჰაერი, რომელიც მას გარშემოერტყა, ნელ-ნელა ჰქრება ამომავალის მზის შუქზედ... მითხარით ერთი, გეთაყვა, რითი აღს-  
ნით ამ ნაციონალურს მოძრაობას? ნუ თუ მარტო გარეგანის საქმით, რო-  
გორც მაგალითებრ იმით, რომ 1860 წელს დაბრუნდა რუსეთიდან საქართ-  
ველოში რამდენიმე ქართველი განათლებული ყმაწვილი-კაცი, რომელ-  
ნიც სცხოვრობდნენ რუსეთის სატახტო ქალაქში, ამ ქვეყანაში შესანიშნავ  
მოძრაობის დროს? ნუ თუ იმითი, რომ ამ განათლებულთ ყმაწვილ-კაცთ,  
აღტაცებულთ მამულის სიყვარულით, დააარსეს ჟურნალ-გაზეთები, გა-  
მოსცეს წიგნები და სხვ. ეს ხომ მხოლოდ ფაქტია და არა აღსნა მისი.

ჩემის აზრით, მიზეზი სრულიად სხვა არის. წარსულს საუკუნოებიდამვე  
რუსეთის დაახლოვებას საქართველოსთან არ შეიძლებოდა არა ჰქონოდა  
გავლენა ჩვენის ხალხის ცხოვრებაზედ. უწინდელი წარმოების ფორმები  
გაჰქრენ, ახლები დაიბადნენ; ძველი ცხოვრების მატერიალური პირობანი  
შეიცვალნენ, ხალხის მიერ უცნობის პირობებით. თქვენ, რასაკვირველია,  
უარს არა ჰყოფთ, რომ რუსეთმა ჩვენს ეკონომიურს ცხოვრებაში ახალი  
ელემენტი შემოიტანა, რომელიც წინად არ იყო, რისგანაც წარმოებრივი  
ურთი-ერთობანი ხალხისა ძლიერ შეიცვალა, განსაკუთრებით მაშინ, რო-  
დესაც ჩვენში გლეხთა შესახებ რეფორმები მოხდა. ცვლილებამ იწარმოვა  
და ძველი წესები დაირღვა. და რადგანაც ცვლილება ბევრჯელ ხალხის სა-  
სარგებლოდ არ არის ხოლმე, ამისათვის ხალხი დიდ სიღარიბეში ჩავარ-  
და, – ეს ერთი. მეორეს მხრით, ხალხის ეკონომიურის ცხოვრების ახალმა  
წყობამ მოიყვანა მოძრაობაში თვითონ ხალხიც, რომელმაც ამ საზოგადო  
მოძრაობას დასდო თავისი ფერი და სიცხოველე. ეს მოძრაობა იყო ხალხ-  
ში ახალი ეკონომიურის პირობების შემოტანის პასუხად. აზრმა გაიღვიძა,  
სამშობლოსათვის მოღვაწენი გამოვიდნენ საზოგადო ასპარეზზედ. საზო-  
გადო საჭიროებამ მოითხოვა მათი გამოსვლა, იგინი გამოიწვია დრომ და  
არა მათ დრო. ვგონებ, მათის თავ-მოყვარეობის საწყენს არაფერს ვამბობ:  
ეს ყველგან ასე იყო და ასეც იქნება. მე უარს არ ვყოფ მათს გავლენას ჩვენი  
ქვეყნის საქმეების მიმდინარეობაზედ, არა, იმათ მისცეს მიმართულება და  
სახე მოძრაობას. იმათ აუგზნეს ნაციონალური გრძნობა ხალხის დაწინა-  
ურებულ წოდებათა, თუმცა თვითონ ისინი იყვნენ ეკონომიურის ცხოვრე-  
ბის შეცვლის მიზეზნი, მათის მოღვაწეობის წყალობით, მათის დაულალავის  
და კეთილშობილურის მუშაკობის მეოხებით, მოძრაობას ფერი დაედო;  
მაგრამ... გაკვადნიერდები და ვიტყვი, რომ ცოტა არ იყოს იმათივე მოქ-  
მედების წყალობით მოძრაობამ მიიღო ერთ-გვარი ხასიათი, მეტის-მეტი



ნაციონალურის, მეტის-მეტი – თუ შეიძლება ასე ვსთქვათ – კულტურული და მხოლოდ მცირედ – ხალხური. მოძრაობის ამისთანა მიმართულებამ არ შეიძლება არ შეაწუხოს და არ დააღონოს ჭეშმარიტი მამულის შვილნი და გულ-წრფელნი მოსურნენი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისა.

2

თქვენი მოქმედება, ბატონებო, ძლიერ პატივსაცემია, თქვენი ღვაწლი ყველასათვის ცხადია. ჩვენც თანაუგრძობთ მას, მაგრამ ამასთანავე ჩვენის მხრით დიდი უზრდელობა იქნებოდა თქვენი წმინდა განზრახვათა წინაშე – დაგვეძალა თქვენთვის, რომ ის კითხვები და საგნები, რომელთაც თქვენ ეხლა სულით და გულით მისცემიხართ, ჩვენ უსაჭიროეს და არსებით საგნებად არ მიგვაჩნია. ღალადება სკოლებში ქართულის ენის შემოღებაზედ, სახალხო სკოლების დაფუძნებაზედ, ქართულის თეატრის გამართვაზედ, სასარგებლო წიგნების გამოცემაზედ, ჩვენი ენის განვითარებასა და გამშვენიერებაზედ და სხვა და სხვა. და ყოველივე ესენი ძლიერ საჭირონი და თანაგრძობის ღირსნი საგნები არიან. მაგრამ ამ საგნებზედ გაჩერება, მათ გარშემო ტრიალი და ამასთანავე კმაყოფილებით ძახილი, რომ მხოლოდ ამაგებზედ არის დამყარებული ჩვენი ქვეყნის ბედნიერებაო, იმასა ნიშნავს, რომ თქვენ მოქმედების პროგრამა ჯერ კიდევ არა გქონიათ შემუშავებული და მტკიცე ნიადაგზე დამყარებული... ეს მიუტევებელი ცოდვა გახლავთ თქვენთვის. არც ერთ წრეს ხალხის ბელადთა, რომელსაც კი სურს შეიქმნას ჭეშმარიტი გამომეტყველი და წარმომადგენელი თავის ქვეყნის ინტერესებისა, არ ექნება მომავალი, თუ რომ იგი განზრახ ან გაუგებლობით უქცევს გზას ეკონომიურის საგნების ახსნას და გადაწყვეტას, რომლებიც გამოსარკვეველათაც იბრძვის ეხლა ყველა თანამედროვე პარტიები, მთელი კაცობრიობა. მე ცოტა არ არის მრცხვენთან, რომ ამისთანა ანბანურ ჭეშმარიტებათა დასამტკიცებლად ამდენს ხანს გებაასებით, რადგან მათ უცოდინარობას მე თქვენ ვერ დაგწამებთ. მე კარგად ვიცი, რომ ბევრი თქვენგანი იმდენად განათლებულია და იმდენად მცოდნე საზოგადოებრივ საგნებისა, და ვალდებულიც არის იყვეს მცოდნე, რომ ადვილად დათანხმდება ჩემს დედა აზრზე.

აი ამისათვის მუდამ გვაოცებდა და გვაკვირვებდა ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ჟურნალ-გაზეთობაში სრულიად ვერა ვპოულობდით პოლიტიკო-ეკონომიურს სტატიებს. ჩვენ ხშირად შევხვედრივართ ჩვენს მწერლობაში სამეცნიერო სტატიებს და პოლიტიკურის ხასიათის წერილებს,

რომელთ საგნად ყოფილა გარეგანი პოლიტიკური ცხოვრება და ლიტერატურა ევროპისა და რუსეთისა, მაგრამ სრულებით არ გვინახავს არამც თუ მსჯელობანი ეკონომიურს საგნებზე, არამედ ზოგად ფილოსოფიურს სტატიებსაც არ შევხვედრივართ ცხოვრების რომელსამე სათვალსაჩინო მოვლენაზედ. და ეს გარემოება მაშინ შეინიშნება, როდესაც ჩვენის აზრით, ყველაზედ მომეტებული ალაგი ჩვენს შურნალ-გამეთობაში უნდა ეჭიროს ნიშანდობლივ ამგვარ სტატიებს. თქვენ თითქო განზრახ სტოვებთ უყურადღებოდ, ეკიდებით გულ-გრილად ვრცელს ნაწილს და სფერას ხალხის ცხოვრებისას და გაჭყლიხართ მსჯელობას უნაყოფო პოლიტიკურს საგნების შესახებ ერთსა და იგივე უცვალეზად თემაზე: ევროპულ მინისტრების ცვლილებაზედ და დაუსრულებელს ლიტონ დებატებზედ იქაურ სახელმწიფოთა კონსტიტუციურს პალატებთა შინა. ის კი არა თუ ეკონომიურ ტკივილების მოშორებაზე და ეკონომიურ სენტაგან განთავისუფლებაზე დამოკიდებული ჩვენის ხალხის კეთილ-დღეობა და დოვლათი.

მაგრამ, ცხადია, რომ არ შეიძლება განკარგებაში და გაუკეთესობაში შევიყვანოთ ის, რის გაგება და ცნობა არა გვაქვს, არ შეიძლება რეფორმა მოახდინო რომელსამე საზოგადოებრივ ცხოვრების ნაწილისა, თუ იგი უცნობია და გამოურკვეველი. ამისათვის არის საჭირო სვინდისიერი და ყოველმხრივი შესწავლა ხალხის ეკონომიურის ცხოვრების ყოველ მხარეთა. მხოლოდ ამ გვარს შესწავლაზე დამყარებით შეიძლება დასაკვნა ესა თუ ის დედა-აზრი, გამოიკვლიო ხელმძღვანელი პრინციპი და გზის მაჩვენებელი ნათელი ტემპარიტი, რომლის შემწეობით შესაძლებელ-იქნება მოიპოვოს კაცმა ზომანი და ღონისძიებანი საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, დამაშვრალ და ტანჯულ მშრომელთა გაჭირვების და უილაჯობის ცრემლების მოსაწმენდად. მართლაც, ვიცით განა, ცოტად მაინც წესიერად, ეხლანდელი მდგომარეობა ხალხისა? შეგვიძლიან ვუჩვენოთ უახლოესი მიზენი წუხილისა, გაჭირვებისა და გაღარიბებისა? მეტის-მეტი უარარაობაა ჩვენში შესახებ იმ გვარ წყართა და მასალათა, რომელთ შემწეობით შეიძლებოდეს მტკიცედ – მეცნიერულად აღიარებულ და დადგენილ იქმნას, რომ აი, ასეთი და ასეთია თანამედროვე მდგომარეობა ჩვენის ეკონომიურის ცხოვრებისაო. ჩვენში არ არსებობს არც კერძო ადგილობრივი გამოკვლევაანი, არც სტატისტიკური შრომანი და, დასასრულ, არც ოფიციალური, მმართველობის მიერ გამოქვეყნებულნი ცნობანი, – და მაინც და მაინც ჩვენ ამაყად და დარბაისლურად გამოვდივართ საასპარეზოდ საზოგადოებრივის მოღვაწეობის სარბიელზე, და ვგონებთ, რომ საქმეს იოლად

წავიყვანთ, დიდი ცოდნაც რომ არა გვექონდეს, რომ საკმარისია მხოლოდ კეთილ-შობილური წადილი და ახირებული თავ-გამოდება! ვინც როგორც უნდა ჰფიქრობდეს ეკონომიურის საგნების მნიშვნელობის შესახებ, მაინც უეჭველია ყველა დამეთანხმება, რომ ამ გვარ თუნდ სრულიად შემუშავებელ მასალის გარეშე, ყოველი ჩვენი დაწყობილობა და მეცადინეობა, ჩვენი განზრახულება და იმედები ფუტად ჩაივლის, უნაყოფოდ განჰქრება და ნამდვილს ნიადაგზე არ იქმნება დამყარებული. ბოლოს და ბოლოს მაინც საჭიროა რამეზედ დაამყაროს, დააფუძნოს კაცმა თავისი მოსაზრებანი, თორემ ხელში არა დაგვრჩება რა. მერე რა თავსატეხი და ბრძნული საქმე არის შეგროვება და შეკრეფა შემუშავებულ ფაქტებისა, სტატისტიკურს ცნობათა, რომ არ გამოჩნდეს ამ საქმისათვის საკმარისად მოხერხებული და გამოსადეგი კაცები. აქ არ არის საჭირო არც ყოვლად ღრმა და დიდი ცოდნა, არც განსაკუთრებითი ნიჭი, — საჭიროა მხოლოდ მოთმინებით იშრომოს კაცმა და კეთილ-სვინდისიერად მოეპყრას საქმეს. პირველად შეიძლებოდა მოგვეხერხებინა და გვეთხოვნა ოფიციალურად, რომ დაწესებულიყო ჩვენში სტატისტიკური კომიტეტი, რომელიც მიჰყოფდა ხელს საჭირო მასალათა შეკრებას და მათ დალაგებას, რიგიანი წარმატება და მიმართულება სტატისტიკურის კომიტეტის შრომისა, რასაკვირველია, დამოკიდებული იქნება იმ პირთაგან, რომელნიც შეადგენენ კომიტეტს; ამისათვის საქმის კეთილ-მსვლელობის გულისათვის საჭიროა, რომ მასში მოჰყვნენ სრულის წრფელობით და სულითა და გულით მოყვარენი კაცნი სახალხო საქმისა. მეორედ, ქალაქების რჩევათ შეეძლოთ მოეწყოთ და მოეგვარებინათ შეკრება და გამოქვეყნება ყოველგვარ ცნობათა ქალაქის მცხოვრებლების შესახებ. მესამედ, ჩვენს საადგილ-მამულო ბანკებს თავიანთ მხრით შეეძლოთ, აგრეთვე, მრავალის სასარგებლო და ძვირფასის მასალის შეკრება და გამოქვეყნება ცნობათა მამულებზედ და სამიწაწყლო ურთიერთობაზედ, თუ მოხერხებით და ენერგიულად მოეჭიდებოდნენ საქმეს. კერძობით რომ ვილაპარაკოთ, მათ შეეძლოთ გაეგოთ, რაოდენი მიწა თავად-აზნაურთა მფლობელობაში, აგრეთვე სხვა წოდებათა ხელში, გარეშე გლეხთა წოდებისა, რომელთანაც მათ ვგონებთ, არავითარი პირ-და-პირი კავშირი არა აქვთ; მათ შეეძლოთ შეეკრიბათ ძრიელ საჭირო ცნობანი მეზატონეთ მეურნეობაზე და ხვან-მთესველობაზე გლეხთა რეფორმის შემდეგ, აგრეთვე ცნობანი საადგილ-მამულო ურთიერთობაზედ გლეხთა და მათ ნაბატონართა შორის და სხვა მრავალი ამ გვარი, თუ კი მათი ნება და სურვილი იქნებოდა. მეოთხედ, კერძო პირთ და დაწესე-

ბულებათ, „დამზოგველ ამხანაგობის“ მაგვართ, რომელნიც ვინ იცის რისთვის და ვისთვის ფუძნდებიან ჩვენში, შეეძლოთ აგრეთვე არა მცირედი დახმარება აღმოეჩინათ ამ გვარ საქმისათვის. ამასთანავე სოფლის მასწავლებელთ, სამაზრო და საგუბერნიო ადვოკატებს, განათლებულ მებატონეებს, რომელნიც სოფლად სცხოვრობენ და საზოგადოთ ყველას, ვინც ასე თუ ისე ხალხთან დაახლოებულია, შეეძლო დიდის მოხერხებით მიეყო ხელი თუნდ ნაწყვეტ-ნაწყვეტის და არა სრულის ცნობების შეკრებისათვის ხალხის ცხოვრების სხვა-და-სხვა კერძო საგნების შესახებ.

ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს საქმის სიძნელემ. მართალია, პირველხანობით და ერთბაშად საქმე კარგად არ წავა, – საჭირო იქნება დიდი ცდილობა, დიდი შრომა, მაგრამ თუ მედგრად და გულს-მოდგინეთ გამოვეკიდებით ერთხელვე წინ წამოყენებულს საგანს, უთუოდ ჩვენ ჩვენსას გავიტანთ. პირველად ჩვენი ცდა, უეჭველია, მოუხერხებელი ცდა იქმნება, ჩვენი ნამუშევარი არა-დალაგებული, მაგრამ ყოველს საქმეში დაწყებაა საძნელო. ამასთან უნდა ვსთქვათ, რომ მსურველთ შეუძლიანთ მრავალი სასარგებლო ჩვენება და საგულისხმიერო ხელმძღვანელობა ჰპოვონ რუსულ სტატისტიკურ გამოკვლევებათა გადათვალეირებით (მშვენიერი გამოკვლევანია პროფესორის იანსონის გამოკვლევანი) და უფრო მომეტებულად – რუსულ თემობისა და ერობის სხვა-და-სხვა სტატისტიკურს განყოფილებათა ნამუშევარის გადაშინჯვით. მაგ. ნაშრომი და ნალგაწლი მოსკოვისა და ჩერნიგოვის ერობის სტატისტიკურ განყოფილებათა ჩაითვლება სწორედ სამაგალითო ნიმუშად ცნობათა შეკრებისათვის; მათივე გადათვალეირებით მოიპოვებს კაცი საჭირო თეორეტიკულ და ხელ-მძღვანელ ამრებს სტატისტიკურის მუშაობის მეტოდების შესახებ. შემდეგ შეიძლება ისარგებლოს კაცმა ამ საქმის ტექნიკურის მხარის გასაცნობად და ნიმუშად იქონიოს დაწვრილებით შედგენილი პროგრამები ცნობათა შესაკრებად რუსულს ობშჩინაზე, გამოცემული რუსეთის „თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოებისაგან“ და სხვა კერძო პირთაგან (მაგ. ქალის ეფიმიენკოსაგან, ბ. ტრიროგოვისაგან). მაგრამ უფრო ძვირფასია და განსაკუთრებულის ყურადღების ღირსია ბ. ტრიროგოვის მეტოდი გამოკვლევისათვის ეკონომიურ ცხოვრების მოვლენათა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ იგი იღებს თავის დაკვირვებასა და მოსაზრებათა საფუძვლად განკერძოებულს და დამოუკიდებელს მეურნეობას გლეხისას და ჰყოფს გლეხობას რამდენსამე კატეგორიად და ჯგუფად მეურნეობრივის მოწყობილობის და შექმნეულობის მიხედულობით. ერთის მხრით იგი უყრის თავს ერთ ჯამში

ყოველს შემოსავალს, ხოლო მეორეს მხრით, ერთად გამოჰყავს უსაჭირო-ესი და აუცილებელი ხარჯი და ამ სახით ზედ-მიწევნით დაახლოვებულად და საგულის-ხმიერო თვალ და თვალობით აჩვენებს მკითხველს მეურ-ნეობრივის შემოსავლის და დანახარჯის სას (ბიუჯეტს) გლეხისას. ხოლო ამ გარემოებას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი უადვილებს კაცს ცხადად და გარკვევით წარმოიდგინოს და შეიგნოს, რა მეურნეობრი-ვი ძალა აქვს ხალხს და რა გვარად აწარმოებს მას (იხ. მრავალი სტატიები ამ საგანზედ *Отечест? заи?* და სხვა ჟურნალებში). მე მტკიცედა ვარ დარწ-მუნებული, რომ საჭიროა მხოლოდ თანხმობით და კეთილ-სვინდისიერად მოვკიდოთ საქმეს ხელი. თორემ მის აღსრულებისათვის გზა გამოჩნდე-ბა და დაწვლილებითნი კერძობანიც შემუშავდება ცნობათა შესაკრე-ბის პროგრამისა. ხოლო მე ჩემის მხრით ამ წერილში ერთი შემოძლიან მოვახერხო. მე შემოძლიან მხოლოდ აღვნიშნო ის საგნები, რომელნიც, ჩემის ფიქრით, უფრო საყურადღებონი და უფრო ღირსნი არიან გამოკ-ვლევისა. მე ფიქრათაც არ მამდის, რომ შევიძლებ პროგრამის შედგენას და მის გამოქვეყნებას საყოველთაო სახმარებლად. ეს მე არ შემოძლიან მოვახერხო. მე მხოლოდ, ვიმეორებ კიდევ, მკრთალად ვსახავ იმ უფრო საყურადღებო საგნებს, რომელთაც მხარს ვერ აუქცევენ საზოგადოებრივი მოღვაწენი, უკეთუ მათ ჰსურთ გამოიკვლიონ და შეიმუშავონ მეცნიერულ საფუძველზედ დამყარებული პროგრამა მოქმედობისა. თუ მე გამოვსტოვე რამ, ან ვერ შევნიშნე და შესაბამი ყურადღება ვერ მივაქციე, თქვენ, ეჭვი არა მაქვს, შეავსებთ ნაკლს, გამისწორებთ შეცდომას. მხოლოდ ამ გზით, ურთიერთ შეცდომათა გასწორებისა და ურთი-ერთ აზრის შევსებისა და განმარტებისა, შეგვიძლიან სწორედ და სამართლიანად გადავწყვიტოთ ჩვენი სადღეისო და არსებითი საგნები.

პირველი საგანი, რომელსაც სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო, ჩვენთვის უალრესი მნიშვნელობა აქვს, არის შემდეგი.

რა ცვლილებანი იქმნენ შემოტანილი რუსეთის მიერ ქართველ ხალ-ხის ეკონომიურს ცხოვრებაში ამ თითქმის ასის წლის დამოკიდებულების დროის განმავლობაში, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: შემოტანილ იქმ-ნა თუ არა რუსების მიერ ჩვენს ცხოვრებაში რომელიმე ხალხის განმანათ-ლებელი დაწყობილება და წესი (цивилизирующее начало). როგორი ხასიათი ჰქონდა უმთავრესად რუსეთის მთავრობის საეკონომიო და საფინანსო ზომიერებათ, შესახებ ჩვენის ქვეყნისა, მის მფლობელობის სხვა-და-სხვა დროს კავკასიაში?

როგორ იმოქმედა ხალხის ეკონომიურს მდგომარეობაზე საგლეხო რეფორმამ? (მეტად საჭიროა შედარებითი შესწავლა ეკონომიურის წეს-წყობილებისა, რომელიც არსებობდა რეფორმამდე და რომელიც სუფევს დღეს). რა გვარი ახალი ეკონომიური ურთიერთობა დამყარდა რეფორმის გავლენის ქვეშ? როგორ აღსრულდა და ხორც-შესხმული იქმნა რეფორმა ფაქტურად? რა მიმართულებისა და ხასიათისა იყო სხვა-და-სხვა მთავრობის ზომიერება, გამოცხადებული დასამატებლად და შესავსებლად რეფორმისა? რაოდენი მიწა აქვს ეხლა გლეხს ნამდვილად? თითოს სულზე რამდენი შეხვედბა?

რაოდენათ გაცუდდა მებატონეთ და საზოგადოთ თავად-აზნაურთა მეურნეობა რეფორმის გამო? როგორი ურთი-ერთობა დაარსდა გლეხთა და ნაბატონართა შორის ამ უკანასკნელს დროს? რითი სჩანს, რომ ასეთია და არა ისეთი მათ შორის ურთიერთობა? რადგან მებატონეს მოაკლდა მუქტი შრომა გლეხისა, შემცირდა თუ არა მისი ხვნა-თესვა და მამულები და არა მისი მარტო, არამედ საზოგადოთ თავად-აზნაურობისა? თუ თავად-აზნაურობა ცდილობს მიწადმოქმედობაში გამოიყენოს საუკეთესო სამეურნეო იარაღები და შეიტანოს რიგიანი წესები? ვის ხელში გადადის თავად-აზნაურობისაგან გასყიდული მიწა და მამულები – მხვნელ-მთესველ გლეხებისა, თუ სხვა წოდების ხალხთა ხელში? რას უშვრებიან მიწებს იმისთანა მყიდველნი, მაგ. , როგორც ვაჭრები და ხალხის სხვა-და-სხვა მცარცველნი არიან – (რა ტომს ეკუთვნიან მომეტებულად ეს უკანასკნელნი)? თავათ მისდევენ ხვნა-თესვას და დამოუკიდებელ მიწადმოქმედებას, თუ მიწას გლეხებს აძლევენ იჯარით და საღალოდ? უკანასკნელს შემთხვევაში რაოდენია ხოლმე ღალა? ფულით იხდიან ამ ღალას, თუ პირ-და-პირ მოსავლითაც?

ამ საზოგადო საგნებიდამ გადავიდეთ ახლა კერძო საგნებზე, რომელნიც პირველთაგან მომდინარეობენ.

მაგრამ რომ არ დავიზნეთ და გზა არ დავკარგოთ სხვა-და-სხვა და მრავალ-გვარ ეკონომიურ მოვლენათა შორის, საჭიროა გამოკვლევულ იქმნას მთავარი საფუძველი, რომელზედაც შეიძლებოდეს მტკიცედ დამყარება. ჩემის აზრით, უფრო გამოსადეგი და მოხერხებული გზა გამოკვლევათათვის არის ის გზა, ანუ მეტოდი, რომელსაც მისდევს თვით ხალხი, ე. ი. იგი ჯერ მარტივს იკვლევს და მერე რთულს, ჯერ კერძოს და მერე საზოგადოს. ჩვენ უნდა ავიღოთ გამოკვლევისათვის დამოუკიდებელი კერძო მეურნეობა მიწად-მოქმედისა, უკეთუ სამიწათ-მოქმედო წარმოების ანგარიში

და მდგომარეობა გვსურს შევიტყოთ, ანდა ცალკე ხელოსნის მუშაობის ანგარიში უნდა შევიტყოთ და გამოიკვლიოთ, თუ გვსურს მრეწველობის ვითარების შეტყობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნიმუშად უნდა იქმნას აღებული ტიპური დამოუკიდებელი მეურნეობა და აღიწეროს ვრცლად და დაწვრილებით ყოველმხრივ. 1-ლად, ცნობაში უნდა იქმნას მოყვანილი, რაოდენი მიწა აქვს გლეხს, 2. მუშა საქონელი რამდენი ჰყავს, 3. სამეურნეო იარაღების ნაკლებობას ხომ არა გრძნობს, 4. რამდენი კაცი წაღმართობს ამ მეურნეობაში, გუთნის დედაა თუ მეხრე და სხვა. შემდეგ უნდა დამტკიცდეს, რა თვისებისა და ნაყოფიერებისაა მიწა და რა მოსავალს იძლევა. მერე სრული შემოსავალი უნდა იქმნას გამოანგარიშებული და პურის რაოდენობით გამოიხატოს ეს შემოსავალი. უნდა იქმნას ნაჩვენები: რა წილი მიდის ამ პურისა სახელმწიფო ხარჯის გასასტუმრებლად, რა წილი ეძლევა ვალში, რამდენს ჰყიდის ნაღდ ფულზე და რაღამდენი რჩება შემოსავლიდან თავად მხენელ-მთესველს თავის საკუთარის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამ დარჩენილს შემოსავალს უნდა მოაკლდეს კიდევ მისი შრომის ფასი და გამოირიცხოს აგრეთვე სათესლე. რაც დარჩება, ის იქნება გლეხის წმინდა შემოსავალი და ცალკედ გამოიხატება. შეიძლება ძირს არცა რა დარჩეს რა, ან მოგების მაგიერად წაგება ენახოს და ვალი თავს დასდებოდეს. ესეც აღინიშნება და ცალკედ გამოიხატება. რასაკვირველია, ამ გვარად შევიძლებთ ცხადათ დავინახოთ რამდენად სასარგებლოა გლეხისთვის დამოუკიდებლის მეურნეობის და ხვნა-თესვის წარმოება, ან რა მსხვერპლს ითხოვს მისგან მისი სურვილი, რომ უსათუოდ აწარმოებდეს ამ საქმეს დამოუკიდებლად, ამ გვარსავე გამოანგარიშების გზას უნდა ვადგეთ დამოუკიდებელის ხელოსნის შრომის გამოსაკვლევადაც, მაგრამ, რასაკვირველია, ასე ვერ მოვიქცევით ქარხნის მუშის შესახებ, იმიტომ რომ იგი წარმოადგენს არა დამოუკიდებელს პატრონს საქმისას, არამედ დაქირავებულია ქარხნის მეპატრონისაგან, ან მის ნებაზე დამოკიდებული, ან და მის ნებაზედაც და იმაზედაც, თუ როგორ ფასობს მუშა კაცი დღიურად.

გადავიდეთ ახლა სხვა საგანსა და კითხვებზე. ჯერ პირველად კი ჩვენში მიწის მფლობელობის სხვა-და-სხვა ფორმებს უნდა მივაქციოთ ყურადღება.

II. რომელი ფორმა მიწათ-მფლობელობისა უფროა გავრცელებული ქართველ ხალხში? არსებობს თუ არა საერთო მამულის მფლობელობა? რაში გამოიხატება იგი? რა-და-რა ალაგას, რომელს მხარეში უფროა იგი აღორძინებული და მომეტებულია გავრცელებული? უკეთუ საერთოდ მი-

წის მფლობელობა არ დაცულა და არ შენახულა წმინდათ, რომელი მისი კერძო მხარე მინც გადარჩენილა, არ დარღვეულა და არსებობს კიდევ? ჰფლობენ გლეხნი საერთოდ საძოვრებს, საბალახეებს, სათივეებს და ტყეს, თუ განაწილებული აქვთ ესეები კომლობრივ? თუ სადმე არსებობს საერთოდ მამულის მფლობელობა, რა გვარად და რა ხერხით ანაწილებენ მიწას გლეხნი ურთიერთ შორის? (უნდა აღიწეროს ვრცლად და ნათლად, როგორ სწარმოებს ეს განაწილება). მთლად მიწა იყოფა რამდენსამე ნაჭრად ნაყოფიერობის მიხედვით და ყოველს გლეხს ეძლევა სხვა-და-სხვა ნაჭრის ნაწილი, თუ სხვაფრივ? ხშირია განაწილება მიწისა, თუ ერთხელ განაწილებული რამდენსამე ათსა და ოცს წელიწადს გრძელდება და მერე ისევ ხელმეორედ ანაწილებენ? საზოგადოდ, რაში მდგომარეობს გარჩევა და მსგავსება ქართველის ხალხისა და რუსეთის ხალხის საერთოდ მიწად მფლობელობას შორის, ან ჩვენსა და რუსულს ობშჩინას შუა? ვინ და როგორ მოარიგებს ქონებრივის უთანხმოების და დავის დროს მიწის ერთად მფლობელთა? როგორი ურთი-ერთობა არის დამყარებული საერთოდ მიწათ-მფლობელთა თემებს შორის, ანუ ობშჩინებს შორის. აქვთ ხოლმე თუ არა ორსა და სამს თემს ერთად საერთო მფლობელობაში ან სათივე, ან ტყე?

არსებობს თუ არა ერთობლივი შრომა, ე. ი. არის ხოლმე შემთხვევა, რომ საერთოდ მოხნას თემმა ან რამე მონაღვაწოს საერთოდ მოსახმარებლად? ანუ სხვა სიტყვით: ხომ არ მოხდება ხოლმე, რომ სათემო კაცებმა ერთად გასთიბონ, ვსთქვათ, სათივე და მერე გაინაწილონ მათვე, როგორც შრომაში მონაწილეებმა? განაწილების საფუძვლად რა მიანიათ? უკეთუ არაფერი ესეები არ არსებობს, მაშინ როგორ უცქერის გლეხობა ამ გვარს წესებს? არ მოსწონთ და ეჯავრებათ ამ გვარი წესები, როგორც წინააღმდეგნი მათ ზნისა და ცნება-წარმოდგენისა, თუ მოსწონთ, მაგრამ ჰგონიათ მაგვარ წესებს ვერ ვაწარმოვებთო?

III. დიდი და მძიმეა ხალხის ხარჯი და გადასახადი? შეუძლიან თუ არა გლეხის მიწის შემოსავალს გაისტუმროს ყოველი ხარჯი გლეხის მეურნეობისა და ოჯახისა, ამ ხარჯში რომ სახელმწიფო გადასახადიც ჩავაგდოთ? უკეთუ გლეხს თავისი საკუთარი მიწა არ ჰყოფნის, სად შოულობს მას და რა პირობით? რა გვარ დამოკიდებულებაში ვარდება გლეხი მიწის ნაკლებობისა გამო თავის ნაბატონარისა თუ მიწათმფლობელის მიმართ? უფრო განვითარდა და მაღალს ხარისხზედ აიწია მიწათმოქმედების და ხვნა-თესვის წარმოებამ გლეხებში, თუ უფრო დაეცა ეს უკანასკნელი წინა დროსთან შედარებით?



IV. ხშირად ჰყიდიან გლეხები თავიანთ მიწებს და ვის ხელში გადადიან ეს მიწები? რა მიზეზები აიძულებს გლეხებს მამულების გაყიდვას? რა გავლენას ახდენს გლეხოებაზე ყიდვა ვაჭრების მიერ გლეხების და თავად-აზნაურების მამულებისა?

V. რამოდენათ ფასობს გლეხის დღიური სამიწათმოქმედო შრომა? ხშირად შოულობს იგი ამ გვარს სამუშაოს, თუ არა? რომელნი გლეხნი უფრო ჰკიდებენ ხელს ამ შრომას: მარტო ისინი, რომელთაც მიწა ხელიდან გამოეცალათ, თუ ისინიც, რომელნიც გრძნობენ მიწის ნაკლებობას? გავრცელებულია, თუ არა გლეხის გადასვლა სხვაგან სამუშაოდ და რა მსგავსებაა ამ მხრივ რუსისა და ჩვენს გლეხს შორის.

VI. რა გვარ შრომას მისდევს კიდევ ჩვენი გლეხი, სამიწათმოქმედო შრომის გარდა, თავის საჭიროების და მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და სახელმწიფო ხარჯის და გადასახადის გასასტუმრებლად? მისდევს თუ არა ჩვენში გლეხოება სოფლად ხელოსნობას (кустарная промышленность)? რამდენად შველის ჩვენს გლეხობას ეს ხელოსნობა, რომელსაც იგი ახმარებს თავის თავისუფალ დროს. თუ არიან სოფელში ისეთი ხელოსნები, რომელნიც საკუთრად ამ ხელოსნობით სცხოვრობენ? თუ არსებობს ეს ხელოსნობა – სად უფრო გავრცელებულია, სოფლად თუ ქალაქში? აქვთ თუ არა ამ ხელოსნებს საჭირო თანხა, საკუთარი იარაღები წარმოებისა, თავიანთ საკუთარ ფულით ჰყიდულობენ საჭირო მასალას თავის ხელობისათვის, თუ წურბელა-ვაჭრებთან იჭერენ საქმეს და ივინი ყველა ამ მასალით ხელს უმართავენ? ამ უკანასკნელ შემთხვევაში, რა პირობით შეეკვრიან ხოლმე ერთმანეთს? როგორ ასაღებენ ხელოსნები თავიანთ ნაწარმოებს: პირ-და-პირ ჰყიდიან მომხმარებელთ, თუ ისევ ის წურბელა ვაჭრები შუამავლობენ მწარმოებელთ და მომხმარებელთ შორის? თუ არსებობს ეს შუამავლობა, რამდენად საზარალოა ან სასარგებლო ხელოსნისათვის? რაოდენად ძლიერია ეკონომიური დამოკიდებულება ხელოსნისა ვაჭრისაგან და როგორ გამოიხატება იგი? აქვს ხელოსანს იმოდენა შემოსავალი, რომ გასწვდეს თავის საჭიროებას?

VII. როგორი მოწყობილობა აქვს ჰამქრობას ქალაქებში? როგორ შეიცვალა ეს მოწყობილობა ცხოვრების ახალ ვითარებათა გავლენის ქვეშ? რაოდენობა ხელოსნებისა, რომელნიც შეადგენენ სხვა-და-სხვა ჰამქრობას. რა-და-რა გვარი შრომისა და წარმოებისათვის მოუკიდნიათ ხელი ჰამქრებს? სდგებიან თუ არა ახალი ჰამქრობანი ეხლა? თუ სდგებიან – რა წესით? რა გავლენა აქვთ მათ ხელოსნობის მდგომარეობაზე?

VIII. არსებობს თუ არა ჩვენში საფაბრიკო და საქარხნო მრეწველობა? რიცხვი ფაბრიკებისა და ქარხნებისა. მათ მიერ წარმოების რაოდენობა. რომელი ნაწილი მრეწველობისა უფრო სწარმოებს ამ ფაბრიკებში და ქარხნებში? როგორის თან-და-თანობით გადადიოდა სხვა-და-სხვა ნაწილი მრეწველობისა ფაბრიკებში და ქარხნებში? სად უფრო გახშირებულია ჩვენში საფაბრიკო და საქარხნო მრეწველობა და ვის ხელშია იგი? სად სალდება განსაკუთრებით ამათი ნაწარმოებნი. სალდება თუ არა იგინი გლეხობაში? სალდება თუ არა ეს ნაწარმოებნი სამზღვარს გარეშე?

რა სახით უფრო სწარმოებს მუშაობა ფაბრიკებში, ხელითა თუ მაშინითა? რომელ ფაბრიკებში მუშაობენ მაშინით?

ვისგან შესდგება მუშა ხალხი ფაბრიკებში – ქალაქისა თუ სოფლის მცხოვრებთაგან შესდგება იგი? თუ ზოგი ნაწილი მუშებისა სოფლელები არიან – სახელდობრ, რომელნი გლეხნი მიდიან მუშათ, ისინი, რომელთაც მამული არა აქვთ, თუ ისინი, რომელთაც თუმც მამული აქვთ, მაგრამ სამუდამოდ მუშათ იქ არ რჩებიან, მხოლოდ დროებით სარგებლობენ ფაბრიკით ხელის მოსანაცვლებლად? რამდენი არიან რიცხვით ფაბრიკის მუშები? დიდი მოთხოვნილებაა და ძლიერ უჭირთ თუ არა ფაბრიკისა და ქარხნის პატრონებს შრომა? ბევრნი არიან მოკლებულნი სამუშაოს? რა ფასი ეძლევა ფაბრიკის მუშებს დღეში? რამდენს ხანს მუშაობენ დღეში? მუშაობენ თუ არა დედა-კაცები და ბავშვები ამ ადგილებში? რამდენად ნაკლებია ამათი შრომის ფასი კაცისაზე? რამდენად წესიერად არის მოწყობილი ფაბრიკა და ქარხანა ჯანმრთელობისათვის? არსებობს თუ არა თანხმობა და კეთილი ურთიერთობა მუშებსა და პატრონებს შორის? მოხდება ხოლმე მათ შორის უთანხმოება და რა მიზეზით?

IX. არსებობს ჩვენში უბინაო და უსახლ-კარო ხალხი (პროლეტარიატი) და თუ არსებობს, სად უფრო მოიძებნება იგი, სოფლად თუ ქალაქებში? საიდგან იკრეფავს თავს ეს ბოგანო ხალხი? რა მიზეზია პროლეტარიატის არსებობისა? დიდია თუ არა რიცხვი ამ გვარის ხალხისა? რამდენ პროცენტს შეადგენს იგი სრულიად მცხოვრებლებისას? რა გვარ მუშაობას მისდევენ?

X. დიდი ალებ-მიცემობა აქვს თუ არა ქვეყანასა საზოგადოთ? უფრო რა გვარს ალებ-მიცემობას მისდევენ მცხოვრებელნი? გადის თუ არა საზღვრებს გარეთ საქონელი, რომელი და რამდენისა, სახელდობრ? საითკენ უფრო გააქვთ? ვის ხელშია შინაგანი და გარეშე ალებ-მიცემობა? რაში გამოიხატება ეკონომიური როლი და მნიშვნელობა სომხებისა და ური-

ებისა? სად უფრო მომეტებულია მოქმედობენ ესენი, სოფლად თუ ქალაქადვილს? როგორ უყურებს მათ ქართველი ხალხი და რა ურთიერთობაშია მათთან?

XI. რა გვარი საშუალებანი და საღსრები არსებობენ გაცვლა-გამოცვლისა და აღებ-მიცემობისა ჩვენს ქვეყანაში? ბევრია თუ არა საკრედიტო დაწესებულებანი? – რაში გამოიხატება მომეტებულია და უმთავრესად მათი მოქმედობა და რაოდენ სესხს და ფულს აწარმოვებს (параметры). ვის უფრო ეხმარებიან და აღმოუჩენენ თავიანთ შემწობას ეს დაწესებულებანი? არსებობს თუ არა გლეხობისათვის კრედიტი და სესხი. ან შესაძლებლად მიანიხიას მას ისარგებლოს ეხლანდელ საკრედიტო დაწესებულებათა სესხით? რა ზედმოქმედებას იჩენენ საზოგადოთ საკრედიტო დაწესებულებანი ქვეყნის ეკონომიურს ცხოვრებაზე?

ეკონომიურ მოვლენათა გამოკვლევისათან ერთად ძლიერ საჭიროა როგორც მეცნიერულის მხრივ, აგრეთვე პრაქტიკულის მხრივაც, შესწავლა ხალხის ყოფა-ცხოვრებათა.

XII. რა ხასიათი აქვს ხალხის საოჯახო ურთიერთობას? – წევრნი ოჯახისა ყველანი თანასწორის უფლების მექონენი არიან, თუ რომელიმე წევრთაგანი, უხუცესია და უმფროსია იგი თუ არა, მანინ ბატონობს ოჯახში, თავობს და იმორჩილებს ოჯახის სხვა წევრთ? როგორ და რაში გამოიხატება უფლება მემკვიდრეობისა, რა გვარია როლი დედა-კაცისა ანუ ქალისა ოჯახობაში და მეურნეობაში?

XIII. ხალხის იურიდიული შეხედულებანი რაში მდგომარეობენ? რამდენად ემზგავსებიან ან განირჩევიან იგინი განათლებულ და კულტურულ წოდებათა იურიდიკულ შეხედულებათაგან? იყო რამე გარჩევა უწინ, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, ამ შეხედულებათა შორის ერთის მხრით ხალხისა და მეორეს მხრით მეტის უფლების მექონეთა? რაში სჩანს ეგ გარჩევა ეხლა, როცა ჩვენში შემოღებულ იქმნა ახალი, ხალხისთვის უცნობი იურიდიკული დაწესებულებანი?

XIV. რა დასაბამი და რა საფუძველი მიანიხიას ხალხს ქვაკუთხედად თავის ცხოვრების ურთი-ერთობისათვის. ამ დასაბამად და საძირკვლად ყოველისა და ყოვლისავე შრომა ჰგონია და მიანიხიას ხალხს თუ სხვა რამე? როგორი შეხედულება აქვს ხალხს საკუთრების უფლებაზე.

XV. როგორ და რაში გამოიხატება საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეროვნული ლტოლვილებანი ხალხისა? რაში მდგომარეობს საზოგადოთ ხალხის გონებრივი ვითარება და სულის წუხილი? – როგორ და რაში იჩენს

მისი შფოთვა და აღბორცება ცხოვრების ვითარებისა წინააღმდეგ? – ხშირად ეძლევა თუ არა აქტიური ხასიათი ამ აღბორცებას და შფოთვას ხალხის წინააღმდეგობისას. ვის წინააღმდეგ არის მიმართული უმთავრესად ხალხის მიერ გამოცხადებული ჩივილი?

აი მთელი დასტა კითხვებად დალაგებულ საგნებისა, რომელთა შეუსწავლელად არა ნაირად არ შეიძლება შემუშავება და გამოკვლევა ცოტათ მაინც წესიერის საზოგადოებრივის პროგრამისა. მომეტებული ნაწილი ჩვენში გამოცემულის ბროშურებისა და ჟურნალში დაბეჭდილ სტატიებისა ამტკიცებს, რომ ამ მხრივ ჩვენს მწერლობას სრულებით თავი არ შეუწუხებია. მას არა აქვს შემუშავებული, მტკიცედ მოფიქრებული და მოკლედ მოჭრილი პროგრამა. თქვენის ნაწერებით, ბატონებო, თუმცა მგონია, რომ ცოტას არა სწერთ, სრულიად არ შეიძლება მიხვდეს კაცი, რას მიეღვცის თქვენი გული და გონება და რა საგანი გაქვთ წინ-წამოყენებული ქვეყნის საკეთილდღეოდ გადასაწყვეტად. ხომ არ შეიძლება, რომ კერძო საგნები, რომელთაც თქვენ გაჰყოლიხართ, შეადგენდენ სრულიადს და მთლიანს საზოგადოებრივს პროგრამას? თქვენ გიყვართ სამშობლო, თქვენი ენა, ხალხი, მაგრამ არ გეტყობათ, რომ თქვენ ცნობიერად მოფიქრებული გქონდეთ პროგრამა საზოგადოებრივის მოქმედებისა. სიყვარული – დიად საქები და პატივსაცემი გრძნობაა, ცხადია, მაგრამ ცალიერის სიყვარულით ქვეყანას ვერ აღვაშენებთ და ვერ აღვადგენთ. საჭიროა თანხმობითი, მოფიქრებული და ჩვენი მდგომარეობის შესაბამი მუშაობა; საჭიროა შემუშავება და გამოკვლევა საზოგადოებრივის იდეალისა ხალხის ცხოვრების ყოველ-მხრივის დაკვირვებისა და შესწავლის შემდეგ; საჭიროა ძმურად, შეწყობილად მისწრაფება ერთხელ შემუშავებული და წინ-წამოყენებულ იდეალისადმი, და არა მოღვაწეობა ნაწყვეტ-ნაწყვეტი, გაფანტული, რომელსაც თან არა სდევს ხელ-მძღვანელად არავითარი ზოგადი პრინციპი. ავიღოთ საგულის-ხმიერო მაგალითი ჩვენის ლიტერატურიდამ. ზოგი ჩვენი ლიტერატორთაგანი დაადგა საქართველოს ისტორიის შესწავლას. ცხადია, რომ ეს საგანი ძლიერ უსაჭიროესი საგანია და თვით ეს საქმეც ძალიან პატიოსანი და ქების ღირსი უნდა იყოს. მაგრამ როგორ მოჰკიდეთ ხელი თქვენ ჩვენის ისტორიის შემუშავებას? რას ეძებთ თქვენ იქ საინტერესოს, რა საგულისხმიერო მაგალითები და მოძღვრებანი უნდა ამოუღოთ იქიდან ქართველებს, როდესაც თქვენ მოგვითხრობთ საქართველოს სახელმწიფო ცხოვრების გარეგნობაზედ, როდესაც თქვენ აღვიწერთ სხვ-და-სხვა ლაშქრობას და სამეფო კარის ინტრიგებს და მოჰყოლიხართ მეფეებისა

და დედოფლების, მათ კუდებისა და ფარეშების ამბავს. ამით განა ვის რა გინდათ ასწავლოთ, ვის რა გასურთ შეაგონოთ? რა საზოგადოებრივი საგანი ამოგილიათ მიზნად, როცა მხოლოდ გარეგან მხარეს სწავლობთ სამშობლო ისტორიისას და შინაგანს აზრს კი არ უღრმავდებით. თქვენი ნამუშევარი ამ მხრივ უაზროა და უნაყოფო, ამიტომ რომ მის შემწეობით ვერ გავიგებთ და ვერ შევიგინებთ ხალხის ცხოვრების აწინდელს ვითარებას. იგი ვერც ცნობის მოყვარეობას აკმაყოფილებს, ამიტომ რომ მის შემწეობით ჩვენ წინა-პართა წარსულის ცხოვრების სიღრმესა და სიგანეს ვერ ვტყობილობთ, მის ნამდვილს ხატებას ვერ ვხედავთ. იმის მაგიერ, რომ დაგვანახოთ ყოფა-ცხოვრება ხალხისა წარსულის დროს; იმის მაგიერ რომ გავგაცნოთ მაშინდელი უფლებრივი, იურიდიკული და ეკონომიური ურთიერთობა, თქვენ სულ სხვას მოგვითხრობთ და სულ სხვა კილოზედ მოჰყოლიხართ ძველს ამბავს. იმის მაგიერ მაგ. , რომ მრთელი და სრულიადი სურათი წარმოგვიდგინოთ ხალხის ტანჯვისა და წამებისა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გამოსცადა შინაურ მოუწყობლობისაგან და გარეშე მტრისაგან; დასასრულ, იმის მაგიერ, რომ ასწეროთ როგორ სცხოვრობდნენ ჩვენი წინაპარნი, რას აკეთებდნენ, რა ზნესა და ხასიათებს ადგნენ შინაურობაში და გარეთ, ერთის სიტყვით, იმის ნაცვლად, რომ მოგვითხრობთ, საინტერესო ისტორია ჩვენის ეკონომიურის და გონებრივის განვითარებისა, – თქვენ, ყველა ამის ნაცვლად, გაჰყოლიხართ, უკაცრაული ქართულია, რაღაც ქებასა და დიდებას წარსულისას და თან ამ შესხმისა და ხოტბის წერას დარბაისრულს შრომას ეძახით! მე ამას, რასაკვირველია, არ ვაბრალებ თქვენს უცოდინარობას. არა! თქვენ ძალიან კარგად იცით, როგორც უნდა შემუშავება ისტორიის, თქვენ გიკითხავთ და კარგადაც იცნობთ საუკეთესო ევროპიულ ისტორიკოსებს, აღტაცებაში მოდიხართ მათ გამოკვლევათა მეტოდებით, სთვლით თქვენ თავს მათ ნამდვილ მომხრედ, მაგრამ როგორც კი საკუთარს გამოკვლევას დაიწყობთ ჩვენს სამშობლოს შესახებ, მაშინვე უეცრივ ჰქრება თქვენში ისტორიის ფილოსოფიური ცოდნა და გვარწმუნებთ, რომ ეს ფილოსოფიური ცოდნა ისტორიისა ჩვენის ქვეყნის შესახებ არ გამოდგება.

ჩემის აზრით, ეს იმისაგან წარმოსდგება, რომ ჩვენ აქამომდე არა გვაქვს მტკიცედ გამორკვეული და მოსაზრებული პროგრამა მოქმედებისა, რომლის მიხედვით შეეძლოს ყოველ საზოგადოებრივ მოღვაწეს (გულ-წრფელს და პატიოსანს, რასაკვირველია) შრომა და მუშაობა. ჩვენ ვმოქმედობთ აქამომდე ცალ-ცალკე, უსისტემოთ და გაფანტულად. აი

ამის გამო ყოველს ჩვენს დაწესებულებას რაღაც უმიზნობის და განცალკევების დაღი აზის.

ისტორიის შესწავლას და შემუშავებას რომ თავი დავანებოთ და გადავიდეთ ჩვენს ლიტერატურის საზოგადო მდგომარეობაზე, აქაც ჩვენ ამავე სამწუხარო სანახავს შევხვდებით.

ჩვენს ნორჩს და ჯერ ისევ ფრთა-გაუშლელს ლიტერატურას აქვს ერთი დაუფასებელი ღირსება, რომელიც განასხვავებს მას სხვა უფრო განათლებულ და განვითარებულ ქვეყნების ლიტერატურათაგან. როგორც ვიცით, აწინდელი ცივილიზაციის ცალ-მხრივი და ცრუ მიმართულების გამო განათლებულ საზოგადოების ნაწილსა და ხალხს შორის სუფევს ისეთი ზღვარი, რომელიც უშლის ორთავე მხარეს ერთ-მანეთის გაგებას. ამ განათლებულს ნაწილს საზოგადოებისას აქვს იმ გვარად შემუშავებული ლიტერატურა, რომ იგი სრულიად უცხო და გაუგებარია ხალხისათვის, როგორც ენით, ისე შინაარსით; განცალკავდნენ ინტერესები, გაჩნდა სხვადასხვა სურვილი და მოთხოვნილებანი, რომელნიც უფრო უარესად განაშორებს მათ ერთიერთმანეთისაგან. ხალხი არ კითხულობს და საინტერესოდ არ სთვლის განათლებულ საზოგადოების ლიტერატურას, რომელიც ადგია ხალხისათვის სრულიად უცხო გზას და საგანს. მაშინაც კი, როდესაც რჩეულნი პირნი საზოგადოებისა გამოდიან საასპარეზოდ ხალხის ჭეშმარიტ ინტერესების დასაცველად, საქადაგებლად და თავიანთ ამრების და იდეალების გასავრცელებლად მწერლობის შუამავლობით, მაშინაც კი ეს პირნი და მოღვაწენი ვერ პოულობენ მკითხველებს ხალხში. ხალხი აქამდის ფიქრობს, რომ ეს ლიტერატურა სდევნის სრულიად უცხოს და მათთვის არა სასარგებლო ინტერესებს. თუნდ ესეც არ იყოს, კულტურული ლიტერატურის ენა იმდენად განირჩევა ხალხის ენისაგან, რომ უბრალო ხალხისათვის მომეტებულ ნაწილად შეუძლებელია წაკითხულის გაგება, თუნდ რომ სურვილი და შეძლება ჰქონდეს კითხვისა. ამის გამო, თუ გსურს, რომ ხალხისთვის გაუგებარი არ დარჩე, უნდა მიჰმართო სხვა გვარ კილოს, სხვა გვარ ენის მიმოხვრას. ერთის სიტყვით, უნდა იხმარო უბრალო „სახალხო“ ენა. ეს სამარცხვინო გარჩევა ენისა, რომელიც უშლის ერთსა და იგივე ერის ორ ნაწილად გაყოფილის დასის ერთმანეთის გაგებას, არის პირ-და-პირი შედეგი ხალხისადმი უგულობისა, რომელსაც მუდამ იჩენს უმრავლესობა განათლებულის საზოგადოებისა. ხალხის ინტერესების უყურადღებოდ დატოვებამ და წოდებრივ ლტოლვილებათა გამოკიდებამ, მისცა ლიტერატურას შეუსაბამო და არა ხალხური ხასიათი.

ლიტერატურა შეიქმნა ყმათ და მოსამსახურეთ განათლებულ წოდებათა და ამ სახით განვითარდა ხალხისათვის გაუგებარი ენა. ლიტერატურა, რომელსაც არ შემსჭვალავდა ხალხის ვაება და წუხილი, მიდიოდა თავისთვის წინ შვებით და მასხრობით და უფრო უარესად სწყვეტდა ხალხთან კავშირს.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ბატონებო, რა სამწუხარო და არა სანეტარო მდგომარეობაში ჩააგდო საზოგადოთ მწერლობა ამ კულტურულ წოდებათა მოუსაზრებელმა თავმოყვარეობამ. მოგეხსენებათ აგრეთვე, რა საზიზღარი შედეგი მოჰყვა მწერლობაში მის წარმომადგენელთა მიერ ლაქუცსა და ყურ-მოჭრილს ყმობას ამა სოფლის ძლიერთა და მეტის უფლებით შეჭურვილთა წინაშე. მეორეს მხრით, თქვენთვის, უეჭველია საიდუმლოს არ შეადგენს აგრეთვე ის გარემოება, რომ უკეთეს წარმომადგენელთ ლიტერატურისას მწარე ვარამი უტრიალებთ გულში და სახმილებრ ცეცხლი ედებათ, რადგან ხალხთან დაახლოვება ჰსურთ და თავის მოუკვლელი სურვილი კი ვერ აუსრულებიათ. ამ პირებმა ძალიან კარგად იციან, რომ მათი არსებობა და სიცოცხლე ხალხის ცხოვრებისა და ინტერესების გარეშე უსარგებლოა და უნაყოფო, რომ ყოველი მათი წერა ამაოა და უსაგნო; ივინი, გულდაწყვეტილნი და დათუთქულნი, გრძნობენ, რომ თვით ხალხი, რომელსაც მათ უნდა ემსახურონ ყოველ თავის ძალ-ღონით და მტლედ დაედონ მას, თვით იგივე ხალხი მათი უმეცარია და უარმყოფელი. ივინი ჰგრძნობენ, რომ ამ საქმეში თვით უბრალონი და უზაკველნი არიან, რომ მათ თავზე ტრიალებს წინა-პართა შეცდომილებისა და დანაშაულობის ბორბალი, მაგრამ ძალაც არა აქვთ, რომ აიცილონ ეს უბედურება მთლად და სრულიად გადაუსწორებლად ყოველ საზოგადოებრივ ურთიერთობისა.

სხვა ქვეყნების ამ გვარ მწარე გამოცდილებათა შემდეგ, შემდეგ იმ გამაფრთხილებელ და საგულის-ხმიერო შთაგონებისა ისტორიის მიერ, რომელიც ცხადათ უჩვენებს ნამდვილს გზას ცივილიზაციისას ახლად გაღვიძებულს ქვეყნებს და ერსა, – როგორ მოქმედობენ და მოღვაწეობენ წარმომადგენელნი ჩვენის ლიტერატურისა და მწერლობისა? შეიგნეს მათ ესა, ან უკეთ რომ ვსთქვათ, გამოიყენეს სასარგებლოდ ეს გაფრთხილება ისტორიისა?

ჩვენი ლიტერატურა ამ მხრივ ჯერჯერობით სწორედ ბედნიერ მდგომარეობაშია. იგი არ განცალკევებულა, არ დაჰშორებია ხალხს და არ გამხდარა მისთვის გაუგებარი. ლიტერატურული ენა მცირედ განირჩევა

ხალხური ენისაგან, იგი ეყრება და იზიდავს ჩვენს ხალხს. მეორეს მხრით, ყველა იტყვის, რომ ჩვენი ხალხი ცნობის-მოყვარე ხალხია, სწავლისა და ცოდნის შექმნა წყურვილად გადაქცევია და ჯერჯერობით ყურს უგდებს და თვალს ადევნებს ჩვენის მწერლობის განვითარებას. ყველა ეს გარემოება ჩვენს მწერლობას დიდს საშურველ უპირატესობას აძლევს სხვა მწერლობათა წინაშე. სხვა ერნი დიდს მსხვერპლს და სასყიდელს გაიმეტებდნენ, ოღონდ კი ამ გვარი ხასიათი მიეცათ თავის ლიტერატურისათვის და ერთგვარად გასაგები გაეხადნათ იგი, როგორც ხალხისათვის, ისე მთლად ერთსათვის და განათლებულ საზოგადოებისათვის. მაგრამ რა გამოვიდა ყველა აქედამ? სარგებლობენ ჩვენი საზოგადოებრივი მოღვაწენი თავიანთ ლიტერატურის ამ უპირატესობით? არა!.. პირიქით, იგინი როგორც თვითმდგომარეობას მოკლებულნი და მცირე-წლოვანნი ბავშვნი, ყურადღებას არ აქცევენ ამ უპირატესობას, განურჩევლად მისდევენ უკან კუდში სხვათა ლიტერატურებს და ამ უგვანო ბაძვით სწორედ რომ ყოველს სამზღვარს გადადიან თავიანთ სასაცილოდ და სასირცხვოდ.

წარმოდგინეთ კი, რომ ეს საგანი ძალიან ცხადი და მარტივია, ჩვენი სურვილი და საწადელი ამ მხრივ ადვილად შესასრულებელია და განსახორციელებელი: შევაწყოთ და შევუთანხმოთ ჩვენი ნაწერების ხასიათი და მიმართულება ხალხის ინტერესებს და მოთხოვნილებათა, ვისწავლოთ და განვითარდეთ ხალხთან ერთად, მასთან ერთადვე შევიმუშავოთ საზოგადოებრივი იდეალები, რომელნიც მხოლოდ ხალხის მიერ მიიღებენ უაღრესს ძალას და შეიძლებენ ყოველ-გვარ ბრძოლის და დევნის ატანას. ამის მაგივრად ჩვენი ლიტერატურა, თითქო შიშობსო, რომ დავარდნილ და უკან-ჩამორჩომილად არ დამსახონო, სცდილობს მაღალ კილოს გამოეკიდოს და ზემო ფარდებში იფრინოს. რაც შეუძლიან ძალას იტანს და იმოსება ისეთს გამოუწყობელ კულტურულ ტანისამოსით, რომელიც არც შემგენის მას, არც უხდება და რომელიც მასთანვე უფრო სასაცილოდ და სამასხაროდ ხდის, ვიდრე დინჯ და დარბაისელ გამომხატველად საზოგადოებრივ საჭიროებათა და მოთხოვნილებათა. მართლაც და რომელი მკითხველები ჰყავს სახეში ჩვენს ლიტერატურას და ვინ უნდა გაანათლოს და ცნობიერება შესძინოს მან, როდესაც იგი დაჟინებით და გაჯიბრებით ებაასება, მაგ. , ევროპიელ დიპლომატიას, როდესაც იგი ვრცლად მოგვითხრობს ლუი-ბლანისა და სხვა პოლიტიკურ მოღვაწეთა აწინდელს პოლიტიკურ შეხედულებაზედ, როდესაც იგი სთარგმნის და ავრცელებს გოეტეს თხზულებებსა, შექსპირისა და თუნდ გამოჩენილ ოფენბახის თარგმანებ-



საც და სხვ. ისე რომ ავიღოთ და ჩვენთვის რომ ვსთქვათ, რასაკვირველია, ყველა ესეები კარგი და სასარგებლო საქმეა, მაგრამ განა ამაებს თხოულობს ჩვენის სამშობლოს თანამედროვე მდგომარეობა? ნუთუ შესაწყნარებელი და პატივდებაში მისაღებია ფიქრი სუბუქ და ჰაეროვან წარმოებაზე დახელოვნებულის მზარეულისა, როცა შიმშილით მიღეული და გვემული კაცი თხოულობს პურსა?

თუ გვინდა რომ ხალხმა ისარგებლოს ჩვენი ლიტერატურის მდაბიურობით და გამოიყენოს ეს დაუფასებელი თვისება ჩვენის მწერლობისა, საჭიროა, ჩვენის ფიქრით, რომ მწერლობა ხალხისათვის საჭირო და შესაფერ გონებით საზრდოს იძლეოდეს, მის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს. ამიტომ ლიტერატურა უნდა შეიქმნას უპირველეს ყოვლისა სახალხო ლიტერატურად, უკეთუ გვსურს, რომ მას ჰქონდეს გავლენა და ძლიერება, ფასი და მნიშვნელობა, ჩვენის ქვეყნის საქმეების და საგნების გადაწყვეტის დროს. მხოლოდ ეს მაშინ მოხდება, როცა ლიტერატურა ერთად ერთ ნამდვილ გზას და ჭეშმარიტ მიმართულებას დაადგება, როცა იგი მიიღებს პატივდებაში ხალხის სურვილს, და, რაც უფრო პირველია, დაიცავს მის ინტერესებს, ე. ი. როცა ლიტერატურის მიერ ხშირად და უმთავრესად წამოყენებული იქმნება საასპარეზოდ ხალხის გულის მომგები საგნები – ეკონომიური და საზოგადოებრივი საქმეები.

გიორგი ზდანოვიჩი „წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“, „ივერია“. „ქართული მწერლობა“ ტ. 21, 2006;







## კატო მიქელაძე (1878-1942)

მიქელაძე 1878 წლის 18 სექტემბერს დაიბადა სოფელ კულაშში. დედის ნაადრევი გარდაცვალების შემდეგ, მამა სახლიდან წავიდა და პატარა გოგონა მოხუცი ნათლის იმედად რჩება. დაწყებითი განათლება მან წმინდა ნინოს სასწავლებელში მიიღო. 1900 წელს კატომ დაამთავრა საბებიო ინსტიტუტი და სამუშაოდ ცხინვალში გაემგზავრა. აქვე იგი უახლოვდება მესამე დასელთა საზოგადოებას და ერთვება რევოლუციურ მოძრაობაში. 1903 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (მარიამ დემურიას და ნატო გაბუნის რეკომენდაციით) კატოს მოსკოვში აგზავნის პედაგოგიურ კურსებზე სასწავლებლად, მაგრამ იქიდან 1906 წელს, სოფიო ამირეჯიბისა და ალექსანდრე ხახანაშვილის დახმარებით, ევროპაში მიემგზავრება. ბრიუსელის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ კატო პარიზში დასახლდა, სადაც 1915 წლამდე დარჩა და საფუძვლიანად გაეცნო ქალთა მოძრაობის ევროპულ გამოცდილებას.

1916 წელს საშობლოში დაბრუნებული კატო მიქელაძე იწყებს თანამოაზრეთა შემოკრებას და ქალის სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლას.

1917-18 წლებში მან უკვე ჩამოაყალიბა რეგიონული ქსელი „ქალთა ლიგა“, რომელიც დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონის წარმომადგენელ ქალს აერთიანებდა. ამავე პერიოდში იგი გამოსცემდა და რედაქტორობდა გაზეთს „ხმა ქართველი ქალისა“, სადაც კონსოლიდირებული იყო ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის საჭირო დასავლური გამოცდილება და ქართული პრობლემების მთელი პალიტრა. სამწუხაროდ, პირველი რესპუბლიკის პერიოდში გაზეთი დაიხურა. ბოლშევიკური ტერორის ეპოქამ კი კატო მიქელაძე და თანასწორობის ერთგული სხვა ქალთა იდეები „ისტორიის ნაგავსაყრელზე“ მოისროლა, როგორც „ბურჟუაზიული გარყვნილების“ მაგალითი.

კატო მიქელაძე განსაკუთრებულ პატივს სცემდა ეკატერინე გაბაშვილის მოღვაწეობას, მის ამაგს ქალთა ემანსიპაციისა და მათი განათლების უფლების მოპოვების საქმეში. ამიტომ ხშირად სტუმრობდა მას და ერთობირებოდა 10-იანი წლების საქართველოში ქალთა მოძრაობის გასაფართოვებლად.

30-იან წლებში კატო მიქელაძე უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა,

---

იგი 1942 წელს გადაიკვალა. პროცესიას სულ რამდენიმე ადამიანი მიუყვებოდა: ირინე და ნიკო ლოიუშკოვები, პოეტი ანდრო თევზაძე და მარიამ გარიყული. კატოს საფლავი დაკარგულია.

წყარო: <http://www.feminism-boell.org/ka/2014/06/06/kato-mikelaze>

## მიზეზი ქალთა მონობისა და ქალთა მოძრაობისა

თუ ვინმეს აქვს უფლება თავის გაჭირვებაზე ლაპარაკისა, თავისი კლასობრივი, თუ წოდებრივი ინტერესის დაცვისა, მით უფრო მეტი უფლება გვაქვს ქალებს და მეტი საბუთიც ჩვენი საერთო ტანჯვა-მონობის წინააღმდეგ ამხედრებისა, ჩვენი ადამიანური პიროვნების აღდგენისათვის ბრძოლისა და ამ ბრძოლაში შეკავშირებისა, რადგან ქალებზე უფრო დაჩაგრული დედამიწაზე არავინ ყოფილა და ქალებივით ხანგრძლივად არავინ დაუჩაგრავს მამაკაცთა მიერ გამოწვეულ უსამართლობასა და ძალმომრეობას. დიას, მამაკაცისა მიერ, რადგან, მთელი ისტორია არის ისტორია მამაკაცებისა: მათი ომებისა და რევოლუციისა, მათი შუღლისა და ამბოხებისა, სადაც დედრობითი სქესი პოლიტიკურ და **მოქალაქურ** ცხოვრებაში უკანასკნელ ხანამდე არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა. ქალები წარმოადგენდნენ მოსამსახურე კლასს, რომლებსაც **ძალაუნებრივად** მონაწილეობა უნდა მიეღოთ მამაკაცების ჭირსა და ლხინში, თუ საჭირო იყო თავი გაეწირათ მათთვის, მაგრამ არავითარი ხმა და უფლება მათ არ ჰქონიათ, არც ოჯახში და არც საზოგადოებაში. ასეთ ძალმომრეობას და დედაკაცების დაბეჩავებას ისე შეეჩვივნენ სხვადასხვა წრისა და წოდების მამაკაცთა უმრავლესობა, რომ დღესაც მათთვის სადავო ხდება, **იგნონ** თუ არა ქალები ადამიანური უფლების ღირსად? ლეგიონი ქალთა უფლების მტერთა დედაკაცების პიროვნული მონობის ბუნებრივობას თავისი ძალმომრეობის გასამართლებლად უკანასკნელ ხანამდე სხვადასხვა საბუთებით ადასტურებდა და მეცნიერულად ცდილობდა დაკანონებას იმ აშკარა უსამართლობისა, რომლის ქვეშ ყოფნას არც ერთი მათგანი არ მოისურვებს და რომლის წინააღმდეგ მამრობითი სქესი ისტორიულად სისხლს ღვრიდა. რა იყო და რა არის დღესაც მიზეზი იმ **აშკარა გაუგებრობისა**, რომ ქალებიც ადამიანები ვართ და ღირსი ადამიანური უფლებისა? ნუთუ, ჩვენ ჩვენი მამების, ძმების და შვილების წინაშე იმ ბუნების გამოწვევისა შევადგენთ, რომლისათვისაც მოსამატებელი არ არის ადამიანური უფლება? ნუთუ ქალთა მათდამი უსამღვრო სიყვარული და ამაგი მეტი დასაფასებელი, მეტი ყურადღების ღირსი არ არის მათგან?

მიზეზი ის არის, რომ ქალთა უფლების მტრებს დავიწყებული აქვთ ყოველგვარი ზნეობრივი მოვალეობა-სიყვარული წინაშე ქალთა საკითხისა. მათ არ აგონდებათ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს არც აღმზრდელი დედები, არც თან შეზრდილი დები და არც აღსამზრდელი

შვილები, მათ ახსოვთ მხოლოდ ქალი, როგორც სქესი, რომელზედაც ბატონობას ისტორიულად შეეჩვივნენ და რომლის, უფლებრივი გათანასწოლება თავიან სქესთან მათ შიშსა და გულისწყრომას გვრის. ამ საიდუმლო შიშს ისინი ოსტატურად მალავენ და შვილებისა და ოჯახის საკეთილდღეოდ თავს გვახვევენ სამუდამო მონობას და რომ შეგვარიგონ მონურ უპიროვნო ცხოვრებას, ერთი მათგანი ტვინის სიმძიმით გვიმტკიცებს ქალთა ბუნებრივ ჭკუანაკლულობას, მეორენი ტვინის აპკის ხვეულითა და მესამენი ფიზიოლოგიური თვალსაზრისით და ფიზიკური ძალის სიჭარბით გვიმტკიცებენ თავიანთ უპირატესობას. მიუხედავად მათი ასეთი არგუმენტების გაბათილებისა, ისინი მაინც თავისებურ ლათაიებს იმეორებდნენ, რომელთა ხმა მხოლოდ არსებული მსოფლიო ომის სისხლის მორევმა და მისგან გამოწვეულმა ქალთა შრომის საჭიროებამ საზოგადო ასპარეზზე ჩააკმენდინა. ჩვენ ვეცდებით სათითაოდ განვიხილოთ მათ მიერ წამოყენებული ჩვენი ბუნებრივი ჭკუათხელობის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ვიცოდეთ, თუ რამდენად მეცნიერულია მნიშვნელობა და რა ფასი აქვთ მათ. დავიწყეთ ფიზიკური ღონის სიჭარბიდან, მიუხედავად მისი ინტელექტუალური უმნიშვნელობისა, რადგან ცნობილი ფაქტია და დიდი ხნის გამოკვლეული, რომ იქ, სადაც ინტელექტუალური ძალა სჭარბობს, ფიზიკური ნაკლებია და იქ, სადაც ფიზიკური ძალა მეტია, ინტელექტუალური ნაკლებია. ამ დებულების ჭეშმარიტება ამტკიცებს როგორც დიდ ხერხემლიან ცხოველთა და ადამიანის შედარება ღონითა და გონებით, ისე ველურ და ცივილიზაციურ ხალხისა და ინტელიგენციისა და ფიზიკურად მომუშავეთა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ დღევანდელი დედაკაცების ფიზიკური სისუსტის მიზეზი ისტორიულია და არა ორგანული და ამის დასამტკიცებელ ფაქტებს ჩვენ ვხედავთ როგორც ბუნებაში, ისე სოციალურ ცხოვრებაში. თანამედროვე ბუნების მეტყველთაგან ცნობილი და აღიარებულია ცხოველთა შორის დედლის მამალზე სიძლიერე. მიუხედავად ამისა, რომ დედალს ყოველ წლებით და ხან რამოდენიმეჯერმეც და თანაც, ცუდ პირობებში უხდება მშობიარობა, ის მაინც გაცილებით უფრო მეტის ამტანია ფიზიკურად, ვიდრე მამალი. მართალია მიხტომით გამბედაობა მამალს მეტი აქვს, მაგრამ ეს გამბედაობა ერთობ ხანმოკლე და წარმავალია, მაშინ როდესაც დედალი მეტის სიფრთხილით, მაგრამ თანდათანობით უმკლავდება მტერს, რომლის შეხვედრას უფრთხის კიდევ ყოველი გაწაფული მონადირე. ადამიანი, რამდენითაც თავისი ორგანული შენობით ცხოველთა შთამომავალია, იმდენათ



საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთი ძალა შეასწავლა მამაკაცთან შედარებით იმ დედაკაცს, რომელმაც პირველად იხილა ჩვენი მშვენიერი პლანეტა. რაც შეეხება ტვინის სიმძიმეს, მის მეცნიერულ მნიშვნელობას თვით თანამედროვე ანატომიური ცნობები ამტკიცებენ, რომლის გამოკვლევით გენიოსის ტვინი გაცილებით ნაკლებს იწონიდა იდიოტის ტვინზე. ვალტერის ტვინის სიმჩატემ გაკვირვებაში შეიყვანა იმდროინდელი მედიკები. ტვინი ცნობილი მეცნიერი ბიშობისა, რომელიც ამტკიცებდა დედაკაცების ტვინის სიმჩატეს, მით, რომ მათი ტვინი მამაკაცების ტვინისაზე ნაკლებს იწონიდა, გაცილებით უფრო ნაკლები აღმოჩნდა წონით, ვიდრე ის საშუალო ტვინი, რომელიც მაინც გამოიყვანა ქალთა ტვინის საზომათ. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მოვიყვანთ ცნობილი ფრანგი ანთროპოლოგი მანუვიეს აზრს შესახებ ტვინის სიმძიმის მნიშვნელობისა. ამ მეცნიერის აზრით, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ პროპორციონალურს წონას და თუ შევადარებთ მამაკაცების ტვინის წონას მთელს მათ წონასთან, ამბობს იგი, მამაკაცების ტვინი უფრო ნაკლებია წონით, პროპორციონალურად, ვიდრე დედაკაცებისა და თუ დიდ თავის ქალაში მეტი ტვინი დევს და მეტს იწონის, ეს არავითარ განსაკუთრებულ ღირებულებაზე არ ლაპარაკობს. რაც შეეხება ტვინის აპკის სხეულს, რომელზედაც ბოლო დროს დაიწყეს საუბარი ანტიფემინისტებმა, მისი სირთულე, რამდენადაც ადამიანის განვითარებაზე დამყარებული, ცხადია ის ტვინი უფრო, მდიდარი იქნება ხვეულით, რომლის პატრონი უფრო მეტს მცოდნეა და განვითარებულია. დედაკაცის და მამაკაცის ორგანულ შენობაზე თანამედროვე ანატომია შემდეგ ფაქტებს გვაწვდის. ჩონჩხი მამაკაცისა უფრო მაღალია და სრული, ვიდრე დედაკაცებისა, შედარებით და არა აბსოლუტურად, რასაკვირველია. მამაკაცის ჩონჩხი წელსზევით უფრო მდაბალია და ბოლოში გრძელი. დედაკაცის ჩონჩხი კი, წინააღმდეგ, წელსზევით უფრო მაღალია და ბოლოში მოკლე. ხერხემალი დედაკაცის ჩონჩხისა უფრო ფართოა, ძვლები უფრო წვრილი და დაწმენდილი აქვთ, ვიდრე მამაკაცებს. მკერდი მამაკაცის ჩონჩხისა უფრო ფართოა, რის გამოც, ფილტვები და გული უფრო დიდი აქვთ და სქესობრივი ორგანოები გაცილებით უფრო რთული. კუნთების ქსოვილი მამაკაცებს უფრო განვითარებული აქვთ, ქონის ქსოვილები კი დედაკაცებს. რიცხვი წითელი სისხლის სორსლები-სა ერთს კუბიკურ მილიმეტრში მამაკაცის სისხლისა 5. 000 000 მილიონს უდრის, დედაკაცისა კი 4, 500 000 მილიონს. ლეიკოციტები ანუ სისხლის თეთრი სორსლები და ლიმფატიური ჭურჭლები დედაკაცებს გაცილე-

ბით მეტი აქვთ და აქიდან, ტვინიც უფრო მძიმე. საგნებო გრძნობიერება დედაკაცს დიდი ტვინის ნაწილად აქვს დაკავშირებული ე. ი ამროვნების სფეროში, მაშინ როდესაც იგივე მგრძნობიარობა მამაკაცს დაკავშირებული აქვს ტვინის პოლიგონალურ ნაწილში, რომლის გამო მის ვნებითი გრძნობიერებაც ნაკლებ თავშეკავებულია, ვიდრე დედაკაცისა. როგორც ვხედავთ, ეგ ანატომიური განსხვავებანი მამაკაცების სასარგებლოთ თითქმის არას ლაპარაკობს მიუხედავთ დედრობითი სქესის ათასი წლობით სპეციალურად მონური ცხოვრებისა და თუ შეძენილს თვისებებს სამეკვიდრეო ხასიათი აქვს, დედაკაცების სპეციალურ ცხოვრებას თავისი ცუდი გავლენა უნდა მოეხდინა და ეგ ანატომიური განსხვავება კიდევ უნდა გაელრმავებინა, თუ რომ ბუნებაც ხელს უწყობდეს მამრობითი სქესის უპირატესობას. ჩვენ განვიხილეთ მეცნიერული ღირებულება ქალთა უფლების მტერთა ზოგიერთი არგუმენტებისა და დავინახეთ, თუ რამდენად მიუდგომლად ადამიანის ბუნებას ორ სქესად გაუყვია როგორც დედაკაცი, ისე მამაკაცი. თუ ეს ასეა, თუ რომ ბუნებას მამაკაცი არავითარი განსაკუთრებული ღირსებით არ დაუჯილდოვებია, მაშ რამ წარმოშვა ქალთა მონობა? ვეცდებით ამის განხილვასაც, თუ რა როლს თამაშობდა დედაკაცი პირველყოფილ საზოგადოებაში და რა პირობებში აყვარა მას ეს უფლება და მონათ გახდა. დღევანდელს მსოფლიო ომის დაწყებამდე სტატისტიკური ცნობით გამოკვლეული და საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ მამაკაცების რიცხვი მთელს მსოფლიოში 15, 1/5 მილიონით აღემატებოდა დედაკაცების რიცხვს. პირველყოფილ საზოგადოებაში, რომ დედრობითი სქესი გაცილებით ნაკლები იყო მამრობით სქესზე, ამის დამამატკიცებელს საბუთებს ჩვენ თვით ისტორია კულტურისა და თანამედროვე სოციოლოგია გვაწვდის. ცნობილი ფრანგი სოციოლოგი რენე ვორმსის სტატისტიკური გამოკვლევით მტკიცდება, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური კეთილდღეობა საკმარისად განვითარებულია ხალხში, დედრობითი სქესის დაბადება სჭარბობს მამრობითი სქესისას და იქ, სადაც ასეთი ცხოვრება განუვითარებელია, მამრობითი სქესის დაბადება მეტია დედრობით სქესზე. მაგალითისათვის მას მოყავს ინგლისი, რომელშიაც მას შემდეგ, რაც ის ეკონომიურად გაძლიერდა, დედრობითი სქესის დაბადებამაც მამრობითი სქესისას გადააჭარბა. ასეთივე მოვლენა აღმოაჩინა მან საფრანგეთის იმ ადგილებში, სადაც ხალხის კეთილდღეობამ იმატა. ყოველი ომიანობის დროს, რომელიც ხალხის საერთო სიღატაკეს, გაჭირვებასა და სიბრამეს იწვევს, მამრობითი სქესის დაბადება მატულობს. ვისაც აღნიშნულ მოვლე-

ნაზე ეტვი შეეპარება, მას შემთხვევა ეძლევა გამოიკვლიოს მისი სიმართლე-სიმტყუნე ომის დასრულების შემდეგ.

მამრობითი სქესის სიმრავლეზე ზოგი მეცნიერი იმ აზრისაა, თითქოს ეგ სიმრავლე გამოწვეული იყოს ხალხის სურვილით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი მოვლენის გამოსაწვევად მარტო ერთი სურვილი არ კმარა. იქ, სადაც მოქმედებით უძღურია ადამიანი, ცარიელი სურვილით ვერას განახორციელებს. ეს რომ შესაძლებელი იყოს, სხვა მრავალი საერთო სურვილიც შეუსრულდებოდა მათ, თუნდაც ისეთი სურვილი, როგორც არის სიცოცხლის გახანგრძლივება, რომელსც ერთნაირად ნატრულობს ყველა და რომელიც საერთო სურვილის წინააღმდეგ მომატების ნაცვლად, კლებულობს კიდევ ჩვენს დროში. აქ უეტველია, სხვა მიზეზებია, როგორც სულიერი, ისე ეკონომიური, რომელიც რთულსა და ფაქიზი ორგანიზმის წარმოშობას ხელს უწყობს და არა ამა თუ იმ პირის მოსურვეობა. ზოგი იფიქრებს: თუ ეს ასეა, მაშინ მდიდარ ოჯახში, სადაც სხვადასხვა მარგებელი საჭმელები მზადდება, სულ ქალები უნდა იბადებოდეს და სადაც კი ღარიბია – ვაჟებიო. ერთი მხრით, თუ გნებავთ ესეც მართალია, ღარიბ ხალხში უფრო მეტი ვაჟები იბადება, ვიდრე ქალები, მხოლოდ როცა საზოგადო მოვლენაზე გვაქვს საუბარი და არა გამონაკლისზე. თანაც, უნდა გვახსოვდეს სირთულე იმ მიზეზისა, რომელიც ასეთ მოვლენას იწვევს. ამისთვის მარტო ერთი სამზარეულოში ჩახედვაც არა კმარა, თუ ვის ოჯახში როგორი საჭმელი მზადდება. ამასთან ერთად, უნდა ვიკითხოთ, თუ როგორი მადით იკვებებიან ესა თუ ის მომავალი დედები და როგორ სულიერ განწყობილებაში გრძნობენ თავს. ზემოაღნიშნული მიზეზის სიმართლეს ამტკიცებს არა მარტო სტატისტიკა, არამედ თანამედროვე ბიოლოგიაც, რომლის გამოკვლევით ნაყოფის ჩამსახველი კვერცხს დედაკაცისას საოცარი სისწრაფით ეძებს ზემო დასახელებულ პასიურათ მოძრავ უჯრედთან შესაერთებლათ. ამ ორი ბიოლოგიური ელემენტის მიხედვით ქალთა უფლების მოწინააღმდეგეთ ის აზრი გამოაქვთ, რომ დედაკაცი ბუნებრივად პასიურია, მამაკაცი აქტიური, რომლის გამო, პირველის მოქმედება ოჯახით უნდა იზღუდებოდეს და მეორეს კი სავარჯიშოთ მთელი მსოფლიო გარდაშლილი უნდა ჰქონდესთ. ისეთი კეთილშობილი და თავისებურად დამცველი დედაკაცის ღირსებისა, როგორც ფილოსოფოსი ალფრედ ფულეა, ამ ბიოლოგიური ელემენტების მიხედვით ამტკიცებს, რომ ინიციატივა წარმოადგენს მამაკაცის თვისებას, ხოლო სოლიდარობა კი დედაკაცისასო. ასეა თუ ისეა, ცხადია, რომ დედრობითი სქესის სიმრავლე მოითხოვს უკეთესი ცხოვრების

პირობებს, სოზოგადო ცხოვრების წინ სვლას, რომელიც პირველყოფილ საზოგადოებას არ მოეპოვებოდა და მაშინდელი რიცხვმცირე დედრობითი სქესი ძალა-უნებურათ უნდა გასწვდენოდა იმ დროინდელს რიცხვით მეტს მეორე სქესს. ამ მოსაზრებას, სხვა რომ არა იყოს რა, მაშინდელი პოლიანდრია (მრავალქმრიანობა) ამტკიცებს. პირველყოფილი დედაკაცი თავისი ფიზიკური ძალით რომ მამაკაცზე სუსტი არ იყო, ამას თვით პირველყოფილი მატრიარქატის არსებობა ამტკიცებს, რადგან ძნელი წარმოსადგენია, რომ სუსტი, უძლური და თანაც მცირერიცხოვანი სქესი თავისზე ძლიერსა და მრავალრიცხოვანს სქესს სოციალურ ცხოვრებაში გაბატონებოდა. მით უმეტეს, მაშინ, როცა ძველი გადმოცემები და მითები მრავალ გმირ ქალებზე მოგვითხრობენ. ამამონკების გარდა, სხვებიც იყვნენ ცნობილი თავიანთი სიმარდე – სიძლიერით. მაგალითად, ძველი რუსის ბილინები მრავალ შესანიშნავ მოისრე ქალებს ასახელებდნენ. თვით ისტორიულ ხანაშიც კი არსებობდა ქალთა ლაშქარი, რომელიც თავის სიგმირით მამაკაცებს არ ჩამოუვარდებოდა. თვით ამამონკების ბრძოლა წარმოადგენდა ბრძოლას უკანასკნელ ლონიერ დედაკაცთა, რომლის გამო, წარმოსადგენია, რომ მათი თანამემამულე წინა მოდგმანი უფრო ძლიერი და ლონიერი იქნებოდა და თუ პირუტყვთა შორის ეგ ძალა დედლებმა შეინარჩუნეს და ადამიანთა შორის კი დედაკაცი დაუძღურდა, ამის მიზეზი დევს პირველად იმ უწყესო და ზედმეტ სქესურ კავშირში, რომელიც პირველ ყოფილ პოლიანდრიულ საზოგადოებაში არსებობდა და შემდეგ ისტორიულად ამ ორ სქესთა შრომის დანაწილებაში და სპეციალურ აღზრდა ცხოვრებაში. სანამ ცარიელი ინსტინქტით ცხოვრობდა ადამიანი და მართო ერთი ფიზიოლოგიური მოთხოვნილება იზიდავდა სქესობრივად მამაკაცს დედაკაცისადმი და სიყვარულის ესთეტიკური **გრძნობიერება** გაღვიძებული არ იყო, სქესობრივი მოთხოვნილება ორგანულ ძალასთან დაკავშირებული, თავშეუკავებელი და დაუზოგველი იყო, რასაც თავისი ცუდი გავლენა უნდა მოეხდინა იმ დროინდელ რიცხვით მცირე დედაკაცებზე. ამასთან, თუ მივიღებთ მხედველობაში პირველყოფილი დედაკაცის უმწეო მდგომარეობას, თუ რა ცუდს პირობებში უხდებოდა მას ამ უდიდესი ფიზიოლოგიური აქტის შესრულება, ჩვენ ნათლად დავინახავთ პირველ მიზეზს დედაკაცის ფიზიკურად შესუსტებისა. მატრიარქატის დროს დედაკაცი იყო უმთავრესი მარჩენალი, უმთავრესი მებრძოლი ბუნებასთან, მან დაღვარა პირველი ოფლი მიწაზე, მან დაამუშავა და გამოაღებინა მას პირველი ნაყოფი, რომელსაც სახელად დედამიწა ეწოდა. შვილები ღებულობდნენ მის სახელს, მის მემკ-

ვიდრეობას და არავითარ კავშირს არ ხედავდნენ მამებთან. მამაკაცი თვით სიბერემდე ცხოვრობდა თავისი გონიერი დედის ოჯახში მატრიარქატის დროს და როგორც მოზრდილი ბავშვი, ღებულობდა სარჩოს დედის ოჯახიდან და როგორც სამართლიანათ შენიშნავს ცნობილი ფრანგი სოციალისტი პოლ ლაფარგი, ის ბავშვის ტვინი, რომელსაც დღეს ქალებს გვასაკუთრებენ ქალთა უფლების მტერნი, თვით მათი საკუთრება ყოფილა პირველყოფილ საზოგადოებაში. რომ პირველყოფილი დედაკაცის შრომის უნარი არა, იარსებებდა თუ არა კაცობრიობის ჯიში, ეს კიდევ დიდი საკითხია. პირველ ყოფილი დედაკაცის გონიერებას თავის თანამედროვე მამაკაცზე ამტკიცებს თვით პირველყოფილი სარწმუნოება, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ქვეყნისა, სადაც პირველად ხალხი თაყვანს სცემდა არა ვაჟ-ღმერთებს, არამედ ქალ-ღმერთებს. რისთვის იყო ეს, თუ არა მისთვის, რომ ერთადერთი მფარველი და პატრონი მოდემისა მხოლოდ დედაკაცები იყვნენ, რამდენათაც მათში ზნეობრივი გრძნობა უფრო ადრე იყო გაღვიძებული დედობრივ სიყვარულისა გამო, მაშინ, როდესაც მამაკაცს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა იმ დროს ვინმესთვის მზრუნველობაზე და წინდახედულობაზე. ის იმდენად ფიქრობდა თავის საკუთარ თავზედაც, რამდენადაც მას დღიური სარჩო მოაკლდებოდა. პირველ ყოფილი ადამიანის სიზარმაცეს ამტკიცებენ როგორც თანამედროვე ფილოსოფოსები, ისე ეთნოგრაფები და ამ ორ ბარმაცთა შორის უფრო ბარმაცი და უდარდელი მამაკაცი რომ იქნებოდა, ვიდრე დედაკაცი, ამის მაგალითს გვიჩვენებს, როგორც ველურ ხალხთა, ისე ზოგიერთ აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრება, სადაც მაძლარი მამაკაცები მხარს-თეძომე წამოწოლილიყვნენ და დედაკაცები კი შრომით იწყვეტდნენ წელს. ბებელს თავის წიგნში „დედაკაცი და სოციალიზმი“ მოჰყავს ერთი ჩრდილოელ ამერიკელ ინდიელთა ბელადის სიტყვა, რომელმაც სთქვა: „დედაკაცი გაჩენილია სამუშაოთ. მას შეუძლია ორი იმდენი ტვირთის აწევა, რამდენსაც ორი მამაკაცი ასწევს“. თვით ბუნებაში ცნობილია, თუ რამდენათ ეგოისტი და უდარდელია პირუტყვთა შორის მამალი. დედაკაცის ბუნებრივი სიუძლურე და სიზარმაცე კი არ მტკიცდება და ის კი მტკიცდება, რომ აღზრდითა და სპეციალური ცხოვრებით და შრომის დანაწილებით შესაძლებელია ორთავე სქესში ფიზიკური და პსიხიკური სხვადასხვაობის გამოწვევა. ამ მხრივ ერთობ საყურადღებოა პოტანინის სტატია, რომელიც ნ. მიხაილოვსკის მოჰყავს თავის შესანიშნავ ნაწარმოებში. ნიკოლსკის მაზრაში, წერს პოტანინი, არსებობს ქვრივები, გაუთხოვარი ქალები, რომლებიც ღებულობენ ნადელს, იხდიან

ხარკს და მამაკაცებთან ერთად თვითონვე ამუშავებენ მას. ესენი ასრულებენ განსაკუთრებით ვაჟურ საქმეს. ასეთ ქალებს შეხედვით ნიჟეგოროდის გუბერნიაშიც. ამ ადგილებში, თუ ოჯახში ყველა გოგოებია, ერთ მათგანს გლეხის ოჯახი მამაკაცის საქმისათვის ნიშნავს. მას ვაჟურად აცმევენ და თავის ტოლ ბიჭებში თამაშობს და თუ სახელად ელისაბედი ჰქვია, ელისეიკას დაარქმევენ. შეხედვით აგრეთვე წინააღმდეგს. იმ ოჯახში, სადაც ყველა ვაჟებია, ერთს მათგანს ქალურად გამოაწყობენ და ქალის საქმისათვის ნიშნავენ. ასწავლიან მას ჭრას, კერვას, რთვას, ქსოვას და სხვას და ვაჟურს საქმეს ხელს სულ არ ჰკიდებს. აი, ასეთ გავლენას ახდენს თვით მოკლე ხანშიაც კი შრომის დანაწილება და სპეციალური ცხოვრება ადამიანზე და რა უნდა იყოს გასაკვირი, რომ მუდმივი მონური ცხოვრებით და განსაკუთრებული აღზრდა-ჩვეულებით დედაკაცების ფიზიკური ძალ-ღონე შემცირებულიყოს და მამაკაცებს ჩამორჩენოდნენ? რაც შეეხება ფიზიოლოგიური თვალსაზრისით ამ ორ სქესთა შორის ბუნებრივ განსხვავებას, რამდენადაც მას სქესობრივი განსხვავება იწვევს, ეს განსხვავება გამოიხატება მხოლოდ სქესობრივ კავშირში და არა გარეშე ამ კავშირისა, მათ ბუნებრივ სულიერ და სხვადასხვაობაში, რადგან განსხვავება სრულიადაც არ ასხვავდებოდა ამა თუ იმ სქესის ადამიანურს მხარეს, რომელთაც ბუნებრივად ერთნაირად სწყურიათ ამაღლება და უკეთესობა. ესე რომ არ იყოს, ერთისა და მეორის სულიერი პიროვნება სრულიად გამოუცნობელი და გაუგებარი იქნებოდა ერთმანეთისათვის. ნამდვილად კი ჩვენ იმას ვხედავთ, რომ ერთნაირ პირობებში აღზრდილ ქალ-ვაჟს შეუძლიათ არამართო სქესური კავშირის დაჭერა, არამედ თვით სულიერი მეგობრობაც ურთიერთ შორის. ამის მაგალითებით სავსეა თვით ჩვენი თანამედროვე ცხოვრება, როგორც რევოლუციონერთა, ისე მშვიდობიან მცხოვრებთა შორის.

ამისთვის იმ ბიოლოგიური ფაქტების მიხედვით, რომელზედაც ფულია და სხვა ამტკიცებენ დედაკაცის ბუნებრივ პასიურობას და მამაკაცის ბუნებრივ აქტიურობას, ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ შემდეგი: დედაკაცის ორგანული კონსტრუქცია იმდენად პასიურია, რამდენადაც მეტია მასში პოტენციური ძალა, რომლის გამო მას ბუნებრივად შეუძლია მეტის ატანა და მეტის თავის დაჭერა, როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად. მამაკაცი იმდენად მოძრავია, რამდენადაც ეგოისტი, რომლის გამო ის ნაკლებად თავდაჭერილია და ნაკლებს ამტანს ბუნებრივად. აქედან, მამაკაცს აერთებს დედაკაცთან პირადი საჭიროება, მაშინ, როდესაც დედაკაცი უერთდება მას

როგორც პირადი, ისე კაცობრიობის არსებობის საჭიროებისთვის ნორმა-  
ლურ თანაბარ პირობებში, რასაკვირველია, და არა ერთისა თუ მეორის  
ანგარიშებით ლტოლვაში. მაგალითისთვის ავიღოთ თვით შეყვარებული  
საქმრო-საცოლოს სულიერი განწყობილება, როცა პირველი მხოლოდ პი-  
რად ბედნიერებაზე ონებობს, მეორე მხოლოდ ამ ბედნიერებასთან ერთად  
თავის მომავალ დედობასაც ითვალისწინებს. რომ ზნეობრივი ძალა მეტია  
დედაკაცში, ვიდრე მამაკაცში, ეს ერთობ თვალსაჩინოა ყოველი გონიერი  
ადამიანისთვის, ვისაც ფხიზელი თვალი უჭრის და ერთა თუ იმ მაგალითს  
არ გაასაზოგადოებს, ის აშკარად დაინახავს, თუ რამდენი დაბრკოლების,  
მწუხარების ატანა შეუძლია დედაკაცს, თვით უკიდურეს სულიერ მარტო-  
ობის დროსაც. მარტოხელი მამაკაცი, ხშირად ნივთიერად უზრუნველყო-  
ფილი, დიდს მწუხარებაში სრულად იბნევა და ეძლევა თავდამავიწყე-  
ბელს გართობას, რომელიც მას სულიერად და ფიზიკურად ამახინჯებს. ეს  
ზნეობრივი ძალთა სიჭარბე დედაკაცში, რომელსაც ვერ უარყოფენ თვით  
ავტორიტარული მოწინააღმდეგენი ქალთა უფლებებისა, როგორც ოგუსტ  
კომტია, გამომდინარეობს მისი ალტრუისტული ბუნებიდან, რომელსაც  
ეგრე საჭიროებს, როგორც თავშესაკავებლად, ისე აღსადგენად მამაკაცე-  
ბის ეგოისტურად მოძრავი, ხან კი მაღალი ძალ-ღონე. აქედან, რამდენათ  
დედაკაცისათვის ბუნებრივად ადვილია უმამაკაცოთ ცხოვრება, იმდენად  
მამაკაცისთვის ძნელია უდედაკაცოთ ცხოვრება. ამის მაგალითი შესანიშ-  
ნავათ დასურათებული აქვს ჩვენს ნიჭიერ მწერალს მარიამ გარიყულს  
ერთს თავის მოთხრობაში, რომელიც ჩვენი გაზეთის მე-10 ნომერში და-  
იბეჭდა. „სულზე ხელი დაიდევ და სთქვი, ეკითხება ახალგაზრდა **ლენტონი**  
თავის მამას, ვინ უფრო სძლებს უერთმანეთოდ, ქალი თუ ვაჟი? ელისა-  
ბედი რომ დაქვრივდა სამი ბალანეი დარჩა, ახალგაზრდა ქალი იყო, არ  
გათხოვდა, სამი ქცევა ყანას ყოველთვის მუშაობდა, ბოსტანიც ჰქონდა,  
საქონელიც ყავდა, დახვეტილიც იყო მისას და დაწმენდილიც, კერა არ  
ჩაუქრია და დღეს შვილებიც წამოესწრო. მაქსიმეი რომ დაქვრივდა მი-  
აყარა ჩინჩარ, დეიბლილა, დეიბლილა, დაუხია და ქათმები ტურამ წაზი-  
და. ბაღნები მემობლებში კნაოდა, ძროხა მგელმა“. ვინც იფიქრებს, რომ  
ეს ავტორის გამონაგონი ფანტაზიაა და არა სინამდვილე, ის ვერასდროს  
ფაქტებს ანგარიშს ვერ გაუწევს. აქ ჩვენ გვყავს ერთსა და იმავე პირობებ-  
ში მყოფი ქალ-ვაჟის ზნეობრივი ძალა, რომ ასეთ შემთხვევაში დედაკაცის  
სულიერი ძალა მამაკაცისას სჭარბობს. ეს იმდენათ თვალსაჩინოა, რომ  
ვერ დაიჩრდილება ყალბი არგუმენტებით. თუ რომ ასეთია ღირსება, ნაკ-

ლი ორთავე სქესისა, მაშ, რამ აყარა დედაკაცს ადამიანური უფლება და რათ გახდა ის მონა? ამაზე შემდეგ წერილში მოგილაპარაკებთ. წინა წერილში ჩვენ განვიხილეთ, თუ რამდენად განგებას მიუდგომლად ადამიანი ორ სქესად გაუყვია, რომლის ნახევარს უსამართლოდ და არაბუნებრივად მოწყობილი სოციალური ორგანიზაცია ხელოვნურად თანდათან უფრო აწვრილმანებს. ეხლა ჩვენ წინ საკითხი დგება: რამ წარმოშვა ეს უკუღმართი მოვლენა, რომ აყარა დედაკაცს უფლება და დაამონა იგი? უცილობით გამოწვეულმა გაჭირვების შედეგმა, გეტყვით ჩვენ! რამდენადაც იმდროინდელმა ადამიანმა არ იცოდა ბუნების ექსპლუატაცია და არსებობისთვის მხევურ ბრძოლას შეუდგა. ხალხის სიმრავლესთან ერთად, როცა ეკონომიურმა გაჭირვებამ იმატა, მამაკაცი უდარდელ, ლალ ცხოვრებიდან იძულებული შეიქნა გამოსულიყო და დედაკაცებთან ერთად შრომაში ჩაბმულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას შიმშილით სიკვდილი ემუქრებოდა, რადგან მართო ერთი სქესის შრომის უნარი მომრავლებული ხალხის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. ამ დღეიდან ერთდება ორთავე სქესის შრომა და მამაკაციც ოჯახს უახლოვდება, სადაც მან უკვე დაიწყო თავისი წვლილის შეტანა. ასეთმა დაახლოვებამ მამაკაცს ალუძრა სურვილი შვილებთან დაკავშირებისა და მამობრივი გრძნობის გამოსახატავად შემოღებული იყო ეგრეთ წოდებული კრუხობა (кряхт) რომელზედაც მოგვითხრობენ ვუსტავ ლეხანი და სხვა და რომლის ნაშთები დღესაც არსებობენ ზოგიერთ ველურ ხალხში. ეგ კრუხობა იმაში გამოიხატებოდა, რომ დედაკაცის მშობიარობის დროს ქმარიც ლოგინათ ვარდებოდა და წარმოიდგენდა ყველა იმ ტანჯვასა და ტკვივილებს, რასაც მისი მეუღლე განიცდიდა და ღებულობდა ყველა იმ მოვლასა და მოლოცვას, რასაც მისი მოლოგინებული ცოლი. ამგვარად, დამტკიცდა მამობრივი გრძნობა როგორც კარიკატურა დედობრივი ტანჯვისა. ხალხის თანდათან ზრდასთან ერთად, მიწის სივიწროვემაც იმატა და წინად გასართობად და თავმოსარგებლათ ბუნებასთან მებრძოლი ერთი მეორეს შეეჯახა. აქ უკვე მუშტი-კრივმა იჩინა თავი და კაცთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა. ის პირველი გმირი, რომელიც გარეშე თემს მიუხტა და დაიპყრო, პირველი მბრძანებელი გახდა. ბუნებრივად თანდაყოლილი მხევური ინსტინქტის გამარჯვებამ ამაყური მეომარი მისწრაფება აღძრა გამარჯვებულ მამაკაცებში და შურისძიება დამარცხებულებში. ამგვარად ჩაეყარა საძირკველი უდიდეს ძალმომრეობას ომიანობის სახით, რამაც გამოიწვია მამაკაცისა და დედაკაცის სულიერი გათიშვა და სქესთა ბატონყმო-



ბა. რამდენათ უფრო გაბედული იყო ვინმე მათგანი და ღონიერი, იმდენათ მდიდარი იყო ქონებითა და მონა-ცოლებით, რომლის გამო ხალხი პოლიანდრიულ ცხოვრებიდან ალაგ-ალაგ პოლიგამიაში გადავიდა და მატრიარქატიც ალაგ-ალაგ დაირღვა. შვილები, დაბადებული პოლიგამიურს კავშირში, მამის სრული საკუთრება ხდება, რომელთაც მამა თავის სურვილებისამებრ წვრთნის და უცქერის ისე, როგორც საექსპლუატაციო საგანს. ცენტრალურ აფრიკაში, ამბობს გუსტავ ლე ბონი, არსებობს ხალხი ფანტი, რომლებიც ირთავდნენ რაც შეიძლება მეტ ცოლებს შვილების მოსაშენებლად და წამოიზრდებიან თუ არა, ბავშვებს კარგ ფასში ყიდიან. პოლიგამიური ცხოვრებიდან იწყება დედაკაცის, ადამიანური უფლების აყრა, როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში. შრომის დანაწილება აქ ღებულს სრულ მონურ ხასიათს დედაკაცის მხრივ, რომელსაც თავზე აწევს ყოველი მძიმე, მდაბალი და პიროვნების დამამცირებელი შრომა და მამაკაცს კიდევ ყოველივე საპატიო და თავის დროისთვის სავარჯიშო. რამდენადაც უფრო გაბატონდა ტლანქი ძალა საზოგადოებაში და უკვე ამ ხანებში დედაკაცის ჩაწყვეტილი ფიზიკური ძალა საერთო ძალმომრეობასთან მფარველობას მოითხოვდა, იმდენათ თანდათან გამოეცალა მას პიროვნული თავისუფლება და დედის უფლებაც მამის უფლებებზე შეიცვალა. ამგვარად, წარმოიშვა პატრიარქატი, რომელმაც დედაკაცის პიროვნება სრულიად დაიმონა და უკანასკნელიც შეურიგდა მას. რამდენათ უფრო განუვითარებელია ადამიანი, მით უფრო ეგუება ის ყოველგვარ დამარცხებას, განსაკუთრებით მამინ, თუ ის იძულებულია და მცირე სარგებლობასაც გამოელის მისგან.

ამგვარად ჩაეყარა საფუძველი ქალთა მონობას და ერთი მხრით უვიცობამ და მეორე მხრით ფიზიკურმა სისუსტემ ქალებიც დაუმორჩილა მას. სანამ ომიანობის სისასტიკით საკუთრებისადმი მისწრაფება და მბრძანებლობა ეგრე რიგათ განვითარებული არ იყო მამაკაცებში, პატრიარქიც თავის პირველ ნაბიჯში დედაკაცს ლმობიერად და პატივისცემით ექცეოდა ძველი ინდოეთის რიგ ვედიდან, რომელიც არსებობდა 35 საუკუნის წინად **ბრამჰატიზმის** კასტიურ სარწმუნოებად გადაქცევამდე. ელიზ რეკლუს მოჰყავს იმდროინდელი პატრიარქალური ოჯახის მაჩვენებელი ნიმუშები, სადაც ახალგაზრდა ცოლს ქმარი შემდეგი სიტყვებით უხვდება: „ყველაფერი აყვავდება ოჯახში შენი გადმოხედვით, როგორც ადამიანი, ისე ცხოველი. შენ მოგვიტან ჩვენ ყველას უდიდეს სიხარულს, იყავ დაჯილდოებული ათი ვაჟით და ვიყო მე, შენი ქმარი მეთერთმეტე მათ შორის.“ ცხადია, ცოლს

ამ დროს წინანდელი მნიშვნელობა მფარველი დედისა წახოცილი არა ჰქონდა, როცა ქმარი ეუბნება მას „და ვიყო მეთერთმეტე შენს შვილთა შორის.“ ამ ადგილებში, სადაც ჩვეულება გეოგრაფიული გარესკნილით ვითარდებოდა, ამბობს რეკლუ, ქალი თავისუფალი უნდა ყოფილიყო, რადგან მას უხდებოდა ბრძოლა როგორც გარეულ მხეცებთან, ისე ყაჩაღებთან და იმდროინდელი ნაშთები გადმოგვცემენ კიდევ, რომ ქალი ამ ხანებში დიდი პატივისცემით სარგებლობდაო. მაგრამ, თუ ქალი რომ აგრე პატივცემული იყო, რად ევედრებოდა ინდუსი ქმარი წმინდა ინდრას, რომ ის იყოს დაჯილდოებული ათი ვაჟით და არა ქალით? უეჭველია მისთვის, რომ მეომართა რიცხვი მომრავლდეს, რათა უფრო ადვილად დაიცვან თავი გარეშე ტომის მოხტომისაგან და ასეთ შემთხვევებშიც, უპირატესობა ვაჟებს ეძლეოდათ, რომლის მრავლად ყოლა ეგრე სასურველი იყო თითოეული ოჯახისთვის. მიუხედავად ასეთი უპირატესობისა, იმდროინდელი ინდუსთა სარწმუნოება ქალისადმი მაინც დიდ პატივისცემას მოითხოვდა. „არ დაჰკრა ცოლს არასოდეს, თუნდაც ყვავილი! ერთი დედა ათას მამათა ღირს, სრული ადამიანი მხოლოდ ქალ-ვაჟიდან და ბავშვიდან შესდგება“ – ამბობს მანუს კანონი. როცა საზოგადოებამ სახელმწიფოებრივი ფორმა მიიღო და მილიტარიზმი იმდენად გააძლიერა, რომ უმაღლეს სოციალურ ფუნქციას აქცია, მაშინ წარმოიშვა როგორც თავისებური სარწმუნოება, ისე სამართალი და იერარქიულად დაწყობილ სოციალურ ორგანიზაციაში დედაკაცის უფლებობაც ღვთისგან და კაცისგან დაკანონდა. ამ ხანებში ცოლს ბატონი ქმარი ისე უცქერს, როგორც საკუთარ ნივთს, რომელსაც სურვილისამებრ ხმარობს: უნდა მოკლავს, უნდა გაყიდის, უნდა გააჩუქებს. ამის მაჩვენებელია ინდუსთა შემდეგი სარწმუნოება, რომელმაც წარმოშვა უსასტიკესი კულტი. მანუს კოდექსში სიტყვა მამა, მეუღლე და მესაკუთრე ერთმნიშვნელოვანია. ძველ რომში და საბერძნეთში ლახვარი საკუთრების სიმბოლოდ ითვლებოდა და რასაკვირველია, მესაკუთრე ბატონიც იქნებოდა, ვინც ამ ლახვრით სარგებლობდა. ამგვარად, ომიანობის გავრცელებასთან ერთად, ქალთა მონობაც ვრცელდება. ლაშქრობა გახდა ერთადერთ ღირსეულ საქმედ და იერარქიულად დაწყობილ საზოგადოების სათავეში ხმალამოლებული ბრძანებელი მეომარი დადგა, რომელმაც ყველაზე უწინ დედაკაცის პიროვნება გასრისა და როგორც გაბატონებულმა წოდებამ აღიარა თავისი სისხლის ბუნებრივი უწმინდესობა დამონებულ წოდებასთან, ისე გაბატონებულმა სქესმა თავისი შემოქმედური ნიჭის უძლიერესობა დამონებულ სქესზე, იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელს ბა-

ტონი და ყმა მამაკაცი ერთნაირი სიამაყით დასცქერია.

ამგვარად, მილიტარიზმის გაძლიერებასთან ერთად ქალთა მოძრაობაც ძლიერდება. რამდენადაც სასტიკი და მეომარი იყო ესა თუ ის ხალხი, რამდენადაც მეტი დამპყრობელი, ლტოლვის მატარებელი, იმდენათ ის მეტად სწავრავდა ქალებს და თანაც მეტს პატრიოტულს გრძნობას იჩენდა. მთელს აზიაში ასირო-ბაბილონელები ცნობილები იყვნენ თავისი სისასტიკით, სამხედრო ლტოლვით და პატრიოტული გრძნობით. ბაბილონის მრავალ ღმერთებთა შორის ეროვნული ღმერთი ყველაზე მაღლა იდგა, რომლის წარმომადგენელი დედამიწაზე მისი მოადგილე მეფე მამაკაცი იყო. სანამ ასურადონი საომრად წავიდოდა, მან მიმართა ეროვნების ღმერთს და თავის ქვეშევრდომთ შემდეგი აუწყა: „ღმერთებმა ისმინეს ჩემი ხმა და თავიანთი ერთგული მოწყალებით მომივლინეს წინათ ცხადია, ეს ეროვნების ღმერთი მას ქალთა სასარგებლოდ არას ამხელდა და იმ ადგილებშიაც, სადაც ქალი მეტად იჩაგრებოდა, ის ნაკლებს ეროვნულს გრძნობასაც იჩენდა და ასეთ ადგილებში არც ვხვდებოდით ქვეყნისათვის თავგანწირულს ქალებს. იმდროინდელს დესპოტურ სახელმწიფოში ოჯახის შინაურ ცხოვრებაში სრული სიტლანქე მეფობდა. აქ ადგილი არა ჰქონდა ცოლ-ქმართა სიყვარულით შეუღლებას. მეომარ ძველ ბერძენ-რომაელთა ქორწინებას საფუძვლად კერის კულტი (du foyer) იხ. (La Religion Assuro-Babyloni. Par P. Dhormea, et Maspero) ედგა, რადგან თითოეულს ბერძენსა და რომაელს თავისი ოჯახური სარწმუნოება ჰქონდა. თავისი საკუთარი ღმერთები – წინაპართა სული, რომლის წინაშე სამსახურის ღირსი მხოლოდ უფროსი ვაჟიშვილი იყო და არამც და არამც ქალიშვილი, თუნდაც ის თავის დღეში არ გათხოვილიყო. ოჯახი რომ უვაჟოთ, უმემკვიდრეოთ დარჩენილიყო, მიცვალებულის სული უჭმელობით დაიტანჯებოდა და ავსულად გახდებოდა, რადგან მას საჭმლის მიმტანი არავინ ეყოლებოდა. სული ჭამდა მხოლოდ ბრინჯს, კარაქსა და თაფლს. ოჯახის მამამთავარი უმთავრეს ღმერთად ითვლებოდა, რომლის წარმომადგენელი კერის ცეცხლი (Agni) იყო. მიცვალებულ დედაკაცების სულს არც საჭმელი ეჭირვებოდა და არც ლოცვა. უნდა ვიფიქროთ, რომ ქალებს უსულოდა სთვლიდნენ. როგორც ბერძენები, ისე რომაელები და ინდოელები თაყვანს სცემდნენ ამ კერის ცეცხლს, ამბობს ფუსტელ დე კულანჟი, რომლის დამამტკიცებლად რიგ-გენიდან მას მოჰყავს ჰიმნი, რომლითაც ვაჟი კერიის ცეცხლს მიმართავს: „ჰო აგნი! შენ ხარ ჩვენი მფარველი მამა! მოგვეც ჩვენ სიცოცხლე! ჩვენ ვართ შენი ოჯახი. ჰყავ მიწა ჩვენთვის ნაყოფიერი, მიგ-

ვასწევიანე მოხუცებულობამდე ისე, როგორც მზე ახწევს თავის ჩასვლას“ და სხვა. ცხადია, ამბობს ფუსტელ დე კულანჟი, რომ ინდოელები ბრაჰმანიზმის დროს კერიის ცეცხლს ყველა ღმერთებზე უწინ თაყვანსა სცემდნენ. ამგვარად, ცოლ-ქმრობა საჭიროებაზე იყო დამოკიდებული და არა სიყვარულზე. ჩვენ მისთვის ვირთავთ ცოლებს, ამბობდა დემოსვენი, რომ მოვიპოვოთ კანონიერი შვილები და ერთგული დარაჯი ოჯახისა. გეტყვები გვეჭირვება სატრფიალო გრძნობების დასაკმაყოფილებლად. მილიტარიზმის გაძლიერებამ თუ რამდენად წარუხოცა დედაკაცს პიროვნება, ამის ნიმუშებს ჩვენ ვხედავთ მეომარი საბერძნეთის ცხოვრებაში, სადაც ბერძნის ცოლი სრულიად დამოკიდებულია ქმარშვილთაგან და გამოუჩინელი სტუმრებთან. მისი ბინა სახლის უკან იყო მიდგმული, რომლის ერთადერთ საზოგადოებას მხოლოდ მონები შეადგენდნენ. „გასწი აქედან და მიხედე წესიერებ ოჯახს, კერე და ქსოვე, ყური უგდე კარგათ მონებსა, ბჭობა არ არის ქალის საქმე, არამედ ქმარის, ეხლა კი ჩემი, დიახ, ჩემი, რადგან ოჯახში მხოლოდ მე დავრჩი მბრძანებელი, ბატონ-პატრონი („სოციალიზმი და დედაკაცი“ ბაბელიდან) – სტუმრებთან გამოსულს დედას ბერძენი ტელემაკი. ამგვარად, ქალს ქმრის მერე ბატონად ვაჟიშვილი უჩნდებოდა. „საუკეთესო პატივისცემის ღირსია ის ქალი, ამბობდა ფუკიდიდი, რომლის შესახებ მისი ოჯახის გარედან არც ავი ისმის და არც კარგი“. მხოლოდ ერთი, პროსტიტუცია ანიჭებდა ბერძნის ქალს თავისუფლებას და მონა ქალებთან ერთად წარჩინებული ქალებიც ემსახურებოდნენ სიყვარულის ღმერთს. ეს ის დრო იყო, როცა სარწმუნოება ირღვეოდა, როცა სილამაზის ღმერთმა ე. ი. ტანის სიშიშველემ დასძლია ყველა ღმერთები, რისი განახლება მეოცე საუკუნის საქართველოში ეგრე გულით მოიწადინეს „ახალი პოეზიის“ მოძღვრებმა და მსგავსი წმინდა ხელოვნების დამცველ დეგენერატებმა. არ იყო ქვეყანა, სადაც ომი არ არსებულებოდა და ამისთვის არ იყო ხალხი, რომელსაც დედაკაცი მეტ – ნაკლებად არ დაეჩაგრა. ებრაელების თვალში ცოლი ქმრის მოსამსახურეა, ისლამი დედაკაცს უმდაბლეს არსებათა თვლის, რომელიც გაჩენილია მამაკაცების ტლანქი ჟინის დასაკმაყოფილებლად. თუ რამდენად წარუხოცა პატრიარქალურმა ოჯახმა დედაკაცს პიროვნება, ამას ჩინური ანდაზა გადმოგვცემს – „თუ გაყვები ცოლად ჩიტს, მე უნდა დავიწყო მასთან რბენა, თუ მიყვები ცოლად მიწაში ჩაგდებულ ნაფოტს, მე უნდა დავვდე მასთან და ვუდარაჯო მას“ – ამბობს ახალგაზრდა გასათხოვარი ქალი. როგორადაც არ უნდა ექცეოდეს ჩინელ ქალს ქმარი, ის სიტყვის ამოუღებლად უნდა ემორჩილებოდეს მას. ცოლს არ შეუძლია

შველა შესთხოვოს არც მთავრობასა და არც თავის მშობლებს, ქმრის სი-სასტიკის წინააღმდეგ. მას ნება აქვს მხოლოდ წავიდეს ტაძარში, იქ ჩამო-კიდოს თავუკულმა სურათი ქმრისა და შესთხოვოს მოწყალება ღვთაებას, რათა შესცვალოს მან გული მისი მეუღლისა, რომელიც თავის ნამდვილ ალაგზე არა ჰფეთქს.

ამ ორმა, ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნებათა ერთიმეორეში არევაში კიდევ უფრო განამტკიცა კაცთა შორის არსებული მონობა, ბატონობა. ერთის მორჩილება და მეორის მბრძანებლობა იმ განსხვავებით, რომ უფრო დაჩაგრულთ და დატანჯულთ სამოთხის კარის გამღებთ საიქიოს კეთილი მაცხოვარი დაუხვდებოდათ. უფრო ძლიერსა და გალაღებულთ მრავალი შეწირულების შემდეგ ძლიერი იეჰოვა მიიღებდა. განა ტყვილად აძლევდა რომის პაპა ინდულგენციას? მას საწყალი კაცი ვერ ეღიროსებოდა, ამისთ-ვის ქონება იყო საჭირო! კათოლიკეთა სასულიერო წოდებამ, რომლის ძლევამოსილობა სახელმწიფოში თვით მეფესაც იმორჩილებდა, სულის საცხონებელ უმთავრეს საშუალებათ ასკეტიზმი დაისახა, რომლის წყა-ლობით შემოღებულ იქნა სხეულის წკეპლა და ათასნაირი ტანჯვა ხორცისა სქესობრივი გრძნობის ჩასაკლავად.

მსოფლიურ ცხოვრებაში კი ცოლ-ქმართა კავშირი, როგორც ძველად ყოველს გვარს სიყვარულს მოკლებული, ადამიანის ბუნებრივად ცოდვი-ლი მოთხოვნილებების შედეგად იქცა, როგორც დაკმაყოფილება მბრძა-ნებელი მამლის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებისა მონა დედალთან, ვი-საც ღმერთმა დაუწესა ტანჯვა-წვალებით შობა შვილთა თვისთა, თუ რომ ძლევამოსილმა იეჰოვამ დედაკაცები მით დასაჯა ასეთი სასჯელით, რომ ევამ ადამს მისგან აკრძალული ვაშლი შესთავაზა და აცდუნა. ქრისტიანი მღვდელ-მთავრები ერთხელაც არ დაფიქრებულან იმაზე, თუ რისთვის დაისაჯა ასეთივე აქტით დანარჩენი ცხოველები დედამიწაზე, რომლებიც ქალებზე ნაკლებ არ იტანჯებიან მშობიერების დროს და რომლებსაც არც ვაშლი მოუწვევიათ სამოთხის ბაღში და არც ატამი, რომ მით დიდი იეჰო-ვა გაებრაზებინათ. მაგრამ, არა თუ ასეთ კითხვებზე არ იწუხებდნენ თავს, არამედ ერთ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე კითხვა დასვეს: „ადამიანი თუ არა დედაკაციო?“ და მხოლოდ იმის წყალობით, რომ იესო ქრისტე თავის თავს ადამიანის შვილს ეძახდა და ასეთი ადამიანი მისთვის დედა მარიამი იყო, დიდი დავის შემდეგ აღიარეს, რომ ქალიც ადამიანად ეცნოთ.

ამგვარად, ცოლ-ქმრობა ყოველ სიყვარულს მოკლებული, დაუძლე-ველ ცოდვილ მოთხოვნილებათ იქმნა მრევლისათვის აღიარებული და

ნებადართულიც. დასავლეთ ევროპაში საშუალო საუკუნეში სიყვარული შეეძლო მხოლოდ გაუთხოვარს ქალს, რომელიც გათხოვების შემდეგ ჰკარგავდა თავის სატრფოს. ამ ხანებში იჩინა თავი მწერლობაში მისტოკო-რომანტიულმა მიმართულებამ, გაჩაღდა ევრეთ წოდებული Course d'amour, როცა ტრუბადურები და პოეტები ლექსებით ამკობდნენ თავიანთ მიჯნურებს. ასეთმა მოვლენამ, თუ რომ მეომართა შორის წარმოშვა რაინდობა, მით, რომ მხედარი თავის სატრფოს წინაშე თავმოსაწონებლად მრავალს სიგმირეს იჩენდა. სამაგიეროთ, ასკეტების სულიერი სიმშვიდე ერთობ დაარღვია. თუ მხედრისათვის სექსუალური ინსტინქტის გაღვიძება ერთგვარი იმპულსია სამხედრო სიგმირეთათვის, როგორც იმპულსი გამაძლიერებელი მიხტომითი ინსტინქტისა. სამაგიეროთ, ასკეტებისათვის ის სულის წამწყმედი და დამღუპველია და აი, ამ წაწყმედის შიშით დამფრთხალმა სასულიერო წოდებამ დედაკაცის ეშმაკის კერძათ აღიარა, როგორც მათი სულმოკლეობის მაცდუნებელი არსება. მეომარი და ასკეტი, აი ორი პატივცემული პიროვნება საშუალო საუკუნისა და როცა პირველი გაუბრბოდა ქალს, მეორე შიშში საგმირო აღმაფრენას ეძებდა და თავვანსა სცემდა. საშუალო საუკუნეში დედაკაცის მდგომარეობა მით უფრო სატანჯველი იყო, რომ ერთის მხრით მოითხოვდნენ მისგან: სავენებათგბილო სინაზეს, მიმზიდველობის განვითარებას, რომ თავისებური პასიური სექსუალური ტემპერამენტის (женственность) გამოფენით უფრო მეტად გაეღვიძებინა აქტიური სექსუალური ტემპერამენტი (мужственность) მამაკაცებისა; და მეორეს მხრით, სასტიკად დევნიდნენ მათ, ამავე ქალურობის შედეგისათვის. რაც საჭირო იყო მეომრებისათვის, ის საზიანო იყო სამღვდელოებისათვის. ქალებს კი ერთიც და მეორეც უნდა დაეკმაყოფილებინათ. როგორ უნდა მოეხერხებინათ ეს, თუ არა თვალთმაქცობით, ამას იმდროინდელი საზოგადოება არა ჰკითხულობდა. არავითარი სულიერი საზრდო, არავითარი გონებრივი წინსვლა ქალებისათვის, გარდა სექსუალური მიმზიდველობისა და ცოდვის მოსახდელათ ლოცვა მარხულობისა.

მე-11 და მე-12 საუკუნეში ქრისტიანულმა მეომარმა საზოგადოებამ ქალებს კუდიანობა დასწამა და ათასობით ჩასწვეს ცეცხლში. თუ რომ ძველ დესპოტურ სახელმწიფოში დედაკაცის ერთადერთ სკოლად ოჯახი ითვლებოდა, საშუალო საუკუნეში ასეთ სკოლად მონასტერი გახდა მისთვის და ისეც მხოლოდ მაღალი წოდების ქალებისათვის.

სიმხეცე და ცოდვის შენანება, აი, ორი სახელმძღვანელო მისწრაფება საშუალო საუკუნის ვაჟკაცისა. „მე ბედნიერი ვარ ძლიერი რაინდის ხილ-

ვით“, ამბობს საშუალო საუკუნის მეომარი, რომელიც მისწრაფვის თავისი მეომარი ლაფშათი ომში. როცა თავზარდაცემული ხალხი და ჯოგი მირბის, როცა მათ ყვირილით მისდევს ჯარი. როცა ინგრევა სიმაგრეები, როცა მინდორში გამშავებით მიმორბიან მოკლულ რაინდთა ცხენები, არც ძილი, არც სატმელი და სასმელი არ მანუგეშებს მე ისე, როგორც სამხედრო საყვირი ორთავე მხრით: „წინ“! როცა დაბურულ ტყიდან მესმის მხედართ დაკარგულ ცხენთა ფრუტუნი, სადაც აქა იქ წევს გაშლილი ცხედარი მეომრისა, რომელშიაც მოსჩანს ჩარჭობილი მახვილის ტარი. “

ასეთ სიმხეცეს იმ დროინდელი ქრისტიანული საზოგადოება დიდს ღირსებათ თვლიდა, რომელსაც უმაღლეს სიგმირეს ეძახდა და აი, ჩვენც ვხედავთ, თუ რამდენათ თავმოწონეა მეომარი თავისი სიგმირით. ცხადია, ყველა ის, ვინც ასეთ სისასტიკეს არ გამოიჩინდა, დაჩაგრულს კლასს ეკუთვნოდა სასულიერო წოდების გამოკლებით და ყველაზე მეტად ჩაგრულნი, ამ შემთხვევაშიც, ქალები იყვნენ, რადგან მათ თავიანთი ბუნებრივი თვისებით ყველაზე ნაკლებად შეეძლოთ ასეთი სიგმირის გამოჩენა და მსგავსი სურათით კმაყოფილების მიღება. ყველა ზემოთთქმულიდან ჩვენ ნათლად ვხედავთ მიზეზს ქალთა დამონებისას, რომელშიც ის იმყოფება აღორძინების ეპოქამდე. აღორძინების ეპოქამ კი ოდნავ კარი გაუღო ქალთა სულშეხუთულ ცხოვრებას, მაგრამ მხოლოდ დიდათ წარჩინებულ ოჯახთა ქალებს. ამ ხანებში შემოიღეს სასახლეებში ქალ-ვაჟთა ერთად სწავლა ჰუმანისტების ხელმძღვანელობით და აი, იმ დროს ჩვენ ვხედავთ ქალებს, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ ხელოვნებაში და მეცნიერებაში. ამ ხანებში თითქმის მთელს ევროპაში თავს ამოყოფს პოეტი, ლინგვისტი, იურისტი და თეოლოგი ქალები, რომელთა მოვლენამ მორწმუნე ფანატიკოსები ერთობ აღაშფოთა.

მეორე მხრით, იმ დროინდელი საუკეთესო მოაზროვნე მამაკაცები, რომლებიც იყვნენ პირველი ჰუმანისტები, მოითხოვდნენ ქალთა განთავისუფლებას და მის სწორუფლებიანობას, რომლებიც უერთდებოდნენ თავიანთ პატიოსან ხმას იმ დროინდელს ქალთა მოძრაობის პიონერ ქალებს. რამდენათ თანაგრძნობით მიეგებებოდა ამ პირველს მერცხლებს იმ დროინდელი საზოგადოება, ამას ბევრად უფრო შემდეგი თაობის სულიერი ავლადიდება გვიჩვენებს, რომელსაც გადმოგვცემს დიდი რევოლუციის გმირი ქალი ქ-ნი როლანი. ერთს მშვენიერს დღეს, ამბობს ქ-ნი როლანი, ბებიამეც აზრად მოუვიდა ქ-ნი ბუამორელის ნახვა. ერთი მისთვის რომ ენახა იგი და მეორე, მისთვის, რომ ეჩვენებინა თავისი შვილიშვი-

ლი. უფროსმა მოსამსახურემ მოახსენა მას ჩვენი მოსვლა და ჩვენც შევედით სასტუმროში. ქ-ნი ბუამორელი თავისი წლოვანებით და გარეგნობით ძლიერ წააგავდა ბებიაჩემს. ის დაჯდა თავისი ფინიათი სავარძელში და დიდკაცური პოზით ქარგავდა. მას ისეთი მკაცრი გამოხედვა ჰქონდა, რომ თითოეულს შეხედვამე თავს მახრევიანებდა.

– ჰა, გამარჯობა შენი მადმუაზელ როტისე. წამოიძახა ქალბატონმა ბუამორელმა და წამოიწია ჩვენს მიახლოვებაზე.

– M-elle? გავიფიქრე გულში, როგორ ბებიაჩემი აქ გაქალიშვილდა?

– მართალი გითხრათ, ძრიელ მასიამოვნეთ თქვენი ნახვით. ეგ მშვენიერი ბავშვი თქვენი შვილიშვილია, არა? ჰო, ეგ ერთობ ლამაზი იქნება! მოდით გაკოცოთ, საყვარელო ბავშვო! თქვენ რასაკვირველია, მორწმუნე იქნებით!

– მე ვცდილობ შევასრულო ჩემი მოვალეობა.

– ძალიან კარგი, თქვენ უთუოდ მონასტერში შეხვალთ, არა?

– მე ჯერ არ ვიცი რა ვიქნები და არც მიფიქრია ამ საგანზე.

– როგორი გონიერი პასუხია! M-elle როსიტე, თქვენი შვილიშვილი წიგნებს კითხულობს?

– მაგისტვის კითხვა დიდი კმაყოფილებაა. თითქმის სულ კითხვაში ატარებს დროს.

– ჰო, ეს ძრიელ საშიშარია, უფრთხილდით, რომ არ გადაიქცეს სწავლულ ქალად, ეს ერთობ სამწუხარო იქნება.

თუ ამდენათ უფრთხოვდნენ ქალთა განათლებას მე-18 საუკუნის მიწურულს, ადვილი წარმოსადგენია თუ როგორი თანაგრძნობით შეხვდებოდნენ სწავლულ ქალებს მე-15-მე-16 საუკუნის საზოგადოება; ლოცვა, ვედრება, აი, ერთადერთი განათლება ქალებისა, რომელსაც მათ მონასტერი აძლევდა და რომლიდანაც ქალების გამოსვლას ეგრე უფრთხოვდნენ.

მე-18 საუკუნის ფილოსოფოსთა გავლენით, როცა ინდივიდუალურმა სულმა დაიქრიალა, ფართო ნაწილი მოწინავე საზოგადოების ქალების თავისი სქესის მდგომარეობაზე ჩააფიქრა, თუმცა ქალთა უფლების სასარგებლოთ არც ერთ მათგანს სიტყვა არ დაუძრავს, გარდა რუსოსი და ისიც მხოლოდ სიყვარულსა და დედობაზე ქადაგობდა, რომლის აზრით მშობლები კი არ უნდა ირჩევდნენ თავიანთი ქალიშვილებისათვის ქმრებს, არამედ უკანასკნელის გული. ვოლტერი და მონტესკიე სრულად უარყოფდნენ ქალის შემოქმედებასა და სხეულის სილამაზის მეტს მასში არასა ხედავდნენ.



ამგვარად, მე-18 საუკუნის ფილოსოფოსნი საკაცობრიო საკითხის გადაწყვეტის დროს დედაკაცის პიროვნებას უარჰყოფდნენ და არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ იმ საკვირველს მოვლენას, რომ ქალებმა თავისი უკიდურეს მონობის დროს, ძველსა და საშუალო საუკუნეში, მრავალი შესანიშნავი ნიჭიერი პიროვნებანი წარმოშვეს, რომელთა მსგავსი მამრობით სქესს სოციალურ და ეროვნულ მონობის დროს იშვიათად გამოუჩენია.

დიდი რევოლუციის ადამიანისა და მოქალაქის უფლების დეკლარაციამ სამართლიანობის სახელით ქალები ააღაპარაკა. ამ დროს სცენაზე გამოდის სიცოცხლით სავსე ოლიმპია დე გუჟი, რომელმაც გამოსცა „დეკლარაცია, როგორც მამაკაცი“. ამბობდა იგი, „და მიზანი თითოეული საკანონმდებლო საზოგადო ორგანოსა მდგომარეობს იმაში, რომ დაცული იყოს ორთავე სქესის უფლება: თავისუფლება, პროგრესი და უშიშარი მდგომარეობა. ერი არის დედაკაცები და მამაკაცები ერთად და კანონმდებლობა უნდა იყოს გამომხატველი საერთო ქალ-ვაჟთა სურვილისა, რომლიდგანაც შესდგება ერი. ყველა მოქალაქეს, ქალია ის, თუ ვაჟი, თავისი უნარის მიხედვით ერთნაირად უნდა მიუწვდებოდეს ხელი ყოველ გვარ თანამდებობაზე და ხელობაზე. მხოლოდ ნიჭი და ზნეობა უნდა გახდეს საზომარი მათი არჩევისა. თუ რომ ქალსა აქვს უფლება ავიდეს ემაფოტზე, მასვე უნდა ეკუთვნოდეს ღირსება სახალხო ტრიბუნაზე ასვლისა.“

როგორი პასუხი მისცეს „ძმობა, ერთობისა და თავისუფლებისთვის“ მებრძოლმა მამაკაცებმა ქალებს? აი, ეს პასუხი: „ბუნებამ უთხრა ქალს დარჩი ქალად! შვილების აღზრდა, ოჯახზე ზრუნვა, საამური ინსტინქტი დედობისა – აი, სამეფო შენი შრომისა“. ბ. შომეტმა სთქვა: „ამისათვის მიმჩინიხარ შენ ღვთაებათ ოჯახის ტაძარში, რა სიგიჟეა სურვილი ვაჟათ გადაქცევისა? თქვენ მეფობთ ჩვენს გრძნობას, კანონმდებელნი თქვენს ფეხთ არიან, თქვენი დესპოტიზმი ერთადერთია, რომელსაც ვერ იმორჩილებს ჩვენი ძალა, რადგან ეს სიყვარულის დესპოტიზმია. ბუნების სულისათვის, დარჩით მათ, რაცა ხართ და ნუ ეხმარებით ჩვენს მდგომარეობას“, იყო პასუხი „თანასწორობისთვის“ მებრძოლთ ორატორისა.

„დარჩით, მათ, რაცა ჰხართ“ ე. ი. დარჩით მონებათ და უციცებათო, რომელშიაც ბ. შომეტის აზრით იხატებოდა ქალის ბუნებრივობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქალები სიგიჟეს დაამტკიცებდნენ მით, რომ ვაჟად გადაქცევას მოინდომებდნენ! რადგან მის ბუნებას ცოდნა, თავისუფლება და ადამიანისა და მოქალაქის უფლება მხოლოდ მამაკაცებისათვის მიუნიჭებია. მოდით, ეხლა და ნუ დავუჯერებთ ქალები ასეთ ბრძენს რევოლუცი-

ონერს, რომელიც ყოველ ეპოქაში მოიპოვება. „კანონმდებელი თქვენს ფეხთ ქვეშ არიან“, ეუბნებოდა ბ-ნი შომეტი უფლებებისათვის მებრძოლ ქალებს, იმ ქალებს, რომლებსაც სურდათ გამოეყვანათ თავიანთი დები უვიცობიდან, ცრუმორწმუნეობიდან და მონობიდან და რომელშიაც მათი დაჭერა ბ-ნ შომეტს აგრე გულით სურდა, რომ მზად იყო ყველაფერი შეეწირა მისთვის, ან არ უფიქრდებოდა ამ სიტყვებს, რომელსაც ქალების გულის მოსარბილებლად ისროდა. თორემ, განა შესაძლებელია რაიმე სამართალი დაამყაროს ამ კანონმდებლობამ, რომლის გამომცემელთ სურთ უვიც, მონა, ფუქსავატ ქალების ფეხქვეშ ყოფნა?!

ბ. შომეტის ქათინაურებმა ვერ დააცხრეს მებრძოლი გულისცემა მისი თანამედროვე ქალებისა. ამ ხანებში ქალთა კარჩაკეტილი ცხოვრება ირღვეოდა, რომლის გამო ღარიბ ხალხის შვილებს ოჯახის გარეთ უხდებოდათ შრომა და მათი მდგომარეობა უფრო უმწეო იყო, რამდენადაც ისინი მოკლებული იყვნენ ცოდნასა და მოქალაქურ უფლებას. ქალებს მფარველად გამოუჩნდა ფილოსოფოსნი. ქალებმა დააარსეს თავიანთი კლუბები, ჟურნალ-გაზეთები, დაიწყეს პეტიციების გზავნა როგორც მეფესთან, ისე კონვენტთან. „თქვენ, რომლებმაც გააუქმეთ ყველა პრივილეგია, გააუქმეთ პრივილეგია მამრობითი სქესისა!“ სწერდნენ ქალები კონვენტს. კონვენტი თითქმის თანაგრძნობით მიეგება მათ, შეიმუშავა კოდექსი, სადაც ცოლსა და ქმარს თანასწორ უფლებებში აყენებდა, გამოსთქვა სურვილი ერთგვარი სკოლების გახსნისა ორთავე სქესათათვის, მაგრამ ტერორის გაძლიერებამ და იმ ექსცესებმა, რომელიც წარმოშვა დიდმა რევოლუციამ, ეს კეთილი განზრახვა უკუაგდებინა მათ და რაც ტერორმა დააკლო, ის ნაპოლეონის სისხლიანმა ხელმა გაანიავა.

და, ვინ იცის, დღევანდელი რუსეთის დემოკრატიის უთანხმოებით, რა ბედი ეწევა დროებითი მთავრობის მიერ აღიარებულ ქალთა სწორუფლებიანობას, თუ რომ ქალები თავისი ენერგიით არ შეუდგნენ თავიანთ ქმრების და ძმების შეთანხმებების გზაზე გადმოყვანას. რომ ქალებს აქვს გავლენა თავიანთ მახლობელ მამაკაცებზე, ეს უდაო ფაქტია და ეს გავლენა დღეს ერთიორად უნდა გამოიჩინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დესპოტი, რომელიც უფლებას დააზიანებს ისე, როგორც ეს ჩაიდინა ათასი უდანაშაულო მსხვერპლთა ცხედრებზე ამხედრებულმა ნაპოლეონ პირველმა, რომელმაც დაიდგა გვირგვინი თუ არა, თავის საბრძანებლოში თავისი გემოვნების კოდექსი გამოსცა, რომელსაც დღესაც არ დაკარგვია ძალა საფრანგეთში ქალთა უფლებების მიმართ. ამ კოდექსს სახელად ნა-

პოლეონის კოდექსი ეწოდება, რომელიც სავალდებულო საგნათ ითვლება იურიდიულ ფაკულტეტებზე მთელს მხარეში. ამ კოდექსში, სხვათაშორის, სწერია: „თუმცა კანონი და სამართალი ღებულობს სხვადასხვა სისტემას ცოლ-ქმართა ქონებრივ დამოკიდებულებაში, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს სისტემა, იქნება ეს საერთო ქონება თუ გაყოფილი ქონება, ცოლს მაინც ნება არა აქვს ქმრის გარეშე მისი განკარგულებისა“. ქმარი არის ოჯახის თავი, რომელსაც ცოლი უნდა ემორჩილებოდეს. ღალატისთვის ცოლი დაისჯება 2 წლამდე ციხეში დაპატიმრებით. მაშინ, როცა ასეთი დანაშაულობისთვის ქმარი არავითარ სასჯელს არ იხდის. სიქვრივის დროს დედის უფლება გადადის აპეკუნზე, რომელსაც ირჩევს ქმარი, ანუ ოჯახის თათბირი, შემდეგ დაბადებული ქორწინების გარეშე ითვლება უმამოთ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მამა თვითონ არ მოინდომებს შვილის ცნობას. მამაკაცი, რომელიც ქალწულს შეაცდენს, არავითარ ვალდებულებებს არ ღებულობს არც დედის და არც შვილის წინაშე. დაპირება ჯვარის დაწერისა, თუნდაც წერილობითი საბუთით, არაფრად არ ავალდებთ მათ. ერთად ცხოვრება კიდევ არ ამტკიცებს შვილის გაჩენას.

ასეთი იყო სამართალი დიდი მოლაშქრისა, რომლის ბრძანებლობის დროს ქალთა მოძრაობა თავის პირველ ნაბიჯში საფრანგეთში მეხდაკრული გახდა. თუ რა მტრული თვალთ უცქერდა ნაპოლეონი განვითარებულსა და მაღალ ნიჭიერ ქალებს, ამის მაჩვენებელია მისი განწყობა ქნდეს სტალთან.

ნაპოლეონის გაძევების შემდეგ ქალთა მოძრაობა ისევ ფეხზე დგება. 1830 წლის ივლისის რევოლუციის დროს არსდება გაზათები ქალთა მეთაურობით. ამ ხანებში მათ მოსარჩლედ გამოდის დიდი ფილოსოფოსი სენ სიმონი. 1848 წელს კონსიდერანს შეაქვს პარლამენტში წინადადება და მოითხოვს ქალთა არჩევის უფლებას, მაგრამ სხვადასხვა ამბოხებამ და ზოლოგიურმა ბრძოლამ, ქალთა უფლებების მოსარჩლენი აქაც დაამარცხა.

ამ ხანებში ქალებს მოსარჩლეებთან ერთად, მოწინააღმდეგეებიც უჩნდებათ. მათზე იეროში მიაქვს უმაღურს მოწაფეს სენ-სიმონისას, ოგ. კონტს, რომლის პოზიტიურმა ფილოსოფიამ თანდათანობით გავლენა მოიპოვა მთელს ევროპაში და რამდენათ დღევანდელი საფრანგეთის რესპუბლიკა აჩქარებით გახდა მოწყობილი, იმდენათ ბევრი შერჩა მას ძველი მონარქიული ჩვეულებანი, რომლის 47 წლის არსებობას დღესაც არ გაუქვრია მონარქიული, ანტიფემინისტური სული საფრანგეთში და მის სატახტო ქალაქში.

მხოლოდ, როდესაც თვით ოჯახში ცოლ-ქმართა შუა აზრთა სხვადასხვა სახით უთანხმოება ჩამოვარდა, ქალთა განათლების სასარგებლოთ თვით მამაკაცების მიერ აღიძრა. აქ სცენაზე გამოდიან კარნო, ჟულფერი, ბრონა და სხვანი, რომელნიც აცხადებენ: „მონასტრის სკოლებიდან ჩვენი ქალები გამოდიან სრულიად უვიცი და თანაც მე-12 საუკუნის შეხედულებით ცხოვრებაზე, რომელიც თავისებურ გავლენას ახდენს შვილებზე“. ისინი იმდენად ქალთა უფლებების საკითხით არ იყვნენ დაინტერესებულნი, რამდენათ იმ წარმოდგენით და შიშით, რომ მორწმუნე ქალთა გავლენით კვლავ არ აღმდგარიყო მონარქია და ხელიდან არ გავარდნოდათ ქვეყნის მართვა-გამგეობა. 1880 წელს დაამტკიცეს კანონი ქალთა სამი ტიპის სკოლის დასაარსებლად. პირველ დაწყებითი სკოლა, მეორე საშუალო სკოლა – ქალთა კოლეჯი და სამასწავლებლო სემინარია. ამასთან ერთად, მათ გაუღეს უნივერსიტეტის კარებიც, რომელთაც ფრანგი ქალები იმდენად ეტანებიან, რამდენათაც იქაური საზოგადოება და ოჯახი ხელს უწყობს ქალთა უმაღლეს განათლებას. ფრანგ უნივერსიტეტში, არსებული ომის დაწყებამდე, უფრო მეტი წილი უცხოელი ქალები იყვნენ მსმენელნი, ვიდრე ადგილობრივი და ეს მისთვის ხდებოდა ეგრე, რომ, მიუხედავად ოთხი რევოლუციისა, ძველი ჩვეულება და ტრადიციები ქალთა მიმართ არაფრით შეცვლილა.

ამგვარად, თავისუფლებისთვის მებრძოლმა საფრანგეთის მესამე წოდებამ დედაკაცები ყოველგვარ მოქალაქურ და პოლიტიკურ უფლების გარეთ დატოვა, რომელიც არეულობის დროს გამოიჩინეს ფრანგებმა.

მე აქ არ გამოუდგები ყველა იმ სიმხეცის აღწერას, რაც ხდებოდა პარიზის ქუჩებში სხვადასხვა რევოლუციის დროს. ვიტყვი მხოლოდ, რომ „ძმობა, ერთობის და თავისუფლების“ მქადაგებლები თვითვე გახდნენ უსასტიკეს ტირანებათ, რომელთა წყალობით ბრალიანი და უბრალო ასოებით იგზავნებოდა გილიოტინაზე.

ჰო, რა სასტიკი იყო თქვენი ბედი, რომელმაც კაცთმოყვარეობის და ჭეშმარიტების მაძიებელთ შეგასვათ ამდენი სისხლი, გულმტკივნეულად ამბობს ჟორჟის დიდი რევოლუციის გმირებზე.

ბრბოს სიმხეცეს ხომ მთლად საზღვარი არა ჰქონდა. მათ გაამართლეს ლათინური ანდაზა, რომელიც ამბობს „homo homini lupus“. მაგალითისთვის, მოვიყვან შემთხვევას პრინცესა ლამბალისას.

- თქვენი სახელი? – ეკითხება მას რევოლუციონერი მსაჯული.
- მარიამ ლუიზა, პრინცესა სავოიისა.

– რა იცით სასახლის შეთქმულებაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 10 აგვისტოს?

– არსებობს თუ არა ეგ შეთქმულება, მე არ ვიცი, მაგრამ მე ვიცი მხოლოდ, რომ არავითარი წარმოდგენა არ მქონია მასზე.

– მიიღეთ ფიცი თავისუფლების, ერთობისა და ძმობის წინაშე, როს თქვენ გეზიზღებათ დედოფალი, მეფე და მისი მმართველობა – უთხრა თავმჯდომარემ.

– მე თავს ვხრი პირველის წინაშე, მაგრამ მე არ შემიძლია შემოგფიქვით მეორეზე, რადგან ეს იქნება წინააღმდეგი ჩემი რწმენისა.

– გაანთავისუფლეთ ქალბატონი! სიმბოლურად გამოაცხადა მსაჯულმა, რაც ნიშნავდა მის სასიკვდილოდ წაყვანას.

ეს საბრალო ქალი ჯერ იქვე მდგარმა „რანდმა“ ხმლით თვალებვით დასჭრა, შემდეგ გულშეწუხებულს მოჰკიდეს მკლავში ხელი და ქუჩა-ქუჩა მკვდრებზე ატარეს. ამ სურათის დანახვაზე ერთი ვიღაც დაიყვირებს:

– გაწითლდით სირცხვილისგან უბედურნო! მოიგონეთ, რომ თქვენცა გყავთ დედები და დები! ერთი წუთის მერე ბრბომ ეს კაცი ლუკმა-ლუკმა აქცია.

როცა ტარებით მოლაღდენ, ამ ქალს თავი მოსჭრეს და სანამ **ტანს** სისხლი სდიოდა, სიცილ-ხარხარით ამ სისხლში ხელის ბანა დაიწყეს. შემდეგ ამოჭრეს ძუძუები, გაუჭრეს მუცელი, ამოიღეს წელები, რომელიც ერთმა მათგანმა ყელზე შემოიხვია, მეორემ გული ამოსჭრა და უკბინა.

თუ რა სასტიკათ მოექცა ფრანგული ბურჟუა **დამარცხებულ** კომუნარებს, ამას უკანასკნელის ისტორია გვაუწყებს. ციხეები ავსებული იყო სხვადასხვა წრის ქალებით, რომლებსაც გაუპატიურების შემდეგ გილიოტინაზე აგზავნიდნენ. საერთო არეულობით ქალი და ვაჟი რევოლუციონერი რევოლუციურმა ნერვოზმა იმ დონეზე გაიტაცა, რომ სრულიად გაამხეცა. რევოლუცია, რომელიც ასეთს ბარბაროსულს ფორმას ღებულობს, წარმოშობა უფრო მეტის რევრესისა, ვიდრე პროგრესისა და გამოვიდა თუ არა საფრანგეთის მესამე წოდება გამარჯვებული, ამდენი სისხლის ღვრიდან მას ყოველი სულიერი იდეალი შემოეცალა და თავის უმაღლეს მიზნათ ოქრო და ვნებით ტკბილობა დაისახა. რევოლუციის დროს შურისძიებისადმი პარიზელებისა, მშვიდობიან დროს საავხორცო სადიზმით იქცა და საფრანგეთის ბურჟუაზიამ ქალთა ემანსიპაციის ნაცვლათ პროსტიტუციის ემანსიპაცია აღიარა და განამტკიცა. ამგვარად, რევოლუციის დროს გაღვიძებული მხეცური ინსტინქტი მშვიდობიან დროს ლირწებათ გადაიქცა, რო-

მელმაც ფუფუნება-სიღატაკის ზრდასთან ერთად გამოიწვია ის უცნაური ექსცესები, რომლითაც ეგრე მდიდარია პარიზი და რომელსაც, ამ მხრივ, სამართლიანად, თანამედროვე ბაბილონს ეძახიან. ამ ნიადაგზე აქ პირველი ამოყოფს მთვრალი მუზა დეკანდეტებისა ხელოვნებასა და პოეზიაში. მათ, ნათელი წმინდა აზრის ნაცვლად შეიტანეს ბოდვა ტლანქი ეროტიკის სიმზრებისა. და რამდენათ მოქალაქისა და ადამიანის უფლების დამცველნი, სხვა პოლიტიკურად დაჩაგრული ქვეყნებისათვის ტონის მიმცემი გახდნენ, იმდენათ, ყველაფერში მიბაძეს პარიზელებს და მათი ცუდი და კარგი თვისებები სხვა ქვეყნებშიც გადავიდა, რომლებმაც ევროპიელ ქალთა მონობას თუ ხელი არ შეუწყო, არ შეუშალა.

მართალია, ფრანგ ქალებში არ ჩამქრალა სწორუფლებიანობისადმი მისწრაფება, მათ აქვთ თავიანთი კავშირები და სხვა, მაგრამ ინგლისელ, ამერიკელ ქალებთან შედარებით, დღესაც ისინი ერთობ დაბლა სდგანან და ვინ იცის, რა ცვლილებებს შეიტანს მათს ცხოვრებაში დღევანდელი ევროპული ომი, რომელმაც მათ ამდენი მწუხარება მიაყენა.

სულ სხვაა მდგომარეობა ამერიკელ ქალისა. სამშობლოდან დევნილი ევროპელი ემიგრანტები, მომეტებულ წილათ ინგლისელები, აქ ახალ ნიადაგზე აჩაღებენ ცხოვრებას. მხოლოდ რამდენადაც სრულიად ვერ გათავისუფლდნენ ისინი ძველი სამშობლოს გავლენიდან, ჩრდილოამერიკელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას საძირკველად ინგლისელი ადამიანური სამართალი დაედვა და ქალი აქაც პოლიტიკურ უფლების გარედ დარჩა. სამაგიეროთ, აქ სოციალური მდგომარეობა დედაკაცისა გაცილებით მამაკაცებზე მაღლა იდგა, ცოლი ოჯახში და საზოგადოთ, ქალი საზოგადოებაში წარმოდგენს ისეთს პატივსაცემ არსებას, რომლის წინაშე მამაკაცი ერთობ თავაზიანად უნდა იქცეოდეს. ოჯახშია ქალი, ქუჩაში, შეკრებილობაში თუ მატარებელში, მას იქაური მამაკაცები უკეთეს ადგილს უთმობენ. ამერიკელი ქმრის მოვალეობას შეადგენს მოაწყოს ოჯახური ცხოვრება თავისი ცოლის სურვილისამებრ და არა თავისი ნებისამებრ, როგორც ეს მიღებულია ევროპასა და აზიაში. ამერიკელ ქალში თავის თანასწორ პიროვნებას ხედავს, რომელსაც ესაუბრება არა ქათინაურებით, როგორც ეს სჩვევიათ ევროპიელთ, არამედ დიდი მორიდებული კილოთი. შეურაცხყოფილ ქალიშვილებს იქ ესარჩლება, როგორც საზოგადოება ისე სამართალი. მას შეუძლია მოსთხოვოს მაცდუნებელს არა მხოლოდ სარჩო თავის ბავშვისათვის, არამედ გადაახდევინოს შეძლებისდაგვარი ჯარიმა, თვით ჯვარის წერის დაპირების დარღვევისთვის.

მაგრამ ასეთი მაღალი სოციალური მდგომარეობით, ამერიკელი ქალები სრულიად არ შერაგებიან პოლიტიკურ უუფლებობას. ჯერ კიდევ 1776 წელს, როცა კონტიგენტურ კონგრესს კონსტიტუციის შესახებ თათბირი ჰქონდა, შეერთებული შტატების პირველ პრეზიდენტს თავის ცოლი შემდეგი შინაარსის წერილსა სწერდა: „თუ რომ მომავალი კონსტიტუცია ჯეროვან ყურადღებას არ მიაქცევს ქალთა უფლებებრივ საკითხს, ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს მოვახდინოთ არეულობა და არავითარ შემთხვევაში არ დავემორჩილებით იმ კანონებს, რომლებიც ჩვენს უფლებას არ დაიცავს“. და მათ გაამართლეს კიდევ ეს მუქარა, მით რომ შექმნეს ისეთი დიდი მოძრაობა, რომლის წინაშე ქალთა უფლების მტერს თავი უნდა მოეხარათ. დღეს მათთვის ხელმისაწვდომია როგორც ყოველგვარი სწავლა-განათლება, ისე ყოველგვარი თანამდებობა. აქ არსებობს საყოველთაო ქალვაჟთა პირველი დაწყებითი სკოლა. იქ შეხვდებით სხვადასხვა თანამდებობის ქალებს, მასწავლებელთ, ექიმთ, ვექილთ, მსაჯულთ, პროფესორებს, მღვდლებს, უნივერსიტეტის რექტორებს, ბანკის დირექტორებს და მრავალ სამრეწველო ფირმათა გამგეთ. ერთი ამერიკელის გამოკვლევით, მთელი ამერიკის მილიონების ერთი მეათედი ქალების ხელშია.

ამერიკელი ქალები დღემდე კიდევ განაგრძობენ ბრძოლას აქტიური და პასიური ხმის მიღებისათვის და ზოგიერთ შტატებში მიიღეს კიდევ, რომლის საყოველთაოდ მიღებისთვის ესენი თავგამოდებით იბრძვიან. ამ მიზნით მათ აქვთ ურიცხვი კავშირები და პროფესიონალური ორგანიზაციები, მრავალი ჟურნალ-გაზეთები, საკუთარი ფაბრიკები, აგებული კოოპერატიულ პრინციპზე და სხვა.

ქალები შედიან მამაკაც მუშათა პროფესიონალურ კავშირებში და სადაც ასეთი კავშირები აქვთ მუშა ქალ-ვაჟს, თავის დევიზად აცხადებენ: „ერთნაირი შრომა და ერთნაირი ხელფასი“. ასეთ კავშირთა წევრებს შრომის რაინდებს ეძახიან, რომლებიც მოითხოვენ ქალ-ვაჟთა თანასწორობას ქვეყნის მართვა-გამგეობაში. ჩვენ არ გამოუდგებთ ინგლისელ ქალთა მოძრაობის აღწერას, რადგან მათ შესახებ უკვე რამდენიმე წერილი იყო დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში.

თუ ასეთს წინააღმდეგობას ხვდებოდა ქალთა მოძრაობა ევროპა-ამერიკაში, სულ სხვა ბედი ეწვია მას ახალ ზელანდიაში, მაგრამ ამაზე შემდეგ.

ხუთი ათას პროსტიტუტკებში, რომელთანაც მქონდა შემთხვევა მიზეზის გამოკითხვისა, ამბობს პარიზელი ექიმი პირან დუ-შატლე, 1440 მათგანს პირდაპირი გაჭირვების გამო მოუკიდნიათ ხელი ამ სამარცხვინო ხელობის-

თვის. 1250 უპატრონო ობლები ყოფილა, 80-ს შშობლების სარჩენად. 140 საყვარლებისგან მიტოვებულნი. 400 ჯარისკაცთაგან და ოფიცერთაგან მოტყუებით პარიზში გატაცებული და იქ უსახსროდ დაჩენილები. 280 ფეხმძიმობის დროს საქმროსგან მიტოვებულნი. უკანონოდ შობილთა და ბავშვთა მკვლელობა ყოველ წლობით 17 000-ს აღემატება პარიზში. ამგვარად, უუფლებო დედაკაცები თანამედროვე ევროპაში მამაკაცების სქესობრივი სიამოვნების მსხვერპლი ხდებიან. ფუფუნებისა და სილატაკის ზრდამ მოხუცი და ახალგაზრდა, მდიდარი და ღარიბი ერთნაირად გარყვნა სქესობრივად, რომლის გამო მწეობრივად იხრწნება თანამედროვე როგორც ოჯახი, ისე საზოგადოება, ამბობს ბებელი („დედაკაცი და სოციალიზმი“). აღნიშნულს დანაშაულობისათვის გერმანიაში 1902 წელს დაისაჯა 58 სული. 1907 წელს – 72. იტალიაში მწეობის წინააღმდეგ დანაშაულებათა რიცხვი იყო 1887 – 4590 ანუ ასი ათას მცხოვრებზე 19.44, 1903 წელს 8461 – 25,67, ასეთი მოვლენა ემჩნევა ავსტრიაშიც.

თუ რამდენად მძვინვარებს ვენერიული სნეულება თანამედროვე საზოგადოებაში, ამაზე მედიცინის ავტორიტეტნი საკმარის ფაქტებს გვაწვდიან. ექიმი ბლანშკოს გამოკვლევებით ბერლინში ყოველ წლობით მეხუთედი ნაწილი იქაური ახალგაზრდა მამაკაცებისა დასნეულებულია სუსუნატით და 2/4 სიფილისით. ეს ავადმყოფობა ყველაზე მეტად გავრცელებულია ჯარში და მეზღვაურებში. საგარყვნილო ინსტიტუტების წყალობით 80% მამაკაცებისა ამ სენით დასნეულებულია, რომლებიც ღუპავენ თავიანთ ჯანმრთელობას და თავიანთ ცოლშვილისას. რამდენად დღევანდელი ცოლქმრობა უბედურ ნიადაგზე დგას, ამის მაჩვენებელია რიცხვი ცოლ-ქმართა გაყრისა, რომელიც დღითი დღე მატულობს მთელს ევროპაში. 1884 წელს, ამბობს ბრანდტი, ბერლინში გათიშული იყო 754 შეუღლება და ამ რიცხვში 238 ღალატისათვის, 210 განზრახ მიტოვებული, 36 გალახვისათვის, 34 შეშლილობის გამო, 9 ავადმყოფობის მიზეზით, 17 მძიმე შეურაცხყოფისთვის. ბელგიაში ცოლ-ქმართა გაყრის რიცხვმა იმდენად იმატა, რომ თვით ვექილები კითხულობენ ამის საწინააღმდეგოდ კონფერანსებს.

1917 წელს ბრიუსელში მე თვითონ დავესწარი ერთი ვექილის მოხსენებას, რომელიც აღნიშნავდა განსაცვიფრებელ ზრდას გათიშვის რიცხვთა და ურჩევდა ხალხს მეტს მოთმენასა და შეგუებას შვილთა საკეთილდღეოდ და ეს რჩევა მოთმენისა, რასაკვირველია ქალებისადმი იყო მთავარი, რადგან უმეტეს შემთხვევაში გაყრის მიზეზი არის ქმრის ცუდი ყოფა-ქცევა და ამ მხრივ საჩივრები ქალებისა უფრო მეტია. ყველა ეს ხდება მისთვის, რომ დღევანდელი შეუღლება დამყარებულია მომეტებულ



წილად ვაჭრულ ანგარიშზე და არა სიყვარულზე. მათ აერთებთ მხოლოდ ოქრო, ნივთიერი ქონების რაოდენობა და არა წლოვანებისა. ხნით, ხასიათით და ჯანსაღობით შეუფერებელთა კავშირი არის ჩვეულებრივი, ანგარული მოვლენა თანამედროვე შეუღლებისა. ცხადია, ასეთი ოჯახი ვერ იქნება წარმომშობი სალი და შემოქმედი თაობისა და ვერც ვხედავთ მას. არსებული საერთაშორისო ქაოსი და სისხლის ღვრა აშკარათ გვიჩვენებს შემოქმედებით ძალთა სისუსტეს დღევანდელი ევროპელი თაობისა.

თანამედროვე დედაკაცის სულიერი მე, როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში განიცდის ჯოჯობეთურ ტანჯვას. კაპიტალისტური ცხოვრების განვითარებამ და მისგან წარმომობილმა თავისუფალმა კონკურენციამ ადამიანში ჩაკლა სურვილი ობიექტური სიმდიდრის შექმნისა და მდიდარი და ღარიბი და ახალგაზრდა ნივთიერ შექმნის და გარეგნული ძლევა მოსიღების მისწრაფებით აღიჭურვა, რომლის გამო გაჩაღდა ერთის მხრივ, უცნაური ეგოიზმი და პირადი სიამტკბილობის ძიება და მეორე მხრით, უკიდურესი პატივმოყვარეობა. „ყოველი მისწრაფება დღევანდელი ადამიანისა“, ამბობს მწერალი ქალი პოლონელი ოუენიქო, „ნივთიერი შექმნილობის თვალსაზრისით იზომება და ფული გაღმერთებული ოქროს ტაძრის წინაშე საერთო ცეკვაა, რომლის გამო შეიარაღებული თითოეული ერთი მეორის საწინააღმდეგოთ. ამხანაგურ განწყობილებაში-სიციხიერე და ღალატი, სოციალურ დამოკიდებულებაში – ფუფუნება და ექსპლუატაცია, საერთაშორისო დამოკიდებულებაში თოფ-ზარბაზნებით შეიარაღებული მილიონობით ჯარი ერთი მეორის ამოსაწყვეტათ. არასოდეს კაცობრიობას არ ჰქონია გულზე იმდენი მუწუკები და პირზე იმდენი ჩივილი, როგორც ახლა, ჩვენს დროში“, ამბობს სწორედ ეგ ქალი. აი, შედეგი იმ თავისუფალი კონკურენციისა, რომელმაც ყოველ დარგში და ყოველ სფეროში შეიტანა ჯიბრი და წარმოშვა როგორც ეკონომიკური, ისე გონებრივი ანარქია. ბურჟუაზიულმა მეცნიერებამ ეგ შეჯიბრება თვით სიცოცხლის დედააზრად აქცია, რომელმაც ჩუმი და ცხადი ბრძოლა კაცთა შორის არსებობის მიზნათ დაისახა და ამ ბრძოლაში გამარჯვებულთ მათ უფრო მოხერხებული დაარქვა, რომელსაც ამ სოფლად სამეჯლიშო სუფრა გაუშლია. დამარცხებულთ კი მოუხერხებელი უწოდა, რომელთაც შიმშილით სიკვდილი მიუსაჯა ევოლუციის პროგრესის ბრძანებელი მოთხოვნილებების სახელით.

ამგვარად, უვიცობით გაღვიძებულმა სიმხეცემ ადამიანში თანდათან შეგნებული ხასიათი მიიღო, რომელიც თანამედროვე მეცნიერებამ თავისებური საბუთებით დააკანონა და ეს ბურჟუაზიული მეცნიერები სრულად

გულცივად და გაბედულად გვიცხადებენ კაცთა შორის სისხლის ღვრის მუდმივობას, რადგან მათი აზრით, ბრძოლა წარმოადგენს ცხოველთა ძირითად თვისებებს, რომ ყველა ძალი ბუნებისა ურთიერთ შორის განუწყვეტელ ბრძოლაშია ახალი და უფრო უნაკლულო ძალთა წარმოსაშობათ. კაცობრიობა, როგორც მისი ნაწილი, ამავე კანონს ემორჩილება, რომლის გამო ომიანობაც მუდმივ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს. ამისთვის, ისე როგორც კლასთა შორის, ისე ერთა შორის ბუნებრივ თვისებას წარმოადგენს არა რწმენა და ძმური სიყვარული, არამედ ურთიერთ შიში და უნდობლობა. ყველა ის ფილოსოფოსები და მორალისტები, რომელნიც ომიანობას უარსა ჰყოფენ და ხალხთა შორის ძმობა-ერთობას ქადაგებენ, მათი აზრით, უბრალოდ მეოცნებე, უტოპისტები არიან, რომელთაც დაკარგული აქვთ საღი მეცნიერული მოსაზრება.

ასეთია ეთიკა თანამედროვე გაბატონებულ მამაკაცების მეცნიერებისა, რომელმაც დაიმორჩილა საზოგადო აზრი და კაცთა გულში ყოველი სიბრალული და სათნოება აღმოფხვრა, რომლის შედეგი მთელი თავისი სისასტიკით თვალწინ გადაგვიშალა დღევანდელმა უმაგალითო ომმა. აი, ნაცოფი ისტორიულად განვითარებული მილიტარიზმისა, რომელიც წარმოშვა ერთი სქესის აგრე ხანგრძლივად ბატონობამ მსოფლიოში. მიუხედავად სხვადასხვა დიპლომატიური მასლაათობისა, დღეს ჩვენ ვხედავთ სრულ სიკოტრეს თანამედროვე პოლიტიკისას, საერთაშორისო სამართლისას და სისასტიკეს სამხედრო ხელოვნებისას. რომ შევადაროთ თანამედროვე ჰარიელთა დღევანდელი მოქმედება უძველეს ჰარიელთა სამხედრო უწყების დადგენილებას, ჩვენ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ზნეობრივი მხრით პირველს დიდათ უკან დაუწევიათ. „არ მოკლა არც მტერი, რომელიც ემალეობდეს მალლობს. არც ერთი მათგანი, რომელიც მოითხოვს შებრალებას, ან იარაღის აყრას. არც ერთი გაქცეული, არც ერთი დამჯდარი, არც ერთი მათგანი, ვინც დაგიძახებს „მე შენი ტყვე ვარ“. არ მოკლა მძინარე არც ომის გარეშე მდგარი მაყურებელი, არ მოკლა ხმალგატეხილი მტერი! მოიგონე მოვალეობა მხედრისა, რომელსაც თანასწორი იარაღით ბრძოლას ავალებს კანონი“.

ასეთ სამხედრო კანონებს ამუშავებდა ის უძველესი საზოგადოება, რომელიც კარნაკეტილს ცხოვრებას ეწეოდა. ჩვენ დროში, როცა საერთაშორისო მიმოსვლამ ელვის სისწრაფით იმატა, როცა დღევანდელს ადამიანს შეუძლია თავი მსოფლიოს მოქალაქეთ ჩათვალოს, როცა ერთა შორის საზიაროა ყველაფერი სწავლა-განათლებიდან გათავებული ვაჭრობა

მრეწველობამდე, დღეს ეგ ერთი მეორეს ნაცნობ ხალხი ურთიერთამოსაუ-  
ლეთად უსასტიკესს საშუალებებს ხმარობენ და სრულიად გულცივად და  
მოფიქრებლათ. რამდენია დღეს თითოეულ მეომარ სახელმწიფოში ისეთი  
ჯარისკაცი, ისეთი აფიცერი, რომელსაც ტყვიით გაეგმიროს უიარალო მტე-  
რი, რომელსაც მისთვის დაეყვიროს „მე შენი ტყვე ვარ!“ და როგორ ეტყე-  
ვა უიარალო და უდანაშაულო მცხოვრებლებს შესეული, თუ გამოქცეულნი  
დღევანდელი ჯარისკაცნი, ამას დღევანდელი გაზეთები გვაუწყებენ.

მეოცე საუკუნის მამაკაცთა სანაქებო ცივილიზაციამ მხოლოდ ფორმა  
შეუცვალა პირველყოფილი ადამიანის სიმხევეს, მაშინ, როდესაც არსები-  
თად უფრო გაასასტიკა და გაამედიდურა იგი. თანამედროვე მეცნიერები  
გვიმტკიცებენ, რომ პატივმოყვარეობა უფრო მეტად უკულტურო ველურ  
ხალხში არსებობს, ვიდრე კულტურულ, ცივილიზაციურ ხალხშიო.

ესეც ერთგვარი სიციხიერე და დაჩემებაა სულიერი უბრალოებისა, რო-  
მელსაც ჩვენ, დღევანდელს კულტურულ მამაკაცებში ვერსად ვერ ვხე-  
დავთ. რომელი ველურის პატივმოყვარეობა უნდა შეეძაროს, მაგალითად,  
ლ. ტოლსტოის „ომი და ზავის“ გმირ ანდრია ბალკონსკის პატივმოყვარე-  
ობას, რომელიც ამბობს: „მე არავის წინაშე არასდროს არ ვიტყოდი ამას,  
მაგრამ ღმერთო ჩემო! რა ვქნა, რომ მე არაფერი არ მიყვარს ისე, როგორც  
სახელის მოხვეჭა, ხალხის მოწონება. როგორი ძვირფასი არ არიან ჩემთ-  
ვის მამა, დედა, ცოლი, მე მათ ყველას გავსწირავდი ერთი წუთის დიდება-  
ზე, ხალხზე სადღესასწაულოთ. ამ ხალხის სიყვარულის მოსაპოვებლად,  
რომელსაც მე არ ვიცნობ და არც არასდროს მეცნობაო.“

ველურის პატივმოყვარეობას ერთი რამდენიმე გარეული ნადირის მო-  
შინაურება სრულიად დააკმაყოფილებს, ან რომელიმე ზიზილ-პიპილას  
ჩამოკიდება, დღევანდელი იმპერიალისტებისას კი მილიარდი ეწირება.  
ცხადია, პატივმოყვარეობას იწვევს სულიერი ფუქსავატობა, მაგრამ ისეც  
ცხადია, რომ თანამედროვე კულტურული კაცის სული ველურზე არანაკ-  
ლებ გამოფიტულია. მხოლოდ სხვა მიზეზით, ველური უვიცობით, ეგოიზ-  
მით და დღევანდელი კულტურული ადამიანი კი თავისი განუსაზღვრელი  
ეგოიზმით და ვნებათა აშვეებულიობით და თუ ველური თავის გულუბრყვი-  
ლობით ამ თვისებას ვერ ფარავს და აშკარად იჩენს, დღევანდელი კულ-  
ტურული მამაკაცი გულუბრყვილობას დიდად დაშორებულია, განსაკუთ-  
რებით ევროპელები, რომლებიც ცხვარის ტყავში გახვეული მგლების გუ-  
ლით მიმოდინა ცხოვრების მოედანზე.

ჩვენ საკმარისად დავინახეთ, თუ როგორ ფიზიკურ და ზნეობრივ გახ-

რწილობამდე მიიყვანა თანამედროვე ოჯახი და საზოგადოება ერთი სქესის უპასუხისმგებლო ბატონობამ. ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ ის ეპოქა, რომელიც უფრო მდიდარია ავხორცობით, მდიდარია აგრეთვე სისასტიკით, რადგან ეგ ორი ვნება ერთიმეორეს განუყრელი თანამგზავრია.

ადვილად წარმოსადგენია ვის უფრო დაჩაგრავდა ის ეპოქა: დედაკაცს, ამ ხანებში ფიზიკურად დასუსტებულს და იურიდიულად უფლება აყრილს არსებას, თუ მამაკაცს – ღონიერსა და პიროვნული თავისუფლებითა და მოქალაქური უფლებებით აღჭურვილს? რასაკვირველია პირველს! და ყველაზე მეტად ღარიბ, მარტოხელა ქალს, რომელიც ასეთ უთანასწორო პირობებში ვერ უმკლავდება საარსებო ბრძოლაში უფლებიან მამაკაცის კონკურენციას. განა, ბევრი შესძლებს ისეთი სიგმირის გამოჩენას, რომ გადალახოს ცხოვრების ათასნაირი უკუღმართობანი და ის დაბრკოლება, რომელიც მას ხელოვნურად წინ ეღობება? ძლიერ ცოტა!

და აი, ჩვენ დავინახეთ თუ რა გაჭირვებაში ჩავარდნილი ქალები ბიწიერებას მსხვერპლად ეწირება, რომელშიაც ერთხელ ჩავარდნილს არავინ ხელის გამწოდებელი და პატიოსან გზაზე ამყვანი არ უჩნდება. როდესაც დიდმა ბრიტანიამ და საერთაშორისო ფედერაციის განყოფილებამ გამსბურგში 1899 წელს მოაწყო პროსტიტუტების შეკითხვა – განაგრძობდნენ ესენი თუ არა გარყვნილებას, სხვანაირად რომ შესძლებოდათ თავის რჩენა? შემდეგი პასუხი მიიღო მათგან: „რა საქმე უნდა ვიშოვო, როცა ყველას ვეზიზღები?“ მეორე სწერდა, საავადმყოფოში ყოფნის დროს ყველას ვევედრებოდი შველას“. მესამე სწერდა, რომ მას დედობილის 700 მარკა მართებს და სანამ ვალს არ გადაიხდის, მას არცერთი პატრონი სახლისა სახლში არ შეუშვებს! და სხვა. ჩვენმა გაზეთის მკითხელმა უწყის, თუ როგორ სასტიკათ უჭირავს გარყვნილებას თავის გამხრწნელს ბრჭყალებში თეთრი მონები საპოლიციო საექიმო ზედამხედველობისა და პროსტიტუციის რეგლამენტის წყალობით.

ერთი სიტყვით, ქალთა ზნეობრივად დასაღუპათ ყოველგვარი ცხადი და ფარული ნიადაგია მომზადებული თანამედროვე საზოგადოებაში, მაგრამ არავითარი პირობები მისი ადამიანური პიროვნების და შემოქმედებითობის განვითარებისთვის. ბიწიერებასა და სიგარყვნილეს დედაკაცასთვის განსაკუთრებით ვნება მოაქვს მით, რომ დედაკაცის სქესობრივი გრძნობიერება დაკავშირებულია ტვინის აზროვნების ნაწილთან, როცა მამაკაცის იგივე გრძნობიერება ტვინის პოლიგონალურს ნაწილში დევს, ე. ი. არა აზროვნების სფეროში და თუ ასეთი კავშირი ვნებისა აზროვნების ნაწილთან

სასარგებლოა დედაკაცისთვის მით, რომ მას შეუძლია ვნებათა ლტოლვის შეკავება მამაკაცზე მეტად, სამაგიეროდ, ავხორცობას მამაკაცისთვის ინტელექტუალურად იმდენი ზიანი არ მოაქვს, რამდენადაც დედაკაცისთვის, რადგან განუწყვეტელი ვნებათა აშლილობა და ხელოვნურად გაღიზიანებული ვნებითი გრძნობიერება ფლობს დიდი ტვინის ნაწილს, აჩლუნგებს მის ნივთს აზროვნებისას, რომელსაც მიყავს ქალი გონებრივ და სულიერ გამოთავსებაში. ამის მაგალითს ჩვენ ვხედავთ როგორც უმაღლესი წრის კურტიზანებში, ისე პროსტიტუტკებში, განსაკუთრებით მათში, ვინც ფიზიკურად მომწიფებამდე შესდგომია ამ დამღუპველ გზას.

ამ საშინელს მოვლენას კაცობრიობისთვის რამდენადაც დედრობითი სქესის ინტელექტუალური სიჩლუნგე, მასაც სიჩლუნგეს უქადის, „დედის უწმინდეს მოვალეობას“ მყვირალი ანტიფემინისტები არათუ ყურადღებას არ ქცევენ, არამედ პროსტიტუციის იდეოლოგიებიც გამოდიან და გვარწმუნებენ, რომ როსკიპობა არის ბუნებრივი მდგომარეობა დედაკაცისა და რომ სცდებიან ის სოციოლოგები, რომელნიც მას ეკონომიური მიზეზით ხსნიანო. საყოველთაო ზნედაცემულობამ მიიყვანა მამაკაცების უმრავლესობა იმ დასკვნამდე ყველა ქვეყანაში, რომ ქალების ერთი ნაწილი უნდა იყოს მუქთი, უპიროვნო მოსამსახურეები თავიანთი ქმრებისა და მეორე ნაწილი კი შეწირული საზოგადო ტემპერამენტის მსხვერპლად. ცხადია, ასეთს მდგომარეობას თავისი სქესისა და ძალმომრეობას კონონმდებელ მამაკაცებისა გულგრილად ვერ გადახედავდნენ უკეთესი მოაზროვნე ნაწილი დედაკაცებისა და აი, იფეთქა კიდევ აღწფოთებულმა თავმოყვარეობამ ჩრდილოეთ ამერიკის და დიდი ბრიტანეთის მოწინავე ქალებისამ, რომელთა მოძრაობის გასროლილი, ძლიერი ტალღა მთელს მსოფლიოში გაიტყორცნა და თითქმის დღეს ყველგან, ოდნავ კულტურულ ქვეყნებში, ქალები თავის არა-ადამიანური უფლებისა და პიროვნების დასაცველათ აამხედრა.

აი, მიზეზი ქალთა მოძრაობისა, რომლის მიზანია დაიცვას თავისი სქესი იმ გახრწინისა და გონებრივი გადაგვარებისგან, საითკენაც ასე ურცხვად და ტლანქათ ისვრიან ხოლმე გაჭირვებაში მყოფ ქალებს უზნეო ეგოიზმით დაბრმავებული ნაწილი მამაკაცებისა.


რჩევა და დაპირება დღევანდელი სოციალისტებისა, რომ ქალები განთავისუფლდებიან სოციალიზმში, პროლეტარიატის განთავისუფლებასთან ერთად, ჩვენ თვალში ამართლებს იმ ანდაზას, რომელიც ამბობს „პეტრეს მოსვლამდე პავლეს ტყავი გააძვრესო“ და ამისთვის ვდგამთ რა დამოუკიდებელს ნაბიჯს, ჩვენ განვაგრძობთ ჩვენი უკეთეს შორეული დების არჩეულ

გზაზე სვლას. იმედია, რომ ქალები განთავისუფლდებიან პროლეტარიატის დიქტატურის დროს. კიდევ შესაძლებელი იქნებოდა გვეჩინოდა, რომ პროლეტარი ქალ-ვაჟი ერთნაირ პირობებში დაგვენახა დღეს უფლებრივად. დღევანდელი ქალთა მონობით სარგებლობს არა ერთი რომელიმე კლასი მამაკაცებისა, არამედ ყველა კლასის მამაკაცების უმრავლესობა ერთნაირად. ჩვენ ვერსად ვერ ვნახეთ ისეთი გლეხი და მუშა, რომელსაც უერყოს თავისი უფლებრივი პრივილეგია მამისა და მემკვიდრისა თავიანთი დებისა და ცოლების წინაშე. თეთრი მონებით სარგებლობენ არა მარტო ბურჟუზები, აგრეთვე თავათ ქალთა „განმათავისუფლებელი“ პროლეტარიტი და მშრომელ გლეხთა შვილები, ჯარისკაცნი. ქალთა უპიროვნო ცხოვრება და მოქალაქური უუფლებობა იმდენად მწვავეა ყოველი შეგნებული დედაკაცისათვის, რომ ჩვენ ვფიქრობთ, მისი სიმწარე ოდნავ მაინც რომ ხვდებოდეს მამაკაცის გულს, თანამედროვე სოციალისტები ასეთ რჩევასაც არ მოგვემდინენ, რომ სოციალიზმის განხორციელებამდე მონების უღელი მოთმინებით სწიეთო. უფლებრივ საკითხში ქალებსა გვაქვს საერთო ინტერესი და სანამ ქალ-ვაჟთა პოლიტიკური და მოქალაქური უფლება არ იქნება თანასწორად სწორუფლებიანი, მანამ არ იქნება შესაძლო ამ საერთო ინტერესის უარყოფა და ქალთა მოძრაობის ამა თუ იმ პარტიულ სიაში მოთავსება.

საერთო ბრძოლამ ქალებისამ გატეხა ინგლისის პარლამენტის კარები. რომელსაც იქაური მთავრობა აგრე შეუპოვრად ურზავდა ქალებს და გახადა ისინი სწორუფლებიანი და საერთო მოძრაობა მოგვანიჭეს ჩვენც ადამიანისა და მოქალაქის უფლება, თუ რომ ქართველი და რუსის ქალები უუფლებოთ დაგვეტოვა მამაკაცების დამფუძნებელმა კრებამ ახლო მომავალში.

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ თანდათანობით დაამონა დედაკაცის პიროვნება მილიტარიზმის განვითარებამ. ქალთა სწორუფლებიანობის განმტკიცების დროს თავისუფალი მოქალაქე დედრობითი სქესი პირველ თავის ძალას და უფლებას გამოიჩინეს ამ ბარბაროსული სახემწიფოებრივი ფუნქციის აღმოსაფხვრელად. რომელსაც მისგან ნაშობი კაცობრიობა მსხვერპლად ეწირება. მილიტარიზმმა დაამონა დედაკაცი და თავის განთავისუფლებასთან ერთად დედაკაცი მოსპობს მას, რომელმაც ამდენი სიმხეცე და ბოროტება შემოიტანა და დასთესა კაცთა ცხოვრებაში. თავისი ხანგრძლივი ტანჯვის სამაგიეროდ, ამ სიკეთით გარდაუხდინა მამაკაცებს უფლებიანი ქალები.

თამთა მელაშვილი „კატომიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები“, ჰაინრიხბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, 2013;







---

## მიხეილ (მიხაკო) წერეთელი

(1878-1965) – ქართველი მეცნიერი ძველი აღმოსავლეთის ისტორიის დარგში, ფილოლოგი, პუბლიცისტი, სოციოლოგი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი, ქართული ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური დელეგაციების მონაწილე. ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გახლდათ რამდენიმე ევროპული უნივერსიტეტის პრინციპალ-დოცენტი და პროფესორი.

## პასუხი პროტესტანტებს

### I პასუხი სოციალ-დემოკრატებს

როგორც მოსალოდნელი იყო, ბ. ბ. სოციალ-დემოკრატები ძლიერ გამაწარა ანარქისტების მოვლინებამ, განსაკუთრებით ჩვენი. საკვირველიც არ არის, – ყოველი უაზრო და დოგმით ტვინ-გალაყებული ადამიანი ჭკუაზედ იშლება, როცა სხვას, მოწინააღმდეგე აზრის ადამიანს საზოგადო ასპარეზზედ გამოსულს და თავის აზრთა გამავრცელებელს ადამიანთა შორის ხედავს.

დიდი ხანი არ არის, რაც ანარქისტებმა ჩვენი აზრების გავრცელება დავიწყეთ. სოც-დემოკრატებმა ჯერ იკლიკანტური და უშრო ოხუნჯობა დაიწყეს თავიანთ გაზეთში, და სდუმდნენ, – არც ერთ პრინციპიულურ კითხვაში არ გამოგვეკამათნენ, მხოლოდ უკანასკნელად დაიწყო ბ-ნმა ლეომ პლენხანოვის კაი ხნის ნაცოხნის ცოხნა. მისთვის პასუხის მიცემა-პლენხანოვის წინააღმდეგ გათავებული პოლემიკის დაწყება იქნება, მაგრამ, რა გაეწყობა, – უნდა დავცალოთ ფიალა ტანჯვის, და უნდა გადავღვტოთ თავის დროზედ ბ. ლეოს ათასჯერ გადაღეჭილი ერთი და იგივე ელემენტარული ცნებანი, თუ მისმა რკინის შუბლმა ისევ არ გამოსტყორცნა ცერცვივით, რასაც ზედ შეაყრიან.

ეხლა კი სხვა საგანზედ უნდა გავსცეთ პასუხი ბ-ნ სოც-დემოკრატებს, – ამ წერილში სწორედ ბ-ნ სოც-დემოკრატებს, შემდეგში მუშებს და მერე კიდევ მოსწავლე-ახალგაზრდობას. ეს შეიძლება იწყინონ როგორც ბ-ნ სოც-დ-ებმა, ისე მუშებმა, როგორ თუ, ეს ორი ცნება ერთი და იგივე არ არისო, მაგრამ რა ვქნათ, რომ არ არის, განა ჩვენი ბრალია, და რომ სოც-დ-ებს შეიძლება ეს ერთი და იგივე ეგონოთ, – განა მათი ინდაურობა ჩვენ დაგვბრალებდა?

ბ. ბ. სოც-დ-ებო! ერთი მიპასუხეთ, რამ აგაღრიალათ ასე მწარედ? რა მოხდა, რამ მოგიწამლათ სულის სიმშვიდე? ერთი თქვენთაგანი, – სახელს არ აწერდა, – ჩვენ გიუხებს გვიძახოდა. უნდა შევნიშნო, რომ ეს ახალი მოვლენა არ არის; მაგ უაზრო ქმნილებას ალბად სადღაც გაუგონია, რომ ბურჟუებმა ანარქისტების წინააღმდეგ ერთი საშუალება იხმარეს; სიგიჟეს შესწამებენ ხოლმე და საგიჟეთში ამწყვდევდნენ მათ, რომ სხვა საშუალება აღარა აქვთ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად.

ასე უქნეს პრენანს საფრანგეთში, ასევე უპირებდნენ ლუიზა მიშელს,

კომმუნის ამ საუკეთესო გმირს. ს-დ-ებმა, რასაკვირველია, როგორც ყოველისფერი, ესეც ბურჟუაზიისაგან გადაიღეს ანარქისტების წინააღმდეგ (სხვათა შორის „დანოსი“) და ჩვენი ქართველი ს. -დ. -ები რასაკვირველია ფეხის ხმას უნდა აყვნიენ, სისულელეშიდაც უნდა განამტკიცონ „ინტერნაციონალური სოლიდარობა“, მაგრამ ერთი მაკვირვებს – სხვისგანაც ხომ არ გაუგონია სიტყვა „გიჟი“ „ლამპრის“ მართლაც და ლაფშ-მოხეულ წირპლიან პუბლიცისტს? მაგონდება, ერთხელ ფილიპე გოგიჩაიშვილმა დაუძახა „გიჟი“ ფ. მახარაძეს, ფ. მახარაძემ ფ. გოგიჩაიშვილიც გალანძღა და მასთან ერთად ერთი ამ დროის „ივერიელიც“. ამ უკანასკნელმა კი ფ. გოგიჩაიშვილს წაჰხედა და ფ. მახარაძეს მანაც „გიჟი“ უწოდა, შემდეგ კი დასტოვა <> და „გიჟთან“, ფ. მახარაძესთან ეწევა ახლა ხალხის განათლებას! ეს ის ვაჟბატონი ხომ არ არის თვითონ, ეხლა რომ „გიჟი“ გვიწოდა, ან მისგან ხომ არ უსწავლია სიტყვა „გიჟი“ „ლამპრის“ შეუდარებელ პოლემისტს? პირველ შემთხვევაში მოვაგონებთ „ზნეობა ფაქიზ ქვეწარმავალს“ რომ არის ერთი ანდაზა, რომელიც მან ძლიერ კარგათ იცის: *Le chien revient à son vaumissement*, მეორე შემთხვევაში კი ქართული ანდაზაც ეყოფა, – წამხედურამ წაიხედა და ... მაგრამ მიუხედავად თქვენ მიერ „გიჟის“ წოდებისა და მშვენიერი ლექსისა, კი მართალი მოგახსენოთ, მართლა ფიქრს ეძლევა კაცი, – ხომ არ გაგიჟებულხართ, ბ. ბ. მეცნიერნო ს. დ-ისაც!

თქვენ რომ ყოველთვის იეზუიტები იყავით და თქვენთან წმინდა კამათი და ლაპარაკი არ შეიძლებოდა, – ეს კაი ხანია ვიცოდი. თქვენ რომ ყოველთვის ფანატიკოსები და არავითარი საშუალების დამზოგველები არ იყავით მოწინააღმდეგის მოსასპობად, როგორც კათოლიკები, – ესეც ძლიერ კარგათ ვიცოდი და ვიცი ეხლაც. თქვენი ისტორია ევროპაში რომ სამარცხვინოა, განსაკუთრებით ინტერნაციონალში 1872 წლამდე და შემდეგ კიდევ ხომ უარესი, – ეს მგონია თქვენც კარგათ იცით, რომ სინდისი გქონოდესთ სიმართლის აღიარებისა. თქვენ წინააღმდეგ რომ მთელი ქვეყნის პროლეტარიატი ეხლა ამხედრებულია და კრეტინებს გიწოდებენ თქვენი მემარხენენიც კი – ესეც ხომ კარგად მოგეხსენებათ. თქვენი კონგრესები რომ საზიზღარი სცენების მოწამენი იყვნენ ხოლმე, განსაკუთრებით 1893 წლიდამ, – ამაზედ ჰკითხეთ ბებელს და პლენანოვს ერთ მხრით, და დომელა ნიევენჰაისს და ჩიპრიანის მეორეს მხრით; ეს უკანასკნელი ისე გააბრაზა თქვენმა საქციელმა, რომ მთელი ქვაბი დინამიტით უნდოდა აეფეთქებინა ციურისის კონგრესსი, თუმცა იგი უფრო ს. დ-ია, ვიდრე ანარქისტი.

თქვენ რომ საქართველოში საზიზღრობა ჩაიდინეთ, და რაც ჩვენ გითხარით ძარცვისა, ყვლეფისა, ფანატიზმისა და ინკვიზიციის ამბები, თქვენ მიერ ჩადენილნი, – ესეც ხომ ჩვენზედ უფრო კარგად მოგეხსენებათ. შეიძლება თქვენი ჟულიკობის ისტორია მერე დაიწეროს საქართველოში, და მაშინდელისთვის ამზადებთ პასუხს, რატომ არ მოიყვანეთ არც ერთი წინააღმდეგი საბუთი „მუშისა“ და „ნობათის“ წინააღმდეგ? რას იტყვით გმირებო? ჩვენ რომ პირველად აქ დავიწყეთ მოქმედება და თქვენ ხალხში იმას გვიყვიროდით, – ანარქისტებს დედები შვილებს უნდა შერთონ და დები ძმებსო, იცოდით რა, რომ ეს უფრო აღაშფოთებდა ხალხის გულ-უბრყვენელ მნობას, – ესეც ხომ ფაქტია; პირადად მე გავხდი ამისთანა ცილისწამების მსხვერპლი. თქვენ რომ მიტინგებზედ არავის არ ალაპარაკებდით – ხალხი ჩვენიასო, თანაც იეზუიტურად ილრიტებოდით – რა ვქნათ, ხალხს არა სურსო, – ესეც ხომ ფაქტია? თქვენ ბოიკოტი გამოაცხადებინეთ ხალხს ერთგან, ერთ საქმეში, (ამისი პირადი მოწამეც ვარ), რომელიც საქვეყნო იყო, – თქვენი ბინძური თავ-მოყვარეობით, – ესეც ხომ ტყუილი არ არის? თქვენ რომ ლიტერატურასა სწავდით, კარგა ხანია მას აქეთ, – როგორც რუსეთში, – უწინაც და ეხლაც – ისე საქართველოში – განსაკუთრებით „ნობათსა“ და „მუშისა“ (ძველ „მმსა“) რომ ახევდით ხელში დამტარებელ ბავშვებს და სცემდით, – ესეც ტყუილია? ყოველივე ამის შემდეგ, თქვენ რომ სინდისი გქონდეთ და მართლაც ინკვიზიტორები და იეზუიტები არ იყოთ, სხვას წაუკითხავდით სახარებას თავზედ? (მე თქვენი ინკვიზიტორობის საქმეებიც მსმენია, მოწმედ თქვენივე დეპუტატი შეიძლება რომ იყოს; თვითონვე გიამბობთ, თუ გასურთ, „დუმიდან“ რომ დაბრუნდება). რამდენი რამ უნდა ჩამოვთვალოთ, რომ თქვენ თვითონვე არ იცოდეთ, მაგრამ ყველა ეს არ მაკვირვებს, ყოველივე ეს იაკობინური პარტიისაგან არ არის გასაკვირველი. სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლების შეზღუდვა, რწმენისა და სინდისის მონოპოლია, განუსაზღვრელი ფანატიზმი, და იეზუიტისმი, – ეს იაკობინელთა საქმე იყო ყოველთვის, მაგრამ ისეთი შეუბრალებელი კაცის კვლა, როგორც მაგალითად მიხაკო სანაძის მოკვლა ხონში, ხალხის ძარცვა-გლეჯა, ხარკის დადება ღარიბ-ღატაკებზედ და უმზგავსო დევნა სხვა რწმენის პარტიათა თქვენისთანა მართლაც ნერონისებური საშუალებით, – ეს უკვე იაკობინიზმს აღემატება. ჩემის ფიქრით, ამის მიზეზი ის არის, რომ თქვენ პატარა კრეტინები ხართ და სულით მდაბალი ქვე-მძრომები დიდი რევოლუციის იაკობინელებთან შედარებით. ყოველ თქვენგანს თავი რობესპიერი ან სენ-ჟიუსტი ჰგონია, მაგრამ ისიც არ უნდა დაგავიწყდესთ,

რომ თქვენ უნიჭო, უძლური და კრეტინი სენ-ჟიუსტები და რობესპიერები ხართ, რაიც შორს ვერ წაგიყვანსთ და სახელს ვერ მოგიხვეჭავსთ.

მაგრამ, მართალი მოგახსენოთ, ყოველივე ეს კი არ გამკვირვებია ასე ძლიერ. – თქვენი ჭირი ძველია, ცნობილია, მე პირადად ამ ჭირში ვბერდები. ყველაზედ მეტი თქვენი კრეტინობა იმაში გამოიხატა, რომ მუშებისაგან ხელ-წერილებსა ჰკრებთ და გვეუბნებით, „მუშას“ სახელი გამოუცვალეთ, ჩვენთვის ეს შეურაცხმყოფელიაო. ეს პირდაპირი კრეტინიზმია, რომ შიგ მართლაც ბინძური დემაგოგობა (თქვენი სიტყვა?) არ იმალებოდეს. ამის უფლება თვით თვითმპყრობელობასაც არა აქვს. მას შეუძლია დახუროს გაზეთი, ციმბირში გაგზავნოს, დაგახიოს, მაგრამ გიბრძანოს – გაზეთი ამა თუ იმ სახელით გამოსცე, ან სახელი გამოუცვალე, ამისთანა ბრძანება თავის დღეში არ მოსვლია ფიქრდაც არც ერთ დესპოტსა და არც ერთ პოლიციის პრეფექტს! ამას მარტო სოციალ-დემოკრატები თუ იზამენ! მალე დაივლით, შეიძლება, არა სოც-დემოკრატების ოჯახებს და ვისაც მოუნათლავი ბავშვი ეყოლება, – უბრძანებთ არ დაარქვან ან ნოე ან ისიდორე, ან გიორგი, – და დარწმუნდით, ეს სიტუტუცე თქვენ მიერ უკვე ჩადენილზედ უფრო სასაცილო იქმნება. ასე რომ, ეს პროტესტი – პროტესტი კი არა, დარწმუნდით, სიტუტუცეა!

იმუქრებით ბ. სოც-დემოკრატებო? გვრწამს თქვენი მუქარა, მთელი ბურჟუაზია თქვენ მხარეზეა, კაცის მკვლელები (ლეკები???) ბევრი გყავსთ მოსყიდული და არა-მოსყიდული ფანატიკოსიც, „დანოსებიც“ გემარჯვებათ; რატომ არა, გამარჯვება თქვენი იქმნება! მაგრამ იცოდეთ, თქვენი არ გვეშინია! თვითმპყრობელობა, ჯარი, პოლიცია, ბურჟუაზია, – ყველა ეს ჩვენზედ უფრო ძლიერია, მაგრამ მათი არ გვეშინია. თქვენც მათ მიემატეთ ჩვენს წინააღმდეგ, – არაფერია; ისტორიაში ჩვენ წილად გვხვდა ტანჯვა და წამება ყველა მთავრობათაგან და იეზუიტთაგან, – თქვენ ხომ მათი გამონაკლისი არ იქმნებით. მაგრამ ესეც არის, რომ სხვა „პარტიების“ ცემას რომ სჩვევიხართ, – ისინი არ გეგონოთ! ჩვენს შესახებ სჯობია ასჯერ გაზომოთ და ერთხელ გადასჭრათ!

დასასრულ – მშვიდობით ბრძანდებოდეთ ბ. სოც-დ-ებო! თქვენში კიდევ მეგონა ადამიანობა, მაგრამ თურმე მსგავსიც არა ყოფილა-რა. მაგონდება ეხლა უფრო ნათლად ერთი დიდი წიგნი: „ინკვიზიციის ისტორია“ ჩარლზ-ზალისა. დიდი შთაბეჭდილება იქონია ჩემზედ, რომ შემაზიზღა საზოგადოთ რელიგია და მისი ორგანიზაციები ჩვენ წუმპით აღსავსე დედამიწაზედ. ეხლა სრულიად დავრწმუნდი, რომ თქვენსა და მათ შორის დიდი მსგავსება ყო-

ფილა. ამის შემდეგ არ მსურს თქვენთან ლაპარაკი ლანძღვა გინებისა და სინდისიერების თემაზე, რადგანაც პატიოსან ადამიანად არ მიმაჩნია ს-დ-ს საშუალო ტიპი. მე უარვყოფ თქვენს ზნეობასა და პატიოსნებას, – ეს არის ეხლა ჩემი რწმენა, შეიძლება შემცდარიც, მაგრამ მაინც რწმენა, – და ამ შემთხვევაში ლაპარაკი თქვენთან ჩემის მხრივ უზნეობა იქნებოდა.

P. S. ერთი რჩევა: მიდით „Городъ Кавказа“–ს რედაქციაში და უბძანეთ, – სახელი გამოუცვალონ, – რა ნება აქვს ერთი მუჭა ხულიგანს მთელი კავკასიის სახელით ილაპარაკოს?...

## II პასუხი მუშებს

მაპატიეთ, მუშებო, თუ თქვენ, ეგრეთ-წოდებულ ხელმძღვანელებს, ს-დ-ებს პატივის ცემით ვერ მოვეპყარი, ნუ ჩასთვლით თავს შეურაცხყოფილად ჩემ მიერ, კაცს რომ მაგალითად მღვდელი, ეპისკოპოსი და მთელი საეკლესიო საავაზაკო ორგანიზაცია რომ არ უყვარდეს, რომელთაც აგრეთვე სჩვევია „ხელმძღვანელობა სამწყსოსი“, – ეს იმას ნიშნავს რომ თვით ეს „სამწყსო“ არ უყვარს მას და შეურაცხყოფს – სრულიადაც არა. მე, მაგალითად ყველა ეგრეთ წოდებული „ხელმძღვანელები“ მეზიზღება, რადგანაც ვიცი მათი საქმეები, თუ რა ჩაუდენიათ მუშათა მიმართ მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში, – ვიცი ეს და მიტომაც არის ჩემი იდეალი: განთავისუფლდეს მუშა ყოველ ამგვარ ხელმძღვანელთაგან და თავისი შეგნებით, თავისივე ძალ-ღონით განთავისუფლდეს ყოველგვარ გაბერილ ხელმძღვანელთაგანაც და ყოველ სხვა ბატონთაგანაც. მე მართლაც მრწამს თვით მუშების დევიზი, – მუშათა განთავისუფლება უნდა მოხდეს თვით მუშათა მიერო, – და მიტომ არა ვსთვლი ნამდვილ სოციალისტად არც ერთ „სოციალისტურ“ პარტიას, რომელსაც მიზნად გაუხდია მუშათა „ხელმძღვანელობა, ე. ი. მათი ხელში ჩაგდება, მათი გაფანატიკოსება, მათ ზურგზედ თავისი დიდების აშენება და პირადი თავ-მოყვარეობის დაკმაყოფილება. იყო დრო, ევროპაში მაგალითად, როდესაც მღვდლები ჰპატრონობდნენ და ხელმძღვანელობდნენ მუშებს, – ეხლაც არის ბევრი მუშათა ოჯახები, რომლებიც მღვდლების გავლენას ემორჩილება, – და ეს „ღვთის მსახურნი“ ჩემთვის საზიზღარნი და მავნებელი ქმნილებანი არიან შემდეგ მათი ადგილი სოც. დემ-მა და სხვა „პოლიტიკურ პარტიებმა და-იკავა, ჩვენში კი მარტო სოც. დემ-სა ჰყავს შეპყრობილი ხალხი და კერძო საკუთრების უფლებასაც კი სჩემობს მასზედ, თითქოს მფლობელობით დაეტოებინოს იგი. ევროპაში თითქმის სულ განთავისუფლდა ხალხი მათი

კლანჭებიდგან, – გერმანიისა და ბელგიის გარდა, – ჩვენში კი ჩემთვის სასურველია, რომ განთავისუფლდეს! – ამაზე მოვდით გული, მუშებო? დარწმუნდით, – უსაფუძვლოა ეს გულის მოსვლა და წყრომა, თუ დაუფიქრდით.

თქვენ იწყინეთ, – ანარქისტებს უნდათ ჩვენს თვალში დაამცირონ სოციალ-დემოკრატია და თავისი სახელი უნდათ გაიყვანონ ხალხშიო. მაგრამ ეს უსაფუძვლო ბრალდებაა, რადგან ჩვენი სწავლაც და მოძღვრებაც შეძლებას არ გვაძლევს ამგვარს მიზანს ვემსახუროთ. ჩვენ უარსა ვყოფთ ყოველივე სახელმწიფოებრივ დაწესებულებას, რომელიც დამყარებული იქნება საყოველთაო და ფარ. კენტის ყრაზედაც კი. მაშასადამე თქვენი კენტების მოხარბე არა ვართ, ჩვენ არ გვინდა თქვენი არჩევნები, რომ შემდეგ ისევ ბურგზედ დაგაჯდეთ ჩვენი გამოცემული კანონებით და სარჩინად გაგიხდეთ. აბა თუ გახსოვთ როდისმე, რომ სადმე კენტის ყუთი დაგვედგას, ან შეგხვეწებოდით, – ჩვენ, ანარქისტები ამოგვირჩიეთ მეთქი. ჩვენთვის არც ქალაქის საბჭოში სადებუტატოთ მოგიციათ ხმა, არც პარლამენტებში, არც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში. ჩვენ არც გვითხოვნია არავითარი დიდება მუშა ხალხისათვის, არც ეხლა ვითხოვთ, და არც არასოდეს. თუ მათ უწოდებთ სოციალისტებს პარლამენტში გასვლით მუდამ იდგამდა თავისი პირადი ბედნიერების ტახტს ხალხის ბურგზედ, ან ხალხის კენტებზე, ვინც ბურჟუებით გაავსო ყველგან რუსეთში და ჩვენში მთელი სოციალისტური პარტია? – ჩვენ კი სოციალიზმი სულ სხვანაირად გვესმის და თავის დღეში ადამიანი ვერ შემოგვწამებს ხალხის მოტყუებას, თუ არ უნდა მართლაც ცილის მწამებელ გველად გამოვიდეს და თავისივე ულოლიკობისა და უცოდინარობის ბოლოს და ბოლოს თვითონვე შერცხვეს. მაშ ამ მხრით ხომ არა გაქვს რა სამდურავი, მუშებო, ანარქისტებთან ამ მხრით მათ არ დაგიშავს, რა მოგთხოვს? ან შეიძლება ჩვენი სოციალიზმი არ მოგწონსთ თუ ეს ასეა, მაშინ კიდევ გაგიმეორებთ, თუ როგორია ჩვენი სოციალიზმი და იმედი მაქვს მოგეწონებათ.

ჩვენი სოციალიზმი ისეთია, როგორც იდეალად ჰქონდათ დასახული საერთა-შორისო მუშათა კავშირის წევრებს, – მუშებს: ყველა საწარმოვო იარაღები, – მიწა და სამრეწველო ქარხნები და ფაბრიკები მუშათა თავისუფალ კავშირთა ხელში იქნება. ეს კავშირები შეეკვირიან ერთმანეთს ფედერატიულად და თავისუფლათ მოაწყობენ წარმოებას. აღარ იქნება აღარც მძარცველები და მგლეჯელები, აღარც სახელმწიფო, ე. ი. ჯარი, პოლიცია, მსაჯული, საპყრობილე და ჯალათი, – არამედ თავისუფალი, კომუნისტური წარმოება, თავისუფალი კავშირი მშვენივრად, მეცნიერუ-

ლად აღზრდილ მწამოებელთა შორის, რომელთაც ძალდატანება და კისერში ცემა არ დასჭირდებათ, რომ ცხოვრების საერთო მიმდინარეობაში მიიღონ გონიერი მონაწილეობა. ეს არის ანარქია, და არა არევა-დარევა, როგორც გეუბნებიან მუდამ თქვენი, „პატიოსანი“ და სხვისი აზრის „პატივის მცემელი“ ხელმძღვანელი სოც. -დემოკრატები. მოიგონეთ გურიის მოძრაობა. იქ თვითეულ სოფელსა ქონდა თავისი პატარა თავისუფლება: აღარც პოლიციელი, აღარც მღვდელის ბატონობა, – აღარც მემამულისა, აღარც მსაჯულისა, – ყოველივე გაჰქრა. სახელმწიფო უარყოფილ იქმნა. წარმოიდგინეთ, რომ ამგვარად მოაწყეს საქმე ყველა სოფლებმა და მერე შეერთდნენ თავისუფლად. ვსთქვათ, რომ ქალაქებშიდაც იგივე მოახდინეს მუშებმა და ასე, ამგვარად მთელ ქვეყანას, ან მარტო ევროპას მოედო ამგვარი წესი ცხოვრებისა. თვითოეული თემი თავის წარმოების სახსართა მიხედვით თავისუფლად აწარმოებს და იმავე დროს შეეკავშირებულია სხვა მწარმოებელ თემებთან წარმოებითი კავშირით. მათ შორის მუდმივი დამოკიდებულებაა, მუდმივი ცვლა წარმოებისა, საწარმოო იარაღთა და აგრეთვე აზრთა; მათ შორის ძალ-დატანებითი არ არის რა, არამედ ბუნებრივი, თავისუფალი და მოთხოვნილებათა მიერ გამოწვეული ათასნაირი ურთი-ერთობანი. – აიღეთ ამგვარად მოწყობილი საზოგადოება და ეს არის ის, რასაც ჩვენ კომუნისტებს ვუწოდებთ.

– გურიაში ხომ აღარ იყო არც პოლიციელი, არც მსაჯული, არც საპრობილე, და წამება ადამიანის, – შემდეგ, ზემოხსენებულ საზოგადოებაში სრულიად მოსპეს, ძირიანად ამოაგდეს ყველა დაწესებულებანი, რომელნიც გურულებმა უარ ჰყვეს, – და ესე იქმნება ანარქია, ე. ი. ის წესი ცხოვრებისა, როდესაც აღარც პოლიცია, აღარც ჯარი, მსაჯული, და ციხე აღარ იქმნება. ერთი სიტყვით, – ჩვენი სოციალიზმი – კომუნისტური და ანარქიულია, და ეს არის ჩვენი იდეალი. შეადარეთ იგი არა იმას, რაც სოც-დემოკრატების წიგნებში ამოგიკითხავსთ (მათი კოლექტივიზმი), არამედ იმას რაც თქვენთვის სურვილია, თქვენი იდეალი, – და სთქვით, – არა ხართ თქვენც ამ მხრით „ანარქისტები?“ და თუ ხართ, რაღა სამდურავი გაქვთ ამ მხრით ჩვენგან?

ან იქნება ჩვენი ბრძოლის საშუალებანი არ მოგწონთ? ვნახოთ, როგორ იბრძვიან ს. დ-ები და როგორ იბრძვიან ანარქისტები. არ გეწყინოთ და გულახდილად გეტყვით, რუსეთში, განსაკუთრებით საქართველოში, ხარკის დადება და უდანაშაულო კაცის კვლა რომ გამოვაკლოთ, ს. -დ-ები ანარქისტულად იბრძვიან! მაგრამ აქ არა გაგიკვირდესთ რა, ეს იმიტომ რომ რევოლუციის ქარიშხალი ჰქროდა ჩვენში და რევოლუცია კი ძალა-უნებურად



ანარქისტებს ხალხს. ესეთია რევოლუციის კანონი. საყოველთაო გაფიცვა, შეიარაღებული აჯანყება, ტერორი, – ყველა ეს ის წესები ბრძოლისა, რომელიც კაი ხანია დაჰგმო საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია, მათ ბურჟუაზიული წესები უწოდა ბრძოლას, და თან ისეთი იკლიკანტურობით, ისეთ ხელოვნურად, რომ სიტყვათა ზღვის ტალღებს გტყორცნიან, რომ გაბედო და, მაგალითად, კაუტცის უთხრა, – რევოლუციონერი არა ხარო. მაგრამ საქმე ხომ სიტყვებში არ არის, საქმე თვით შინაარსშია, და შინაარსით დღეს მთელი ევროპის ს. -დე-ია მხოლოდ უბრალო, მშვიდობიანი, კანონიერების თავყანის–მცემელი დემოკრატიაა და სხვა არაფერი. თუ დღეს ევროპის ს. დ—ია რუსეთში რევოლიუციონურ მოქმედებას თანაუგრძნობს, თუ თვით რუსეთის ს. დ-ია რევოლიუციონერია დღეს, ამის მიზეზი, განვიმეორეთ, თვით რუსეთის დიდი რევოლუცია, და ეს კი ს. დ—ის კერძო შემონაქმედი არ არის, – იგი 1, 50 0000, ხალხის ნაღვაწ–ნაშრომია! ავიღოთ, მაგალითად, საერთო გაფიცვა. – 1886-88 წლებამდე ამერიკაში მხოლოდ ანარქისტები ჰქადაგებდნენ მას. 1886 წელს საყოველთაო გაფიცვის დროს მ ჩვენი ამხანაგი დალუპეს: პირველი დიდი საყოველთაო გაფიცვა ანარქისტების სისხლით შეიღება, და როდესაც საყოველთაო განხორციელების აზრი პირველი მისის დღესასწაულთან ერთად ევროპაში გადმოვიდა, ს. -ებმა პირველი დაგმეს, მერე კი მართლაც დღესასწაულად გადააქციეს. მას უკან მთელ ევროპაში ს. დ-ია წინააღმდეგი იყო საყოველთაო გაფიცვის და ისეთ სასაცილო არგუმენტებს აყენებდა მის წინააღმდეგ, რომ სასაცილოა მათი კრიტიკაც. შემდეგ როცა თვით მუშებმა მიიღეს ეს საშუალება ბრძოლისა და შეიმუშავეს, იგი რამოდენიმეჯერ სინჯეს და მოეწონათ, როდესაც მუშები შეერთდნენ ამ აზრზე და თავიანთი სინდიკატებიდან გამოირეკეს ს. -დ. -ები, გახდნენ რა ნამდვილ რევოლიუციონურ პარტიათ გარეშე სახელმწიფოსა, ბურჟუაზიისა და კანონიერებისა, – მაშინ აყაყანდნენ ს. -დ. -ები. ეხლა ცოტა, არ იყოს თან და თან უფრო იღებენ საყოველთაო გაფიცვის პრინციპს. ისინი იძულებულნი არიან ესა ჰქმნან, რადგანაც მუშებს დაჰკარგავენ, და მუშები რომ დაჰკარგონ, – რაღა ეშველებათ ამდენ ადვოკატებს, უპრაქტიკო ექიმებსა და უნიჭო პედაგოგებს, ან მსხვილსა და წვრილ ბურჟუებს?.

ეჰ! ბევრია სალაპარაკო საყოველთაო გაფიცვაზე და ს. -დ. -იაზედ. მაგრამ ეს შემდეგისთვის იყოს, ამ წერილში ჩვენ ვერ განვაგრძობთ დაწვრილებით ამ არა სასიამოვნო ისტორიას.

მამ საერთო გაფიცვა, მუშათა ორგანიზაცია სახელმწიფოს გარეშე, სახელმწიფოსთან და ბურჟუაზიასთან ბრძოლა, – ეს ჩვენი პრინციპები,

რომელიც ერთ დროს მთელ ინტერნაციონალის პრინციპები იყო და რომელთაც ს. -დ. -ები ჩამოშორდნენ დღევანდლამდის, დღეს კი გარემოებათა ძალით მიიღეს რამოდენიმე მათგანი, – მაშ ეს პრინციპები მოგწონთ? თუ არა, – შეცდომაში ყოფილხართ და ჩვენი ვალიც ის არის შეცდომამედ მიგითითოთ; თუ მოგწონს, – მაშ ეს არის ჩვენი, ანარქიული წესი ბრძოლისა, და ამ მხრითაც თქვენი საყვედურის ღირსნი არა ვართ.

შეიძლება ის გეჩვენებოდეთ არაჩვეულებრივად და საკვირველად, მუშებო, რომ ჩვენ ანარქისტებს „პროგრამმა მინიმუმი არა გვაქვს?“. ყველა ეგრეთ წოდებულ სოციალისტურ პარტიებს ხომ ამით მოაქვთ თავი, ამითი ჰხატვენ თავიანთი, პოლიტიკის სიბრძნესა, და ანარქისტებს კი უტოპისტებად ჰნათლავენ, – ამ პროგრამმა მინიმუმის უქონლობს გამო?

მაშ თუ ასეა, – ამაზედ მოვილაპარაკოთ და ვნახოთ, რა უპირატესობა აქვს პროგრამმა მინიმუმით აღჭურვილ „სოციალისტ“-ს „უტოპისტ“ ანარქისტის წინაშე. შეიძლება უპირატესობის მაგიერ სხვა რამ აღმოვაჩინოთ ამ შედარებაში.

რა არის „პროგრამმა მინიმუმი?“ – სოც. -დ. -ებს და სხვა „მინიმალისტებს“, რომ ჰკითხოთ, პროგრამმა მინიმუმი სწორედ მათი ჭკუის მაჩვენებელია. როგორც მეცნიერთ, მათ ძლიერ კარგად ესმით მთელი სოციალური განვითარების დედა-აზრი, აგრეთვე განვლილი და გასავლელი გზა საზოგადოებისა მათ ნათლად, ცხადად აქვთ გათვალისწინებული და ამიტომაც მათ დანამდვილებით, თითქმის ანგარიშით იციან თუ რა მოხდება, ან რა უნდა მოხდეს თანამედროვე ისტორიულ მომენტში და ამ ცოდნის, ამ ანგარიშის შესაფერად იქცევიან, ამ სინამდვილეზედ ამყარებენ თავიანთ მოქმედებას. სხვა, ევროპიელი გამამგონებელნი, რომ არ მოვიხსენიოთ პროგრამმა მინიმუმისა (მაგალითად პოლ ბრუსსი საფრანგეთში) მოვიგონოთ თქვენი წინამძღოლი მარტოვი, თავისივე კომპანიით, რომელიც გულგრილად ამტკიცებენ რუსეთის რევოლუციის რამოდენიმე თვის წინად, რომ რუსეთში პროლეტარიატი ეხლა ისე განვითარდა, რომ შესაძლებელია ბურჟუაზიული რევოლუცია: რუსეთში პროლეტარიატმა ბურჟუაზიული რევოლუცია უნდა მოახდინოსო. აი ამ წინდაწინვე რევოლუციის ანგარიშზედ ამყარებენ ისინი თავიანთ პროგრამმა მინიმუმს: ჯერ ერთი რევოლუცია – დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლად, პოლიტიკის თავისუფლებათა მოსაპოვებლად, შემდეგ მეორე რევოლუცია, სოციალური რევოლუცია რომელსაც უნდა მოჰყვეს პროლეტარიატის განთავისუფლებასო. ორივე რევოლუცია პროლეტარებმა უნდა მოახდინონ, ერთი ბურჟუაზიის-

თვის, მეორე თავისთვისა და მთელი კაცობრიობისთვისო. და სწორედ ამისთვისა ვართ ასეთი მტერნი, დაუძინებელნი მტერნი ყოველივე პროგრამმა მინიმუმისა! როგორ! საფრანგეთის დიდი რევოლუცია, რომელიც მუშებმა და გლეხებმა მოახდინეს და ბურჟუაზიამ მხოლოდ ისარგებლა ამ რევოლუციით და ისევ დააწვა ხალხს მძიმე ლოდივით მაშვრალ გულზედ, – განა ეს ჩვენთვის დიდი ისტორიული გაკვეთილი არ არის? მთელი ბურჟუაზია და მასთან ს. დ-ია გაიძახის, რომ დიდი რევოლუცია საფრანგეთში ბურჟუაზიამ მოახდინაო. ეს ისტორიული სიცრუევა, საფრანგეთში რომ 1886 წლიდან 1879 წლამდე გლეხებს არ ეწვათ და ებუგათ მემამულეებისა და მონასტრების მამულები. მუშები რომ ყოველ დიდ ქალაქებში არ აჯანყებულებდნენ ხოლმე, – განა 1789 წ. დიდი რევოლუციის ზღვა წაჭლებკავდა საფრანგეთის თვითმპყრობელ მონარქიას? თავის დღეშიდაც არა! – 1789-1793 წლებამდე რომ ბურჟუაზიული რეაქციისგან ხალხს არ ეხსნა ხოლმე რევოლუცია, განა იგი მოიგებდა იმ მცირე რამეს, რაც მოიგო? – ათასჯერ არა! და რომ ხალხს ბოლოს რევოლუციონური ძალა და შემოქმედება არ გამოლევოდა ბურჟუაზიასთან, ბურჟუაზიულ პარტიებთან და მათ ათასგვარ სიცრუებთან ბრძოლაში განა იგი განიცდიდა იმდენ დამარცხებას. განა იგი ისევ ბურჟუაზიას ჩაუგდებდა ხელში ბატონობას, და რესპუბლიკის ფორმით, რომელიც მალე ნაპოლეონის იმპერიამ შთანთქვა, ახალი სისტემის მონობას დაიმყარებდა, სადაც მუშებს შეკავშირების უფლებაც არ ქონდათ 1791 წლის კანონით, რომელიც გაიყვანა დამფუძნებელმა კრებამ? ათასჯერ და ათი ათასჯერ არა! – პირიქით, – ყველა ეს დიდი მაგალითებია თანამედროვე რევოლუციაში. ერთმა მათგანმა გულ-მოსულად დაიყვირა ხელმწიფემ არაფერი არ მოგვცა! რას მიქვიან ტაშის ცემა! – და როგორი გულწრფელი სიმართლე წარმოსთქვა ამ უბრალო შრომის შვილმა; მისი უბრალო სიტყვა – დიდ ისტორიულ სიმართლეს ნიშნავდა, – რევოლუცია ჯერ არ იყო გათავებული, იგი იმ წერტილამდის იყო მისული, რომელიც ბურჟუაზია შეასკუბდება ხალხის ზურგზე და ბურჟუაზიაც სცდილობდა შეჩერებინა იგი, რაიცა მან დაამტკიცა შემდეგ მთელი თავისი ცინიკური და გაიძვერული ღალატით.

მოიგონეთ აგრეთვე პარიზის კომუნა და ის როლი, რომელიც ბურჟუებმა ითამაშეს მის შინაგან ისტორიაში და მთავრობასთან დამოკიდებულობის ამბებში, 40, 000 მკვდარი მუშა, ბურჟუაზიის მსხვერპლი, (მაშინ უკვე რესპუბლიკა იყო გამოცხადებული) და გაიგებთ, თუ რა საშინელებაა დღეს, რუსეთში, რევოლუციის დროს, პროგრამმა მინიმუმების ჩმახვა სო-

ციალისტების მხრივ. ყოველივე რევოლუციას ხალხი ახდენს, არა მწარმოებლები კი სარგებლობენ მითი; ჯერ ხალხთან არიან, – მერე ლალატით ათი ათასობით ჰსოცავენ მუშებს. ჯერ ხალხს ჰგონია, რომ განთავისუფლდა მონობისგან, – ბრძოლის შემდეგ დაღლილი რომ გამოიფშვნეტს ხოლმე თვალებს, – გრძნობს, რომ რაღაც კიდევ დასწოლია თავზე; იგი მძლავრად შეინძრევა ხოლმე და პირველად არც კი იცის, რაშია საქმე, რა არის ეს საშინელი ლოდი, რომელიც მან უკვე ვითომ გადმოიგდო და ეხლა კი ისევ აწევს საშინელი სიმძიმით; და იგი ცოტა ხნის დაკვირვების შემდეგ ხედავს, რომ მას ისევ მიპარვია სულთა-მხუთავი მონობისა და აღრჩობს. მაგრამ გვიანდაა, – კიდევ აღიმართა ტახტი მონობამ მის ზურგზე და ვინ იცის როდის გამოიგდებს ამ ახალ აშენებულ მონობის ქვეყანას, თავისი შრომით მოხრილი ზურგიდამ!... ასე იყო ხოლმე ყოველი დიდი რევოლუციის დროს, – მის მაგიერ რომ ვისარგებლოდ ჩვენ დიდ რევოლუციაში წარსულ რევოლუციათა ისტორიით, – ს. -დ-ები გვეუბნებიან, – არა, სწორედ განგებ უნდა მოიქცე ისე, როგორც შეცდომით მე XVIII საუკუნის ბოლოში მოიქცა საფრანგეთის ხალხიო: პროლეტარიატი, განათავისუფლა ბურჟუაზიამ, მოახდინა რევოლუცია, ამას ამბობს მეცნიერება, საზოგადოებრივ მოვლენათა და ცხოვრების რკინის კანონი... მარტოვებისა და პლენხანოვების პირითო! ამას ჩვენ „პროგრამმა მინიმუმს ვუწოდებთ!“

მაგრამ მერე? ... მერე პროლეტარიატი ისევ მშვიდი და გაძარცვული უნდა დარჩეს, მუდამ მებრძოლი და მუდამ დამარცხებული ბურჟუაზიის შეკავშირებული ძალის მიერ საუკუნეთა განმავლობაში; გლეხობა ისევ „შიმშილის ტიფმა“ უნდა ამოსწყვიტოს, ბიუროკრატია ისევ უნდა ფარფაშობდეს; ომებმა ისევ ანადგურონ მილიონობით ხალხი და მილიარდობით მისი სიმდიდრე სადმე ჩინეთში ან ახლო საზღვარზე; ერები ისევ ერთმანეთს უნდა გადაეკიდონ თუ ცენტრალისტური რესპუბლიკა დაარსდა, როგორც ეს სწადიათ ს. -დ-ებს; სახელმწიფო და კაპიტალიზმი ისევ უნდა სწამლავდენ რუსეთსა და მთელ კაცობრიობას!... მხოლოდ შეცვლილი სახელით, და „პოლიტიკური თავისუფლებით,“ რასაკვირველია, ე. ი. ლაპარაკის, წერის, კავშირისა და სხვ. თავისუფლებით! – ეს არის, ეს უნდა იყოს რევოლუციის შედეგი? ამისთვის იხოცება ათასობით მუშა და გლეხი მთელი რუსეთის განუზომელ მინდვრებში და ქალაქის ქუჩებში ყაზახების ტყვიით? ამისთვის „უფემქაშებთ“ ბურჟუაზიას მთელ რევოლუციას? და რისთვის, რა კეთილი დაგაყარათ, რა ღვაწლი მიუძღვის მას თქვენს წინაშე? არა, მუშებო! პროგრამმა მინიმუმი თქვენ შეიძლება სხვა რამე გო-

ნიათ, თორემ არა მგონია თქვენც ს. დ-ებივით გულუხვი იყოთ ბურჟუაზი-ისათვის, რომ მას მთელი რევოლუცია აჩუქეთ მხოლოდ იმასათვის, რომ შემდეგ ისევ გაძარცოსთ და გაწამოსთ, როგორც ამერიკისა, საფრანგეთისა და ინგლისის ბურჟუაზია ექცევა თავიანთ პროლეტარიატს – სადაც ჩვენ-ბური ს. დ-ების პროგრამმა მინიმუმი განხორციელებულია უკვე.

რევოლუციის დროს პროგრამმა მინიმუმის წამოყენება პირდაპირ უაზრობაა (რაიც ძლიერ გამოიჩინეს რევოლუციაში რუსეთის ს. დ-მა პარტიამ) და მხოლოდ ს. დ. ის თავში თუ მომწიფდებოდა ეს მართლაც და ისტორიისაგან მომავალში დაუვიწყარი მაგალითი ადამიანის გონებრივი სილატაკისა. პროგრამმა მინიმუმი მშვიდობიან დროს კიდევ წარმოსადგენია, როცა კანონიერ მოქმედებას ეწევა რომელიმე პარტია, მაგრამ რევოლუციის წინ შემუშავება მინიმუმისა, რომ თვით რევოლუციის ბრძოლაში იხელმძღვანელოს მითი ხალხმა, ან რევოლუციის დროს მისი ქადაგება და განხორციელების ცდა, – ეს ისეთი აბსურდია, რომ მაზედ ლაპარაკიც არა ღირს, რომ ამასთანავე ისეთი დანაშაულიც არ იყოს, რომელიც საუკუნოდ მოსცხებს ჩირქს ყველა ჯიბის „მინიმალისტებს“.

ვის შეუძლია რევოლუციის წინ იანგარიშოს, თუ როგორი სიძლიერის, როგორი სიდიადისა იქმნება რევოლუცია? ვის შეუძლია იანგარიშოს მისი მამოძრავებელი ძალები, ამ ძალით მოძრაობა ისე, რომ შეიძლებოდეს წინასწარმეტყველება, რევოლუცია ამა და ამ ადგილზედ გაჩერდება მისი ძალები და ამ ოდენობის იქმნება და მოწინააღმდეგე ძალები კი აგრეთვე განსაზღვრული ოდენობისაო? – ჯერ არ ყოფილა ქვეყანაზედ იმისთანა „სოციალური მათემატიკოსი“ რომ ეს ეანგარიშოს, გარდა მარტოვებისა და პლეხანოვისა.

ვის შეუძლია აგრეთვე თვით რევოლუციის დროს შეაჩეროს ის ათას-ნაირი უზარმაზარი ძალები, რომელიც ამოძრავდებიან ხოლმე თვალ გადაუწვდენელ საზოგადოებრივ ზღვაში, და დანიშნულ დროზედა სთქვას ისუს ნავინივით: შეჩერდი რევოლუციაზე? არავის, არც ერთ პარტიას, – გარდა რეაქციისა რომელიც სამკვდრო სასიცოცხლოდ იბრძვის და თუ გინდა გამარჯვებული გამოვიდეს ცალკე ბრძოლიდამ, მაინც თავის დღეში არ არის დარწმუნებული, რომ გამარჯვებული დარჩა სამუდამოდ. იგი მხოლოდ იბრძვის, და როდესაც სრულიად გვისრულდება ხოლმე ომი, მაშინ არის შესაძლებელი ნამდვილი შედეგების გათვალისწინება.

რევოლუციის დროს მხოლოდ ერთი რამ არ უნდა ავიწყდებოდეს რევოლუციონერ სოციალისტს: რომ ყოველივე პარტიის ხასიათი განისაზ-

ღვრება მითი თუ რომელ საზოგადოებრივ, ეკონომიურ დაწესებულებათ ებრძვის იგი, სოციალისტი კი წინააღმდეგი უნდა იყოს ყველა თანამედროვე ეკონომიურ და პოლიტიკურ მონობის დაწესებულებათა და ნამდვილი რევოლუციის მართლაც ებრძვის მათ, რევოლუცია უარ-ყოფა სახელმწიფოსი და კერძო საკუთრებისა. მიწა გლეხს, ქარხანა მუშას, სრული თავისუფლება ყველას, აი რა არის ნამდვილი შინაარსი რევოლუციისა და ვინც ამ ფარგალში მოქმედობს, ვინც სწორედ ამ მხრით ეხმარება მას, ის არის ნამდვილი რევოლუციონერი, ვინც კი ჩამონატრებსა, 8 საათის სამუშაო დღეს, დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ამ გვარებს სჯერდება, ის რევოლუციის შემაჩერებელი და მოწინააღმდეგე ძალაა, ის პროგრამმა მინიმუმის კაცია და პროლეტარიატის მრჩეველი, – ბურჟუაზიას რევოლუცია აჩუქეს! ამ უკანასკნელი ჯურის კაცებია, მუშებო, თქვენი ხელმძღვანელი ს. დ-ები, – და ამიტომ ვართ ჩვენ დღეს მათი მოწინააღმდეგენი და მიტომ ვანებებთ ხოლმე ხშირათ საყვედურს.

მათ რომ ჰკითხოთ, სხვანაირად მოქმედება არ შეიძლება და უსარგებლოა, – მაგრამ ჩვენ არა ვართ მათი აზრის; ჩვენთვის არის რევოლუცია ან არ არის. თუ არ არის, – ამზადე იგი, თუ არის განავითარე და გააფართოვე იგი, ებრძოლე ყველა თანამედროვე დაწესებულებათა და მოსპე იგინი, რამოდენაც შეგიძლია, რომ გზა გაუწმინდო კომმუნისტსა და ანარქიას. მათი პროგრამმა მინიმუმის მაგივრად, ჩვენ „მაქსიმუმი“ გვაქვს ყველგან და ყოველთვის, პროგრამმა ნამდვილი შინაარსიანი ბრძოლისა, რომელიც მთელი თანამედროვე მონობის დაქცევაში უნდა გამოიხატოს!

თქვენ წინამძღოლებს რომ ჰკითხოთ, – ისინი მიტომ გიქადაგებენ სოციალიზმის მაგივრად დემოკრატიზმს (პროგრამმა მინიმუმს), რომ დღეს შეუძლებელია განხორციელება სოციალიზმისა, – დღეს მხოლოდ დემოკრატიული სახელმწიფოს დაარსება შესაძლებელიაო. სოციალიზმის განხორციელება კი შეგეძლებათ მაშინ, როდესაც სრული პოლიტიკური თავისუფლება გექმნებათ. იმიტომ უნდა შეაკლათ თავი, მათი აზრით, თვითმპყრობელობასა და ბატონ-ყმობის ნაშთებს, და ჯერ-ჯერობით ამოუდგეთ მხარში რევოლუციონერ ბურჟუაზიას.

მაგრამ ჩვენის აზრით ეს დიდათ შემცდარი აზრია.

გვეუბნებიან, ხალხი არ არის ჯერ მომზადებული სოციალიზმისთვისაო. მაგრამ რა არის სოციალიზმი? – საწარმოო საშუალებათა საზოგადო მფლობელობა, თავისუფალ მშრომელთა მიერ მოწყობა წარმოებისა, ამხანაგურად და თავისუფლად, – ისე რომ აღარც პოლიციელი და მსაჯული,

აღარც მღვდელი და მემამულე, აღარც კაპიტალისტი და სახელმწიფო აღარ გაწუხებდეთ.

დაუფიქრდით, – არა ხართ მომზადებული იმისთვის, რომ ამგვარად მოაწყოთ თქვენი საქმე? გადაავლეთ თვალი თანამედროვე უზარმაზარ წარმოებას, – სოფელში და ქალაქში, – თუ გიწვევთ რამე დახმარებას, რომელიმე პატარა საქმეშიდაც ან „გოროდოვო“, ან მღვდელი, ან მემამულე ან კაპიტალისტი, აბა იანგარიშეთ? ვის მიერ არის ნაწარმოები ყოველივე სიმდიდრე, რომელითაც სავსეა მთელი ქვეყანა? თქვენგან და მხოლოდ თქვენგან, – და სწორედ თქვენა კვდებით შიშშილით, თქვენა გცივათ ზამთარში, თქვენ გაკლიათ განათლება და სწავლა, – მაშინ როდესაც მხოლოდ თქვენ ამზადებთ სასმელ-საჭმელს, ტანისამოსს, მაშინებს, თქვენ აშენებთ სახლებს და უნივერსიტეტებს, თქვენ აკეთებთ ყოველივე საჭირო საგანს, რომელიც აუცილებელია ცხოვრების ყოველივე დარგში მოსახმარებლად. ბურჟუა, მღვდელი, მემამულე, მსაჯული და შპიონი კი არაფერს არ აკეთებენ – და არც იციან არაფრის გაკეთება, – მათი ხელიდან ხალხის ძარცვა-გლეჯისა, ქურდობა-ავაზაკობისა და კაცის კვლის მეტი არა გამოდის რა. აბა თქვენვე სთქვით, – რა გახსოვთ მათგან წამებისა და ძარცვის მეტი?

თქვენი წინამძღოლნი კი მიდიან და გეუბნებიან, – თუ ჯერ კიდევ რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში არა დარჩენ ყველა ესენი, თქვენი თავისუფლება არ შეიძლება!

არა, მუშებო! საბუთებით თქვენ უნდა მოსტყუდეთ. საქმე იმაში კი არ არის, რომ თქვენ მზად არა ხართ, არამედ იმაშია, რომ თავის დღემდე არც იქნებით და ვერც იქნებით მზად, ვერ იქმნებით თავისუფალი, სანამ არ განთავისუფლდებით ზემოხსენებულ მუქთა ხორათაგან, ის პოლიტიკური თავისუფლება, რომელსაც გაირდებიან დემოკრატიული რესპუბლიკით, სრული სიცრუეა, თუ ჯერ ეკონომიურად არ განთავისუფლდით და ეს ეკონომიური თავისუფლება არ დაუდევით საფუძვლად თქვენ პოლიტიკურ თავისუფლებას.

და ეს თქვენ შეგიძლიანთ რადგანაც მწარმოებელნი თქვენა ხართ, თქვენ იცით წარმოება, წარმოების ყველა საიდუმლოებანი, თქვენ და მხოლოდ თქვენ შეგიძლიანთ მისი მოწყობაც.

და ესლა, ამ კარზედ მომდგარი რევოლუციით უნდა ისარგებლოთ, რომ აღასრულოთ ეს დიდი საქმე, თუ გინდათ ნამდვილი თავისუფლების მოპოვება, თუ მართლა სოციალისტები ხართ და მისწრაფვით ამ დიადი და წარმტაცი იდეალისაკენ.

აბა გაიყვანეთ ყველა ჩვენი გუბერნატორები, ღენერლები, მემამულეები, ადვოკატები და ბანკირები ყანაში, თუ მათ რამე გაეგებოდესთ ან ხვანა-თესვაში ან მკაში, ან ბალისა და ვენახის გაშენებაში? აბა შეიყვანეთ ყველა ესენი და ყველა გაბერილი ბურჟუები სახელოსნოში, ქარხანაში და ფაბრიკაში, თუ უბრალო ვინტიც მოუნახონ მანქანას, ან ბორტი დაატრი-ალონ? აბა გასინჯეთ თუ მათ წარმოების ესმით რამე? – მაშ რად გინდათ მათი შენახვა, და შენახვა კიდევ არაფერი, – მათთვის მთელი რევოლიუციის მოხდენა და საჩუქრად მირთმევა, შემდეგ მათი რჩენა მთელი სა-უკუნოებით მხოლოდ იმიტომ რომ ისევ გაწამონ, ისევ გტანჯონ და გამოგ-ტაცონ ხელიდან ნაწვავ-ნადაგი, უკანასკნელი ლუკმა. – ის არის თქვენი მიზანი? – დაუკვირდით, – ამას გეუბნებათ თქვენი პროგრამმა მინიმუმი!

შეიძლება იმტომ გეუბნებიან, – დღეს ვერ მიაღწევ ნამდვილ თავისუფ-ლებასაო, რომ ბრძოლა ძნელია, რომ მთელი ბურჟუაზია, თქვენ წინააღ-მდეგ იქნება? – სწორედ აქ არ უნდა მოსტყუდეთ. რევოლიუცია მხოლოდ თქვენი დაწყებულია, თქვენვე უნდა დაამთავროთ, – მასში ბურჟუაზიას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და არც მიიღებს. მათი სიმბდალე ძლიერ კარგად არის ცნობილი – ბურჟუაზიამ მხოლოდ რევოლიუციით სარგებლობა იცის, სხვისი სისხლით ბატონობის მოხვეჭა – ვისა ჰხოცავ-დენ ქუჩებში, ვისი სახლ-კარი აიკლეს, ვისი ცოლ-შვილი ააწიოკეს და გა-აუპატიურეს, – ვინ იბრძოდა თავისუფლებისათვის? თქვენ თუ ბურჟუები? – თქვენ, მხოლოდ თქვენ იბრძოდით და შექმენით რევოლიუციის ზღვა, მხოლოდ თქვენი სისხლი დაიღვარა და ნამუსი შეილახა ვერაგ მტარვალ-თან, და რევოლიუციის შემდეგ მათი შენახვა – სამარცხვინო იქნებოდა მუ-შათა კლასისათვის, თვით რევოლიუციისათვის!

თქვენი გამარჯვება, იცით რას ნიშნავს, მუშებო? – იმას რომ გამარჯვე-ბის წაშლი დამარცხებულია თვითმპყრობელობაცა და ბურჟუაზიაც, უარყო-ფილია სახელმწიფო და კერძო საკუთრებაც და თუ იმდენ შემოქმედებით ძალასა და ნიჭს გამოიჩინეთ იმ წამში, რომ თავის დღეში აღარ ააშენოთ თქვენგანვე უკვე დანგრეული საზიზღარი წეს-წყობილება, რომ სულ სხვა, ახალი თავისუფალი, კომუნისტური წყობილება დაამყაროთ, – მაშინ რე-ვოლიუცია ნაყოფიერი, შინაარსიანი, სრული გამარჯვებული იქნება, თუ კი ისევ ისე დასტოვებთ ძველი, ისევ ააშენებთ დანგრეული მონობა, ბურ-ჟუაზიას გადაეცით თქვენი გამარჯვების ნაყოფი, სახელმწიფო და კაპიტა-ლიზმი ისევ დასტოვებთ, – მაშინ თქვენვე მალე დაინახავთ, რომ თქვენმა რევოლიუციამ არაფერი მოგიტანათ, გარდა მეორე ფორმის მონობისა,



მაგრამ მაინც აუტანელი მონობისა.

პროგრამმა მინიმუმი ამ უკანასკნელს გირჩევს, ჩვენ ანარქისტები კი მუდამ გეუბნებით და გეტყვით, – ისარგებლე გამარჯვების წამით, ნულარ დაუბრუნდები წარსულს, დააქციე მთელი ძველი მონური წეს-წყობილება, ააშენეთ ახალი!

გამარჯვების წამში ამის დამშლელი არავინ გეყოლება. ხოლო თუ ისევ სახელმწიფოსა, ბურჟუაზიასა და თუ გინდ ს. დ-იულ პარლამენტს მიანდეთ საქმე ბრძოლით დაღლილებმა რევოლუციის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წამში, – მაშინ დაჰკარგეთ ყოველივე იმედი, – ექსპლოატაცია და მათრახის ცემა ისევ ძველებურად გაგანადგურებს, მხოლოდ ახალი სახელით, – რესპუბლიკის სახელით!

არ მოგატყუონ შემდეგი სიტყვებით: პოლიტიკური თავისუფლება კარგია; იგი ნიშნავს სიტყვისა, ბეჭდვისა, კავშირისა და სინდისის თავისუფლებას, ხალხის წარმომადგენელთა მთავრობასო და სხვა. არ მოგატყუონ ამით, – რადგანაც ყოველივე ეს შენთვის არც 17 ოქტომბრის მანიფესტსა და არც ბურჟუაზიას არ მოუცია. ეს თქვენი მოპოვებულია, თქვენი სისხლით, და როდესაც კიდევ დაღვრით უმანკო სისხლს, ეცადეთ ამ ტანჯვისა და განადგურების ფასი სრულ ეკონომიურ და პოლიტიკურ თავისუფლების მოპოვებაში აიღოთ!

დღეს ბურჟუაზიას ეს პოლიტიკური თავისუფლება უნდა მაგრამ ერთი პირობით, – არ შეეხოთ მის ბატონობას, მის სიმდიდრეს, მუშის მონობის სისტემას; თქვენ კი, როგორც თვითმპყრობელობას გამოგლიჯეთ წვრილი თავისუფლებანი, – ისე გამოგლიჯეთ ბურჟუაზიასაც და ყველას სრული თავისუფლება, სრული ერთობა და თავისუფალი კომუნისმის სული გაამეფეთ მთელი ტანჯული კაცობრიობასათვის! – ეს იქმნება ნამდვილი რევოლუცია! ცდა ამგვარი რევოლუციისა რუსეთში და სხვა ქვეყნებშიაც გამოიწვევს ამგავრსავე ცდას, და საშინელი ტალღები სოციალური რევოლუციისა თვალუწვდენელი მთების სიმაღლით შეეტყორცნება მთელ თანამედროვე შავ-ბნელი ცხოვრების უზარმაზარ, ბინძურ შენობას, და წარღვნის შემდეგ სოციალიზმის ფერადი ცისარტყელა გადაეჭედება განთავისუფლებულ კაცობრიობის განახლებული ცხოვრების კრიალა ცას...

აი ჩვენი მიზანი თანამედროვე რუსეთის რევოლუციაში, და მიუხედავად ს. დ-ების „რეალური სიბრძნისა“, მათ მიერ ჩვენ უტოპისტებად მონათვლისა ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თვით რევოლუციის დროს ამ გვარია გზებისაკენ მისწრაფება, ცდა იდეალის განხორციელებისა ჰქმნის

ყოველივეს, იმ მეორესაც კი, რომელსაც რევოლუციამ აღწევს, – წინააღმდეგ პროგრამმა მინიმუმისა, რომელიც რევოლუციის წინ-და-წინ შეჩერება, დაღუპვა და შინაარსის გამოცდაა.

ჩვენ ვიცით, რომ ყველა რევოლუციების სული ამ დიადი მიზნის მიღწევაში გამოიხატება, ჩვენ ვიცით აგრეთვე რომ რაც მეტია ხალხის რევოლუციონური შემოქმედება, მით მეტია ნაყოფი რევოლუციისა, – და მითომ ვეუბნებით მუშებს: წინ მუდამ წინ, არ შეჩერდეთ, მუდამ გქონდესთ თვალი მიპყრობილი დიადი ნათელი იდეალისაკენ, ნუ შეაჩერებთ წინ-და-წინვე რევოლუციას, რადგანაც მისი შედეგი თვით ხალხის ენერჯისგან არის დამოკიდებული; როდესაც დაიღალოთ შეისვენეთ, შემდეგ ახალი ძალით ისევ შეებრძოლეთ მტერს; ნუ ააშენებთ ისევ ძველს, თქვენივე ხელით დანგრეულ მონობას; ისარგებლეთ ყოველთვის იმ წამით, როცა გამარჯვებული ხართ, სწორედ მაშინ გამოიჩინეთ რაც შეგიძლიათ მეტი შემოქმედებითი ნიჭი, მეტი ახალი სული ჩაუდგით თქვენ მიერ შექმნილ ახალ დაწესებულებათ, და თუ სულ ვერ განახორციელეთ თქვენი მუდმივი იდეალი, – გაცილებით მეტი ნაყოფი ექნება თქვენს რევოლუციას, ვიდრე მაშინ, თუ წინდაწინვე შეგეშინდათ თქვენი იდეალის განხორციელების, თქვენივე აზრის, – ან თუ წინდაწინვე გადასწყვიტეთ იმედი, რომ დღეს შეუძლებელია ნამდვილი რევოლუცია, ძველის დამხობა ახლის შემოქმედებით!

ეს უკანასკნელი „მინიმუმი“, პირველი კი, „ანარქიული უტოპია“, – ამოირჩიეთ (მუშებო)–რამოდენიმედ ამ არჩევნისაგან არის დამოკიდებული თქვენი გამარჯვება, გამარჯვება თვით რევოლუციის! რაც გითხარით, – ეს არის ჩვენი რწმენა, ამნაირი სოციალიზმი გვწამს, მას ვეტყვით, მას ვავრცელებთ ხალხში; ესა ჰკლავთ სოციალ-დემოკრატებს, „მინიმუმის“ კაცებს, რომელთა ტანში ჟრუანტელი გაუვლისთ ხოლმე, როდესაც გაბედავს ვინმე და იტყვის, – თანამედროვე რევოლუციამ უნდა მოსპოს ყოველგვარი მონობა და ექსპლუატაცია! მაგრამ ჩვენ სინიდისი წმინდა გვაქვს, ჩვენი იდეალით ვართ აღფრთოვანებული და სხვის აღფრთოვანებასაც ვცდილობთ, ჩვენი სისხლით დავიცავთ მას, ჩვენ რევოლუციაში მუშებთან ერთად ვიქნებით ქუჩაში, თოფითა და სხვა იარაღით ხელში, ჩვენ მუშებს დეპუტატობას არ ვთხოვთ, რადგანაც არა გვაქვს მათი პატრონობის პრეტენზია, არა გვაქვს იმდენი კადნიერება, რომ ხალხი გავაბედნიეროთ საკანონმდებლო სიბრძნით, ვსაჯოთ იმისთანა კითხვები, რომელზედაც არავითარი წარმოდგენა არა გვაქვს, როგორც ამასა სჩადიან ბ. ბ. დეპუტატები: აგრარული კითხვა, სწავლა-განათლების კითხვა, შეიარაღებისა და საფი-

ნანსო კითხვა, – სულ ერთია მათთვის, იციან თუ არ იციან, – არახუნებენ კენჭებს თითქოს ყოვლის მცოდნე იყოს რომელიმე გატყავებული ადვოკატი, რომელსაც კანონის სტატიის მეტი არა უყრია რა თავში, და სოციალიზმის ქერქში გამოხვეული ელაქუცება მთელ მილიონ ხალხს, – მე ვარ შენი კანონმდებელი, შენი ინტერესების დამცველი, შენი გამაბედნიერებელიო! – ჩვენ არა გვაქვს ამგვარი კადნიერება, ამგვარი პრეტენზიები; – და ვისაც „ხელმძღვანელობა“, ვისაც ბატონობა და „მინიმუმის“ კაცობა უნდა, – იმათ ატყუნ მუშები! დრო მოვა, რომ მუშები მათ ერთ დღეს გაისტუმრებენ – („coup de pied dans le col“) – თი, როგორც ეს უკვე ჰქმნეს საფრანგეთში და ისპანიაში, – ჩვენ კი მუდამ ვემსახურებით ჩვენს მიერ დასახულ იდეალს, და ეს იდეალიც, ჩვენი ღრმა რწმენით, მაშინ განხორციელდება, როცა მუშა ნამდვილად შეიგნებს რომ „მუშათა განთავისუფლება უნდა მოხდეს თვით მუშათა მიერ“ – და არა გაქლესილ ადავოკატებისა და უსაქმო ინტელიგენტების მიერ, რომელთა დეპუტატებათ წამოჭიშვა დაამყარებს ვითომც კაცთა შორის ბედნიერებას. ამგვარი მურტალი აბსურდი დაე ს. -დ. -ებმა იქადაგონ, ჩვენ კი, მუშებო, კიდევ განვიმეოროთ: თქვენი საკუთარი ორგანიზაციები, თქვენი საკუთარი სოციალისტური შეგნება, თქვენი საკუთარი გონება და შემოქმედება, თქვენი საკუთარი ბრძოლა, ბრძოლა დაულალავი და შეუბრალებელი ყოველ ბატონ პატრონთა, მძარცველ-მგლეჯელთა და ყოველი ჯურის მატყუარათა წინააღმდეგ, – აი რა გიხსნით; აი რა გაგანთავისუფლებთ, აი რამ უნდა გიწინამძღვროსთ თანამედროვე რევოლუციაში, ძველის დანგრევაში და ახლის აშენებაში; თუ ეხლა ვერა ჰხედავთ ამ სიტყვების სიმართლეს, შემდეგ დაინახავთ. როდესაც თქვენი ხელმძღვანელების „მინიმუმის“ განხორციელების ისევ მონებად იგრძნობთ თავს, როდესაც ეხლანდელსავით დაგყრიან ტყვიებით განგმირულებს თქვენი მომავალი რესპუბლიკის ჟანდარმები და მილიცია (თუ კი ეს მილიცია შესაძლებელია ჭკვიან ს. დ. -თა ცენტრალურ რესპუბლიკაში).

ნუ დაგავიწყდებათ მუშებო, თუ ეს სიმართლე თქვენც და თქვენ წინამძღოლთაც ვახალეთ პირდაპირ. ნუ დაგავიწყდებათ, რადგანაც, – როგორც გითხარით, – ჩვენ მხოლოდ სიმართლე გვალაპარაკებს და თქვენთან სათხოვარი არა გვაქვს-რა, გარდა თქვენივე შეგნებისა და ამ შეგნებით მთელი კაცობრიობის განთავისუფლებისა. ეს განთავისუფლება ჩვენი იდეალიც არის, ჩვენც ვიღებთ მონაწილეობას ამ დიად საქმეში, მაგრამ არა თქვენი ბატონობით, არამედ თქვენთან ერთად, თქვენ გვერდში ამოდგომილნი; – მიტომ ვებრძვით ს. დ-ებს, რომლებიც იეზუიტების ორ-

დენივით, ახალი თვითმპყრობელობასავით მოევლინა ხალხის აზრსა და მოქმედებას და ლამის არის ათასზედ უარესი საზიზღარო შეიქმნეს, განსაკუთრებით ჩვენს დევნაში.

P. S. ვინება არც ჩვენთვის არის სასიამოვნო, მაგრამ ს. დ-ებმა დაიწყეს, – ჩვენი ბრალი არ არის.

„მუშის“ სახელის გამოცვლა სისულელეა და მაკვირვებს, როგორ შეგაცდინათ ს. დ-მა და თქვენც მისთანა სისულელე ჩაგადენიათ. რატომ „მშაკის“ რედაქციას არ მიმართავთ იმავე თხოვნით, ამ მართლაც და ბურჟუებს? ჩვენი „ჯაშუშობა“ და პოლიციისგან ფულის მიღება – გაუთხოვარი ბებრის მყრალი გულის ამონახეთქი ნაღველი და მუშებს არ გეკადრებათ ს. დ-ების ამგვარი სიმყრალის სუნი აიძინონ.

მუქარის ჩვენ არ გვეშინიან.

შემდეგ თქვენთან ლაპარაკი არასოდეს არ მომწყინდება.

### III პასუხი ახალგაზრდობას

ანარქისტების წინააღმდეგ ახალგაზრდობამაც განაცხადა პროტესტი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ახალგაზრდები გულწრფელი ღელვით აცხადებენ პროტესტს, მაგრამ მაინც გული მეტკინა, როდესაც მათგან გავიგონე კატკაჭივით გაზეპირებული სიტყვები, რომელიც თითქოს ვიღაცას განგებ მიეწოდებინოს, იმგვარად იყო შედგენილი და დაწერილი ხსენებული პროტესტი. მესმის მათი გულწრფელობა, მაგრამ თანაც ვწუხვართ, რომ ასეთი დაუფიქრებელი ქცევა არ შეშვენის ახალგაზრდობას, და აი რატომ: ნუ თუ მართალია ლანძღვა-გინებამ ააღელვა ახალგაზრდობა? თუ ასეა, მაშ რატომ მართო ჩვენმა ლანძღვა-გინებამ ააღელვა იგი და სხვისას კი არ აქცევდა ყურადღებას? მთელი სოც-დემოკრატიული პრესსა, უშვერი ლანძღვის მეტს არას სწერდა თავის ორგანოების ფურცელზე მთელი მოძრაობის განმავლობაში და ბოლოსაც, და მათ წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადება თავში არავის მოსვლია. მაშასადამე მართო ჩვენ წინააღმდეგ პროტესტის ფარხმლის აღება უსამართლობაა, რაიცა არ შეშვენის წმინდა იდეალთა მქონე ახალგაზრდობას. მაგრამ ეს კიდევ არაფერია; ჩვენ არც კი გვიფიქრია სოციალ-დემოკრატების ლანძღვა, მათ პირველათ თვითონ დაგვიწყეს ლანძღვა და ცილის წამება, და ჩვენ იძულებული ვიყავით თავი დაგვეცვა, პროტესტი კი ჩვენ მოგვხვდა, – მათ კი არაფერი, გამართლების მეთი. ეს მეორე უსამართლობა ჩაიძინა ახალგაზრდობამ. რაც შეეხება „მუშის“ სახელის გამოცვლას, ამას ჩვენ კვლავ სისულელეს ვუწოდებთ და

ვურჩევთ გულწრფელად ახალგაზრდებს ამგვარი სამარცხვინო მაგალითები აღარ აიღონ ხოლმე უფროსებისაგან. თავისი ტვინით ფიქრი სჯობია, რადგან ხშირად ძლიერ „უფროსი“ ადამიანურ დიდ ყურასავით ფილოსოფოსობს, და მისი ნაბაძი შეგნებულ ახალგაზრდას კი არა, პატარა ბავშვსაც ვერ მოუხვეჭს ჭკვიანის სახელს.

მაგრამ ყოველივე ეს მე სრულიად არ მაკვირვებს და არ მაღონებს ის მე, როგორც ის ფანტიკური ტონი, რომელიც ახასიათებდა ახალგაზრდობის პროტესტს. თითქოს მართლაც რაღაც გახსნილ რაღაც საშინელ და მავნებელ ადამიანთა წინამძღვრე ილაშქრებოდენ.

ახალგაზრდებო! ძალიან ცუდი გზაა თქვენ ხანაში ფანტიზმის გზა! თქვენ ჯერ სწავლა არ დაგიმთავრებიათ, თქვენი ტვინის განვითარება ჯერ პირველ სწავლა დასაწყის ხანაშია, და თუ ეხლავე გაფანტიკოსდით, ეხლა აღიარეთ ესა თუ ის მოძღვრება, სრული ფანტიკური სარწმუნოებით და დაარწმუნეთ თავი, – რაიცა წინააღმდეგია – ეშმაკისაო. შარშან დაჰკარგეთ ყოველივე იმედი თქვენ შემდეგი განვითარებისა, და ან გეშინოდეთ იმისი, რომ მრავალ დროს დაჰკარგავთ სანამ თქვენი გონება განთავისუფლდებოდეს ფანტიზმის ბრტყალებიდან. ის მაინც მოიგონეთ ყველა თქვენთაგანმა, რამდენი გონებრივი და სულიერი ძალა დახარჯეთ მხოლოდ იმისათვის, რომ მღვდლებისა და პოლიციელების თაყვანის ცემა უარგეყოთ; – უარგეყოთ ძველი მისტიკური რელიგია და თანამედროვე პოლიციური „ზრდილობა“, რომელიც ისე გულდასმითა და მაგრად ჩაგინერგეს გულში. მეტადრე ესე, თავის ფორმა თანამედროვე სოციალიზმისა რომელიც მეცნიერებაზეა დამყარებული, ან სცდილობს დაემყაროს მეცნიერებაზე, – მეტადრე ეს ახალი რწმენაა საშიში ადამიანის გაფანტიკოსების მხრივ, და იმდენად მეტად, რამდენიდაც თანამედროვე მეცნიერების არგუმენტები საშინელი ძალითა და ძლიერებით მოქმედობენ ახალგაზრდაზე, საშინელი სიმძიმით აწვებიან მის ჯერ კიდევ განუვითარებელ გონებას და უნაშვან კრიტიკის სულს.

ამიტომ ფრთხილად უნდა იყოთ თქვენ მეცადინეობაში და განვითარებაში სანამ ცოტათი მაინც არ გაიგოთ რაშია საქმე, რას წარმოადგენს ესე თუ ის თეორია, ეგრე ზერელად სასტიკი მსჯავრი არ უნდა დასდოთ ხოლმე მას. როგორ შეიძლება მაგალითად, ისეთი რიხით უარყოფა მთელი თეორიისა, როგორც თქვენა სჩადით? უდიდესი მეცნიერნიც დიდის ყურადღებით ექცვიან მათ მოწინააღმდეგე თეორიებს და მას შემდეგ, როდესაც სრულიად შეისწავლიან მათ, – ან მიიღებენ და თავიანთ თეორიას კი უარყოფენ, ან ნაწილს მიიღებენ და თავიანთ შეცდომებს გაასწორებენ, ან და დარწმუნ-

დებიან მათ სიყალბეში და კიდევაც ამტკიცებენ სიყალბეს. რა საკვირველია მეცნიერებას ვერავის ვერ მოვთხოვ, ვერც ჩემ თავს და ვერც სხვას, მაგრამ ერთი რამ კი მიმაჩნია აუცილებელ საჭიროდ და სავალდებულოდ ყველასათვის, და მეტადრე ახალგაზრდობისათვის: არ დაჰგმო ისეთი რამ, რაზედაც არავითარი წარმოდგენა არა გაქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეგნებულნი ადამიანის მაგიერ ხუცესათ ხდება ადამიანი და რამდენი მინახავს მოძრაობის დროს ჩვენი ფრიად ნიჭიერი და მკვირცხლი სოც. დ-ტი პროპაგანდისტები, რომლებიც პატარა კათოლიკე მღვდლებს წარმოადგენდნენ თავიანთი განუსაზღვრელი და ხშირათ არა კეთილშობილური ფანატიზმით.

მეცნიერება დიდია, მას ბევრი და მრავალმხრივი შესწავლა უნდა; სოციალიზმის მრავალგვარი შტოები არსებობენ, – იმათაც შესწავლა უნდა, და თუ მით გულ-წრფელი სოციალისტები ხართ, ახალგაზრდებო. დაეწაფეთ მათ მთელი თქვენი დაუღალავი გონებით, ნიჭით და ახალგაზრდული აღფრთოვანებით, და როდესაც თქვენი რწმენა უბრალო credo კი არა, არამედ ნამდვილად შეთანხმებული იქნება თქვენი აზროვნების ვარჯიშობასთან, თქვენი ლოლიკური აზროვნების პირდაპირი ნაყოფი იქმნება, – მაშინ დაჰგმეთ რაც დასაგმობათ გეჩვენებათ და კეთილშობილური ფანატიზმითაც ემსახურეთ თქვენ რწმენას.

მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, მაშინ პატიოსანი გონება-მომწიფებული ჭაბუკი ისეთი ენით აღარ მოგვმართავს ჩვენ, თუ გინდ არც ანარქისტი იყოს და პირიქით სოციალ-დემოკრატი, ან არა და უბრალო ბურჟუა.

საზოგადოთ და განსაკუთრებით ჩვენში ანარქისტებზედ საშინელი და აბსურდული წარმოდგენა აქვს. ეს ფაქტი თავისთავად არ არის საკვირველი, რადგანაც არ ცოდნა – არ ცოდვააო, ნათქვამია, მაგრამ ორი რამ კი ახასიათებს ანარქისტების მტერთ და მოწინააღმდეგეთ, ყველგან, განსაკუთრებით ისევ ჩვენ კურთხეულ საქართველოში, – ეს ორი რამ სწორედ სასაცილო და საზიზღარია. სასაცილოა ის, რომ მაგ ვაჟბატონებს თავი მოსწონთ თავიანთი უმეცრებით. ბ. „ლამპრის“ მეცნიერი „ლეო“, მაგალითად ჰეგელი-სა და სპენსერის ევოლიუციონიზმს ერთმანეთში ვერ არჩევს, და სცოხნის რა პლუხანოვის ნაცოხნს, ქვეყანას არწმუნებს, რომ ანარქისტებს დიალექტიკა არა სწამთ, მაშასადამე ევოლიუციაც არა სწამთო, მაშინ როდესაც მთელი XIX საუკუნის მეცნიერება დიალექტიკურ მეთოდით დახასიათდება და უდიდესი მეცნიერები დიალექტიკოსები იყვნენო! ამისთანა სისულელეს კაცი რომ იტყვის, ამისთანა უსირცხო უვიცობა რომ გამოიჩინეს ადამიანთა მეცნიერებაშია, მის ისტორიაშია, თვით დიალექტიკისა და ევოლიუციის

თეორიის ცოდნაშიაც; აგრეთვე ანარქიზმის სრული უვიცობით დაიწყებს თავის მოწონებას და მართლაც ლაფშმოხეული კადნიერებით დაგვიწყებს ბრახა-ბრუხს, – რა უნდა უთხრა გარდა ს. დ-ულივე მშვენიერი რუსული ფრაზისა: видно, что г. Лео и ему подобные сихть порь еще не „самоопределили себя воонше как человека“... უვიცობით ტრაბახობა და თავის მოწონება მხოლოდ კრეტინს შეუძლია და ნუ, ახალგაზრდებო, ნუ გადაგედებათ ეს სენი და ნუ დაუწყებთ ნურც ანარქიზმს მაგვარ უცოდინარს და უსაფუძვლო გმობას, თორემ ანარქიზმს ამით არაფერი დააკლდება და თქვენ კი ცუდი ზნე შეგრჩებათ საერთოდ მეცნიერების შესწავლაში, რაიცა დიდი მანუგეშებელია თქვენი მომავალი მეცნიერულლი განვითარებისათვის. ჯერ ანარქიზმის ამ გვარ ქცევას მიეჩვიეთ, მერე სხვა თეორიათა, – სრულიად უცოდინაროდ და უსაფუძვლოდ, ბოლოს კი საცოდავ საშუალო ადამიანებად გადაიქცევით ამროვნების მხრივ, და დაგემართებათ ის, რაც „ლეოს“ დაემართა, ე. ი. – asinus manedis in secula seculorum, აქ კი სახარბიელო არაფერია –

მეორე, საზიზღარი მხარე ჩვენ მტერთა ბრძოლისა და კრიტიკისა ჩვენ წინააღმდეგ – ცილის წამებაა და დევნა. მთელ ევროპის სოც. დ-ები განირჩევიან ამით, და ჰგონიათ რომ ამ გვარი გზით რამეს გააწყობენ. ცილსა სწამებდენ ბაკუნინს, ინტერნაციონალის ბაკუნისტებს, ცილსა სწამებდენ ყველა ჩვენ ტერორისტებს ევროპაში, – ყველანი, მარქსიდამ დაწყებული ლიბკნეხტამდის და გედამდის, – ცილსა სწამებენ თავიანთ წიგნებში პლენხანოვი, ადლერი, დევილლი ვან-კოლი, ბებელი, – ყველანი ერთი სიტყვით, – და მიუხედავად ამისა მთელი ევროპისა და ამერიკის მუშათა კლასისი გატაცებულია სოციალიზმის ანარქიული ფორმით, რაიცა ამ ბოლო დროს რევოლიუციონურ სინდიკალიზმში გამოიხატა, ცილის წამება იეზუიტების პრინციპია, სოც. დ-ია ანარქისტებს იეზუიტურად ეპყრობოდა და ნაცვლად მათი რიცხვის გადიდება და თავისი მოსპობისა და გადაშენების გზაზე დადგომა მოიშვო: სხვა უფრო ღრმა პირობებთან ერთად ანარქიზმის დევნაშიაც შეასუსტა ს. დ-ია; ფრანგი ს. -ს შოვენის სიტყვები – რევოლიუციის შემდეგ ყველა ანარქისტები უნდა ჩამოვახრჩოთო, – მათი მსგავსნი სხვას არას იწვევენ მიუკერძოებელ ადამიანში, გარდა იეზუიტობისადმი ზიზღისა. ასეთია წესი: ბოროტება და ღვარძლიანობა, იეზუიტობა და ცილის წამება ბოლოს და ბოლოს თვით ბოროტთა, ღვარძლიანთა და იეზუიტთ ავნებს. – ჩვენში ხომ ვინ იცის რა არ გაავრცელეს ჩვენზედ. ბათუმიდამ ისიც კი მოგვწერეს, რომ პოლიციიდან ფულებს იღებთ. შეგვატყობინეთ, როგორ იყოფთო. ეს იყო ვითომ „მუშათა“ პროტესტში სხვათა შორის. მაგრამ მე

დარწმუნებული ვარ, ამის „ლეოსებური“ მეცნიერი დასწერდა და შემდეგ, როცა ნახავდა დაბეჭდილს, ერთი გაიღმიჭებოდა დიდ-ყურა ფილოსოფოსივით, კმაყოფილი, რომ დიდი „სოციალისტური საქმე გააკეთა“ – მიუხედავად ამისა ჩვენ უკვე აქ რიცხვი ვართ.

არა ახალგაზრდებო! ეს წესი ბრძოლისა ცუდია, დასაგმობია, მყრალია თავისი არსებით, და თქვენ პატიოსან გულს არ შეჰფერის ამგვარი სიმყრალის სუნი აიღინოთ თქვენც და ამგვარ პროტესტანტებს ამოუდგეთ გვერდში...

ბევრი, კიდევ ბევრი მიწოდდა მელაპარაკნა თქვენთან, მაგრამ ისედაც გაგრძელდა ჩემი პასუხები, მერე დაგვიანდა კიდევ, – იმ ქარიშხალმა, რომელიც ჩამოვარდა ჩვენსა და ს. დ-ბის შორის ჩაიარა კიდევ და მგონი დავიწყებას მიეცა... მე მხოლოდ დაპირება ავასრულე და გწერ ამ მოკლე წერილს ჩვენ მოსწავლე ახალგაზრდობას.

მაშ ახალგაზრდებო, თუ თქვენ მართლა სოციალისტები ხართ, თუ მართლა გიღვივით გულში იმედი მომავლისა და კაცობრიობის განახლებისა, – განსაპეტაკდით თქვენ თითონ თავდაპირველათ, განთავისუფლდით ჯერ თქვენ თვითონ იმ წუმპისაგან, რომლისაგანაც მთელი კაცობრიობა გინდათ განთავისუფლოთ. დღეს მთელი საზოგადოება უსამართლობაზედ არის დამყარებული, თქვენ გინდათ აღარ იყოს ეს უსამართლობა, – მაშ ეხლავე, თქვენს ცხოვრებაში იყავით სამართლიანი.. ანარქისტებთანაც დღეს უმცერება და ფანატიზმი კაცობრიობის მტანჯველი, – თქვენ გინდათ რომ მოისპოს ეს კაცობრიობის გამათახსირებელი მოვლენა, – რომ ისწავლეთ ყოველივე, რისიც კრიტიკა გინდათ, და თქვენი კრიტიკული მსჯელობის ნაყოფი იყოს თქვენ მიერ ნაგმობი ან მოწონებული რწმენა. დღეს კაცობრიობას იეზუიტიზმი უწამლავს ზნეობას, – თქვენ იგი გეზიზღებათ – მაშ შორს თქვენგან ცილის წამება და დევნა, – ეს სამარცხვინოა მეტადრე ახალგაზრდობისათვის, რომლის ზნეობრივი იდეალი ისეთივე წმინდა და ფაქიზი უნდა იყოს, როგორც მისი წმინდა ბავშვური სიყვარული და ყოველივე გრძნობა.

მადლობა გვინდა გადავუხადოთ „ანარქისტული ბიბლიოთეკის“ კოლექტივს, რომელიც დაგვეხმარა მიხაკო წერეთლის სტატიის მოძიებასა და გამოსაქვეყნებლად მომზადებაში.

იხ. <http://www.a-library.org>

მიხაკო წერეთელი „პასუხი პროტესტანტებს“, „ანარქისტული ბიბლიოთეკა“, [www.a-library.org](http://www.a-library.org) (ბოლოს ნანახია: ოქტომბერი 2014







---

## ალექსანდრე წულუკიძე

დაიბადა 1876 წელს დაბა ხონში. 1886 წლიდან ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში სწავლობდა. 1891 წელს მომავალი რევოლუციონერი სწავლის გასაგრძელებლად გადავიდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. 1894 წელს გიმნაზიის რეჟიმთან დაპირისპირების გამო მას სასწავლებლის დატოვება მოუწია. ამავე პერიოდში, 1895 წელს წულუკიძე „მესამე დასში“ გაერთიანდა და ქუთაისის მარქსისტული წრეების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი გახდა. 1896 წლიდან წულუკიძე თბილისში იწყებს მოღვაწეობას, ერთი წლის განმავლობაში გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელია. ახალგაზრდა პუბლიცისტი გამოცემაში მუშაობას იდეოლოგიური უთანხმოების გამო მალევე წყვეტს. მისი შემდგომი შემოქმედება მთლიანად არის დაკავშირებული რუსეთის იმპერიის პირველ ლეგალურ სოციალისტურ გამოცემასთან, გაზეთ „კვალთან“. 1897 წელს წულუკიძე მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა და პარალელურად, გახდა ადგილობრივი ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი ლიდერი. წლების განმავლობაში წულუკიძე აქტიურად მონაწილეობდა ქართული პრესის ფურცლებზე მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ დისკუსიებში. 1903 წელს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის გათიშვის შემდეგ რევოლუციონერი ლენინის თანამოაზრეთა ფრთას მიემხრო. იგი მიიჩნევა გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ ერთ-ერთ დამაარსებლად და პირველ რედაქტორად. თანამშრომლობდა „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელში“ და ჟურნალ „მოგზაურში“. 1904 წელს მონაწილეობდა რსდმპ კავკასიის საბჭოს კონფერენციის მუშაობაში, სადაც გამოდიოდა მენშევიკებთან სრული გამიჯვნის მომხრედ. გარდაიცვალა 1905 წლის 8 ივნისს ქალაქ ბათუმში.

## ოცნება და სინამდვილე

### I

კაცობრიობის ისტორიის რომელი ფურცელიც გინდათ გადაშალეთ, რა ხანაზეც გინდათ შეაჩერეთ თქვენი ყურადღება, რომელი ერის ცხოვრება-საც გინდათ ჩაუკვირდით, თუ თქვენ თავბრუ დაძვინჯვენი წინათგორძნობით არ ხართ გამსჭვალული და ნამდვილი ცნობისმოყვარეობით აღჭურვილ-ხართ, უთუოდ შენიშნავთ, რომ ყოველთვის და ყოველგან საზოგადოება სხვადასხვა ელემენტების კრებულს წარმოადგენს. ერის ცხოვრებას თვით ამ ელემენტების შეჯახება-შეტაკება შეიცავს და წინსვლა მით უფრო ჩქარი და შეუწყნარებელია, რამდენათ უფრო ძლიერი ძალები შეებმებიან ერთმანეთს, რამდენათ უფრო ეს შებმა უღმობელი, მხეცურია, რამდენათ უფრო მეტს იძენენ და აუმჯობესებენ საომარ იარაღებს. თუ წინათ, ბავშვობის დროს, როდესაც ადამიანი მესაკუთრე არ იყო, სხვასთან შეერთებული ძალით იმორჩილებდა ბუნების სასტიკ ძალას, შემდეგ, რა რომ დავაჟაკც-და, მესაკუთრე გახდა, მან ბუნების ძალასთან ერთად თავისივე მსგავსი ადამიანი დაიმორჩილა, რათა თავის საკუთრებით სავსებით ესარგებლა, დამორჩილებულის ძალა თავის ქონების გასაუმჯობესებლად, დასამუშავებლად გამოეყენებინა.

ამნაირათ, კერძო საკუთრებასთან ერთად ადამიანის დასაკუთრებაც შეიქმნა საჭირო. მონობა წარმოიშვა და მას შემდეგ წელი წელს მისდევს, საუკუნოები საუკუნოებს და ეს დამოკიდებულება არსად მიდის, პირიქით, ის დღემდე უფრო და უფრო ფეხს იმაგრებს. ამ ხნის განმავლობაში იგი მხოლოდ ფერს იცვლიდა. ხან შავად გვეჩვენებოდა და ხან თეთრად; მისი ფორმა იცვლებოდა, მხოლოდ შინაარსი ერთი და იგივე რჩებოდა: ძველათ მონობა, საშუალო საუკუნეებში ბატონყმობა, ხოლო თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოებაში დაქირავებული შრომა. ერთი მხრით, ძალა, მეორე მხრით, უძღურება, ერთი მხრით, სიმდიდრე, მეორე მხრით სიღატაკე და სიბეჩავე. აი, ეს არის გრძელი ისტორიის მოკლე შინაარსი და ეს შინაარსი ყოველთვის იპყრობდა მოაზროვნეთა ყურადღებას. უმთავრესი კითხვა, რომელიც კაცობრიობას ისტორიამ დაუყენა წინ, არის: რა არის ამ გათიშვის მიზეზი, როგორ და როდის მოისპობა ეს საოცარი წინააღმდეგობა? ბევრი ნაირნაირი პასუხი გასცეს ამ კითხვაზე, მრავალი მეღანი და ქალაქი მოანდომეს მის გადაწყვეტას. მხოლოდ უფრო მეტი ოცნება გა-

მოდგა. მათი წამლები ვეღარ კურნავს ამ საზოგადო სენს, ცხოვრება კიდევ უფრო დიდ ზღუდეებს ავლებს ერის ნაწილთა შორის, და ამნაირათ ოცნება ოცნებათ რჩება და სინამდვილე სინამდვილეთ. ეს კითხვა კიდევ უფრო გაცხოველდა მას შემდეგ, რაც რომ საწარმოო ძალთა განვითარებამ ყველას ცხადათ დაუმტკიცა, რომ კულტურის განვითარება, ქვეყნის ეკონომიკურათ ზრდა-გამდიდრება, ვერ უზრუნველყოფს კაცობრიობის უმეტეს ნაწილს, სწორეთ ამ დროს უფრო ღრმავდება ის უფსკრული, რომელიც მდიდარსა და ღარიბს შუაა. პირველი კიდევ უფრო მდიდრდება, მეორე კი უარესად ღარიბდება. უკანასკნელი საუკუნოების გამოგონებებმა, რომლებმაც ადამიანს სრულად დაუმორჩილა ბუნების მკაცრი ძალები, ააყვავა წარმოება, გააორკცვა შრომის ნაყოფიერება და მრავალი ნივთიერი და გონებრივი ავლადიდება შემატა კაცობრიობის საუნჯეს, ხოლო ვერ გაათავისუფლა ერთი ადამიანი მეორეს მონობისაგან, ვერ ააყვავა უმრავლესობის მდგომარეობა, ვერაფერი შემატა ქონებრივად მას; პირიქით, კიდევ უფრო დაამონა, მეტად გააღარიბა და საზოგადო ცხოვრების მხიარულ სუფრას დაშორებული, იგი მშვიერ-მწყურვალე ქუჩაზე მოხეტიალეთ გახადა. აი, ეს კიდევ აცვიფრებდა კაცობრიობის მეგობრებს-მოაზროვნეებს; კიდევ მეტს წერენ და ლაპარაკობენ; რეცეპტები ათასობით გამოდის, ხოლო სნეული კიდევ უფრო სნეულდება ამ წამლებით; თურმე ნუ იტყვიოთ საოცარი ავადმყოფი ყოფილა! მას აფთიაქებიდან გამოტანილი წამალი არ უხდება, მალამოები იარებს ვერ აამებს; ჰგავს, ეს სხვა სნეულებაა და სხვანაირი წამლობა ეჭირვება. ამნაირი ექიმთაგანი იყო ერთი გამოჩენილი ეკონომისტი XVIII საუკუნისა რობერტ მალთუსი, რომლის აზრით ამ უბედურების მიზეზი ხალხის გამრავლებაშია, ხალხი მრავლდება ბევრად მეტათ, ვიდრე საზრდო, და უმეტესობა მშვიერ-მწყურვალეა. ამიტომ, ამნაირი წამალი მიიღეთ: აუკრძალეთ ყველას, ვისაც საკმაო შეძლება არ აქვს, ცოლის შერთვა, ვისაც შერთული ჰყავს – სხვადასხვა საშუალებით მოუსპეთ ღონისძიება შთამომავლობის შექმნისა და სხვა. ეს წამალი გამოუდევარი შეიქმნა, რადგან მიზეზი გამრავლება არ ყოფილა. მას შემდეგ ხალხი გამრავლდა, კიდევ მეტად საზრდო ტკბილეულობაც. მხოლოდ ეს უმცირესობის ხელში მოგროვდა და მით წინანდელი მდგომარეობა ვერ შეიცვალა. რობერტ მალთუსი მეცნიერი იყო. მხოლოდ მისი მოძღვრება – ოცნება, სინამდვილეს დაშორებული.

გულუბრყვილო და ღმობიერმა რობერტ ოუენმა მთელი თავისი ქონება ამ საქმეს მონადომა. ის გვერდში ამოუდგა დაჩაგრულთ და ყოველ

ლონისძიებას ხმარობდა მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. მისი აზრით, ამნაირ გაჭირვებულთა არსებობის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ მუშა ქარხნის მეპატრონეს ეტოქება; ვერ ურიგდება მის საქციელს; მხოლოდ ეს დამოკიდებულება წარმოშობილია უმეტესათ მუშების გაუნათლებლობისა და უზნეობისაგან, ამიტომ მისი უპირველესი მიზანი იყო მშრომელთა ზნეობრივი მხარის განსპეტაკება. გაგაუმჯობესოთ ზნეობრივთ ხალხიო, ამბობდა რობერტ ოუენი, და გაუმჯობესდება იგი ქონებრივათაცო. ამ აზრის მისაღწევით მან გახსნა სამაგალითო ქარხანა, დაარსა სკოლები. შექმნა სხვადასხვა დაწესებულება მშრომელთათვის, მაგრამ ამ სიმპატიურმა საქმიანობამ ფეხზე დააყენა რამდენიმე გაჭირვებული, შეღავათი მისცა ათს, ოცს, ასს, ხოლო კითხვა მაინც კითხვად რჩება, და ზნეობრივი ქადაგება ქონებრივ უთანასწორობას ვერ სპობს; სიტყვა რაც უნდა გულწრფელი და ღმობიერი იყოს, მხოლოდ მაშინ იქცევა საქმეთ, როცა იგი არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობას შეეფერება, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი დარჩება „ხმად მლაღადებლისა“. სენ-სიმონი, ფურიე, ლუიბლანი და სხვა მრავალი დიდბუნებოვანი და უბრალო კუდაბიკა მწერლებიც, მრავალ პროექტებს, სისტემებს, გეგმებს თხზავენ; ხოლო მათი შეთხზული საისტორიო დოკუმენტების არხივს გადაეცა, და სინამდვილემ ნათლად დაგვიმტკიცა, რომ ისინი დიადი ოცნების მქონე ადამიანები იყვნენ, მართალია, ხშირათ წრფელი ნდომით და საქმით გატაცებულნი, მაგრამ სინამდვილეს ცოტათ თუ ბევრად დაშორებულნი.

„მამ რალაა სინამდვილეო?“ შემოგვძახებს მოუთმენლად გაჯავრებული მკითხველი. ამას, მეგობრებო, წიგნებში მხოლოდ ნუ ეძებ, იგი მხოლოდ ცხოვრებაში მოიპოვება; დაწერილს მხოლოდ შეუძლია დაგვხმაროს თავი გაართვა იმ რთულ და ათასგვარ სოციალურ პირობებს, რომელიც ამ სინამდვილეს ქმნის, ზრდის და თავის ნებაზე ამოქმედებს. სინამდვილე გვეუბნება: ეს ასე უნდა იყოს, სანამ არსებული ეკონომიური ურთიერთობა ძირიანათ არ შეცვლილა; სანამ ფესვი არ მოთხრილა, ღერი არ მოჭრილა, შტოები იხარებენ, იზრდებიან და მისი ნაყოფი ისევ ტკბილ-მწარე იქნება საზოგადოთ, ნექტარი ერთისთვის და შხამი მეორესთვის, სიმდიდრე იქით მიიხვეტება, სადაც მეტია, სიღარიბე იქ უფრო გამძვინვარდება, სადაც მშიერ-მწყურვალნი არიან. სიმდიდრე თანამედროვე წყობილებაში იქ მეტია, სადაც მეტი საქონელი წარმოებს, სადაც მეტი საცვლელი ღირებულება მზადდება; მხოლოდ ამ უკანასკნელის ბატონ-პატრონი ისაა, ვისაც მის დასამუშავებლად შეუძლია ქირა გაიღოს და სხვისი ფიზიკური

ძალა მოიპოვოს. ვისაც შეუძლია განვითარებული ტექნიკით ისარგებლოს, ის მეტ საქონელს აწარმოებს, მეტს იძენს და კიდევ უფრო მეტი შემძლე ხდება ეკონომიურათ. რა რჩება მას, ვინც ამ საქონლის ნამდვილი მწარმოებელი, ვინც უსახსრობის გამო თავის ძალას სხვას აძლევს, რადგან თვითონ საწარმოო იარაღები არა აქვს, საჭირო მასალები არ აბადია? მას აქვს მხოლოდ ის, რითაც ამაების გადაკეთება, დამზადება შეიძლება, რაც საქონლის ნამდვილ ღირებულებას ჰქმნის და მით მისი პატრონის ჯიბეს მატებს – ფიზიკური ძალა. ამის ნაცვლათ თუ დღიური საკვები მიიღო უნდა დაკმაყოფილდეს; მხოლოდ მისი გამოკვება მარტო მას როდი ეჭირვება. ეს თვით საქმისთვის არის აუცილებელი საჭიროება, რათა მისი განახლებული ძალა ისევ საქონლის შესაქმნელად გამოიყენებოდეს.

ამნაირათ სიმდიდრე იზრდება, მდიდარი მდიდრდება, ღარიბი უკანასკნელ ფიზიკურ ძალას სხვის სიმდიდრის შექმნას ანდომებს, თავისი ტანჯვით სხვას ახარებს და ბოლოს სადმე სარდაფში ჩამკვდარს, ყველასგან დავიწყებულს სამარეში ჩატკეპნიან ხოლმე. აი, რას გვიჩვენებს სინამდვილე ყველგან.

ეს არის კაცობრიობის საჭირობოროტო კითხვა; ეს არის ის საერთო სენი, რომელიც კულტურამ შემოიტანა ცხოვრებაში; ის მატლი, რომელიც გულ ღვიძლს უღრღნის საყოველთაო მშვიდობიანობას. როგორ დახვდნენ ჩვენებური პუბლიცისტები ამ შემოპარულ სენს, როგორი ექიმები გამოდგნენ, რა წამალი მიაწოდეს? არავითარი! ჩვენში ეს სენი ვერ შემოვაო, ჩვენი ერის ორგანიზმი მაგ ჭირისგან დაცულია, ჩვენ მხოლოდ კულტურა შემოვიტანოთ, რაც კარგია სხვაგან, აქ წამოვიღოთ, ცუდი იქ დავტოვოთ; თუ შემოსვლა მოინდომოს, ნუ შემოვუშვებთ; ფაბრიკა-ქარხნები გავაჩალოთ, შრომის ნაყოფიერების გასაორკეცებლათ ევროპის ტექნიკა შევიძინოთ, მხოლოდ რაც ევროპაში დღევანდელ წყობილებას ბოროტება შეუქმნია: ჩარჩ-ბაცაცობა, სიღარიბე-სიღატაკე, პროსტიტუცია, დანაშაული და სხვა ათასგვარი სენი, რითაც ასე მწარედ კვნესის და ოხრავს დაწინაურებული ქვეყნები, ჩვენ არ გვინდა, ნუ მივიღებთო. ვიქადაგოთ ზნეობაზე, ვდევნოთ ჩარჩ-ბაცაცები, მოვსპოთ პროსტიტუცია, ყოველნაირი დანაშაული და მაშინ წმინდა, ფაქიზი ცივილიზაცია დაგვრჩება; მით ძალას მოვიკრებთ და გარეშე მტრებსაც ჯეროვნად შევებრძოლებით. ასე ღალატდებდნენ ჩვენი „ნაფიცი“ პუბლიცისტები; ამნაირათ ესმით მათ საზოგადოებრივი განვითარების ისტორია და რა გასაკვირველია, რომ მათ ეუცხოვოთ ყოველი ახალი აზრი, რომელიც არ ეთანხმება ხანგასულ ცხოვრების იდეალებს.

მათ არ იციან, რომ დღევანდელი წარმოების თანშობილია ყოველივე ის, რაც მათ ამინებს, ვერ ამჩნევენ მათ შორის განუშორებელ კავშირს; ამ ორ მოვლენას, რომელთაგან ერთი მიზეზია და მეორე შედეგი, სრულიად დამოუკიდებლათ არკვევენ და არჩევენ. იქ, სადაც ცივილიზაცია შედის და თანამედროვე მსხვილი წარმოება ფეხს იკიდებს, სიღარიბე აუცილებელი სენია; ეს თუ გნებავთ, ერთერთი პირობაა ახალი მეურნეობის განსავითარებლათ და, სანამ ეს წარმოება საისტორიოთ არ გამხდარა, ეს პირობაც განუწყვეტლივ ხელს უწყობს, აჩქარებს მის განვითარებას. ამნაირათ შესანიშნავ გონებრივ ნაწამოებთან ერთათ საზიზღარი მნეობრივი თვისებებიც სჩვევია ცივილიზაციას; მას ერთათ შეაქვს ყოველ მხარეში თვისი კარგი და ცუდი მხარე, როგორც მიზეზი და შედეგი; ამიტომ მათი დაშორება, გამორჩევით შეთვისება-შეგუება შეუძლებელია, ეს ოცნებაა, სინამდვილე კი სხვას გვეუბნება, ხსნა იქ არ არის, სადაც ჩვენ პუბლიცისტებს ჰგონია. ქადაგება მშიერს ვერ გააძღებს, ფილანტროფია ყველას ვერ დაიხსნის გაჭირვებისაგან და ერს ამით შველა არ მიეცემა. ყოველ დაჩაგრულ ელემენტს, ყველას, ვინც ბნელით მოცულ გარემოებაში ჩავარდნილა და ცხოვრების მუხრუჭებით შეწუხებული მხოლოთ კვნესას-ღა ახერხებს, უპირველეს ყოვლისა თავისი ვინაობა უნდა ამცნო, შეაგნებინო ის პირობები, რომელშიაც ის იმყოფება, თვითცნობიერება გაუღვივო, რათა თავისი წამხდარი საქმე თვითონვე გამოაკეთოს. ვერავინ იმდენს ვერ გააკეთებს სხვისთვის, რამდენსაც თავისთვის გააკეთებს. ყველა ცდილობს კარგათ თუ ავათ თავის ცხოვრების პირობები გაიუმჯობესოს, რაც შეიძლება მეტი სივრცე დაიჭიროს თავისუფლათ სულის მოსათქმელად. ასე რომ სენის წამალი შორს საძებნელი როდია, ის თანვე დააქვთ სნეულებს, საჭიროა მხოლოთ ამცნო, შეაგნებინო, ცნობა და ცოდნა იარაღად წაიმძღვაროს და მით ჰკაფოს ეკლიანი გზა. თქვენ შეგიძლიათ მხოლოთ დაეხმაროთ თვითცნობიერების გაღვივებას, რომლის საუკეთესო პედაგოგი, უმშვენიერესი სკოლა, თვით ის პირობებია, რომლებშიაც ისინი იმყოფებიან, საიდანაც თქვენც და სხვაც, ვისაც უნდა ამ საჭირობოროტო კითხვის შეგნება და გადაწყვეტა, უნდა იძენდეთ ცოდნას და გამოცდილებას. პუბლიცისტის მოვალეობაა უთხრას: აი რა პირობებში ხარ, ჩაუკვირდი და გაიგებ, გაინძერი და ცხოვრებასაც გაიადვილებო! აი ეს არის ერთათ ერთი მალამო, რომელზედაც თვით სინამდვილე მიგვითითებს, ჩვენი პუბლიცისტების ბჭობა და ქადაგება კი ცარიელი ოცნებაა.



II

დიდი ხანია ჩვენს მწერლობაში მევახშეობას უჩივიან. იშვიათათა აიღებთ გაზეთის რომელსამე ნომერს, რომელშიაც სოფლიდან კორესპონდენტებიცა, რომ ერთფეროვანი წუწუნი არ მოგესმათ: მევახშეობა სულს გვართმევს, სოფელს აღარიბებს, გლეხს უკანასკნელ სამრდოს ართმევს და გალატაკებულს ქალაქისკენ გაამგზავრებს ხოლმეო. ასე სჩივიან სოფელში მცხოვრებნი კორესპონდენტები და მათ ბანს აძლევენ ქალაქში თავის სამუშაო ოთახში ღრმად ჩაფიქრებულნი ჩვენი პუბლიცისტები; ესენი საშუალებას ეძებენ, რომლითაც უნდა მოისპოს ეს არასასურველი მოვლენა, თხზავენ სხვადასხვა პროექტებს, მხოლოთ ამათ ბჭობის დროს მევახშეობა ისევ ისე მძვინვარებს, კიდევ უფრო ფეხს იკიდებს და ამნაირათ პროექტებიც ოცნებათ რჩება და სინამდვილე კი სულ სხვას გვასწავლის.

აი, სწორეთ ამ სინამდვილეზე ჯერ კიდევ 40-იან წლებში შეიგნო და ამგნო ქვეყანას გერმანიის ერთმა მეცნიერმა, რომლის სიტყვა და საქმე ხშირათ შიშსაც ჰგვრის ჩვენს მოსვენების მოყვარულ მწერლებს; მან ნათლათ გამოარკვია ისტორიული ფაქტების შემოწმებით მიზეზი და შედეგი მევახშეობისა, მისი წარსული, აწმყო და მოსალოდნელი მომავალი. ჩვენც ამ ამრს წავიმძღვარებთ ამ მოვლენის გამოსარკვევათ და რაც შეიძლება მოკლეთ და მარტივათ გამოვიკვლევთ მის მნიშვნელობას საზოგადოთ.

მას შემდეგ, რაც რომ ჩვენს ცხოვრებაში ძველი ფორმა მეურნეობისა ფულის მეურნეობამ ჩაანაცვლა, რაც რომ საგნების ერთი ნაწილი საქონლად გადაიქცა, ე. ი. ბაზარში გასაყიდათ გამოიტანეს და ფულზე ცვლა დაიწყეს, მევახშეობაც დაიწყო. იქ, სადაც ფულის მოთხოვნილება ჩნდება ხოლმე, ყოველთვის მისი დასაკმაყოფილებელი ელემენტიც იჩენს თავს. ახალი ცხოვრების მრავალ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ თავადაზნაურობამ ფულის ძებნა დაიწყო; მას მარტო ჭამა-სმა, უბრალო ჩაცმა-დახურვა აღარ ჰყოფნიდა. ის თავის „დიდებული“ ღირსების დასაცველათ დიდებულ ცხოვრებას ესწრაფოდა, ქალაქში სხვადასხვაგვარ დროის გატარებას, მდიდრულათ ჩაცმა-დახურვას და სხვ. ამისათვის ფული იყო საჭირო. მამულის შემოსავალი მას არ ეყოფოდა, ბანკებში საკუთარი თანხა არ ჰქონდა, რომ საჭიროების დროს გამოეტანა და ეფლანგა. მაშ რამე სხვა გზით უნდა მოეპოვებია სიმდიდრე. მის წინ დაუყოვნებლივ გაჩნდა მევახშე, მდაბლათ თავი დაუკრა და მოახსენა: კნიაზ, ფული გნებავს? მე მოგართმევ, მხოლოთ, რადგან ეხლა სახიფათო დროება დადგა, უნდა სამაგიეროთ რამე ხელმოსაჭიდებელი ჩამაბარო, აი თუნდაც თქვენი მამუ-

ლი. თავადს ძალიან უკვირდა, რომ ძველებურათ მის უღვაშის ღერს აღარ ენდობოდნენ, მაგრამ რა გაეწყობოდა, უნდა დათანხმებოდა ყოველგვარ პირობას, რადგან ზამთარი მოახლოებულიყო და ოჯახობით ქალაქში საცხოვრებლად უნდა გადაბარგებულიყო. ამნაირათ მევახშე მამულს ივირაგებს და სამაგიეროთ საჭირო თანხას აძლევს. მაგრამ მევახშეს მარტო თავადებთან როდი აქვს საქმე, გლეხებიც არ აძლევენ მოსვენებას: არიქა, ნათლია, ფული გვჭირია და დავგეხმარეო. წვრილი მწარმოებელი, რომელსაც საწარმოო იარაღი ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია შეუბრალებელი კონკურენციის წყალობით, ფულს დაეძებს, უნდა საქონელი დაიმუშავოს, ბაზარში გაიტანოს და ერთი ორი გროში აიღოს; დღიური შრომით წელში გამწყდარი გლეხი, რომელსაც მისი ნაოფლარი არ ჰყოფნის, თავისი კუჭის მოთხოვნილების გარდა, რომ ყოველგვარი ხარკი და საზოგადო მწე-ჩვეულებით გამოწვეული ხარჯები დაჰფაროს, მევახშეს მიმართავს; ესეც ძალიან გულმოდგინეთ ადევნებს თვალყურს, სად ვის რა ეჭირვება და ყველას ხელს უწყობს, მხოლოთ ისე კი, რომ თავის თავიც უზრუნველყოს, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, მოსაგები რამ დარჩეს. ყველაფერ პირობაზე ეთანხმებიან გარემოებით შევიწროვებულნი და ჩვენი „ნათლია“ დღითიდღე ამბტებს თავის თანხას, მამულებს იძენს და პატარა „თავადი“ ხდება, რასაკვირველია, ახალი დროის შესაფერისი. რასაც სხვები კარგავენ გაჭირვების გამო, ის იძენს როგორც გასესხებული თანხის პატრონი. ერთი მხრით, თუ თავადი, წვრილი მწარმოებელი ანუ გლეხი ღარიბდება, მეორე მხრით, მევახშე მდიდრდება, მის ხელში ფული გროვდება და ამნაირათ კაპიტალი თანდათან შენდება. რასაკვირველია, თუ გლეხს დასამუშავებელი არა აბადია რა, მწარმოებელს საწარმოო იარაღი, რათა საკუთრათ დაიწყოს წარმოება, მაშინ მას სასესხებლად ფული არ ეჭირვება და, რომ ეჭირვებოდეს კიდევ, არავინ ასესხებს. თუ ისესხებს ხოლმე თავის გამოსაკვებათ, ესეც სხვის თავდებობით, სხვისი ნდობით. მაგრამ ეს კერძო ფაქტია და მას საზოგადო ხასიათი არა აქვს. ამიტომ მევახშეობა შესაძლებელია მხოლოთ იქ, სადაც მცხოვრებლებს რამე გააჩნიათ. გლეხს შეუძლია ნასესხები ფულით საწარმოო მასალა შეიძინოს და მით საქონელი გააკეთოს. როდესაც მსხვილი წარმოება ვითარდება და მით წვრილი მწარმოებლები უკანასკნელ საკუთრებასაც ჰკარგავენ, იქ მევახშეობა ისპობა და მევახშეების ადგილს უფრო დიდი, უფრო ძლიერი სამრეწველო კაპიტალი იჭერს. ამისათვის მევახშე ყოველთვის კონსერვატორია, მას არ უნდა, რომ არსებული ეკონომიკური ურთიერთობა შეიცვალოს, მისთვის იქ უფრო კარგი

ასპარეზია, სადაც მხოლოდ წვრილი წარმოებაა ფეხმოკიდებული, საქონელი ცოტა და წვრილ-წვრილათ მზადდება, სადაც მსხვილ წარმოებას არ შეუდგამს ჯერ ფეხი და ეს მევახშისთვის სატრფიალო განწყობილება არ დაუშლია. აი აქ სრულად თავისუფლად დათარეშობს მევახშე. აქ ის პატარა მეფეა და მის სამფლობელოს ვერავინ დაიხსნის მისი ძლიერი კლანტეზიდან, სანამ უფრო ძლიერი მეტოქე არ გამოუჩნდება, სანამ მრეწველობა ფეხს არ მოიკიდებს და მას იქიდან არ გააძევებს. „ჩვენებური“ პროექტები სულ ოცნებაა, სინამდვილე ამის მოწმე. მაგრამ ის დრო, როდესაც მევახშეობა არის უმთავრესი ფორმა ეკონომიკური ცხოვრებისა, ფრიად სამწუხაროა ორნაირათ: ერთი, რომ ის აუძღურებს მწარმოებელთა ძალას, მის მაგიერ რომ განავითაროს იგი, და მეორეს მხრით, უხშობს მცხოვრებლებს ყოველგვარ გამალვიძებელ აზრს, მისწრაფებას, სინამდვილეს ბნელით მოსავს და მით ამ საოცარ მდგომარეობას განამტკიცებს. მხოლოდ მევახშეობა აუცილებელი წინამორბედაა კაპიტალისტური წარმოებისა, რადგან იგი არღვევს წოდებრივ სიდიადეს, სპობს ფეოდალურ საკუთრებას, ძირს უთხრის გლეხის მეურნეობას და მით ნიადაგს უმზადებს, პირობებს ქმნის მსხვილ წარმოების განსავითარებლად.

ერთი უმთავრესი პირობა: უმიწაწყლო ბოგანო ხალხი მზათ ხვდება მომავალ „ბატონს“, რომელსაც თავის ხელებს უწვდის და ეუბნება: წამიყვანე, მამუშავე და საზრდო მომეცი, თორემ შიმშილით ლამის სული დავლიო. ისიც ამას დაეძებს და მედიდურათ მიუძღვება წინ ქარხნის კარებისაკენ. მეორეც ისაა, რომ იგი თავს უყრის ერთათ ფულს, აგროვებს კაპიტალს, ე. ი. საჭირო იარაღს იძენს წარმოების დასაწყებათ. ამნაირათ მევახშე თუმცა აზრით და გრძნობით კონსერვატორია, მაგრამ თავისი მოქმედებით იგი ნამდვილი რევოლუციონერია, ძველ წყობილებას ძირს უთხრის და ამ ნანგრევებზე ახალს აშენებს. წვრილი მწარმოებლის გაღარიბება მრავალ შემთხვევაზეა დამოკიდებული და ყველა ამ შემთხვევით სარგებლობს: მეთვალყურე, მევახშე და დაუყოვნებლივ უწყებს წუწვნას. ვთქვათ, გლეხს ხარი მოუკვდა, რის შემდეგაც იგი იძულებულია მიწის მუშაობას თავი დაანებოს, სანამ სამაგიეროს არ შეიძენს. აქ ის მევახშეს ხელში ვარდება, ვალს იღებს, თავის მიწა-წყალს უვირავებს, რომლისგან მევახშე ვალის გადახდამდის სარგებელს ღებულობს; მხოლოდ რადგან ვალის გადახდის სალსარი გლეხს არა აქვს; ამიტომ „ნათლია“ დიდხანს სარგებლობს გლეხის ქონებით და რადგან შემცირებული შემოსავალი ისედაც ხელმოკლე გლეხს სულ არა ჰყოფნის თავის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, იგი

თანდათან უფრო ვალიანდება და ვერას გზით ვეღარ აღწევს თავს მევახშის მძლავრ კლანჭებს და გლეხის ქონება ბოლოს სულ მას მიაქვს, მაგრამ საუკეთესო მომენტი მევახშისთვის ის არის, როცა გლეხს ხარკის გადახდის დრო მოუწევს. მას არსაიდან სალსარი არა აქვს ეს ვალი მოიცილოს, თუ არ ისევ ვალის აღებით და ამიტომ მისი წყარო იმავე მევახშის თანხაა. გლეხი თუ მევახშეს მიმართავს – ეს იმიტომ, რომ გარემოება აიძულებს, სხვა მოსალონიერებელი საშუალება მას არ ეგულება. თვითონაც კარგათ იცის, თუ რა ძნელია „ნათლიას“ ხელში ჩაგარდნა, მეზობლის მაგალითი თანდათან აცნობს მის ხასიათს, მნე-ჩვეულებას, მაგრამ რა ჰქნას, როდესაც ეკონომიური სივიწროვე იქით გააქანებს, აქეთ გამოაქანებს და ისევ მევახშის კარებზე მიაგდებს. ეს მის უნებურად ხდება, ის მხოლოდ ასრულებს იმას, რასაც გარემოება უბრძანებს. ეს მისი ყურ-მოჭრილი ყმაა და რამდენიც უნდა ვუქადავოთ გლეხს: მევახშესთან ნუ მიდიხარ, იგი გლუპავს, ყველაფერს წაგართმევს, არაფრით გზოგავს და სხვა – იგი ამ თანაგრძნობის სიტყვებს ხშირათ მევახშის ვერცხლზე ცვლის, ისევ იმას უბრუნდება, რადგან მის გარეთ არავითარი ღონე აღარ აქვს, რომ საჭიროება დაიკმაყოფილოს. შეცვალეთ ეკონომიური პირობები, მიეცით წვრილ მწარმოებლებს სხვისგან დამოუკიდებელი ცხოვრების სალსარი, ჩააყენეთ იმისთანა პირობებში, რომ არც შიოდეს, არც სწყუროდეს, ჩაცმა-დახურვის შეძლება ჰქონდეს, მნე-ჩვეულებით შეძენილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეეძლოს, ხარკის და სხვა ხარჯების გადახდა თავისი შეძლებით მოახერხოს და მაშინ მევახშე უნდა გაიპაროს, მას ასპარეზი აღარ ექნება, ყველა მას ხელს ჰკრავს, განაძევებს, მაგრამ შესაძლებელია ეს? როგორ გინდათ შეცვალეთ ამნაირი ეკონომიური ურთიერთობა, რანაირათ შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს გლეხოება, როდესაც გაათკეცებულ საჭიროებასთან ერთათ ზევიდან მებატონე კიდევ უფრო მძიმეთ აწვება თავზე და თავის დასახსნელათ იძულებულია ისევ „ნათლიას“ გაუწვდინოს ხელი. რა უნდა მისცეთ ამის ნაცვლათ? ცარიელი სიტყვა მას არ ეყოფა: მან ფული უნდა გადაუხადოს ბატონს, ხელმწიფეს, ოჯახის საჭიროება ფულით უნდა დაიკმაყოფილოს. ამისათვის მან უთუოდ მევახშეს უნდა მიმართოს, დავალიანდეს დროებით და ბოლოს სრულიად უმიწაწყლოთ, წარამარა მოხეტიალეთ გახდეს. ამ პროცესის საზოგადო ხასიათი ყოველგან ერთნაირი იყო და არის. ძველ საბერძნეთში და რომში, საშუალო საუკუნეების ევროპის ყოველ მხარეში და დღეს ჩვენში მევახშეობა სულს უხუთავს სოფელს, აღარიბებს მცხოვრებლებს, ნელნელა არღვევს ძველ წყობილებას,

ზნე-ჩვეულებას და მის ნაცვლათ ახალი შეაქვს, ამ ახალს ავითარებს და, სადაც სხვა ისტორიული პირობებიც ხელს უწყობს, მსხვილი წარმოების წინამორბედი ხდება. ჩვენში ამ პირობების არსებობა ეჭვს გარეშეა. სამთო-სამადნო მსხვილმა წარმოებამ, ნავთისა და სხვა მრავალი ბუნების სიმდიდრის კაპიტალისტური წესრიგით დამუშავებამ მზათ იბოვა უმთავრესი პირობა თავისი დარგის გასავითარებლათ. მშრომელი ელემენტი, წარმოების იარაღს დაშორებული, თავის ფიზიკურ ძალას უხვათ აწვდის ამ ახალ საქმეებს და სხვა თანამედროვე ერების „ფეხშიშველ რაზმთ“ ბლომათ ემატება.

ამნაირათ, მევახშეობა შეცვლილი ეკონომიური ურთიერთობის თანდაყოლილი ჭირია, ფულის მეურნეობის ღვიძლი შვილი, მაშასადამე, მისი მოვლინება ჩვენ ცხოვრებაში აუცილებელი იყო, მისი აღგვა არავითარ საშუალებას არ შეუძლია იმავე პირობებში, მხოლოთ იგი ნიადაგს უმზადებდა და უმზადებს კაპიტალისტურ წარმოებას, თვით ამ მოვლინის მსხვერპლი შეიქნება და მით თავის ისტორიულ მისიას შეასრულებს. ჩვენ ვეთანხმებით იმ აზრს, რომ შეიძლება მისი სასტიკი მოქმედების შემსუბუქება, შეიძლება წვრილ მწარმოებელს გავუადვილოთ გადასვლა ერთი პირობიდან მეორეში, მაგრამ მისი სრულიათ მოსპობა და მისგან ეკონომიური ცხოვრების განთავისუფლება ჩვენ ღონეს აღემატება, ეს ცარიელი ოცნებაა, სინამდვილე კი სხვა სურათს გვიჩვენებს და, თუ გვინდა თანამედროვე ცხოვრებაში რაიმე წვლილი შევიტანოთ, მას უნდა ჩავუკვირდეთ და შესაფერი სიტყვა და რევოლუციური საქმე არ დავიშუროთ.

ალ. წულუკიძე „ოცნება და სინამდვილე“, „ქართული მწერლობა“ ტ. 21, 2006

## გამოყენებული ლიტერატურა

- აღ. წულუკიძე „ოცნება და სინამდვილე“, „ქართული მწერლობა“ ტ. 21, 2006;
- ანჩი! „ერი და ჩვენ“. ქუთაისი. 1915;
- გიორგი ზდანოვიჩი „წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“, „ივერია“. „ქართული მწერლობა“ ტ. 21, 2006;
- თამთა მელაშვილი „კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები“, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, 2013;
- ირაკლი-კაკი წერეთელი „მამულიშვილობა, ეროვნება თუ ხალხის სამსახური“, „კვალი“ 1903 30. 03-06. 04-29. 06;
- მიხაკო წერეთელი „პასუხი პროტესტანტებს“, „ანარქისტული ბიბლიოთეკა“, [www.a-library.org](http://www.a-library.org) (ბოლოს ნანახია: ოქტომბერი 2014);
- ნოე ჟორდანია, „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“, თბ. 1908;
- ნოე ჟორდანია „ეკონომიკური წარმატება და ეროვნულობა“, ჟურნალი „მომამბე“ 1894 წლის ივნის-ივლისი;
- ონ.<sup>2</sup> „ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი“, „ჩვენი კვალი“. 1908 მაისი-ივლისი.

წინასაარჩევნო დოკუმენტები:

- გაზეთი „ერთობა“, 1919 წლის 22 იანვარი;
- გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წლის 26 იანვარი;
- გაზეთი „შრომა“, 1919 წლის 12 თებერვალი.

---

1 აკაკი ჩხენკელი

2 ვლადიმერ დარჩიაშვილი

---

## „თბილისის ფაბიანური საზოგადოება“

„თბილისის ფაბიანური საზოგადოება“ გახლავთ 2013 წელს ჩამოყალიბებული არარეგისტრირებული, არაიერარქიული და არაფორმალური სამოქალაქო საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ეფუძნება ქართველი სოციალ-დემოკრატებისა და სოციალისტ-ფედერალისტების, გერმანელი „რევიზიონისტებისა“ და ბრიტანელი მემარცხენე-ცენტრისტების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ იდეებს.

ჯგუფის მიზანია სოციალური სამართლიანობის, მდგრადი მომავლის, ცოდნის საზოგადოების, გენდერული დემოკრატიისა და სამოქალაქო თანამონაწილეობის პრინციპების ქართულ პოლიტიკურ სივრცეში დანერგვა. ჯგუფის ამოცანას წარმოადგენს მემარცხენე საჯარო პოლიტიკური კურსების ანალიზი და ქართული თუ საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობების ისტორიის შესწავლა, დამუშავებული მასალების საზოგადოებისათვის წარდგენა.

---

## „შენ დემოკრატიისთვის“ – არასამთავრობო ორგანიზაცია

Ara universitettan vart nacili. Aravin ar icis vin aris es xalxi ruporit xma gadafares da daanacevres aqcia. Mand bervi xalxia?

Sent:

24-Sept-2012

16:48:34

ეს მოკლე ტექსტური შეტყობინება სტუდენტური პროტესტის ერთ-ერთი აქტივისტისგან პასუხად მივიღეთ. აქცია, რომელსაც ორგანიზებას უწევდნენ სტუდენტური ჯგუფები, უნივერსიტეტის ბაღიდან დაიწყო და თავდაცვის სამინისტროსკენ მსვლელობით გაგრძელდა, რომელიც აქციის ბოლო პუნქტად მოიაზრებოდა. მოულოდნელად, სამინისტროს შენობასთან რამოდენიმე ადამიანისაგან შემდგარი ჯგუფი გამოჩნდა მანქანით, რომელზეც ხმის ოთხი ელექტრო გამაძლიერებელი იყო დამონტაჟებული. ამ გამაძლიერებელი ხმით აქციის მონაწილეებს იუსტიციის სახლისკენ გაყოლას მოუწოდებდნენ. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ერთი ჯგუფი გამოჩნდა, რომელიც ხალხის ნაწილს გალობით სამების ტაძრისკენ გაუძღვა. სტუდენტი აქტივისტები კი ხალხს სამინისტროსთან დარჩენას თხოვდნენ. მაგრამ ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ნათხოვარი მეგაფონის სუსტი ხმა სრულიად გადაფარა ელექტრო მოწყობილობამ. ასე დაიქსაქსა აქცია.

იმ დღეებში მსგავსი რამ სხვადასხვა ქუჩაზე გამართულ რამდენიმე აქციაზე მოხდა.

ამ ამბების შემყურე რამოდენიმე თანამოაზრემ გადავწყვიტეთ, რომ სტუდენტებს ქუჩის აქციისთვის შესაბამისი ხმის მოწყობილობის ქირობაში ან შექენაში დავხმარებოდით. თავდაპირველად ვიფიქრეთ აპარატურის დასაქირავებლად ფული შეგვეგროვებინა, ფულის მიღებაზე უარი მივიღეთ. შემდეგ შევთავაზეთ, რომ ორგანიზაცია ოფიციალურად დაერეგისტრირებინათ და მოწყობილობის შესაძენად დონორების მოძებნაში დავხმარებოდით. ყველა შემოთავაზებას უარი მოსდევდა. არადა, მათი ინსპირირებული ძალიან კარგი და გულწრფელი აქციები უკეთეს ორგანიზებას, მინიმუმ უკეთეს ხმას მოითხოვდა.

სწორედ ამის შემდეგ გადავწყვიტეთ თვითონ შეგვექმნა ორგანიზაცია, რომელიც თვითონ მოძებნიდა წყაროებს ქუჩის აქციაზე პროტესტანტის სიტყვის გასაძლიერებლად. ასე და ამისთვის შეიქმნა „შენ დემოკრატიისთვის“.